ვალერი მედვედევი

ბარანკინის ფანტაზიები

პოემა ორ წიგნად

თბილისი, „ნაკადული"
1987

84 р 7 — 93
ბ 484

ძვირფასო მეგობრებო!

ვალერი მედვედევი „ბარანკინის ფანტაზიებს“ გთავაზობთ ორ წიგნად. პირველი წიგნი მოგითხრობთ, რა ძვირად დაუჯდათ იური ბარანკინსა და მის მეგობარს კოსტია მალინინს სასწავლო წლის დასაწყისში ორიანების მიღება. ამას ის მოჰყვა, რომ მათ მოსწყინდათ ადამიანური ცხოვრება და... მერე... მერე უამრავი, თითქმის დაუჯერებელი ფათერაკი გადახდათ თავს... მეორე წიგნში კი იური ივანოვი (იგივე იური ბარანკინი) ოცნებობს ზეკოსმონავტობაზე, რათა ამქვეყნად ყველაზე ძნელი დავალება შეასრულოს. ალბათ, დაგაინტერესებთ, რას მიაღწია იურიმ... რითი დასრულდა მისი ფათერაკები და ოცნება.

თარგმნა
დიდი ვადაჭკორიამ

© „ნაკადული“, 1987

70803—169
М ——————— 66 — 87
М 603 (08) — 87

წიგნი პირველი

ბარანკინ ყიყავ ადამიანი!

ოცდათექვსმეტი ფათერაკი
იუკრი ბარანკინის
ცხოვრებიდან

ნაწილი პირველი

ბარანკინ, დაფასთან!

პირველი ფათერაკი

სკოლაში თაბი ეოგბეჭრა!

სასწავლო წლის დასაწყისშივე მე და კოსტია მალინინს გეომეტრიაში ორი ორიანი რომ არ მიგვეღო, იქნებ ასეთი დაუჯერებელი და ფანტასტიკური ამბავი არც შეგვმთხვეოდა! ორიანები მივიღეთ და მეორე დღეს რაღაც არაჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, არაბუნებრივი ამბავი გადაგვხდა!..

ამ საშინელი ფათერაკის შემდეგ, დასვენებაზე, კლასის მამასახლისი — ზინკა ფოკინა მოვიდა ჩვენთან და გვითხრა: „ოჰ, ბარანკინ და მალინინ! სირცხვილი ოქვენი, სკოლაში თავი მოგეჭრათ!“ მერე გოგოები შემოიკრიბა და, ეტყობოდათ, ჩემსა და კოსტიას წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ. თათბირი მთელი დასვენება გაგრძელდა, სანამ შემდეგი გაკვეთილის ზარი არ დაირეკა.

ამასობაში ალიკ ნოვიკოვმა, ჩვენი კედლის გაზეთის სპეციალურმა ფოტოკორესპონდენტმა, სურათი გადაგვიღო და კედლის გაზეთის „იუმორის და სატირის“ განყოფილებაში მიაკრა, ქვემოთ კი მიაწერა: „მიჰქრის, მიფრინავს ორიანი, მიჰქრის, მიფრინავს!“

გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ერა კუზიაკინამ გამანადგურებელი თვალებით შემოგვხედა და წაისისინა: „ეჰ, თქვენ კი რა გითხარით, რა გაზეთი გააფუჭეთ!“

ის გაზეთი, რომელიც, კუზიაკინას სიტყვით, ჩვენ გავაფუჭეთ, მართლაც ლამაზი იყო, სულ ფერად-ფერადი საღებავებით მოხატული, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას კი, მთელ სიგანეზე, მკა-

ფიო ასოებით ეწერა: „ვისწავლოთ მხოლოდ „კარგზე“ და „ფრა-ადზე“.

ისე, გულახდილად რომ გითხრათ, მართლა არ უხდებოდა ჩვენი, ტიპიური ოროსნების, დაღრეჯილი სახეები ასეთ შემკულ და სადღესასწაულო გაზეთს.

ვეღარ მოვითმინე, ავდექი და ერკას წერილი გავუგზავნე:

„კუზიაკინა! თუ გინდა, რომ გაზეთი ისევ ლამაზი იყოს, სჯობს ჩამოხსნა ჩვენი სურათები! არადა, ეგ ლოზუნგი მაინც გადახაზე!“

სიტყვა „ლამაზს“ ქვემოთ ორი სქელი ხაზი გავუსვი, ხოლო სიტყვებს „ლოზუნგი გადახაზე“ — სამი. მაგრამ ერკამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და არც კი გამოუხედავს ჩემკენ... დიდი ვინმეც ბრძანდება!..

მ ე ო რ ე ფ ა თ ე რ ა კ ი

ბონს ეოსვლის საშუალებას არ გვაძლევენ

დაირეკა თუ არა უკანასკნელი გაკვეთილის დამთავრების ზარი, ბავშვები ჯგროდ მიაწყდნენ კარებს. ის იყო, კარი მხრით უნდა გამომეღო, რომ ერკა კუზიაკინამ გზა გადამიღობა.

— არ დაიშალოთ! არ დაიშალოთ! საერთო კრება მოვიწვიეთ! — დაიყვირა და გესლიანად დაუმატა: — კრება მალინინსა და ბარანკინს მიეძღვნება!

— არაეითარი კრება, — იყვირა ზინკა ფოკინამ, — უნდა ვისაუბროთ! სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ!.. თქვენ-თქვენ ადგილებზე დასხედით!..

ო, რა ამბავი ატყდა! აღშფოთდნენ ბავშვები, მერხებს აბრახუნებდნენ, მე და კოსტიას გვლანძღავდნენ, ყვიროდნენ, არ დავრჩებითო. ჩვენც, რასაკვირველია, ყველაზე მეტს ვღრიალებდით. აბა, ეს რა წესია? ვერც კი მოვასწარით ორიანების მიღება და მაშინვე საერთო კრება მოიწვიეს, კრება კი არა, „სერიოზული საუბარი“ გვექნებაო... რომელი სჯობს, ღმერთმა უწყის. გასულ სასწაელო წელს არ ყოფილა ასეთი ამბები. შარშანაც კი გვქონდა მე და კოსტიას ორიანები, მაგრამ ამისთვის ცეცხლი არავის მოუკიდებია ჩვენთვის. ისე, მოგეცათ ლხენა, გვამუშავებდნენ, მაგრამ არც ასე უცბად დაგვსხმიან თავს. ბონს მოსვლის საშუალებაც მოგვცეს... სანამ ამაზე ვფიქრობდი, კლასის მამასახლისმა ფოკინამ და კედლის გაზეთის რედაქტორმა კუზიაკინამ „ჯანყის ჩახშობა“ მოახერ-

ხეს, აიძულეს ბავშვები თავ-თავიანთ ადგილებზე დამსხდარიყვნენ. როგორც კი ხმაური მიწყნარდა და კლასში სიჩუმე ჩამოვარდა, ზინკა ფოკინამ მაშინვე დაიწყო კრება, ესე იგი „სერიოზული საუბარი“, რომელიც მე და ჩემს საუკეთესო მეგობარს, კოსტია მალინინს მოგვეძღვნა.

რასაკვირველია, არც ისე სასიამოვნოა იმის მოგონება, რასაც ზინკა ფოკინა და დანარჩენი ამხანაგები ჩვენზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მაინც ყველაფერს დაწვრილებით, სიტყვა-სიტყვით გიამბობთ.

მესამე ფათერაკი

ნამდვილი ოპერაა...

ყველანი რომ დასხდნენ და კლასში სიწყნარე ჩამოვარდა, ზინკა ფოკინამ იყვირა:

— ბავშვებო! აი, ამას პქვია ნამდვილი უბედურება! ჯერ ახალი სასწავლო წელი არ დაწყებულა, ბარანკინმა და მალინინმა კი ორიანი მიიღეს!..

კლასში ისევ ატყდა საშინელი აურზაური, მაგრამ ცალკეული შეძახილების გარჩევა, რასაკვირველია, მაინც შეიძლებოდა:

— ასეთ პირობებში მე კედლის გაზეთის რედაქტორობაზე უარს ვამბობ! (ეს ერა კუზიაკინამ თქვა.).

— აკი პირობა მოგვცეს, გამოვსწორდებითო! (მიშკა იაკოვლევი).

— მუქთახორები! შარშან მაგათ ლოლიაობას მოვუნდით და ახლა ისევ თავიდან დავიწყოთ, არა?! (ალიკ ნოვიკოვი.)

— მშობლებს გამოვუძახოთ! (ნინა სემიონოვა.)

— პირდაპირ თავს სვრიან კლასს! (ირკა პუხოვა.)

— გადავწყვიტეთ, ყველამ „კარგზე“ და „ფრიადზე“ ვისწავლოთ და აი, ინებეთ! (ელა სინიცინა.)

— არც კი გრცხვენიათ, ბარანკინ და მალინინ! (ნინკა და ირკა ერთად.)

— სკოლიდან გავრიცხოთ, მორჩა და გათავდა! (ერკა კუზიაკინა.)

„მოიცა, ერკა, თუ ბიჭი ვარ, განანებ მაგ სიტყვებს“.

თქვა თუ არა ეს, ყველა ერთად აღრიალდა, ისე ხმამაღლა ყვიროდნენ, რომ მე და კოსტია ვეღარ ვარჩევდით, ვინ რას ამბობდა

ჩვენზე, ისე, ცალკეული სიტყვებით კი მიხვდებოდა ადამიანი, რომ მე და კოსტია უქნარები, ბრიყვები, ძუქთამქამელები, ეგოისტები და, კიდევ ვინ მოთვლის, რა არ ვყოფილვართ!..

მე და კოსტია ყველაზე ძალიან ვენკა სმირნოვის ღრიალმა გაგვაბრაზა. ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო. იმ ვენკას რაღა აკვირებდა. შარშან სწავლის საქმე ჩვენზე უარესად ჰქონდა. ამიტომ ველარ მოვითმინე და დავუყვირე:

— წითურო, ყველაზე ხმამაღლა რომ ღრიალებ, აბა, ერთი შენ გაეძახებინე პირველად დაფასთან, ორიანს კი არა, ერთიანს მიიღებდი! გირჩევნია, ხმა ჩაიწყვიტო.

— აბა, რა უნდა გელაპარაკო, ბარანკინ, — მიყვირა ვენკა სმირნოვმა, — მე შენი წინააღმდეგი კი არა ვარ, შენი გულისთვის ვღრიალებ! იცით, რა მინდა, ბავშვებო, ვთქვა... როგორ შეიძლება არდადეგების შემდეგ ასე უცბად დაფასთან გაძახება, გვაცალონ გონს მოსვლა და...

— სმირნოვ! — დაუყვირა ზინა ფოკინამ.

— საერთოდ, — მთელი კლასის გასაგონად ყვიროდა ვენკა, — შემომაქვს წინადადება, ერთი თვის განმავლობაში ნურავის ნუ გაიძახებენ დაფასთან და ნურავითარ შეკითხვებს ნუ მოგვცემენ!..

— ეგ სიტყვები, სხვები რომ გაჩუმდებიან, მაშინ თქვი, ყველასთან ერთად ნუ ყვირი!.. — შეევძახე ვენკას.

ისევ ატყდა ღრიალი. ისე ყვიროდნენ, რომ ადამიანი ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებდა. ვერ მიხვდებოდით, ვინ უჭერდა ვენკას წინადადებას მხარს და ვინ ეწინააღმდეგებოდა.

— ოჰ, წყნარად, ბავშვებო, გაჩუმდით! ბარანკინმა ილაპარაკოს! — თქვა ფოკინამ.

— რაზე ვილაპარაკო? მე და კოსტია სულაც არა ვართ დამნაშავეები, ამ სასწავლო წელს პირველები რატომ გაგვიძახა დაფასთან მიხაილ მიხაილიჩმა. ჯერ რომელიმე ხუთოსანისთვის ეკითხა, მაგალითად, მიშკა იაკოვლევისათვის და ხუთიანი დაგვეკვეებებოდა, — მივუგე მე.

ბავშვები ახმაურდნენ და სიცილი ატეხეს, ფოკინამ კი განაცხადა:

— ბარანკინ, გირჩევნია, თავი დაანებო ოხუნჯობას და მიშკა იაკოვლევისაგან აიღო მაგალითი.

— დამიხედეთ პრემიერ-მინისტრს! — ვთქვი ჩემთვის, მაგრამ ისე, რომ ყველას გაეგონა.

ისევ ატყდა სიცილი. ზინკა ფოკინას ენა დაება, ერკამ დიდი ქალივით გადააქნია თავი და მითხრა:

— ბარანკინ! მაგას ისა სჯობს, გვითხრა, როდის აპირებთ შენა და მალინინი ორიანების გამოსწორებას!

— მალინინ! — ეუთხარი მე კოსტიას. — ოქვი...

— რა გაღრიალებთ? — თქვა მალინინმა. — გამოვასწორებთ ამ ორიანებს...

— როდის?

— იურა, როდის გამოვასწორებთ ორიანებს? — მკითხა კოსტია მალინინმა.

— შენ არ გაბია თავი, მალინინ? — იყვირა კუზიაკინამ.

— ამ მეოთხედში გამოვასწორებთ, — ვთქვი მტკიცედ, მინდოდა საბოლოოდ ნათელი გამეხადა ეს საკითხი.

— ბავშვებო! რა გამოვიდა? ესე იგი, მთელი მეოთხედი უნდა ათრიოს ჩვენმა კლასმა ეს ორიანები?! — შეშფოთებით თქვა კუზიაკინამ.

— ბარანკინ! — მითხრა ზინკა ფოკინამ. — კლასმა დაადგინა, ორიანები ხვალვე უნდა გამოასწოროთ!

— ბოდიში, თუ შეიძლება! — აღშფოთდი მე. — ხვალ კვირაა!

— არა უშავს, წაიმეცადინებთ! (მიშა იაკოვლევი.)

— ასე უნდა მაგათ! (ალიკ ნოეიკოვი.)

— მერხზე მივაბათ! (ერკა კუზიაკინა.)

— ამოცანის ამოხსნა არ ვიცით და რა ვქნათ? (ეს მე ვთქვი.)

— მე აგიხსნით (მიშა იაკოვლევი.)

მე და კოსტიამ ერთმანეთს გადავხედეთ და არაფერი არ გვითქვამს.

— დუმილი თანხმობის ნიშანია! — თქვა ზინკა ფოკინამ. — ესე იგი, მოვილაპარაკეთ! კვირა დილას იაკოვლევთან ერთად იმეცადინებთ, მერე კი სკოლის ბაღში ხეების დასარგავად მოხვალთ.

— რა? — ერთბაშად შევძახეთ მე და კოსტიამ. — ხეებიც ჩვენ უნდა დავრგათ? ჩვენ ხომ... ჩვენ ხომ მეცადინეობის შემდეგ დაღლილები ვიქნებით?

— ფიზიკური შრომა, — თქვა ჩვენი კლასის კედლის გაზეთის მთავარმა რედაქტორმა. — დასვენების საუკეთესო საშუალებაა გონებრივი დატვირთვის შემდეგ.

— ეს რაღა გამოვიდა, — ვთქვი მე, — ესე იგი, როგორც ოპერაშია „არც ძილი, არც მოსვენება გატანჯულ სულს!..“

— ალიკ! — თქვა ჩვენი კლასის მამასახლისმა. — თვალი გეჭიროს, არსად გაგექცნენ!..

— არ გაიქცევიან! — თქვა ალიკმა. — მხიარული სახე მიიღეთ. დიდხანს არ გაგაჩერებთ! ყოველი შემთხვევისათვის... — ალიკმა ფოტოაპარატი დაგვიმიზნა მე და კოსტიას. — წარწერაც ექნება...

მეოთხე ფათერაკი

(ძალზე მნიშვნელოვანი!)

თუკი დამძანცა ამ ადამიანობამ?!

ბავშვები საუბრით გადიოდნენ კლასიდან, მე და კოსტია კი ხმაჩაწყვეტილები ისევ მერხს ვუსხედით. გულახდილად რომ გითხრათ, პირდაპირ გაოგნებულები ვიყავით. ხომ გითხარით, ხშირად მიგვიღია ორიანი, მაგრამ ჩვენს ამხანაგებს არც მე და არც კოსტია ასეთ დღეში არ ჩავუგდიეართ, ისიც წლის დასაწყისში.

მეგონა, კლასში მარტო მე და კოსტია ვიყავით, და ის იყო, ჩემი სევდიანი ფიქრების გაზიარებას ვაპირებდი, რომ გვერდით ზინკა ფოკინა ამომიდგა.

— იურა! — მითხრა ზინკა ფოკინამ. პირდაპირ საოცარია, წინათ მუდამ გვარით მომმართავდა) — იურა... მოიქეცი რა ადამიანურად! გამოასწორე ხვალ ორიანი! გამოასწორებ?

ისე მელაპარაკებოდა, თითქოს მარტონი ვყოფილიყავით კლასში და თითქოს გვერდით ჩემი საუკეთესო მეგობარი კოსტია მალინინი არა მჯდომოდა.

— გამოასწორებ? — ჩუმად გაიმეორა მან თავისი შეკითხვა.

— ფოკინა! — მივმართე მე ოფიციალურად.—უკულტურო რომ ვიყო, უსათუოდ გეტყოდი: „თავი და-მა-ნე-ბე!“

ფ ო კ ი ნ ა (აღშფოთებული). შენთან პირდაპირ შეუძლებელია ადამიანური ლაპარაკი!

მ ე (გულგრილად). ჰოდა ნუ მელაპარაკები!

ფ ო კ ი ნ ა (უფრო მეტად აღშფოთებული). აღარც გელაპარაკები!

მ ე (უფრო გულგრილად). ლაპარაკობ კი!..

ფ ო კ ი ნ ა (ათასჯერ უფრო აღშფოთებული). იმიტომ, რომ მინდა ადა-მი-ა-ნად იქცე!

— რა, მე ადამიანი არა ვარ?

— არა, იურა! — სერიოზულად თქვა ფოკინამ. — მე მინდა, შენ იქცე ადამიანად, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით!

— თუკი დავიღალე... თუკი დამქანცა ამ ადამიანობამ! მაშინ?

— როგორ დაგქანცა? — გაოცებით მკითხა ფოკინამ.

— აი ასე! აი ასე! — აღშფოთებით დავუყვირე ფოკინას. — დამქანცა, მორჩა და გათავდა! დამქანცა ადამიანობამ!.. დამქანცა! სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

ზინკა ფოკინა ისე დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხა ჩემთვის. იდგა ჩუმად და თვალებს ახამხამებდა. შემეშინდა, ახლა არ ასლუკუნდეს-მეთქი. მაგრამ ზინა კი არ ასლუკუნდა, რაღაცნაირად შეიცვალა და თქვა:

— აბა, რა გითხრა, ბარანკინ! იცი რა, ბარანკინ!.. მაშ ასე, ბარანკინ! — და საკლასო ოთახიდან გავიდა.

მე კი ისევ მერხზე ვიჯექი, ჩუმად ვიჯექი და ვფიქრობდი, მართლაც, როგორ დამღალა ამ ადამიანობამ-მეთქი. უკვე დავიღალე... წინ მთელი ადამიანური ცხოვრება და უმძიმესი სასწავლო წელი მიდევს... ხვალ კი საშინელი კვირა დღე მომელის.

მ ე ს უ თ ე ფ ა თ ე რ ა კ ი

მაინც დაგვცერიგეს გარეგნ...

საღაცაა მიშკაც გამოჩნდება

დადგა კვირა დღე! მამაჩემის კალენდარზე რიცხვი და ასოები ვარდისფრადაა შეღებილი, ჩვენს სახლში ყოველი ბავშვი დღესასწაულობს. ზოგი კინოში მიდის, ზოგი ფეხბურთზე, ზოგი თავის პირად საქმეზე. მე და კოსტია კი ეზოში სკამზე ვსხედვართ, მიშკა ბაკოვლევს ველოდებით. უნდა ვიმეცადინოთ.

ჯერ, სამუშაო დღესაც რა სასიამოვნოა სწავლა და ახლა გამოსასვლელ დღეს, როდესაც ყველა ისვენებს, — ნამდვილი წამებაა. თითქოს ჩვენს ჯიბრზე ამინდიც კარგია. ერთი ღრუბელიც არ ჩანს ცაზე, მზეც ისე აცხუნებს, გეგონება, ზაფხულია.

დილით, გავიღვიძე თუ არა, გარეთ გავიხედე. მთელი ცა ღრუბლებით იყო დაფარული! ქარი სისინებდა და ხეებიდან ყვითელი ფოთლები ცვიოდა.

გამიხარდა. მეგონა, ჩიტის კვერცხისოდენა სეტყვა წამოვიდოდა, მიშკას ქუჩაში გამოსვლის შეეშინდებოდა და ჩვენი მეცადინეობაც ჩაიშლებოდა. იმედი მქონდა, ქარი სეტყვას თუ არა, თოვლს ან წვიმას მაინც მოიტანდა. ავდრიან დღეს კიდევ არა უშავს რა, შე-

იძლება ოთახში მეცადინეობა და წიგნებში კირკიტი. სანამ ჩემთვის გეგმებს ვაწყობდი, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა: ღრუბლები გაიფანტა, მერე სულ გაქრა, ხოლო კოსტიას მოსვლის დროისათვის მთლად გამოიდარა და ახლა ეზოში მზეა და ცა მოწმენდილია. ჰაერი არ იძვრის, ჩამიჩუმი არ ისმის. არყის ხიდან, რომლის ძირშიც მე და კოსტია ვსხედვართ, ყვითელი ფოთლებიც კი აღარ ცვივა.

— ეი, თქვენ, ბებერი სოკოებივით რომ დამსხდარხართ ხის ძირას! — გაისმა ფანჯრიდან დედაჩემის ხმა. — ბოლოს და ბოლოს, როდის მიდიხართ სამეცადინოდ?

დედამ უკვე ხუთჯერ თუ ექვსჯერ გვკითხა ეს.

— იაკოვლევს ვუცდით!

— განა უიაკოვლეოდ არ შეიძლება შეუდგეთ მეცადინეობას?

— არ შეიძლება! — ვუთხარით ერთხმად, ფანჯარას ზურგი შევაქციეთ და კუტიკარს გავხედეთ, საიდანაც მიშკა უნდა მოსულიყო.

მაგრამ მიშკა არსად ჩანდა. სამაგიეროდ კუტიკარს იქით ფოტოაპარატითა და მისი მოწყობილობით აღჭურვილი ალიკ ნოვიკოვი გაიელვებდა ხოლმე, დროდადრო ხეებიდან გამოჰყოფდა თავს. მე, რასაკვირველია, მშვიდად არ შემეძლო მეცქირა ამ ჯამუშისათვის და თვალი ავარიდე.

— ესეც შენი კვირა დღე! — ვთქვი მე და კბილები დავაკრაჭუნე.

სწორედ ამ დროს ზინკა ფოკინა დავინახე. იგი ალიკს მიუახლოვდა, მას ოთხი ბარი გაედო მხარზე, იღლიაში რაღაც მუყაოს ყუთი ამოეჩარა, მარცხენა ხელში კი პეპლების საჭერი ეკავა.

მხარზე ბარებგადებულ ზინკას ალიკმა სურათი გადაუღო. მერე ორივე ჩვენკენ გამოემართა. რატომღაც მეგონა, ახლა ალიკი გაიდებდა მხარზე ბარებს, მაგრამ შევცდი, ოთხივე ბარს ისევ ფოკინა მოათრევდა. ალიკს კი კისერზე ჩამოკიდებული ფოტოაპარატისათვის ჩაევლო ორივე ხელი.

— ეი, თქვენ, ფოტო-გრაფო, — გავძახე ალიკს, როცა მოგვიახლოვდნენ. — ეტყობა, ეს ბარები სათქვენო არ არის, თქვენო უგამომეღვაინებულესობავ?!

— სამაგიეროდ შენ და კოსტიას მოგიხდებათ, — თქვა ნოვიკოვმა ისე, რომ არც კი შეცბუნებულა და აპარატი ჩვენკენ მომართა. — ასეთი წარწერა ექნება: „კლასის მამასახლისი ზ. ფოკინა საზეიმო ვითარებაში გადასცემს საშეურნეო ინვენტარს თანამემამულეთ...“

ზინკა ფოკინამ ბარები სკამს მიაყუდა, ალიკ ნოვიკოვმა კი ფოტოაპარატი ააჩხაკუნა...

— ჰოო, — ვთქვი მე და ყურადღებით შევათვალიერე ბარები, — ზუსტად ისეა, როგორც ჟურნალ „კოსტიორში" ბეჭდავენ ხოლმე...

— რა არის ისე? — შემეკითხა ფოკინა.

— გამოსაცნობი სურათი, — ავუხსენი მე.

— გასაგებია, — თქვა ალიკმა. — სად არის ამ ბარის ტარი?

— ეგ კი არა, სად არის ის ბიჭი, რომელიც ამ ბარით იმუშავებს?.. — ვუთხარი ალიკს.

— ის ბიჭი ბარანკინია! — აღშფოთდა ზინკა ფოკინა. — როგორ, შენ დღეს არ აპირებ სკოლის ეზოს გამწვანებას?

— რატომაც არ ვაპირებ... — ვუპასუხე ზინკას... მაგრამ რამდენ ხანს დავაპირებ, არ ვიცი...

— ბარანკინ, ადამიანურად მოიქეცი! — მითხრა ზინკა ფოკინამ.

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, გატრიალდა და მხარზე ბარგადებული სკოლისაკენ გაემართა.

ალიკ ნოვიკოვმა ისევ თავისი ადგილი დაიკავა. კუტიკართან, ხეებს უკან საგუშაგოზე. კოსტია უფრო მეტად მოიღუშა და ბარებს დააშტერდა, მონუსხულივით უყურებდა, მე კი, პირიქით, ვცდილობდი, არავითარი ყურადღება არ მიმექცია ამ „ინვენტარისათვის". ყოველ ღონეს ვხმარობდი, მხიარული სახე მიმეღო, და ხეებს დავუწყე ცქერა. ის კი აზრადაც არ მომსვლია, რომ სულ მალე ჩვენს ეზოში, დაუჯერებელი, ფანტასტიკური და, შეიძლება ითქვას, ზეპუნებრივი ამბები დატრიალდებოდა.

მეექვსე ფათერაკი

აბ, რამ განმაცვიფრა! — კვირაში შვიდი დასვენების ღღე!

ბეღურები ხმამაღლა ყღურტულებდნენ ბუჩქებში. წამდაუწუმ მოსწყდებოდნენ ტოტს და ხიდან ხეზე გადაფრინდებოდნენ. მათი გუნდი ხან შემჭიდროვდებოდა, ხან გაიშლებოდა. გეგონებოდათ, ყველა ბეღურა ერთმანეთზე რეზინის ძაფით არის გადაბმულიო.

ჩემ ცხვირწინ უზრუნველად დაფრინავდა რაღაც მწერი, ყვავილნარზე დაფარფატებდნენ პეპლები. იმ სკამზე, რომელზედაც

მე და კოსტია ვისხედით, შავი ჭიანჭველები ფუთფუთებდნენ. ერთი ჭიანჭველა მუხლზეც კი შემომაცოცდა და მზეზე მშვიდად ნებივრობდა.

„აი, ვინ ისვენებს. ალბათ, ყოველ დღე!“ — გავიფიქრე და შურით შევხედე ბეღურებს. აკაციებს თვალს არ ვაშორებდი, ალბათ, ორას ორმოცდაათჯერ მაინც შევადარე ჩემი ცხოვრება ბეღურების ცხოვრებას და მეტად სამწუხარო დასკვნამდე მივედი: საკმარისია, ერთხელ მაინც დააკვირდე ფრინველებისა და მწერების საქმიანობას, რომ დარწმუნდე, რა უზრუნველად, რა შესანიშნავად ცხოვრობენ: ერთმანეთს არ ელოდებიან, არავინ არაფერს არ სწავლობს, არავის არსად არ გზავნიან, არავის ჭკუას არ არიგებენ, არავის ხელში ბარს არ აძლევენ... ყველა თავისთვის ცხოვრობს და აკეთებს იმას, რაც თვითონ სურს, და ასე გრძელდება მთელი სიცოცხლე! მართლა, რა ბედნიერი ცხოვრება აქვთ! მათთვის მუდამ დღესასწაულია! კვირაში შვიდი დღეა და შვიდივე უქმეა! მე და მალინინს შვიდ დღეში ერთი დასვენების დღე გვაქვს და ისიც, ხედავთ, როგორ ვასვენებთ? გამოდის, რომ ტყუილად ჰქვია უქმე დღე. რა კარგი იქნებოდა, ერთი დღე მაინც გვეცხოვრა ისე, როგორც ეს ბედნიერი ჭიანჭველები ანდა ეს ბეღურები და პეპლები ცხოვრობენ. ოღონდ ეს ზმნები არ გაგვაგონა, დილიდან საღამომდე რომ გვაფრქვევენ უბედურ თავზე: გაიღვიძე, ჩაიცვი, წადი, მომიტანე, მიუტანე, იყიდე, დაგავე, მომეხმარე, ისწავლე! არც სკოლაში გვასვენებენ. საკმარისია შევიდე კლასში და მაშინვე ფოკინას ხმა შემომესმება:

„ოჰ, ბარანკინ, მოიქეცი ადამიანურად! ნუ წრიალებ, ნუ იწერ, ნუ უხეშობ, ნუ იგვიანებ!“ და ასე შემდეგ...

სკოლაში მოიქეცი ადამიანურად!
ქუჩაში მოიქეცი ადამიანურად!
სახლში მოიქეცი ადამიანურად!
მაშ, როდისღა დავისვენო?!

სადღა გამოვნახო დასვენების დრო? ცოტა თავისუფალ დროს კი გამოძებნიდა კაცი, მაგრამ სად იპოვი ისეთ ადგილს, სადაც არავინ შეგიშლის ხელს, შენს ნებაზე იქნები, რასაც გინდა, იმას გაკეთებ? და, აი, სწორედ ახლა გამიელვა იმ არაჩვეულებრივმა იდეამ, რომელსაც ყველასაგან საიდუმლოდ დიდი ხანია გულში ვატარებ, ნეტავი რა მოხდება, რომ ავიღო და მისი განხორციელება ვცადო!.. დღესვე! ახლავე! ასეთი შესაფერისი დრო შეიძლება არასდროს არ დადგეს, ან იქნებ ასეთი შესაფერისი გარემო ვერ

ვიპოვო, ანდა ასეთ ხასიათზეც აღარ ვიყო! ჯერ კოსტია მალინინს უნდა ვუამბო ყველაფერი, იქნებ სათქმელად არც ღირს? არა, ღირს! ვუამბობ! რაც იქნება, იქნება!

— მალინინ! — წავჩურჩულე. — ყური მიგდე, მალინინ!.. — ცოტა დამაკლდა, ამდენი მღელვარებისაგან კინაღამ არ მოვკვდი.— ყური მიგდე!

ეჰ, ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ კვირა დღეს უნდა მემეცადინა და სკოლის ეზოში მემუშავა, თორემ ამ დაუჯერებელ და გაუგონარ განზრახვას, ალბათ, არასოდეს არ გავუზიარებდი კოსტიას. თან დღიურში ჩახატულმა ორიანმა და ტარით ჩემზე მოყრდნობილმა ბარმა, რომ იტყვიან, ამივსო მოთმინების ფიალა, ჰოდა გადავწყვიტე მემოქმედა.

მეშვიდე ფათერაკი

მსოფლიოში ერთადერთი ინსტრუქცია

ერთხელ კიდევ შევავლე თვალი ჩვენი ბინის ფანჯარას, ცას, ბეღურებს, კუტიკარს, რომელშიც სადაცაა მიშკა იაკოვლევს უნდა შემოეყო თავი, და აღელვებულმა ვთქვი:

— კოსტია! შენ იცი, დედაჩემი რას ამტკიცებს?

— რას? — მკითხა კოსტიამ.

— დედაჩემი ამტკიცებს, თუ ნამდვილად მოინდომებ, აპრეხილი ცხვირიც კი შეიძლება კეხიან ცხვირად იქცეს, — ვთქვი მე.

— კეხიანად? — ჩამეკითხა კოსტია მალინინი და რაკი ვერ მიხვდა, ეს რატომ ვთქვი, ჩვენი სახლის კედელს მიაცქერდა, რომელზედაც ცარცით ეწერა:

ბარანკინი დამთხვეული ფანტაზიორია!

— ჰო, კეხიანად! — კვერი დავუკარი მე. — მხოლოდ ნამდვილად უნდა მოინდომო.

მალინინმა ღობეს თვალი მოაშორა და ჩემს ცხვირს ეპვით დააცქერდა.

მე ცხვირკეხიანი კი არა, პირიქით, ცხვირაპრეხილი ვიყავი. დედაჩემის სიტყვით, იმდენად აპრეხილი ცხვირი მქონდა, რომ ჩემი ნესტოებიდან თავისუფლად შეეძლო დაენახა, რაზედაც ვფიქრობდი.

— მაშინ რაღას დადიხარ მაგ აპრეხილი ცხვირით, თუკი შეიძლება კეხიანად იქცეს? — მკითხა კოსტია მალინინმა.

— მე ცხვირზე კი არ გეუბნები, შე ჩერჩეტო!

— მაშ რაზე? — ვერ მიხვდა კოსტია.

— რაზე და თუ ძალიან მოინდომებ, შეიძლება, ბეღურად გადაიქცე.

— კი მაგრამ, რატომ უნდა გადავიქცე ბეღურად? — მკითხა კოსტია მალინინმა და, როგორც შეშლილს, ისე დამაცქერდა.

— როგორ თუ რატომ? გადავიქცევით ბეღურად და ერთ კვირა დღეს მაინც გავატარებთ ადამიანურად!

— რას ჰქვია ადამიანურად? — მკითხა შეშფოთებულმა მალინინმა.

— ადამიანურად, ესე იგი, როგორც საჭირო, ისე, — ავუხსენი მე. — გვექნება ნამდვილი გამოსასვლელი დღე და დავისვენებთ, როგორც წესი და რიგია: თავს ვიხსნით არითმეტიკისაგანაც და მიშკა იაკოვლევისაგანაც. საერთოდ, ყველაფრისაგან დავისვენებთ. თუკი ადამიანად ყოფნამ არ დაგღალა, მაშინ, რასაკვირველია, შეგიძლია, არ გადაიქცე ბეღურად, იჯდე და უცადო მიშკას...

— ვინ გითხრა, არ დამღალაო? ძალიანაც დამღალა, — მითხრა კოსტიამ, — იქნებ, შენზე მეტადაც დამღალა!

— აი, მესმის მეგობრობა!

ჰოდა, მეც უფრო დიდი გატაცებით დავუწყე კოსტია მალინინს უზრუნველი და მშვიდი ცხოვრების აღწერა, ჩემის აზრით რომ მოგველოდა, თუკი როგორმე ბეღურად გადავიქცეოღით.

— უჰ, რა იქნება! — თქვა კოსტიამ. — თავისუფლად ვისუნთქავთ.

— აბა რა! — ვუპასუხე მე.

— მოიცა! — თქვა კოსტიამ. — კი მაგრამ, როგორ უნდა გადავიქცეთ? რა წესით?

— არ წაგიკითხავს ზღაპრებში... „დაეხეთქა ივანუშკა მიწაზე, იქცა ფრთამალ არწივად... დაეხეთქა კიდევ მიწაზე, იქცა...“?

— მოიცა, იურკა, — უსათუოდ უნდა დავეხეთქო მიწასე? — მკითხა კოსტია მალინინმა.

— არა, მიწაზე დახეთქება არ არის სავალდებულო, დიდი სურვილითა და ჯადოსნური სიტყვებითაც შეიძლება...

— ჯადოსნური სიტყვები საიდანღა უნდა ამოვიღოთ? ძველი ზღაპრებიდან ხომ არა?

— რატომ — ზღაპრებიდან? მე თვითონ მოვიგონე. აი... — და

კოსტიას გავუწოდე რვეული, რომელიც ჩემს გარდა არავის ენახა. — აი, აქ წერია ყველაფერი.

— „როგორ ვიქცეო ბელურად ბარანკინის სისტემის მიხედვით. ინსტრუქცია", — ჩურჩულით წაიკითხა კოსტიამ რვეულის ყდაზე წარწერა და გადაფურცლა...

მერვე ფათერაკი

„არა მსურს სწავლა, თმენა, მსურს ჩიტობა და ფრენა!.."

— „არა მსურს სწავლა, თმენა, მსურს ჩიტობა და ფრენა!" ლექსია? — მკითხა კოსტიამ.

— ლექსი კი არა, გარითმული ლოცვაა... — ავუხსენი მე. — ზღაპრებში სულ ასეა, ხომ წაგიკითხავს „თოვლის დედოფალში"? სნიპ-სნაპ-სნურ-რე-პურე-ბასულურე...

— „მე მჯერა, რომ ბელურა ცხოვრობს უზრუნველადა! აი, მე! აი მე... მერე ველარ ვარჩევ...

— რას ვერ არჩევ? „აი მე! აი მე! მინდა ბელურად ვიქცე!.."

— რა შეწყობილად გამოდის! — თქვა კოსტიამ.

— მიყელი ღამე არ მიძინია, - ჩურჩულით ვუთხარი კოსტიას და მოვისულ-მოვიხედე: ყურს ხომ არავინ გვიგდებს-მეთქი!

— რაღას ეკარგავი დროს?! — შეჰყვირა მალინინმა. — მოდი, ჩქარა გადავიქცეთ ბელურად, სანამ მიშკა იაკოვლევი მოვიდოდეს!

— რა უცნაური კაცი ხარ, მალინინ! როგორ — ჩქარა? იქნებ სულაც არაფერი გამოგვივიდეს, წინასწარ რა გიხარებს, თანაც მთელს ეზოში გაპყვირი.

— მერე რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა! საიდუმლოებაა. ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ გამოუცდელი საიდუმლოება. ვიხმე ეიგონებს და, თუ არაფერი გამოგვივიდა, სასაცილოდ აგვიგდებენ.

— შენ თვითონ არ თქვი, თუ ჯადოსნური სიტყვები იცი და ძალიან მოსდომებ, გამოვაო! — წამჩურჩულა კოსტიამ.

— რასაკვირველია, გამოვა, თუ გულით მოინდომებ! მაგრამ აი ის მონდომება როგორ უნდა ნეტავი?.. ეს არის საქმე! კოსტია, მოგინდომებია რამე გულით შენს ცხოვრებაში?

— არ ვიცი, — ჩუმად თქვა კოსტიამ.

— ხედავ! მაშ რაღას ამბობ, ჩქარაო! ეს ორიანის საქმიანად გა-

დასწორება ხომ არ გგონია. აქ, ძმაო, ორი ადამიანი უნდა გადაიქცეს ბელურად, აი, რაშია საქმე!

— რატომ ბელურად? მე მგონია, პეპელად გადაქცევა უფრო ადვილია.

— პეპელად რად გვინდა? პეპელა მწერია, ბელურა კი, რაც არ უნდა იყოს, ფრინველია. წინა გაკვეთილზე სწორედ ბელურებზე იყო ლაპარაკი. შენ იმ დროს სხვა წიგნს კითხულობდი.

— მართალია, იმ გაკვეთილზე არაფერი გამიგია.

— მე კი ვუსმენდი. ნინა ნიკოლაევნა მთელი საათი ლაპარაკობდა ბელურებზე. იცი, რა კარგად ცხოვრობენ ბელურები?

— კარგი, ბელურად გადავიქცეთ! — დამეთანხმა კოსტია მალინინი. — „თოვლის დედოფალში“ მე ყვავს ვთამაშობდი და ჩემთვის ბელურად გადაქცევა უფრო იოლია. აბა, ჩქარა გადავიქცეთ!

— შენ სულ ჩქარა გაკერია პირზე! ჯერ ცოტა მაინც უნდა წავივარჯიშოთ, — ვთქვი და სკამზე შევდექი.

ბელურასავით ჩავცუცქდი, თავი მხრებში ჩავრგე და ხელები ფრთებივით ზურგზე შემოვიწყე.

— ჰგავხარ! — თქვა კოსტიამ და თან ჩემი ყველა მოძრაობა გაიმეორა. — ჭიკ-ჭიკ!

— იცი, რა გითხრა! თუ ვვარჯიშობთ, ვივარჯიშოთ, წინასწარ ნუ ჭიკჭიკებ, მოდი, ბელურას სიარული ვისწავლოთ.

სკამზე ჩაცუცქულებმა ხტუნვა დავიწყეთ და კინაღამ ძირს არ გადმოვცვივდით.

— ძნელია, — გამოტყდა კოსტია, თან წონასწორობა რომ დაეცვა, ხელებს ფრთებივით აქნევდა.

— არა უშავს, — დავამშვიდე მალინინი, — როცა ნამდვილი ბელურები ვიქნებით, მაშინ უფრო ადვილად ვიხტუნებთ.

კოსტიას უნდოდა, კიდევ ეხტუნა, მაგრამ მე ვუთხარი, ვარჯიში დამთავრებულია და ახლა გადავდივართ მთავარზე — ადამიან მალინინის და ადამიან ბარანკინის ბელურად გადაქცევაზე-მეთქი.

— სული განაბე! — ვუბრძანე კოსტია მალინინს.

— გავნაბე!

— ყურადღებით იყავი!

— ყურადღებით ვარ! — მიპასუხა კოსტიამ.

— აბა, ახლა, როგორც კი ბრძანებას გავცემ, შენს გულში, როგორც იტყვიან, შენს წარმოდგენაში დაიწყე ბელურად გადაქცევა! გასაგებია?

— გასაგებია!

— მაშ თუ გასაგებია, ადამიანო, ბეღურად გადასაქცევად მოემზადე!

— მოვემზადე!

— დავიწყოთ!

— დავიწყოთ!

თვალები დავხუჭე, დავიძაბე და დავიწყე გულში ლოცვის გამეორება, თან რაც შემეძლო ვცდილობდი, ჩემს წარმოდგენაში მალე გადავქცეულიყავი ბეღურად. ეჭვი კი მაინც მეპარებოდა, ვაითუ არ მეყოს სურვილი და ძალა ასეთი გაუგონარი, ჯერ არნახული, შეიძლება ითქვას, ზებუნებრივი საქმის განსახორციელებლად მეთქი...

მეორე ნაწილი

ჭიკ-ჭიკ! ცხოვრება საამურია!

მეცხრე უათერაკი

საქმარისია ნამდვილად მოინდომო და...

მართალი რომ გითხრათ, ჩემს სიცოცხლეში ხშირად მომსვლია თავში ძნელად განსახორციელებელი სურვილი და ოცნება.

ერთ დროს, მაგალითად, ვოცნებობდი გამომეგონებინა ისეთი აპარატი, რომლითაც შემეძლებოდა შორი მანძილიდან გამომეთიშა ადამიანის ხმა. ჩემი ანგარიშით, ამ აპარატს (მე მას ბარანკინის სისტემის ხმის გამომრთველი — ტიხოფონ ბიუ-I ვუწოდე) ასე უნდა ემოქმედა: ვთქვათ, დღეს მასწავლებელი არაფერს გვიამბობს საინტერესოს და ხელს მიშლის მე, ბარანკინს, ვიფიქრო უფრო საინტერესო რამეზე; ტიხოფონი ჯიბეში მედება, გამოვრთავ და მასწავლებლის ხმა გაქრება. ვისაც ასეთი აპარატი არა აქვს, უნდა თუ არა, ვალდებულია, უსმინოს მასწავლებელს. მე კი შემეძლება, სიჩუმეში მშვიდად განვაგრძო ჩემი საქმე.

აი, მეორე მაგალითი: დილით შევდივარ კლასში. ზინკა ფოკინა მაშინვე თავს მესხმის და დარიგებას მიწყებს; მე მშვიდად ჩამოვკრავ პატარა ბერკეტს ხელს და მთელი დღით გამოვრთავ ფოკინას ხმას...

ძალიან მინდოდა ასეთი აპარატის გამოგონება, მაგრამ მხოლოდ სახელი ვუწოდე, ეგ იყო და ეგ, მეტი ვერაფერი გავაწყე. იქნებ იმიტომ, რომ ნამდვილად არ მინდოდა ასეთი აპარატის გამოგონება?

შარშან, საზაფხულო არდადეგების უკანასკნელ დღეს, ძილის წინ, ძალიან მომინდა დიდი გავზრდილიყავი, მაგრამ თხუთმეტიოცი წლის შემდეგ კი არა, როგორც ნორმალური ადამიანები იზრდებიან, არამედ მეორე დღესვე. ვთქვათ ასე: იძინებ პატარა ბიჭი, დილით იღვიძებ უკვე დიდი, წვერულვაშიანი კაცი და, რაც მთავარია, სკოლაში აღარ მიდიხარ. ეს სურვილი ისეთი ძლიერი იყო, ძილშიც კი მელანდებოდა. პირველ სექტემბერს, რასაკვირველია, ადრე გავიღვიძე, მაგრამ ლოგინში ისევე უწვერულვაშო ვიწექი, როგორც დავიძინე, და სკოლაში უნდა წავსულიყავი.

უფრო დიდი სურვილებიც მქონია, მაგრამ არც ერთს არ შევუპყრივარ ისე ძლიერ, როგორც ბელურად გადაქცევის სურვილს...

სკამზე გაუნძრევლად ვიჯექი და მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი: რაც შეიძლება ჩქარა გადავქცეულიყავი ბელურად. ისეთი მონდომებით ველოდი ამ წუთს, რომ საზაფხულო არდადეგებსაც კი არ ველოდი ასე ძლიერ. საცაა მიშკა იაკოვლევი გამოჩნდებოდა და ალბათ სწორედ ეს იყო, რომ მიათკეცებდა ძალასა და განზრახვის სისრულეში მოყვანის სურვილს.

ჯერ სკამზე ჩვეულებრივი ადამიანივით ვიჯექი და განსაკუთრებულს არაფერს ვგრძნობდი. თავში ადრინდებულად ყოვლად უსიამოვნო, ადამიანური აზრები მიტრიალებდა: ვფიქრობდი ორიანზე, არითმეტიკაზე და მიშკა იაკოვლევზე, მაგრამ ვცდილობდი, ყველაფერ ამაზე არ მეფიქრა. რაკი მტკიცედ გადავწყვიტე ბელურად გადავქცეულიყავი, მაშინ ფიქრებიც მისი შესაფერისი უნდა მქონოდა.

ცოტა ხნის მერე შევამჩნიე, რომ თავში ადამიანურ ფიქრებთან ერთად არაადამიანურიც გამიჩნდა. ასე, მაგალითად, უცბად მომინდა ბელურასავით დამეჭიკჭიკა.

ფიქრებს არაადამიანური სურვილები და გადაწყვეტილებები მოჰყვა: ხან სკამიდან აფრთხიალება და ფრენა მომინდა, ხან არეყის ხის კენწეროზე შესკუპება, ხან ცოტა ხნით საშოშიეში ცხოვრება...

ხოლო რომ შევეცადე, ჩვეულებისამებრ, ადამიანივით მეფიქრა რამეზე, ჩემდა გასაოცრად ამჯერად ვეღარ მოვახერხე, არითმეტიკა სულელურ საგნად მომეჩვენა, ორიანი სულაც აღარ მადარდებდა და საერთოდ დაკარგა მნიშვნელობა, მიშკა იაკოვლევი კი მთელ

სკოლაში ცნობილ ფრიადოსნად კი არა, რაღაც უშნო და საცოდავ არსებად წარმომიდგა, რომელსაც სულ უბრალო რამე — ჰაერში ფრენაც კი არ შეუძლია.

სწორედ ამ დროს ვიგრძენი, ფეხებზე ჭიანჭველები შემომაცოცდნენ და სულ უფრო და უფრო სწრაფად დაიწყეს ცოცვა. მალე ზურგზე, ხელებზე და უცებ მთელ ტანზე დამესივნენ, უცებ, სრულიად მოულოდნელად შვრიის აკენკვა მომინდა. ჰო, ჰო! შვრიის აკენკვა! ოღონდ გაუწმენდავი და უმი შვრიისა! და მინდოდა შვრია ბევრი, ძალიან ბევრი ყოფილიყო, რომ გავმაძღარიყავი.

სკამზე თვალებდახუჭული ვიჯექი, ჭიანჭველები ჩემს ტანზე გადარეულებივით მიმორბოდნენ, სწორედ ისე, ბავშვები რომ დარბიან ხოლმე დიდ დასვენებაზე, მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი: „საინტერესოა, რას ნიშნავს ჭიანჭველები და ეს შვრია? ჭიანჭველები კიდევ მესმის, ალბათ, ერთ ადგილზე ჯდომით ფეხები დამიბუჟდა, მაგრამ შვრია? შვრია რაღად მომინდა?“

სახლში დედას დამზადებულ, რძეში მოხარშულ, მურაბამოსხმულ შვრიის ფაფასაც უგემურად ვჭამ, ახლა კი ნეტავი რატომ მომინდა უმი შვრია? რაც არ უნდა იყოს, ადამიანი ვარ, ცხენი ხომ არა! ვზივარ, ვფიქრობ, მაგრამ ვერაფერი გამიგია, იმიტომ რომ თვალები მაგრად მაქვს დახუჭული და ამის გამო თავი დახშული და გაბრუებული მაქვს.

ვიფიქრე, ხომ არაფერი დამემართა-მეთქი, და გადავწყვიტე, ჩემი თავი თავიდან ფეხებამდე შემეთვალიერებინა...

სუნთქვაშეკრულმა ოდნავ გავახილე თვალები და ჯერ ფეხებზე დავიხედე. რას ვხედავ — ფეხსაცმლიანი ფეხების ნაცვლად, ბელურას შიშველი ფეხები გამომბმოდა და ამ შიშველი ფეხებით ნამდვილ ბელურასავით ვიდექი სკამზე. თვალები უფრო ფართოდ გავახილე და რა დავინახე! — ხელების მაგივრად ფრთები მასხია. მერე კიდევ უფრო ფართოდ დავაჭყიტე თვალები. თავი მოვატრიალე. და ვხედავ — კუდი გამშვირავს. რა მომდის, რა ხდება? გამოდის, რომ ბელურად გადავიქეცი!

მე ბელურა ვარ! ბარანკინი აღარა ვარ! ნამდვილი ბელურა ვარ! აი, თურმე რატომ მომინდა უცებ შვრია! შვრია ხომ ბელურებისა და ცხენების საყვარელი საჭმელია! ყველაფერი გასაგებია! თუმცა არა, ყველაფერი როდია გასაგები! რა გამოვიდა? დედა მართალი ყოფილა. თურმე, თუ ნამდვი-ლად მოინდომებ, ყველაფერს მიაღწევ!

აი, ამას ჰქვია აღმოჩენა!

ასეთი აღმოჩენა, ღირს. მთელ ეზოს გააგებინო. ეზო რას მიქვია — ჭიკჭიკით მთელ ქალაქს, მთელ ქვეყანასაც კი მოსდო!

ფრთები გავშალე! მკერდი წინ წამოვწიე! კოსტია მალინინისკენ შევტრიალდი და გაოცებისაგან პირი დავაღე.

ჩუში მეგობარი კოსტია მალინინი სკამზე ნამდვილი ადამიანივით იჯდა... კოსტია მალინინმა ვერ მოახერხა ბეღურად გადაქცევა! ეს არის საქმე?!

მეათე ფათერაკი

რას ნიშნავს ბეღურას ენაზე...

კოსტია მალინინმა ვერ მოახერხა ბეღურად გადაქცევა! იჭაჭებოდა, თვალებს ხუჭავდა, ტანს ხელებით ისინჯავდა და ძლივს გასაგონად დუდღუნებდა: „აი, მე! აი, მე! მინდა, ბეღურად ვიქცე!“ მაგრამ ამაოდ. მე მაჩქარებდა და მთელს ეზოში გაჰყვიროდა: „ჩქარა გადავიქცეთ რა ბეღურად! ჩქარა! ახლავე!“ თვითონ კი ისევ ის მალინინია, ოღონდ ჭარხალივით გაწითლებული, მეტი არაფერი.

— მალინინ! — დავუყვირე კოსტიას. — რაშია საქმე? რატომ არ გადაიქცევი ბეღურად?

მაგრამ ამ სიტყვების მაგივრად ბეღურასავით დავიჟივჟივე: „ჟივ-ჟივ! ჟივ-ჟივ!“

კოსტიამ ჩემკენ მოიხედა და გაოცებისაგან თვალები გადმოკარკლა.

— ბარანკინ! — მითხრა. — შენა ხარ, ბარანკინ?..

— ჟივ-ჟივ! ჟრიკ-ჟრიკ! — ვუპასუხე ბეღურის ენაზე, რაც ნიშნავდა: „რასაკვირველია, მე ვარ! ვერ მიცანი?!

დარწმუნებული იმაში, რომ არ ვტყუი, მე იურა კი არა, ნამდვილი ბეღურა ვარ, მალინინი კიდევ უფრო მეტად გაწითლდა — ალბათ, შურისაგან! და კინაღამ ღრიალი მორთო.

— როგორ მოახერხე? — მკითხა თვალების ხამხამით.

მე კი ვუპასუხე:

— ჟივ-ჟივ! ჟივ-ჟივ! (სრულიად უბრალოდ! დავიძახე ჭიკ! ჭიკ! ჭიკ! და გადავიქეცი!)

მერე მე და კოსტიამ სხვადასხვა ენაზე ასეთი საუბარი გავაბით:

კ ო ს ტ ი ა (აცრემლებული). ესე იგი, გადაიქეცი! ყოჩაღ შენ! მე რაღატომ ვერ გადავიქეცი?

მ ე. ყივ-ყივ! (რა ვიცი) ჟრიკ-ჟრიკ-ჟრიკ! (ალბათ, გულით არ მოინდომე!)

კ ო ს ტ ი ა. რას დამჟრიკჟრიკებ თავზე? ადამიანურად ილაპარაკე!

მ ე. ჟ-ჟ-ჟ-ჟრიკ! ჭიკ-ჭიკ-ჟრიკ-ჟრიკ! (ბეღურა ვარ და ადამიანურად როგორ ვილაპარაკო?!) ჩაკ-ჩიკ, ჟღურტ-ჟღურტ!

კ ო ს ტ ი ა. დახეთ, „ჩაჩსაც“ კი მეძახის!

„ჩაჩი“ სულაც არ დამიძახია, მხოლოდ ვუთხარი: „სულით ნუ დაეცემი, მალინინ! ერთხელ კიდევ სცადე“.

კოსტიამ ლანძღვა-გინება დამიწყო, მისაყვედურა, რატომ არ დამიცადე, უჩემოდ რატომ გადაიქეციო ბეღურად. მაგრამ ამაზე არაფერი მიპასუხია. ეს ჩემთვისაც არასასიამოვნო იყო. შევთანხმდით, ერთად გადავქცეულიყავით ბეღურად — სხვანაირად კი გამოვიდა. რა თქმა უნდა, ერთის ბეღურად გადაქცევა არც ისე საინტერესო იქნებოდა, როგორც ორისა.

ფრთა ფრთას შემოვკარი, ავფრინდი, ღობეზე შევსკუპდი და გაბრაზებულმა ზურგი შევაქციე კოსტია მალინინს. ეს გვინდოდა! — მოსახვევში მიშკა იაკოვლევი გამოჩნდა. ველოსიპედზე იჯდა, ფრთები შემოვიკარი თავზე. დავიღუპეთ! ახლა რაღას მოასწრებს მალინინი ბეღურად გადაქცევას!

— აი, მე! აი, მე! მინდა ბეღურად ვიქცე! — მომესმა ქვევიდან კოსტია მალინინის ხმა.

მიშკა იაკოვლევისათვის თვალი არ მომიშორებია, ისე ჩავძახე კოსტიას:

— ჟრიკ-ჟრიკ-ჟრიკ! ყივ-ყი-რიკ! (გვიანაა! მიშკა ველოსიპედით მოდის! ახლა სამეცადინოდ წაგიყვანს!)

ვეჟღურტულებ და თან ვხედავ — როგორ შემოდის მიშკა ველოსიპედით ეზოში, როგორ უახლოვდება სკამს, რომელზედაც კოსტია მალინინი ზის, ზის კი არა, იჯდა... „იჯდას“ იმიტომ ვამბობ, რომ მიშკა იაკოვლევმა სკამისაკენ რომ მიაბრუნა ველოსიპედი, კოსტია იქ უკვე აღარ იყო. კოსტიას მაგივრად სკამზე ოდნავ ფეხებმოღუნული ბეღურა იდგა და აშკარად ეტყობოდა, რომ ეს ბეღურა ბეღურა კი არა, კოსტია მალინინი იყო. ესე იგი, სანამ მე ვღელავდი და არაფრის იმედი აღარა მქონდა, კოსტია მალინინმა

ძალა მოიკრიბა და ორი თუ სამი ცდის მერე ბეღურად გადაიქცა. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მერამდენე ცდის მერე გადაიქცა ბეღურად, მთავარია, რომ გადაიქცა.

— კოსტია, — დაუძახა მიშკამ და ველოსიპედიდან გადმოხტა, — მალინინ! სად დაიმალე. რა საოცარია! ამ წუთს არ იჯდა სკამზე? ჩემი თვალით დავინახე. ეს ხომ მისი რვეულები და წიგნებია!

მიშკამ ისე აკრიფა რვეულები და წიგნები, არც კი მიუქცევია ყურადღება იქვე მჯდომი ბეღურასათვის (ის ბეღურა კი არა, კოსტია მალინინი იყო — სწორედ რომ სასაცილოა!), მიშკამ ეზოს თვალი მოავლო, მერე ჩვენს ფანჯრებს ახედა, რომლიდანაც სწორედ მაშინ გამოყო თავი დედაჩემმა.

— გამარჯობა, მიშა! — უთხრა დედამ. — სად არიან კოსტია და იურა?

— სწორედ ეგ მინდოდა მეკითხა თქვენთვის! — უპასუხა იაკოვლევმა. — წიგნები და ბარები აქაა, ისინი კი არსად ჩანან.

— ო, ეგ უაჩაღანები! — თქვა დედამ. — ქუჩაში გაცვივდნენ ალბათ... შემოდი, მიშა, სახლში. ახლავე მოვლენ.

მიშკამ კოსტიას წიგნები ველოსიპედის საჯდომზე დააწყო და სადარბაზოში შევიდა, მე კი ლობიდან ჩამოვფრინდი და კოსტია მალინინს გვერდით მივუსკუპდი.

— ჭიკ-ჭიკ! ჭიკ-ჭიკ! ჟღურტ-ჟღურტ, — ვუთხარი კოსტიას. (ყოჩაღ, მალინინ! მაინც მოახერხე ბეღურად გადაქცევა!)

კოსტიამ ჟღურტულითვე მიპასუხა:

— ჟრიკ-ჟრიკ? (მართლა გადავიქეცი?)

— ჟრიკ-ჟრიკ! — ვთქვი მე. — ცრიფ-ცრიფ, ჭრიკ-ჭრიკ! (მართლა, აბა რა! გაახილე თვალები და ნახავ!)

კოსტიამ გაახილა თავისი ცისფერი თვალები... მას ისევ ცისფერი თვალები ჰქონდა! ცისფერთვალება ბეღურა! მაგარია არა! დგას ბაწია ფეხებზე, ირხევა, კუდით წონასწორობას იცავს და გაოცებისაგან ჯერაც გონს ვერ მოსულა.

მე ფრთით შუბლიდან ოფლი მოვიწმინდე და ვთქვი:

— ყველაფერი რიგზეა! (ჭრიკ!)

— ჭრიკ! (ყველაფერი რიგზეა!) — თქვა კოსტიამ მალინინმა და თვითონაც მოიწმინდა ფრთით ოფლი.

ერთმანეთს გადავეხვიეთ და გახარებულებმა სკამზე ხტუნვა-ტრიალი დავიწყეთ...

მეთერთმეტე ფათერაკი

კუდიოუცქვინილთან შესვედრა

— ახლა კი მივირთვათ შვრია, — ვუთხარი კოსტია მალინინს,— და გავქრ-ქრ-ქროლდეთ! გავფრინდეთ!

— საით?

— შეგვიძლია გავფრინდეთ მარჯვნივ, შეგვიძლია გავფრინდეთ მარცხნივ. რაკი ბელურებად გადავიქეცით, ყველაფერი შეგვიძლია ახლა, — მე ფრთა ავწიე, ფეხი განზე გავდგი და გამოთქმით წავიკითხე: „თავისუფალი ფრთოსნები — ჩი-ტე-ბი ვართ! დროა, ძმობილო, გადავიფრინოთ ზღვა და ხმელეთი, გავწიოთ იქით, სადაც ალმართულან თეთრი მთები!..“ ერთი სიტყვით, საითაც მო-ვი-სურვებთ, იქითკენ გა-ვფრინ-დებით! აი ეს არის ცხოვრება!

მალინინს გაეცინა.

— იურ-ჩიკ! — თქვა მან. — ბელურად კი გადაიქეცი, მაგრამ ეგ ნისკარტი მაინც აპრეხილი დაგრჩა. სა-სწა-სწა-ულია!

— ტყუი!

— სულაც არა!

— შენ კი გოგოსავით ცისფერი თვალები გაქვს! ჩა-ჩიკ!

მე სკამიდან გადმოვფრინდი და გუბეში ჩავიხედე. ნისკარტი მართლაც აპრეხილი მქონდა. საერთოდ უშნო ვიყავი, ბუმბულ-აბურძგნილი და ქოჩორაშლილი... კოსტია მალინინი სულ სხვანაირად გამოიყურებოდა: თეთრ მკერდს ყელსახვევი უმშვენებდა. სუფთა, ფაქიზად დალაგებული ლამაზი ბუმბული ჰქონდა, თითქოს აი, ეს-ეს არის სადალაქოდან გამოფრინდაო.

თუმცა მე სულაც არ შევწუხებულვარ ამით, ადამიანი რომ ვიყავი, არც მაშინ გამოვირჩეოდი განსაკუთრებული სილამაზითა და სიფაქიზით. დიდი ამბავი, თუ ცხვირაპრეხილ და აბურძგნილ ბელურად გადავიქეცი.

მთავარია, რომ ბე-ლუ-რა ვიყავი და ახლა ვერაფინ შეძლებდა გაეფუჭებინა ჩემთვის შესანიშნავი განწყობილება. მართლაც, რომ კარგ გუნებაზე ვიყავი! აბა, რა იქნება, როცა თავში სრული სიცარიელეა, არაფერზე ზრუნავ, არაფერზე ფიქრობ. აი დღეც ამას ჰქვია! შესანიშ-ნიშ-ნავი დღე! ფრი-ფრი-ფრიად შესანიშნავი დღე!

წვიმის წყალი შევსვი, საკუთარ ანარეკლს დავკარი ფრთა და კოსტია მალინინი გავწუწე, რომელიც გუბის იქით დახტოდა.

— კოსტია, ერიკ-ერიკ! თავს როგორა გრძნობ?

— შესანიშნავად! — ეღურტულებდა მალინინი და თან მწუწავდა.

— აკი გეუბნებოდი! შენ კი — „პეპელად ვიქცეთო“ — გაიძახოდი. მოდი, ვიბანაოთ.

— შემცივდა! ისა ჯობია, შვრია ვიშოვოთ, შიმშილისაგან კუჭი მეწვის.

ჩვენს ეზოში შვრიის პოვნა არც ისე ადვილი საქმე იყო. მხვდებოდა კანაფის მარცვლები, საზამთროს თესლი, მზესუმზირა, შვრია კი სრულებით არ იყო.

— რას მეჩხუბები! — მომესმა ზურგს უკან კოსტიას ხმა. — იურ-ჩიკ! ვიღაცა კუდიდან ბუმბულს მგლეჯს! ეს ხომ ხულიგნობაა!

მივიხედე და რას ვხედავ, ჩემს ახლოს, ბალახზე, კოსტია მალინინს კაი ზორბა უკუდო ბეღურა დასდევს!

— ჩემთვის დავხტოდი, — აკივკივდა კოსტია, ხტუნეა-ხტუნვით მოვარდა ჩემთან და ამომეფარა. — ის იყო ბალახში შვრია დავინახე, რომ უცებ ვიგრძენი, ვიღაც ბოლოდან ბუმბულს მაცლის! ხულიგნობაა და მეტი არაფერი!

— პატარებს ჯაბ-ნი? — ვკითხე და ხტუნვით მივუახლოვდი ზორბა ბეღურას. — გინდა, ადამიანს დასვენების დღე ჩა-ჩა-ამწარო?

— არაფერხაც არ ვჯა-ბნი! მაშ ეგ ბარ-ტყი ჩემს შვრიას რატომ დააცხრა? შემოსულან სხვის ეზო-ში-ში და მბრძანებლობენ! რაღაც არ მინახიხართ წინათ აქ!

წესიერად მინდოდა ამეხსნა, წინათ რატომ არ ვუნახივართ ამ ეზოში, მაგრამ ვირგლა ბეღურამ ყურიც არ მათხოვა. ხმის ამოუღებლად ჩემკენ გამოქანდა, გულში ჩამცხო ფრთა, ჩამცხო და უკან გახტი, ფეხები განზე გადგა და ჩემს შესაშინებლად აიფხორა.

მაგრამ მე არ დავბნეულვარ. მარაოსავით გავშალე ფრთები, კუდი დავძაგრე, მივუხტი ვირგლას და სარმა გამოვდე! ჩვეულებრივი, ადამიანებმა რომ იციან, ისეთი სარმა. რა თქმა უნდა, ვირგლა ბეღურამ ასეთი ილეთი არ იცოდა და, მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავით მაღალი იყო ჩემზე, ბალახებში მოცელილივით დაეცა. იწვა გულალმა, ფეხები ზევით აეშვირა, ხმას არ იღებდა და აღარც ყოყოჩობდა. ალბათ, ელოდა, რომ შაე დღეს დავაყრიდით. მე კი ეს ბეღურა რატომღაც შემეცოდა.

— ეი, შენ, კუდა! — ვუთხარი. — ადექი! ჩვენში წაქცეულს არ სცემენ! დაიკარგე აქედან... არა, თუ გინდა, დარჩი! ჩვენ ახლა შვრიით გაგიმასპინძლდებით. რა იქნა, კოსტია, შვრია?

— აი აქ, ბალახებშია, აი შვ-შვ-რია, აი კიდევ შვრია.

მაგრამ კუდმოფცქვნილმა ბეღურამ არავითარი ყურადღება არ მომაქცია, არაფერი მითხრა, წამოდგა, ბუმბული შეიფერთხა და შეშინებული გაგვეცალა.

— ჩა-ჩი! — მიაძახა კუდის ქნევით მალინინმა.

— შენ თვითონა ხარ ჩა-ჩი! — ეუთხარი კოსტიას, თან ოქროსფერ შვრიის მარცვალს ჩავაყარე კლანჭში. — უჩემოდ ვერ გადაუხადე სამაგიერო!

მე ისევ კარგ გუნებაზე დავდექი და კოსტია მალინინიც ძალიან გამხიარულდა.

— ისე კი კარ-კარგად გადა-აყი-რავე! — მითხრა კოსტიამ და ბალახებიდან მარცვალი გამოქექა.

გემრიელი მარცვლის დანახვაზე ნერწყვიც კი მომადგა. ნისკარტი ქვაზე შევილესე და მარცვალი უფრო მაგრად ჩაებღუჯე. ასლავე დავამტვრევ და შეეჭამ ამ მარცვალს... ახლავე!

— კატა! — მომესმა უკანიდან კოსტიას შეშფოთებული ხმა და მივიხედე.

მეთორმეტე ფათერაკი

კატა მუსკას ჩემი შეჭმა სურს

ასე და ამგვარად, მიეიხედე და... რას ვხედავ: კოსტია მალინინი მიწაზე აღარ ზის, აკაციის ტოტზე თავდაყირა ჰკიდია, ფრთებს აქნევს და გიჟივით ყვირის:

— კატა! კატა გეპარება!

ახლა მეორე მხარეს გავიხედე. მართლაც, ნაგვის ფარდულიდან გამომძვრალიყო ნამდვილი კატა და მიახლოვდებოდა, მაგრამ ვერ მივხვდი, რა იყო აქ საშიში და რატომ ატეხა კოსტიამ ისეთი განგაში, თითქოს ჩვენს ეზოში ვეფხვი შემოვრილიყოს. უბრალოდ, გიჟია ეს მალინინი! რომ მცოდნოდა, ასეთი ნერვიული ბეღურა იქნებოდა, არაფრით არ შევიამხანაგებდი.

— იურ-ჩიკ! გაფრინდი ჩქარა! — ისევ წრიალებდა ტოტზე კოსტია მალინინი.

კატა მომიახლოვდა და შეჩერდა. მე გვერდულად ვისკუპე მისკენ და ამ უცნობ დედა კატაში დედაჩემის საყვარელი ფისო შევიცანი. სულ ცოტა ხნის წინ, სანამ ჯერ კიდევ ადამიანი ვიყავი და სკამზე ვიჯექი, იგი ფანჯრის რაფიდან გადმოხტა, მომიახლოვ-

და და ფეხებზე გამეხახუნა. მე კი, ფიქრში ხელი რომ არ შეეშალა, გავაგდე.

— გამარჯობა, მუსკა! — მხიარულად შევეივეივე. — მი-ხვდი, ვი-ნა ვარ, თუ ვე-რა? — შენი პატრონი ვარ, ვერ მიცანი?.. ნუ გეშინია, მოდი აქ, კი არ შეგეპამ! მე ვარ, მე! შე ჩერ-ჩეტო! შეხედე, ხეზე რომ ზის, კოსტია მალინინია. ვერც ის იცანი? კოსტია, რისი გეშინია, ჩამოფრინდი! ეს ჩვენი მუსკაა!

— გაგიუდი? — ისევ აეივეივდა აკაციაზე მალინინი. — შეგეპამს.

— მე შემეპამს? თავის პატრონს შეეპამს? მგონი, შენ თვითონ გაგიუდი!..

წინადადების დამთავრებაც ვერ მოვასწარი, რომ უკანიდან რაღაც მძიმედ დამახტა კრუტუნით და ქვეშ მომიქცია. „მუსკა“, — გამიელვა თავში. რაც ძალი და ღონე მქონდა გავიბრძოლე, დავუხლტი და აკაციაზე ავფრინდი, სადაც ისევ ცქმუტავდა და წრიპინებდა კოსტია მალინინი. შურდულივით ავვარდი ზევით და კინაღამ ძირს ჩამოვაგდე ჩემი საუკეთესო მეგობარი. ამასობაში მეც ჩავებღაუპე ტოტს და ქვემოთ ჩავიხედე. მუსკა ბალახზე კუდს იქნევდა და კრუტუნებდა.

ჩემი ბუმბული კი, მუსკამ გვერდიდან რომ ამომაგლიჯა, აკვარიუმის თევზებივით დაფარფატებდა ჰაერში.

— მი-ი-ღე! მი-ი-ღე! — ნიშნის მოგებით დამწრიპინებდა კოსტია მალინინი.

— ვე-რა-ფერი გამიგია, — ავეივეივდი. — როგორი ახლობელი კატაა და... შეიძლება ითქვას, მშობლიური...

— „ახლობელი! მშობლიური“... მადლობა თქვი, რომ დაუძვერი.

— ბარანკინს კატების არასოდეს შინებია!

— გამომივიდა მამაცი! აეიკეიკდა: „მოდი აქ, კი არ შეგეპამ, შე ჩერ-ჩეტო!“ შენ თვითონ ხარ ჩერ-ჩე-ტი! დაგავიწყდა, რომ კატები ბელურებს ეამენ?

— არა, კი არ დამავიწყდა, უბრალოდ, ჯერ ვერ მივეჩვიე, რომ ბელურა ვარ! — ვუპასუხე მე.

— „ვერ მივეჩვიე“! მე თუკი მივეჩვიე? — თქვა კოსტიამ და დაუმატა: — აი, შენს მშობლიურ მუსკას რომ შეეპამე, რა უნდა მეთქვა დედაშენისთვის?

ერთი წუთით მართლა წარმოვიდგინე, რა იქნებოდა, რომ ვერ დავსხლტომოდი მუსკას ბრეყალებიდან. და ცუდ გუნებაზე დავდექი. გულახდილად რომ გითხრათ, შემეშინდა. თუმცა განსაცდელმა

უკვე ჩაიარა და საშიში აღარაფერი იყო, ბუმბული მაინც ამეშალა და ყალუზე დამიდგა.

— რა მოგვიდა? — მკითხა კოსტია მალინინმა.

— არაფერი... მცხელა! — მივუგე და ცალი ფრთით დავინიავე.

კოსტიამ ისევ დამიწყო გაკიცხვა, მე კი თავი ფრთის ქვეშ შევრგე, რომ მისი ლანძღვა-თათხვა არ მომესმინა, მაგრამ სწორედ ამ დროს რალაც ბასრი მომხვდა გვერდში.

მეცამეტე ფათერაკი

რას ჭიკჭიკებენ ბებერები

ფრთიდან გამოვიჭყიტე და ვხედავ, ჩემ გვერდით ერთი ბებერი, გაქუცული ბელურა ზის.

— შე ყვითელნისკარტა ბარ-ტყო, — მითხრა ბებერმა ბელურამ, — არყის ხიდან გითვალთვალებდი, მართლა ჩერ-ჩე-ტი ხარ, თუ იგონებ?

— რა გინდა ჩემგან?

— უფროსებს უხეშად ნუ ელაპარაკები.

— უხეშად არ ველაპარაკები. ასეთი ხმა მაქვს.

მოხუცი იქნებ დამეხსნას-მეთქი, თავი ისევ ფრთის ქვეშ ამოვიდე, მაგრამ ბელურამ ისე მაგრად ჩამინისკარტა კისერში, რომ გავმწარდი.

— უფროსი რომ გელაპარაკება, ყური უგდე! პატ-პატ-პატივი უნდა სცე უფროსებს, პა-ტი-ვი! ნუ იფ-იფ... ნუ იფხორები!

— მე არ ვიფხორები!

— მაშ რას ჭიკჭიკებდი კატებზე? რა საერთო აქვთ ბელურებს კატ-კატებთან? ეჰ, ბარტყებო, ბარტყებო! ამას გასწავლიან მშობლები?

მოხუცმა თვალები მოჭუტა და იმაზე დაიწყო ჟრიკ-ჟრიკი, როგორი ზრდილი და გამგონი ბარტყები იყვნენ წინათ, სულაც არ იფხორებოდნენ, ახლა კი ყველა იფხორება.

ნუთუ იმიტომ ვოცნებობდი ბე-ღუ-ღუ-რად გადაქცევაზე, რომ ამ სულელური ჭკუ-ჭკუის დარიგებისათვის მესმინა? ასე ჩვენთანაც ჩამოსხდებიან ხოლმე საღამოობით მოხუცები სკამებზე და ჟღურტულებენ, ესე იგი, ლაპარაკობენ.

— ვისი შვილები ხართ? ვისი? — მკითხა მოხუცმა.

— არავისი! არავისი! — ვუთხარი და ტოტიდან ავფრინდი.

— „იფხორები! ნუ იფხორები!" — თქვა კოსტიამ და თან ფრთა ფრთას შემოჰკრა. — დარ-დარ-ტყმულია ვიღაც!

ჩვენი ეზოს თავზე დავტრიალდით, ისეთ ხეს ვეძებდით, რომელზედაც არც ერთი ბეღურა არ იჯდა. თუმცა მე თვითონ ბეღურა ვარ, რატომღაც მათგან შორს ყოფნა მინდოდა. ბებერ და კუდმოფცქვნილ ბეღურას გაცნობამ უსიამოვნო შთაბეჭდილება დამიტოვა. ყველაზე ძალიან ის მაღელვებდა, რომ ალბათ უკვე ნახევარი საათი იყო, რაც მე და კოსტია ბეღურები ვიყავით, ჩვენი ბეღურული ცხოვრება კი ვერა და ვერ აეწყო. საერთოდ ისე არ ეწყობოდა საქმე, როგორც მე მეგონა. დრო კი მიდიოდა... ხვალ, სხვათა შორის, ისევ სკოლაში ვართ წასასვლელები...

კოსტია მალინინს, რა თქმა უნდა, არაფერი არ ვუთხარი. ბოლოს და ბოლოს, წინ კიდევ მთელი დღე გვედო — ცხოვრებას ავაწყობდით და ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მთავარია, გული არ გაიტეხო და იმედი არ დაკარგო.

მე და კოსტიამ ერთ ხანს ვიტრიალეთ ჰაერში და მერე ხეზე ჩამოვსხედით. ამ ხეზე ბეღურის ჭაჭანება არ იყო.

ტოტს, რომელზედაც ჩვენ ჩამოვსხედით, მზე დანათოდა. ისე აცხუნებდა, ზაფხული გეგონებოდათ.

სიამოვნებისაგან თავი მხრებში ჩავრგე და ის იყო ფრთის ქვეშ უნდა ამომედო, რომ ყურთან რაღაცამ საზარლად გამიზუზუნა. ტკაცანიც გაისმა. ფოთლები ჩამოცვივდა. ეს რაღაა? რა მოხდა? თვალები გავახილე და ძირს ჩავიხედე.

მეოთხმეტე ფათერაკი

ოპტიკურსამიზნიანი შორსმსროლელი შურდული

სკამთან. რომელზედაც სულ ცოტა ხნის წინ მე და კოსტია ვისხედით, ჩემი კარის მეზობელი, თეთრფერვანი ვენკა სმირნოვი იდგა და საზიზღრად ჭუტავდა თვალებს. ხელში ოპტიკურსამიზნიანი შურდული ეჭირა. შურდული მაშინვე ვიცანი. ჩემზე უკეთ ასეთ შორსმსროლელ შურდულს ვერავინ აკეთებდა. ვენკამ ძალიან მთხოვა და გავუკეთე.

ვენკა ოპტიკური ხელსაწყოთი მე მიყურებდა, მე ვენკას ვუყურებდი — მას სახეზე ეწერა: „აფსუს! ავაცდინე!..“ ჯერ იყო და კინაღამ კატამ შემჭამა, ახლა ჩემივე ხელით გაკეთებული შურდულით მიპირებენ მოკვლას.

— დამაცადე ერთი, ვენკა! — დავიყივყივე მე. — დამაცადე შე თეთრუა, შენა, გიჩვენებ სეირს! ერთი გადავიქცე ისევ ადამიანად, გას-წავ-ლი, როგორ უნდა შურდულის სროლა.

ვენკამ ჩემს ყივყივს არავითარი ყურადღება არ მიაქცია, დაიხარა და ქვას დაუწყო ძებნა. მე და კოსტიამ ერთმანეთს გადავხედეთ და ერთდროულად მოვწყდით ხეს. გადავწყვიტე, რაც შეიძლება შორს გავცლოდი ჩვენს ეზოს, გავცლოდი კატა მუსკას, შურდულიან თეთრუა ვენკას და მოჩხუბარ ბეღურებს. არ ყოფილან სტუმართმოყვარენი ეს ბეღურები. ჯერ ერთ ეზოს გადავუფრინეთ, მერე მეორეს, მესამეს... ფრენის დროს შევნიშნე, რომ ჩვენს ქალაქში უფრო მეტი კატა ყოფილა, ვიდრე მეგონა. შურდულიანი ბიჭებიც ბევრნი ყოფილან და ამ ამბავმა ცუდ გუნებაზე დამაყენა. ჩემი მცირე ბეღურული გამოცდილებით მივხვდი, რომ ბეღურასპეის ძალზე საშიშია ყოველგვარი ნაცნობობა კატასთან და შურდულიან ბიჭებთან. ახლა რატომღაც მალინინის ქცევაც მაღიზიანებს. ძლივს მოჩანჩალებს, უკან მრჩება და ისეთი სახე აქვს, თითქოს რაღაც სამადლოს მიკეთებს...

— რ-რ-ატომ რჩები უკან? — ვეღარ მოვითმინე და შევუტიე კოსტიას. — საზიზღარო მაჩან-ჩა-ლა!

— დავიღალე!

— „დავიღალე“! ოთხი კვარტალი გადავიფრი-ფრი-ნეთ და უკვე დაიღალა!

— ფრენისაგან კი არ დავიღალე, ბეღურად ყოფნამ დამღალა!

— ერთი ამას დამიხედეთ! ნახევარი საათია ბეღურაა და უკვე დაიღალა! მაშ იმათ რაღა ქნან, ვინც მთელი სიცოცხლე ბეღურები არიან?! ასე რომ მცოდნოდა, სულაც არ შეგიამხანაგებდი!

მაღლიდან ერთი პატარა სკვერი შევნიშნე და ლივლივით ძირს დავეშვით.

— შეგიძლია დაისვენო! — ვუთხარი კოსტიას, როცა ჩემ გვერდით ტოტზე დაებერტყა.

კოსტიამ ფრთა ასწია და ის იყო იღლიაში თავი უნდა შეერგო, რომ ზემოდან ხმა მოგვესმა:

— აი, თურმე სად ყოფილან ეს უქნარები! მე თივაზე გავგზავნე, ესენი კ. მზეზე ნებივრობენ! ისე რა გითხრათ, კარგი შვილებიც თქვენ იყოთ!

მეთხუთმეტე ფათერაკი

რა ხდება, რომა მაჭიკივილეგი დედას შარიკოშინ

ზემოთ ავიხედე და მეზობელ ტოტზე შეშმაღარი ჩასუქებული დედალი ბეღურა დავინახე. აი, სწორედ ამ ბეღურამ გვიწოდა თავისი შვილები.

— რას გა-ჩე-ჩე-რებულხართ, რატომ არაფერს უპასუხებთ თქვენს დედიკოს?

— არაფერი მესმის! — წაჩურჩულა კოსტიამ. — რატომ ამბობს „თქვენს დედიკოსო".

— რა არ გესმის? ალბათ თავისი ბარტყები ეგონივართ.

— ეგავართ მერე?

— რა ვიცი...

— რა-ტომ ემალებით თქვენს დედიკოს? — განაგრძობდა ულურტულს ბეღურა. — ნე ეში-ში-ნიათ! მოფრინდით აქ, არ გაგიჯავრდებით.

— იქნებ მართლა ეგავართ მაგის შვილებს?

— შე-შე-სა-ძლებელია!

— ეგლა გვაკლდა! ბოდიში, მოქალაქე! — უთხრა კოსტიამ.— ჩვენ არაფის არ ეემალებით და თქვენც პირ-პირ-ვე-ლად გხედავთ!

— ეს მოქალაქე რაღაა! — დაიჭრიკჭრიკა ბეღურამ. — კეთილო ბეღურებო, ერთი ყური დაუგდეთ, როგორ მიმართავს თავის დედიკოს!

მეზობელ ხეზე ჩამომსხდარი ბეღურების გუნდი აღშფოთდა, მსუქანი ბეღურა კი ისე გაბრაზდა, რომ კოსტია მალინინს კისერშიც კი ჩაუნისკარტა.

კოსტიამ დაიკუნტლაპინა.

— დეიდა! გე-ფი-ცე-ბით, ჩვენ თქვენი შვი-შვი-ლები არა ვართ. გე-ფი-ცე-ბით! — გამოვექომაგე მეგობარს.

— ხედავთ, კეთილო ბეღუ-ლუ-რებო, აღარც ესა მთვლის თავის დედი-კოდ! დაიჭრიკჭრიკა დედალმა ბეღურამ, ტოტზე შეიფრთხიალა და ფრთა-ფრთას შემოჰკრა.

ბეღურებმა ლანძღვა დაგვიწყეს, „დედიკომ" კი ისე გაგვტყიპა, რომ მე და კოსტიას ბუმბული ბალიშიდან გამოცვივნილივით დაფრინავდა ჰაერში... მეტი რა გზა გვქონდა, სიტყვა უკან უნდა წაგვეღო და დედალ ბეღურასთვის „დედიკო" დაგვეძახა.

— აი ეგრე! — დამშვიდდა დედა ბეღურა. — ახლა კი, შვილებო, გავფრინდეთ და ბუდის შე-ნება ვის-წავ-ლოთ.

— რაო, ვის-წავ-ლოთო? — ერთად შევყვირეთ მე და კოსტიამ.

მე და კოსტია ბუდის გაკეთებას ვსწავლობთ

— ყველაფერი დაგავიწყდათ, თუ რა მოგვიდათ? — გვეკითხება დედა ბელურამ... — გუშინ ხომ გასწავლეთ, როგორ უნდა აა-შე-შე-ნოთ ბუდე, დღეს კი თქვენ თვითონ ააშე-შე-ნეთ!

— კარგადაა ჩვენი საქმე! — ჩაიღღურტულა ჩუმად კოსტიამ.— კი მაგრამ, რატომ არ მითხარი, ბელურებიც თუ სწა-ვლობენ?

— რა ვიცოდი?

— მაშ რატომ ამბობდი, ბელურებს ბედნიერი ცხოვრება აქვთო?

— მე კი არა, ნინა ნიკოლაევნა ამბობდა, — ვიცრუე მე. — რას ჩამაცივდი?

— ერთი სიტყვით, შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი, პირადად მე კი სწორედ არ ვისწავ-წავ-ლი ბუდის გაკეთებას. — ხმამაღლა დაიერიკერიკა კოსტია მალინინმა.

— ვინ თქვა, ბუდის გაკეთებას არ ვისწავ-წავ-ლიო? — მკაცრად იკითხა დედა ბელურამ და ჩვენთან მოფრინდა.

— მაგას არ უთქვამს, მე ვთქვი! — დავიერიკერიკე. — კოსტიას ავეფარე და დაუმატე: — ცემა კი, ჩემი აზრით, არა-პე-და-გო-გი-ურია!

— რაო? ეგ სიტყვები სადღა ისწავლე?

დედა ბელურამ მთელი ძალით ჩამინისკარტა ზურგში და მეც და კოსტიაც მეზობელ ხეზე გადაგვრეკა, სადაც თივა, ძუა და სხვა სამშენებლო მასალა მოემარაგებინათ.

— ესე იგი, ბუდე ასე შენდება... — აჭიკჭიკდა დედა ბელურა.— ნისკარტით ავიღებთ ჩალის ღერს და დავახვევთ... აბა, გაიმეორეთ, შვილებო!

— ნისკარტით ავიღებთ ჩალის ღერს, — ერთხმად გავიმეორეთ მე და კოსტიამ, — და დავახვევთ...

გაკვეთილი დაიწყო! მე და კოსტიამ ისე, რომ არც შეგვიხედავს ერთმანეთისთვის, ზიზღით წავავლეთ ნისკარტი ჩალის ღერებს.

„საინტერესოა, აქვთ თუ არა ბელურებს გაკვეთილებს შორის შესვენება?“ — გავიფიქრე სევდიანად, თან ჩალის ღერი რგოლივით ისე დავახვიე, როგორც ჩასუქებულმა დედა ბელურამ გვასწავლა.

— ამის შემდეგ, ესე იგი!..—განაგრძობდა ყღურტულს დედა ბე-

ღურა, თან მარჯვედ ასვევდა ჩალას და მკერდით ტკეპნიდა. — მერე, ესე იგი!..

მაგრამ რა მოხდებოდა „მერე", ჩვენ ვეღარ გავიგეთ, რადგან სწორედ ამ დროს ზედ თავზე მსუქანი, წითური ბეღურა დაგვეცა.

ტოტი, რომელზედაც ჩვენ ვისხედით, მისი სიმძიმისაგან აქანავდა.

— მა-მი-კო მოფრინდა! ჩვენი ყივყივა! ყივყივ! ყივყივ! — გაისარა დედა ბეღურამ, ჩამოჯდა ტოტზე და კიდევ უფრო ძალიან შეარხია.

ჩვენ გაოცებისაგან პირი დაეაღეთ და ნისკარტებიდან ჩალა გადმოგვიცვივდა. გაშტერებულები ვუყურებდით წითურ ყივყივას, რომელიც, ჩასუქებული დედა ბეღურას სიტყვით, ჩვენი ალალი მამიკო იყო...

მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ე ფ ა თ ე რ ა კ ი

ჩსუგი საშოშიესათვის

— ჩქარა, შვი-ლებო! ჩქარა, ბარტყებო! — აერიკერიკდა წითური ძია-ბეღურა და თან ფრთებს სქელ ფესებზე და გვერდებზე იფათქუნებდა. — ნამგალები უკვე სამხრეთისაკენ მიფრინავენ! საშოშიე თავისუფლდება! მშვენიერი საშოშიე!

— სა-შო-შიე! — აღლერტულდა დედა ბეღურა. — ჩემი ოცნება! ოც-ნე-ბა! ოც-ნება!

— დიახ, დიახ, საშოშიე! მხოლოდ შიგ შესვლა უნდა მოვასწროთ. ეშიშობ, საშოშიესათვის ბრძოლა მოგვიხდება! საჩქაროდ გავსწიოთ, გავფრინ-ფრინ-დეთ!

— გავ-ფრინ-ფრინ-დეთ! — შეეძახე მეც, საშოშიესათვის ბრძოლა ვარჩიე ბუდის შენებას.

— იქნებ, არ დაგვჭირდეს ბრძოლა... იქნებ, ბუდის კეთება ჯობდა! — დაიჭყლოპინა კოსტია მალინინმა.

— შვილი მამას ასწავლიდა! ვნახოთ ერთი, როგორ ამღერდები, ზამთრის სიცივეები რომ დაიჭერს!

— მართლაც რომ! — დავემოწმე წითურ ბეღურას.

ბეღურა ტოტს მოსწყდა, მე და კოსტიას ფრთა გაგვკრა და სასტიკი ერიკერიკით გაგვიძღვა წინ. დედა ბეღურა უკან მოგვდევდა და, როგორც კი რომელიმე ჩამოვრჩებოდით, ბასრი ნისკარტით გვერეკებოდა და გვტუქსავდა.

— ერიკ-ერიკ! არ ჩამორჩეთ! ერიკ-ერიკ! წინ! ერიკ-ერიკ! — ერიკერიკებდა წითური ბელურა და დროდადრო უკან იხედებოდა.

— ხომ ეგრე, იურკა, ამას არასოდეს არ გაპატიებ! — მითხრა კოსტიამ ფრენის დროს. თუ მთელი სიცოცხლე გინდა ბელურა იყო, იყავი და, რამდენიც გინდა, იბრძოლე საშოშიესათვის. მე კი ბრძოლას არ ვაპირებ. დროს ვიხელთებ თუ არა, ვავიქცევი! გაეფრინდები, მორჩა და გათავდა!

— ჩუმად, სულელო! საქმე არ გააფუჭო! ახლა სულ ერთია, ცოცხალი თავით ვერ დავუძვრებით ამ წითურ ბელურას!

— რა უნდა ვქნათ? აღარ მინდა ბელურობა!

— რა ვქნათ და გზიდან გავიქცეთ! ჩემს ნიშანს ელოდე! ბარანკინს ენდე და არ დაიღუპები!

— არ დავიღუპები! როგორ არა! სწორედ შენის წყალობითაა, რომ სადაცაა დავიღუპებით! — დაიკვნესა კოსტია მალინინმა.

ასეც მოხდა. მართლა კინაღამ დავიღუპეთ ორივენი და ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. არ უნდა დავთანხმებულიყავი საშოშიესათვის ბრძოლაზე.

გზიდან გაქცევა, რასაკვირველია, ვერ მოვახერხეთ, წითური და დედა ბელურა ყურადღებით გვითვალთვალებდნენ. ერთი ნაბიჯით ჩამორჩენის უფლებასაც კი არ გვაძლევდნენ. საქმე უფრო ცუდად წავიდა, ვიდრე ველოდი. თუ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ ჩაებმებოდით ბრძოლაში, მე შეიძლება თავი დამეძვრინა, მაგრამ კოსტია აუცილებლად ცუდ დღეში ჩავარდებოდა. კოსტიას დედამიწაზეც არ შეუძლია ჩხუბი, არათუ ცაში და ისიც ბელურებთან. ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ მოულოდნელად გვერდიდან სასოწარკვეთილი ყივილ-ხივილი მომესმა და მთელი ჩვენი „ოჯახი“ შეიჭრა ბელურების გუნდში, რომელიც ერთ უცხო ბაღში იბრძოდა სწორედ იმ საშოშიესათვის, ჩვენი „მშობლები“ რომ ოცნებობდნენ.

არც კი ვიცი, ეს როგორ მოხდა, მე და კოსტია ბრძოლის შუაგულში მოვექეცით და მაშინვე მხედველობიდან დავკარგეთ ჩვენი „მშობლები“.

მარჯვნივ, მარცხნივ, ქვემოთ, ზემოთ გამწარებულები ჰყიოდნენ სრულიად უცხო და უცნობი ბელურები და აქეთ-იქით აწყდებოდნენ.

კიდევ კარგი, კოსტია მალინინმა მოიფიქრა და კუდზე ნისკარტი ჩამავლო, თორემ იმ არეულობაში უსათუოდ დავკარგავდით ერთმანეთს.

კოსტიას თრევა და თავის დაცვა ერთად, რასაკვირველია, ძნელი იყო, მაგრამ მაინც ვახერხებდი ბელურების მოგერიებას, თან ვილანძღებოდი და ვიმუქრებოდი. კიდევ კარგი. ცოტა ხნის წინ წავიკითხე წიგნი უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებზე, ძალიან გამომადგა...

ავიჭრებოდი ზემოთ, დავეშვებოდი ძირს, ისევ ავვარდებოდი მაღლა, მერე ბზრიალ-ბზრიალით წამოვიდოდი ქვემოთ. ბოლოს, როგორც იყო, თავი დავაღწიე ბელურებს.

დარწმუნდა თუ არა კოსტია, საშიშროება აღარ მელისო, კუდზე ნისკარტი მიშვა და მთელი ძალით მოვუსვით. გვინდოდა, რაც შეიძლება მალე გავცლოდით იმ წყეულ ბელურებს.

— დასცხეთ მაგათ, დასცხეთ! — მოგვესმა უკანიდან ბელურების ხმა.

მოვიხედე და რას ვხედავ — ოთხი ბელურა გამოჰყოფია მებრძოლთ და მოგვდევს...

მეთვრამეტე თავი

კოსტია მალინინმა „ჟივჟივით გული იჯერა“

— ნეტავი როდის გათავდება ეს ყველაფერი? — დაიკვნესა მალინინმა და ფრენას მოუჩქარა.

— აი, ესენი იყვნენ ყველაზე ხმამაღლა რომ ჟივჟივებდნენ! — დაიძახა ვიღაცამ უკან.

უკვე წამოგვეწივნენ მდევრები.

— ბიჭებო! ჩვენ მხოლოდ ვჟივ-ჟივებდით! — თავის მართლება დავიწყე მე.

— მაშ რატომ მო-ფრი-ფრინდით?

— ისე, უბრალოდ, სანახავად.

— სანახავად? აი, ახლა კი გიჩვენებთ სეირს!

ბელურები წამოგვეწივნენ, ალბათ კარგად დაგვჩეჩქვავდნენ და ტანზე ბუმბულს აღარ შეგვარჩენდნენ, ფრენის დროს ერთი მახვილგონივრული საბრძოლო ილეთი რომ არ მეხმარა. ამ ილეთს მფრინავები „გვერდულს“ ეძახიან. დრო ვიხელთე, ახლოს მოვუშვი მოწინააღმდეგე, მერე სრულიად მოულოდნელად ჰაერში ზურგზე გადავტრიალდი და ერთ-ერთ მომხდურს წიხლი ვკარი — ბელურა გვერდზე გადავარდა და ლობეს მიეხეთქა.

— ხომ მიიღე! — შეეძახე საზარელი ხმით. — ბარ-რანკინია ჰაერში! უფრთხილდით!

ახლა მეორეს ვუთავაზე წიხლი, მეორეც გადავარდა. ასე მივფრინავდი, ვყვიროდი და ტლინკებს ვისროდი მანამდე, სანამ ყველა მდევარი არ მივფანტ-მოვფანტე. მოწინააღმდეგეთ არაფერი გაეგებოდათ უმაღლესი პილოტაჟისა, ამიტომ შეკრთნენ, დაიბნენ და ჩამოგვშორდნენ.

ჩვენ ბეღურების დაბნეულობით ვისარგებლეთ, უფრო სწრაფად მოვუსვით, ხეებს ამოვეფარეთ და ღონემიხდილები პირველივე სახლის სახურავზე დავეშვით.

ოხშივარი ამდიოდა, გულს კი დაგადუგი გაჰქონდა.

— რა თქმა უნდა! — თქვა კოსტიამ და ძლივს მოითქვა სული. — შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი, მე კი მეყოფა, ყივ-ყივ-ყრიკ-ყრიკით გული ვიჯერე! კმარა!

მალინინმა სახურავს ნისკარტი დაჰკრა და ლანძღვა დამიწყო, რად მომატყუე, ბეღურები შესანიშნავად ცხოვრობენო.

— თანაც ვითომ ერთი თვე ადევნებდი ბეღურებს თვალყურს... — მითხრა მალინინმა და გამომაჯავრა: „ბეღურებს უდარდელი და უზრუნველი ცხოვრება აქვთ!..“

— რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, ასე მომეჩვენა და! — მივუგე მე.

— ხომ გითხარი, პეპლებად გადავიქცეთ-მეთქი. პეპლები არც ბუდეებს აშენებენ. არც კატები ემტერებიან, თანაც შვრიით კი არა, ტკბილი ნექტარით საზრდოობენ. ოჰ, რა გემრიელია, ალბათ!

გავჩუმდი. პეპლების ცხოვრება, რასაკვირველია, მალინინმა ჩემზე უკეთ იცოდა; ერთ დროს პეპლების კოლექციაც კი ჰქონდა შეგროვებული, მაგრამ მერე მარკებში გაცვალა. რაღა თქმა უნდა, მართალი იყო. კოსტია მალინინი, ჯობდა თავიდანვე პეპლებად გადავქცეულიყავით. მართლაც სახარბიელოა მთელი დღე ყვავილიდან ყვავილზე ფრენა და ტკბილი ნექტარით პირის ჩატკბარუნება...

მაგრამ, სანამ პეპლებად გადავიქცევით, კოსტიას დაწვრილებით უნდა გამოვკითხო მათი ცხოვრება, მეშინია, კიდევ არ წავაგოთ ჭკუა...

— გახსოვს, ნინა ნიკოლაევნამ გვიამბო, — პეპლები ყვავილებს მტვერაევნო... — ვუთხარი მე.

— დამტვერონ მერე! — თქვა კოსტიამ. — ჩვენ ნუ დავმტვერავთ! ცოტაა გიჟი?!

მიუხედავად იმისა, რომ კოსტია დაბეჯითებით ლაპარაკობდა, გადავწყვიტე, კიდევ ერთი შეკითხვა მომეცა:

— სწავლის საქმე როგორა აქვთ პეპლებს? იქნებ ისინიც სწავლობენ რამეს?

— ვეღარ გაათავე შენი შეკითხვები? კატები მოდიან! — ცოფიანივით დამიღრიალა. კოსტია მალინინმა.

მეგონა, მაპამპულებს-მეთქი, მაგრამ სსვენის სარკმლიდან მართლა გამოძვრა სამი გამურული კატა და მე და კოსტიას დაგვაცქერდა. ორი კატა სრულიად უცნობი იყო. მესამე კი ჩვენი მუსკა გახლდათ. ეტყობოდა, მუსკას მტკიცედ გადაეწყვიტა ჩემი შეშმა. ლაპარაკის დრო აღარ იყო.

— პეპლად გადაქცევისთვის მოემზადე! — აცახცახებული ხმით დავიჩურჩულე მე.

— მზად ვარ! — გამომეხმაურა მალინინი.

— და-ვიწყოთ! — ვთქვი მე.

— როგორ და-ვიწყოთ? რა უნდა ვთქვათ? რა სიტყვები?

სულ დამავიწყდა, რომ ჩვენი ძველი საბეღურო შელოცვა აქ, პეპლად გადაქცევის დროს, აღარ გამოდგებოდა.

— ახლავე! — ვთქვი მე. — ახლავე! ახლავე გადავაკეთებ...

— ჩქარა გადააკეთე! — დაიღრიალა კოსტიამ.

— უკვე გადავაკეთე! რასაც ვიტყვი, გაიმეორე!.. „აღარ მინდა ბეღურობა! მინდა ვიყო პეპელა!.. ესე იგი, ფარვანა!..“

მწამს, რომ მხოლოდ ფარვანა
ცხოვრობს უზრუნველადა!
ო მე! აი მე!
გადვიქცევი ფარვანად!

— რაღაც უხეიროდ გამოდის! — თქვა კოსტიამ, თან შეშინებული მისჩერებოდა მოახლოებულ კატებს.

— კატის მუცელში რომ ამოყოფ თავს, აი, მაშინ გამოვა ხეირიანად! ჩქარა გაიმეორე!

კოსტია მალინინმა შიშისაგან თვალები დახუჭა და სხაპასხუპით გაიმეორა ჩემი უხეირო ჯადოსნური ლოცვა... აღარც კი მაცლიდა, წინ მისწრებდა:

მწამს, რომ მხოლოდ ფარვანა
ცხოვრობს უზრუნველადა!..

„ოღონდ კი მოვასწროთ! — გავიფიქრე. — ოღონდ მოვასწროთ პეპლად გადაქცევა, სანამ პირს გვტაცებენ კატები!..“

ეს იყო ჩემი უკანასკნელი ფიქრი, რამაც გამიელვა თავში ზრუნვით, შიშითა და მღელვარებით განაწამებ ბეღურას...

ნაწილი მესამე

მე კომბოსტოს პეპელა ვარ, კოსტია—მაქაონი

მეცხრამეტე ფაოერაკი

მოსასლეობისათვის ცნობილი მავნებელი

სანამ მე და კოსტია მალინინი მოსწრებაზე ეჩურჩულებდით ჯადო სიტყვებს და გულისყურს ვიკრებდით, არც კატები კარგავდნენ დროს და მუსკას მეთაურობით მოიწევდნენ ჩვენკენ.

„დამაცადე, მუსკა, — გამიელვა თავში, — თუ ცოცხალი გადავრჩი, შინ გაგისწორდები!"

გადავწყვიტე, კატებზე აღარ მეფიქრა, რადგან ეს პეპლად გადაქცევაში მიშლიდა ხელს. ახლა მთელი ჩემი ყურადღება ყვავილებზე და ისეთ ცხოვრებაზე გადავიტანე, როცა არც ბუდეების შენება და არც საშოშიესთვის ბრძოლა დამჭირდებოდა, ვიფრენდი მხოლოდ ყვავილიდან ყვავილზე, ვინებივრებდი მზეზე, ტკბილი ნექტარით ჩავიტკბარუნებდი პირს, მაგრამ ამის ნაცვლად, თითქოს ჯიბრზე, დაწყეველილ შვრიაზე ამეკვიატა ფიქრი და თვალწინ ბეღურები, კატები, შურდულიანი ვენკა და ბეღურების ცხოვრების სხვა წვრილმანები მიტრიალებდა.

გუნება წამიხდა, თვალები გავახილე და ვხედავ, მანძილი ჩემსა და კატებს შორის საგრძნობლად შემცირებულა. მე კი კვლავ ის დაწყეველილი ბეღურა ვარ. აღვშფოთდი და გადავწყვიტე, რაც იქნება, იქნება, თვალს აღარ დავხუჭავ-მეთქი.

კატებმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგეს, უცბად შეჩერდნენ და ერთმანეთს რაღაცას შეჰკნაოდნენ და შეჰკრუტუნეოდნენ.

„ბჭობენ, ვინ: რომელი შესანსლოს, — გავიფიქრე, — სამი კატა ორ ბეღურას იყოფს. რაც უნდა, ისა ქნან... ახლა პეპლად გადაქცევას ვეღარ მოვასწრებ..." მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის გულში რამდენჯერმე გავიმეორე ჯადოსნური ლოცვა:

მწამს, რომ მხოლოდ ფარვანა
ცხოვრობს უზრუნველადა!
აი მე! აი მე!
გადვიქცეე ფარვანად!

ამასობაში კატები მორიგდნენ: ერთი კოსტიასაკენ წავიდა ქურდულად, მუსკა და მისი მეგობარი კი ჩემკენ გამოემართნენ. „დაბეთ, რა ეშმაკია! იცის, მარტო ვერაფერს გახდება ჩემთან... არა, მაინც რა დავუშავე ისეთი, — გავიფიქრე, თან თვალს არ ვაშორებდი ბუსკას, — რა მოხდა, მხოლოდ ერთხელ, ისიც შემთხვევით, მელანი გადაეასხი...“

მუსკა და მისი თანაშემწე ჩემგან სამ ნაბიჯზე გაისუსნენ. ჩაცუცქდნენ, ზურგი მორკალეს და აკრუტუნდნენ. თუნუქის სახურავს ბრჭყალებით ფხაჭნიდნენ და თავდასხმისათვის ემზადებოდნენ. „გადმოსახტომად ემზადებიან! ესე იგი, მე და კოსტია პეპლებად ჯერ არ გადავქცეულვართ... ვერ მოვასწარით! მაშასადამე, დავიღუპეთ... ტანში ერუანტელმა დამიარა. ალბათ, ეს უკანასკნელი ერუანტელის დაცლა იყო... ის იყო, უნდა დამეყვირა: „მშვიდობით, მალინინ! მაპატიე, რომ ასეთ ამბავში გაგხვიე!“

მაგრამ უცბად კატებს რაღაც დაემართათ: თვალები გადმოკარკლეს, დაიკრუტუნეს და იმის მაგივრად, რომ ჩვენკენ გადმომხტარიყვნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, უკან ისკუპეს, ბეწვი ყალყზე დაუდგათ, თავები ცოფიანებივით მიატრ-მოატრიალეს, ერთხელ კიდევ ისკუპეს და სხვენის სარკმელში შეცვივდნენ.

ისე სწრაფად და მოულოდნელად მიიმალნენ, გეგონებოდა, ჩვენ უკან უშველებელი ძაღლი დაინახესო. მივიხედე, მაგრამ ძაღლი არსად ჩანდა, სამაგიეროდ პეპლის ფრთებს მოკკარი თვალი, ორი იალქანივით რომ ირხეოდა ჩემს ზურგზე.

აი, თურმე რატომ შეშინდნენ კატები: მათ თვალწინ გემრიელი ბეღურა უგემურ პეპლად გადავიქეცი! მაინც მოვასწარი! აი, მესმის! სიხარულისაგან ჩემი სამკუთხა ფრთები ავაფარფატე და კოსტია მალინინს მივუბრუნდი, რომ ჩემი სიხარული გამეზიარებინა, მაგრამ მოულოდნელობისაგან თვალები დავაჭყიტე. ჩემ გვერდით, იმავე ადგილზე, სადაც რამდენიმე წუთის წინ, ძირს გართხმული, საცოდავად წიოწიებდა ცოცხალ-მკვდარი ბეღურა მალინინი, ახლა მოშავო-მწვანე, ზღაპრულფრთებიანი, მშვენიერი პეპელა იჯდა. ასეთი ლამაზი პეპელა წიგნშიც კი არ მენახა.

როგორ შეიძლება მალინინი ასეთ ლამაზ მწერად გადაქცეულიყო. არა, ეს, ეტყობა, ნამდვილი პეპელაა. მაგრამ, თუ ეს ნამდვილი პეპელაა, სადღაა ჩემი გულითადი მეგობარი მალინინი?.. შიშისაგან სახურავიდან ხომ არ ჩავარდა და ქვაფენილს არ დაასკდა? ძირს ჩავიხედე. იქნებ, ამ არეულობაში მე ვერ შევამჩნიე, კატამ ისე სტაცა პირი? სხვენში ჩავიხედე. ან, იქნებ, კატების შეეშინდა

და მეზობელ ხეზე შემოჯდა? მოვბრუნდი და სახლის გვერდით აშოლტილ ალვის ხეს დავუწყე თვალიერება.

— რას ცმუკავ, გაკვეთილზე ხომ არ გგონია თავი? — მითხრა უცბად კოსტია მალინინის სმა-ით ლამაზმა პეპელამ.

პეპელას დავაცქერდი და მღელვარებისაგან ხმაშეცვლილმა ვკითხე:

— ვინა ხარ, გოგონა?

— გოგონაო? გოგოხა კი არა, ბიჭი ვარ!

— მაინც ვინა ხარ?

— რა მოგდის, ბარანკინ, ვითომ მართლა ვერ მიცანი?

— მალინინ, შენა ხარ?

— მაშ ვინ ვიქნები! ვერ მიცანი?

— აბა, როგორ უნდა მეცანი! პეპლად გადაქცევაც ამას ჰქვია! მე კი შევშინდი, მეგონა, რამე დაგემართა!

— ნურას უკაცრავად! — თქვა მალინინმა და ფრთები აათამაშა, გეგონებოდათ, ნიავმა დაუბერაო.

თვალს ვეღარ ვაშორებდი, ისეთი მშვენიერი იყო კოსტია.

— კოსტია, — ვუთხარი მე, — მაინც რა გქვია?

— რა მქვია? რა და... ახლავე მოვიგონებ. ფრთები ზემოდან მოშავო-მწვანე მაქვს ხომ?

— ჰო, მოშავო-მწვანე.

— მეორე მხრიდან?

— მოყავისფრო-შავი.

— ოქროსფრად დაწინწკლული ხომ?

— ჰო, დაწინწკლული... და კიდევ თითოეულ ფრთაზე ნახევარმთვარე. და ცისარტყელა გახატია.

— გასაგებია! მაქაონად გადავქცეულვარ, აფროსნისებრთა ოჯახის წარმომადგენლად.

— მე?

— შენ კი, აი... აბა, მობრუნდი!

მოვბრუნდი. მალინინმა თავიდან ფეხებამდე კრიტიკულად შემათვალიერა.

— ასე... — თქვა მან. — პატარა ყვითელი ფრთები გაქვს, შავწინწკლებიანი. გასაგებია. შენ მავნებელ მწერად გადაქცეულხარ.

— რომელ მავნებლად?

— ბოსტნეულისა. ხალხი, როგორც კომბოსტოს პეპელას, ისე გიცნობს. თეთრულასებრთა ოჯახს ეკუთვნი.

— ერთი უყურე! — კი, მაგრამ, მე რატომ ვიქეცი კომბოსტოს პეპლად, შენ კი მაქაონად?

— „რატომ, რატომ!“ ბა, რა ვიცი! ალბათ იმიტომ, რომ მაქაონები შორეულ აღმოსავლეთში ცხოვრობენ, მე სამი წელი ხაბაროვსკში ვიცხოვრე, შენ კი რუსეთის შუა ზოლში ცხოვრობ.

— მაშ, ეს ასეა?

— ზუსტად ასეა. მე ხომ კოლექცია მქონდა! პეპლის ყველა ჯიშს ვიცნობ... მე მაქაონი ვარ, შენ — მავნებელი...

— „მავნებელი“! შენ კი დიდი სარგებლობა მოგაქვს! თუ გინდა მართალი, მაქაონს ისევ კომბისტოს პეპელა მირჩევნია.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ... იმიტომ რომ... პრინცია გოგოს გიგავს ფროები. მე, პირადად, მასეთი ფროებით ბიუებში... ესე იგი, პეპლებში სირცხვილით ვერც გამოვჩნდებოდი.

— ადექი და შენც შენი ფროებით გამოჩნდი.

— გამოვჩნდები კიდეც!

სახურავიდან ავფრინდი და სხვენის სარკმლის წინ საცდელი წრე დავარტყი. რა თქმა უნდა, ფროები ისეთი მარჯვე და ლონიერი ალარ მქონდა, როგორიც ბელურასა აქვს, მაგრამ ფრენა მაინც ძალიან სასიამოვნო იყო.

მიფრინავ და წამდაუწუმ თითქოს რაღაც ჰაერის ორმოებში ინთქმები. ინთქმები და მიფრინავ და ამგვარი ფრენით გულ-მუცელში ისეთი გრძნობა გიჩნდება, თითქოს ფრენის დროს სიხარულისაგან სულს ღაფავ, და ამიტომ გინდა გოგოსავით შესძახო ან „უჰ!“, ან „აჰ!“ ან „ოჰ!“ ანდა სიხარულისაგან იკივლო!

თანაც ტკბილი ნექტარი გელოდება! ამბროზია, შეიძლება ითქვას! და ისევ ჰაერის ახალი ორმოები! ეს საოცარი შეგრძნებაა, გულ-მუცელს რომ სიამით ავსებს! და იმასაც გრძნობ, რომ ყველაფერი ეს იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენ ხანსაც მე და კოსტიას გვსურს.

ამ დროს კი რა ბედენაა, ვინა ხარ — უვნებელი მაქაონი თუ მავნებელი ბოსტნის პეპელა? ბოლოს და ბოლოს, ეს ადამიანებმა იციან, რომელი პეპელა რას წარმოადგენს, თვითონ პეპლებს კი პეპლებისა არაფერი გაეგებათ.

თუ ეს ყოველივე ასეა და — უჰ! აჰ! და ოჰ! — სულ ამის ძახილში ვიქნებით, მაშინ ყოჩაღ, მალინინ, რომ პეპლად გადაქცევა მირჩია.

სწორედ ამ დროს მოფრინდა ჩემი განუყრელი მეგობარი კოსტია — მაქაონი — მალინინი, და ორთავემ რაღაც უხილავ საქანელებზე ვიწყეთ ქანაობა.

— როგორ მოგწონს? — მკითხა კოსტიამ და ძირს ჩაფრინდა.

— ყველაფერი რიგზეა! — მივუგე და მაღლა ავფრინდი. — მხოლოდ ძალიან მომშივდა.

— ეგ არაფერი, — მითხრა მალინინმა. — ახლავე ნექტრით გაგიმასპინძლდები. ნექტრის ამოწურწნა შენ შვრიის კენკვა ნუ გგონია! ეს იცი, ძმაო, რა გემრიელია! ცაცებს ჩაიკვნეტ! გავფრინდეთ ჩქარა! ფრთები ავაფარ-ფატოთ! ბუმბულივით მსუბუქად, მაგრამ მთელი სისწრაფით.

მეოცე ფათერაკი

„მძინარე მზეთუნახავი"

მე და კოსტიამ გამოსამშვიდობებლად სხვენს კიდევ ერთხელ შემოვუფრინეთ და ის იყო ნექტარზე გაფრენას ვაპირებდით, რომ კოსტია მალინინმა სახლის კედელზე ყვითელი პეპელა შენიშნა. პეპელა რკინის ღარის ქვეშ აგურის კედელს ჩაბღაუჭებოდა პატარა ფეხებით და ფრთები დახურული წიგნივით დაეკეცა.

— ნამდვილი პეპელაა! — თქვა კოსტია მალინინმა. — მე და შენ კი არ გვგავს! პეპელას გაუმარჯოს! — შესძახა და ფეხი ჰაერში აიქნია. — ჭინჭარაა.

— იყოს მერე! — ვთქვი მე. — ჩქარა გავფრინდეთ ნექტარზე!

— მოიცა! ჯერ გავიცნოთ ეს პეპელა!

— საქმე არა გაქვს! ოჰ, შე ქალაჩუნა!

— გამარჯობა, პეპელა! — უთხრა კოსტია მალინინმა და გვერდით მიუჯდა.

— კოსტია-მაქაონი ქალაჩუნაა! კოსტია-მაქაონი ქალაჩუნაა! — ვაბრაზებდი მალინინს და თავზე დავტრიალებდი.

— ჭინჭარას გაუმარჯოს! — თქვა და მისალმების ნიშნად ორივე ფეხი მაღლა ასწია კოსტიამ.

— სირცხვილი ქალაჩუნებს! — ვუპასუხე მე.

კოსტია კიდევ მიესალმა პეპელას, მაგრამ ის ჩუმად, გაუნძრევლად იჯდა და მალინინს ყურადღებას არ აქცევდა.

— თავისი თავი დიდი ვინმე ჰგონია, — ვთქვი მე. — ახია შენზე.

— სულაც არ ჰგონია თავისი თავი დიდი ვინმე, — მომიგო კოსტიამ და ყურადღებით შეათვალიერა ჭინჭარა. — სძინავს! რა თქმა უნდა, სძინავს!

— მძინარე მზეთუნახავია! გასაგებია! — გაიღვიძეთ, მძინარე

მზეთუნახავო! თქვენი გაცნობა სურს აფროსნისებრთა ოჯახის წარმომადგენელს კოსტია-მაქაონს.

მძინარე პეპელას გვერდით მივუჯექი და ფეხით შევანჯღრიე.

— ტყუილად ირჯები! — ამას ზარბაზნის ხმაც ვერ გამოაღვიძებს. მთელი ზამთარი იძინებს. — თქვა კოსტიამ.

— რატომ მთელი ზამთარი?

— იმიტომ, რომ პეპლებს ბუნების ასეთი კანონი აქვთ!

— რას იტყუები, მალინინ, რომელ ბუნების კანონზე ლაპარაკობ?

— მართალს გეუბნები! პეპლები შემოდგომაზე ან კვდებიან, ანდა იძინებენ გაზაფხულამდე. განრიგიც კი აქვთ, იციან, რომელმა როდის უნდა დაიძინოს.

— მოიცა, ჩვენ?.. — შევშფოთდი მე.

— რა ჩვენ?

— ჩვენც ხომ პეპლები ვართ, ესე იგი, ჩვენც განრიგით დავიძინებთ?

— საერთოდ, რადგან პეპლები ვართ, ალბათ, როდისმე ჩვენც მოგვიწევს განრიგით დაძინება...

ამ „ალმოჩენამ“ ალმაშფოთა.

— რატომ გადავიქეცით მაშინ პეპლებად? — დავუღრიალე კოსტიას. — თუ ყოველ წუთს შეიძლება დაგვეძინოს და თანაც მთელი ზამთარი ძილში უნდა გავატაროთ! ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი დღით გადავიქეცით პეპლებად, ერთიც ვნახოთ და ამ ერთ დღეში ისე დაგვეძინოს, რომ მთელი ზამთრის არდადეგები ვეღარ გავიღვიძოთ. ეჰ, მალინინ, მალინინ!

— რა გაყვირებს? — თქვა კოსტიამ. — ჯერ ხომ არ გეძინება?

— არა.

— ჰოდა, გავფრინდეთ ნექტარზე და მერე ვნახოთ.

— რას ნიშნავს „მერე ვნახოთ“? ფრენის დროს რომ დამეძინოს, მერე გაზაფხულზე გამომეღვიძოს და ისევ გადავიქცე ადამიანად, გამოცდებს რაღა ეუყო? შენი გულისთვის ყველა საგანში ორიანი უნდა მივიღო?

— დიდი რამე, — მიპასუხა კოსტიამ. — სახლში, რომ მოკლა, ვერ დააძინებ და ახლა, დახეთ, ეშინია, ფრენის დროს არ დაეძინოს. ნუ გეშინია, არ დაგეძინება. პასუხს მე ვაგებ.

— არ დამეძინება?

— რა თქმა უნდა, არ დაგეძინება. შემოდგომაზე, იცი, როგორი პეპლები იძინებენ? ჩვეულებრივი. ჩვენ კი არაჩვეულებრივი პეპლები ვართ.

— მაინც, როგორები ვართ?

— როგორი და ადამიანისებრი პეპლები ვართ! — დამიღრიალა მალინინმა.

— მერე? — მეც დავუღრიალე მალინინს.

— მერე ის, რომ ადამიანისებრ პეპლებზე ბუნების ეს კანონი, იქნებ, არ ვრცელდება.

— იქნებ, არ ვრცელდება, მაგრამ, იქნებ, ვრცელდება!

ასეთი ქარაფშუტობისათვის მინდოდა გამელანძღა კოსტია მალინინი, უფრო კი იმიტომ, რომ პეპლების კოლექცია ჰქონდა, ბუნების ეს საშინელი კანონი კი დამიმალა, მაგრამ ამ დროს ფრთების ფათქუნით თავზე გადაგვიფრინა ბეღურამ და მაშინვე უკან გამობრუნდა.

თვალი მოჰკრა თუ არა ბეღურას მალინინმა, ხმა გაკმინდა, მოიკუნტა და სახურავის ქვეშ შეძვრა.

ბეღურა კედელზე ჩემ სიახლოვეს დაჯდა და ცალი თვალით დამიწყო ცქერა. ბეღურის სახე მეცნო, რომ შებრუნდა და გვერდი ჩემკენ ქნა, მაშინვე ვიცანი: ეს ის კუდმოფცქვნილი ბეღურა იყო, შვრიაზე რომ წაეჩხუბე ჩვენს ეზოში.

— გამარჯობა, ჩაჩი! — დავუყვირე ჩემს ძველ ნაცნობს. — ხომ არ მემდური?

— ბარანკინ, ჩქარა დაიმალე! — შემომესმა ზურგიდან კოსტიას ხმა. — შეგეპარა!

— ვინ შემეპარა? ბარანკინს ბეღურების არასოდეს... — ჯერ არ დამემთავრებინა წინადადება, რომ სახურავიდან გამოფრინდა მალინინი, ფეხში მწვდა და რკინის ღარის ქვეშ შემათრია.

კუდმოფცქვნილი ბეღურა წამში ჩემს ადგილზე გაჩნდა, რომ ვეღარ დამინახა, იქაურობა მოათვალიერა, მერე მიფრინდა მძინარე ჭინჭარასთან, ყურადღებით დააცქერდა, ჩაუნისკარტა, წუთში გადასანსლა და, ვითომ აქ არაფერიო, გაფრინდა.

მე სახურავის ქვემოდან გამოვიჭყიტე. თვალი გავაყოლე ბეღურას, მერე მალინინს მივაცქერდი.

— დამავიწყდა შენი გაფრთხილება, ბარანკინ, — დამნაშავესავით თქვა კოსტიამ, — ნამდვილ ბეღურებს პეპლების სანსლვა ძალიან უყვართ, ასე რომ, ერიდე!

რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა კოსტიასთვის მეთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი იმ წუთს მასზე და პეპლების ცხოვრებაზე, მაგრამ ფეხები მკერდზე დავიკრიფე და არაფერი ვთქვი, თავი შევიკავე. ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ მალინინი არ ვიყავი, ბეღუ-

რობა რომ მოსწყინდა და აწუწუნდა. მე ბარანკინი ვარ! რაკი გადავიქეცი პეპლად, ყველა სიძნელე და არაადამიანური წამება უსიტყვოდ, ვაუკაცურად უნდა ამეტანა! მით უმეტეს, ისე მშიოდა, რომ მალინინთან ჩხუბის თავი არ მქონდა.

ოცდამეერთე უაიერაკი

საზენიტო კმეი

მე და კოსტიამ შეეიცადეთ, სანამ ბეღურა გაფრინდებოდა, მერე სახურავიდან ფრთხილად გამოეძვერით და ნექტარის ამოსაწუწნად იმ ყვავილნარისაკენ გავემართეთ, ქვევით რომ მოჩანდა. მე, რა თქმა უნდა, ისევ ისე ვინთქებოდი ჰაერის ორმოებში, მაგრამ ის განცდა — თითქოს სიხარულისაგან ვკვდები — რატომღაც აღარ მქონდა და არც აღტაცების „უჰ“ და „ოჰ“ მომგუნებებია.

— ჩიტები მხოლოდ ზევით არიან საშიში, — თქვა მალინინმა, — ამიტომ რაც შეიძლება მიწასთან ახლოს ვიფრინოთ. ყოველი შემთხვევისათვის, დაინახავ თუ არა ბეღურას, შეინიღბე.

„შეინიღბე“! კი მაგრამ, სანამ ნექტარს მივირთმევ, მე თვითონ რომ მიმირთვან, მაშინ?“ — მინდოდა ეს შეკითხვა მიმეცა მალინინისათვის, მაგრამ ისევ თავი შევიკავე და გავჩუმდი. ყვავილნარი სავსე იყო წითელი, თეთრი და ლურჯი ყვავილებით. ირგვლივ ისეთი ნექტრის სუნი ტრიალებდა, როგორიც ჩვენს სამზარეულოშია ხოლმე, როცა დედა ნამცხვრებს აცხობს.

ნექტარი ისეთ სურნელს აფრქვევდა, რომ ნერწყვი მომივიდა და თავბრუ დამეხვა. ყურს უკვე ვეღარ ვუგდებდი კოსტიას. ამოვარჩიე ყველაზე დიდი ყვავილი და თავს დავტრიალებდი, დასაჯდომად ადგილს ვეძებდი.

— დასცხე მაგას! — გაისმა უცებ ჩემს უკან ვიღაცის გამკივანი ხმა.

მე ჰაერში გადავტრიალდი და შორიახლოს ბარებით შეიარაღებულ ბიჭებს მოვკარი თვალი, ისინი ქუდებს იქნევდნენ და კისრისტეხით გამორბოდნენ ჩემკენ.

— ეგ არაფარდი პარკხვევიაა! არაფარდი პარკხვევია! დასცხე მაგას! მე მაგას ვიცნობ! — დაიყვირა ერთმა მათგანმა, პირში თითები ჩაიდო და გამაყრუებლად დაუსტვინა.

რადგან, კოსტიას სიტყვით, მე კომბოსტოს პეპელა ვიყავი და არავითარი საერთო არ მქონდა პარკხვევიასთან, ამიტომ ყურიც არ

ვაოხოვე ბიჭების ყვირილს, ისევ მშვიდად გაღავბრუნდი ჰაერში და თავზე შემოვევლე იმ დიდ ყვავილს, გემრიელი ნექტარის სურნელი რომ ასდიოდა. ამ დროს უკანიდან უზარმაზარმა ჩრდილმა დამფარა, ჩემს ფოთლებთან რაღაცამ გაიზუილა და ჰაერის ტალღამ მიწაზე დამანარცხა.

— ვა-შაა! ჩამოვაგდეთ! — დაიყვირა ერთ-ერთმა ბიჭმა და ქუდი ჰაერში დაატრიალა.

ბიჭის ხმა მეცნო.

— არა, ვერ ჩამოვაგდეთ! — თქვა მეორე ბიჭმა. — ყვავილებში ჩაიმალა! მოძებნე!..

მეორე ბიჭის ხმაც ნაცნობი იყო, დავაკვირდი არაფარდ პარკხვევიას გამანადგურებლებს და ჩემი თანაკლასელები ვიცანი: ერთი ვენკა იყო, აი ის ვენკა, შურდულს რომ გვესროდა მე და კოსტიას, როცა ბეღურები ვიყაკით; მეორე კი მუქთახორა ვენკას ძმაკაცი გენკა კარამისლოვი იყო.

„დამაცადე, ვენკა! — გავიფიქრე ჩემთვის. — შენი ბედი, რომ ახლა პეპელა ვარ, თორემ გაგისწორდებოდი!“ ვენკა და გენკა ისევ ბალახებს ქექავდნენ, ყვავილებში მეძებდნენ, მაგრამ არ დავბნეულვარ, როგორც კი მიწაზე დავეცი, იმწამსვე დაეკეცე ფრთები და ისეთი სახე მივიღე, ვითომ პეპელა კი არა, არყის ხის გამხმარი ფოთოლი ვიყავი. ბავშვები ჩემ წინ იტკეპნებოდნენ, ერთმა ფეხსაცმლის ცხვირიც კი გამკრა. ცოტა დავიცადე და, როგორც კი შებრუნდნენ, ავხტი და გავფრინდი.

— აგე! — დაიყვირეს პარკხვევიას გამანადგურებლებმა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მე მაღლა აეფრინღი და სრულიად მოულოდნელად მალინინის გვერდით გავჩნდი.

— რომ დაგიძახე, გაფრინდი-მეთქი, — დამჭყიტა შეშინებულმა კოსტიამ, — ყვავილებში რაღას შეძვერი.

— ისინი ყვიროდნენ „არაფარდ პარკხვევიას დასცხეო“, შენ კი მითხარი, კომბოსტოს პეპელა ხარო!

— შენ გგონია, დიდად ერკვევიან ეს ბრიყვები პეპლებში? — თქვა კოსტიამ და ყვავილნარის ზემოთ ბოძზე დაკიდებულ ელექტროსაათზე დაეშვა.

შეეხედე საათს და ფეხით კეფა მოვიფხანე: უკვე თორმეტი საათი იყო, ჩვენი ცხოვრება კი სრულებითაც არ ჰგავდა, კოსტია რომ მიხატავდა, იმ ცხოვრებას. კუჭი მეწვოდა შიმშილისაგან, ვენკა და გენკა კი ყვავილნარს არ შორდებოდნენ, ისინი თვალს მიკრავდნენ, ხელს მიქნევდნენ, თავს მიკანტურებდნენ, თან მოთმინებით

მელოდნენ, ხელმეორედ როდის დავეშვებოდი ძირს. ვერ მოგაგონთვეს, მხახეს რა სულელი! ვფიქრობდი, როცა იქნება, მოსწყინდებათ ლოდინი, წავლენ და აი მაშინ მე და კოსტია დავნაყრდებითმეთქი ნექტრით. მაგრამ იმ უცოდინარებმა ისევ სტვენა და კეპების ქნევა დაიწყეს, მლასძლაედნენ და რაღას არ მეძახდნენ.

— მავნებლების ხმა მესმის! — გავძახე ბოლოს გაბრაზებულმა... — ზინკა ფოკინა ბაღში გელოდებათ, კვირაობა გაქვთ, თქვენ კი პეპლებს დასდევთ!

გენკამ კეპი გვესროლა, ვენკამ კი ბოძზე ამოძრომა დაიწყო, მაგრამ უკანვე ჩავარდა.

— აქ ვერ ისაუზმებს კაცი! — თქვა კოსტიამ, თითქოს მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი.

ოცდამეორე თათერაკი

შეიძლება, ვერასოდეს ველარ გნახოთ... მშვიდობით, მეგობრებო!

— იცი, რა, — ვუთხარი კოსტიას, — მოდი, რომელიმე ბოსტანში ჩავფრინდეთ, ახლა იქ ყოფნას არაფერი სჯობს, ყველაფერი შემოსულია: ბოლოკი, სტაფილო, კომბოსტო! ყვავილებიც ბევრია და ხალხიც ნაკლებია.

— ეჰ, შე უბედურო კომბოსტოს პეპელავ, — მიპასუხა კოსტიამ, — ახლა შენთან ერთად არც ერთ ბოსტანში შეფრენა არ შეიძლება.

— რატომ არ შეიძლება?

— იმიტომ, რომ ახლა ბოსტანში შენისთანა მავნებლებს წამლავენ.

— რითი წამლავენ?

— რითი და სხვადასხვა ქიმიური შხამებით...

ეს რომ გავიგონე, ფრთები ჩამომცვივდა და თვალები ამიჭრელდა.

— ეგ რაღა გამოვიდა?! — აღვშფოთდი მე. — ქუჩაში ფრთების დაგლეჯა გველის, ბოსტანში — მოწამვლა, ცაში კი ბელურები შეეკმას გვიპირებენ... მაშ რატომ გადავიქეცით პეპლებად? იმიტომ, რომ შიმშილით დავიხოცოთ?

— გეყოფა, ბარანკინ, — მითხრა კოსტიამ, — ნუ ღელავ. წამომყევი, ნექტარით გაგიმასპინძლდები! გავფრინდეთ!

— საით გავფრინდეთ?

— სკოლის ბაღისაკენ!

— იქ ხომ ჩვენები ხეებს რგავენ!

— მაგას რა ჯობია! ყველანარში ნექტრით გავძღებით, თანაც ჩვენს ამხანაგებს ვნახავთ...

კოსტიამ ეს ისე თქვა, თითქოს ძალიან ენატრებოდა ჩვენი კლასელების ნახვა.

— კარგი, ვავფრინდეთ სკოლისაკენ! ნაცნობი ბავშვები არიან, იქნებ, ხელი არ გვახლონ!

არ ვიცი, რატომ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მეც მომინდა ჩემი კლასელების ნახვა. მარტალია, ძალიან მშიოდა, მაინც ახლა არაფერი შერჩენია ჩემი სკოლისა და მშობლიური კლასის წინ განავარდებას: ჩემს კლასთან ხომ ბევრი შესანიშნავი მოგონება მაკავშირებდა... ეს ვინ იყო, რომ თქვა „შესანიშნავიო?" ვინა თქვა „მშობლიური კლასის წინაო"! ნუთუ ეს მე ვთქვი — ბარანკინმა? ნეტავი, რა მომდის? მგონი, შიმშილისაგან ეგიჟდები. გონს რომ მოვსულიყავი, ისე შევიბერტყე ტანი, ძალლმა რომ იცის ბანაობის მერე.

კიდევ კარგი, ასე მოვიქეცი, ჩემი უსუსური აზრები შხეფებივით გამცვივდა და გულზე მოშეშვა. ახლა კი შემეძლო, ვაჟკაცურად, ყოველგვარი განცდების გარეშე მეფიქრა ჩემს კლასელებთან შეხვედრაზე. აბა, კოსტია მალინინი კი არ ვიყავი... კოსტიამ ახსენა თუ არა ჩვენი ამხანაგები, თვალები უცნაურად გაუფართოვდა და, მგონი, ცრემლებიც კი მოერია.

— იქ ვისაუზმოთ, — თქვა ნაღვლიანად კოსტია მალინინმა.

— ვისადილოთ და ვივახშმოთ კიდეც, — ვუთხარი მხნედ, რადგან ვგრძნობდი, მარტო საუზმე ვერ დამანაყრებდა.

საათიდან ავფრინდით და სკოლის ბაღისაკენ გავეშურეთ. გასწრებაზე მივფრიხავდით. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ სკოლისაკენ ასე მივიჩქაროდით, მივისწრაფოდით. ჩვეულებრივ სკოლიდან მოვქროდით ხოლმე შინ ასე. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ პირველი მივფრინდებოდი ბაღში, მაგრამ ჩემს ვაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კოსტიას სამი სახლით ჩამოვრჩი. თვალს არ ვუჯერებდი, კოსტია ჩვენს კლასში არც ისე ღონიერ ბიჭად ითვლებოდა. ჩემთან გაჯიბრებას კი ფიზკულტურის გაკვეთილზე ვერაფერ ბედავდა. ფიზკულტურაში ყოველთვის ხუთიანი მეწერა. თუმცა დედაჩემი ამ ხუთიანს არაფრად აგდებდა. გადავწყვიტე, ძალა მომეკრიბა. გიჟივით ავაფარეხუნე ჩემი ყვითელი, სამკუთხა ფრთები, მაგრამ არც ამან მიშველა, კოსტია-მაქაონი თა-

ვის ჭრელჭრელა ფრთებს მიაქნევდა და ისარივით მისრიალებდა. მე კი წარამარა ვეკარდებოდი ჰაერის ორმოებში, აქეთ-იქით ვაწყდებოდი, ყირაზე გადავდიოდი და ხან ერთ ფრთაზე ვეცემოდი, ხან მეორეზე.

კოსტია მალინინმა შეამჩნია თუ არა, რომ ჩამოვრჩი, ჩემდა სამარცხვინოდ, უკან დაბრუნდა და მე, ბარანკინს, კლასში ყველაზე ღონიერს, ისეთი სიტყვები მითხრა, რომ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. „ეი, შენ, კომბოსტოს პეპელავ! ამაზე სწრაფად ფრენა არ შეგიძლია? რა უკან რჩები?" ეს რომ მითხრა, ჯიბრზე კიდევ გამისწრო, მერე ისევ უკან დაბრუნდა, შემდეგ ისევ გამისწრო და დამიყვირა: „ბარანკინ! რა საცოდავად მოფარფატებ, ძალღონე მოიკრიბე! ნექტარი ახლოსაა!" ეს სიტყვებიც არასოდეს დამავიწყდება.

და, აი, როცა მალინინმა თავისი ფრთები ნიჩბებივით მოიქნია და გადიდგულებულმა კიდევ ერთხელ გადამიფრინა თავზე, ფეხებში ვწვდი და ბუქსირით გავყევი. რომ დარწმუნდა, უკან აღარ ვჰჩებოდი, მწარე სიტყვებს აღარ მესროდა. ყველანაირად ცდილობდა, ჩემგან თავი დაეღწია, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— რატომღაც გაძნელდა ფრენა! — თქვა კოსტიამ. — სუნთქვა მიჭირს!

— ჩემი აზრით, ბევრად უფრო გაადვილდა! — ვთქვი მე და გულში გავიცინე: „კარგი ფრთები აქვს კოსტიას, თავი შეიწუხოს, არაფერი უშავს, მეც ბევრი მითრევია ჩემი კუდით, ბეღურა რომ ვიყავი. ახლა ცოტა მაინც დავისვენო".

ფრთები დავკეცე, მალინინის კვალდაკვალ მივსრიალებდი და ვტკბებოდი კოსტიას ფრთების მხატვრული სტვენით, მოსაჩვენებლად დროდადრო ჩემს ტოლფერდა სამკუთხედებს შევათამაშებდი. ასე, ბუქსირით მიმიყვანა კოსტიამ სკოლის ეზომდე, სადაც ჩვენი კლასელები ხეებს რგავდნენ.

— დაამუხრუჭე! მოვედით! — დავუყვირე მე, როცა კოსტიამ ხის კენწეროს გადამატარა და მესერ-მესერ ჩვენი სკოლის აგურის შენობასთან მიმათრია.

ორივენი მესამე სართულის ფანჯრის რაფაზე ჩამოვსხედით, კიდეზე გავცოცდით და დაბლა ჩავიხედეთ. ბაღში ბავშვებს მუშაობა გაეჩაღებინათ. ერთნი ორმოს თხრიდნენ, თან მხიარულად საუბრობდნენ. სხვები სათუთად რგავდნენ ნერგებს ორმოში და მერე წურწურათი რწყავდნენ. კოსტია სერგეევი განზრახ მოთხუპნულიყო მიწით, იმანჭებოდა და ამხანაგებს აცინებდა. ყველა კმაყოფილი იყო! ყველა კარგად გრძნობდა თავს!

— მუშაობენ და იმუშაონ! — თქვა კოსტიამ. — მაგათ იმუშაონ, ჩვენ კი ნექტარს შევექცეთ. ის რომ იცოდნენ, ჩვენ ახლა ნამდვილი ნექტარი უნდა მივირთვათ, შურით გასკდებოდნენ...

— ჩვენი შეშურდებოდათ? — ვკითხე მე.

— ჩვენი, პეპლების!.. — თქვა კოსტია მალინინმა გაუბედავად.

მომაგონდა „მძინარე მზეთუნახავი", უკუდო ბელურამ რომ გადასანსლა, ყური მივუგდე ჩემი მშიერი მუცლის ბუყბუყს, მერე ზიზღით შევავლე თვალი ბელურებს, ტოტიდან ტოტზე რომ ხტოდნენ, და უგულოდ ვთქვი:

— რასაკვირველია, შეშურდებოდათ... მერე ბავშვებს ზურგი შევაქციე და დავინახე. სკოლის ჭიშკარში ველოსიპედით როგორ შემოსრიალდნენ მიშკა იაკოვლევი და ალიკ ნოვიკოვი (ის საბარგულზე იჯდა).

ისინი რაღაცას ხმამაღლა ყვიროდნენ, პირდაპირ ზინკა ფოკინასთან მივიდნენ და ველოსიპედიდან რომ გადმოხტნენ, ზინკას და მის ირგვლივ თავმოყრილ ბავშვებს რაღაცას უამბობდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა. აღარავინ იცინოდა, აღარც ოხუნჯობდა. კოსტია სერგეევმაც ცხვირსახოცით მიწიანი სახე მოიწმინდა და მანშვას თავი ანება.

— რაღაც მოხდა, — თქვა კოსტიამ.

მე მოვიღუშე. მიშკამ და ალიკმა კლასის მამასახლისთან მოითათბირეს, ისევ შესხდნენ ველოსიპედზე და გაქროლდნენ. ზინკა ფოკინამ ხელი მოიჩრდილა და გახედა მათ. მერე კიდევ სამი ბიჭი იხმო, ბარები ჩამოართვა და რაღაც დავალება მისცა.

ბიჭები ქუჩაში გაცვივდნენ და სხვადასხვა მხარეს წავიდნენ.

— ვიღაცას ეძებენ... — მითხრა მალინინმა.

— ვიღაცას კი არა, მე და შენ! — მივუგე კოსტიას.

— გვეძებონ! — თქვა კოსტიამ. — მაგათ გვეძებონ, ჩვენ კი ნექტარი მივირთვათ. მაშ, გავფრინდეთ!

ხმა არ ამომიღია. საშინლად მშიოდა. ნექტარიც სულ ახლოს იყო, მაგრამ ბელურებიც იქვე იყვნენ და იმათი ჟღურტული მადას მიკარგავდა.

„რომ შეგვჭამონ!.." — გავიფიქრე და გავხედე ბელურებს, ყვავილნარში რომ დახტოდნენ. სულ სხვა რამე გავიფიქრე და სულ სხვა რაღაც ვთქვი.

— გავფრინდეთ! — წამოვიძახე ხმამაღლა და მტკიცედ, ჩემთვის, ჩუმად კი დავუმატე: „მშვიდობით, მეგობრებო! მე და კოსტია ბელურებმა თუ შეგვსანსლეს, ველარასოდეს ვერ ვნახავთ ერთმანეთს!.."

ფრთები გავშალე, ფანჯრის რაფიდან მერცხლურად ისე ვისკუპე, თითქოს საბანაო კოშკურიდან ცივ წყალში ვხტებოდი, და პირდაპირ ყვავილნარისაკენ დავეშვი...

ოცდამესამე ფათერაკი

ცემინების საწინააღმდეგო აცრა

ჰაერში ნექტარის სურნელი ტრიალებდა, თითქოს დედას გამომცხვარი ნამცხვრის სუნი გამოდიოდა სამზარეულოდან. ნერწყვი მომადგა და ისევ დამეხვა თავბრუ. ფრთები მოვკეცე, ყველაზე დიდი ყვავილი ამოვიღე მიზანში და მისკენ თავით დავეშვი, მაგრამ ავცდი (ეს სულაც არ გამკვირვებია!) და უკანა ფეხებით ბალახებში ჩავვარდი. რის ვაივაგლახით დავაღწიე თავი ბალახს და ახლიდან შევუდექი საქმეს.

ამჯერად ღეროს ავუყევი და ყვავილზე რომ ავცოცდი, შიგ შუაგულში ჩავუშვი ხორთუმი, სადაც, ჩემი ვარაუდით, ნექტარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დიდი ხნის ნატვრა გამიცრუვდა: ნექტრის სურნელი კი იდგა, მაგრამ ნექტარი არ იყო. მართლაც, ისეთი საამო სუნი მომდიოდა, დედაჩემის სუნამოს ცარიელ ბოთლს რომ ასდის ხოლმე, მაგრამ სახეირო ვერაფერი მოვიძიე. სხვა რა გზა მქონდა, ავდექი და ყვავილში თავით ჩავძვერი. მარტო ფრთები და ფეხებიღა მქონდა ზემოთ აშვერილი. სიბნელეში ხორთუმით ფათური დავიწყე, მაგრამ ამ დროს ყვავილიდან ვიღაც გამოძვრა და ზედ შემეფეთა. ვიფიქრე, ალბათ, რომელიღაც უცხო პეპელამ დამასწრო, ყვავილში ჩაძვრა და, რაც ნექტარი იყო, ამოწუწნამეთქი. გავბრაზდი. მე ამ ნექტრისთვის, შეიძლება ითქვას, სიცოცხლეს ვწირავ, ეს კი, ვიღაცაა, თვალსა და ხელს შუა მაცლის-მეთქი. ავიღე და თავით ვეძგერე პეპელას. პეპელამ მუქარით დაიზუზუნა და ახლა ის დამეტაკა, მერე თავი თავზე მომაჭირა და ყვავილიდან ისე გამომაძევა, კბილის პასტას რომ გამოდენიან ხოლმე ტუბიდან. სიბრაზისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, რაც ძალი და ღონე მქონდა, მტვრიანას ფრთები დავცხე. დადგა ბუღი, მაგრამ რა ბუღი... კინაღამ დავიხრჩე.

— ეგრე ხომ, პეპელა! — ვთქვი მე და ფრთებით დავიწყე მტვრის გაფანტვა. — არაფერი მინდა, ერთხელ კიდევ გამოჩნდებოდე, მაგ ფეხებს... ა-აფ-ცხი!!! გიჩვენებ სეირს, სხვისი ნექტარი... ა-ა-ფ-ცხი!..

სანამ მე ვაცემინებდი, ვხედავ, ყვავილიდან პეპელა კი არა... ფუტკარი გამოძვრა, ნამდვილი, ზოლებიანი ფუტკარი, გეგონებოდათ, პიჟამა აცვიაო. გამოძვრა ყვავილიდან და თავისი გადმოკარკლული თვალებით დამაცქერდა. ის მიყურებს, მე კი, ყვავილის კიდეზე წამოსკუპებული, შიგ ცხვირ-პირში ვაცემინებ და, რაც მთავარია, ცხვირის ცემინებას ვერ ვიკავებ. ფუტკარი, ეტყობა, დაიბნა, ზუზუნიც შეწყვიტა, მე ვაცემინებდი, ის კი ზხეფებს ფეხით იწმენდდა, მე ვაცემინებდი, ის კი იწმენდდა და ხმას არ იღებდა. ერთი ათჯერ მაინც დავაცემინე მის ცხვირწინ და გავწუწე. მერე გონს მოვეგე და, ცოტა არ იყოს, შევძრწუნდი კიდეც. „ბარანკინ, — ვუთხარი ჩემს თავს, — ვისთან აცემინებ, ბარანკინ? ფუტკართან აცემინებ, საცოდაო კომბოსტოს პეპელავ?.. ახლავე გიჩვენებს... აფ-ცხი!.. თუ აგიცრა ცემინების საწინააღმდეგო, აი, მაშინ ნახავ!.. აფ-ცხი!.. როგორ უნდა ფუტკართან დაცემინება!.. გახსოვს, ერთხელ სოფელში, როცა ადამიანი იყავი, ფუტკრებმა რომ დაგკბინეს?.. აფ-ცხი! კარგად იცი, რა მწარეც არის!..“

„ვიცი!“ — ვუპასუხე ჩემს თავს და, როგორც ვიჯექი ყვავილზე, ისევე გადავვარდი ბალახებში გულაღმა. რამდენჯერმე გადავყირავდი, მერე ჩემი ცარიელი ხორთუმი ავიკეცე, ფრთები გავისწორე და გავქუსლე. გავშორდი ფუტკარს, ყვავილნარს და გავწიე ბუჩქებისაკენ, გზის გადაღმა, ხეებს იქით, სადაც ბუჩქნარში კოსტია მალინინის ჭრელი ფრთების მსგავსი რაღაც მოჩანდა.

მეგონა, მალინინმა უსირცხვილოდ მიმატოვა მარტოდ ყვავილნარში, თურმე ნუ იტყვით, ისიც ფუტკარს შეუმწყვდევია ბუჩქებში, უკან დასდევს და ფუტკრის ენაზე რაღაცას მკაცრად დაზუზუნებს.

„ახია მაგაზე! — გავიფიქრე და თვალს ვადევნებდი, როგორი გულმოდგინებით დასდევდა ფუტკარი კოსტიას. — აფსუს, რომ ერთი ფუტკარი დასდევს, სიამოვნებით კიდევ ას ფუტკარს მაინც მივუსვევდი მალინინს, რომ შემდეგში ენა აღარ ატარტალოს და ამხანაგები არ შეაცდინოს. „ყვავილიდან ყვავილზე ვინავარდებთ!.. ლაღად ვიფრენთ ბუმბულივით მსუბუქი ფრთებით! ნექტრით ჩავიტკბარუნებთ პირს!“ კარგი იქნება, აი, ეს ფუტკარი რომ გაუმასპინძლდებოდეს „ნექტრით“, მაშინ მეორეჯერ აღარ მოისურვებს პეპელად გადაქცევას... აფ-ცხი!“

— მიშველეთ! — დაიყვირა ამ დროს მალინინმა. — ბარანკინ! სად ხარ? ვაი, დედა!

მინდოდა, კიდევ ცოტა ხანს ვადევნა ფუტკარს კოსტიასათვის,

ჭკუა ესწავლებინა, მაგრამ ისეთი შესაბრალისი ხმით დაიყვირა, რომ შემეცოდა, თანაც მომაგონდა, რომ მალინინი ადამიანი არ არის, ახლა ის პეპელაა. ფუტკარი უკბენს, ჰოდა ავად გახდება ან კიდევ უარესი დაემართება — მოკვდება ფუტკრის შხამისაგან. მაშინ რაღა ექნა?.. რომ არ ვიცი, როგორ იტანენ პეპლები ფუტკრის ნაკბენს? იქნებ, სულაც ვერ იტანენ...

პატარა ჯოხი მოვიმარჯვე, ფუტკარს უკანიდან მივეარდი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, თავში ჩავცხე. დარეტიანებული ფუტკარი ბუჩქებში ჩავარდა, მე კი, რადგანაც ძალიან მშიოდა, თვალთ დამიბნელდა, ფეხი მომეკვეთა და ფარფატით ბალახზე დავეცი.

ოცდამეოთხე ფანერაკი

...მაგრამ გუნების საუნელი კანონი მოქმედებას იწყებს

თვალები რომ გავახილე, დიდი გუბის პირას ვიწექი, გვერდით ჩემი საუკეთესო მეგობარი მალინინი მეჯდა და თავის ლამაზი ფრთებით მინიავებდა.

სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რისთვის გავახილე თვალები. თვალის გახელა სრულებით არ მინდოდა, არც „უჰ! ოჰ!“ და „ეიშ რა კარგიას“ ძახილი მეწადა. აღარც იმის სურვილი მქონდა, რომ სიხარულისაგან მეკივლა. ანდა კივილის თავი სად მქონდა? ცხვირში სულ ის წყეული ყვავილის მტვერი მიღიტინებდა და ცხვირს ვაცემინებდი... აფ-ცხი!.. გულ-მუცელში გაქრა იმის შეგრძნება, — თითქოს სიხარულისაგან ვკვდები... აფ-ცხი!.. რაღაცისაგან რომ ვკვდებოდი, ამას კი ვგრძნობდი, მაგრამ არ ვიცოდი, რისგან!.. ალბათ, შიმშილისაგან... ყველაფერი გაქრა. იმასღა ვგრძნობდი, რომ სუნთქვა მეკვროდა და რატომღაც სულ უფრო და უფრო მიძნელდებოდა სუნთქვა. აი სადაცაა, სულს დავლევდი... და კიდევ — აფ-ცხი! — დამაცემინა!.. უკვე დაცემინების თავიც აღარ მქონდა...

— რატომ წევხარ, ბარანკინ? — შემეკითხა კოსტია.

— მინდა წოლა და ვწევარ... — მივუგე მე. — აფ-ცხი!..

რა დამემართა, ვერაფრით ვერ მოვრჩი ამ ცემინებას!

— გაცივდი, თუ რა დაგემართა?

— არა, არ გავციებულვარ, მაწყინა ბევრმა „უჰ, რა კარგიას“ ძახილმა, — ვთქვი მე.

მალინინმა რაღაცნაირად ნაღვლიანად გააქნია თავი, ღრმად ჩაისუნთქ-ამოისუნთქა და მითხრა:

— იცი, კიდევ სად შეიძლება ნექტარი ეიშოიოო?

— დაიკარგე აქედან შენცა და შენი ნექტარიც... აფ-ცხი! — ზიზღით აესედ-ღაეხედე კოსტია მალინინს და კინაღამ გადავიხარხარე.

გუბის პირას მჯდარი მალინინი თავით ფეხებამდე ყვავილის მტვერში იყო ამოგანგლული, ერთი ფრთა გაშეშებოდა, მეორე კი ძაღლის ყურივით ჩამოფლარტოდა, ისეთი შესაბრალისი ჩანდა, რომ მაინც ძალიან შემეცოდა, მაგრამ ამჯერად თავი შევიკავე, არ შევიმჩნიე.

უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე, პირუჩუმრად მიეფრინდი გუბესთან და სიამოვნებით შევსეი წვიმის წყალი.

მალინინმა ერთხელ კიდევ სცადა ჩემთან საუბარი, მაგრამ შეკითხვაზე პასუხს არ ვაძლევდი. გადავწყვეტე, არასოდეს აღარ დავლაპარაკებოდი.

ვსვამდი და ვსვამდი გუბიდან წვიმის წყალს (ღაპირებული ნექტრის მაგივრად!) და ვფიქრობდი. ნუთუ შეეცდი? არა, ყოვლად შეუძლებელია, რომ ქვეყნად არ არსებობდეს ისეთი ცხოვრება, როგორზედაც ბაღში სკამზე ჩამომჯღარი ვოცნებობდი! ასეთი ცხოვრება არსებობს და, რადაც არ უნდა დამიჯღეს, უნდა მიეაგნო! უბრალოდ, მე და კოსტია მალინინს არჩევანი შეგვეშალა. რა თქმა უნდა, შეცდომა იყო ჩვენი ბეღურად და პეპლად გადაქცევა. ახლა ეს სავსებით ნათელია. მათი ცხოვრება მხოლოდ შორიდან ჩანს წარმტაცი, სინამდვილეში კი აუტანელია. რატომ უნდა იყოს ასე? ვიჯექი ჩუმად, ვსვამდი წყალს და ვფიქრობდი. ბოლოს გადავწყვიტე, ისეთი ცხოვრება, როგორზედაც მე და მალინინი ვოცნებობდით, ალბათ, არ არსებობს-მეთქი.

სწორედ ამ დროს ჩემ გვერდით, გუბის პირას, ჭიანჭველამ გაირბინა. იგი ცოტას რომ გაირბენდა, მერე შეჩერდებოდა, მერე ისევ გაირბენდა. ვუცქეროდი ჭიანჭველას და ჩემს მტანჯველ ფიქრს განვაგრძობდი: „...რაკი ასეთი ცხოვრება აქ, დედამიწაზე, არ არის, იქნებ, იქ, მიწის ქვეშ, იყოს. თუ ყოველგვარი შრომა-ჯაფისაგან ფრენით თავის დაღწევა შეუძლებელია, იქნებ, დამალვამ მაინც გვიშველოს. ვთქვათ, დავიმალოთ ამ ჭიანჭველების ბუდეში“, — თვალი გავაყოლე ჭიანჭველას და ეჭვით თავი გადავაქნიე. ჭიანჭველების ბუდეში დამალვა კი შეიძლება, მაგრამ როგორ გინდა დაალწიო თავი ჭიანჭველებს? ესენი ხომ გასოქმულნი არიან შრომის-

მოყვარეობით. რამდენი არ მითვალთვალია, მაგრამ უქმად მყოფი ჭიანჭველა არ მინახავს. მუდამ მირბი-მორბიან, პაწია ფოთლებს, რაღაც ნამცეცებს ან ნაძვის წიწვებს დაათრევენ... დილიდან საღამომდე თავს დასტრიალებენ თავიანთ ბუდეს... გადაიქცევი ჭიანჭველად და გაიძულებენ მათთან ერთად მშენებლობაზე ოფლი ღვარო. არა, თუ ერთხელ კიდევ ვცადეთ ბედი, სჯობს სხვა არსებად გადავიქცეთ, ჭიანჭველად კი არა!.. მაინც ისეთი რა მოვიფიქრო, რად გადა-ვიქცეთ, რომ ისევ იმ საშინელ ჩხუბსა და დავიდარაბაში არ ჩავცვივდეთ. მე და კოსტიამ მაშინაც ძლივს დავაღწიეთ თავი! მაშ, რად გადავიქცეთ? რად?..“

უცბად მომაგონდა, იმ ნავს დღეს საერთო კრებაზე ალიკ ნოვიკოვმა რატომღაც მუქთახორა ფუტკრები რომ გვიწოდა! მუქთა-ხორე-ბი! მოიცათ! მოიცათ! კი მაგრამ, რას ნიშნავს მუქთახორა? მუქთახორა? მუქთახორა ისეთი სულიერი გახლავთ, რომელიც სწორედ ისეთ ცხოვრებას ეწევა, მე და კოსტია სკამზე ჩამომსხდარნი რომ ვოცნებობდით! ეს თუ ასეა, მაშ რატომღა ვიქეცით ბეღურებად ან პეპლებად? რა სულელები ვართ! ნამდვილი სულელები ვართ!

— მალინინ! — შევძახე მე (მივხვდი თუ არა ჩვენს შეცდომას, რაღა თქმა უნდა, კოსტიაზე გული მომილბა და გადავწყვიტე, ჩემი ალმოჩენა მისთვისაც გამეზიარებინა). — მალინინ! ოჰ, რა სულელები ვართ, მალინინ!

— სულელები ვართ, აბა რა! — სიამოვნებით დამეთანხმა მალინინი. — განსაკუთრებით შენ, ბარანკინ!..

— მე ნამდვილი იდიოტი ვარ, მალინინ! თავიდანვე რატომ ვერ მოვისაზრე!.. რამდენი დრო დაეკარგეთ უქმად!

— მართლაც! — დამეთანხმა კოსტია.

— რად გვინდოდა, პეპლებად და ბეღურებად რომ გადავიქეცით?

— მეც სწორედ ეგ მინდოდა მეკითხა, ბარანკინ! — თქვა მალინინმა. — რაში გვჭირდებოდა მე და შენ ბეღურებად და პეპლებად გადაქცევა.

— თავიდანვე მამალ ფუტკრებად უნდა გადავქცეულიყავით!

— მამალ ფუტკრებად? რატომ მამალ ფუტკრებად? — შეჰყვირა შეშინებულმა კოსტია მალინინმა.

— იმიტომ, რომ მამალი ფუტკრები მუქთახორები არიან, არასოდეს არაფერს არ აკეთებენ, ან იმას აკეთებენ, რაც თვითონ სურთ. მე და შენ კი, სკამზე რომ ვისხედით, სწორედ ასეთ ცხოვრებაზე ვოცნებობდით!

— იცი, რა, ბარანკინ! — რაღაც საზიზღარი ხმით მიიხრა მალინინმა. — უსაქმური ცხოვრებისთვის უკვე იმდენი ძალ-ღონე დავხარჯე, რომ... მერჩივნა რამე მეკეთებინა!

— მალინინ! — დაეუყვირე კოსტიას. — არც მე დამიხარჯავს შენზე ნაკლები ძალ-ღონე! ახლა კი გადავიქცეთ მამალ ფუტკრებად და დავისვენოთ!

— რაო, გადავიქცეთო! — დაიღრიალა მალინინმა. — ისევ გადავიქცეთ?.. კმარა, ბარანკინ! ორჯერ გადავიქეცი და უკვე ყელამდე ვარ!

— კოსტია! ის ორი არ ითვლება, რადგან იმად არ გადავიქეცით, რადაც უნდა გადავქცეულიყავით.

— ვითომ რატომ არ ითვლება?

— იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გადავიქცეთ იმ არსებად, რადაც გვმართებდა გადაქცევა. ჩვენ, წესით, მამალ ფუტკრებად უნდა გადავქცეულიყავით.

— რომელ მამალ ფუტკრებად?.. — უცბად რაღაც მშვიდად და გულგრილად მკითხა კოსტიამ.

— რა მოგვიდა? როგორ არ იცი მამალი ფუტკრები?

— მე არ ვიცი, როგორები არიან მამალი ფუტკრები, — მიპასუხა მალინინმა, თან რატომღაც გაიზმორა და დაამთქნარა.

— აბა, რას ამბობ, კოსტია, — ვუთხარი დაბნეულმა, — შენ უნდა იცოდე, როგორებიც არიან...

— მაინცდამაინც მე რატომ უნდა ვიცოდე?.. შენ იცი, ბარანკინ?

მინდოდა დამეყვირა, რასაკვირველია, ვიცი-მეთქი, მაგრამ ხველა ამიტყდა და ვეღარაფერი ვთქვი, იმიტომ რომ... გულახდილად რომ გითხრათ, წარმოდგენა არა მქონდა, როგორები იყვნენ ეს გასაოცარი მამალი ფუტკრები... ჰოდა ამის მაგივრად სულ სხვა რამე ვთქვი:

— რა მოგვიდა, მალინინ... არ. გახსოვს, ნინა ნიკოლაევნამ რომ გვიამბო მამალ ფუტკრებზე და სურათებიც კი გვაჩვენა.

— არ მახსოვს, — მიპასუხა მალინინმა, — და არც შენ გეხსომება...

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ სწორედ იმ გაკვეთილზე მე და შენ ახალ ენას ვქმნიდით...

ეს კი მართალი იყო, იმ გაკვეთილზე მე და კოსტია ყურს არ ეუგდებდით ნინა ნიკოლაევნას — ახალ ენას ვქმნიდით: ძნელი ამოცანა გვქონდა გადასაწყვეტი: ისეთი ენა უნდა შეგვექმნა, რომელ-

ზედაც მთელ დედამიწის ზურგზე მხოლოდ მე და მალინინი ვილაპარაკებდით. ამიტომ სად გვეცალა ნინა ნიკოლაევნასთვის და მუქთახორა ფუტკრებისათვის...

— მოიცა, მალინინ, შენ ხომ ხანდახან მაინც იყურებოდი დაფისკენ? — ვუთხარი მე.

— მერე რა?

— იქნებ, შემთხვევით მაინც დაგამახსოვრდა, როგორები არიან მუქთახორა ფუტკრები?

— არაფერიც არ დამმახსოვრებია, — თქვა მალინინმა, თან ისევ გაიზმორა და დაამოქნარა.

— განზრახ ხომ არ ამბობ მაგას? იქნებ, არ გინდა მამალ ფუტკრად გადაიქცე?

— პატიოსნებას გეფიცები!!!

პირდაპირ თავზარი დამეცა. არც მე და არც მალინინმა არ ვიცოდით, როგორი იყო მამალი ფუტკარი.

რა გამოდის? ესე იგი, საქმე ჩაგვეშალა? ესე იგი, ვერ გადავიქცევით მამალ ფუტკრებად?! აბა, რანაირად გადაიქცევი, ბარანკინ, თუ არ იცი, როგორია ის, რადაც შენ უნდა გადაიქცე! მაინც რაღა იმ გაკვეთილზე ვიყავი სხვა საქმით დაკავებული! ეჰ, ბარანკინ, ბარანკინ! ახალი ენის შექმნაზე კი არ უნდა გეფიქრა, ყური უნდა დაგეგდო ნინა ნიკოლაევნასათვის.

— მუშ... მუშ... მუშ... — უცბად ალუღლუღდა მალინინი. — გავიხსენე, გავიხსენე... პატარა ფუტკრები... ფრთ... ფრთ... ფრთ... ეს რომ თქვა, მალინინი რაღაც უცნაურად დაბარბაცდა და გვერდზე გადაწვა.

— ფრთ... ფრთ... ფრთ... ფრთები აქვთ! — წავეშველე მე. — მართალი ხარ, მალინინ!

მომაგონდა! ახლა მეც მომაგონდა ჩვენი კლასის დაფაზე დაკიდებული სურათი. მართლა პატარები იყვნენ ჩვენი, როგორც იტყვიან, მამრობითი სქესის ფუტკრები, ფრთებიც პატარა, გამჭვირვალე ჰქონდათ...

გვეშველა! აი, ახლა კი ნამდვილად დავისვენებთ მე და კოსტია! არაფრის დარდი არ გვექნება. მთელი ჩემი იმედები, მთელი ენთუზიაზმი და უქმად დახარჯული ძალ-ღონეც კი, — ყველაფერი, ყველაფერი ერთად დამიბრუნდა!

— ადექი, მალინინ! — დავუყვირე კოსტიას. — რა დროს წოლაა! მუშაობა საჭირო! სიტყვა „მუშაობაში" ვგულისხმობდი ერთადერთი აუცილებელი, ერთადერთი, სწორი, ერთადერთი ჭკვი-

ანური საქმის განხორციელებას — გადაქცევას მამალ ფუტკრად. — ადექი, რაღა, მალინინ! — დავიპყრავლე უცხო ხმით, მოუთმენლობისაგან სულ ვცახცახებდი, მინდოდა, რაც შეიძლება მალე შეგვევსო მე და მალინინს მამალი ფუტკრების, ესე იგი, მუქთახორების რიგები.

მაგრამ რატომღაც ჩემმა აღტაცების შეძახილებმა არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა კოსტიაზე.

მალინინი ისევ გვერდზე იწვა, პასუხად რაღაც წაიბუტბუტა, მაგრამ ვერც ერთი სიტყვა ვერ გავარჩიე.

— რას ამბობ? — ვკითხე მე.

— ხრ-რრ... — თქვა კოსტიამ.

— კოსტია, რა მოგდის? — დავუყვირე მალინინს, ფეხში ხელი წავავლე და მთელი ძალით შევაჯანჯღარე, — რა მოგვიდა?.. თავი მოიმძინარე ხომ? ესე იგი, არ გინდა მამალ ფუტკრად გადაიქცე? ჯანდაბა შენს თავს! ავდგები და მარტო მე გადავიქცევი!

— ხრ-რრ! — გამომეხმაურა მალინინი და ისეთი სისულელეების ლუღლუღს მოჰყვა, მაშინვე მივხვდი, რომ მართლა ეძინა!

კოსტია მალინინს სძინავს! მოაგონდა, როგორიც არის მამალი ფუტკარი და სწორედ ახლა ჩაეძინა! ასეთ გადამწყვეტ წუთს ჩაძინება გაგონილა! სწორედ ახლა უნდა გადაექცეულიყავით! დაეძინა ბუნების საშინელი კანონის ძალით. შემოდგომაზე ხომ ყველა ნამდვილი პეპელა იძინებს და, აი, მალინინსაც დაეძინა... არც გამაფრთხილა, ვიძინებო. ისე კი, რომ გეკითხათ, ეს კანონი ჩვენზე, ადამიანისებრ პეპლებზე, არ ვრცელდებაო. თვითონ კი დაიძინა, აი, იმ „მძინარე მზეთუნახავივით", ბელურამ რომ გადასასლა... კიდევ კარგი, ახლომახლო არ ჩანან ბელურები... არა! ჯერ არ ჩანან, მაგრამ განა მათ გამოჩენას ბევრი დრო სჭირდება? უნდა გამოვაღვიძო, საჩქაროდ უნდა გამოვაღვიძო... სანამ გვიან არ არის, სანამ დაწყეველილი ბელურები არ გამოჩენილან!

ვაჯანჯღარებდი კოსტიას, ფეხს ვკრავდი გვერდში, ფოიბით ვეწეოდი, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო — კოსტია მალინინი არ იღვიძებდა. გუნება წამიხდა.

— კოსტია! — დავიღრიალე. — ახლავე გაიღვიძე! გესმის? გაიღვიძე, თორემ სამუდამოდ გაგებუტები.

— ხრ-რ-რრ, — ამოიხრიალა კოსტია მალინინმა.

„თუ როგორც ადამიანს, ისე დაეძინა, რასაკვირველია, გამოვაღვიძებ, — გავიფიქრე მე, — მაგრამ თუ პეპელასავით გაზაფხულამდე დაიძინა, თანაც განრიგით, მაშინ?.. მაშინ!.. მაინც უნდა გა-

ვაღვიძო! რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გავაღვიძო! სჯობს... რა სჯობს?.. სჯობს... ვიცი!... სჯობს წყალი დავასხა...“

ქვიდან გუბის პირას დავფრინდი და ხორთუმით წყლის ამოსუტვა დავიწყე, სწორედ ამ დროს ბუჩქებიდან ჩვენი კლასელების ხმა შემომესმა...

ოცდამეხუთე ფათერაკი

ჩემისთანა პეპელა აქვთ კოლექციაში

— აი, უსამართლობაც ამას ჰქვია! — თქვა კოსტია სემიონოვმა და ბუჩქებიდან გამოყო თავი. — ჩვენ აქ ემუშაობთ, ბარანკინი და მალინინი კი სადღაც კინოში სხედან.

დანარჩენებიც ახმაურდნენ, მე კი ჩემთვის გავიფიქრე: „ერთი თქვენც გიჩვენათ ისეთი კინო, მე და კოსტიამ რომ ვნახეთ!..“

— მართალს ამბობს სემიონოვი! — თქვა ვერა ბოლშოვამ. — თუ მუშაობაა, ყველამ ვიმუშაოთ, თუ არა და, არავინ...

— ბარანკინი და მალინინი გაიქცნენ, სმირნოვი და პენკინი საერთოდ არ გამოცხადდნენ! — თქვა კოსტია სემიონოვმა.

„რამ მოიყვანათ ახლა აქ, — გავიფიქრე და ბალახებს ამოვეფარე, — ნეტავი, დიდხანს აპირებენ აქ ყოფნას?..“

— გააგდონ ბარანკინი სკოლიდან, მორჩა და გათავდა! — დაიყვირა ერკამ გაჯავრებით. — გვეყოფა მაგასთან ლოლიავი!

— სად გავაგდოთ? — ქუჩაში? — თქვა ფოკინამ.

— რატომ ქუჩაში? — სამასმეთხუთმეტე სკოლაში გადავიყვანოთ... — უპასუხა კუზიაკინამ.

— რატომ მაინცდამაინც სამასმეთხუთმეტეში? — იკითხა სემიონოვმა.

— იმიტომ, რომ ამ სკოლას ვეჯიბრებით... დეე იქ მიიღოს ბარანკინმა ორიანები! ჩვენთვის კარგიც იქნება!..

— ესე იგი, შენ, ერა, გვირჩევ, სხვა სკოლაში გადავიყვანოთ იურას ორიანები, ხომ? — უთხრა ფოკინამ. — ბარანკინს რაღა ვუყოთ?

— კარგი, თქვენ აქ საქმე გაარჩიეთ, ჩვენ კი წავალთ და გაზიან წყალს დავლევთ! — თქვა კოსტია სემიონოვმა.

— მომწყინდა ამ ბარანკინზე ლაპარაკი, წავიდეთ, — დაუმატა ვალია ჩერევატკინმა.

— ნატურალისტები დარჩით! — თქვა ფოკინამ.

ბიჭები წავიდნენ, გოგონები კი მდელოზე ზინა ფოკინას გარს შემოუსხდნენ. ერთმანეთს რაღაცაზე ესაუბრებოდნენ და კისკისებდნენ.

— ჩუმად, გოგოებო! — თქვა ზინკა ფოკინამ და სქელი წიგნი გადაშალა. — აბა, ყურადღება! ჩვენი დღევანდელი მეცადინეობის თემა იქნება...

— პეპლები! პეპლები! — ერთხმად შესძახეს გოგოებმა და პეპლების საჭერები ხელში შეათამაშეს.

— მართალია, პეპლები! — კვერი დაუკრა ზინკამ და წიგნი გადაფურცლა.

პეპლებიო? რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ... დღევანდელი მეცადინეობის თემა მე და კოსტია ვართ... იცით, რა დამემართა. კინაღამ დავიხრჩე იმ წყლით, კოსტია მალინინის შესასხურებლად რომ დავაგროვე. ესეც ახალი უბედურება!.. ახლა კი გასაგებია, რატომ მოათრიეს ამ ნატურალისტმა გოგოებმა პეპლების საჭერები: იმიტომ, რომ ჩვენ, პეპლები, დაგვიჭირონ... ისე. ახლა საშიშიცაა კოსტიას გამოღვიძება... მე ხორთუმიდან წყალი გამოვუშვი. გამოეღვიძება. ააფარფატებს თავის ლამაზ ფრთებს, გოგოები კი წკაპ — დაიჭერენ!.. რა ვუყო? საგონებელში ჩავვარდი! რომ დავმალო?.. აი, გაზეთის ნაგლეჯი, ავიღებ და გადავაფარებ, არავინ დაინახოს. გაზეთის ნაგლეჯს დავებღაუჭე და კოსტია მალინინისაკენ გავათრიე.

ზინკა ფოკინამ სათვალე გაისწორა, ჩაახველა და საძაგელი ხმით დაიწყო:

— „პეპელა ერთ-ერთი საინტერესო მოვლენაა მწერების სამყაროში...“

ერთი წუთით სულის მოსათქმელად შეეჩერდი, ძალ-ღონე მოვიკრიბე და გაზეთის ნაგლეჯი გზაზე გადავათრიე (ყველაზე საშიში ადგილი იყო, მეშინოდა. არავის შეეემჩნიე), მერე ბალახებში შევძვერი და მივიხედ-მოვიხედე. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. კოსტია მალინინი ისე ხვრინავდა, თითქოს აქ არაფერიაო. გოგონები წყნარად ისხდნენ. ფოკინა კი განაგრძობდა ბუტბუტს:

— „...დიდი მნიშვნელობა აქვს პეპლებს მეურნეობისათვის“.

— უი, ზინოჩკა! პეპელა! პეპელა! — არაადამიანური ხმით შეპყვირა ერთმა ნორჩმა ნატურალისტმა.

მე ყვირილზე მივტრიალდი და გავინაბე.

— აბა, სად? სადაა პეპელა? რომელი პეპელა? — ერთად აყაყანდნენ გოგოები.

— აგე! გუბესთან, ბალახებში! ნუთუ ვერ ხედავთ?!

ზინკა ფოკინამ წიგნი დახურა, ბალახს ჩააცქერდა და მეძებარი ძაღლივით დაცქვიტა ყურები. მე შიშისაგან ოფლმა დამასხა.

„დავიღუპეთ! — გამიელვა თავში. — ჩვენ ორში ერთ-ერთს მოჰკრეს თვალი! მაგრამ რომელს? მე თუ კოსტიას?.. ოღონდ კოსტიას ნუ შეამჩნევენ და!..“

სიჩუმე ჩამოვარდა: მე გაზეთის ნაგლეჯთან შტერივით ვიდექი, შუბლზე ოფლს ვიწმენდდი და გოგოებს ვუყურებდი. მეგონა, ყველა კოსტია მალინინს უცქეროდა, მე კი სულელივით ვიდექი და მათ შევცქეროდი (აბა, სხვა რა უნდა მექნა?)

ფოკინამ სათვალე შეისწორა და ჩემკენ გამოიხედა.

— ჰო! ეგ კომბოსტოს პეპელაა, თეთრულას ოჯახის წარმომადგენელი. ყურადღებას ნუ აქცევთ, გოგოებო! ასეთი პეპელა გვაქვს კოლექციაში! — თქვა და ისევ ჩაჰყო ცხვირი წიგნში, მე კი სიხარულისაგან, მგონი, გავბრაზდი კიდეც.

„დახედეთ, ისეთი პეპელა, მე რომ ვარ, კოლექციაში აქვთ!.. როგორ არა!.. თქვე ნატურალისტ-ბატურალისტებო!“

ბრანწი ვუჩვენე გოგოებს, რომლებიც ფოკინას სიტყვების მერე ყურადღებას აღარ მაქცევდნენ, ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს ჩემთვის ხელსაყრელი იყო. ახლა შემეძლო, უშიშრად და სწრაფად დამეფარებინა გაზეთის ნაგლეჯი კოსტიასათვის.

დავითვალე. „ერთზე“ ქაღალდის ნაგლეჯი კოსტიასთან მივათრიე, „ორზე“ გვერდიდან გაზეთის წაფარებას ვაპირებდი, მაგრამ სად იყო, სად არა, ამოვარდა ქარი, ქაღალდი ხელიდან გამომგლიჯა და ბალახებზე გადააფრინა.

— ოჰ, ზინოჩკა! — თითქოს გველმა უკბინაო, ისეთი წიოკობა ატეხა ერთმა ნორჩმა ნატურალისტმა, — ერთი შეხედე, როგორი პეპელაა! მე მგონი, ასეთი პეპელა არა გვაქვს კოლექციაში.

— გოგონებო! სულ გართობაზე უნდა იფიქროთ? — თქვა უკმაყოფილო ფოკინამ, მერე წიგნს თვალი მოაშორა და რაღაცას დაამტერდა. — ეს რა არის? — შეშინებული აჩურჩულდა. — ყოვლად შეუძლებელია! ოჰ, გოგოებო! სიზმარში ხომ არა ვარ! მიჩქმიტეთ! ოჰ, გოგოებო! ეს ხომ მა-ქა-ონია! ნამდვილი მააქოვ მაქაონი, უსურიის მხრისა... აქ რა უნდა? რა უნდა მაქაონს ჩვენს ქალაქში? სასწაულია. პირდაპირ! გასაოცარია! აღმოჩენაა! მეცნიერული მოხსენების თემაა!

ფოკინა ამ სიტყვებს რომ ბუტბუტებდა, თან დროს არ კარგავდა: ერთ გოგოს ფრთხილად პეპლის საპერი გამოართვა, ადგა, ნაბიჯი გადადგა და ცალ ფეხზე შემდგარი გაირინდა.

ამრიგად, მოხდა ის, რისიც ყველაზე ძალიან მეშინოდა ამქვეყ-

ნად. ნორჩი ნატურალისტების წრეს ფოკინას მეთაურობით ალმოაჩინა მძინარე მაქაონი. უფრო სწორად, მაქაონი კი არა, მძინარე კოსტია მალინინი. ახლა ჩემი საუკეთესო მეგობრის სიცოცხლე დიდ განსაცდელში იყო, ასეთ განსაცდელში მთელი ამ ხნის განმავლობაში არასოდეს ვყოფილვართ.

— გოგოებო!—ხმადაბლა უბრძანა ფოკინამ გაქვავებულ ნატურალისტებს.—შემოარტყით ალყა... მხოლოდ ჩუმად... იცოდეთ, მე ვიქერ!..

პეპლების საქერმომარჯვებული გოგოები პირუჩუმრად ნელ-ნელა არტყამდნენ ალყას მძინარე მალინინს, სწორედ იმ კოსტია მალინინს, რომელიც თავიანთი უცოდინაროპით მიიჩნიეს მააქოვ მაქაონად, რალაც სასწაულით რომ მოევლინა ჩვენს ქალაქს უსურიის მხრიდან.

ოცდამეექვსე ფათერაკი

სასიკვდილოში, საშრობში... და მერე გასასწორებელში...

— ახლავე დაიქერთ! — დაისისინა ფოკინამ. ის ისევ ცალ ფეხზე იდგა და ქანაობდა, ეშინოდა, კოსტია არ დაეფრთხო. — დაიქერთ. ჩავსვამთ სასიკვდილოში, მერე საშრობში და მერე გასასწორებელში.

— ხრ-ررر... — შემომესმა ტკბილად მძინარე მალინინის სვრინვა.

კოსტიას ეძინა და არ იცოდა, რა საშინელ სიკვდილს უმზადებდა ჩვენი კლასის მამასახლისი ზინკა ფოკინა.

არც ერთი წუთის, არც ერთი წამის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა. მით უმეტეს, რომ ქუჩიდან დაბრუნებული ბავშვებიც შეუერთდნენ ზინკა ფოკინას და მაქაონის, ანუ კოსტია მალინინის დაჭერისა და სასიკვდილოში ჩასმის დიდი სურვილი გამოთქვეს.

მოვიდნენ ვენკა სმირნოვი და გენკა კორომისლოვიც და მათაც გადაწყვიტეს ამ საშინელ საქმეში მონაწილეობის მიღება. ვენკამ გოგოები მისწი-მოსწია, დახედა კოსტია მალინინს და დაიღრიალა: „სწორედ ეს იყო, წელან მე და გენკა დასაქერად რომ დავდეედით ქუჩაში!..“

ზინკა ფოკინამ იმის მაგივრად, რომ ბიჭებისათვის კვირაობაზე დაგვიანების გამო საყვედური გამოეცხადებინა, — სსუუ! — ჩუ-

მად იყავით, უთხრა ვენკას. გოგოებმა კი ამ არეულობით ისარგებლეს, ბავშვებს ბუჩქებისაკენ დაახევინეს და ფრთხილად შეუდგნენ კოსტია მალინინის ირგვლივ სასაკვდილო რკალის შემორტყმას.

საგონებელში ჩავვარდი. აღარ ვიცოდი, რა მექნა.

ამოვფრინდი ბალახებიდან და ზინკა ფოკინის მარჯვენა ყურთან დავიწყე ფრენა, ვემუდარებოდი, კოსტია მალინინს თავი დაანებე-მეთქი.

— ზინოჩკა!---ჩავძახოდი ყურში.— შეჩერდი! ეგ არ არის პეპელა! ეგ პეპელასებრი ადამიანია! ეგ მაქაონი არ არის! მალინინა!

მაგრამ ზინკა ფოკინმ ისე ამიქნია ხელი, თითქოს აბეზარა ბუზი ვყოფილიყავი.

— გოგოებო! რას შერებით, რას! — ვყვიროდი გამწარებული.

მაგრამ თითქოს ყველა დაბრმავდა და დაყრუვდა: არც ესმოდათ ჩემი და ვერცა მხედავდნენ, თითქოს არც კი ვარსებობდი.

სახიფათო წრე სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა კოსტია მალინინს.

ავწრიალდი, მერე ზევით ავფრინდი; რაღა დამრჩენოდა: ქვიდან უნდა გადმომეგდო მალინინი — უნდა დავტაკებოდი! იქნებ, ამით მაინც გამეღვიძებინა. ფრთები დავკეცე, ძირს დავეშვი, ბალახზე გავსრიალდი და მთელი ძალით დავეტაკე კოსტიას ფერდში. ძლიერი დარტყმისაგან დავრეტიანდი და თვალები ამიჭრელდა. კოსტია კი ქვას მოსწყდა. აფარფატდა, ჰაერში გაეღვიძა და გიჟივით გადაატრიალა თვალები.

— კოსტია, სწრაფად აიჭერი ცაში! — დავიღრიალე მე.

— რატომ უნდა ავიჭრა? — მიპასუხა კოსტიამ. ეტყობოდა, ვერაფერს მიმხვდარიყო, და ნამძინარევ თვალებს ისრესდა.

მე ფეხში ჩავაფრინდი და ცაში ავიტაცე. არა, მაინც საიდან მოეცა ასეთი ძალა? ლიფტივით წამში ავიყვანე კოსტია მალინინი ბუჩქებს ზემოთ.

სადღაც დაბლა, ჩვენს ქვემოთ, საშინელი წიოკობა ატყდა.

— დიდი დასვენებაა? — მკითხა ძილისგან გაბრუებულმა კოსტიამ და თვალები დახუჭა.

— რომელ დასვენებაზე ლაპარაკობ? — ვუპასუხე და უკან ფეხი ამოვცხე, რომ ცოტათი მაინც გონს მოსულიყო. თვალებში ისევ ჩრდილოეთის ნათების მსგავსი რაღაც მიელავდა. — რა მოგივიდა, ველარ გაიღვიძე?

— ახლავე, ახლავე! — თქვა მალინინმა. — ახლავე გამოვძღები ნექტრით და გეომეტრიას ჩავუჯდები... ამ მიშკას კი ფრთები უნდა დავაგლიჯოთ.

— რომელ მიშკას?

— იაკოვლევს... ფრიადოსანთა ოჯახის წარმომადგენელს, რომ მეორედ აღარ დათანხმდეს კვირაობით ჩვენთან მეცადინეობაზე.

მალინინს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ უცბად ფროები გაუშეშდა, ხვრინვა ამოუშვა და ხშირფოთლიან ბუჩქში დაეშვა.

— კოსტია! არ დაიძინო! დაიღუპები! — დავიღრიალე და უკან მივყეევი ჩემს მეგობარს, ფოთოლ-ფოთოლ ფრენით ჩავყეევი ბუჩქში. კოსტია ტოტს მიეხალა და ისევ გამოეღვიძა. ტოტზე წინ და უკან დარბოდნენ ჭიანჭველები. ამ გადამწყვეტ წუთს ფეხებში მედებოდნენ და ორ მაოგანს პანღურიც კი ამოვკარი.

— დაუყოვნებლივ გადაიქეცი პეპლიდან მამალ ფუტკრად, გესმის? — ვუთხარი კოსტიას, თან ჭიანჭველებს ვიგერიებდი.

— რომელ მამალ ფუტკრად? რა პეპლიდან? ბარანკინ, ხომ არ გაგიჟდი? — თქვა მალინინმა და მხარ-თეძოზე წამოწვა.

მალინინს ძილისგან, ეტყობა, ისე აერია თავში ყველაფერი, რომ აღარა გაეგებოდა და რაღაც აბდაუბდას ლაპარაკობდა.

მივვარდი, ფრთებით წამოვაყენე და დავუყვირე:

— გადაიქეცი, გესმის, მალინინ?

— აბა, როგორ შეიძლება, ადამიანი მამალ ფუტკრად გადაიქცეს? ფანტაზიორი ხარ, ბარანკინ... ადამთა ოჯახის... ესე იგი, ადა-მი-ან-თა... ესე იგი, მეძინება, — თქვა მალინინმა და ახლა მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

მესმოდა, როგორი წივილ-კივილით დარბოდნენ ბაღში გოგოები და დაგვეძებდნენ. კოსტია-მაქაონის ხასხასა ფრთები რომ შეემჩნიათ ბუჩქებში, დავიღუპებოდით.

— გადაიქცევი თუ არა ფუტკრად? — უკანასკნელად გეკითხები! ისევ ვწვდი ფრთებში მალინინს და წამოვაყენე, თანაც ორ თავზედ ჭიანჭველას, მუცელზე რომ მიპირებდნენ ამოცოცებას, უკანა ფეხები ვკარი და გავაგორე.

— კარგი, ბარანკინ! — დაიკრუსუნა კოსტიამ. — თუ ასე ძალიან გინდა... მაგრამ ჯერ დავიძინებ...

— არა! ჯერ გადაიქეცი მამალ ფუტკრად და მერე დაიძინე! უსმინე ჩემს ბრძანებას! — წინა ფეხში ვწვდი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, დაეუწყე ნჯღრევა, თან ჩავძახოდი, — გაიმეორე, გაიმეორე, რასაც მე ვიტყვი:

> არ მსურს ვიყო ფარეანა,
> აზრი მაქვს საკუთარი —
> მირჩევნია რომ ვიყო
> მუქთახორა ფუტკარი.

— აი, სად დამალულა! — მომესმა ზინკა ფოკინას შეკივლება. — ვიცოდი, შორს რომ ვერ გაფრინდებოდა! გოგოებო, ბუჩქებს ალყა შემოარტყით!

„გათავდა! დაგვინახეს! დავიღუპეთ!“ — გავიფიქრე მე. — მალინინმა კი ისევ დაიძინა! ახლა ვეღარაფერს მოვუხერხებ!“ — გავივლე გულში და ფრთები ჩამოვყარე. უკვე ჭიანჭველებსაც აღარ ვიგერიებდი, ყოველი მხრიდან რომ მესეოდნენ.

„დამესიონ, — გავიფიქრე, — ახლა სულ ერთია...“

უცებ ამავე წუთს კოსტია მალინინის სიცილი შემომესმა.

შეშინებულმა მისკენ გავისედე — ამდენი განცდებისაგან ძილში ხომ არ გაგიჟდა-მეთქი. რას ვხედავ — კოსტიას მუცელზე ორი ჭიანჭველა შეცოცებია და ულვაშებით ულიტინებს. აჰა, მაშასადამე, ულიტინებენ, ის კი იცინის. მართალია, ჩუმად, მაგრამ იცინის, სძინავს და იცინის. რა ყეყეჩი ვარ, როგორ დამავიწყდა, რომ კოსტია მალინინს ამქვეყნად ყველაზე ძალიან ღიტინის ეშინია. რამდენჯერ გამიღვიძებია ბანაკში ღიტინით, გმადლობთ, ჭიანჭველებო, რომ მომაგონეთ.

ერთი წამიც აღარ დამიკარგავს. კოსტიას ოთხივე ფეხი შევუყავი იღლიის ქვეშ და ღიტინი დაეუწყე. კოსტია-მაქაონს, აქამდე ჩუმად რომ იცინოდა, ახლა ხარხარი აუტყდა და მაშინვე გაეღვიძა! თვალები გაახილა და სულ გამოფხიზლდა.

კოსტია გადარეულივით ხარხარებდა, მუცელზე ფეხს იჭირებდა და სიცილისაგან სულშეგუბებული ძლივსღა ამბობდა:

— ოჰ, ბარანკინ! ხა! ხა! რატომ მიღიტინებ! ხა! ხა! ხა!

— ხა! ხა! ხა! — გავეპასუხე მალინინს.

მეც ამივარდა სიცილი. ჯერ ერთი, ნერვიულობისაგან, მეორეც, ძალიან გამიხარდა, იმ დამღუპველ ძილს კოსტიამ თავი რომ დააღწია და საბოლოოდ გონს მოვიდა. სიხარულისაგან ლამის ისიც დამავიწყდა, კოსტია მალინინს განსაცდელი რომ ელოდა. თუმცა გაიღვიძა, მე მაინც ვულიტინებდი: ღიტინს თავი რომ დავანებო, ვაითუ ისევ დაეძინოს-მეთქი.

— კარგით, გეყოფათ! — გვითხრა კოსტია მალინინმა მე და ჭიანჭველებს, თან გვიგერიებდა. — გამიჭირეთ საქმე ღიტინით! ხა-ხა! რა ხმაურია? ხა-ხა-ხა!

უცბად ისევ მომაგონდა, რომ ჩემს საუკეთესო მეგობარს დიდი საფრთხე ემუქრებოდა. არა მარტო მომაგონდა, ხმების სიახლოვითაც მიეხვდი, რომ ზინკა და გოგოები ჩვენს ბუჩქს უკვე ალყას არტყამდნენ.

— მალინინ! — დავიღრიალე მე. — ამ წუთში ძალა მოიკრიბე და მამალ ფუტკრად გადაქცევა დაიწყე!

— რატომ მამალ ფუტკრად? რომელ მამალ ფუტკრად? — მკითხა კოსტიამ, თან ტკბილად გაიზმორა.

— იმიტომ, რომ ზინკა ფოკინა თავისი ნატურალისტებით აქ არის, შენ კი მაქაონი ხარ და სასიკვდილოში ჩაგდებას გიპირებენ! მერე საშრობში გიკრავენ თავს! მერე კი — გასასწორებელში!

— სასიკვდილოში? რატომ? — შეკრთა მალინინი.

— კოლექციისათვის! — დავუყვირე მე.

სიტყვა „კოლექციამ" სულ გამოაფხიზლა მალინინი. ეტყობა, ყველაფერი გაახსენდა, ყველაფერს მიხვდა და შეიგნო, რა განსაცდელშიც ვიყავით. დიახ! კოსტიამ კარგად იცოდა, რა იყო კოლექცია. ერთ დროს ხომ თვითონაც იყო ნორჩი ნატურალისტი და პეპლების კოლექციაც ჰქონდა, ახლა კი ზინკა ფოკინა უპირებდა კოლექციაში ჩასმას.

— რატომ მაშინვე არ გამაღვიძე?

— რაო? არ გაგაღვიძე?! ჭიანჭველებს დაუმადლე. მაგათ მომაგონეს... ერთი სიტყვით, ჩქარა გაიმეორე!

პირი ყურთან მივუტანე და ხმამაღლა ჩავუყვირე ლოცვა... მაგრამ შევატყვე, არ მისმენდა. ეტყობა, სიტყვა „კოლექციამ" ისე შეაძრწუნა და გამოათაყვანა, ვეღარ გაეგო, რა მინდოდა.

მე კი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვღრიალებდი:

მირჩევნია, რომ ვიყო
მუქთახორა ფუტკარი.

მალინინი ჯერ ჩუმად იყო, მერე უცბად აღრიალდა:

აღარ მსურს, ვიყო პეპელა,
დღეს გადავწყვიტე მტკაცედ!
კარგია ჭიანჭველობა!
მსურს ჭიანჭველად ვიქცე!

პირველად ვერც კი მივხვდი, რომ ამჯერად მე და მალინინი სულ სხვადასხვა მწერად ვაპირებდით გადაქცევას და ჩვენი გზები, როგორც იტყვიან, იყრება. მე მუქთახორა ფუტკრად მინდა გადავიქცე, მალინინს კი სურს ჭიანჭველების ცხოვრება გაიზიაროს! რატომ შვრება ამას? ნუთუ არ ესმის, რა ელის? საერთოდ კი, მე მგონია, არაფერი არ ესმის ერთის გარდა — ჯობს, იყოს ცოცხალი მშრომელი ჭიანჭველა, ვიდრე მკვდარი პეპელა.

როგორ ფიქრობთ, შემეძლო, ასეთ მდგომარეობაში მიმეტოვებინა მალინინი? შემეძლო, მე დიდი ხნის ნანატრი მამალი ფუტკარი

გავმხდარიყავი, მალინინისათვის კი მიმეცა ნება მშრომელ ჭიანჭველად გადაქცეულიყო? რასაკვირველია, არ შემეძლო! ვაგებ თუ არა პასუხს მალინინის სიცოცხლეზე? ვაგებ და მერე როგორ, საკუთარი თავით! მე ჩავითრიე ამ ამბებში, იმან კი არა!

ამ დროს ბუჩქებს მიღმა ცხენის თქარათქურისმაგვარი ხმა და ტოტების ლაწუნი გაისმა. ფოთლებში სხვადასხვა ფერის პეპლების საჭერები გამოჩნდა. რამდენიმე გოგონა პეპლების საჭერიანად ხეზეც კი ასულიყო და გაქცევის უკანასკნელი გზაც დაეხშო ჩვენთვის.

მორჩა! ისღა დამრჩენოდა, ფილტვებით რაც შეიძლება მეტი ჰაერი ჩამესუნთქა და მეთქვა ის ლოცვა, მალინინმა ჰაიჰარად რომ მოიგონა:

ალარ მსურს ვიყო პეპელა,
დღეს გადაეწყვიტე მტკიცედ!
კარგია ჭიანჭველობა!
მსურს ჭიანჭველად ვიქცე! —

სხაპასხუპით გავიმეორე მალინინის ლოცვა.

ვაი, რომ არ მჯეროდა, რასაც ვამბობდი! სრულებით არ მჯეროდა! მალინინ, ამას რას ეჩადივართ? რატომ მაინცდამაინც მე და შენ უნდა გადავიქცეთ ჭიანჭველებად?!

უკანასკნელად ამ აზრმა გამიელვა თავში საშინელებისაგან, მღელვარებისა და ზრუნვისაგან გატანჯულ პეპელას.

ნაწილი მეოთხე

თავს უშველეთ! მირვიკები! მალინინის დაღუპვა

ოცდამეშვიდე ფათერაკი

ზინკა ფოკინასათვის არასასიამოვნო, მაგრამ ჩვენთვის მაცოცხლებელი ამბავი

— ზინოჩკა! — ასისინდა ვიღაც გოგო ბუჩქებს უკან. — კომბოსტოს პეპელა თუ ჩაგვივარდა ხელში, რა ვქნათ?

რასაკვირველია, გოგონას მხედველობაში მე ვყავდი, ბარანკინი, ამიტომ ეს შეკითხვა ასე გავიგე: „ზინოჩკა, იურკა ბარანკინი თუ ჩაგვივარდა ხელში, რა ვუყოთ?“

— იმასაც სასიკვდილოში ჩავსვამთ. — უპასუხა ფოკინამ. — მაქაონი ექსპონატი იქნება. კომბოსტოს პეპელაზე კი გასწავლით, როგორ უნდა გასწორება.

„რას მოესწარი, ბარანკინ!" — გავიფიქრე ჩემთვის, თან ხმებს მივუგდე ყური, ბუჩქებს იქიდან რომ ისმოდა. მივხვდი, იასამნის ბუჩქზე გადაშეყვეტი შეტევისთვის ემზადებოდნენ: წკარუნობდნენ ბოთლები, ჩაკუნობდნენ პეპლების ჩასაწყობი კოლოფები, ისმოდა საშინელი შეკითხვები და იმაზე უფრო საშინელი პასუხები.

— ზინოჩკა, მაქაონი (ესე იგი, კოსტია მალინინი) პეპლების საჭერში თუ შოხვდა, ფრთებზე ხელის მოკიდება შეიძლება?

— არავითარ შემთხვევაში! პეპელას ფრთები მთელი უნდა ჰქონდეს... მოამზადეთ სასიკვდილოები! ნინა, ვისა აქვს დასამაგრებელი ქინძისთავები?

— მე.

— მოამზადეთ ქინძისთავები!

— ვაიმე, მეშინია!

— კატია! გაშოართვი!.. ზოია, თვალყური აღევნე!

— მე ისედაც ვადევნებ თვალყურს...

— ყველანი მზად ხართ?

— ყველანი! — დაისისინეს გოგოებმა.

— გახსენით სასიკვდილოები!

სასიკვდილოები გახსნეს — ჰაერში თამბაქოს სუნი დატრიალდა. ვიღაცამ ხმამაღლა დააცემინა. ვიღაცამ თქვა: „ვაიმე, მეშინია!" ერთი გოგო ჭინჭარმა დასუსხა და ავიშვიშდა, მაგრამ მაშინვე გაჩუმეს. მოისმა ფრთხილად გადაწეული ტოტების ტკაცუნი და შეკითხვები:

— სად არიან?

— აგე!..

— სად? ვერ ვხედავ! ქვედა ტოტზე სხედან?

— ქვედაზე კი არა, იმის ზემოთ!

— ზემოთ?

— ცოტა უფრო ქვემოთ!

— კიდევ ქვემოთ! მარჯვნივ! ახლა მარცხნივ! აგერ, გამხმარი ფოთოლი რომ არის. იქვე ორი პეპელა ზის!..

— უი, გოგოებო, მართლაც აქ არიან!

— ჩუმად! ნუ ხმაურობთ!

ტოტების ტკაცუნი უფრო გაძლიერდა და იასამნის ყველაზე ხშირ ტოტებში ზინკა ფოკინას გაწითლებული, დაკაწრული და აპ-

ლაბუდებით დაფარული სახე გამოჩნდა: იგი შეშლილივით აცეცებდა თვალებს.

— აბა, სად არიან, სად? — ასისინდნენ ყოველი მხრიდან გოგოები.

— არსადაც არ არიან... — თქვა ზინკა ფოკინამ დაბნეულად.

რა თქმა უნდა, ზინკა ფოკინას უფრო ყურადღებით რომ დაეთვალიერებინა ის ადგილი, სადაც სულ რამდენიმე წუთის წინ ორი პეპელა ნახა თავისი თვალით, — ორ პაწია შავ ჭიანჭველას შეამჩნევდა. ისინი ექვსივე ფეხით ჩაფრენოდნენ იასამნის ხორკლიან კანს. მაგრამ ზინკა ფოკინას ჭიანჭველებისათვის არ ეცალა. მან კიდევ ერთხელ მოავლო სევდიანი თვალები იასამნის ტოტებს, ღრმად ამოიოხრა და თქვა:

— თითქოს მიწამ ჩაყლაპაო... არსად არ არიან!

— რას ჰქვია არ არიან?.. მაშ, ჩვენ ვინა ვართ? — წასჩურჩულა ერთმა ჭიანჭველამ მეორეს.

ცისფერთვალება ჭიანჭველამ გაიცინა, ულვაშები ააცმაცუნა და შავთვალება ჭიანჭველას ფეხი მხარზე დაჰკრა.

შავთვალება ჭიანჭველამ ზინკა ფოკინას შეწუხებულ სახეს შეხედა, იმანაც ააცმაცუნა ულვაშები. მაგრამ თქმით არაფერი თქვა.

— შეუძლებელია! — წაიჩურჩულა ზინკა ფოკინამ. — ჩემი თვალით ვნახე... მიწაში ხომ არ ჩაძვრებოდნენ!.. — ერთხელ კიდევ მოავლო ბუჩქს ცრემლიანი თვალები და თქვა: — ეშმაკმა წაიღოს! ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი.

— ილანძღება! — გაუხარდა ცისფერთვალება ჭიანჭველას (ეს, რასაკვირველია, კოსტია მალინინი იყო). — ილანძღება! — ფეხების ფშვნეტით თქვა მან. — ზინკა ფოკინამ ეშმაკი ორჯერ ახსენა! რა კარგია!

კოსტიამ ულვაშები აიგრიხა, შავთვალება ჭიანჭველას (ეს, რასაკვირველია, მე, ბარანკინი, ვიყავი) ზურგზე დაჰკრა ხელი და ჩუმი ხითხითისაგან მთელი ტანი აუცახცახდა.

ზინკა ფოკინამ უკან გადადგა ნაბიჯი. ტოტები ხმაურით შეერთდნენ და მე და კოსტია მოქანავე იასამნის ტოტზე მარტონი დავრჩით.

— ვაშაა! — თქვა კოსტია მალინინმა. — საჰაერო თავდასხმის საშიშროებამ განვლო! განგაში შეწყდა!

კოსტია მალინინი გახარებული იყო. ხარობდა, როგორც ადამიანი, უფრო სწორად, როგორც ჭიანჭველა, რომელსაც პეპელად ყოფნის დროს უბედურება ასცდა.

თუმც მეც, ისევე როგორც კოსტია, სიკვდილს გადავურჩი — დროზე გადავიქეცი ჭიანჭველად, მაგრამ დიდად არ ვიყავი გახარებული: თუკი ჭიანჭველებად გადაქცევა მოვასწარით, თავისუფლად შეგვეძლო, მამალ ფუტკრებად გადავქცეულიყავით. ჭიანჭველური ცხოვრებისაგან კარგს არაფერს მოველოდი, ამიტომ კოსტიასავით აღფრთოვანებული არ ვიყავი და უხალისოდ ეუთხარი:

— ეჰ, მალინინ! ეს რა ჰქენი, მალინინ!

— რა ვქენი? — მსიარულად შემომხუზუნა მალინინმა. — ჩემი სურვილით დავიძინე თუ რა? ეს ხომ ბუნების კანონით ხდება?

— ბუნების კანონზე არ ვეუბნები! მე იმას ვამბობ: რატომ გადავიქეცით ჭიანჭველებად და არი მუქთახორა ფუტკრებად?

— ერთი, კოლექციაში მოხვედრის გშინებოდა და ვნახავდი, რა არსევანს დაიწყებდი.

ვერაფერი ეუპასუხე მალინინს, რადგან მის სიტყვებში, უდავოდ, იყო სიმართლე.

— საერთოდ, ბარანკინ, — განაგრძო კოსტიამ, — მამალი ფუტკარი ჭიანჭველასნაირია. მხოლოდ ესაა, რომ ფრთები აქვს, ფრთები კი ჩვენ სულაც აღარ გვჭირდება, ისედაც საკმაოდ ბევრი ვიფრინეთ. გავეცალოთ ამ ქვეყანას, ჩაეძვრეთ მიწაში, ჭიანჭველების ბუდეში. იქ, მიწის ქვეშ, არავის, აღარ შევხვდებით — არც ნორჩ ნატურალისტებს, არც ფრიადოსნებს, არც კატებსა და არც ბეღურებს...

— „ჩაეძვრეთ“!.. უცბად არ ჩახვიდე ჭიანჭველების ბუდეში, — შევუტიე მალინინს; მისმა სულელურმა მსჯელობამ გამაბრაზა. — შენ არ იცი, რომ ჭიანჭველა ყველაზე მშრომელი მწერია ამქვეყნად? რომ ყოველდღე ჯაფაში არიან... რა ჰქვია იმას, ინსტინქტის კარნახით?

— რატომაც არ ვიცი! ძალიანაც კარგად ვიცი, რომ ჭიანჭველები მშრომელები არიან, მაგრამ დღეს გამოსასველელი დღეა! — თავი გაიმართლა მალინინმა.

კოსტია მალინინის ასეთი განცხადება ჩემთვის მოულოდნელი იყო.

— მერე რა, რომ დასვენების დღეა? — შეცბუნებულმა ვკითხე.

— დასვენების დღეს ისინი, ალბათ, არ მუშაობენ!

— ესე იგი, შენი აზრით, დასვენების დღეს ინსტინქტი ჭიანჭველებზე არ მოქმედებს?

— იცი რა, ბარანკინ, — თქვა მალინინმა მტკიცედ, — მე თუ მკითხავ, არავითარი ინსტინქტი არ არსებობს.

— როგორ თუ არ არსებობს? — ისევ შევცბი მე. — სკოლაში არ ვისწავლეთ?

— მერე რა, რომ ვისწავლეთ?.. ინსტინქტი მასწავლებლების მოვონილია, გაკვეთილებზე შეკითხვები რომ მოგვცენ, იმიტომ, გესმის?

მალინინმა ეს ყველაფერი რომ მითხრა, დავფიქრდი: იქნებ, მართალია კოსტია, იქნებ, მართლაც არა აქვთ ჭიანჭველებს ინსტინქტი. დასვენების დღე კი აქვთ... და თუ დასვენების დღე აქვთ, მაშინ ცუდი არაა მამალი ფუტკრების მაგივრად ჭიანჭველებად რომ გადავიქეცით... რა თქმა უნდა, აქვთ ჭიანჭველებს დასვენების დღე!.. მაგრამ ვაითუ არა აქვთ? ვცადე, დასვენების დღის გარეშე წარმომედგინა ცხოვრება, მაგრამ ვერ შევძელი. თანაც დირექტორის საუბარი მომაგონდა, სკოლაში რომ ჩაგვიტარა; თქვა, ყოველ დასვენების დღეს აუცილებლად უნდა დაისვენოთ. თუკი ადამიანებს სჭირდებათ ყოველ კვირა დღეს დასვენება, ჭიანჭველებს ხომ დასჭირდებათ და დასჭირდებათ: ჭიანჭველები ხომ უფრო პატარები და სუსტები არიან. არა! ჭიანჭველებს უეჭველად ეკუთვნით დასვენების დღე და აქვთ კიდეც! და თუ დასვენების დღე აქვთ, მაშინ ყველაფერი რიგზეა. სჯობს, ცხვირი, ესე იგი, ულვაშები არ ჩამოვუშვათ და ჭიანჭველების ბუდისაკენ გავქანდეთ, იქ დავიკავოთ ცალკე ოთახი, ჰოდა, რაც მოგვესურვება, ის გავაკეთოთ, თუ გვინდა, ყირაზე დავდგეთ. ამ აზრმა კარგ გუნებაზე დამაყენა და გავმხიარულდი.

— მალინინ! — ვუთხარი მე და ტოტიდან მიწაზე ჩამოვხტი. — ახლა მე და შენ მოვძებნოთ ჭიანჭველების ბუდე, დავიკავოთ ცალკე ოთახი, კარები ჩავკეტოთ და...

— არა მგონია, კარები და საკეტი ჰქონდეს იმათ ოთახებს? — დაეჭვდა მალინინი.

— ეგ არაფერი! — ვუთხარი და უფრო ძალიან გავმხიარულდი. — მთავარია, რომ ოთახები არის. თავის შეფარებას და მიმალვას კი მოვახერხებთ! მე და შენ ბევრი რამ გამოვცადეთ და გადავიტანეთ, ჩვენი გაბრიყვება ახლა ძნელია!

მე გავირბინე და გზაზე დაგდებულ ბურთივით მრგვალ მარცვალს სიხარულისაგან ფეხი გავკარი.

კოსტია მალინინმა ჩემი მიწოდებული ბურთი მიიღო და უკანვე მომაწოდა, მხოლოდ აქ, მიწაზე, შეეათვალიერე კარგად კოსტია — ჭიანჭველა. გეგონებოდათ, ჩექმების კრემით გაუწმენდიათო, ისე პრიალებდა. წელიც ძალიან სასაცილო ჰქონდა — გოგოსავით წვრილი, ფეხი კი ექვსი ება.

„ეს ძალიან კარგია, ჭიანჭველას რომ ექვსი ფეხი აქვს, — გავიფიქრე, — ფეხბურთის თამაში გაუადვილდება. ექვსი ფეხით ურ-

ტყი კარში, ამას რა ჯობია! მეკარეობაც აღვილია: ორ ფეხზე ღაღ-გები, ოთხით ბურთს დაიკერ...“

ამის დასამტკიცებლად ჰაერში ავხტი და ოთხი ფეხით მოხდენილად დავიჭირე თესლის ბურთი. ბურთჩახუტებული მიწაზე დავეცი, გავგორდი და სიამოვნებისაგან ხმამაღლა ვიცინოდი.

— კოტრიალა-კოტრიალა! — დაიძახა კოსტა მალინინმა ჯერ თავზე დამახტა.

ის იყო ყირაზე გადასვლას ვაპირებდი, რომ ტყიდან, ესე იგი, ბალახებიდან, პირდაპირ ჩვენკენ ექვსი ჭიანჭველა წამოვიდა. მე ძალიან გამიხარდა და ფეხზე წამოვხტი.

— ბიჭებს გაუმარჯოს! — გავძახე ჭიანჭველებს და მისალმების ნიშნად ოთხი ფეხი ავწიე. მერე ბურთს ფეხი დავარტყი და შევძახე: — დასვენების დღეა, მოდით, ფეხბურთი ვითამაშოთ. რამდენი კაცი ხართ? ექვსი? ჩვენ ორნი ვართ! ჰოდა კარგია! ორ ჯგუფად გავიყოთ. თითოში ოთხ-ოთხი ფეხბურთელი ვიქნებით! იცოდეთ, მე ცენტრალური თავდამსხმელი ვარ!

ნამდვილმა ჭიანჭველებმა რატომღაც გაკვირვებით შემომხედეს. ერთმანეთს ულაყები მოუცაცუნეს, რაღაც იჩურჩულეს, მერე უკან-უკან დაიხიეს და ხშირ ბალახებში მიიმალნენ.

ჭიანჭველები წინ და უკან დარბოდნენ. ტანით უფრო პატარებს ზურგით მიწის პაწია კოშტები, ჩხირები, ფოთლები და წიწვები მიჰქონდათ. მხარბეჭიანი, დიდთავა და დიდპირა ჭიანჭველები მუხლუხოებს, მკვდარ ბუსებსა და ხოჭოებს მიათრევდნენ.

— რას აკეთებენ, მალინინ? მუშაობენ? — ვკითხე ყურებდაცქვეტილმა.

— რას ამბობ, ბარანკინ, თავიანთ მთავარ ქუჩაზე სეირნობენ,— მიპასუხა მალინინმა.

— როგორ — სეირნობენ? — ვკითხე დაეჭვებულმა.

— როგორ და ისე. დღეს ხომ კვირაა!

— თუ კვირაა, მორებსა და ქვებს რატომ ეზიდებიან?

მალინინი გაჩუმდა.

— ჩემი აზრით, კი არ სეირნობენ, მუშაობენ...

— აბა, რას ამბობ, ბარანკინ, — აღშფოთდა მალინინი, — კვირა დღეს მუშაობა შეიძლება?

— მაშ მორები რაღად გაუდვიათ მხარზე?

— მორები... მორები... ეს ისე, ასეთი წესი აქვთ — მხრებზე მორებგადებულები დადიან! — მომიგო მალინინმა.

— ასეთი წესი აქვთ? — ჩავეკითხე მე, თვალები მოვისრისე და

ჭიანჭველებს უფრო ყურადღებით ღავაცქერდი, ცუდი წინათგრძნობისაგან გული შემეკუმშა.

ეს წინათგრძნობა ცალკე იმახ გამიჩინა, რასაც თვალით ვხედავდი, ცალკე მალინინის სიტყვებმა:

— იცი, რა, ბირანკინ, — თქვა კოსტიამ, — მოდი, ჭიანჭველების ბუდეში ნუ ჩავძვრებით, ჯობს, მარტივი წავიდეთ სასეირნოდ სადმე იქით...—და კოსტიამ ჭიანჭველების ბუდის საწინააღმდეგო მხარეს გაიშვირა ცაცი.

მართალი რომ გითხრათ, მეც ეს მინდოდა მეთქვა კოსტიასათვის, უბრალოდ იმან დამასწრო და ამიტომ უყოყმანოდ ღაეთანხმე:

— კარგი, კოსტია, კარგი! მაშ, უკან-უკან ნაბიჯით იარ! — მინდოდა დამემატებინა, „სანამ გვიან არ არის-მეთქი", მაგრამ გავჩუმდი.

ჭიანჭველების ხვრელს უკუსვლით უნდა გაეცლოდით, მაგრამ უცნაური ამბავი დაგვემართა: იმის მაგიერად, რომ უკან დაგვეხია, წინ მივდიოდით, პირდაპირ ჭიანჭველების ბუდისაკენ. მე აშკარად ვგრძნობდი, რომ ამას ჩემი სურვილის წინააღმდეგ ვაკეთებდი. ვგრძნობდი და მესმოდა კიდეც, მაგრამ ვერაფერი გამეწყო. რაღაც უხილავი ძალა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გვაახლოებდა ჭიანჭველების ბუდეს.

ოცდამერვე თავი

ჩვენ ჭიანჭველების გულის შეკითხვას შევუდექით

მე და კოსტიას სულაც არ გვინდოდა, მაგრამ მაინც ვუახლოვდებოდით მოფუსფუსე ჭიანჭველებს და სულ უფრო და უფრო ნათლად ვხედავდით, რომ ყველა ჭიანჭველა, უკლებლივ, საქმიანობდა, თუმცა უქმე დღე იყო.

ჭიანჭველები მუშაობდნენ, შრომობდნენ და ამის უარყოფა უაზრობა იქნებოდა. ვერც კი გავიგეთ, ისე შეუმჩნეველად ამოვყავით თავი ჭიანჭველებს შორის. გვესმოდა, როგორ ქშინავდნენ ტვირთქვეშ ჭიანჭველები. ჩვენს გვერდით ერთი ბრიგადა ვეებერთელა ნემსიყლაპიას მიათრევდა შინ. და თუმცა ამ ბრიგადის ჭიანჭველები ფაციფუცობდნენ, ერთმანეთს ხელს უშლიდნენ და, რაც მთავარია, ნემსიყლაპიას სხვადასხვა მხარეს ეწეოდნენ, ნემსიყლაპია რაღაც სასწაულით მაინც ბუდისაკენ მიქანაობდა.

— მუშაობენ ჭიანჭველები! — ეუთხარი მე კოსტია მალინინს.

მართლაც, დიდ ჯაფაში იყვნენ ჭიანჭველები! მუშაობდნენ ყველანი, უკლებლივ, არავინ ზარმაცობდა, კერძო საქმეს არავინ აკეთებდა, ლაპარაკითა და თამაშით არავინ ერთობოდა, არავინ გორაობდა ბუჩქის ძირას და მზეზე არ იხუხებოდა, რაც მთავარია, არავინ მბრძანებლობდა, არც არავინ უყვიროდა ვინმეს ზინკა ფოკინასავით. ნეტავი განახათ, რა ხმაურსა და აურზაურს ასტეხს ხოლმე ყოველ შაბათობაზე!

— მუშაობენ! — ეუთხარი მე კოსტია მალინინს.

— მერე რა, რომ მუშაობენ, — შემომიღრინა კოსტიამ. — ბნელი ხალხია და მუშაობენ. გაუნათლებლები არიან! ალბათ, არც კი იციან, რა არის უქმე დღე. მე და შენ კი განათლებულები ვართ! ამიტომ არც ვიმუშავებთ.

— ესე იგი, ინსტინქტი არსებობს, — ეუთხარი მე სერიოზულად. — რადგან ემორჩილებიან, ესე იგი, არსებობს!

— ემორჩილებიან და დაემორჩილონ! ჩვენ კი არავის დავემორჩილებით! — ჯიუტად თქვა კოსტია მალინინმა.

მეც, ისევე, როგორც კოსტია მალინინი, სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ინსტინქტს, ვთქვათ და მართლა არსებობს, შეიძლება არ დაემორჩილო... გავოცდი, როცა უცებ, სრულიად მოულოდნელად, მუშაობის სურვილი დამებადა. დიახ, მომინდა, ყოველად გაუნათლებელ და ბნელ ჭიანჭველებთან ერთად ჭაპანი გამეწია. ეს სურვილი ისე მომეძალა, რომ ვეღარ ვიოკებდი. მეგონა, აი ახლა თუ ტვირთს მხარზე არ შევიგდებ და სხვა ჭიანჭველებივით შრომას არ შევუდგები, აქვე მოვკვდები-მეთქი. მიწიდან გამხმარი ტოტი ავიღე, უხმოდ შევიგდე მხარზე და ჭიანჭველების ბუდისაკენ გავემართე. მაშინვე შვება ვიგრძენი, თითქოს მხრებიდან ტვირთი მომეხსნა! თანაც კარგ გუნებაზე დავდექი და გავმხიარულდი, ივივე დაემართა კოსტია მალინინსაც. თუმცა იმ წუთს, ტოტი მხრებზე რომ შევიგდე, ისეთი თვალებით შემომხედა, ნამდვილად გიჟი ვეგონე, მაგრამ უცბად ისიც უჩვეულო ენერგიითა და სურვილით პირუჩუმრად სწვდა ტოტს მეორე მხრიდან, მომეშველა, მომყვებოდა და ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობდა, ეცემოდა.

ტოტი ნამდვილი მორივით მძიმე იყო, წამდაუწუმ ედებოდა ბალახებს, ქვებს, მხრიდან გვიცურდებოდა. მაგრამ თავს მაინც არ ვანებებდით, ქშენა-ქშენითა და დიდი სიამოვნებით მივათრევდით, სანამ ჭიანჭველების ბუდის ხვრელთან არ მივიტანეთ. ჩასასვლელთან ორმა ჭიანჭველამ ჩამოგვართვა და სიბნელეში ჩაიტანა. მე და

კოსტია კი მორჩილად გავტრიალდით და გავიქეცით ახალი საშენი მასალის მოსატანად.

მაშ ასე! როგორც ხედავთ, ჩვენც შევუერთდით „მოსეირნე“ ჭიანჭველებს. ყოველგვარ ნაგავს მხარზე შევიდებდით და „დავსეირნობდით“ სხვა ჭიანჭველებთან ერთად. მივიდოდით ბუდესთან, ისევ გამოვბრუნდებოდით, ავიკიდებდით ტოტებს, გამხმარ ფოთლებს, მიწის გოროხებს, წიწვებს და დავრბოდით. საქმეში ისე გავერთეთ, ერთმანეთთან სალაპარაკო დროც კი აღარ გვრჩებოდა.

მართალი გითხრათ, ინსტინქტით მუშაობა ნაკლებად საინტერესოა და, ცოტა არ იყოს, სულელურიცაა. ტვინს თითქოს ერთი წინადადება გიღრღნის: „მიდი, ბარანკინ! აბა, ჰე! წაიღე, ათრიე, ზიდე, ბარანკინ! ზიდე, ბარანკინ! რისთვის უნდა „ზიდო“? რატომ უნდა „ზიდო“? ვეღარ აზროვნებ. რაღაც ხელს გიშლის, ამიტომ შენი თავი სულელი და კრეტინიც კი გგონია... მხოლოდ ერთხელ გამინათდა გონება: მხრებით მორების თრევა მომბეზრდა და ჩვენთვის ტვირთის საზიდად ჯინი გავაკეთე, მაგრამ სულელური შეგრძნება მაინც არ მეშვებოდა და ტვინს მიხვრეტდა: „მიდი, ბარანკინ! აბა, ჰე! წაიღე! ათრიე! ზიდე!..“

ერთხელ კიდევ მაშინ გამინათდა გონება, როცა მომინდა კოსტია მალინინისათვის მეკითხა (რადგან მან ჩამითრია ამ საქმეში), ეს ოხერი ინსტინქტი კიდევ დიდხანს გვარბენინებს-მეთქი, მაგრამ მერე მომაგონდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ ერთი წიგნი წავიკითხე. ამ წიგნში გარკვევით ეწერა: ჭიანჭველები ინსტინქტით მხოლოდ მზის ჩასვლამდე მუშაობენო!

არ ვიცი, შეიძლება, შევჩეოდით კიდეც ჭიანჭველების კონვეიერული სისტემით მუშაობას და მართლაც მზის ჩასვლამდე გვემუშავა, რომ ერთი ამბავი არ მომხდარიყო... მეოცედ თუ ოცდამეათეჯერ ვბრუნდებოდით ჭიანჭველების ბუდისაკენ ჯინით, სწორედ ამ დროს ჩვენს (ჩვენს!) ბუდესთან ვენკა სმირნოვმა ჩაიარა. იმისგან კარგს არაფერს არ უნდა მოელოდე! ამის გაფიქრებაც კი ვერ მოვასწარი, რომ ვენკამ სტვენა-სტვენით ორჯერ ჩასცხო ბარი ჭიანჭველების ბუდეს და გზა განაგრძო.

რომ იცოდეთ, რა დაგვემართა! რა დაგვემართა-მეთქი, რომ ვამბობ, მარტო კოსტიას და ჩემს თავს კი არ ვგულისხმობ, არამედ ყველა ჭიანჭველას. თითქოს ვინმემ გვიბრძანა, ყველა ერთად გადავირიეთ, გავნერვიულდით, ავწრიალდით და გეგმის გადაჭარბებით შეეუდექით ჩვენი საერთო ბუდის შეკეთებას. თითქოს იმ ვენკა სმირნოვის მიზეზით ინსტინქტმა ყველანი პირველი სიჩქარიდან

მესამეზე გადაგვიყვანა, ამიტომ მუშაობა გაათკეცებული ძალით დავიწყეთ.

ეს ყველაფერი რომ შევიგრძენი, ძალიან მომინდა, კოსტიასათვის ჯინი ზურგში ჩამეცხო, მაგრამ ამის გაკეთება არ შემეძლო, რადგან ჯინის მეორე მხარე მალინინს ეპირა. კიდევ იმიტომ არ შემეძლო, რომ ტვინს გაათკეცებული ძალით მიხვრეტდა წინადადება: „მიდი, ბარანკინ! აბა, ჰე! წაიღე! ათრიე! ზიდე მარდად, ბარანკინ! აბა, ჰე!...“ და კიდევ იმიტომ არ შემეძლო, რომ, როგორც არ უნდა გამაჯავროს, კოსტიას ვერ ჩავცხებ, ის კი არა და, თითსაც ვერ დავაკარებ.

ისიც ხომ ახლა მესამე სიჩქარით დაჰქრის და მის უბედურ ტვინსაც, ალბათ, ის დაწყეველილი წინადადება ჩასჩიჩინებს: „მიდი, მალინინ, ჩქარა! აბა, ჰე! წაიღე! ათრიე! ზიდე! აბა, მარდად, მალინინ! მარდად! მარდად!

ოცდამეცხრე ფათერაკი

ალბათ, ამგვარი „აჯანყება“ არსად და არასოდეს არ მომსდარა

მორჩა!

ყველაფერი ჩაიფუშა!!! ყველა იმედი და ოცნება გამიცრუედა. მივხვდი, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ისეთი ცხოვრება, როგორზედაც ბაღში, სკამზე ჩამომჯდარი ვოცნებობდი, არსად არ არის და არც იქნება — არც დედამიწაზე, არც მიწის ქვეშ... არც ბეღურებს, არც პეპლებს, არც ჭიანჭველებს აქვთ ისეთი ცხოვრება... და, ალბათ, არც მამალ ფუტკრებს... ეტყობა, უსაქმურად არავინ ცხოვრობს. ახლა მე და კოსტია მამალი ფუტკრები რომ ვიყოთ და არა ჭიანჭველები, ვეცდებოდით, ხელი არ გაგვენძრია, ხოლო იმისათვის, რომ არაფერი გააკეთო, როგორც დავრწმუნდი, ჩვეულებრივ იმდენი უნდა გააკეთო, რომ ისევ ჯობია, რამე გააკეთო, ვიდრე ეცადო, არაფერი გააკეთო.

...არ არსებობს ასეთი ცხოვრება და ამიტომ არც ღირს მისი ძებნა! ამაზე დრო არ უნდა დაკარგოს კაცმა! არ არსე-ბობს! და თუ ეს ასეა, მაშინ მე და ჩემი საუკეთესო მეგობარი, კოსტია მალინინი, რალატომ ვართ ჭიანჭველები? რატომ გადავერთეთ მესამე სიჩქარეზე და გამალებით ვარემონტებთ ჭიანჭველების ბუდეს, რო-

მელშიც სულაც არ ვაპირებთ ცხოვრებას? რატომ ვღვრით ოფლს და თავს ვიკლავთ მუშაობით? დროა დაებრუნდეთ, სანამ გვიანი არ არის! სანამ რაიმე უბედურება არ შეგვმთხვეევია. ამ მწერებსა და ჩიტებს ყოველ წამს შეიძლება ისეთი ამბავი დაატყდეთ თავს, რომ მაგათი ბუნდლაც აღარ დარჩეს. კოსტიასკენ მივიხედე. მალინინი დუმდა, არაფერს მეკითხებოდა, არც იმაზე მებუზღუნებოდა, რომ უკვე მესამეჯერ ჩავარდა ამ ვაი-ვაგლახში. არც მლანძღავდა და არც მწყევლიდა. სწორედ ეს მიკლავდა გულს. მერჩია, გაეთათხე და გაველანძღე... მაგრამ კოსტია დუმდა, თითქოს პირში წყალი აქვს ჩაგუბებულიო. შეუჩერებლივ ფუსფუსებდა: აიკიდებდა ტვირთს, გადაათრევდა, ჩამოიღებდა ძირს; ისევ აიკიდებდა, ისევ გადაათრევდა, ისევ ჩამოიღებდა, ერთი ნაბიჯითაც არ მრჩებოდა უკან. კოსტია ნამდვილ ჭიანჭველასავით მუშაობდა.

„უნდა გავჩერდეთ! — გავიფიქრე მე. — დაუყოვნებლივ უნდა შევწყვიტოთ მუშაობა. დაბრუნებისათვის ძალა უნდა შემოვინახოთ, თორემ ეს ინსტინქტი საღამომდე სიკვდილის პირას მიგვიყვანს და ხელ-ფეხს ველარ გავანძრევთ... ბოლოს და ბოლოს, ამ ინსტინქტს ნამდვილი ჭიანჭველები დაემორჩილონ უსიტყვოდ. ჩვენ კი მ-ა-ს დავუმტკიცებთ, რომ მე და მალინინი გონიერი არსებანი ვართ. დიახ, დავუმტკიცებთ! თუმცა როგორ დავუმტკიცებთ, როცა თავში გონების ნატამალიც აღარ დარჩა! არავითარი აზრი აღარ მომდის. გარდა: „აბა, ყოჩაღად! ასწიე! წაიღე!..“ და აი, მეც ვეწევი, ვეზიდები, თან ჩემს თავს ჩუმად ვუბრძანებ: „იფიქრე, ბარანკინ! იფიქრე!.. ამ ინსტინქტის ჯიბრზე მაინც გაანძრიე თავი! არ დაემორჩილო! არ დაემორჩილო!..“

და, აი, „არ დაემორჩილოს“ წყალობით, ჩემს თავში უცებ შემუშავდა შეთქმულების გეგმა. ალბათ, ამგვარი შეთქმულება არსად და არასოდეს არ მომხდარა. გადავწყვიტე, ნამდვილი ბუნტი, ნამდვილი აჯანყება მომეწყო ინსტინქტის წინააღმდეგ!

სწორედ ამ დროს ერთ კონა წიწვს მივარბენინებდი, ჰოდა შევჩერდი, უკანა ფეხებზე შევდექი, წელში გავიმართე და, გეგონება, პეტრე პირველმა გასძახაო პოლტავის ბრძოლის ველს, ისე ხმამაღლა დავიყვირე:

— მალინინ! დაყარე ძირს ეგ ნაგავი! იქნება!

— „იქნება“? რა იქნება? — მკითხა კოსტიამ სრულიად გულგრილად.

— რა და, ბუნტი იქნება! შეთქმულება!

— ვის წინააღმდეგ?

— ი-ნ-ს-ტ-ი-ნ-ქ-ტ-ი-ს წინააღმდეგ! შეთქმულება!..

— რა არის „შეთქმულება“? — მკითხა მალინინმა.

მოდი და ელაპარაკე! ეტყობა, კოსტიას ჭიანჭველური ცხოვრებისაგან ტვინი ელრძო, რაკი ჩვეულებრივი, აღმოსავლური სიტყვების მნიშვნელობა ავიწყდებოდა. სასწრაფოდ შევახსენე სიტყვა „შეთქმულების“ მნიშვნელობა და ავუხსენი, რას ნიშნავდა, კოსტიამ უაზროდ მომისმინა და უაზროდვე მკითხა:

— რა შეთქმულება?

— როგორ თუ რა შეთქმულება? ჩვეულებრივი! არა, ჩვეულებრივი კი არა, გამანადგურებელი! ხომ გაიგე?

— რას ნიშნავს „გამანადგურებელი“? — კიდევ შემეკითხა კოსტია.

— გამანადგურებელი ნიშნავს: სიცოცხლის ფასად რომ დაგვიჯდეს, ინსტინქტს არ დავემორჩილოთ!

— რა არის „არ დავემორჩილოთ“? როგორ არ დავემორჩილოთ? — მალინინმა სევდიანი თვალებით შემომხედა და იქვნეულად ამოიოხრა.

— ჩვეულებრივად! გესმის? ის, ინსტინქტი, ჩვენ, მე და შენ, დაგვტვირთავს... გესმის, დაგვტვირთავს!

— დაგვტვირთავს? ეგ მესმის, — თქვა კოსტიამ.

— ხომ გაიგე? — გამიხარდა მე. — ინსტინქტი დაგვტვირთავს და გვაიძულებს ვიმუშაოთ. ჩვენ კი არ დავემორჩილებით... არ დავემორჩილებით, გესმის?

— როგორ არ დავემორჩილებით?

— აი ასე არ დავემორჩილებით! აი ასე! შეხედე!

ზურგზე წამოკიდებული ტვირთი ძირს გადმოვაგდე. კოსტია მალინინმა ჯერ ისე შემომხედა, თითქოს გიჟი ჭიანჭველა ვყოფილიყავი, მერე ძლივს გაიფიქრა რაღაც და არყის ხის ფოთოლი მიწაზე დაუშვა. ორთავემ უბარგოდ ჭიანჭველების ბილიკიდან გვერდზე გადავუხვიეთ. ინსტინქტს უნდოდა წიწვები ისევ აეკრეფინებინა ჩემთვის, მაგრამ არ დავემორჩილე. კოსტია მალინინი დაძაბული იდგა ჩემ გვერდით. მერე ისევ დაიწყო ტრიალი, თითქოს ძაღლია და საკუთარი კუდის დაჭერა უნდაო.

— რას ტრიალებ? — ვკითხე მე.

— ძალიან მინდა, დავბრუნდე და ფოთოლი ავიღო, — დაიჩურჩულა მალინინმა.

— არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილო! დაძლიე!

— მე ისედაც დავძლევ.

— ყოჩაღ! — შევაქე მალინინი და ბალახის ბუჩქში შევძვერი. — აქ მოდი.

კოსტია მძიმედ სუნთქავდა, ყოველ ნაბიჯზე ძლევდა ინსტინქტს; ძლივს მოაღწია ჩემამდე და ექვსივე ფეხით ჩამებღაუჭა. მე არყის ხის ფოთოლი დავიჭირე და, რომ არავის დავენახეთ, საბანივით გადავიფარეთ.

— ახლა კი, მალინინ, გულისყური მოიკრიბე და, რასაც ვიტყვი, მაშინვე გაიმეორე. — აღგზნებულმა წავიჩურჩულე.

> არ მსურს ჭიანჭველობა,
> ჯერ როდია გვიანი;
> მინდა მთელი სიცოცხლე
> ვიყო ადამიანი.

კოსტიამ ხმამაღლა დაისლუკუნა, მერე ღრმად ამოისუნთქა და ლოცვის ჯადოსნური სიტყვების მაგივრად თქვა:

— ვაი, დედა!..

— რა დაგემართა? — ვკითხე მე.

— ვიღაცა ფეხებზე მებღაუჭება...

ვიფიქრე, კოსტიას ისევ ინსტინქტი გადაეკიდა-მეთქი, ფოთოლი ავწიე, გამოვიხედე და რას ვხედავ — ინსტინქტი კი არა, ერთი სრულიად უცნობი ჭიანჭველა კოსტიას უკანა ფეხში სწვდომია და, რაც ძალა და ღონე აქვს, ეწევა.

ოცდამეათე თავი

ჯერ არნახული და გაუგონარი ამბავი

მე მეგონა, ადვილად მოვიშორებდით ჭიანჭველას თავიდან, მაგრამ შევცდი, ჭიანჭველა ძალიან შეუპოვარი გამოდგა. ის კი არა და, მეც მწვდა ფეხში.

მე, რასაკვირველია, დავემუქრე: დამეხსენი, თორემ ვაი შენი ბრალი-მეთქი. ის კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მეწეოდა, მერე საბანი, ესე იგი, არყის ხის ფოთოლი, გადაგვაძრო. მე, რალა თქმა უნდა, გავბრაზდი, ზეზე წამოვიჭერი; ბებერმა ჭიანჭველამ მე და კოსტიას ულვაშები მოგვითათუნა, თავიდან ფეხებამდე ექიმივით გაგვსინჯა და შეგვეკითხა:

— ავად ხომ არა ხართ?

— არა, — ვუპასუხე, — პირადად მე კარგად ვარ...

— მაშ რატომ წევხართ?

— ვისვენებთ!

— კი, მაგრამ, როცა ყველა მუშაობს, თქვენ რატომ ისვენებთ?

— იმიტომ, რომ დღეს კვირაა, — ვუთხარი მე.

— რა კვირა? — ვერ გაიგო ჭიანჭველამ.

— დასვენების დღე, — ავუხსენი.

— რა დასვენების დღე? რის დასვენების დღე?..

— ჩვეულებრივი, გამოსასვლელი დღეა, — ვუთხარი მე.

ის აძბავი, რომ გასურებული მუშაობის დროს ორი ჭიანჭველა დასაძინებლად მიწვა, სწრაფად მოედო მთელ ჭიანჭველების ბუდეს. ეს შემთხვევა, ეტყობა, იმდენად გაუგონარი და უჩვეულო იყო, რომ რაც კი ჭიანჭველები იყვნენ, ჩვენს სანახავად მოგროვდნენ. ერთნი გარს შემოგვერტყნენ და თვალებდაჭყეტილები მოგვჩერებოდნენ, დანარჩენები ყვავილებზე, ბალახებზე აძვრნენ და ზევიდან დაგვყურებდნენ.

— რა არის დასვენების დღე? — განაგრძობდა დაკითხვას კირკიტა ჭიანჭველა.

— დასვენების დღე ისეთი დღეა, როდესაც არავინ არ მუშაობს, — დავუწყე ახსნა ჩვენ ირგვლივ თავმოყრილ ჭიანჭველებს, მაგრამ რაც უფრო ვრცლად ვუხსნიდი, მით უფრო ნაკლებად ესმოდათ ჩემი. — საერთოდ, როდესაც ჩვენ იქ ვცხოვრობდით, იმ დღეს არასოდეს არ ვმუშაობდით, — ასე დავამთავრე ჩემი სიტყვა.

— სად „იქ“?

— იქ! — ფეხი გავიშვირე დიდი ქვის შენობისაკენ. — აი იქ, იმ ჭიანჭველების ბუდეში... არა, ჭიანჭველების კი არა, ადამიანების ბუდეში... დავიბენი და გავჩუმდი, ჭიანჭველების ჯგროდან ხმები გაისმა:

— საეჭვოა! საეჭვოა!

— ვინ არიან ესენი?

— უნდა გავარკვიოთ, გავარკვიოთ!

— გარკვევა არ არის საჭირო. დავაწყვიტოთ ფეხები, მორჩა და გათავდა!

— ესენი ჩვენები არ არიან, უცხოები არიან! ჩვენებურადაც არ ლაპარაკობენ!

— გავარკვიოთ, გავარკვიოთ!

სანამ მოხუცი ჭიანჭველები თათბირობდნენ, თუ როგორ დავესაჯეთ, დანარჩენები არა ცხრებოდნენ, ხმაურობდნენ. ჰოდა, სანამ ჯგრო ხმაურობდა, მოხუცები კი განაგრძობდნენ თათბირს, მოვასწარი და კოსტიას გადავეჩურჩულე:

— მალინინ, სანამ გვიან არ არის, გაიმეორე რასაც ვიტყვი!

არ მსურს ჭიანჭველობა,
ჯერ როდია გვიანი...

მაგრამ მალინინი თითქოს დაყრუვდა. შეშინებული მოხუც ჭიანჭველებს მისჩერებოდა, განზე რომ გამდგარიყვნენ და ბჭობდნენ.

სხვა გზა არ იყო, მეც გავჩუმდი, ამასობაში მოხუცმა ჭიანჭველებმაც მოითათბირეს. ერთი მათგანი მოგვიახლოვდა მე და კოსტიას და დაიძახა:

— ისმინეთ ყველამ! — აი, ეს ორი ჭიანჭველა. — მოხუცმა ჭიანჭველამ ჩვენზე მოუთითა. — ეს ორი უსაქმური არ დაელოდა მთვარის ამოსვლას და მზე ისევ ჩახჩახებდა, რომ ერთმაც და მეორემაც მუშაობა შეწყვიტა! ესენი არ დაელოდნენ მზის ჩასვლას, მუშაობას თავი ანებეს, არყის ხის ფოთოლი წაიფარეს და დაწვნენ დასაძინებლად. მე მოხუცი ჭიანჭველა ვარ, მაგრამ თვით უხუცესი ჭიანჭველებისგანაც კი არ მსმენია, რომ ჩვენს ჭიანჭველეთში როღისმე ასეთი ჯერ არნახული და გაუგონარი ამბავი მომხდარიყოს.

ჭიანჭველები მრისხანედ აზუზუნდნენ.

— ისმინეთ ყველამ! — გაიმეორა მოხუცმა ჭიანჭველამ. — უხუცესთა საბჭომ ამ ორ დამნაშავეს სიკვდილი მიუსაჯა!..

ჭიანჭველებმა მოწონებით დაიზუზუნეს. კოსტია მალინინმა, კრინტის დაძვრაც ვერ მოასწრო, რომ ჩვენ ათიოდე ჭიანჭველა მოგვიახლოვდა. ისინი უსიტყვოდ გვწვდნენ ფეხებში, გადაგვაბრუნეს და ჭიანჭველის პუდისგან შორს წაგვიღეს.

ოცდამეთერთმეტე ფათერაკი

აი, ვინ არიან მირმიკები და, აი, ვინ არის კოსტია მალინინი

არ ვიცი, ყველაფერი ეს რითი დამთავრდებოდა (ამაზე ფიქრიც კი მზარავს!), მაღალ ყვავილზე შემომჯდარ ჭიანჭველას რომ არ დაეყვირა:

— მირმიკები მოდიან! მირმიკები! მირმიკები!!!

სიტყვა „მირმიკის" გაგონებაზე, ჩვენ რომ მიგვათრევდნენ, ის ჭიანჭველები უცნაურად აცახცახდნენ და მე და კოსტია მიწაზე დაგვაგდეს. მერე აწრიალდნენ, ულვაშები ააცმაცუნეს და სასაცი-

ლოდ დაიწყეს ტლინკაობა. ყველაფერი ეს ველურების საომარ ცეკვას მოგაგონებდათ. ერთმანეთს ულვაშებს სცემდნენ, ყალყზე დგებოდნენ, ცეკვა-ცეკვით დროდადრო ისეთ მრისხანე სახეს ღებულობდნენ, თითქოს იმუქრებოდნენ, და ყველა სათითაოდ იმ უცნაურ და გაუგებარ სიტყვას იმეორებდა, ყვავილზე წამომჯდარმა ჭიანჭველამ რომ დაიძახა: „მირმიკები, მირმიკები!“ მერე ყველანი, როგორც ერთი, ოთხზე შედგნენ და სასწრაფოდ შეცვივდნენ ბალახის ბუჩქებში. მე და კოსტია ვიღას ვახსოვდით! ერთ წამში ყველა თვალს მიეფარა. მინდორი დაცარიელდა. ჩვენ მარტონი დავრჩით.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ის შიში, „მირმიკების“ გაგონებაზე ასე რომ დააფეთა ჭიანჭველები, მეც გადმომედო.

— მომყევი! ოღონდ ჩუმად... არ იხმაურო, — ვუთხარი კოსტია მალინინს, ყვავილზე ავძვერი და მიდამოს გადავხედე.

— რატომ ჩუმად? — მკითხა მალინინმა, ცოცვით უკან რომ მომყვებოდა.

— ისე, ყოველი შემთხვევისათვის, — ვთქვი მე, ის კი არ ვიცოდი, რომ ზუსტად ერთი წუთის მერე ჩემი სიფრთხილე გადაგვარჩენდა ორივეს.

ფოთოლზე აცოცდით და კიდევ ზევით ვაპირებდით ასვლას, რომ ჩვენს ქვემოთ, ხშირი ბალახებიდან ჯერ შავი, კოპლი ჭიანჭველა გამოვიდა, მერე მთელი ჩვენი „მზიდავები“ გამოჩნდნენ და რაღაც უცნაურად უკან-უკან იხევდნენ. მერე გამწკრივდნენ და გაჩერდნენ. მე და კოსტიამ ფოთლებიდან თავები გადმოვყავით და ჩუმად ვადევნებდით თვალყურს შავი ჭიანჭველების უცნაურ საქციელს. ისინი საომრად გამზადებული ჯარისკაცებივით გაუნძრეველად იდგნენ. სწორედ ამ დროს ბალახის ტყიდან თხუთმეტიოდე ზორბა წითური ჭიანჭველა გამოცოცდა და წითურებიც შეჩერდნენ.

რაც ამის მერე მოხდა, ომზე გადაღებულ მოკლემეტრაჟიან კინოჟურნალს ჰგავდა.

წითური ჭიანჭველები ძაღლებივით ეცნენ შავ ჭიანჭველებს. თავიანთ უზარმაზარ ყბებს საზარლად აღრჭიალებდნენ. თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, რომ შავი ჭიანჭველების თავები მიწაზე ბურთებივით გაგორდა. შავგვრემანი ჯარისკაცებიდან კოპლი ჭიანჭველაღა გადარჩა. ეტყობოდა, ეს ყველაზე გამოცდილი და ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილი მეომარი იყო. იგი მამაცურად იგერიებდა ორ მომხდურ წითურ ჭიანჭველას. ერთს ულვაშებშიც კი ეცა, ის ტკივილისაგან მიწაზე გაგორდა, დატრიალდა. მაგრამ

ამ დროს კიდევ ორი ჭიანჭველა მიეშველა წითურს, კოჭლს უკანა ფეხებში სწვდნენ და მიწაზე დაანარცხეს.

შავი გაძალიანდა, მაგრამ ერთი წითური მირმიკი ზურგზე დაახტა და ამგვარად, შავი ჭიანჭველების დამარცხებით დამთავრდა ბრძოლა.

წითურები გამარჯვებული სახეებით ათვალიერებდნენ გარემოს, ულვაშებს აცმაცუნებდნენ, გვერდებიდან მტვერს იბერტყავდნენ და თავი წესრიგში მოჰყავდათ.

მე ფოთლიდან გადავცოცდი, რადგან ვიგრძენი, რომ ინსტინქტი, სწორედ ის ინსტინქტი, სულ ცოტა ხნის წინ მე და მალინინმა რომ დავძლიეთ, ისევ იღვიძებს ჩემში, და არა მარტო იღვიძებს, მგონი, საბრძოლველადაც კი მგზავნის ჩვენი შავი ჭიანჭველების საშველად. კიდევ ერთი წამი და აუცილებლად ვისკუპებდი ყვავილიდან და წითურ მირმიკებს დავახტებოდი, მაგრამ არ ვისკუპე ყვავილიდან, ამჯერადაც დავძლიე ინსტინქტი, რადგან სისულელეს სჩადიოდა — მარტო მგზავნიდა მირმიკების მთელი რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. თანაც ვიცოდი, მე თუ ჩავებმებოდი ბრძოლაში, კოსტიასაც აიძულებდა ინსტინქტი მოგვშველებოდა, ჰოდა, რაღა თქმა უნდა, მირმიკებთან ბრძოლაში მალინინს ხეირი არ დაეყრებოდა.

სანამ ინსტინქტს ვებრძოდი, მირმიკები ხშირ ბალახებში მიიმალნენ. მინდორი კვლავ დაცარიელდა. მე და კოსტია რაც შეიძლება ჩუმად, უხმაუროდ ავცოცდით უფრო მაღლა, ყვავილს კენწეროზე მოვექეცით და სახტად დავრჩით.

ამასობაში წითურ ჭიანჭველებს შავი ჭიანჭველების ბუდისათვის ალყა შემოერტყათ და ახლა ველზე და ბალახებში გააფთრებული ბრძოლა გაჩაღებულიყო.

— ომია, მალინინ! — ვთქვი მე.

— ომია, ბარანკინ! — თქვა კოსტია მალინინმა.

ბრძოლის ველზე ბევრად უფრო ცოტანი იყვნენ წითური ჯარისკაცები, სამაგიეროდ უფრო ძლიერნი და გამოცდილნი ჩანდნენ. ისინი ნელ-ნელა ავიწროებდნენ შავ ჭიანჭველებს, რომლებიც ბუდისაკენ იხევდნენ. წითური მირმიკების მიერ დაპყრობილი მდელოები შავი ჭიანჭველების გვამებით იყო მოფენილი, ზოგი როგორ ეგდო და ზოგი — როგორ. დაჭრილნი ფეხებს აფართხალებდნენ და ძლივსღა აქნევდნენ ყბებს.

— საზიზღრები! — შეჰყვირა უცბად მალინინმა და უკანა ფეხებზე შედგა. — საზიზღრებო! პატარებს ერევიან!

მე, ყოველი შემთხვევისათვის, მალინინს ფეხში ვწვდი და სათვალთვალო პუნქტის კიდეს მივაშორე.

ბრძოლა კი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მოწინააღმდეგენი ფეხებით ეწეოდნენ ერთმანეთს, სარეკას სდებდნენ, ულვაშებს აწიწკნიდნენ და ყელში სწვდებოდნენ.

— წინ, შავლიპიანებო! არ შეშინდეთ! ეს სცხეთ წითურებს! — ღრიალებდა კოსტია და ხელიდან მისხლტებოდა. — დასცხეთ დამპყრობლებს!

შავლიპიანები მართლაც გაყოჩაღდნენ. როგორღაც სწრაფად აუღეს ალღო მორმიკებს და ახლა ლომებივით იბრძოდნენ, რიცხვობრივ უპირატესობასაც კარგად იყენებდნენ: ხუთი-ექვსი ერთად ეკვეთებოდა ხოლმე წითურ გოლიათს; ფეხებში და ულვაშებში სწვდებოდნენ, მიწაზე დაანარცხებდნენ და კლავდნენ.

— ასია მაგათზე! ახ! — დაიღრიალე, რაც ძალი და ღონე მქონდა.

— წინ, შავლიპიანებო! — შესძახა კოსტიამ.

— ვაშა! — ავღრიალდით ორივე ერთად.

წითურები შეკრთნენ და უკან დახევა იწყეს.

მე ფეხი პირში ჩავიდე და მაგრად დავუსტვინე. კოსტიამ სიხარულისგან ყვავილზე ხტუნვა დაიწყო, დატრიალდა და უცბად ადგილზე გაშეშდა.

— შეხედე! — მითხრა და ჭიანჭველების ბუდის მოპირდაპირე მხარეს გამახედა.

მე ძირს ჩავიხედე და ბორცვს გადაღმა მორმიკების დიდი რაზმი დავინახე. ისინი თავისიანების დასახმარებლად მოიჩქაროდნენ და სწორედ მაშინ, როცა შაკმა ჭიანჭველებმა ის-ის იყო წითურებს მთელ ფრონტზე უკან დაახევინეს. თუ წითურთა ჯარი დროზე მიეშველებოდა თავისიანებს, შავების საქმე, რაღა თქმა უნდა, ცუდად წავიდოდა. ჩვენც ხომ შავი ჭიანჭველები ვიყავით, კარგი დღე არც ჩვენ დაგვადგებოდა. ირგვლივ ომი მძვინვარებდა, ჩვენ კი ვისხედით და ვეგონება, კინოში ვიყავით, ვუყურებდით. მე და კოსტია რომ ადამიანები ვიყოთ, შავებს, როგორც საჭიროა, ისე დავეხმარებოდით-მეთქი, — გავიფიქრე, — მაგრამ ახლა ვის რაში გამოვადგებით! თუმცა, იქნებ, ახლაც გავაკეთოთ რამე? შავების მეთაურობა რომ ვიკისროთ, შეიძლება, სულ სხვანაირად დატრიალდეს საქმე. მართალია, ეგენი მე და კოსტიას სიკვდილით დასჯას გვიპირებდნენ, მაგრამ არა უშავს! ეს ხომ სიბოროტით არ მოსვლიათ, საქმისათვის იყო ასე საჭირო. საერთოდ, კარგი ბიჭები არიან! კარგი ბეიმრები! მაგრამ ინსტინქტურად, დაუფიქრებლად

იბრძვიან. არც მთავარსარდალი ჰყავთ. ყველა თავის ჭკუაზე იბრძვის, მეთაური რომ ჰყავდეთ, უჩვენებენ მირმიკებს სეირს!

მართლა, რა მოხდება, რომ ვიკისროთ მეთაურობა? მე მხედართმთავარი ვიქნები, კოსტია ჩემი შტაბის უფროსი. არა, კოსტია მალინინს აუცილებლად შეეშინდება. შტაბის უფროსად არ გამოდგება! არა, აჯობებს, სასწრაფოდ ადამიანებად გადავიქცეთ და წითური ჭიანჭველები გავრეკოთ შავი ჭიანჭველების ბუდიდან.

— მალინინ! — ვუბრძანე ისე, რომ ბრძოლის ველისთვის თვალი არ მომიშორებია, — გაიმეორე, მალინინ!

> არ მსურს ჭიანჭველობა,
> ჯერ როდია გვიანი!
> მინდა, მთელი სიცოცხლე
> ვიყო ადამიანი!

— მომყევი, ბარანკინ! სიკვდილი მირმიკებს! — უკანიდან შემომესმა კოსტია მალინინის გააფთრებული ყვირილი.

მოვიხედე, მაგრამ უკვე გვიან იყო. სიტყვებით — „მომყევი, ბარანკინ! სიკვდილი მირმიკებს!" კოსტია ყვავილიდან გადაეშვა, ჯოხს დასწვდა და წითურ ავაზაკებს ეკვეთა, რომ გზა გადაეკრა და შავ ჭიანჭველებს შეერთებოდა.

ოცდამეთორმეტე თავი

ალყაში მოვექეცით

„ინსტინქტი! — გამიელვა თავში. — ნუთუ კოსტია მალინინში ინსტინქტმა გაიღვიძა და არა მარტო გაიღვიძა, აიძულა საბრძოლველად წასულიყო? რა თქმა უნდა, არა! მე ძალიან კარგად ვიცნობდი კოსტია მალინინს და საფუძველიც მქონდა, ასე მეფიქრა. კოსტია არც ცხოვრებაში იყო მაინცდამაინც გულადი, ამიტომ არავითარ ინსტინქტებს არ შეეძლო მისი ბრძოლაში ჩაბმა. უბრალოდ, ამჯერად კოსტიაში ა-და-მი-ან-მა გაიღვიძა, აბა, რომელ ადამიანში არ გაიღვიძებს ადამიანი, როცა მის თვალწინ დიდები უსამართლოდ ჩაგრავენ პატარებს, თანაც ისეთ სიმპათიურ და მშრომელ ჭიანჭველებს, როგორიც ეს შავლიპიანები არიან. დიახ! კოსტიაში გაიღვიძა ადა-მი-ან-მა! კარგია, მალინინ! ყოჩაღ, მალინინ! შორიდანაც მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი, და შავი ჭიანჭველების გადასარჩენად შუაგულ ბრძოლაში ჩაება. წამითაც არ დაეფიქრე-

ბულვარ, მეც გადმოვხტი ყვავილიდან და კისრისტეხით ღავიდევნე მალინინს ფერდობზე. გორაკიდან კარგად მოჩანდა, წითურების უზარმაზარი რაზმი ზურგიდან როგორ ეპარებოდა შავებს. რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ჩვენისებისთვის უნდა შეგვეტყობინებინა ეს ამბავი, მაგრამ მალინინი, იმის მაგივრად, რომ შავ ჭიანჭველებს შეერთებოდა, გაფთრებული გაქანდა მარჯვენა ფლანგისაკენ, რათა მარტო შებრძოლებოდა მირმიკებს.

— კოსტია! — ეღრიალებდი მე და თან გავრბოდი. — მალინინ! მოიცა! მანდეთ ნუ უტევ! სად-თ მიდ-ხარ? მოგკლავენ, კოსტია, შეჩერდი!

მაგრამ კოსტია მალინინი ჩემს ყვირილს ყურადღებას არ აქცევდა.

— წინ! ჰკა მავთ! ლასცხე ფაშისტებს! — გაჰკიოდა კოსტია, კეტს იქსევდა და მირბოდა. რაღაცნაირად ცხენივით მიჰენაობდა და მტერის ბულს აყენებდა.

მირმიკების რაზმმა შეამჩნია თუ არა მათკენ მიმავალი შავი ჭიანჭველა, გეზი შეცვალა. არც შეჩერებულან, ისე დაეწყვნენ, საჩქაროდ რაღაც მოითათბირეს და მალინინისაკენ გამოქანდნენ. აი, სადაცაა ეცემიან და მალინინის თავი ბალახებში გაგორდება... მირმიკები მათკენ მიმავალ მალინინს ნახევარწრეულად შემოერტყნენ და ამით ჩვენიანებს საესებით მოეწყვიტეს.

ახლა ყველაფერი სისწრაფეზე იყო დამოკიდებული. ვეფხვის სამი ნახტომით დავეწიე კოსტიას, ეწვდი უკანა ფეხებში და გორაკის უკან, ჰატარა ნაკაფულისაკენ გავიქანე, აბობოქრებული ნაკადი არყის ხის ფოთლით გადაკლახეთ. მალინინი საპირეს ფეხებით გადავთრიე და სწორედ იმ დროს ჩავმალე ბალახებში, როცა მოპირდაპირე ნაპირს წითური მდევარი მოადგა. სიფრთხილისათვის კოსტია კიდევ უფრო ღრმად შევათრიე ტყეში და მხრიდან გადმოვიგდე.

კოსტია მალინინი გაშტერებული იჯდა ბალახებში. თვალები ისე გადმოეკარკლა, თითქოს ფიქრებით ისევ მირმიკებისაკენ მიქროდა.

— ჰო, რა მეომარი ხარ! — ვუთხარი მე და ძლივს გამოვგლიჯე კეტი ხელიდან. — ერთს ისეთს გხეთქავ მაგ გოგრაში, რომ მეორეჯერ აღარ ჩაეჩარო იქ, სადაც შენი საქმე არ არის! იმის მაგივრად, რომ ჩვენებს შეერთებოდი, შენ... ეეჰ, მალინინ!..

ალბათ, მართლა ჩავცხებდი, რომ იმ წუთს ხშირ ბალახებში წითური მირმიკის ზურგისთვის არ მომეკრა თვალი. მოვიხედე, რას ვხედავ, მირმიკს წითელი სიფათი გამოუყვია და თავის საზარელ

ყბებს ამოძრავებს. მარჯვნივაც და მარცხნივაც გამოჩნდნენ წითური ჭიანჭველები. ერთი უყურე! ესე იგი, ამათაც მოახერხეს მდინარის გადმოლახვა და არა მარტო გადმოლახვა, ალყის შემორტყმაც.

— აცოცდი ყვავილზე! — წავჩურჩულე მალინინს. — სასწრაფოდ მოიკრიბე გულისყური და გადაიქეცი ადამიანად!

— შენ?

— მე შენ დაგიცავ. ხომ ხედავ, რა მდგომარეობაში ჩავცვივდით. აძვერი!

კოსტია ყვავილის ყლორტზე აცოცდა და მეც უკან მივყევი. მირმიკებმა ფაჩუნი რომ გაიგონეს, ზემოთ დაიწყეს ცქერა. უფრო კარგად რომ დავენახეთ, ერთი მირმიკი უკანა ფეხებზე შედგა.

— უფრო ზემოთ აძვერი, — გადავუჩურჩულე კოსტიას, — შეგვამჩნიეს საზიზღრებმა! ყვავილზე აძვერი და იქ სწრაფად გადაიქეცი...

სანამ მალინინი ზემოთ მიცოცავდა, მირმიკებმა ყვავილს ალყა შემოარტყეს და ერთიმეორის მიყოლებით პირუჩუმრად დაიწყეს ზევით ამოცოცება...

ოცდამეცამეტე ფოთერაკი

ათი დიდი ჭიანჭველა ორი პატარა ჭიანჭველის წინააღმდეგ და აგლაგუდა — თვითმფრინავი

— ეი, თქვენ! — გადმოვძახე მე ფოთოლზე გადმოკიდებულმა. — ათი დიდი ორ პატარაზე მოიწევთ... არა გრცხვენიათ?

მირმიკები ხმას არ იღებდნენ, სულ ზევით და ზევით მოცოცავლნენ. ჩვენგან ასე ორი-სამი სანტიმეტრის მოშორებით შეჩერდნენ და ყბები დააღრჭიალეს.

„საინტერესოა, მოასწრებს თუ არა მალინინი ადამიანად გადაქცევას? — გავიფიქრე და კეტი ერთი ხელიდან მეორეში გადავიტანე. — უჩემოდ ვერაფერსაც ვერ გააკეთებს და ვერც მოასწრებს...“

— ეი, წითურო, — დავუყვირე ყველაზე დიდ მირმიკს, — ერთი ერთზე მოდით! მე შენ გიწვევ!

წითურმა ახმახმა უსიტყვოდ გადმოდგა ჩემკენ ნაბიჯი და ყბა დააღო. მე მთელი ძალით ეთხლიშე ჯოხი გოგრაში. მირმიკი შეტორტმანდა და უხმოდ დაენარცხა მიწაზე. დაღუპულის ადგილი იმ წამსვე ორმა წითურმა ჭიანჭველამ დაიკავა.

მათ გასამასპინძლებლად უკვე მზად ვიყავი, რომ ზემოდან მალინინის ხმა შემომესმა.

— იურკა! ფრთხილად! მესამე ზურგიდან გეპარება...

ფოთოლზე ავძვერი, სამი დარტყმით სამი მირმიკი ჩავაგდე ღეროდან და შევძახე:

— მალინინ! რატომ არ გადაიქცევი ადამიანად, რატომ არ ასრულებ ჩემს ბრძანებას?

— უშენოდ არაფრადაც არ გადავიქცევი! — დაიზუზუნა კოსტიამ.

— უნდა. გადაიქცე! — დავუღრიალე მე. თან შეტევაზე გადმოსული მირმიკები მოვიგერიე და ყვავილის შუაგულისაკენ დავიხიე.

მორჩა! ასაძრომი აღარსად იყო. ძირს, ჩვენს ქვემოთ, მირმიკები ბობოქრობდნენ, ზემოთ ცა იყო, მე და კოსტია მალინინი კი შუაში ვიყავით.

— მაინც, რატომ არ გადაიქცევი? — დავუღრიალე მალინინს, მაგრამ ამ დროს ყვავილის ფურცლიდან წითური თავი წამოიმართა და მრისხანედ დააბრიალა თვალები. — სასწრაფოდ გადაიქეცი! — შევძახე და მირმიკს ჯოხი ვთხლიშე.

მირმიკი გაქრა.

— თუ გადაქცევაა, ერთად გადავიქცეთ! — მითხრა მალინინმა.

უფსკრულის მეორე მხრიდან კვლავ ამოყო მირმიკმა თავი.

— ერთად ვერ მოვასწრებთ! — მე დაშნასავით ვატაკე ჯოხი ჭიანჭველას.

ჭიანჭველა მიიმალა.

— მარტო არ გადავიქცევი! — მითხრა მალინინმა.

რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვიქნიე ჯოხი, დაგწყეეტოთ ეშმაკმა-მეთქი, დავიძახე და ისეთი ძალით დავცხე ყვავილზე ამოხეხებულ მირმიკს, რომ ჯოხი გადატყდა. მირმიკი ძირს გადავარდა, მაგრამ მე დიდი კეტის ნაცვლად პატარა ნამტვრევიღა შემრჩა ხელში.

მე და კოსტიამ გვირილის შუაგულისაკენ დავიხიეთ. არაფრით აღარ შეგვეძლო თავის დაცვა. მირმიკები თითქოს მიხვდნენ ამას: სხვადასხვა მხრიდან ოთხმა ერთდროულად ამოყო წითური თავი. მე და კოსტია ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— დავიღუპეთ! — მითხრა მალინინმა. — მშვიდობით, ბარანკინ!

ჩემი საუკეთესო მეგობრისთვის დამშვიდება არ დამიწყია, რადგან აშკარა იყო, მე და კოსტია მალინინი ნამდვილად ვიღუპებოდით. ქვემოთ მირმიკთა რაზმი ადგა, ზემოდან ხეცა დაგვეურებდა,

მე და კოსტია კი მირმიკებსა და ცას შორის ვიყავით გამოკიდებულნი. მეზობელ ყვავილზე მაინც შეგვძლებოდა გადახტომა... რას გადახტები — შორსაა. მიწაზე კი შეგვიძლია ჩავსტეთ, მაგრამ ბალახში მოფუოფუთე მირმიკებსაც სწორედ ეს უნდათ. მე და კოსტია ხომ არა ერთხელ გადავურჩით სიკვდილს. მაგრამ მაინც ხომ დავუსსტდით ხელიდან! ნუთუ ამჯერად ვეღარ დავაღწევთ თავს განსაცდელს? ნუთუ ასე სულელურად უნდა დავიღუპოთ აქ, ამ გვირილაზე, როცა ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებამდე სულ რაღაც რამდენიმე ნაბიჯია?

ნუთუ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ის, რაც ჩვენ გავიგეთ, გადავიტანეთ და განვიცადეთ, უქმად ჩაივლის?!

— გამაგრდი, მალინინ! ახლავე ეუჩვენებთ მაგ მირმიკებს, როგორ იღუპებიან ნამდვილი ვაჟკაცები!

მე უკანა ფეხებზე შევდექი, რომ ღირსეულად დავხვედროდი მირმიკებს და უცბად თავით აბლაბუდაში გავეხვიე. აბლაბუდა ყვავილის ფურცლებს წამოსდებოდა და ჯადოსნური მფრინავი ხალიჩის ძაფებივით ფრიალებდა.

— მალინინ! — დავიღრიალე მე და კოსტია ამჯერად უსიტყვოდ მიხვდა, რაც მქონდა განზრახული.

კოსტია თვალის დახამხამებაში აბლაბუდაზე მოექცა, მეც უკან მივყევი. ახლა აბლაბუდის გადაკვნეტა იყო საჭირო... ჰოდა მე გადავკვნიტე. აბლაბუდა გაფრინდა, გაფრინდა სწორედ იმ დროს, როდესაც ოთხი მირმიკი ერთდროულად გვეკვეთა ყოველი მხრიდან. ერთმა მირმიკმა, რომელიც თავის წაცლას მიპირებდა, პირი ოდნავ გამკრა ფეხზე. ოთხმა ხაფანგის მსგავსმა ყბამ ერთდროულად გაიჩხაკუნა. მაგრამ უკვე გვიან იყო. მე და კოსტია უკვე ჰაერში ვიყავით. ქვემოთ ჩავიხედე და თვალებს არ დავუჯერე: თურმე, სანამ მე და მალინინი ყვავილზე წითურ მტრებს ვიგერიებდით, შავ ჭიანჭველებს მირმიკები ერთიანად გაენადგურებინათ და ახლა თავიანთ საქმიანობას განაგრძობდნენ.

ომი ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც დაიწყო. ახლა მხოლოდ დაჭრილი ჭიანჭველები და მზიდავები, რომელთაც გვამები ჭიანჭველების ბუდისაგან მოშორებით გადაჰქონდათ, მოგაგონებდათ, რომ ამ რამდენიმე წუთის წინ აქ, ამ ველზე, საშინელი ომი მძვინვარებდა. აბლაბუდის მფრინავი ხალიჩის ძაფი სულ უფრო და უფრო გვაშორებდა ყვავილს და ჭიანჭველების ბუდისაკენ მიგვაქროლებდა.

არ მსურს ჭიანჭველობა,
ჯერ არ არის გვიანი...

ხმამაღლა შემოვძახე მე.

მინდა, მთელი სიცოცხლე
ვიყო ადამიანი!

ამყვა კოსტია მალინინი.

სწორედ ამ დროს უკანიდან საშინელი სტვენა შემომესმა. ჰაერის ძლიერი ტალღა ფერდში მეტაკა, გადამაყირავა, ბზრიალასავით დამატრიალა და აბლაბუდას ძაფს მომგლიჯა. რამდენჯერმე გადავედი ყირაზე და თვალი მოვკარი, როგორ ჩაუნისკარტა კოსტია მალინინს ვეებერთელა ნამგალამ. გადასანსლა და ცაში აიჭრა...

გონს რომ მოვეგე და მივხვდი, რ-ა-ც მოხდა, ცუდად შევიქენი და უგრძნობლად დავეცი მიწაზე...

ნაწილი მეხუთე

ბარანკინ. მოიძეცი ადამიანურად!

ოცდამეთოთხმეტე ფათერაკი

სმა „სამარიღან“.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე უგონოდ ბალახებში. მე მგონი, ძალიან დიდხანს, მაგრამ. როცა გონება თანდათან დამიბრუნდა, მაინც უგონოსავით ვეგდე ძირს.

ვიწექი და ვბოდავდი. ის, რაც მე და კოსტიამ გადავიტანეთ, ყველაფერი საოცარი არათანამიმდევრულობით ისევ თვალწინ მიტრიალებდა. თვალის გახელა ვცადე, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა — არ ვიცი, ღამე იყო თუ მე დავბრმავდი...

კოსტიაზე დავიწყე ფიქრი. კოსტია დაიღუპა, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ცოცხლობდა. მეხსიერებამ, თუმცა ცოტა ხანით, მაგრამ მაინც მკვდრეთით აღადგინა ჩემი საუკეთესო მეგობარი და ამით შვება ვიგრძენი. რატომ მე არ გადამსანსლა იმ წყეულმა ნამგალამ? ამ ფათერაკებს მე გადავკიდე, ჰოდა, აი მე ცოცხალი ვარ, ის კი დაიღუპა, თანაც დაიღუპა, როგორც ჭიანჭველა, ადამიანად გადაქცევაც კი ვერ მოასწრო! თავიდან ეს აზრი მართალი მეგონა, მერე კი ცოტა რომ დავფიქრდი, უკვე აღარ მომეჩვენა მართალი.

რას ნიშნავს — „კოსტია. როგორც ჭიანჭველა, ისე დაიღუპა? ადამიანად გადაქცევა კი ვერ მოასწრო"? რადაც არ უნდა გადაქცეულიყო კოსტია, ჩემთვის მაინც ადამიანად დარჩებოდა! ჭიანჭველების საშველადაც ადამიანივით ჩაება ბრძოლაში! არც მე მიმატოვა უბედურებაში! მარტომ, უჩემოდ, ადამიანად გადაქცევაც არ ისურვა! თვით მირმიკების წინაშეც არ შედრკა! ერკა კუზიაკინას თავისი თვალით რომ ენახა, როგორ უშიშრად იბრძოდა მალინინი ომში, კიდლის გაზეთის ერთ ნომერს ფოლიანად მას უძღვნიდა. ხოლო ალიკ ნოვიკოვი, ჭიანჭველებს კორესპონდენტი რომ ყოფილიყო, მთელ ფირს კოსტიაზე დახარჯავდა. კოსტია მალინინი მთელი ეს დრო ადამიანი იყო და დაიღუპა, როგორც ადამიანი. რად უნდოდა, ლოცვას რომ ჩურჩულებდა, ასდა დიდი მოწადინება, ადამიანად რომ ქცეულიყო. ის დიდი ხანია იქცა ადამიანად! დიახ! კოსტია მალინინი, უდავოდ, იქცა ადამიანად, მე კი? მე?.. რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე მეძნელება ლაპარაკი. ადამიანურად ვიქცეოდი თუ არა კოსტია მალინინის მიმართ, ამასაც ვერ განვსჯი... შეიძლება... მე ისევ ჭიანჭველად დავრჩი? შეიძლება... მაგრამ, პატიოსნებას ვფიცავ, მეც ვცდილობდი, საქმე არ გამეფუჭებინა... რამდენჯერმე კოსტიას გულისათვის მირმიკებმა კინაღამ თავი არ წამაჭამეს. კიდევ კარგი, ბოლოსაც შეცდნენ და თავის მაგივრად ფეხში მწვდნენ. ფეხი ახლაც მწიწკნის და მტკივა.

ზედა ფეხი ფრთხილად მოვისვი, მირმიკმა რომ მიკბინა, იმ ფეხზე და შევცბი... არა, არა, ამჯერად მე ჭიანჭველის ფეხს კი არა, ადამიანის ხელს ვისვამდი ფეხზე, — ყოველ შემთხვევაში; ასე მომეჩვენა... ახლა კი თვალი გავახილე და, მართლაც, ჭიანჭველის ფეხის ნაცვლად ჩვეულებრივი ბიჭის ფეხი დავინახე. ეს ჩემი ფეხი იყო. მხოლოდ სისხლშემხმარი ნაკაწრი მაგონებდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ ეს ჭიანჭველის ფეხი იყო. ხელებიც მქონდა და თავი... თავიც თავის ადგილზე მება.

საბოლოოდ გონზე რომ მოვსულიყავი, ცოტა ხანს კიდევ ვიწექი ბალახებში, მერე წამოვჯექი, ბოლოს ავდექი კიდეც, შარვალი ჩამოვიბერტყე, ხელები ჯიბეებში ჩავიწყე და ადამიანივით შინისკენ გავწიე. ისე მივდიოდი, გვერდზე ერთი არ გამიხედავს. მხოლოდ ჩემი ფეხსაცმელების წვერებს მივჩერებოდი. თავი დამძიმებული მქონდა, ტანში მამტვრევდა, თითქოს ჯოხით მაგრად უცემიათო. მირმიკების ნაკბენი ფეხი კი ისე შეწვოდა, ძლივსღა ვადგამდი. ერთი ხუთჯერ თუ ექვსჯერ დავეჯახე გამვლელებს. ვისაც დავეჯახებოდი, ყველა იმას მეუბნებოდა: „წინ იყურე, ბიჭიკო!" — თითქოს წინ კი არ ვიყურებოდი, აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს.

არ მახსოვს. ჩემს ეზომდე როგორ მივაღწიე. იმიტომ რომ მოელი გზა თითქოს ძილში ვიყავი. კუტიკარს რომ მივაწყდი, მხოლოდ მაშინ გამოვფხიზლდი.

ჯიბიდან ხელები არ ამომიღია, წიხლისკვრით შევაღე კარი. სკამთან მივედი და დავჯექი. ეზოში ყველაფერი ძველებურად იყო. ბელურები ისევ ისე მხიარულად, გუნდ-გუნდად დახტოდნენ აკაციის ტოტებზე. ყვავილნარზე დაფრინავდნენ პეპლები, სკამზე კი შავი ჭიანჭველები მიმორბოდნენ. ყველაფერი ძველებურად იყო, კოსტია მალინინი არ იყო მხოლოდ. არ იყო და აღარც არასოდეს იქნებოდა. ისე, აღარც მე ვიყავი, უფრო სწორად, ვიყავი, მაგრამ ისეთი კი არა, სულ სხვანაირი. ვიჯექი სკამზე და ასე მეგონა, ძალიან შორეული და საშიში მოგზაურობიდან დაბრუნდი, მოგზაურობიდან, მრავალი წლის წინ ჩემს საუკეთესო მეგობარ კოსტია მალინინთან ერთად რომ გავემგზავრე, დაბრუნებით კი მარტო დაბრუნდი და მთელი სიცოცხლე მარტო ვიქნები... სახეზე ხელები ავიფარე და ავღრიალდი. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემს ცხოვრებაში, რომ ვღრიალებდი. ცრემლები ღვარად ჩამომდიოდა ლოყებზე, ხელებზე, კისერზე და მუცელზეც კი. ვიჯექი, ვღრიალებდი და ცრემლები ღაპაღუპით მცვივოდა. გამიკვირდა კიდეც: საიდან აქვს ადამიანს ამდენი ცრემლი-მეთქი? მერე ისიც ვიფიქრე, თუ ადამიანს თავის სიცოცხლეში არასოდეს უტირია, ადვილად შეიძლება, ამდენი ცრემლი დაუგროვდეს-მეთქი.

— ბარანკინ! რას სლუკუნებ? — უცბად, სრულიად მოულოდნელად, საიდანღაც ზემოდან კოსტია მალინინის ხმა მომესმა.

ოცდამეთსუთმეტე უათერაკი

ჩვენ ვარსებობთ!

— კოსტია. შენა ხარ? — ვთქვი მე და შევწყვიტე ტირილი.

— მე ვარ! — მიპასუხა კოსტია მალინინმა ზევიდან. ეს ყრუ, შორეული ხმა თითქოს ზეციდან მოისმოდა.

— შენ უკვე... ი-ქ-ა ხარ?

— სად ი-ქ-ა?

— სად და.ი.ქ. საიქიოს.

— რომელ საიქიოს?.. ღობეზე ვარ, საიქიოში კი არა, რა სისულელეებს ჩმახავ?

— რას მატყუებ, მალინინ? ჩემი თვალით დავინახე. ნამგალამ რომ გადაგსახლა, და რაკი გადაგსახლა, ღობეზე ველარ იჯდები.

— ვინ გადასახლა ნამგალამ? მე?.. მე კი არა, შენ გადაგსახლა, ჩემი თვალით დავინახე.

— მე შენ გეუბნები. შენ გადაგსახლა.

— როგორ გადამსახლა, როცა ღობეზე ცოცხალი და უვნებელი ვზივარ? გაახილე თვალები და დარწმუნდები!

— „გაახილე"! თუკი მეშინია, როგორ გავახილო?

— რისი გეშინია?

— თვალები რომ გავახილო და შენ არ იყო... — ამოვისლუკუნე და ისევ ღვარად წამომივიდა ცრემლები.

— კარგი, ახლავე დარწმუნდები, ვარ თუ არა ვარ, — თქვა კოსტია მალინინმა.

ზემოთ რაღაც აფათურდა, აფხაკუნდა და მხრებზე დამახტა.

მიწაზე დავეცი და თვალები გავახილე. კოსტია მალინინი ცოცხალი იყო, დიახ, უდავოდ, ცოცხალი იყო. ზედ მეჯდა, მუშტებს მიხათქუნებდა და თან დამძახოდა:

— ჰა, რას იტყვი, ვარ თუ არა ვარ? ვარ თუ არა ვარ?

— ხარ! — დავიღრიალე მე და ორივენი ყვითელი ფოთლებით მოფენილ ბალახზე გავგორდით. — კოსტია მალინინი. მალინინების ოჯახის წარმომადგენელი არსებობს!!! ვაშაააა!!! ვაშაააა!!!

— მაშ, ვ-ა-რ-ს-ე-ბ-ო-ბ-თ!

— მაშასადამე, ვ-ა-რ-ს-ე-ბ-ო-ბ-თ!

— კი, მაგრამ როგორ ვარსებობთ?

— როგორც ადამიანები!

— როგორც ა-დ-ა-მ-ი-ა-ნ-ე-ბ-ი!

— ვაშაააა! — ერთად შევძახეთ გახარებულებმა და ისევ ჩავეხვიეთ ერთმანეთს.

— მოიცა! მოიცა! — ვუთხარი კოსტიას.—ერთი შემოგხედო!

— რა მოგივიდა, იურკა! — გაეცინა კოსტიას. — ჯერ არ გინახივარ თუ რა?

— ჰო, არ მინახიხარ! წინათ არც მე მინახიხარ და არც შენ გინახივარ, როგორც წესი და რიგია... მთავარი კი ის არის, რომ წინათ მე ჩემს თავს ვერ ვხედავდი, და ვერც შენ ხედავდი შენს თავს...

ჩვენ ერთმანეთს უხმოდ მივაჩერდით: კოსტია მე მიყურებდა, მე კი კოსტიას ვუყურებდი. თანაც ისე, უბრალოდ კი არ ვუყურებდი, თავიდან ფეხებამდე ვათვალიერებდი., თითქოს ბუნების რაღაც საოცრება აღმომეჩინა. თვალებდაჭყეტილი კარგა ხანს დავჩერებოდი კოსტიას ბრძოლაგამოვლილ, დაკაწრულ, დაგაზულ ხელებს.

წინათ, რა თქმა უნდა, არც ჩემს და არც სხვის ხელებს არაფრით არ მივაქცევდი ყურადღებას. ახლა კი თვალი ვერ მოვიშორებია. აი, ეს მესმის! ხელები ჭიანჭველის, ფუსი ან ბეღურის ფრთა არ გეგონოთ, იქნებ, თქვენც არ სურთ, მიგიქცევიათ თქვენი ხელებისათვის ყურადღება?! არა, შეიძლება. რომელიმე ბიჭს მიუქცევია, გოგონები კი მხოლოდ თავიანთ სახეს აქცევენ ყურადღებას.

თავი!.. წინათ არც თავისთვის მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება. თავი, თავია... მხრებზე გვაბია, გათავდა და მორჩა! მოიგდებ ქუდს და ეგ არის! იოცნებებ და მორჩა! ახლა კი... იმის მერე, რაც მე განვიცადე, კარგად ვიცი, რომ, თუ ადამიანის ხელები სასწაულია, მაშინ თავი სასწაულთა სასწაულია. თვით ვენერა სმირნოვის თავიც კი სასწაულია. მაგრამ მან ეს ჯერ არ იცის, და თანაც ამ სასწაულს ვერ იყენებს! ვესკასნარები კი ლედამიწის ზურგზე, ალბათ, უამრავია. ამერიკაშიც ეყოლებათ თავიანთი ვენერა სმირნოვები, საფრანგეთშიც, ინგლისშიც... ყველგან არიან ისეთი ბავშვები, არაფერზე რომ არ ფიქრობენ, არიან ისეთებიც. რომლებიც იმაზე ფიქრობენ, რაზედაც არ უნდა იფიქრონ, — დიახ, არიან ასეთებიც. მაგალითად, მე და კოსტია მალინინი! ახლა კი ნამდვილად ვიცი, რატომ ხდება ასე: იმიტომ, რომ ყველა ბავშვმა არ იცის, რა კარგია და რა საოცრად საინტერესოა ფიქრი საერთოდ და განსაკუთრებით კი იმაზე, რაზედაც საჭიროა იფიქრო. იფიქრო და მოიასაზრო! და ისევ ისე უსუსურად კი არა, როგორც იტყვიან, ინსტინქტურად, ჭიანჭველურად, უნდა იფიქრო ნამდვილად, ა-და-მი-ა-ნუ-რად!!!

არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვისხდებოდით მე და კოსტია ბალახებზე ასე ერთსა და იმავე ფიქრებში გართულნი...

კოსტია არაფერს ამბობდა, მაგრამ თავს დავდებ, თუ ისიც იმასვე არ ფიქრობდა, რასაც მე. და, აი, ორივე ფიქრებში რომ ვიყავით გართულნი, ხიდან ზურგზე რალაც ფუმფულა დამასტა და ისე ჩამებღაუჭა ბეღურებისაგან დაკორტნილ და ჭიანჭველებისაგან დაკბენილ ზურგზე, რომ კინალამ ავღრიალდი.

— მუსკა! — შესძახა გაბარებულმა კოსტია მალინინმა.

დიახ, ისა ბრძანდებოდა — ჩვენი მუსკა, სწორედ ის მუსკა, ორჯერ რომ დამიპირა შეჭმა, ბეღურა რომ ვიყავი. მაშინ.

— აჰა, დაგიჭირე, მუსკა! — დავიყვირე მე და მუსკა ზურგიდან მოვიგლიჯე. — ახლა გიჩვენებ სეირს! — ყურში მინდოდა ვწვდომოდი, მაგრამ კოსტიამ არ დამანება.

— არ გინდა, ბარანკინ! — აპატიე, რაკი ყველაფერი კარგად დამთავრდა! — მითხრა კოსტიამ.

ეს რომ თქვა, ეტყობა, კოსტია ისევ აიტაცა იმის სიბარულმა,

ყველაფერი ასე კარგად და შესანიშნავად რომ დამთავრდა, ისევ მომვარდა და გულში მაგრად ჩამიკრა. მერე სიხარულისაგან სკამს მოვეხვიე, სწორედ იმ სკამს, რომელზედაც ვისხედით მ-ა-შ-ი-ნ. მერე არყის ხესთან მდგარ ღობეს მოვეხვიე. ბოლოს ორივემ არყის ხე ჩავიკარით გულში.. ამ ხის ქვეშ იდგა ის სკამი, რომელზედაც ვიჯექი. პირველად რომ გავიფიქრე, დავიღალე, ადამიანობა აღარ მსურს-მეთქი.

— მე ამათ ეზო-ეზო დავეძებ. ესენი კი ხეებს ესვევიან! — დაიძახა ველოსიპედზე მჯდარმა მიშკა იაკოველევმ და მანქანა მოულოდნელად ეზოში შემოაველეა. ველოსიპედზე ალიკიც ეჯდა.

მიშკასა და ალიკს ზინკა ფოკინა, ერა კუზიაკინა და დასარჩენი ბავშვები მოჰყვნენ.

— მიშკა! — ერთად შევძახეთ მე და კოსტიამ, აქეთ-იქიდან ვეცით იაკოველევს და გულში ჩავიკარით.

მოულოდნელობისაგან მიშკამ საჭეს ხელი უშვა და ყველამ ერთად მოვადინეთ მიწაზე ზღართანი: მე და კოსტია არ ვეშვებოდით მიშკა იაკოველევსა და ალიკ ნოვიკოვს, ვეხვეოდით და ვკოცნიდით.

— რა მოგვიდათ, ბიჭებო! ხომ არ გაგიჟდით? გუშინ არ იყო, რომ გნახეთ! ბიჭებო! რა გოგოებივით იქცევით! — ვერაფრით ვერ ჩამოგვიშორეს ალიკმა და მიშკამ.

— ალიკ, მიშკა! — ამბობდა თვალცრემლიანი კოსტია და თან ყურთან უწკლაპუნებდა იაკოველევს. — იცით, თქვენ რომ აქ არ იყავით, რა მოხდა?..

— რა მოხდა? სად? — ყურები ცქვიტა ალიკმა.

— რაც მ-ო-ხ-დ-ა, მ-ო-ხ-დ-ა, — ვთქვი მე და ისეთი თვალით შევხედე კოსტია მალინინს, რომ ენაზე იკბინა.

ამ დროს ჩვენი კლასელი გოგოები შემოგვეხვივნენ.

— ამათ, რაღა თქმა უნდა, მთელ ქალაქში ეძებენ. ესენი კი, რა თქმა უნდა, ბალახებში გორაობენ!.. — თქვა ერა კუზიაკინამ.

— ბარანკინ! აპირებთ თუ არა მეცადინეობის დაწყებას ბოლოს და ბოლოს? — მითხრა ზინკა ფოკინამ.

— ზინოჩკა! — ვუთხარი მე. — ზინოჩკა! — გავიმეორე. — ნეტავი იცოდე, როგორ ვაპირებთ მე და კოსტია მე-ცა-დი-ნე-ო-ბას!

— მეცადინეობასაც და მუშაობასაც! — დაუმატა კოსტიამ და ერა კუზიაკინას ბარი გამოართვა.

მე კი ზინკა ფოკინას გამოვართვი ბარი.

— ბარანკინ! რატომ გაქვთ შენ და მალინინს შეშლილი სახეები? და ქცევითაც რაღაც სხვანაირად იქცევით... — მკითხა ერამ.

— იმიტომ, რომ იმიტომ! — დავუყვირე მე.

— წავიდეთ,—თქვა მიშკამ,—ისედაც ამდენი დრო დავკარგეთ!

— ერთი წუთით! — ვთქვი მე. — ბიჭებო!.. მინდა ყველას გითხრათ, რომ სიტყვა ადამიანი კარგად ჟღერს!

— ბარანკინ! — მითხრა ერამ. — სწორად არ ამბობ! ეგრე კი არა, ასე უნდა თქვა: „ადამიანი ამაყად ჟღერს!"

— ეგრე იყოს, ერკა! — ვუთხარი. — ჩვენ ახლა ცოტა შენზე უკეთ ვიცით, როგორ ჟღერს ა-და-მი-ანი! ასე არ არის, მაქაონო? უფრო სწორად, მალინინ?

— ასეა, ბარანკინ!

ამ სიტყვების მერე მე და კოსტია აქეთ-იქიდან ამოვუდექით მიშკას და ხელი მოვხვიეთ.

— მაშ წავცოცდეთ? — კოსტია მალინინმა საზეიმო ხმით გვითხრა მე და მიშკას.

ამ სიტყვებით მან ყველას თვალწინ დაიწყო დათხება. კიდევ კარგი, რომ მოვასწარი და ქესოში წავავლე ხელი.

— სად უნდა წავცოცდეთ? რატომ უნდა წავცოცდეთ? — იკითხა მიშკამ.

— აი, ხომ ხედავთ, ესენი ისევ თავიანთ ოინებს განაგრძობენ!.. — წამოიძახა ერკა კუზიაკინამ.

— მალინინ! — ვთქვი მრისხანედ და სახეც მრისხანე მივიღე, რომ კოსტიას ძველი ჭიანჭველური ჩვევები თავიდან ამოეგდო.

— მინდოდა მეთქვა, გავფრინდეთ-მეთქი! — თქვა კოსტიამ და ის იყო ცალი ხელი შაქაონის ფრთასავით უნდა აექნია, რომ მოვასწარი და ხელი დავუჭირე.

რა თქმა უნდა, ყველა, როგორც არანორმალურებს, ისე გვიყურებდა. მე რა უნდა მექნა? ახსნა-განმარტებას ხომ ვერ დავიწყებდი? ამიტომ კოსტიას რაც შემეძლო მაგრად ჩაეჭიდე ხელი და მრავალმნიშვნელოვნად ვუთხარი:

— მალინინ!.. ჩვიკ! ვიჩვიკ! ესე იგი...

— ამოისუნთქვა!.. ჩა-სუნ-თქვა! — თქვა კოსტია მალინინმა.

დეე ბიჭები, როგორც ყოველთვის, ახლაც ნუ მიგვიხვდებოდნენ, მალინინი კი მიმიხვდა და მეც მივუსვდი! მეტი აღარაფერი გვითქვამს, იმიტომ რომ ჩვენ სამივენი (მე! კოსტიას და მიშკას!) სამეცადინოდ გავფრინდით. უფრო სწორად, კი არ გავფრინდით, რა თქმა უნდა, გავიქეცით, მაგრამ ასე გვეგონა, მივფრინავდით.

კიბის თავზე სრულიად შემთხვევით ვენკა სმირნოვს შევეჯახე. ხომ გახსოვთ იგი? ბეღურები რომ ვიყავით და მე და კოსტიას შურდული გვესროლა, პეპლები რომ ვიყავით, ფრთების დაგლეჯა ლაგვიპირა... ხოლო ჭიანჭველები რომ ვიყავით, ბუდე დაგვინგრია!

— გაუმარჯოს! — თქვა ვენკამ, თვალები მოწკურა და კიბე ჩაარბინა, ერთბაშად ორ-ორ საფეხურს ახტებოდა.

ხალათში ვწვდი და შეეაჩერე.

— რა გინდა? — მკითხა ვენკამ.

— აი, რა მინდა! — ჩემკენ მოვზიდე და ქიმუნჯი ვკარი.

— რას მერჩი? — მკითხა ვენკამ და თვალები მოწკურა.

— მეორეჯერ შურდულს აღარ მესვრი.

— როდის გესროლე შურდული?

— აგერ, იმ ტოტზე რომ ვიჯექი! — ხელი გავიშვირე ალვის ხისაკენ, საიდანაც მე და კოსტია ვენკამ თავისი კატაპულტით კინაღამ არ გადმოგვყარა.

— როდის იჯექი იმ ტოტზე? რა სისულელეს ჩმახავ, ბარანკინ?

— სი-სუ-ლე-ლეს ვჩმახავ? მაშ, ალვის ხეზე შემომჯდარი ორი ბეღურა არ გახსოვს?

ვენკამ თვალები მოწკურა, რომ რაც შეიძლება უკეთესი პასუხი მოეფიქრებინა.

— ესეც პეპლებისათვის მიიღე! რომ მეორედ ჩვენ, ესე იგი იმათ, ფრთები არ დააგლიჯო! ეს კი ჭიანჭველებისათვის! ჭიანჭველების ბუდეს რომ ბარი აღარ ჩაკრა...

ვენკას კიდევ ორჯერ წავუთაქე კისერში, მერე ოპტიკურსამიზნიანი შურდული ჯიბიდან ამოვგლიჯე, გადავუმტვრიე და კიბეზე ავირბინე. რომ კოსტიასა და მიშკას დავწეოდი.

— ბარანკინ! — ამომძახა ქვემოდან ვენკამ.

— რა გინდა?

— მაინც ვერ გავიგე ვერაფერი!

— ადა-მი-ა-ნი რომ გახდები, მაშინ გა-ი-გებ ყვე-ლა-ფერს! — მოაჯირიდან გადავძახე ვენკას.

ოცდამეთექვსმეტე ფათერაკი

მინდა სულ ადამიანი ვიყო

იმ დღეს იაკოვლევთან ერთად ზედიზედ, ალბათ, მთელი ოთხი საათი ვიმეცადინეთ. მიშკამ სწორედ გაცხოველებული მეცადინეობის დროს რომ გვკითხა: „ბიჭებო, არ დაიღალეთ? იქნებ, დასვენება გინდათ?“ — მე და კოსტიამ ერთად შევყვირეთ: „არა, არა! რა დაგვღლიდა! რას ამბობ? რა დროს დასვენებაა, ნუ ზარმაცობ, იაკოვლევ!“.— „მე არ ეზარმაცობ“, — გვიპასუხა გაოცებულმა მიშ-

კამ და შემდეგი ამოცანის ახსნა დაიწყო: მერე ჩვენთან ერთად გახელილი მასალა გაიმეორა, კიდევ ერთი ამოცანა აგვიხსნა, პატარა გამოცდა მოგვიწყო, მერე კი მაგიდაზე ჩამოსდო თავი და ხმაჩახლეჩილმა წაიჩურჩულა, მეტი მეცადინეობა აღარ შემიძლია, უკვე ხმა წამივიდა და ლონე გამომელიაო.

ჩვენ ავიღეთ ბარები და მიშკასთან ერთად ბაღში სამუშაოდ წავედით. ფიზიკური შრომა დასვენების საუკეთესო საშუალებაა გონებრივი შრომის მერე.

ეზოში გამოვედით და დავინახეთ ალიკი. თურმე ეზოში იჯდა და ჩვენ გვყარაულობდა, რომ არ გაექცეულიყავით! შტერი! გაიგო თუ არა, ჩვენი ნებით მივდიოდით სამუშაოდ, თვალები დააკუიტა, გამოგვედევნა და აპარატი ააჩხაკუნა. ბაღში დასარგავი ალარაფერი იყო, უკვე ყველა ხე დაერგოთ. ჩვენ ახლად დარგული ხეები მოვრწყეთ. ალიკი თვალებდაკუეტილი მოგვჩერებოდა და ფოტოაპარატს აჩხაკუნებდა. მერე შინ დავბრუნდით და ვიმეცადინეთ, სანამ კოსტიას და მიშკას ქანცი არ გამოელიათ.

როდესაც იაკოვლევი და მალინინი თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ, მე ისევ სახელმძღვანელოებს ვუჯექი და დამოუკიდებლად ვმეცადინეობდი. იმდენ ხანს ვიმეცადინე, სანამ მაგიდაზე არ ჩამომეძინა. ლოგინში როგორ გავჩნდი, არ მახსოვს. ალბათ მამამ ჩამაწვინა. სამაგიეროდ, მეორე დილით მე თვითონ გავიღვიძე და გავიღვიძე ისე ადრე, რომ ჯერ კიდევ ყველას ეძინა. მე თ-ვ-ი-თ-ო-ნ დავალაგე ლოგინი, ჩუმად ვისაუზმე, სახელმძღვანელოები შევაგროვე, ფეხის წვერებზე გავედი სახლიდან და სკოლაში გავიქეცი. დღეს ვალდებული ვიყავი, სკოლაში ყველაზე ადრე მივსულიყავი.

ასეც მოვიქეცი! სკოლაში მივედი მაშინ, როცა ჩემს თანაკლასელებს — ზინკა ფოკინას, მიშკა იაკოვლევს, ალიკ ნოვიკოვს და კოსტია მალინინსაც ჯერ კიდევ მაგრად ეძინათ. კოსტიას დაღლილობისაგან. მკვდარივით ეძინა! ალბათ, ჩვენი კლასიდან მარტო მე არ მეძინა. არ მეძინა კი არა, გაკვეთილების დაწყებამდე ორი საათით ადრე მივედი სკოლაში. ასე ადრე, ალბათ, ჯერ არც ერთი მოსწავლე არ მისულა. როგორ გავოცდი, როცა მოპირდაპირე მხარეს, იასამნების ბუჩქებს იქით, ვიღაც სკოლისაკენ მიიპარებოდა. შევჩერდი. ისიც შეჩერდა. სკოლისკენ სამი ნაბიჯი გადავდგი, იმანაც გადადგა. სკოლის კიბისკენ ჩუმად, ფრთხილი ნაბიჯით წავედი, ისიც ასევე მიიპარებოდა კიბისკენ. მე ბუჩქებიდან თავი გამოვუყავი, იმანაც გამოყო. ჩვენ დიდხანს ვუცქერდით ერთმანეთს, ბოლოს მომწყინდა და ვთქვი:

— მალინინ!
— რა?
— ასე ადრე რამ მოგიყვანა სკოლაში?
— შენ რატომღა მოხვედი?
— მე ი-ს-ე... შენ?
— მეც ი-ს-ე.
— გასაგებია! — ვთქვით ორივემ ერთად.

მე და კოსტია ჩუმად, უხმაუროდ ავედით ქვის კიბეებზე, სახით ცივსა და ცვარისაგან დანამულ კარის მინას მივეკარით და დავიწყეთ ცდა, როდის შეგვიშვებდნენ ჩ-ვ-ე-ნ-ს ს-კ-ო-ლ-ა-შ-ი!

ჩუმად ვიდექით, ერთმანეთს არც კი ვუცქეროდით. ვიდექით და ველოდით. ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ ორი საათის მერე მოხდებოდა ისეთი გასაოცარი ამბები, მხოლოდ ჩვენს კლასს კი არა, მთელ სკოლას რომ შეძრავდა...

ჯერ ერთი: ზუსტად ორი საათისა და ათი წუთის მერე დაფასთან გამიძახებს ნინა ნიკოლაევნა და მე ყველაფერს ვუამბობ, რაც ვიცი პეპლების ცხოვრებაზე. ნინა ნიკოლაევნა მეტყვის: „იური ბარანკინ! შენ შესანიშნავად იცი პეპლების ცხოვრება. დაჯექი! ყოჩაღ! ის კი არადა, გაკვეთილს რომ ყვებოდი, მომეჩვენა კიდეც, თითქოს ფრთები ამოგეზარდა!..“ ალბათ, მთელი კლასი სიცილით დაიხოცება, მხოლოდ მე და კოსტიას არ გაგვეღიმება და მერხებთან სერიოზულად ვისხდებით.

მეორე: ორი დღის მერე მე და მალინინი გეომეტრიის ორიანებს ოთხიანებით გამოვასწორებდით.

მესამე: სამი დღის მერე ზინკა ფოკინა ყველას გასაგონად იტყვის, რომ მე და კოსტიას რაღაც უცნაური სენი შეგვეყარა, მაგრამ ალბათ მალე გაგვივლის.

მეოთხე: კიდევ რამდენიმე დღის მერე ზინკა ფოკინა აღარ წარმოთქვამს სიტყვებს: „ბარანკინ, მოიქეცი. ადამიანურად!“ რასაც ადრე, შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, უსათუოდ მომახლიდა.

მეხუთე: თხუთმეტიოდე დღის მერე, მამა, როგორც ყოველთვის, დღიურს შეამოწმებს და პირველად თავის სიცოცხლეში არაფერს არ მეტყვის, მხოლოდ გაოცებული აიჩეჩავს მხრებს და უხმოდ გადახედავს დედას.

მეექვსე: ზუსტად ერთი თვის მერე ჩვენი სკოლის დირექტორი ვასილ ვასილიევიჩ ტურკინი...

თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალზე ადრეა. ეს ერთი თვის შემდეგ მოხდება. ჯერ კი მხოლოდ ათი წუთი გავიდა, მხოლოდ ათი წუთია, რაც მე და კოსტია სკოლის კიბეზე ვდგავართ და ველით, როდის გაიღება სკოლის კარი და შევალთ ჩვენს სკოლაში.

წიგნი მეორე

ზეკოსმონავტის ზეთავგადასავალი

იყრი ბარანკინის ოცი
მოგონება, რომელიც
თავის თავზე თვითონვე
დაწერა

სასკოლო ჩანთაში ნაპოვნი ხელნაწერი

წინასიტყვაობის მაგივრ

გაზაფხული იდგა. ის იყო სადიდო რომანზე მუშაობა დავამთავრე. ბრწყინვალე გუნება-განწყობილება მქონდა. ჩავიცვი და ქუჩაში გამოვედი. მარტის თვეში გამოერევა ისეთი დღეები, როცა ძალა-უფლება ხან გაზაფხულის ხელშია, ხან ისევ ზამთარი გადმოდის შეტევაზე და ქარიშხალი ამოვარდება ხოლმე, მაგრამ სწორედ იმ დღეს ზამთარმა უკან დაიხია, ღობისა და სახლის ჩრდილებისაკენ მიიყუჟა, ტიმირიაზევის პარკში ხეებს შორის მიიმალა.

მე ღიღინ-ღიღინით პარკისაკენ გავემართე, სითბოთი გამლღვალ თოვლის ნამქერთან შევჩერდი და დავიწყე ფიქრი, როგორი წიგნი დამეწერა. მაგრამ ამაზე დიდხანს არ მიფიქრია, რადგან ჩემი ყურადღება თოვლის ნამქერმა მიიქცია, უფრო სწორად, ნამქერმა კი არა, იმან, რაც ნამქერიდან ამოჩრილიყო. ის რაღაც ამოჩრილი სასკოლო ჩანთას წააგავდა. დამეთანხმებით, რომ არცთუ ისე ხშირად გვხვდება ცხოვრებაში ნამქერიდან ამოჩრილი ჩანთები, თანაც ძველი კი არა, თითქმის ახალი.

ახლოს მივედი, ამოვჩიჩქნე თოვლი, ჩანთა სახელურით ნამქერიდან ამოვაძრე და ბოთლივით შევანჯღრიე, თითქოს ველოდი, რომ შიგ რაღაც აბუყბუყდებოდა. ჩანთის შიგთავსი დუმდა, მაგრამ სიმძიმით ვატყობდი, რომ შიგ რაღაც იდო. „იქნებ... — გავიფიქრე მე, თან ერთი ანდაზა მომაგონდა: „შემთხვევამ კაცი ბედსა სწიაო" — იქნებ სწორედ ეს არის ის ბედნიერი შემთხვევა, იშვიათად რომ გადააწყდება მწერალი".

სკამზე ჩამოვჯექი და დიდხანს ვეჯაჯგურე ჩანთის ჩაკანგებულ საკეტებს. ბოლოს, როგორც იყო, გავხსენი, შიგ ჩავიხედე და სასკოლო რვეულების დასტა დავინახე. რვეულები ჩანთიდან ამოვიღე. ჯერ მეგონა, ჩვეულებრივი მოწაფის რვეულები იყო, რუსული ენის, ალგებრის, გეომეტრიისა, ალბათ, ყაელი გაუვიდა და ჩანთიანად თოვლის ნამქერში მიაგდეს-მეთქი. მაგრამ რომ გადავფურცლე, ცნობისმოყვარეობისაგან დაეუსტვინე კიდეც. ყველა რვეული რუსული ასოებით რაღაც გაუგებარ ენაზე იყო დაწერილი. თოვლში დებისაგან წინადადებები ერთმანეთზე გადასულიყო, ასოებსაც მოხაზულობა შეცვლოდათ, ძლივს გაარჩევდით „რ" იყო თუ „ჩ", „შ" იყო თუ „ბ", ნუმერაციით მიხვდებოდი, რომ ბევრი გვერდი ამოხეული ან დაკარგული იყო.

პირველი გვერდის პირველი წინადადება ასე გამოიყურებოდა:

ქოპაქ კუძწლ ჭრუიშ შპრეწჯწჯქ ჰპაქშპფშ რუქწლეაზ ჭპწყშერწჯპ კძწლჰცწ ვფწლშ ჭპძაღწწჯპ ჯპ ჩმძწფზ ვპბპძჩ რუქ წრჩშ ჰეწჩშ ტშრძწლჩპსპფშ ქწ ძშმფწ;შ...

ასეთი ნაწერით გადაჭრელებული გვერდების დანახვაზე გულმა მძლავრად დამიწყო ცემა, ალბათ, ასე ემართებათ არქეოლოგებს, ეგვიპტურ კედლის წარწერებს ან ლურსმულ ანდა მაიას ტომის საიდუმლო დაწერილობას პირველად რომ აღმოაჩენენ. რა იმალებოდა ყველა იმ, უკვე გაშიფრულ დაწერილობაში, ადამიანებმა უკვე იცოდნენ, მაგრამ რა საიდუმლოება იყო ამ ასოებისაგან შემდგარ აბდაუბდაში?.. რა იმალებოდა, მაგალითად, აი, ასეთ არეულ-დარეულ ანბანში: ქოპაქ, კუძწლ, ჭრუიშ?!

ამ უცნაურმა ასოთშეწყობამ: „ᲥᲝᲞ! ᲭᲥ! ᲙᲣᲫ! ᲬᲚ! ᲭᲠᲣ! ᲘᲨ!— მოიცვა მთელი ჩემი გონება. ფრთხილად ჩავუშვი ჩანთაში რვეულები და დიდი გაჭირვებით ჩავკეტე ჩაჟანგული საკეტები. „ახლა წავალ შინ, ახლავე მაგიდას მივუჯდები და რვეულებს გავშიფრავ,— ქარაფშუტულად გავიფიქრე მე, — ჰოდა... ჰოდა რა... ჰოდა ის!..“ რა, რა გახდება ჩემთვის ნათელი?.. არ ვიცოდი, რა გახდებოდა ჩემთვის ნათელი, მივდიოდი და ვფიქრობდი: აი, ვიღაცამ, რასაკვირველია, ბიჭმა და არა გოგონამ, გოგონა მაგას არ იზამს, ათი თუ ათზე მეტი რვეული დაშიფროს. ამრიგად, რვეულები ბიჭუნას დაშიფრულია. მაგრამ რა დაშიფრა ნეტა?.. პირველი ოცნება?.. პირველი გრძნობა?.. პირველი!.. ჯერ არ ვიცოდი, პირველი რა... მაგრამ, ცხადი იყო, ის, რაც დაშიფრა, იყო პირველი, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი და, რაღა თქმა უნდა, საიდუმლო. ვინ იცის, იქნებ დღიურია და გაშიფვრის მერე, რომელიღაც საინტერესო და ნათელი პიროვნება წარმოჩნდეს. ასეთი ფიქრებით ავედი ჩემს ბინაში...

ჩემი იმედი, რომ სწრაფად გავერკვეოდი ამ საიდუმლო ასოთშეწყობაში, დაახლოებით ნახევარ საათში დაიმსხვრა. ვერც სარკემ მიშველა, რომელშიც რვეულს ვახედებდი, ვფიქრობდი, რვეულების ტექსტი ისევე იყო დაშიფრული, როგორც ოდესღაც ლეონარდო და ვინჩის დღიურები. ლეონარდო ხომ თავის აზრებს ისე იწერდა, მათი წაკითხვა მხოლოდ სარკის საშუალებით შეიძლებოდა. ან, იქნებ, საიდუმლო რვეულების ავტორი აზრის გამრუდებისათვის ნაცნობი სიტყვების მარცვლებს სხვადასხვა ასოს ან, შეიძლება, რამდენიმე ასოსაც უმატებდა, მაგრამ ამ ვარაუდმაც ვერ მიშველა. მეორე დღეს, უშედეგო ღამისთევის მერე, რვეულების საიდუმლოების ამოხსნაში ყველა ჩემი მეგობარი ჩავითრიე, ვაჩვენებდი რვეულიდან ამოწერილ ნაწყვეტებს, მაგრამ, სამწუხაროდ,

რვეულები დუმდნენ, საიდუმლო შიფრს ვერავინ ვერ მოუძებნა გასაღები.

— ეგ ყველაფერი მასხრობაა, — მითხრა ერთმა ჩემმა მეგობარმა, — ალბათ კომპოზიტორი სუესლოვსკი გაპამპულებს. ასოები განზრახ ალალბედზე, აბდაუბდა დაწერა და მოგვდო. შენ კი თავს იტეხ.

ეს არ იყო მართალი, ასოები ცოცხლებივით სუნთქავდნენ. ასოების მიღმა ვიღაცის გულისცემა ისმოდა. მე ამას კარგად ვგრძნობდი. სრულიად მოულოდნელად მეშველა. ჩემმა მეორე მეგობარმა რვეულები ერთ გადამდგარ პოლკოვნიკს უჩვენა, იგი სამამულო ომის დროს მშიფრავად მუშაობდა. მართალია, მაშინვე ვერც ის მიხვდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაერკვა, როგორც თვითონ უწოდა, ამ „კროსვორდში". მთელი სიძნელე ის გახლდათ, რომ ტექსტი ძალიან მარტივი გასაშიფრი იყო.

— ეტყობა, თავიანი ბიჭია, — ტელეფონით მითხრა პოლკოვნიკმა, — ყოჩაღ. მე ასეთი ძნელად ამოსაცნობი მარტივი შიფრი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია. პირდაპირ ლეონარდო და ვინჩის სკოლაა.

ტელეფონით საუბრის მერე შიფრის გასაღები უკვე ხელთ მქონდა. იგი მართლა ძალიან მარტივი იყო: უნდა აგეღო ანბანი და ყველა ასო დაწყებული „ანით", დამთავრებული „ჰაეთი" უნდა ჩამოგეწერა ვერტიკალურ სვეტად. მერე ისევ აგეღო ანბანი და კიდევ ერთხელ ჩამოგეწერა დაწყებული „ჰაეთი", დამთავრებული „ანით". ამრიგად, ყველა ასო პირველი ანბანისა სიტყვაში შეცვლილი იყო მეორე ანბანის ასოთი. ასო „ანის" ნაცვლად ყველგან იყო ასო „ჰაე", „ბანის" მაგივრად — ასო „ჯან" და ასე შემდეგ. ანბანი ორ სვეტად ჩამოვწერე ფურცელზე, საწერი მაგიდის უჯრიდან ამოვიღე საიდუმლო რვეულების დასტა და მთელი გულისყურით შევუდექი მათ გაშიფვრას...

და აი, როგორც წიგნებში წერენ ხოლმე, გავიდა რამდენიმე თვე... უკანასკნელი სიტყვა რომ გავშიფრე, ჩემ წინ მაგიდაზე ეწყო... თქვენ როგორ ფიქრობთ? ღღიურები? არა, ღღიურები არ იყო! პირველი გრძნობის აღწერა? არა. ჩემ წინ იდო მოგონებები! დიახ, დიახ, მოგონებები! მაგრამ მოხუცი პენსიონერისა კი არა, ანდა ხანშიშესული ადამიანისა ან, საერთოდ, დიდისა. ეს იყო ბიჭის — იური ივანოვის მოგონებები. მოგონებები საკუთარ თავზე. მისივე დაწერილი. არა, ჩემმა ალღომ არ მიმტყუნა და სკოლის ჩანთაში ნაპოვნი ხელნაწერი ძალზე საინტერესო მასალა გამოდგა.

რასაკვირველია, გაშიფვრის გარდა, მასზე ბევრი მუშაობა დამ-

ჭირდა, როგორც იტყვიან, ლიტერატურულად რომ დამემუშავებინა, ეს იყო და ეს! ავტორის მაგივრად არაფერი არ ჩამიმატებია. იქ, სადაც ამოხეული იყო გვერდები, ან ტექსტის მოზრდილი მონაკვეთები მაგრად იყო გადაშლილი, არაფრით არ შემივსია და ავტორის მაგივრად არ მიფიქრია. მე მგონი, იური ივანოვის მოგონებები ძალიან საინტერესოა, რამდენადაც ის თვითონ წერს თავის თავზე და მსჯელობს თავის მომავალზე.

დიდხანს ვფიქრობდი, რა სათაური მიმეცა ამ ამბისათვის, და ძალიან გული დამწყდა, რომ ჩვენს ეკრანებზე უკვე გადიოდა კინოსურათი — „მოგონებები მომავალზე". გული დამწყდა იმიტომ, რომ ყოველივე იმას, რაც აღწერილია იური ივანოვის რვეულებში, სწორედ შეეფერებოდა სათაური — „იური ივანოვის მოგონებები მომავალზე" ან „ზეკოსმონავტის ზეთავგადასავალი", არც ეს არის ურიგო, რადგან „ზე" რვეულების ავტორის საყვარელი სიტყვაა.

ამრიგად, მე ვამთავრებ ჩემს სათქმელს და სიტყვას გადავცემ იური ივანოვს და მის მოთხრობას, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ: „ზეკოსმონავტის ზეთავგადასავალი".

ნაწილი პირველი

ზეკოსმონავტის ზეთავგადასავალი

მოგონება პირველი

მოგონებათა მოგონებანი

მუდამ, ყოველ დროში, იარსებებს ადამიანი, რომელსაც დაეკისრება ყველაზე ძნელი დავალება, და თქვენ ნახავთ, რომ მე ვიქნები ერთი ასეთი პირველთაგანი! (სადღაც, ოდესღაც, ვიღაცების წინაშე, რაღაცის გამო ნათქვამი ჩემი სიტყვიდან).

ძვირფასო შთამომავალნო, ღა, რაღა თქმა უნდა, თქვენც, თანამედროვენო! პირველყოვლისა უნდა განგიმარტოთ, რატომ გადავწყვიტე მე, დედამიწაზე პირველმა ჩედოზემპრმა, პსიპმა და სვერკსმა, ჩემზე მოგონებანი დამეწერა: საქმე ისაა, რომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ძალზე ბევრი წიგნი წავიკითხე გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაზე. მე წავიკითხე, მაგალითად, მთელი ლიტე-

რატურული სერია, რომელსაც ასევე ეწოდება: „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“. გარდა ამისა, წავიკითხე კიდევ სიკსილიონი სხვადასხვა მოგონებანი. მათ შორის ყველაზე ძალიან მიყვარს ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ლუბიშჩევის წიგნი. ამ წიგნში მისი ცხოვრებაა აღწერილი. მისი ცხოვრება კი ჩემსას ძალიან ბევრი რამით წააგავს. ისიც ერთი ებრძოდა მრავალს. ყველას ესხმოდა თავს. მეც ვესხმი. ერთი სიტყვით, იმასაც და მეც ბევრი რამ გვაქვს მოსაგონარი... მაგრამ გთხოვთ, სწორად გამიგოთ, მე ჩემზე, იური ივანოვზე, მოგონებებს ვწერ არა პატივმოყვარეობის ან რაიმე ამდაგვარი გრძნობის კარნახით, ვწერ იმიტომ, რომ მომავალში ისტორიკოსებს შევუმსუბუქო მუშაობა, როცა ჩემი ცხოვრების ირგვლივ მასალების შეგროვებას დაიწყებენ: სად იყო, რას ლაპარაკობდა, გთხოვთ ყველას, ვინც კი იცნობდით იური ივანოვს, გამოგვიგზავნოთ ჩედოზემპრ-პსიპ-1“-ის სამმართველოს ცენტრალურ არქივში ყველაფერი, რაც კი დაკავშირებულია შესანიშნავი ჩედოზემპრის, ცნობილი პსიპის და მსოფლიოში ერთადერთი სვერკისის ცხოვრებასთან.

ჩემს თავზე მოგონებების წერა სულ უბრალო მოსაზრებით დავიწყე. საქმე ისაა, რომ საერთოდ არ მიყვარს მხატვრული ლიტერატურა, მე მხოლოდ სახელმძღვანელოები, მეცნიერული წიგნები და ყოველგვარი „მოგონებები“ ან, როგორც უფროსები იტყვიან, მემუარები მიყვარს. გარდა კოსმონავტიკაზე დაწერილი შრომებისა, კიდევ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის კითხვა მიყვარს, თითქმის ზეპირად ვიცი, საერთოდ კი გასაოცარი და, შეიძლება ითქვას, უნიკალური მეხსიერება მაქვს. საკმარისია, ერთხელ ჩავიკითხო გვერდი, რომ მთელი სიცოცხლე დამამახსოვრდება, მაგრამ ამას არავის ვუმხელ. ისე კი, ხანდახან, ყველა რომ საგონებელში ჩავაგდო, ასეთ სეირს ვაწყობ. ვთქვათ, მოვიდა ჩემთან მასლოვი და შეუბნება:

— აბა, ჭკუის კოლოფო (ასეთი ზედმეტი სახელი შემარქვა), ერთი ეს მითხარი, ვინ არის რილკე?

— რომელი რილკე? — თავს მოვიკატუნებ. — მეცხრეკლასელ რილკეზე მეუბნები?

— მეცხრეკლასელ რილკეზე კი არა, — მისწორებს მასლოვი,— საბჭოთა დიდ ენციკლოპედიაში რომ არის, იმაზე.

— ჰოო! დიდ ენციკლოპედიაში რომ არის? ეგრე გეთქვა... რილკე... ეგ... — ვითომ ვიგონებ, ისე ვეუბნები, — რილკე სტანისლავ დანიელის ძე დაიბადა 1843 წელს, გარდაიცვალა 1899 წელს, რუსი გეოდეზისტი და ასტრონომი, გენერალ-მაიორი. ცნობილია დედამიწის რეფრაქციაზე და ნოველირებაზე დაწერილი შრომებით.

1898 წელს წამოაყენა დედამიწის რეფრაქციის ორიგინალური თეორია, რომელიც ითვალისწინებდა ნიადაგის შემაშფოთებელ სითბურ ზემოქმედებას.

ჩემი პასუხის მერე, ბუნებრივია, ყველა პირდაღებული შემომჩერებია და რომელიმე, გაოცებისგან ნირწამხდარი, წყნარად მეკითხება:

— „ყველაფერი ან არაფერი“ — კანონია?

მე ვუპასუხებ:

„ყველაფერი ან არაფერი“ — ფიზიოლოგიის კანონია — ყალბი მდგომარეობაა, რომლის თანახმადაც, აგზნებადი ქსოვილი (ნერვული და კუნთოვანი) გამღიზიანებლის ზემოქმედებაზე თითქოს ან სრულებით არ პასუხობს რეაქციით, თუ გაღიზიანება არასაკმარისია (ზღვარზე მცირეა), ანდა უპასუხებს მაქსიმალური რეაქციით, თუ გაღიზიანება აღწევს ზღვარს; გაღიზიანების შემდგომი გაზრდით საპასუხო რეაქციის როგორც სიდიდე ისე ხანგრძლივობა თითქოს არ იზრდება... — მივერეკები და მივერეკები.

ენციკლოპედიაში ახსნა-განმარტება საკმაოდ ვრცლად არის, ამიტომ გადავწყვიტე, ბოლომდე მეთქვა ყველაფერი, მაგრამ კაშინმა ყურები დაიცო და აწრიალდა.

— აღარ მინდა „ყველაფერი“! მე „არაფერიც“ მეყოფა!..

ეს ისე, სიტყვამ მოიტანა და გადავუხვიე, მოიცა, რას ვიგონებდი?.. ჰო, იმას ვიგონებდი, რომ დიდ ადამიანთა მოგონებების კითხვა მიყვარს, მაგრამ აი რა უცნაურობა შევამჩნიე: ამ მოგონებებს უმეტესად გამოჩენილი ადამიანები კი არ წერენ თავიანთ თავზე, არამედ, ისინი, ვინც მათ კარგად იცნობდა, ანდა, ვისაც რამე სმენია და გაუგონია მათზე. ხანდახან თვითონ დიდი ადამიანებიც წერენ, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ წერენ მოხუცებულობაში. საერთოდ, ჩემი რწმენით, ისეთ ადამიანებზე, როგორიც მე ვარ, მემუარები რაც შეიძლება ადრე უნდა დაიწეროს (სასურველია დაბადების პირველი დღიდანვე) მხოლოდ მარტო წერა საკმარისი არ არის, სურათებიც ხშირ-ხშირად უნდა გადაიღონ, მოგონებები კი, ვიმეორებ, უნდა დაწერონ თვითონ, — მე ამას დაჟინებით მოვითხოვ, ყველამ თავის თავზე, სხვაგვარად არ შეიძლება, არა და მიანდეთ სხვებს, თუნდაც ჩემს თანაკლასელებს, ნახავთ, რას დაწერენ, რას შემოუნახავენ ჩემზე ისტორიას! იცით, რამდენი მტერი მყავს?.. ეს ნვიდმეტი კაცი დავითვალე, არა — ეს თექვსმეტი. დედა ჩემი მეგობარია, მამა კი მტერია.

ერთი სიტყვით, ვინც კი მიცნობდა, ყველას ვეჯავრებოდი, ვიმეორებ, ყველას, დედას გარდა. აბა, როგორ უნდა მივნდობოდი, მათ

შორის მამაჩემსაც! საერთოდ, მე ყველას არ მივცემდი უფლებას, ეწერათ მოგონებები ჩემზე, საკუთარ მამასაც კი არა. ავიღოთ ჩვენი კლასი, მისი ყველა მოსწავლე. შესთავაზეთ დაწერონ ჩემზე მოგონებანი. დარწმუნებული ვარ ყველა ასე დაიწყებდა:

„...მოგონებაც კი არ გვინდა იმ ტიპის, ივანოვის, მაგრამ რადგან ისტორიას სჭირდება, სიამოვნებით. ჯერ ის მოვიგონოთ, როგორი გარეგნობა ჰქონდა...

ამას უამრავი რეპლიკა მოჰყვება:

— ღმერთმა უწყის...

— ისე იმანჭებოდა, რომ ვერც გაარკვევდი, როგორი სახე ჰქონდა!..“

სწორედ იმ ისტორიულ დღეს, როდესაც გადავწყვიტე, ჩემს თავზე მოგონებები დამეწერა, ცარიელ საკლასო ოთახში ვიჯექი და ვფიქრობდი, — ნუთუ ვერ მოვესწრები იმ დღეს, როდესაც ადამიანებზე მისი საქციელის მიხედვით კი არა, მისი საქციელის მიზეზების მიხედვით იმსჯელებენ-მეთქი. რადგან ჩემზე თუ მხოლოდ საქციელის მიხედვით იმსჯელე და იმაზე არ იფიქრე, რა მიზეზით ჩავიდინე ესა თუ ის საქციელი, შესაძლებელია, სულ სხვა შთაბეჭდილება დარჩეთ. აი, თქვენ თვითონ განსაჯეთ, ჩვენთან სასწავლო წლის დასაწყისშივე ჩვენი კლასის მამასახლისი ალა ასტახოვა ავად გახდა. მის თანამდებობაზე დროებით დანიშნეს ერთი ჩვენი კლასელი ბიჭი, რომელსაც ორმაგი გვარი აქვს. გვყავს კლასში ასეთი — კირილოვ-შამშურინი. საერთოდ, ის ყოველთვის ცდილობდა კლასის მამასახლისი გამხდარიყო, მაგრამ რატომღაც არ ირჩევდნენ. ახლა კი, ალა ავად რომ გახდა, დროებით მას დაავალეს მამასახლისობა. ალა ასტახოვას დროს ჩვენი კლასი სავსებით წესიერი იყო. კირილოვ-შამშურინმა კი, ეტყობა, გადაწყვიტა, სანიმუშო-საჩვენებელ კლასად ექცია. ასტახოვას მამასახლისობის დროს ჩვენთან ასე იყო: მოსწავლეები გაკვეთილებზე ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ის კი არადა, ერთმანეთს წერილებსაც წერდნენ. კირილოვ-შამშურინმა კი მოინდომა ბავშვებს არ ელაპარაკათ და არც წერილები მიეწერათ ერთმანეთისათვის. ამიტომ ერთხელ ჩემთან მოვიდა და მითხრა:

— მისმინე, ივანოვ, შენ ყველაფერი შეგიძლია... როგორ მოვახერხო, რომ ბავშვებმა გაკვეთილებზე არ ილაპარაკონ და ერთმანეთს ბარათები არ მისწერონ?

არც კი დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე, ამაზე ადვილი არაფერია-მეთქი.

— მასწავლე, რა, — მთხოვა კირილოვ-შამშურინმა.

— ყველა მოსწავლემ მორზეს ანბანი ისწავლოს და, თუ ვინმე

მოინდომებს გაკვეთილის მსელელობის დროს კლასში ამხანაგს რამე უთხრას, თვალების ხამხამით ანიშნოს — მორზეს სისტემა გამოიყენოს. პრიმიტიულიც არის და უხმაუროც.

— გენიოსი ხარ, რაღა! — მითხრა. კირილოვ-შამშურინმა და ბავშვებისაკენ წავიდა, რათა მათთვის ჩემი გამოგონება გაეზიარებინა, თან თავი ისე მოაჩვენა, ვითომ თვითონ მოიფიქრა.

აბა, რა ვიცოდი, რომ კირილოვ-შამშურინს ცუდ რამეს ვურჩევდი? რა ვიცოდი, რომ ბავშვები ამ ხერხს თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენებდნენ და სასწაულებს ჩაიდენდნენ?!

სულ მალე კლასში, მართლაც, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ასეთი სიჩუმე ალა ასტახოვას მამასახლისობის დროს არასოდეს არ ყოფილა. სამაგიეროდ როგორი უხმაურო ლაპარაკი გაჩაღდა, თითოეული მორზეს ანბანით გადასცემდა მეორეს ყველაფერს, რაც კი თავში მოუვიდოდა. ბოლოს იქამდე მივიდნენ, გაკვეთილებზე ერთმანეთს უკარნახებდნენ, მოსწრება გაიზარდა, ყველა ოთხებსა და ხუთებს იღებდა. კირილოვ-შამშურინი გმირად აღიარეს. ჩვენი ბიოლოგიის მასწავლებელი ანა პეტროვნა რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, ყველაფერი ეს რითი დამთავრდებოდა. ანა პეტროვნა ომის დროს თურმე რადისტი ყოფილა და სულ მალე გაერკვა ვითარებაში. ძალიან მალე გამოააშკარავა ეს ამბავი. ახლა კი კირილოვ-შამშურინს ლაყუჩებში წააცლეს ხელი და ჰკითხეს, რამ მოაფიქრებინა ასეთი ოინი. კირილოვ-შამშურინმა კი, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი მე დამაბრალა. სამი დღის წინ სწორედ ამ ამბის გამო სკოლაში დიდი აურზაური იყო. მე დირექტორთან გამომიძახეს და მთელი ეს ამბავი დღიურში ჩამიწერეს...

ხშირად დავფიქრებულვარ, რატომა აქვთ ადამიანებს ორმაგი გვარი? სხვისა რა, მოგახსენოთ, კირილოვ-შამშურინს კი ორმაგი გვარი იმიტომ ჰქონდა, რომ მასში ორი ადამიანი ბუდობდა: კირილოვი და შამშურინი.

მე, ამხანაგო შთამომავალნო, საერთოდ, ამ ისტორიას ჩემი ძვირფასი დროის ერთ სეკუნდსაც კი არ შევწირავდი, მითუმეტეს დღიურში ჩაწერაზე დროს არ დავკარგავდი, მაგრამ მე მაინც მივედი კირილოვ-შამშურინთან და ვუთხარი:

— აბა, გამოტყდი, კირილოვ-შამშურინ, თქვენ ორში რომელმა გამცა? კირილოვმა თუ შამშურინმა?..

და კიდევ გველის მოკითხვა გადავეცი.

მას ძალიან გაუკვირდა და მკითხა:

— ვინ გველი მითვლის მოკითხვას?

— მოუსმინე ჩემს ინფორმაციას, — ვუთხარი მე, — ბირმის

ერთ ქალაქში, რომელიც გაშენებულია მდინარე ირავადის დელტის ერთ-ერთ შენაკადთან, ხორცის ბაზარზე, მონადირეებმა ჯუნგლებში დაჭერილი პითონის იშვიათი ეგზემპლარი მოიყვანეს, სიგრძით ხუთი მეტრი იყო. ერთ მოქალაქეს შეებრალა ეს ლამაზი ქვეწარმავალი, რომელიც ხორცად უნდა გაყიდულიყო, რაც დაუფასეს გადაიხადა და ქალაქის გარეუბნისაკენ გასწია, რათა გველისთვის თავისუფლება მიეცა. კაცმა კალათის თავის ახდაც კი ვერ მოასწრო, რომ ჯუნგლების ბატონ-პატრონი ძლიერად შემოეხვია მხრებზე და კისერზე უბედურ ნატურალისტს. გამელელებმა დროულად მიუსწრეს და ძლივს გადაარჩინეს... იცი, რითი ჰგავხარ იმ გველს? — ვკითხე მე კირილოვ-შამშურინს.

მაგრამ პასუხის ნაცვლად იგი შეტრიალდა, სირბილით გაუყვა დერეფანს და კიბე ჩაირბინა, მე კი კლასისაკენ წავჩანჩალდი და მერხს მივუჯექი.

საერთოდ კი მანძილზე აზრის გადაცემის ამ ხერხს მორზეს ანბანის საშუალებით ჩემთვის ვამზადებდი. უფრო სწორად, უცხო პლანეტებზე მოგზაურობისათვის. ვფიქრობდი, უცხოპლანეტელებთან საუბრის დროს, თუ ვინიცობაა დამჭირდება ჩემიანებს რაიმე შეუმჩნეველად ვუთხრა, ავიღებ და ჩემს აზრს თვალების პაჭუნით გადავცემ-მეთქი. ყველაფრის თქმა ხომ არ შეიძლება უცხოპლანეტელებთან. თანაც, შეიძლება, ყველა უცხოპლანეტელი არ განეწყოს ჩვენდამი კარგად. იქნებ, მათ შორისაც მოიძებნებიან კირილოვ-შამშურინისთანები, ხომ ხედავთ, ძვირფასო შთამომავალნო, როგორ გამოვიდა საქმე: მიზეზები ძალიანაც კარგი მქონდა, როდესაც კირილოვ-შამშურინს რჩევას ვაძლევდი, საქციელი კი ისეთი ვერ გამოვიდა, რიგორიც ამ საქციელის მიზეზი იყო.

გუშინ კი სიმღერის გაკვეთილი ჩავშალე. ერთი რამდენიმეჯერ გაკვეთილიდან გავიქეცი, მერე კი, გაქცევა რომ ვეღარ მოვახერხე, ავდექი და ჩავშალე. ეს იმიტომ გავაკეთე, მასწავლებელს სხვა დროსაც რომ არ გავეცდინე ტყუილ-უბრალოდ. მითხარით, რა საჭიროა ვიმეცადინო იმაში, რასაც ჩემს სიცოცხლეში არ გავაკეთებ? ჩემზე იმღერებენ სხვები, ჩემს სიმღერას კი ვერავინ ეღირსება... ეს ერთი! მეორეც, შეიძლება, მილიციაში მოვხვდე, იმიტომ რომ ყვავილებით ვვაჭრობ, უფრო სწორად, მე კი არ ვვაჭრობ, ერთ მოხუც ქალს ვეხმარები ყვავილების გაყიდვაში, რისთვისაც ცოტაოდენი ფულით მასაჩუქრებს. ჩემი საკოდო სახელწოდებისთვის სამზადისი — და ეს სახელწოდება იქნება „ჩედოზემპრპსიპ-სვერკს“ — დიდ საიდუმლო ფულად ხარჯებს მოითხოვს და მთელ ჩემს ჯიბის ფულს, რასაც კი ჩემი დედ-მამა მაძლევს, ამაზე

ვხარჯავ. დამატებით რომ მოვითხოვო, დაკითხვას დამიწყებენ, მაინც რად გინდა, რისთვის გვირდება, ფული ადამიანს აფუჭებს, ჩვენ შენ ისედაც ბლომად გაძლევთო, ამიტომ იძულებული ვარ, ფული ჩემი შრომით ვიშოვნო, მაგრამ მილიციაშიც ხომ ვერ მოვყვები, აი ამა და ამ მიზეზით, იმის მაგივრად, რომ რაიმე სასარგებლო საქმე ვაკეთო, ყვავილებს ვყიდი-მეთქი. (მე თუ სასარგებლო საქმეს არ ვაკეთებ და...)

ასე და ამგვარად, ვიჯექი და ვფიქრობდი ჩემ მიერ ჩაშლილ სიმღერის გაკეთილზე და ყვავილებით ვაჭრობაზე. ამ დროს მეზობელი საკლასო ოთახიდან ხმაური მომესმა. ნაცნობი ხმები იყო, ეტყობოდა, კარგა ხნის დაწყებულ საუბარს განაგრძობდნენ. ჩემზე ხომ არ ლაპარაკობენ-მეთქი, ყური მივუგდე და დავრწმუნდი, რომ სწორედ ჩემზე იყო საუბარი. ისიც კი თქვეს — ამ ბოლო დროს რაღაც დაემართაო!..

მოგონება მეორე

რა არის პსიპი-1 ?

ძალიან დავინტერესდი, მინდოდა გამეგო, ამ ბოლო დროს რა მომხდარიყო. ავდექი და უფრო ახლოს მივედი იმ კედელთან, ორ კლასს რომ ჰყოფდა. დიდხანს იკამათეს, მაგრამ ყველა კამათი შეიძლებოდა ოთხ ვერსიამდე დაგვეყვანა. ბორის კუტირიოვი — გვყავს ასეთი კლასში, სატირული მიდრეკილებისაა, მწერლობას აპირებს, უნდა, სატირიკოსი გახდეს, გოგოლის ან სალტიკოვ-შჩედრინის მსგავსი, — აი, ამ გოგოლ-მოგოლმა განაცხადა, რომ მე ცუდ წრეში ვარ მოხვედრილი. ამ კუტირიოვს ყველგან ცუდი წრე ელანდება. ვერა დანილოვამ კარგა ხნის ენის ბორძიკის მერე თქვა, რომ, მისი აზრით, შეყვარებული ვარ და ამიტომ ვჩადივარ ასეთ ოინებს. ლევ კირკინსკიმ (მას ნატურალისტური მიდრეკილებები აქვს) განაცხადა, უბრალოდ, რაღაც ბუზმა უკბინაო. მასლოვმა კი, ამ მომავალმა კოსმონავტმა, მომავალმა კოსმო-ხა-ხა-ხა-ნავტმა ბრძანა, რომ მე საერთოდ გადახრები მაქვს. მოდი და მიანდე ამათ, ბოდიში მომითხოვია და, ამ მიწაზე მბობლავებს, ჩემზე მოგონებები დაწერონ. მასლოვს უნდოდა, დაესაბუთებინა თავისი აზრი, მაგრამ კოლესნიკოვმა შეუშალა ხელი (სწორედ იმ კოლესნიკოვმა, ყოველგვარ საიდუმლო შეეთხვეუათა ანთოლო-

გიით რომ არის გატაცებული). კოლესნიკოვმა სიტყვა შეაწყვეტინა მასლოვს და თქვა:

— მე თქვენი ბავშვური ლექციებით პირდაპირ მაოცებთ: ცუდ წრეში მიხვდით, შეცდარხართ, რაღაც ბზიკმა უკბინა, იკანონოვს გადასრეტა აქვსო. სასულელეებს ნუ ლაპარაკობთ. ჩემი აზრით, საქმე უფრო სერიოზულადაა, ვიდრე თქვენ გგონიათ.

— შენ, კოლესნიკოვ, გარდასულ საუკუნეთა მოწმე ხარ, — უთხრა ალა ასტანიკოვმ, ჩვენი კლასის მამასახლისმა. ალას სიგაზეთო მიდრეკილებები აქვს, ამიტომაც მისი გამოთქმები სათაურებს ჰგავს, — კოლესნიკოვ, ჩქარა თქვი, რაც გინდა, ნუ აქიანურებ.

— კეთილი, არ გაგაქიანურებ, პირდაპირ გეტყვით: იური ივანოვი არ არის იური ივანოვი; უფრო სწორად, ის იური ივანოვი არ არის, რომელიც ჩვენ გვგონია.

კედლის მილმა რაღაც უჩვეულო სმაური ატეხა და ერთი სიტყვაც ვეღარ გავარჩიე. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და კოლესნიკოვმა განაგრძო:

— მე მგონია, ჩვენი იური ივანოვის ნაცვლად, ვიღაცამ სხვა იური ივანოვი შემოგვატყუა.

— მაინც ვინ შემოგვატყუა სხვა ივანოვი? — იკითხეს კედლის მილმა.

— მაინც ვის შეეძლო შემოეპარებინა ჩვენთვის სხვა ივანოვი? — თავისთვის იკითხა კოლესნიკოვმა. — სხვა ივანოვის შემოტყუება მხოლოდ უცხოპლანეტელებს შეეძლოთ. ეე დარწმუნებული ვარ, ერთ უკუნეთ ღამეს ისინი შეუცნობელი მფრინავი საგნით მოუახლოვდნენ ჩვენს პლანეტას, დაეშვნენ მასზე, მოიტაცეს იური ივანოვი, დედამიწაზე კი მისი ორეული ჩამოსვეს. ამიტომ გასაოცარი აქ არაფერია.

კედელს იქით ისევ ატყდა ხმაური, მერე კი გასმა სერგეი ეარიკოვის ხმა და ყველანი ჩაჩუმდნენ. სერგეი გონიერი ბიჭია, ფიზიკო-მათემატიკური მიდრეკილებისა. მან თქვა:

— თუ ატყობთ, თქვენი ლაპარაკით სადამდე მიხვედით: ბუზის ფრენიდან შეუცნობ მფრინავ საგნამდე!

— კი, ნამდვილად გადამთიელია! გადამთიელი! — იყვირა კოლესნიკოვმა. — მფრინავი თეფშითაა მოსული!

— „გადამთიელი"! — გამოაჯავრა ეარიკოვმა კოლესნიკოვს. — ამასწინათ ამერიკაში ერთი წიგნი გამოვიდა, რომლის ავტორმაც მათემატიკურად დაამტკიცა, რომ არავითარი შეუცნობი მფრინავი საგნები ჩვენს დედამიწას არ მოახლოებია — ეს ერთი, მეორეც — იური ივანოვი ის კაცი არ არის, მფრინავი თეფშით რომ წაეყვა-

ნათ. დედამიწაზე მთელი მფრინავი სერვიზიც რომ მოფრენილიყო, ისიც ვერაფერს გახდებოდა იური ივანოვთან.

— მაშ რაშია საქმე? — იკითხა ალა ასტახოვამ. — შემდეგ სადგურზე ნეტავი რა მოხდება?

— შემდეგ სადგურზე? — ალაპარაკდა ჟარიკოვი. — თქვენ, რა-საკვირველია, იცით, რომ მე ვუნდერკინდი ვარ. განგიმარტავთ: ვუნდერკინდი — ეს არის ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც გონებრივი განვითარებით წინ უსწრებს თავის თანატოლებს სამი-ოთხი წლით. ეს ასეა... ჰოდა, მე თუ ვუნდერკინდი ვარ, მაშ იური ივანოვი ვიღა ყოფილა, იგი ხომ მთელი ოცდაცამეტი წლით მისწრებს თავისი განვითარებით. აი, რაშია გამოცანა! მაინც როგორ ახერხებს მთელი ოცდაცამეტი წლით გაგვისწროს? რაიმე ხრიკია? ფენომენალური ნიჭი აქვს? რის ხარჯზე გვისწრებს წინ ან სად პოულობს ჩვენს გასასწრებ დროს?

— კარგი, ჟარიკოვ, — თქვა ასტახოვამ, — ყოველ ჩვენგანს აქვს საკუთარი ვერსია. წინადადება შემომაქვს, ვინც საკუთარ ვერსიაზე შეჩერდა, შეამოწმოს რამდენად სწორია. შენ კი, ჟარიკოვ, შენი შეამოწმე.

წარმოდგენაც კი ძნელია, ძვირფასო შთამომავალნო, რა უნდა მოეგონებინათ ჩემზე ამ საცოდავ ჩენეზემპრებს. ბოლომდე ჩაიკითხეთ ჩემი მემუარები და მიხვდებით. გუშინწინ კი ჩემი კურტაკის ჯიბეში ოთხად მოკეცილი ქაღალდი აღმოვაჩინე. რომ გავშალე, ვნახე, — მთელი ფურცელი დაწერილი იყო... როგორ ფიქრობთ, რა ეწერა? ის, რაც ამქვეყნად ყველაზე ძალიან მეჯავრება... დიახ, დიახ, ლექსი... ლე-ქსი! აი დატკბით ჩემს ჯიბეში ნაპოვნი ლექსით:

დიდი ხნის წინათ, ოდესღაც *,
(წელი და რიცხვი არ მახსოვს!)
აბჯარასხმული რაინდნი
შემოკრბენ მტერზე სალაშქროდ.
მაგრამ ერთმა თქვა: „შესდექით!
მსურს, ჯერ მოვიხადო ვალი —
მინდა, ხალხს ჩავხედო თვალებში,
გულის სწორს ჩავხედო თვალებში,
მტერო, შენც გაგისწორო თვალი!"
მიდიხარ ლაშქრად,
გვიჩვენე სახე! —
აი, მამაცთა წესი!
ჩემიანი ხელით
მოვიხდი ზარადს, —
აი, გზა უკეთესი!

* მეორე წიგნის ლექსები თარგმნეს ლ. სტვილიამ და მ. ახვლედიანმა.

გაწელილ სოკუნეშ ბევრმა
წარეოდა ფეოდალთა ხანა,
და ამჯარ-სატეკარიც
დრომ წარიტანა თანა,
მაგრამ მამაცნი კლაკაც
იმეორებენ თავისს:
„მინდა ხალხს ჩაეხედო თვალებში,
გულის სწორს ჩაეხედო თვალებში,
მტერო, შენც გაგისწორო თვალი!"
მიდიხარ ლაშქრად,
გვიჩვენე სახე! —
აი, მამაცთა წესი!
ჩემიანი ხელით
მოვიხდი ზარადს, —
აი, გზა უკეთესი!

და ლექსი გამოუგზავნეს ისეთ კაცს, რომელსაც თვითსწავლების გაძლიერებული პროგრამის მიხედვით ყოველი წამი დაკავებული და განაწილებული აქვს — იხილეთ ჩემი ბორტეურნალი *, — ასეთ კაცს შეიძლება ლექსი გამოუგზავნო? რაც მთავარია, იძულებული ვიყავი წამეკითხა და ჩამეწერა კიდეც პირველად ჩემს სიცოცხლეში და თანაც ბორტეურნალში. „12.30—12.35 — წავიკითხე ლექსი. 12.35 — 12.40 — ვფიქრობდი, რატომ და ვის უნდა გამოეგზავნა!" არა, ლექსის გამოგზავნა ეს ნამდვილი პროვოკაცია იყო. ნამდვილი პროვოკაცია, ოღონდ გარითმული. და, შესაძლებელია, თქვენ, შთამომავლობამ, ეს სრულიად არასწორად განმარტოთ. ამის შესახებ მერე დავწერ. ახლა მხოლოდ იმას ვიტყვი: რასაკვირველია, სჯობს, ჩენეზემპრებმა საერთოდ არ მომიგონონ, მაგრამ სულ რომ არ მომიგონონ, ესეც არ შეიძლება. ისედაც ჩემი პატარაობის ამბები ჩაუწერელი დარჩა; რას ვამბობდი სამი წლისა, რაზე ვფიქრობდი, რაზე ვოცნებობდი — არ მახსოვს. არც დედას და არც მამას არ უფიქრიათ ცოტაოდენი რამე მაინც ჩაეწერათ. და, აი, შედეგი, მაშასადამე, ჩემი ცხოვრების რაღაც ნაწილი დროის კუთვნილებად დარჩა. ვიღაცის წიგნში ამოვიკითხე: რაც ჩაწერილია, ის დროის კუთვნილება აღარ არისო. მხოლოდ, ამხანაგო თანამედროვენო და შთამომავალნო, არ გეგონოთ, რაიმე დღიურების ან ამდაგვარი რაღაცების წერას ვაპირებდე. დღიურებს გოგოები წერენ ან კიდევ უნებისყოფო ადამიანებს ურჩევენ წერონ დღიურები. ერთხელ საბავშვო ჟურნალს ვკითხულობდი... ეს რა სისულელეებს ვწერ ჩემს თავზე? ვკითხულობდი?! კი არ ვკითხულობდი, ისე ვათ-

* სხვათა შორის პორტფელში, სამწუხაროდ, არავითარი ბორტეურნალი არ ყოფილა (ავტორი).

ვალიერებდი. ჰოდა, აი იმ ჟურნალში ერთი გოგონა წერდა: როგორ მოვიქცე? როგორ ვაჯობო უნებისყოფობას? მას ჟურნალში ასე უპასუხეს: ეს საკითხი სერიოზულია, ეს აღელვებდა ლევ ტოლსტოის, რომელიც თავის ჭაბუკობისდროინდელ დღიურში უნებისყოფობას უჩიოდა და ცდილობდა, როგორმე განემტკიცებინა ნებისყოფაო. მერე კი გოგონას ათასი რამ ურჩიეს, მათ შორის — დღიურის წარმოება. ეს აუცილებლად გიშველის ხასიათისა და ნებისყოფის ფორმულირებაშიო. დღიური — ეს არის, პირველ რიგში, საუბარი საკუთარ თავზე: ვცხოვრობ თუ არა ისე, როგორც საჭიროა?.. და ასე შემდეგ. მე, რასაკვირველია, ჩენეზემპრების რჩევები მძულს და სასაცილოდ არ მყოფნის. უნდა გითხრათ, რომ მე მთელ კაცობრიობას ვყოფ ორ ნაწილად — ჩენეზემპრებად და ჩედოზემპრებად. შთამომავლობას ჩემი წყალობით ეცოდინება, რა არის ჩენეზემპრი და ჩედოზემპრი. თანამედროვენი კი შეიძლება ვერ მოესწრონ ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგებას. ამიტომ ახლავე ავხსნი: ჩენეზემპრი — ეს გახლავთ ადამიანი, რომელიც არ არის ღირსი დედამიწის მიზიდულობისა. ჩედოზემპრი კი ღირსია დედამიწის მიზიდულობისა. ჩენეზემპრს მივაკუთვნებ უპირველესად გოგონებს, ყველას, გამოუკლებლივ, ბიჭებსაც. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველას არა, აი, ლირიკოსებს და მისთანებს, ამათაც ჩენეზემპრებს მივაკუთვნებ, დანარჩენებს კი, უმცირესობას, ვუწოდებ ჩედოზემპრებს. თქვენ რომ გაიგოთ და გაიზიაროთ ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება გოგონებისადმი, ჩემს მოგონებებს თან ვურთავ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ცნობას, რომელიც გამოქვეყნდა პარიზში მსოფლიოში ცნობილი მოდების კანონმდებლის კრისტიან დიორის საქმიანობასთან დაკავშირებით. აი ეს ცნობა:

„პარიზის მოდების კანონმდებელ კრისტიან დიორს ამას წინათ ბრალი დასდეს იმაში, რომ მისი მოღვაწეობა სერიოზულ ზიანს აყენებს არა მარტო საფრანგეთის, არამედ სხვა ქვეყნების ცხოველთა სამყაროსაც. ეს ბრალდება ღია ბარათით კრისტიან დიორს გაუგზავნა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ხელმძღვანელობამ. ყოველ წელს დიორის მადლიანი ხელით სხვადასხვა ბეწვეულის, ქურქისა და ნატურალური ტყავისაგან შექმნილ ნაირ-ნაირ მოდელს საქმე იქითკენ მიჰყავს, რომ მოდის მოთხოვნათა გამო დაუზოგავად ნადგურდება ზოგიერთ იშვიათ ძუძუმწოვართა ნაირსახეობა და მას გადაშენება მოელის“.

წარმოგიდგენიათ: გადაშენება მოელის!.. და, შეიძლება, სულ მალე გადაშენდნენ გოგოების მიზეზით... მე ხომ ვიცი, ყველა გოგო მოდასაა აყოლილი, გამოუკლებლივ... თუმცა რამდენიმე სიტყვა

უკან უნდა წავიღო. საქმე ისაა, რომ ყველა უკლებლივო, ვერ ვიტყვი, — მაგალითად, ჩვენს კლასში სწავლობს ანია ბრუნოვა. მას ლიტერატურული მიდრეკილებანი აქვს, მომავალი მწერალია: იგონებს ზღაპრებს, მოთხრობებს, მაგისი ერთი მოთხრობა რომელიღაც ჟურნალშიც კი დაიბეჭდა. მაგრამ ყველაზე შეტად ზღაპრების მოგონება უყვარს. ის ჩვენი სკოლის თვითმოქმედების საღამოებზე ყოველთვის თავისი შეთხზული ზღაპრებით გამოდის.

ჰო, მართლა, შეიძლება, სწორედ მან დაწეროს ჩემზე რომანი ახლადშემოღებული რაიმე ამდაგვარი სერიისათვის: „ზეგამოჩენილ ადამიანთა ზეცხოვრება“!..

რას იტყვით: ჩვენი კლასელი ანა ბრუნოვა ღირსია თუ არა დედამიწის მიზიდულობისა? თუმცა ჩემთვის ამის წარმოთქმა არ იყო სასიამოვნო, მაგრამ მე თვითონვე ხმამაღლა ვთქვი: „დიახ! ღირსია!“

რაც შეეხება დედამიწის მიზიდულობას, აქ ამის ახსნა-განმარტება არ არის საჭირო. დედამიწის მიზიდულობის ღირსი ხომ ძალიან ცოტა ვინმეა. მაგრამ ყველაზე შეტად დედამიწის მიზიდულობის ღირსნი ჩვენ; ესიპები ვართ, რომელთა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი წარმომადგენელი მე გახლავართ — იური ივანოვი. ახლა უნდა აგიხსნათ, რას ნიშნავს ესიპი. ასეთი ადამიანი ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ იქნება. იქნება ადამიანი, იგი, როგორც ფრინველი, აიქნევს ხელებს და ყოველგვარი თვითმფრინავის გარეშე აიჭრება ზეცაში, ზეციდან ჩაყვინთავს ზღვაში და დელფინივით იცურებს წყლის სიღრმეში საათში სამოცდაათი კილომეტრის სიჩქარით, მერე მფრინავი თევზივით ამოხტება ნაპირზე და დედამიწაზე იქროლებს გეპარდის სისწრაფით: ერთი სიტყვით, ბუნებისაგან უნდა გადაიღოს ყოველივე კარგი და ძვირფასი, ის კი არადა, მიწაში ჩაძვრომაც უნდა შეძლოს თხუნელასავით.

ისმინეთ, ხალხნო, ისმინეთ!
ალიესეთ სიამაყით გულები!
კაცი — სრულქმნილი ბუნებით —
თვით მეუფეა ბუნების.
მას ძალუძს გადაბიჯოს
ჩანჩქერთა ლოდებს -- სიპს!
ადამიანი მეუფეა —
ან, მოკლედ, არის ესიპ!
მას შეუძლია აფრინდეს
და ფრთას შემოკრას ფრთა,
თუკი ექნება ლოკატორები,
როგორც ღამურებს აქვთ—

მას ძალუძს გადააბიჯოს
ჩანჩქერთა ლოდებს — სიპს,
ადამიანი მეუფეა —
ან, მოკლედ, არის პსიპ!

ახლა იმასაც გეტყვით, რატომ დავშიფრე ჩემი მოგონებები. ჯერ ერთი — თავმდაბლობით, მოგეხსენებათ, რომ თავმდაბლობა ადამიანს ალამაზებს; მეორეც, — იმიტომ რომ მოგონებების წერა, იქნებ, დროულია, მაგრამ წაკითხვა, ვფიქრობ, ჯერ ადრეა; მესამეც — მინდოდა იდუმალებით ყოფილიყო მოცული. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყოველი ქვეყნისთვის სასურველია, ჰყავდეს ასეთი ადამიანი. ჩემსავე ციტატას მოვიტან: „მუდამ, ყოველ დროში, იარსებებს ადამიანი, რომელსაც დაეკისრება ყველაზე ძნელი დავალება, და თქვენ ნახავთ, რომ ერთი ასეთი პირველთაგანი მე ვიქნები!!!“

ისე, რომ საიდუმლოების კი არა, მე ვიტყოდი, სრული საიდუმლოების თვალსაზრისით და, შეიძლება ითქვას, სამხედრო საიდუმლოების თვალსაზრისით დავშიფრე კოდით ჩემი მოგონებები, ერთხელ ისიც ვუთხარი ჩემს თავს: „არსებობენ, ამხანაგო ივანოვო, მფრინავი-გამომცდელები, რომლებიც თვითმფრინავებს ცდიან, თქვენ კი, ამხანაგო ივანოვო, თქვენ თავს ცდით ისე, როგორც თვითმფრინავს. ეს განა ერთი და იგივე არ არის“.

ახლა იმაზე მოგახსენებთ, როგორ გადავწყვიტე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — როგორ შემოვუნახო ჩემი მოგონებები შთამომავლობას. ეს საკითხი ასე მოვაგვარე: მოგონებებს გადასაღები ქაღალდით ვშიფრავ, ერთ ცალად რომ დავწერო, შეიძლება დაიკარგოს, დაიწვას ხანძრის დროს, ან, ვინ იცის, კიდევ რა მოუვიდეს?! დიდხანს ვიფიქრე, მოგონებების მეორე ცალი ვის ვანდომეთქი, და ბოლოს გადავწყვიტე, ჩავაბარო ჩვენი სკოლის დამლაგებელს სტეპანიდა ვასილიევნას, და ვაბარებ კიდეც ჩემს დაშიფრულ მოგონებებს ნაწილ-ნაწილ.

ახლა, რაც მთავარია: როგორ ვემზადები იმისათვის, რომ პსიპი გავხდე, და სად ვინახავ პსიპად გადაქცევის მასალებს. თქვენც კარგად იცით, რომ მე ამ მასალებს ვერც სტეპანიდა ვასილიევნას ვანდობ და ვერც ვერავის ამქვეყნად, იმიტომ რომ...

მომდევნო ხუთი გვერდი რვეულში ამოგლეჯილი იყო, ასე რომ, როგორ ვარჯიშობდა იური ივანოვი „ჩედოზემპრ-პსიპ-სვერკს“-ის პროგრამით, რას წარმოადგენდა ეს პროგრამა და სად ინახავდა იური მას — ყველაფერი ეს საიდუმლოდ დარჩა.

მოგონება მეხამე

მეცნიერებათა პირამიდათან

„...რომელიმე მგრძნობიარე პიროვნებას შეეძლო ეთქვა, ეს დღე უბედური იყოო, მაგრამ ჩვენ, ჩედოზემპრებს წესად არა გვაქვს ამა თუ იმ დღეს ვუწოდოთ ბედნიერი ან უბედური. უბრალოდ უფრო მეტად გავისარჯე, მორჩა და გათავდა, მეტი კალორია დავხარჯე...“ აი რაზე ფიქრობდა იური ივანოვი, ესე იგი, მე, როდესაც ცარიელ საკლასო ოთახში ვიჯექი და ვიღაცის მიერ შემოჩეჩებულ ლექსის სტრიქონებს დავცქეროდი. ეცდილობდი, გამეშიფრა გამოგზავნილი ლექსის მნიშვნელობა. ეს მინდოდა! — ამოვიოხრე. გარდა იმისა, რომ ყოველ წუთს ჩემი საკუთარი ცხოვრების, აზრებისა და საქციელის დაშიფვრა მიხდება, კიდევ რაღაც გარითმული წინადადებებიც უნდა გავშიფრო. საერთოდ, რაც არ უნდა მომხდარიყო, ლექსისთვის თავს არ შევიწუხებდი, მაგრამ ლექსი, ჩემ წინ რომ იდო, რაღაცას მიმანიშნებდა, თითქოს მისმა დამწერმა ჩემს შესახებ საიდუმლოება იცოდა... „ღიღი ხხის წინათ, ოდესდაც...“ — ამ სტრიქონში ისეთი არაფერი არ არის, მაგრამ სიტყვები „აბჯარასხმული რაინდნი შემოკრბენ მტერზე სალაშქროდ“ ნამდვილად ჩემზეა. აბჯარასხმული რაინდხი შემოკრბენ მტერზე სალაშქროდ... მე ხომ მართლა აბჯარასხმულივითა ვარ. ესეც ჩემზე უნდა იყოს: „მერე ერთმა თქვა: შესდექით!“ ხოლო გულის სწორზე რომ არის ნათქვამი, ეს, რასაკვირველია, მე არ მეხება, ამის გამოტოვება შეიძლება, აი ეს კი: „მინდა ხალხს ჩავხედო თვალებში, მტერო, შენც გაგისწორო თვალი! მიღიხარ ლაშქრად, გვიჩვენე სახე! — აი, მამაცთა წესი!“. მამაცთა წესი!... ესე იგი, მე მშიშარა ვარ?.. იქნებ, ხელწერით მიცნეს, ვინ დაწერა ეს ლექსი? უკვე მერამდენჯერ ვაკვირდები ფურცელს, მაგრამ ვერა და ვერ გამოვიცანი, მე მგონი, ჩვენს კლასში ასეთი ხელწერა არავის არა აქვს. თუ გავიგე, ვინ შემომაპარა ეს გალექსილი პროვოკაცია, არ ვიცი, რას ვუზამ! თუმცა ვიცი, რასაც ვუზამ: არ წავიყვან თან, ყველაზე ძნელი დავალების შესასრულებლად.

ასე, ვიჯექი ცარიელ საკლასო ოთახში და თავს ვიმტვრევდი ლექსად დაწერილ გამოცანაზე. ეს ისე, საერთოდ, კერძოდ კი, გარდა ლექსის გაშიფვრისა, კიდევ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მეშოვნა ფული. მოხუცი ქალი, ყვავილების გაყიდვაში რომ ვეხმარებოდი, აი, უკვე ერთი კვირაა ცენტრალურ ბაზარში არ გამოჩენილა. სანახავად კი ვეღარ წავედი: მოსკოვის გარეუბანში, რიაზანის შოსეზე ცხოვრობს და იქ წასასვლელად ვერ მოვიცალე. აბა, რა ექნა?

ეს მეორე „რა ექნა?“ მესამეც — მარცხენა ხელს ვივარჯიშებ ტენისის პურთით. მეოთხეც, მარჯვენა ფეხის ტერფს ვივარჯიშებ ტენისის მეორე ბურთით, ფეხის წვერს, როგორც პედალს, ისე ვაჭერ.

ზედა სართულიდან, ალბათ, სააქტო დარბაზიდან, ჩემი საძულველი მუსიკის ხმები მოდიოდა. „ყველაფერი და ყველა ყურადღებას მიფანტავს ჩემი ძირითადი მიზნისა და იდეისაგან“, — ეფიქრობდი მე. დევიზით — „ყველა ფიზიკოსი — ლირიკოსია!“ რაღაც თვითმოქმედი ზესაღამოსათვის მთელი სკოლა ემზადებოდა. ამ დროს თვითმოქმედებისათვის კაცი მოემზადება!.. მაგათ ის ერჩივნათ, იმაზე ეფიქრათ, რას გააკეთებს თითოეული მათგანი ჩემ ირგვლივ, როდესაც მე ჩემი ზეპროგრამით — „ჩედოზემპრ-პსიპსეერკსი“ — ამქვეყნად ყველაზე ძნელ დავალებას შევასრულებ... „ეგენი რას გააკეთებენ?“ — გავიფიქრე მე.

სწორედ ამ დროს დერეფანში, კარს იქით, ფეხების ბაკუნი და გიტარის ხმა გაისმა. კარი გაიღო. კარის განათებულ პარალელეპიპედში გოგონებისა და ბიჭების სახეები გამოჩნდა.

— არავინ არ არის! აი აქ ჩავატარონ რეპეტიცია! — გიტარაზე დაამღერა გოგონას ნაცნობმა ხმამ.

ამომრთველი გატკაცუნდა. ოთახი განათდა.

— ბავშვებო! შესედეთ, ჭკუის კოლოფი ზის აქ! — ჩემს ზურგს უკან გაისმა კაშინის ხმა. — „მწუხარე დემონი! სული დევნილი!“

მე თავიც არ მომიბრუნებია, მხოლოდ ჩემთვის გავიფიქრე:

„შემოხროვდნენ!.. ლირიკოსებს დამიხედეთ!..“

— როგორ თუ არავინ არ არის, ივანოვს ვერ ხედავთ, — თქვა ბორის კუტირიოვმა.

— ივანოვი — ეს იმას ნიშნავს, რომ არავინ არ არის, — თქვა ვერა დანილოვამ.

ასეთ გამოხდომაზე, რასაკვირველია, პასუხი უნდა გამეცა.

— ყველა ლირიკოსი ამტკიცებს, რომ თავი უნდა შესწიროს ლიტერატურას, პოეზიას ან ხელოვნებას, ვინაიდან მხოლოდ მათ შეუძლიათ ადამიანის ცხოვრება ჭეშმარიტად შინაარსიანი, საინტერესო გახადონ, — ვთქვი მე ირონიული ღიმილით.

— ფიზიკოსები კი დარწმუნებულნი არიან, რომ არ არსებობს უფრო დიდი ძალა ქვეყანაზე, ვიდრე ზუსტი მეცნიერებებია, და ამტკიცებენ, რომ მათზე ტრიალებს მთელი სამყარო, — სიტყვა გამიტრიზავა ლევ კირკინსკიმ.

— და არავინ იცის, რამდენი ხანია გრძელდება ამაზე დავა და არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება, — თქვა ვერა გრანინამ.

— მაგრამ არსებობს ამქვეყნად მეცნიერება, რომლის მიმდევართაც შეუძლიათ თქვან: „რამდენიც არ უნდა იკამათოთ, ჭეშმარიტება, როგორც ყოველთვის, შუაგულშია“, მაშასადამე, ის მეცნიერებაა ყველაზე შესანიშნავი, რომელიც ყველა დისციპლინის პირამიდასთანაა. ასეთი მეცნიერება გახლავთ ეკონომიკა, — თქვა ნინა კისინამ. (აქამდე ვერაფრით ვერ გამერკვია, რა მიდრეკილებისა იყო იგი. მაგრამ თუ მართლა სჯერა თავისი სიტყვებისა, ასეთი ჭკვიანური იერით რომ წარმოთქვა, მაშინ ეკონომიკური მიდრეკილებისა ყოფილა).

ახლა კი აუცილებელი იყო, ისეთი რამე მეთქვა, რომელზეედაც ვერავინ ვერ მიპასუხებდა, ჰოდა მეც ვთქვი:

— გაგიგონიათ ასეთი თევზი — პირანი? — ყველას ერთად შევეკითხე. აი ეს პატარა თევზი სამხრეთ ამერიკის ტროპიკული მდინარეების რისხვაა. ამ პატარა თევზს პირი წვრილი ბასრი კბილებითა აქვს გამოვსებული, და თუ რომელიმე ცხოველი მდინარის გადალახვას მოინდომებს, თავს ესხმის ამ მძვინვარე მეკობრეთა გუნდი და რამდენიმე წუთში მსხვერპლისგან დაღრღნილი ჩონჩხილა რჩება. ეს პაწია თევზები ბევრად უფრო სისხლისმსმელები არიან, ვიდრე ზვიგენი და ნიანგი. შემთხვევით კი არ შეარქვეს ინდიელებმა ერთ-ერთ მდინარეს, რომელშიც პირანები მრავლად არიან, „სიკვდილი“! ამრიგად, სიამოვნებით ჩაგყრიდით პირანებთან... მდინარის უკუქცევის დროს!..

ყველანი დადუმდნენ, არავის უცდია პასუხი გაეცა ჩემს განცხადებაზე, მხოლოდ კისინამ დაიწრიპინა:

— ივანოვ, ეს იცი, უკვე რა არის?! ეს გაბრაზება კი არა, სიძულვილია...

კისინას სიტყვების მერე უფრო გაშმაგებით დავუწყე ტენისის ბურთს ჩუმად ხელით ჭყლეტა, მეორე ბურთი კი ფეხით კინაღამ იატაკს დავასრისე.

თუმცა ვერა დანილოვამ (სხვათა შორის ის არტისტული მიდრეკილებისაა და კინომსახიობობაზე ოცნებობს) თქვა, რომ მე რაღაც არარაობა ვარ, თვალს მაინც არცერთი არ მაცილებდა, განსაკუთრებით იმის მერე, რაც ვუთხარი, სიამოვნებით პირანებთან ჩაგყრიდით-მეთქი. თუმცა თითოეული სხვადასხვანაირად მიცქერდა. ერთნი მიყურებდნენ, როგორც ცუდ წრეში მოხვედრილ ადამიანს, მეორენი — როგორც შეყვარებულს, მესამენი — როგორც ბზიკნაკბენს. მხოლოდ მშვიდი და ავადმყოფური გარეგნობის ლენა მარჩენკოს (მას პედაგოგიური მიდრეკილება აქვს — სხვათა შორის მთელ კლასში ყველაზე ძალიან ის მეჯავრება, იმიტომ რომ ლამა-

ზია: გაიზრდება და თავისი მოდური ქურქებისათვის ცხოველთა სამყაროს ერთიანად გაანადგურებს) აი, მარტო იმას, ერთადერთს, არცკი შემოუხედავს ჩემთვის. „ძალიან ცდება!“ — გავიფიქრე ჩემთვის. — უნდა შემომხედოს, შემომხედოს და დამიმახსოვროს... დიახ, დიახ, დამიმახსოვროს“.

ფიქრი კაშინის ხმამ შემაწყვეტინა.

— არც მოაბრუნა თავი-კომბოსტო! არც გამოხატა გრძნობა რაიმე!.. — გამოთქმით თქვა მან. — გვ-ი-ი-სმინე, იეანოვ, — რაღაც სულელური ჰანგი დაამღერა გიტარაზე. — კ-ა-ა-არგს იზამ, თუ წახვალ აქედან!.. ჩვენ აქ რეპეტ-ი-ი-იცია უნდა ჩავატაროთ.

— ციმბირის სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ცდების დროს ცოცხალი უჯრედები ერთმანეთთან კავშირს აბამდნენ ელექტრომაგნიტური სიგნალების საშუალებით, საიდუმლო ენაზე... — ვთქვი მე.

მიყვარს, აი ასე, მოულოდნელად რომ განვაცვიფრებ ჩემს თანამეძროვეთ რაიმე სიახლით.

ასეთ შემთხვევაში ყოველთვის დუმილი ჩამოვარდება ხოლმე. ჰოდა ახლაც გაჩუმდნენ. ერთმანეთს გადახედეს. ბოლოს ვერა დანილოვამ თქვა:

— „ვარსკვლავი ვარსკვლავს ესაუბრება...“ ჯერ კიდევ როდის შეამჩნია ეს პოეტმა... და თანაც საუბარი საიდუმლო ენაზე.

— კარგია, რომ ის უჯრედები უხმოდ ლიკლიკებენ ერთმანეთთან, — დაუმატა კაშინმა. — აბა, წარმოიდგინეთ, რა ერიბმული ატყდება, ყველა ჩვენი უჯრედი ხმამაღლა რომ ალაპარაკდეს.

— რატომ მომწონს, იცით, ივანოვი, — თქვა ვიქტორ მასლოვმა, — მისგან ყოველთვის რაღაც მოულოდნელს იგებ.

— კროსვორდ, ყური მიგდე! — მომმართა ნინა კისინამ. — მართლა, კარგს იზამ, თუ წახვალ აქედან, რეპეტიცია უნდა ჩავატაროთ. ზოგიერთი მოსაზრების გამო დარჩენას არ გირჩევ.

თქვენ თუ შეგიმჩნევიათ, ზოოპარკში ვეფხვი როგორ უყურებს ადამიანს? მე შემიმჩნევია. ვეფხვი ადამიანს როგორც გამჭვირვალე, მინის სხეულს ისე უყურებს. აი, ასე შევხედე მე დანილოვას, კისინას და, რაღა თქმა უნდა, მარჩენკოსაც. ასე ვუყურებ საერთოდ ყველა გოგოს, როგორც ვეფხვი.

მომავალი მსახიობი კაშინი კისინას ისევ მიეშველა:

— გა-ა-ა-ი-გონე, ივანოვო! — ისევ ამღერდა სულელურ მოტივზე და გიტარას ჩამოჰკრა ხელი. — წა-ა-ბრძანდი ა-აქედან! ხალხს აქ სა-ა-ქმე აქვს!

იდგა კაშინი და ელოდა, როდის ვინებებდი ადგომას და საკლასო ოთახიდან გასვლას. ყველანი მგლოდნენ. მთელი დრამწრე. სატირიკოს კუტირიოვის მეთაურობით იდგნენ და მელოდნენ. მეც ველოდი, როდის წავიდოდნენ ისინი. ვიჯექი და ველოდი. როცა ზიხარ, უფრო აღვილია ლოდინი. იდგნენ რა. რაღგან უნდათ ხასიათის სიმტკიცე დამიმტკიცონ. მეც ...-მეიქი. ხასიათი მე, შეიძლება, უფრო ძლიერი მაქვს, ვ... ...ადამიანს ერთად აღებულს. ამიტომ დამშვიდდება იმის დაზუსტება, თუ რას ნიშნავს ხასიათი (ნიშნთვისებაა თუ თვისებურება). ხასიათი— ეს გახლავთ ადამიანის ძირითად, ყველაზე უფრო მყარ იმ ფსიქიკურ თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც მის შოქმედებასა და ქცევებში ელინდება.

და, აი, რადგან ფსიქიკური თვისებები მე მთელ მსოფლიოში ყველაზე ერთობლივი და მყარ მაქვს, უკან არ დავიხევ.

პირველი მასლოვი დამნებდა, მას კოსმოსური მიდრეკილება აქვს, ამიტომ მისმა საჭრიანობამ სხვებისაზე უკეთ გაჭრა.

— თავი დაანებეთ, — მაგასთან ...ფერს გააწყობთ ...ზდეს... იქნებ საღამოში მონაწილეობის ...ება ისურვოს! — თქვა მასლოვმა.

„ოჰო, თავს გაუვიდათ ჩემს თანამედროვეებს, — გავიფიქრე ჩემთვის, — მართლაც, გაუვიდათ თავს, ქანჩები მოეშვათ, მგონი, დროა მოვუჭირო". ხმამაღლა კი აი რა ვთქვი:

— თქვენზე, ამხანაგებო. — თითქოს ...ერავის და თან ...ითქოს ყველას მივმართე ერთად. — თქვენზე ...ული წრეები არასოდეს არავითარ იმედებს არ ამყარებდნენ. მაგრამ, აი, რაც შეეხება ამხანაგ მასლოვს, გარკვეულ წრეებს ჯერ კიდევ აქვთ მაგისი იმედი. ასე ვთქვათ, ჰეროიკული მასიური საქმეების ცალკეული დავალებები... და ასე შემდეგ, — ქარაგმულად გადავუკარი და საყვედურით გადავაქნიე თავი. — არ ვარგა ასე, მასლოვ, არ ვარგა! მე მგონი, ტყუილად აქვთ გარკვეულ წრეებს ამხანაგი მასლოვის იმედი, ტყუილად, გესმით თქვენ...

ისევ გადახედეს ...ერთმანეთს, ისევ საგონებელს მიეცნენ: „გამიჯნურებულია! ცუდ წრეში ჩავარდა! საინტერესოა, მაინც რომელმა ბზიკმა უკბინა ამ ივანოვს! ...ქნებ, მართლა დედამიწის მკვიდრი კი არა, უცხო პლანეტელია?!"

მე კი ისევ განვაგრძობდი მასლოვის ჭკუის დარიგებას, მაგრამ უკვე აღარც მასლოვი და აღარც არავინ არ მისმენდა.

— აბა, როგორ უნდა ჩავატაროთ მაგის თანდასწრებით რეპეტიცია? — იკითხა აკიმოვამ. — ჩვენი სატირა ხომ ივანოვზეა?

— მერე რა, — თქვა კუტირიოვმა, — იჯდეს და გვიყუროს, იქნებ რაიმე დაგვიმატოს. თავის თავს ხომ ჩვენზე უკეთ იცნობს. ისე კი, მგონი, აჯობებს, მოველაპარაკოთ?

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მე რა თქმა უნდა, წარბიც არ შემიხრია, ჩუმად ვიჯექი, მაგრამ თავში წინადადებები წამომეჭრა: „რაო? რაო? ჩემზე, ივანოვზე, დაწერეთ სატირა? წინათ დრამწრე ამას ვერ მიბედავდა. ეტყობა, სადღაც მოვუშვი ქანჩები". ძალიანაც კარგი, რომ ხასიათის სიმტკიცე გამოვიჩინე და არ გავედი კლასიდან. არა უშავს, ახლა ნახავენ, დავრთავ თუ არა ნებას, შეასრულონ ეს სატირა.

სანამ მე გადაწყვეტილებას ვღებულობდი, რომ... რომ ჩემზე არავითარი პასკვილი-მასკვილი არ ყოფილიყო, ჩემთან კუტირიოვი მოვიდა და მითხრა:

— ივანოვ, ყური მიგდე, ჩვენ გვინდა, ერთ სცენაში შენ... ერთი სიტყვით, ჩვენს წარმოდგენაში გვაქვს ასეთი განყოფილება: „ვის რა ესიზმრება?" ჰოდა, ჩვენ გვინდა, ერთ-ერთ სცენაში... ჰო, შენი იმიტაცია თუ პაროდია წარმოვადგინოთ. შენ, ალბათ, იცი, რომ იმიტატორი ამა თუ იმ პირის მხოლოდ გარეგნულ იერს კი არ იჭერს, მის ხასიათშიც. სულშიც იჭრება. ასე რომ, გვინდოდა მოგლაპარაკებოდით...

— აი რა გითხრა, კუტირიოვ, — ვუთხარი მე აუჩქარებლად, — ეგ. რა თქმა უნდა, სწორია, ჩემთან მოლაპარაკება რომ მოინდომეთ. ეს რამდენადმე ბრძნული საქციელიცაა, თქვენის მხრივ. მაგრამ ვიდრე ჩემთან მოილაპარაკებდეთ, მე უნდა ვიცოდე, რა გინდათ ჩემზე გააკეთოთ, იმიტაცია თუ პაროდია? უფრო კონკრეტულად: თქვენ ჩემი იმიტირება გინდათ თუ პაროდირება?

— იცი, რა, ივანოვ, — რაღაც დარცხვენით თქვა კუტირიოვმა. — მე მგონი, შენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რას გავაკეთებთ — იმიტირებას თუ პაროდირებას.

— აი, ამაში კი სცდები, კუტირიოვ. ჩემთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. იმიტირებას მიპირებთ თუ პაროდირებას. იმის გამო. რომ შენ ერთმანეთში ურევ „იმიტირებას" და „პაროდირებას", ამიტომ უნდა განგიმარტო, აგიხსნა. რა არის იმიტაცია... შენ სწორად თქვი, — იმიტატორი ამა თუ იმ პირის მხოლოდ გარეგნულ მონაცემებს კი არ იჭერს. იგი მის ხასიათშიც, სულშიც იჭრებაო. პაროდირება კი გადამლაშებული მიბაძვაა ვისიმე. ღვარძლიანი ან კეთილი გამოჯავრებაა. შენ, კუტირიოვ, ითვალისწინებ თუ არა განსხვავებას?

— ვითვალისწინებ...

— ძალიან კარგი... თუ პაროდირებაში ვერ ერკვევი, მაგრამ ითვალისწინებ, ესეც კარგია. იმიტაციის უფლებას კიდევ მოგცემთ, მაგრამ ვერავითარ პაროდირებას ვერ დაუშვებ, მით უმეტეს გამოჯავრებას. დილეტანტები, ვერაფერში ვერ ერკვევიან, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— აი, რა, ივანოვ, — ყოყმანით თქვა კუტირიოვმა, — შენ ხომ იცი, რომ მეცნიერებაში, როგორც ცნობილია, აღმოჩენები უფრო ხშირად მათემატიკისა და ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის პირაპირთან ხდება... ისე, რომ შეიძლება, ჩვენთანაც მოხდეს რაიმე... იმასთან... — კუტირიოვი ამ სიტყვებზე გაჩუმდა.

— სად იმასთან? — შევეკითხე მე.

— პირაპირთან, — ამიხსნა კუტირიოვმა.

— რის „პირაპირთან"? — ისევ ვკითხე მე.

— აი, იმიტაციისა და პაროდიის...

— აბა, მიდით... სცადეთ ერთი... პირაპირთან... ოღონდ გაითვალისწინეთ, არსებობს ისეთი პირაპირი, რომლისთვისაც შეიძლება მიგენაყოს ცხვირ-პირი!..

— ეჰ, ივანოვ. — თქვა კუტირიოვმა, თან ფიქრიანად საქოჩრე მოიფხანა, — შენ ისეთი კაცი ხარ, ცხვირ-პირის მინაყვა შენგან უპირაპიროდაც მოსალოდნელია.

— ამას შენ უკვე ტყუილად ამბობ, — ვთქვი მე, — იმიტომ რომ ადამიანს, რომელსაც როდისმე მოელის... — ვთქვი მე მრავალმნიშვნელოვნად, — უფლება აქვს ახლა... — და მრავალმნიშვნელოვნად დავდუმდი.

კუტირიოვმა ამხანაგებს გადახედა, თითქოს ცდილობდა. გამოეცნო. რას ნიშნავდა წინადადება — „ადამიანს, რომელსაც როდისმე მოელის... უფლება აქვს ახლა..." თუმცა ჩემი დაუმთავრებელი წინადადების აზრი ძალიან მარტივი იყო და ნიშნავდა: ადამიანს, რომელსაც როდისმე მოელის ყველაზე დიდ სიძნელეთა გადალახვა, უფლება აქვს, ახლა ნაკლებად გაისარჯოს.

კუტირიოვი გამშორდა და ჩუმად რაღაცაზე ეთათბირებოდა ბავშვებს, მე კი...

მე კი სკამზე მოხერხებულად დავჯექი და, როგორც ყოველთვის, ხუთ საქმეს ერთად ვაკეთებდი: ა) მოთმინებით ვიჯექი და ჩემზე დაწერილ სატირას ველოდი; 2) მარჯვენა ხელი ჯიბეში მედო და ხელისგულის კუნთის გასავარჯიშებლად ტენისის ბურთს ვუპერდი; 3) ვფიქრობდი, როგორ მეშოვნა ფული; 4) მარცხენა ფეხის თითებს იატაკზე ტენისის ბურთს ვაპერდი; 5) ვცდილობდი, გამერკვია, ვინ მომაჩეჩა ეს დაწყეველილი ლექსი?

ამ ხუთი საჩრუნავიდან ყველაზე ძალიან ფულის პრობლემა მტანჯავდა. ისე, ყველა არასაიდუმლო ხარჯები, ზეძნელი ზედავალების შესასრულებლად ჩემი მომზადებისთვის რომ არის საჭირო, დედამ იკისრა, მხოლოდ ამას ისე აკეთებს, ჩემი გეგმებისა არაფერი იცის. პირველყოვლისა, სვერსკმა ხუთი თითივით უნდა იცოდეს ვარსკვლავებით მოჭედილი ცის რუქა. (დედა პლანეტარიუმში ჩატარებული ყველა ლექციის მოსასმენ ბილეთებს ყიდულობდა ჩემთვის.) სვერკსი პროფესიით უნდა იყოს ფიზიკოსი და გეოდეზისტი. (დედამ იმდენი წიგნი მიყიდა, თაროები გამივსო ფიზიკისა და გეოდეზიის სახელმძღვანელოებით.) სვერკსმა უნდა იცოდეს კინოკამერის ხმარება. (დედამ კინოაპარატი „ლადოგა“ მიყიდა.).

მაგრამ, ამის გარდა, ხომ მქონდა საიდუმლო ხარჯებიც. მერე როგორი ხარჯები! სანდუნოვის აბანოში თერმოკამერა ყოველ შესვლაზე 30 კაპიკი მიჯდებოდა, იზმაილოვის ცენტრიფუგა, ატრაქციონებზე — 30 კაპიკი, ცენტრალურ პარკში „მკვდარ მარყუჟში“ თვითმფრინავზე ვარჯიში — 30 კაპიკი, ისეა ყოველდღე. ხან ერთზე მივდივარ, ხან მეორეზე, ხან მესამეზე! კვირა დღეს კი — ერთზეც, მეორეზეც და მესამეზეც — ყველაფერზე და თითოეულზე რამდენჯერმე. კიდევ კარგი, ორი წლის წინ შევქმენი „დაგროვების ფონდი“ საუზმის, კინოს ბილეთების, ნაყინისა და კიდევ რაღაცრაღაცების ფულის დანაზოგით. ეს დაგროვილი თანხა ერთი-ორი თვე მეყოფა. მერე რა ვქნა? იქნებ სჯობს, სადმე მუშაობა დავიწყო? სხვათა შორის. იმ ხუთ საქმესთან ერთად, სკამზე მჯდარი რომ ვუძღვებოდი, მეექვსესაც ვაკეთებდი: მართალი გითხრათ, დიდი ყურადღებით არა, მაგრამ ჩემი თანაკლასელების ლაპარაკს ყურს ვუგდებდი, — ისინი უკვე რეპეტიციას გადიოდნენ.

მ ო ვ ო ნ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე

ქმედება უკუქმედების ტოლია

„ვნახოთ ერთი, — გავიფიქრე ჩემთვის. — საინტერესოა, მერე რა იქნება?..“ საინტერესოა! საინტერესოა?! — მერე აი რა მოხდა.

— ძვირფასო ბავშვებო! — გაისმა ხმა. — ჩვენს კლასში სწავლობს უცნაური მოსწავლე იური ივანოვი. იგი უცნაურია იმით, რომ სულ უფრო და უფრო უკეთესად სწავლობს. ჩვენს მასწავლებლებს უკვე აღარ ყოფნით ნიშნები. ერთი მასწავლებელი მარ-

ტო ხუთიანებს კი არა, ექვსიანს, შვიდიანს, რვიანს უწერს და ერთხელ ათიანიც კი დაუწერა. ეს, რა თქმა უნდა, საოცრებაა! მაგრამ უფრო საოცარი ის გახლავთ, — რაც უფრო კარგად სწავლობს, რაც უფრო მეტი იცის, მით უფრო ცუდად უპირავს თავი. სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდება! და თუ ვინმემ ხელით ოდნავ წაუტყაპუნა, მტერს, რა ამბავიც დატრიალდება. მაგრამ ჩვენ ამას არ წარმოგიდგენთ, რადგან იური ივანოვი ამ ბოლო დროს მარტო თვითონ კი არ სწავლობს, მასწავლებლებსაც ასწავლის. გთავაზობთ, ნახოთ სცენა, სათაურით: „რა ესიზმრება იური ივანოვს და, იქნებ, არც ესიზმრება“.

სხვათა შორის, ეს ყველაფერი ვიქტორ სმეტანინმა თქვა, იგი სპორტული მიდრეკილებისაა და, ეტყობა, სწორედ ამიტომ დაავალეს მას ჩემზე ამის თქმა. ვიქტორი კლასში ყველაზე ღონიერია, თუ მე არ ვამთვლით.

— როლებს ასრულებენ, — თქვა სმეტანინმა, — იური ივანოვის იმიტაციას შეასრულებს მასლოვი, მასწავლებლებისას კი — ჩვენი კლასელები. ვინ ვის განასახიერებს, ტრანსპარანტებზე აწერია.

მერე რა მოხდა, ძვირფასო შთამომავალნო, მართალი გითხრათ, არც მინდა გიამბოთ. ჩემის აზრით, დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა.

დრამწრე მასლოვის მეთაურობით ანსახიერებდა სცენას — ვითომ მე მასწავლებლებს ვცდიდი და შეკითხვებს ვაძლევდი. მასთან, სანამ შეკითხვებს მივცემდი, ვითომ ვთქვი, რომ პასუხის დროს მასწავლებლებს შეუძლიათ შპარგალკებით, სახელმძღვანელოებით და ჟურნალებით ისარგებლონ. შეუძლიათ, ტელეფონით დაურეკონ ნაცნობ პროფესორებს, შეუძლიათ, მეცნიერებათა აკადემიას დაუკავშირდნენ, რომელი აკადემიაც მოესურვებათ, იმას. შეკითხვები, მე რომ ვაძლევდი, ჩემის აზრით, არცთუ ისე ჭკვიანური და მით უმეტეს არც მაინცდამაინც გონებამახვილური იყო. ჯერ ერთი, ვითომ მე შევეკითხე მასწავლებლებს: როგორ სძინავთ თევზებს — თვალღია თუ თვალდახუჭული?.. მერე კი ვითომ ასეთი შეკითხვა მივეცი — როგორ ჰგონიათ, წყლის მოლეკულა მშრალია თუ სველი?.. მესამე, ყველაზე მთავარი შეკითხვა, მასწავლებლებს რომ მივეცი, ასეთი იყო: რატომ არის მალაქიტში ცოტა ქიტი?..

თანაც, მასლოვმა, რომელიც მე მანსახიერებდა, შეკითხვის დროს ხმით ისე ძალიან მომბაძა, რომ მერხზე მსხდომებმაც და ფეხზე ვინც იდგა, იმათაც გადაიხარხარეს, და არა მარტო გადაიხარხარეს, სიცილისაგან დაოსდნენ. თუმცა თითოეულს თავის როლის მიხედვით სულ სხვა რამე უნდა წარმოედგინა. სანამ ისინი

ხარხარებდნენ, მასლოვ-ივანოვმა ფეხი განზე გადგა და მდუმარემ საშინელი სახის გამომეტყველება მიიღო, აი ისეთი, როგორიც მე მაქვს ხოლმე. „ჩემი“ ‘ეკითხვის მერე — რატომ არის მალაქიტში ცოტა ქიტი, — ყველა მასწავლებელმა სპექტაკლ „რევიზორში“ რომ არის, იმის მსგავსი რაღაც მუნჯური სცენები მომიწყო. მასლოვმაც ჩემის მხრით მასწავლებლებს მოუწყო ისეთივე მუნჯი სცენები. მასლოვ-ივანოვი ისე ძალიან მგავდა, რომ ყველანი, გოგონებიცა და ბიჭებიც, მისცვივდნენ და კინაღამ ხელში აიტაცეს.

— ახლა კი მინდა შემოგთავაზოთ ბორის კუტირიოვის სატირული სცენა — „იური ივასლოვის სიმპოზიუმი“, — თქვა ვიქტორ სმეტანინმა.

გაისმა სიცილი. „ესე იგი ის პასკვილი იყო, ახლა კი... ნამდვილად სატირას იწყებენ ჩემზე“, — მშვიდად გავიფიქრე.

— როლებს ასრულებენ, — გაიმეორა სმეტანინმა, — ივასლოვის როლს შეასრულებს მასლოვი, ისტორიის მასწავლებელს — გლებოვა. ყველა დანარჩენი თავის თავს... ამრიგად, წარმოიდგინეთ, რომ კლასში ისტორიის გაკვეთილზე ხართ...

სმეტანინმა რატომღაც ერთხელ კიდევ დაიფრუტუნა და განზე გადგა. ყურები ვცქვიტე. თავიდანვე არ მომეწონა, რომ მოქმედება თითქოს სიზმარში მიმდინარეობდა და მასლოვი ვიღაც ივასლოვს თამაშობდა. ამ ინტერმედიიდან ხომ არ იყო ის ლექსი... რეპეტიცია დაიწყო.

მე თვალებით მოვძებნე მასლოვი, რომელსაც ივასლოვის როლი უნდა ეთამაშა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მასლოვ-ივასლოვის ნაცვლად, საკლასო დაფასთან ჩემი თავი დავინახე... თითქოს ფანტასტიკურად გავორდი და ერთდროულად დაფასთანაც ვიდექი და მერხზეც ვიჯექი.

ცხოვრებაში ჩემსა და მასლოვს შორის არავითარი საერთო არ იყო. იმის თქმა მინდა, რომ მე და მასლოვი სრულებით არ ვგავდით ერთმანეთს. მე ცხოვრებაში შავგერემანი ვარ, მასლოვი კი ქერაა. ნამდვილი ნეგატივია ჩემი. საერთოდ არაფრით არ ვგავართ ერთმანეთს. ახლა კი თითქოს ჩემს ანარეკლს ვუცქეროდი სარკეში. პირველად ვერც კი მოვისაზრე, რა მოხდა. მერე მივხვდი: მე მაჯავრებდა მასლოვი. საერთოდ ყველას აჯავრებს კლასში. ყველას, რაღა თქმა უნდა, ჩემს გარდა, იმიტომ, რომ ჩემთან მასხრობა ეგრე იოლი არ არის. მე მაგისი შადრევნი კი არა ვარ: ან ვასილიანსკი! ან ორლოვი! ან ბრენდერი! შეიძლება, ზურგსუკან კიდეც მბაძავდა, მაგრამ ჩემთან ვერ ბედავდა, ერთი გაებედა და! თუმცა რაღა „ერთი გაებედა“! როდესაც უკვე გაბედა და ეგ არის. აგერ, ჩემი სა-

ხის გამომეტყველებით ჩემს პოზაში ზის მაგიდასთან. თანაც ჩემსავით სამ საქმეს ერთად აკეთებს,... დიახ, სამ საქმეს. კითხულობს, მარცხენა ხელს ტენისის ბურთს უჭერს, მარჯვენათი კი რვეულში რაღაცას იწერს.

„აბა, ივანოვო, — შეეუძახე ჩემს თავს, ძალიან კი მიუშვი ეს ლირიკოსები. კუტირიოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემზე იმიტირებას წარმოადგენენ, ჰოდა ხიხარ და მშვიდად უცქერი!"

მასლოვ-ივასლოვის შემყურემ პირველად ენახე ჩემს სიცოცხლეში, როგორ ვდგავარ ხოლმე დაფასთან, და, მასთან, როგორ ვუყურებ მასწავლებლებს. ერთ მთვანს პედსაბჭოზე უოქვამს, ეგ რომ მერხიდან გამოძვრება, შიშით გული მისკდებაო, ასლა კი ვხედები, რატომ არ მიძახებენ ხშირად დაფასთან. მე კი არ შემიძლია, სხვანაირად ვუყურო მათ. სულაც ხუ გამოიძახებენ, რა, ტყუილად მაცდენენ.

— მაშ ასე, ჩემო კარგებო, — ვთქვი მე. მე კი არა, მასლოვმა— ჩემი სახელით, მერე უხმოდ ისეთი თვალებით შესედა მასწავლებლებს, რომ მათ შიშისგან კანკალი დააწყებინათ.

მასლოვ-ივასლოვმა მდუმარედ, ჩემებურად, მეორე შეკითხვაზე ისეთი სახე მიიღო, რომ გლებოვამ და სხვებმა, ვინც კი კლასში ჩემთან ერთად იყო, ისევ სიცილი ატეხეს. თუმცა თავიანთი როლების მიხედვით რაღაც სხვა უნდა გაეკეთებინათ. ამ დროს მე მარჯვენა ხელი მარცხენა ხელის პულსზე დავიდე და თვლა დავიწყე... პულსი ზეადამიანური და ზეკოსმონავტური მქონდა. სავსე პულსი. შტერნბერგის სახელმწიფო ობსერვატორიიდან გადმოცემული ზუსტი დროის სიგნალებივით რიტმული. ორმოცდათორმეტი დარტყმა წუთში. ამავე დროს ჩემი გონება ზუსტად აანალიზებდა ყველაფერს, რაც კი ჩემმა თვალებმა ნახეს და რაც ჩემმა ყურებმა გაიგონეს.

„ჯერ ერთი, ეს იმიტაცია არ არის, შენ რომ შეგპირდნენ, — მეუბნებოდა ჩემი გონება. — არამედ პაროდიაა და საკმაოდ ღვარძლიანი, მეორეც, ის რა შეკითხვები იყო, მასწავლებლებს რომ მივეცით მე და შენ? ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია დავსვათ ისეთი შეკითხვა, რომლის პასუხიც მხოლოდ მე და შენ ვიცით. ისეთ სულელურ შეკითხვას კი ჩვენ არ მივცემდით მასწავლებლებს... და ამას ეძახიან ისინი პირაპირს?.. ასეთი პირაპირისათვის, — დამემოწმა ჩემი ზეინფორმაციული ტვინი და ჩემი მაგარი, ღონიერი ხელები, — შეიძლება მიცხობა ცხვირ-პირში!"

სწორედ ამ დროს მასლოვმა თქვა:

— მოითმინეთ, ბავშვებო, მინდა. სცენის ფინალი გავიმეორო, ბოლო რაღაც არ კაბოლდის, ჩემს თავს კარგად ვერა ვგრძნობ.

„ახლა, მასლოვ, შენს თავს უფრო ცუდად იგრძნობ!" — გავიფიქრე მე.

მერე შევკარი მუშტები და ჩემთვის ვთქვი: „ქმედება უკუქმედების ტოლია", — გონებრივი ენერგია გარდავქმენი ძექანიკურ ენერგიად და წავედი მასლოვისაკენ, ამ საზიზღარი ტაკიმასხარასაკენ, ჩენეზემპრთა შორის ამ ყველაზე უბადრუკი ჩენეზემპრისაკენ... ნორჩ კოსმონავტთა წრეში კი მეცადინეობს...

მოგონება მესუთე

კარგი ამსმების პულსი

ადამიანები ჩვეულებრივ ერთმანეთს საქციელითა და არა იმ საქციელის მიზეზით მსჯელობენ, ჰოდა ეს ძალიან ცუდია და არც არის სწორი. თვითონ განსაჯეთ: დაახლოებით ნახევარი წუთის მერე მივალ მასლოვთან და ერთი კარგად შევაჯანჯღარებ. თუ ამ საქციელს ისე განვსჯით, რომ მის მიზეზს არ ჩავწვდებით, ეს უწესო საქციელად ჩაითვლება, უბრალოდ სულიგნობაა. რადგან სულიგნობაა და ჩემზე ამ საქციელის მიხედვით იმსჯელებთ, მაშინ გასაგებია, ვინც ვარ: ეს, თუ საქციელით იმსჯელებთ, მაგრამ, თუ ყურადღებას საქციელზე კი არა, მის მიზეზზე გაამახვილებთ, მაშინ სულ სხვა სურათს მიიღებთ. კლასში ზის ადამიანი, მთელ დედამიწის ზურგზე პირველი პსიპი, ჩედოზემპრი და სვერკსი. მან მთელი დღე ცენტრიფუგაზე და თერმოკამერაში ივარჯიშა, საღამოთი კიდევ სკოლაში იმეცადინა. ადამიანს მთელი კუნთები უკვნესის და მეცადინეობისაგან თავი სტკივა: იმის მაგივრად, რომ დაისვენოს, ახლაც შრომას განაგრძობს: ერთდროულად რამდენიმე ამოცანა უნდა გადაწყვიტოს — როგორ აშოვოს ფული და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თან მარცხენა ხელის და მარჯვენა ფეხის კუნთს იევარჯიშებს და კიდევ კოსმოსურ კროსვორდს ავსებს.

სწორედ ამ დროს კლასში მასლოვის მეთაურობით შემოცვივდებიან საზიზღარი ლირიკოსები და მასზე რაღაც შარჟებსა თუ მარჟებს ქმნიან. თან რაღაც ზედმეტ სახელებს უგონებენ. მაშ, სამართლიანია ეს? უსამართლობა! და რაკი ეს უსამართლობაა, ამისათვის ერთი კარგად რომ უთავაზოს, ხომ სამართლიანი იქნება?

სამართლიანი იქნება! ჰოდა მე მრისხანედ და აუჩქარებლად გავემართე დრამწრის წევრებისკენ სიტყვებით:

— დარტყმასა და მის ზეძოქმედებას სხეულზე ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩი იკვლევდა, მაგრამ, ცხადია, მას არ გააჩნდა ტექნიკა თვალი ედევნებინა სწრაფად მიმდინარე პროცესისათვის. ისიც და ისაკ ნიუტონიც, რომელიც მასზე ორი საუკუნით გვიან ცხოვრობდა, იკვლევდნენ დარტყმის წინა მოძრაობას და მის შედეგს: დეფორმაციას, სხეულის სტრუქტურის შეცვლას, — სხაპასხუპით განვაგრძობდი ლაპარაკს, — მაგრამ სხეულში დარტყმის ტალღების გავრცელების პროცესს ვერ ჩაწვდნენ და, რაღა თქმა უნდა, ვერც გაზომვა შეძლეს.

ამასობაში მივედი მასლოვთან და სიტყვებით: „საჭიროა ცოდნაც და ძალაც!“ კარგა გვარიანად გავცხე, რომ შემდეგისთვის სცოდნოდა, როგორ უნდა ჩემი გამოჯავრება, თან ხმამაღლა ვანვითარებდი დარტყმის იდეას:

— რაც დრო გადიოდა, მით უფრო აუცილებელი ხდებოდა ამ პროცესის გაზომვა და იგი პრობლემად იქცა. დარტყმა ხომ ერთდროულად შემქმნელი და დამანგრეველი ძალაცაა, ამიტომ მის დამანგრეველ თვისებას აუცილებლად კონტროლის გაწევა სჭირდება.

ვფიქრობ, უფრო ჩემი დარტყმების დამანგრეველი ძალების, ვიდრე წარმომქმნელის ზეგავლენით გოგოები წივილ-კივილით მიმოიფანტნენ. მხოლოდ ერთი გოგო, რომელსაც ვიღაც, მგონი, ტანიას ეძახდა და, მგონი, ტოპოლევაა გვარად, რატომღაც ადგილზე დარჩა და უშიშრად განაგრძობდა დგომას. მე მეგონა, მთელი დრამწრე დაიშლებოდა ჩემი პირველივე დარტყმის ტალღის გავრცელებისაგან მათ სხეულში, მაგრამ ბეგუნოვი, ლომაკინი, კაშინი და დუდასოვი ჰოკეისტების გუნდივით შეიკრნენ და, როგორც ერთი, მასლოვის დასახსნელად თავს დამესხნენ, თან საცოდავ ხმებს გამოსცემდნენ:

— უჰ, შე ჭკუის კოლოფო, შენა!

— კროსვორდო!

— სულო დევნილო!

მე კი საპასუხოდ განვაგრძობდი:

— დარტყმის ტალღები მკვრივ სხეულში დაახლოებით ისევე ვრცელდებიან, როგორც ბგერითი ტალღები დაკეტილ ოთახში. — ირეკლებიან, ხდება ინტერფერენცია და ერთმანეთზე დამთხვევის დროს აძლიერებენ ან ასუსტებენ ერთიმეორეს. დარტყმითი აჩქარება სხეულის სხვადასხვა წერტილში სხვადასხვაა, მისი განაწილე-

ტა, გაანგარიშება ძალიან ძნელია. აი, რატომაა დიდმნიშვნელოვანი, ვიცოდეთ მისი გაზომვა. სწორედ ამაზე მუშაობენ ლენინგრადის დ. ი. მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დარტყმის პარამეტრების გაზომვის ლაბორატორიის მეცნიერები.

რასაკვირველია, ოთხი საქმის გაკეთება მშვიდობიან გარემოში უფრო სასურველია, ვიდრე მუშტი-კრივის დროს, მაგრამ არც ახლა ვკარგავდი დროს: მარჯვნივ და მარცხნივ ვიქნევდი მუშტებს (ჩაყვინთვა! გადახრა! მცდარი მოძრაობა! დარტყმა!), ეკითხულობდი ლექციას — „როგორ უნდა გაიზომოს დარტყმის ძალა“, კროსვორდს ვავსებდი (რვა ასოსაგან შემდგარი თანავარსკვლავედი ცის სამხრეთ ნახევარსფეროზე?); თან ფულზე ვფიქრობდი (რა ვქნა, სად ვიშოვო-მეთქი ფული?).

უფრო ზუსტად რომ გითხრათ, მეხუთე საქმეც მქონდა. ჩემი დარტყმების საპასუხოდ ზოგჯერ მეც ვღებულობდი დარტყმებს, მოკრივეების ენით რომ ვთქვათ, გამომრჩებოდა ხოლმე. სწორედ შუბლში მივიღე ასეთი დარტყმა. ეს შესანიშნავი დარტყმა იყო, ისეთი ძლიერი და შედეგიანი, რომ საკითხი სურდოკამერისა, სადაც შევძლებდი მევარჯიშა იზოლირებულ სივრცესა და სიჩუმეში, უეცრად თავისთავად გადაწყდა: სურდოკამერის მოწყობა შეიძლება ამ ზაფხულს სოფელში! ბებიასთან! სარდაფში! სოფელში! სოფელში, მიწის ქვეშ, ნამდვილად სრული სიჩუმე იქნება! სურსათ-სანოვაგეც იქვეა!..

„დიახ, ვიღაცამ ძალზედ გვარიანად მომდო შუბლში. ამ ღლაპებიდან ნეტავი ვისა აქვს ასეთი ზორბა დარტყმა?“ — გავიფიქრე მე, თან ყველას ვიგერიებდი და ვცდილობდი, მასლოვი და დუდასოვი ჩვენი კლასის კუთხით შექმნილ გეომეტრიულ სხეულთან მიმერეკა. „ეგრე, ივანოვ, ეგრე, განაცალკევე და იმბრძანებლე, ივანოვ!“ სამწუხაროდ, ჩემი პროგრამის განხორციელება მხოლოდ სანახევროდ შევძელი. სწორედ მაშინ, როდესაც თვითმოქმედნი დავანაწევრე და მათზე მბრძანებლობას ვაპირებდი, ოთახში ჩვენი გოგოების თანხლებით კლასის დამრიგებელი შემოვიდა. ინერციის კანონით (გალილეიმ 1632 წელს რომ აღმოაჩინა!) მე ერთხანს ისევ განვაგრძობდი ჩხუბს და ჩემი სათქმელიც ბოლომდე დავამთავრე:

— მაგრამ დარტყმის პროცესის ხანგრძლივობა ფრიად მცირეა— ასი მილისეკუნდიდან რამდენიმე მიკროსეკუნდამდე აღწევს. აქ კი მეტროლოგებს დახმარებას უწევენ დასამახსოვრებელი ოსცილოგრაფები. მათ ოსცილოგრამებს შეიძლება თვალყური ვადევნოთ და ეკრანიდან სურათიც გადავუღოთ გაზომვიდან რამდენიმე დღის

შემდეგაც კი! მაგრამ დარტყმის აჩქარება, ძირითადი პარამეტრი დარტყმისა, ოსცილოგრაფს არ შეუძლია განსაზღვროს, რადგან იგი წარმოიქმნება ხელსაწყოს ამუშავების მერე. მიღებული ოსცილოგრამა უნდა აიწეროს მათემატიკურად, ინფორმაცია ჩაიდოს პერფოლენტში, დამუშავდეს ეგმ-ზე — და მხოლოდ ამის მერე შეიძლება სამუშაო დამთავრებულად ჩაითვალოს

— ეს რაღა უბედურებაა? რა ხდება აქ? — თქვა ხმამაღლა ზინაიდა ეფიმოვნამ.

მაინც რა ხშირად აძლევენ ადამიანები ერთმანეთს სრულიად ზედმეტ შეკითხვებს! ჩემის აზრით, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ არ იციან არც თავისი და არც სხვისი დროის ფასი და დაზოგვა. მაგალითად, ავიღოთ ჩვენი კლასის დამრიგებელი. შემოდის დარბაზში და ხედავს — სცენაზე ბიჭები ჩხუბობენ. ხედავს და მაინც კითხულობს: „რა ხდება აქ?“ რა ხდება და ჩხუბია! ეს შეკითხვა ქიმიის მასწავლებელს რომ დაესვა, კიდევ ჰო! ის ცოტათი ბეცია და ამ შეკითხვას რაღაც გამართლება ექნებოდა, ზინაიდა ეფიმოვნას კი მშვენიერი მხედველობა აქვს. კიდევ კარგი, რომ ზეკოსმონავტიკის მეცნიერებაში ეს დაუშვებელია. იქ მხოლოდ ზუსტი შეკითხვები უნდა დასვა და პასუხიც ზუსტად გასცე, ზედმეტი სიტყვების გარეშე.

ყოველივე ეს მაშინ ვავიფიქრე, სანამ ზინაიდა ეფიმოვნა ნოტაციას მიკითხავდა იმაზე, თუ რა საშინელ შთაბეჭდილებას ვახდენდი ამ ბოლო დროს ჩემი საქციელით მასზე. აი, სადამდე მიდის საქმე, როდესაც ადამიანის საქციელზე მხოლოდ მისი საქციელით მსჯელობენ. საშინელი შთაბეჭდილებაც კი რჩებათ. მინდოდა ზინაიდა ეფიმოვნასათვის მერჩია, ამჯერად მაინც ემსჯელა ჩემზე არა ჩემი საქციელით, არამედ ჩემი საქციელის მიზეზით, მაგრამ ვერ მოვასწარი. სწორედ ამ დროს თავში გამიელვა ჩემი მომავალი ზეკოსმოსური გაფრენისათვის უფრო მნიშვნელოვანმა აზრმა. ჩემი პულსი მომაგონდა.

არა უშავს. ისედაც გავუძლებ ყველაფერს, მე ხომ ჩედოზემპრი ვარ! მე თქვენი არ მესმის! მიღებაზე არ გადავდივარ!

ზინაიდა ეფიმოვნა ჯერ კიდევ განაგრძობდა თავისი ნოტაციის ტრანსლირებას, როდესაც გაბრუებულ თავში გამიელვა აზრმა, პულსი გამესინჯა. ამ ლაპარაკში სულ დამავიწყდა, ჩემი პროგრამის მიხედვით ჩხუბის მერე რა უნდა გამეკეთებინა. მარჯვენა ხელის ცერი მარცხენა ხელის მაჯაზე დავიდე. ზინაიდა ეფიმოვნამ სული რომ მოითქვა, დრო ვიხელთე და ვთქვი:

— ზინაიდა ეფიმოვნა, თუ შეიძლება, ერთი წუთით გაჩუმდით.

— რა იყო, რა მოხდა? — ძალიან მკაცრად მკითხა ზინაიდა ეფიმოვნამ.

— პულსს ვისინჯავ! — მივუგე მე, მზერა ხელის საათზე გადავიტანე და მაჯისცემას მივუგდე ყური.

— ცუდად ხარ? — შეეკითხა ზინაიდა ეფიმოვნა.

მის შეკითხვაზე თავი გავიქნიე. რომ პულსის დაოვლა არ შემშლოდა. საერთოდ მშვენიერი მაჯისცემა მქონდა. სრული ავსების, შტერნბერგის სახელობის ობსერვატორიის ზუსტი დროის სიგნალებივით რიტმული. ირგვლივ ყველა დუმდა, ამიტომ მაჯისცემის რაოდენობა სწრაფად გადავამრავლე წამებზე და გამოვიდა, რომ წუთში ორმოცდათორმეტჯერ მიცემდა მაჯა. გული მე უნდა დამეკვეხნა! შესანიშნავი მოტორივით მუშაობდა! თქვენ თვითონ განსაჯეთ: ჩხუბამდე პულსი ორმოცდათორმეტი მქონდა! ჩხუბის შემდეგაც ორმოცდათორმეტი. ვიღაც, როდისმე, სადღაც ძალიან კმაყოფილი იქნება ასეთი პულსით...

— აბა, როგორ არის საქმე? — ღელავდა ზინაიდა ეფიმოვნა.— მართლა ცუდად ხარ?

— ყველაფერი რიგზეა! — ვუპასუხე ზინაიდა ეფიმოვნას. — ილაპარაკეთ! — და ჩემთვის დავამატე: „მიწა! გალაქტიკა ვარ! გადავდივარ მიღებაზე“.

ჩემი ჯანმრთელობა, ისევე როგორც მომზადება, რასაკვირველია, გასაოცდუმლოებული იყო, ამიტომ ჩემთვის ვთქვი ლევიტანის ხმით: „ზეკოსმონავტი ივანოვი თავს კარგად გრძნობს!“ — და ხმამაღლა მივმართე ზინაიდა ეფიმოვნას:

— ილაპარაკეთ, ზინაიდა ეფიმოვნა, განვაგრძობ თქვენს მოსმენას!

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასეთი უბრალო ფრაზა: „ილაპარაკეთ, ზინაიდა ეფიმოვნა! მე განვაგრძობ თქვენს მოსმენას!“ ყველაში, როგორც ექიმები ამბობენ, გამოიწვევდა გადამეტებულ რეაქციას (ჰიპერრეაქციას!).

ყოველი მხრიდან აღშფოთების გამომხატველი ფრაზები დამაყარეს:

— ბავშვებო, გესმით, როგორ ელაპარაკება მასწავლებელს?

— მბრძანებლობს კიდეც: მოითმინეთ! გაჩუმდით! ილაპარაკეთ!

ერთი სიტყვით, ყველა ჩენეზემპრი გაცოფდა. მთელი დრამწრე მთავარ ტაკიმასხარა მასლოვის მეთაურობით. მხოლოდ ზინაიდა ეფიმოვნა არ გამოხატავდა აღშფოთებას, იმიტომ რომ მისი რეაქცია ამ ფრაზაზე აშკარად უფრო რთული იყო, ვიდრე დანარჩე-

ნებისა. ჩემი სიტყვების შემდეგ ისეთი ცხცალი აუტყდა, თითქოს იატაკზე კი არა, ვიბროსტენდზე იდგა.

საერთოდ, ამ ლაპარაკამდე, მე ზინაიდა ეფიმოვნას ნორმალურად ვეექცეოდი. მართალია, ის ჯერ ძალიან ახალგაზრდა მასწავლებელია, მაგრამ ფიზიკას ძალიან ზუსტად და კარგად გვასწავლის. სპორტიც აინტერესებს. პლანეტარიუმშიც დადის. რამდენჯერმე თავის ვაჟიშვილთან ერთად ვნახე იქ. საერთოდ ჩედოზემპრია! რაღა თქმა უნდა, თავიდან ვერ მივსვდი, ჯერ ვაკვირდებოდი, მერე კი გავიგე და თანდათან ჩავრიცხე ჩედოზემპრებში. ამის მერეც დიდხანს ვაკვირდებოდი ზინაიდა ეფიმოვნას და გადავწყვიტე, როდესაც კოსმოსში მგზავრების ვაფრენა დაიწყება, ერთ-ერთი პირველი ეგ გაფრინდება-მეთქი. მაგრამ ახლა აღარ ვფიქრობ ასე. დიახ, ნერვიული სისტემის ასეთი ვიბრაციით კოსმოსში კი არა, მონორელსთანაც კი არ შიუშვებენ.

— ივანოვ, მომეცი დღიური! — მითხრა ზინაიდა ეფიმოვნამ, ეტყობოდა, გონს მოვიდა. — შენი მამა დაბრუნდა მივლინებიდან?

მე უსიტყვოდ, სახის გამომეტყველებით ვაგრძნობინე, რომ მამა მივლინებიდან ჩამოვიდა.

— კარგ საჩუქარს დაახვედრებ... — მითხრა ზინაიდა ეფიმოვნამ და დღიური დამიბრუნა, რომელშიც წითელი მელნით კარგა ვრძელი ჩანაწერი ჩაეწერა.

დღიური გამოვართვი და ადგილიდან არ დავძრულვარ, ზინაიდა ეფიმოვნას ჩანაწერი იქვე ყურადღებით წავიკითხე. აი რა ჩაეწერა დღიურში: „იჩხუბა, დრამწრის რეპეტიცია ჩაშალა. კადნიერად და უტიფრად მოიქცა!“ და ხელს აწერდა: „ზ. ტაიროვა“.

რას იზამ! ზინაიდა ეფიმოვნა ჩემს საქციელზე ისე მსჯელობდა, რომ მიზეზს არ იძიებდა... ესე იგი, ზუსტად ისე, როგორც თავის გაკვეთილზე.

— რას აპირებ, ივანოვ? — მკითხა ზინაიდა ეფიმოვნამ. — ახლა... და საერთოდ?...

— ახლა მეძინება, — ვთქვი მე.

— როგორ თუ ეძინება? — შეძრწუნდა ზინაიდა ეფიმოვნა.

— ისე, ჩვეულებრივად, — ავუხსენი მე. — მერხზე დაწვები და დაიძინებ... ჩხუბისა და დღიურში ასეთი ჩანაწერის მერე ვერავინ ვერ დაიძინებდა, მე კი დავიძინებ — ...ეს რომ ვთქვი, ზინაიდა ეფიმოვნას თანხმობისათვის არ დამიცდია, ავძვერი მერხზე, ჩემს მიერ შემუშავებული პსიპების სისტემით სხეული მოვადუნე და... დავიძინე.

ჩემ ირგვლივ საშინელი ხმაური ატეხეს, თითოეული თავისი

„მიდრეკილების“ შესაფერისად ხმაურობდა. ალბათ, ეგონათ, ამით ძილს დამიფრთხობდნენ.

— თვალით ნანახი... დაუჯერებელი, — თქვა რომელიღაც გოგომ.

— თვალით ნანახიდან დაუჯერებლისკენ, — შეეუსწორე მე, ისე, რომ თვალი არ გამიხელია.

— დროა ვეძიოთ და გავოცდეთ!

— დროა ეძიოს და გაგაოცოთ! — ისევ ჩავერიე ლაპარაკში.

— ბაგას ნერვები კი არა, ეშმაკმა იცის, რა აქვს! — თქვა მასლოვმა.

ეს სიტყვები მომეწონა. „რისი დამტკიცებაც იყო საჭირო!“ — მინდოდა მეთქვა, მაგრამ გავჩუმდი.

უკანასკნელად მე გავიგონე, რომ ვიღაცები კამათობდნენ, დამეძინა თუ არ დამეძინა, მერე სერგეი კოლესნიკოვის ხმა ჩამესმა:

— ეს ადამიანი კი არა, ანთოლოგიაა!

მომეჩვენა, რომ მის ხმაში აშკარა აღფრთოვანება გამოსჭვივოდა.

— კი მაგრამ, რა შუაშია აქ ანთოლოგია? — გაიკვირვა ვერა გრანინამ.

— საიდუმლო შემთხვევათა ანთოლოგიაზე ვლაპარაკობ. იქ, სადაც ივანოვია, აუცილებლად რაიმე საიდუმლო ანთოლოგიაც აღმოჩნდება, საერთოდ გაგიგონიათ, ჩხუბის შემდეგ... და ყოველივე იმის მერე, რაც მოხდა, დაიძინოს ადამიანმა! თანაც ზინაიდა ეფიმოვნას თანდასწრებით!

— ანთოლოგიაა თუ რაც არის, პედსაბჭოზე აუცილებლად უნდა დავსვა მაგის საკითხი. — თქვა ზინაიდა ეფიმოვნამ.

— რატომ უნდა დასვათ მაგისი საკითხი პედსაბჭოზე? — გაოცდა ნიკოლოზ ბოტოვი. — მაგასთან ჩხუბი საინტერესოც არის და სასარგებლოც. მაგისგან შეიძლება ჩხუბის დროსაც რაიმე სასარგებლი გაიგო. რამდენჯერ ილაპარაკა მასწავლებელმა დარტყმის თეორიაზე და მაინც ვერ გავიგე, აქ კი ყველაფერი სიტყვასიტყვით დავიმახსოვრე, — ამის შემდეგ ბოტოვმა, თითქოს წაიმღერაო, ზეპირად თქვა: „დარტყმას და მის ზემოქმედებას სხეულზე ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩი იკვლევდა, მაგრამ, ცხადია, მას არ გააჩნდა ტექნიკა, თვალი ედევნებინა სწრაფად მიმდინარე პროცესისათვის. ისიც და ისააკ ნიუტონიც...“

— ეს ცოდნა ამან ჩაგიდო თავში! — ახსნა მასლოვმა. — ისე რომ, ეგ მეთოდი შეგიძლია შეიარაღებისათვის გამოიყენო, საყვარელო ტენორო.

ამ სიტყვების შერე ისევ ვერა ვრანინა ხმა გავიგონე (ის სა-მედიცინო მიღრეკილებისაა):

— ახლავე შეკამოწმეს, სანავს თუ არა... იქნებ თავს იკატუ-ნებს (ვიგრძენი, როგორ შეეხო ჩემს ხელს იმის ხელი). რა მშვენი-ერი პულსი აქვს... სრული ავსების, სწორედ ისეთი, ძლიერეს რომ უნდა ჰქონდეს...

ამის შერე აღარაფერი გამიგონია. რომ გავიღვიძე, ზინაიდა ეფიმოვნა კლასში აღარ იყო, ხოლო დანარჩენები, ჩემი თანაკლა-სელები. ისხდნენ და მდუმარედ შემომცქეროდნენ. მე წამოვდექი და გაეიზმორე. მერე გავხსენი პორთფელი. შიგ დღიური ჩავდე. იქიდან კოსმოსური კოსკორდი ამოვიღე და ცის საძხრეთ ნახე-ვარსფეროს თანავარსკვლავედი ჩავწერე. მერე მერხიდან გადმოვხ-ტი და ჩემს თანამედროვეთა სრულ მდუმარეებში კლასიდან გამო-ვედი.

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე ე ქ ვ ს ე

კარგი, მაგრამ სად არის იუმორის გრძნობა?

დერეფანში წამომეწია ბორის კუტირიოვი (სატირული მიღრე-კილებისა), კურტაკზე ხელი წამავლო (საერთოდ საუბრის დროს ხელებს იშველიებს) და მითხრა:

— მოიცა, ივანოვ, შენ, რა თქმა უნდა, იცი, რომ მე შენში ბევრი რამ არ მომწონს? მაგრამ იცი, ყველაზე მეტად რა არ მომ-წონს?

— მაინც რა? — შევეკითხე და დავუმატე: — მიპასუხე, თუ შე-იძლება, მოკლედ და გასაგებად, დაფასთან კი არ დგახარ, იუმო-ევგენის ძე ივანოვს ელაპარაკები.

— ყველაზე ძალიან შენში აი ეგ განდიდების მანია არ მომ-წონს... აი მაგ შენი პირქუშობით უფრო გამოირჩევი, ვიდრე სერი-ოზულობით. იუმორის გრძნობა არა გაქვს, გამოუსწორებელი პირ-ქუში ადამიანი ხარ. აი, ახლა ჩაგვიტარე შენი დაძინების დემონს-ტრაცია... ყველა კარგად მიგიხვდით ფანდს: ალბათ, წინასწარ მო-ელაპარაკე გრანინას, რომ მას დაემოწმებინა, ვითომ მართლა გძი-ნავს, და დაგემოწმა კიდევაც. მაგრამ ასეთი საქციელი გუნებას უფუჭებს ადამიანს. ეს ყველაფერი რომ ხუმრობითა და იუმორით გაკეთებულიყო, ასე არ დაგვიმძიმებდა გულებს.

კუტირიოვი ერთ ხანს გაჩუმდა და რომ შემამჩნია, უფრო მოვიღუშე, დაამატა:

— აი, ხომ ხედავ, კიდევ უფრო პირქუში გახდი, მაგრამ ხომ გაგიგონია: „იცინის ის, ვინც პოლოს გაიცინებს“.

— იქნებ, დედამიწაზე არსებობს ისეთი ადამიანი, ვინც ყველაზე ბოლოს გაიცინებს, — ეოქვი მე, კუტირიოვს ზურგი შევაქციე და დერეფანში გზა განვაგრძე.

უნებურად ჯიბეში ხელი ჩავიყავი, ხელში რაღაც ფურცელი მომხვდა, ფუმცა დანამდვილებით ვიცოდი, რომ ჯიბეში არავითარი ფურცელი არ ჩამიდვია. კიბე ჩავირბინე, გამოვედი ქუჩაში, ამოვიღე ჯიბიდან ფურცელი და გული შემიტოკდა. გავიფიქრე, ხუთუ, ნუთუ ისევ... სწრაფად გავშალე ფურცელი.. ლექსი! ფურცელზე ლექსი იწერა! ჩემთვის ცხადი გახდა: ვიღაცამ ვადაწყვიტა, — ამ შეთითხნილი ლექსებით სიცოცხლე გამიმწაროს. აღელდი, თუმცა ლექსი ძალიან მშვიდად წავიკითხე:

ჩიტები გუმანით აგნებენ ბუდეებს
ღრუბლებში, ნისლსა და წვიმაში,
ვინღ იყოს გარიჟრაჟი, გინღ ღამე გვიანი,
ასობით კილომეტრს გადიან ცაში.
ისად არც ქარი სწყალობთ,
არც მიწის ჩირაღღნები,
მაინც ადგანან გზას...
ალბათ, ისინი გრძნობენ რაღაცას,
მაგრამ, ვინ იცის, რას?
ზღვაში ადამიანს მფარველობს ღელფინი,
გამოაყავს საშშვიდობოს გემი,
მერე კვლავ გაუყვება ტალღებს ბობოქარს
ეს ჩვენი მეუობარი, მხსნელი.
მათ არც ქარი სწყალობთ,
არც მიწის ჩირაღღნები,
მაინც ადგანან გზას...
ალბათ, ისინი გრძნობენ რაღაცას,
მაგრამ, ვინ იცის, რას?

ესე იგი, ისევ გამოუგზავნეს ლექსი კაცს, რომელსაც თვითსწავლების გაძლიერებული პროგრამის გამო მთელი ღღე დაკავებული აქვს და ერთი წამითაც არა აქვს მოცლა. იძულებული ვიყავი, ეს ლექსიც წამეკითხა და ჩამეწერა კიდეც მეორეჯერ ჩემს სიცოცხლეში, და მეორეჯერეე—ბორტეურნალში: „5.30-დან 5.35-მდე წავიკითხე ლექსი... 5.35-დან 5.45-მდე ვფიქრობდი იმაზე, რატომ და ვის შეეძლო ჩემთვის გამოეგზავნა ის“.

პირველი და მეორე ლექსი შევადარე. ისეთი შთაბეჭდილება დაძრჩა, რომ ვილაცამ რაღაც იცის ჩემზე, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ხვდება რაღაცას... პირველ ლექსში ეწერა: „...მიდიხარ ლაშქრად, გეიჩვენე სახე! — აი, მამაცთა წესი!..“ მეორე ლექსში კი: „ჩიტები გუმანით აგნებენ ბუდეებს ღრუბლებში, ნისლსა და წვიმაში“. „გინდ იყოს გარეკრაკი, გინდ ღამე გვიანი, ასობით კილომეტრს გადიან ცაში“ და, რაც მთავარია, „გზად არც ქარი სწყალობთ...“ მე ხაზს ვუსვამ: „არ სწყალობთ...“ ეს ხომ აშკარად რაღაცას მიმანიშნებს და კიდევ, — „არც მიწის ჩრეღდნები“. მერე კი გრძნობაზეა ლაპარაკი: „ალბათ, ისინი გრძნობენ რაღაცას, მაგრამ, ვინ იცის, რას?“ ეტყობა, ვილაცას უნდა სულში ჩამიძვრეს და გაიგოს. რასა ვგრძნობ და საერთოდ თუ ვგრძნობ რამეს?.. მივუყვებოდი ტროტუარს შინისაკენ და ამ გალექსილ გამოცანაზე ვფიქრობდი. ვცდილობდი, მთვარის ტერმინატორის ხაზზე მეელო. (ტერმინატორი ეწოდება მზის სინათლისა და მთვარის ჩრდილის საზღვარს, რომელიც დედამიწაზე ეცემა). დედამიწის ტერმინატორზე სიარული არ არის საინტერესო. მზის სინათლისა და მთვარის შუქის ტემპერატურა, ალბათ, ერთნაირია. რა თქმა უნდა, უფრო საინტერესოა მერკურის ტერმინატორზე სიარული. იქ განათებულ მხარეზე ტემპერატურა პლუს ხუთასი გრადუსია... ჩრდილში კი — მინუს ორასი... აქ შევწყვიტე ამაზე ფიქრი. არა, მაინც ვინ არის, ჩუმ-ჩუმად რომ მითვალთვალებს?.. ვილაც ჩემი ვარჯიშის საიდუმლოებას იკვლევს. ჩვენს სკოლაში მარტო მასლოვს კი არა, ბევრ მოსწავლეს უნდა გახდეს კოსმონავტი. ერთხელ გოგოებთან ერთად კარუსელზე ვნახე სამსონოვი. მაგრამ მაშინ უბრალოდ ტრიალებდა. მეორედ კი მარტო, გოგოების გარეშე იყო. ჰოდა სულ ეჭვის თვალით მიყურებდა. ამას წინათ სანდუნოვში დუდასოვმა მკითხა: „შენ რა, ორთქლში მეხუთეჯერ შედიხარ?“

არა.უშავს, კიდევაც რომ გამოვიდნენ კოსმონავტები, ჩვეულებრივები... დუბლიორები იქნებიან... მე კი, ცხადია, ზეკოსმონავტი დავდგები. ლიდერი ვიქნები. ძსოფლიოში პირველი. პირველი და დედამიწაზე ყველაზე უფრო მომზადებული ადამიანი. ზეკოსმონავტური ზეგაფრენებისთვის. ამ ფიქრებით კუთხეში შევუხვიე, ტერმინატორიდან ჩრდილში გადავხტი და პირველსავე სადარბაზოში დავიმალე. გავიფიქრე: ჯაშუში ვერაფერს მიხვდება, გამოხტება კუთხიდან და ამით თავის უბადრუკ ვინაობას გამოამჟღავნებს-მეთქი. ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ მოსახვევში სერგეი კოლესნიკოვი გამოჩნდა. სიბნელეშიც კი ხელად შევიცანი მისი ყინტორა ყელით. საიდუმლო შემთხვევათა ანთოლოგი. მას ქირაფვივით

გრძელი და მოძრავი ყელი აქვს. კოლესნიკოვი თვალს რომ მიეფარა, მაშინ გამოვედი ჩემი საფარიდან და შინისაკენ გავწიე.

ჩემი რკინისებური განაწესის თანახმად ღამის ათ საათზე უკვე ლოგინში ვწევარ, ტელევიზორში ახალი კოსმოსური ხომალდის გაშვებასაც რომ უჩვენებდნენ, მე მაინც მძინავს. თუ მინდა ჩეკოსმონავტი და ჩედოზემპრი გამოვიდე, ჩემს თავს ბევრ რამეზე უნდა ვუთხრა უარი.

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე შ ვ ი დ ე

ყველაზე საიდუმლო შეეთსვეკის ანთოლოგია

ჩვენი სახლი სკოლასთან ახლოსაა, ამიტომ ტყვიასავით გადავიქროლე ასფალტით დაფარული დედამიწის სფეროს სეგმენტი, „სადოვოე კალცო" რომ ეწოდება და ჩემს სახლს სკოლისაგან ვოროვსკის ქუჩით რომ ჰყოფს.

მეჩქარებოდა, რადგან ჩემი დღევანდელი საღამოს ცხოვრებისეული განრიგის მიხედვით დრო რამდენადმე შემჭიდროდა. მე უკვე ვთქვი, რომ ყოველ დღე, საღამოს ათი საათისთვის, რაც არ უნდა მოხდეს, ლოგინში უნდა ვიწვე. დაწოლამდე კი გეოდეზიაში და ასტროფიზიკაში უნდა მემეცადინა, რაც მთავარია, პირველი ვარჯიში უნდა ჩამეტარებინა პლანეტა მერკურის ტერმინატორზე. მე, რა თქმა უნდა, თავისუფლად ჩავეტეოდი დღის განრიგში, მაგრამ მამასთვის დღიური უნდა მეჩვენებინა... წაიკითხავს მამა დღიურს და, აუცილებლად გამიმართავს საუბარს, რაც სრულებით არა მაქვს გათვალისწინებული განრიგით. მერე ჩვენს საუბარში დედა ჩაერევა. დედა ჩემს დაცვას დაიწყებს, მამა შეეკამათება, ჰოდა ამაზედაც უნდა დამეკარგოს უამრავი მეტად საჭირო დრო...

წინკარში რომ შევვარდი, დედა და მამა შინ არ იყვნენ. ცხრილის მიხედვით, პირველ ყოვლისა, აი, რა გავაკეთე: ლითონის მენზურაში ჩავასხი წყალბადისა და ჟანგბადის უბრალო შენაერთი. მივიყვანე დუღილის წერტილამდე. ფაიფურის ქოთანში ჩავყარე ექვსი გრამი სინეპსისი. სინეპსისს სამი კოვზი პოლიოზი შევურიე. ფოსფორისა და კალციუმის შემცველი თხელი ფირფიტა შევუერთე ამინომჟავას სქელ ფირფიტას და... ერთი სიტყვით, ერთი ჭიქა დაშაქრული ჩაი დავლიე და ყველიანი ბუტერბროდი შევატანე.

მერე ავიღე დღიური და მამას ოთახში მაგიდაზე ყველაზე შესამჩნევ ადგილას დავდე. ის იყო, ჩემს ოთახში დაბრუნებას ვაპირებდი, რომ მაგიდაზე გაზეთების დასტა შევამჩნიე. მამა გაზეთს რომ კითხულობს, ცალკეულ სტატიებს, ფრაზებსა და ზოგჯერ სიტყვებსაც კი მონიშნავს ხოლმე. გადავათვალიერე, ამჯერად რა მონიშნამეთქი. „იზვესტიაში" და „კომსომოლსკაიაში" უმეტესად ხაზი გაესვა იმ სტატიებისთვის, სადაც მოსარდი თაობის აღზრდაზე იყო ლაპარაკი. გუშინდელ „საღამოს გაზეთში" კი ხაზი გასმული ჰქონდა ფინანსიურ საკითხებზე დაწერილ რაღაც ფელეტონს. (ჩემი მამა, ძვირფასო შთამომავალნო, ფინინსპექტორია და ხშირად მიემგზავრება რევიზიების ჩასატარებლად. გარდა ამისა, მუდამ დაკავებულია, იმიტომ, რომ დისერტაციაზე მუშაობს. ხშირად მეც მიკეთებს რევიზიას, რადგან, მისი აზრით, „აუტანელი ადამიანი გავხდი", „აუტანელი" — ეს სიტყვა მის სინდისზე იყოს!).

ამრიგად, „საღამოს გაზეთში" ხაზგასმული იყო სტატია, ფინანსიურ საკითხს რომ შეეხებოდა, კიდევ რაღაც ფოტოსურათს წითელი მელნით ხაზი ჰქონდა შემოვლებული, გვერდით კი საკმაოდ მოზრდილი კითხვის ნიშანი ესვა.

მოიცათ, მოიცათ! ფოტოსურათზე, სხვათა შორის, მე და ჩემი სამბოს მწვრთნელი ვიყავით გამოსახულნი. კითხვის ნიშანი კი იმიტომ ჰქონდა დასმული, რომ ფოტოსურათზე მე ვიყავი გადაღებული, ქვეშ კი სხვა გვარი ეწერა. სამბოს წრეში, რა თქმა უნდა, მე სხვისი გვარით ვმეცადინეობ. რაც მთავარია, სურათი გაუფრთხილებლად და თან ჩემი სურვილის გარეშე გადამიღეს. იმ კორესპონდენტისათვის ყურადღებაც არ მიმიქცევია. ნეტავი როდის მოასწრო ჩემი გადაღება? ერთხელ კიდევ გადავიკითხე სურათის ქვეშ მიწერილი წარწერა: სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსეი როგუნოვი, წარსულში ცნობილი სამბისტი. დღეს იგი მწვრთნელია სპორტულ კომპლექს „სამბოსი", რომელიც ჩერტანოვოს მიკროორაიონში მდებარეობს. ალექსეი როგუნოვმა რამდენიმე თანრიგოსანი სპორტსმენი აღზარდა. სურათზე: ა. როგუნოვი ახალბედა სპორტსმენთა ჯგუფთან ვარჯიშის წინ. მარჯვნივ, კუთხეში, კოლია გორლოვი, ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი სპორტსმენი". ქვემოთ კი ეწერა: „ფოტო ვ. ფიოდოროვისა".

აი რა, ამხანაგო ფიოდოროვ, თქვენ და დანარჩენი ფოტოკორესპონდენტები თუ ახლავე დამიწყებთ სურათების გადაღებას, ყველა წრეში, სადაც კი ვმეცადინეობ (საპლანეროა ეს, საპარაშუტო თუ სხვა წრე) და ყველგან, ბუნებრივია, ვვარჯიშობ სხვადასხვა გვარით, და თანაც, თუ ამ სურათებს ხშირ-ხშირად გამოაქვეყნებენ

პრესაში, მაშინ იძულებული გავხდები, ტელეგრაფების სააგენტოს წინაშე დავსვა საკითხი: ან მე ან ფოტოკორესპონდენტები!..

ისედაც ბევრი უსიამოვნება მხვდება. კვირა დღეს მამასთან ერთად გორკის ქუჩაზე მივდიოდი, ვნახოთ და საიდანღაც საპარაშუტო წრის წევრი გამოძვრა და მეუბნება: „სემიონ სტაროვოიტოვს გაუმარჯოს! ხვალ სახურავიდან ხტომაზე ვიეარჯიშებთ!“ — მითხრა და, ვითომც აქ არაფერი, გზა განაგრძო. მამას, რასაკვირველია, გაოცებისაგან სათვალე შუბლზე აუვიდა.

— სემიონს რატომ გეძახის?.. თანაც სტაროვოიტოვს? რა ხტომაზე გელაპარაკებოდა?.. რომელი სახურავიდან?.. და რატომ მაინცდამაინც სახურავიდან?..

— რომელი სახურავიდან?.. რომელიდან და... ასე ვუწოდებთ კოშკს! პარაშუტის კოშკს! სლენგია ეს, ჟარგონია!

— სემიონ სტაროვოიტოვი რატომღა დაგიძახა?..

— სხვაში შეეეცვალე! სხვა ვეგონე! ალბათ, ვიღაც სემიონ სტაროვოიტოვს ვგავარ.

ყველაფერი ტრაგედიად ხომ არ უნდა გადააქციოს კაცმა?! ნუთუ არ შეიძლება, ამისგან საგმირო ეპოსი შეიქმნას? არ ჯობდა, იმ ბიჭის სიტყვებს ასე გამოხმაურებოდა მამა:

„შენ. ჩემო ბიჭუნი, მხოლოდ იური ივანოვი კი არა, სემიონ სტაროვოიტოვიც ყოფილხარ!“ თან კეთილად გაეცინა. მეც კუშტად ჩავიცინებდი და ვეტყოდი: „ჰო, მამა, მე მხოლოდ იური ივანოვი კი არა ვარ, სემიონ სტაროვოიტოვიცა ვარ, ნიკოლოზ გორლოვიც, და კიდევ კოსტია ფილიმონოვი და სერგეი ტარასოვი...“

„ალბათ, ასეა საჭირო, შვილო!“

„ჰო, ასეა საჭირო, მამა!“

„ხომ ხედავ, შვილო, არც კი გეკითხები, რატომა გაქვს ამდენი გვარი...“

„აი, სწორედ ამას ვაფასებ შენში, მამა!“

ახლა ხომ მიხვდით ჩემს გასაჭირს, ამხანაგო შთამომავალნო, ვითომ მოსკოვის ქუჩებში ამგვარი შემთხვევითი შეხვედრები არ მეყოფოდა, რომ ახლა კოლია გორლოვზე ალაპარაკდნენ — ჩერტანოვოს რაიონის საუკეთესო სამბისტად გამოაცხადეს და მისი პორტრეტიც კი დაბეჭდეს „საღამოს გაზეთში“. ადრეა ჯერ, ადრე, ამხანაგებო, ჩემი ფოტოსურათების გაზეთში მოთავსება. როცა დრო იქნება, მე თვითონ გეტყვით, ნიშანს მოგცემთ. ახლა კი ადრეა!

არა ისე, ფოტოსურათები უნდა გადამიღონ, ეს საჭიროა, და რაც შეიძლება ხშირად, მაგრამ აი, ჟურნალ-გაზეთებში მათი გამოქვეყნება კი ცოტა ადრეა. გორკის ქუჩაზე შეხვედრაც, „საღამოს

გაზეთის“ ამბავიც, სკოლაში მომხდარი ჩხუბის დღიურში ჩაწერაც — ეს ყველაფერი უსიამოვნო იყო ნებოვის, მაგრამ ყველაზე არასასიამოვნო, მასლოვთან ჩხუბი ოომ ჩაიწერეს, ის იყო. ისე კი, მთავარია, როგორ შეხედავს ამ ჩხუბს მამა. აი, საღამოს რომ ენახა ჩემი დღიური, დილით კი სკოლაში შემოიტანა და ჩვენი კლასის დამრიგებლისთვის ეთქვ ჭეშმარიტ ჩელორიემპრს რომ შეეფერება, ერთი ასეთი ღირსეული ფრაზა: „ზინაიდა ეფიმოვნა! ჩხუბი, ისევე როგორც ომი, არსებობს სამართლიანი და უსამართლო!“ მეტი არაფერი! მერე შებრუნებულიყო და უხმოდ წასულიყო კარისაკენ, კართან კი ისევ შემობრუნებულიყო და ეთქვა: „საერთოდ კი, ადამიანზე საქმე ელის ძმებივით კი არა, ვისი საქმეელის მიზეზის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ!“ ეთქვა და წასულიყო!

ზინაიდა ეფიმოვნა იმწამსვე ანერვიულდებოდა, კლასშიც ყველა აღელდებოდა. ზინაიდა ეფიმოვნა მამას გაეკრდებოდა, მთელი კლასი კი ზინაიდა ეფიმოვნას გამოედევნებოდა.

„ევგენი ალექსანდროვიჩ! — ეტყოდა ზინაიდა ეფიმოვნა მამას. — თქვენთან ბოდიშს ვიხდით, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდ, როგორ მოვექცეთ თქვენს იურის. საქმე ის არის, რომ იგი თავისი საქმეელის ყველა მიზეზს გვიმალავს!“

„ვფიქრობ, ყველაფერ ამას იგი ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებისათვის სჩადის!“ — მოუგებდა მამა, მშვიდად გამოემშვიდობებოდა და გავიდოდა სკოლიდან.

„დიახ, ბავშვებო, ჩვენ ბოდიში უნდა მოვუხადოთ იურის... — იტყოდა მაშინ ზინაიდა ეფიმოვნა... — შენს მაგივრად კი, მასლოვ, მე მრცხვენია, ძალიან მრცხვენია!“

„ზინაიდა ეფიმოვნა, მე რომ მცოდნოდა, ავანოემა სახელმწიფოს ინტერესებისათვის გამარტყა, ხელს როგორ შევუბრუნებდი?!“ — თავს იმართლებდა მასლოვი.

მაგრამ ასეთი საუბრისათვის ჯერ არ არის მომწიფებული მამა. ამოვიოხრე და საბაზანოში შევედი, იქ ორი ვედრო მოვამზადე, რომ პლანეტა მერკურის ტერმინატორის ვარჯიში დამეწყო. ალბათ, გეხსომებათ, — ტერმინატორი ეწოდება სინათლისა და ჩრდილის საზღვარს. პლანეტა მერკურის ტერმინატორი ყველაზე კონტრასტულია. თქვენ თვითონ განსაჯეთ: მერკური მზის უახლოესი პლანეტაა. იქ ატმოსფერო არ არის, არც სადღეღამისო ბრუნვაა. განათებულ მხარეზე ტემპერატურა პლუს ხუთასი გრადუსია.

მე მარჯვენა ფეხი ცხელწყლიან ვედროში ჩავყავი. მარცხენა ფეხი კი — ცივწყლიანში. ბრ-რ-რ... ჩრდილიან მხარეს ტემპერატურა მინუს ორას გრადუსამდეა... ბრ-რ-რ... შეგრძნებაც, სიმართლე

გითხრათ, საკმაოდ არასასიამოვნოა... თქვენ, რა თქმა უნდა, მიხვდით, რომ ცივი წყალი მერკურის ჩრდილიანი მხარის ტემპერატურას გამოსატავდა, ამიტომაც ჩავუშვი მარცხენა ფეხი ცივი წყლით სავსე ვედროში, მარჯვენა კი — ცხელწყლიანში, გახათებული მხარის ტემპერატურის მაგივრობას რომ მიწევდა. თვალები დავხუჭე და წარმოვიდგინე, რომ მე სააბაზანოში კი არ ვიმყოფები, არამედ პლანეტა მერკურის ტერმინატორის ხაზზე. უსიამოვნო გრძნობაა. ასე გგონია, ორი სხვადასხვა შეგრძნება შუაზე გგლეჯს... ჰმ... მართლაც!.. „ქარი მათ არ სწყალობთ, არც მიწის ჩირაღდნები... ალბათ, ისინი გრძნობენ რაღაცას, მაგრამ, ვინ იცის, რას?..“ ოჰ!.. ერთი აქ მომცა ამ ლექსის დამწერი, რომ შიშველი ფეხები ცივ და ცხელ წყალში ჩავაყოფინო...

სწორედ ამ დროს წინკარში აწკრიალდა ზარი. ისე გაბმით და დაჟინებით რეკდა, ეტყობოდა, ვიღაც უცხო აჭერდა ღილაკს ხელს. იძულებული ვიყავი „ტერმინატორიზაციის“ ცდა შემეწყვიტა, წინა ოთახში ფეხშიშველი გავტყაპუნდი და კარი გავაღე.

კიბის თავზე ჩვენი კლასელი, კოლესნიკოვი იდგა.

კოლესნიკოვმა თავისი გრძელი კისერი მიატრიალ-მოატრიალა, მერე სასაცილოდ მოღუნა და ეკვის თვალით შეათვალიერა ჩემი გაწითლებული სახე, განსაკუთრებით ფეხები.

— აი, ესეც საიდუმლო შემოხვევათა ანთოლოგია... — თქვა მან. — შენ, რასაკვირველია, იცი, რა არის „ხატტერასის ექვსკუთხედი?“

— კოლესნიკოვ, — ვუპასუხე მე ცივად, მაგრამ მშვიდად, — ბავშვურ შეკითხვებს ნუ მაძლევ. მრავალი ფათერაკია ჩასაფრებული ოკეანეში, მაგრამ მეზღვაურს ისე არაფერი არ აშინებს, როგორც ხატტერასის ექვსკუთხედი (ზღვის ტერიტორია ამერიკის შტატის — ჩრდილოეთ კაროლინის სანაპიროებთან, ვერეთ წოდებულ „ბერმუდის სამკუთხედის“ ჩრდილოეთით). ჯერ მარტო რაც ჩვენს თაობას ახსოვს, ამ რაიონში სულ ცოტა ათასი გემი მაინც ჩაიძირა.

— თუნდაც „კერროლ დარინგის“ შემთხვევა, — გამოეცხლება კოლესნიკოვი. — ეს შხუნა, აგებული მენის შტატის გემთსაშენში 1921 წელს, ატლანტის ოკეანის გადაცურვის დროს მოულოდნელად გაქრა. აღმოაჩინეს „ექვსკუთხედის“ რაიონში. ხუთივე ანძაზე იალქნები იყო აღმართული, მაგრამ შხუნაზე კაცის ჭაჭანება ვერ ნახეს.

— ჰო, კაცის ჭაჭანება ვერ ნახეს, — დავემოწმე მე. — და ეურნალ „ნეიშნლ ჯიოგრეფიკის“ ცნობით შხუნას წააწყდა საზღვაო სა-

საზღვრო სამსახურის კატარღა. როშელმაც გემზე ორი კატის გარდა სულიერი ვერ აღმოაჩინა. კამბუზში ახლად გამზადებული საჭმელი იდგა. ეკიპაჟის ბევი დღემდე ამოუცნობია.

— ესეც იცი, — გაეცინა კოლესნიკოვს, თან თვალები ეშმაკურად მოჭუტა და დაამატა: — მაგრამ მე ისიც ვიცი, რაც შენ შეიძლება არ იცოდე!..

— მაინც, რა შეიძლება, არ ვიცოდე? — კედელივით აღეიმართე კოლესნიკოვის წინ.

— მაგალითად, შეიძლება, არ იცოდე, — სიტყვა გააჭიანურა კოლესნიკოვმა, — არათუ არ იცოდე, შეიძლება, წარმოდგენაც კი არ გქონდეს...

— მე შეიძლება წარმოდგენაც კი არ მქონდეს?

— აქვს თუ არა, მაგალითად, დედაშენს დაფნის ფოთოლი? — გაიცინა თავის თავით კმაყოფილმა კოლესნიკოვმა.

მე ძალიან მშვიდად, თანაც სრულიად შეუმჩნეველად, რალა თქმა უნდა, გავბრაზდი ჩემს თავზე, ასე მოხერხებულად რომ ჩამიჭირა კოლესნიკოვმა.

— ისე, ხანდახან მაინც თუ შეგიძლია, კოლესნიკოვ, რამე საზრიანი თქვა?

კოლესნიკოვი ჩამაცქერდა, მეც თვალს არ ვაშორებდი და გავიფიქრე: „ნეტავი ეს ხომ არ მიყრის ლექსებს თავისი საიდუმლო შემთხვევათა ანთოლოგიიდან?" ისე მივაჩერდით ერთმანეთს უხმოდ, თვალს არ ვახამხამებდით. ერთი წუთის შემდეგ კოლესნიკოვს უკვე ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან, მე კი იმის მერე, რაც მან წამწამები დააფახურა, განსრახ ერთი სამი წუთი და, შეიძლება, ხუთი წუთიც თვალის დაუხამხამებლად მოურიდებლად მივჩერებოდი. ისე კი ახლა ამ კოლესნიკოვს დაფნის ფოთლისა და თვალის თვალში გაყრის შაგივრად სიამოვნებით ერთს ქარვად ვუთავაზებდი. ასეთი დიდმნიშვნელოვანი, სერიოზული ცდა რალაც სუპის შესაკაშამავი დაფნის ფოთლისათვის შემაწუვეტინა.

— ისე, იქნებ გაქვთ დაფნის ფოთოლი? — მკითხა კოლესნიკოვმა, წაიგრძელა კისერი და ჩემი მხარის ზემოდან საბაბანოში შეიჭყიტა, თან ცსვირით ჰაერი მოყნოსა. — მაინც, რატომ გაქვს ეს ერთი ფეხი ასეთი წითელი, მეორე კი — ასე თეთრი? — შემეკითხა კიდევ უფრო დაეჭვებით კოლესნიკოვი. — ეს საიდუმლო შემთხვევათა ანთოლოგიიდანაა, ხომ?

ამ დროს კიბეზე დედაჩემი გამოჩნდა ჩანთებით ხელში. კოლესნიკოვმა დედას სწრაფად გამოსტაცა ხელიდან ჩანთები და სამზარეულოსაკენ გაჰყვა: მიათრევდა ჩანთებს და თან დაფნის ფო-

თოლზე ელუღლუღებოდა. წყევლა-კრულვა მივაყოლე კოლესნიკოვს, ამდენი დრო რომ დამაკარგვინა, აბაზანის კარი მივხურე და დაველოდე, თავის დაფნის ფოთლიანად როდის წაეთრეოდა ჩვენი ბინიდან ეს ჯაშუში. „დაფნის ფოთოლი, დაფნის ფოთოლი, — გავიფიქრე მე, — როდისმე თქვენ მისგან დაწნულ გვირგვინს ჩამომკიდებთ კისერზე. ისე კი, დაფნის ფოთოლი მხოლოდ მიზეზი იყო. კოლესნიკოვს უნდა, გარკვევით გაიგოს რაღაც. შერეკილი. მაგისთანა კისრის პატრონმა სჯობს, ცირკს მიაკითხოს. ატრიალოს და ატრიალოს იქ ოთხმოცდაათი გრადუსით თავისი კისერი".

— გადი, — ვუთხარი მე კოლესნიკოვს და კარი გავუღე.

კოლესნიკოვი დაფნის ფოთლით ხელში კარებში კიბორჩხალასავით გვერდულად გავიდა, მაგრამ მე მაინც მოვახერხე და ისე მარჯვედ მივუჯახუნე კარი, რომ უკანასკნელ წუთს კოლესნიკოვს ოდნავ ზურგის ქვემოთ მოვარტყი. საპვრეტლიდან თვალი გავაყოლე და კარი ჩავკეტე. კოლესნიკოვმა ეშმაკებთან გამაგზავნა, მე კი სააბაზანოში შევედი, რომ პლანეტა მერკურის ტერმინატორის ცივი და ცხელი წყალი ეღროებიდან გადამეღვარა.

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე რ ვ ე

„ალბეთიანინი, რომ ჩემ მეერდით თურმე გოგონები ყოფილან..."

ამ ლროს წინკარში დედაჩემი გამოჩნდა. სააბაზანოს კართან შეეჯახა. შეხედა ჩემს ჩალურჯებულ თვალს, ორივე ყურზე ხელები წამაელო და მითხრა:

— იური, თვალზე რა მოგივიდა?

(ჩემ ხედავს, რომ ჩალურჯებული მაქვს! რალას მეკითხება!) პასუხი არ ვამიცია, სასადილოში ჩანთა შევიტანე, წიგნები მაგიდაზე წამოვაპირქვავე, მამას ოთახიდან ღღიური გამოვიტანე, გადავშალე და უხმოდ ვაჩვენე დედას. მე თვითონ კი სააბაზანოში შევედი.

— ვინ ჩაგილურჯა თვალი? — კიდევ ერთხელ მკითხა დედამ.

ძალიან ყოჩაღი დედა მყავს! ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს, ჩემი საქციელისთვის გავეკიცხე. იმიტომ რომ, მართალია არ იცის, მაგრამ გრძნობს, როგორი სერიოზული და უაღრესად ძნელი, შეიძლება ითქვას, გმირული მოტივები უდევს საფუძვლად ჩემს საქციელს.

— თვალი თეატრალურმა წრემ ჩამილურჯა! — ვთქვი მე.

— კარგადაა საქმე! — თქვა კარს იქით მდგარმა დედამ. — დღეს მთელი წრე დაგესხა თავს, ხვალ კი მთელი სკოლა შემოგიტევს. — დედა საბაზანოში შემოვიდა. — ესენი კიდევ გვირდება, — თავით ვედროებზე მანიშნა დედამ, — თუ გადავღვარო?

— შეგიძლია გადაღვარო! — ვთქვი და პიჟამას ჯიბიდან ამოღებული შაურიანი სარკის წინ დალურჯებულ ადგილზე მივიდე. ჩემს ზურგს უკან მდგარმა დედამაც ჩაიხედა სარკეში და დალილავებულ თვალს დააცქერდა. რადგან მამა ჯერ არ დაბრუნებულიყო სამსახურიდან, მე კი განრიგით უნდა დამეძინა, ჩემი ოთახისკენ გავწიე.

— იური, მოიცა! — მითხრა დედამ, ხელი ჩამჭიდა და ტელეფონთან მიმიყვანა. — ახლავე დავუკავშირდები შენს მასწავლებელს... ერთი წუთით მოიცადე!

— დედა, — ვუთხარი მე მკაცრად, — შეხ ხომ იცი, რომ ჩემი ძილი წმიდათაწმიდაა.

— ვიცი, ვიცი, მაგრამ ახლა საქმეა მამა მოვა. ამიტომ ყველაფერი დაწვრილებით უნდა ვიცოდეთ, — თქვა დედამ.

ჩემი ხელის მაღვიძარამ ძილისა დარეკა.

— ეს საშინელებაა! — თქვა დედამ. — თავს მთელი წრე დაგესხა! მე ვაიძულებ მამაშენს ჩემთან ერთად წამოვიდეს სკოლაში!

ხელის მაღვიძარა ისევ განაგრძობდა რეკვას. დედას საათის ციფერბლატი დავანახე და ვუთხარი:

— ხვალ!

წინკარში ზარის ხმა გაისმა.

— აი, მამაც მოვიდა... — დედამ ნომრის აკრეფა შეწყვიტა და თითები დღიურის ყდაზე აათამაშა. — იქნებ ცოტა ხანს მაინც...

— ხვალ! — ვთქვი მე, ხელით ვანიშნე, არ ვიცი, „ღამე მშვიდობისა“ თუ „ნახვამდის“ და ჩემი ოთახისაკენ გავემართე. შევეცვერი საბნის ქვეშ და იოგების წესით მოდუნება დავიწყე.

ამ დროს წინკარიდან დედას და მამას ხმა მომესმა.

— „სამშობლოს ესმის, სამშობლომ იცის, ცაში სად დაქრის იმისი შვილი...“ — წაიმღერა მამამ. კარგ გუნებაზე იყო. მამა როცა კარგ გუნებაზეა, მუდამ ამ სიმღერას მღერის. მამა თავის ოთახში შევიდა და ერთხანს იქიდან არაფერი ისმოდა.

გავიგონე, როგორ მოუახლოვდა დედა თითისწვერებზე კარს და ალერსიანად დაიჩურჩულა:

— იურა... იქნებ ივახშმო ჩვენთან ერთად... ჯერ ადრეა... მამას ესიამოვნება...

ხმა არ ამომიღია, მოდუნებას განვაგრძობდი. მამას ოთახში ისევ სიჩუმე იყო. ეტყობოდა, ჯერ კიდევ არ ენახა დღიური და იმიტომაც იყო ჩუმად. სხვათა შორის, ტყუილად აყოვნებს-მეთქი, გავიფიქრე, ახლა მე ძილის წინ ოდნავ მოვადუნებ სხეულს, მერე ჩემი ხელის თორმეტქვიანი საათი „სიგნალი“ დარეკავს და მორჩა! — ამის მერე ვერავითარი ძალა ვერ მაიძულებს ჩემი ბორტ-ჟურნალის მტკიცე განრიგის შეცვლას. ჯერ მოდუნება არ დამემთავრებინა, რომ მეზობელი ოთახიდან მომესმა გარკვეული ხმები, რომლებიც იუწყებოდნენ, რომ მამაჩემმა, ეტყობა, ჩემი დღიურის ჩანაწერი გაშიფრა და ახლა დედას უზიარებდა აზრს, დედა კი, მისი ხმის კილოთი თუ ვიმსჯელებ, როგორც ყოველთვის, მიცავდა. სწორედ ამ დროს დარეკა ჩემმა საათმა! მე მაშინვე დავიწყე დაძინება. მაგრამ იმავე წუთს გავიგონე, რომ გაიღო ჩემი ოთახის კარი, და მამაჩემის გაჯავრებული ხმა გაისმა:

— აბა, ადექი ლოგინიდან და გაბრძანდი სასადილოში!

დედა გვერდით ედგა მამას და ჩურჩულით ეუბნებოდა:

— ნუ აღვიძებ! ნუ აღვიძებ! ნუ აღვიძებ!

მამამ კი თავისი წინადადება, ალბათ, ერთი თხუთმეტჯერ მაინც გაიმეორა, მაგრამ, თქვენ, ძვირფასო შთამომავალნო, ცოტათი მაინც იცით ჩემი ხასიათი: თუ ჩემს თვითსწავლების პროგრამაში მამასთან საუბარი არ არის გათვალისწინებული, მაშ, არავითარი საუბარი არ შედგება.

— ნუ აღვიძებ, — კიდევ გაუმეორა დედამ.

— როგორ თუ „ნუ აღვიძებ?! როგორ თუ „ნუ აღვიძებ“, როცა დღიურში ასეთი ჩანაწერი აქვს?!

— ეს რაღაც გაუგებრობაა, — თქვა დედამ, — ახლა ეძინოს, ხვალ გაირკვევა ყველაფერი.

— ხვალ არა, — ვთქვი მე საბნის ქვეშიდან, — ერთი ოცდახუთი წლის მერე.

— ერთადერთი ადამიანი თუ იქნება მთელ დედამიწის ზურგზე, ასეთი რამ ჩაუწერონ დღიურში და ძილი არ გაუკრთეს. და ეს ერთადერთი ადამიანი ჩემი შვილია...

„რაც შეეხება „ერთადერთს“ — ეს შენ, მამა, საოცრად, შეიძლება ითქვას, წინასწარმეტყველურად თქვი, — გავიფიქრე მე. — ერთადერთი მთელს დედამიწის ზურგზე... მათ არც ქარი სწყალობთ, — განვაგრძობდი ფიქრს, — მაგრამ ამას, ალბათ, სიზმარში ვფიქრობდი, აბა, ცხადში ჩემს ფიქრებს ლექსად ხომ არ ეიტყოდი:

მათ არც ქარი სწყალობთ,
არც ბინის ჩირაღდნები,
მაინც ადგანან გზას...
ალბათ, ისინი გრძნობენ რაღაცას,
მაგრამ, ვინ იცის, რას?

კიდევ ისიც გავიგონე, მამამ რომ უთხრა დედას:

— ჩვენ რატომ არასოდეს არ დავდივართ ერთად თეატრში, ან კინოში მაინც? რატომაა ასეთი სიიუმე ჩვენს სახლში? რატომ არავინ არ იცინის? რატომ არ ისმის მუსიკა?! რატომ არავინ არ მღერის?! რატომ არავინ არ მოდის ჩემს შვილთან სტუმრად?

თუმცა, ეს სიტყვები, იქნებ, დამესიზმრა...

იური ივანოვის მოგონებების ძალიან ცუდად შენახული ფურცლებიდან ირკვევა, რომ მეორე დღეს დილის ხუთ საათზე გამოიღვიძა და, რაც სკოლაში წასვლამდე გააკეთა, ბორტეურნალში ჩაწერა, შემდეგ ცალკეული წინადადებებით ვგებულობთ, რომ სკოლაში ყოფილა. ალგებრის გაკვეთილზე, ეტყობა, შეეცადა მასწავლებლისთვის რაღაც ესწავლებინა — ეს მასწავლებელს თავის ხელით ჩაუწერია დღიურში. ესეც ეწერა: „ბუნებისმეტყველების მასწავლებელს წაუკითხა თავისი ვერსია ადამიანის წარმოშობის შესახებ (სხვათა შორის ძალზე საინტერესო), მაგრამ შეკითხვაზე: „რამდენ ხანს ცოცხლობს საშუალოდ ადამიანი?" — უპასუხა: „არ ვიცი!" — ასეთი პასუხი აბუჩად აგდებად მიმაჩნია", — და ქვემოთ მასწავლებელი აწერდა ხელს.

და აი, იური ივანოვმა, მისი ჩანაწერებით რომ ვიმსჯელოთ, გაკვეთილების მერე ისევ აღმოაჩინა ჯიბეში ახალი ლექსით გაღაფრულებული ფურცელი, ლექსის ტექსტი ცუდად შენახული, მაგრამ მისი წაკითხვა შესაძლებელი გახდა. აი ისიც:

ადამიანმა აღმოაჩინა, —
ხახუნით ჩნდება ცეცხლი,
მე კი, ნიუტონის მსგავსად,
კანონი აღმოვაჩინე ერთი,
კანონი მიზიდულობის,
ფრიად საშიში ჩემთვის.

— მოიცა, გვითხარ — რას ამბობ?
რა აღმოაჩინე, თქვი...
— ის, რომ გოგოები გვახლავს
და ვერას გავაწყობ მათთან!

ადამიანმა აღმოაჩინა,
რომ დედამიწა ბრუნავს,

მე კი, ნიუტონის მსგავსად,
კანონი აღმოვაჩინე ერთი,
კანონი მიზიდულობის
ფრიად საშიში ჩემთვის.

— მოიცა, გვითხარ — რას ამბობ!
რა აღმოაჩინე, თქვი...
— ის, რომ გოგოები ეკიდ[illegible]ვს
და ვერას გ-ვაწყობ [illegible]ან!

არის ატმოსფეროს წნევა,
გვაწვება, გვღუნავს მხრებში,
და მე, ნიუტონის მსგავსად,
კანონი აღმოვაჩინე ერთი,
კანონი მიზიდულობის —
მიწა გეიზიდავს თვისკენ,
მხოლოდ ეს ჩემზე არ ითქმის, —
ნე მიეისწრაფვი ცისკენ!

მომდევნო ორ გვერდზე, რომლებზედაც უფრო ლექსის კომენტირება იყო, ყველა სიტყვა წაშლილიყო, ისე რომ ვერაფერს გაარჩევდი, სამაგიეროდ, მესამე გვერდზე შესაძლებელი გახდა შემღეგი სიტყვების აღდგენა.

„... პელაგია ვასილიევნასთან ყვავილებისთვის შევიარე. თურმე ავად ყოფილა, იმიტომ ვეღარ ყიდდა ყვავილებს. მისი წამლებისათვის აფთიაქში წავედი. ძერე მინდობილობა მომცა, რომ მე გამეყიდა ყვავილები...“

ამის მომდევნო ოცდაათი წინადადების გარჩევა შეუძლებელი გახდა. მერე კი გავარჩიე:

„... მივაბიჯებდი დედამიწაზე: ამ ვეებერთელა მუდმივ მაგნიტზე, გასაყიდი უზარმაზარი თაიგულით ხელში. მეტრო „ძერჟინსკაიას“ მიწისქვეშა გადასასვლელი რომ გავიარე, ხალხმრავალი კუთხე ამოვირჩიე „ბავშვთა სამყაროსთან“ (პირველშბეტდავ ფიოდოროვის ძეგლის პირდაპირ) და ვაჭრობას შევუდექი. ეს ადგილი ჩემთვის ყველაზე ბედნიერი იყო. ამ კუთხიდან შესანიშნავად ჩანდა გამზირი და შესახვევი, ისე რომ მილიციელი ან რაზმელი მოულოდნელად ვერ წამადგებოდა თავზე. მაგრამ თუ ვინიცობაა გამოჩნდებოდნენ, იოლად დავიმალებოდი მოსიარულე ხალხის ტალღაში.

უნდა გითხრათ, რომ ყვავილების გაყიდვაში ცოტაოდენი გამოცდილება მივიღე.

მართალია, დღეს რაღაც ბედი არ მწყალობდა, იძულებული ვიყავი, დროდადრო შემეწყვიტა ვაჭრობა — გავიხედავდი და მილიციელი გამოჩნდებოდა, ამიტომ წამდაუწუმ შესახეევში ვიმალებოდი... რასაკვირველია, არაფრით არ ჩავუკარდებოდი ხელში ჩემი გლადიოლუსების თაიგულიანად, რომ...

აქ გვერდი მთავრდებოდა, მომდევნო გვერდზე კი ერთი ასოს გარჩევაც არ შეიძლებოდა — ისე იყო დადღაბნილი. მხოლოდ მეორე გვერდის ბოლოში შეეძლო რამდენიმე ფრაზის ამოკითხვა:

„...ტყუილად გაეკურბინდი მილიციელს! ეს ბომ ბედნიერება იყო, მილიციაში რომ ძიმიწვიეს. მე ოვითონ როგორ ვერ მოვიფიქრე, უფრო ადრე შემეკლო და მეცნობებინა...“

მომდევნო ორ ვვერდზეც არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა, მესამეზე კი იური ოგონებს, მილიციაში რომ მიიყვანეს, ბავშვთა ოთახში რაზე ესაუბრა მილიციელი ქალი:

— ისეთი სწრაფი სირბილი გცოდნია, გერჩევნა, სპორტისთვის მოგეკიდა ხელი, — შენ კი ყვავილებით ვაჭრობ.

— სხვათა შორის, — მკაფიოდ და უკმეხად ვთქვი მე, — გთხოვთ შეიტანოთ ოქმში, რომ სირბილამდე და სირბილის მერეც პულსი ორმოცდათორმეტი მქონდა. რიტმული და სავსე. არავითარი ვაზომოტორები და არავითარი ვეკეტაციური! ყველაფერი რიგზე მქონდა!..

— დიახ, დიახ, — დამეთანხმა საბავშვო ოთახის მორიგე, — შენ სპეკულაციას ეწევი ყვავილებით, თანაც ასეთი, მე ვიტყოდი, არაადამიანური სიმშვიდით.

— მე სპეკულაციას არ ვეწევი, — პელაგია ვასილიევნას ვეხმარები ვაჭრობაში. მას ნებართვა აქვს და მოხოვა მომეხმარეო, იმიტომ რომ ავადაა, მინდობილობაც კი დაწერა ჩემს სახელზე, — ავუხსენი მე.

— სად არის მერე ის მინდობილობა? — მკითხა მილიციელმა ქალმა.

— დავკარგე, — მართლა საღაც დავკარგე ის ქაღალდი.

— მიკიბ-მოკიბულს თავი გაანებე, — მითხრა მილიციელმა ქალმა, — შენი გვარი, სახელ და სად ცხოვრობ? რატომ ვაჭრობ ყვავილებით და ვინ მოგცა ვლადიოლუსები?

ყველა შეკითხვაზე, რა თქმა უნდა, არ ვუპასუხე. დავუწყებ ახსნას და იმითი დამთავრდება, რომ მომოსოვს გადავუშალო ჩედოზემპრის. ბსიპის და სვერკსის ვარჯიშის საიდუმლოება. მაგრამ რადგან მილიციელმა ქალმა დაკონებით პომთხოვა, მეოქვა ჩემი

სახელი და გვარი, მე, რაც შეიძლებოდა, დიპლომატიური პასუხი გავეცი:

— მაშინ ცოტა მოითმინეთ — მალე გაიგებთ.

— რას ნიშნავს მალე?

— ასე, ოცდაათი ან, შეიძლება, ოცი წლის მერეც.

— მაშინ მე პენსიაზე ვიქნები, — ეშმაკური ღიმილით მითხრა ქალმა.

უნდოდა გული მოელბო ჩემთვის. ასეთი ახალგაზრდა ქალი მეუბნება: პენსიაზე ვიქნებიო, მაგრამ ჩემი გულის მოლბობა არც ისე ადვილია, ვერ მიართვეს!

— იცით რა, ახლა, იმის მაგივრად, რომ გამოირკვიოთ, ვინა ვარ მე, სჯობს, დამიმახსოვროთ და შინ რომ მიხვალთ, ჩემზე დაწეროთ... — ვურჩიე მე.

— რა უნდა დავწერო შენზე?

— რა და... მოგონებები...

— მოგონებები? — ქალს გაეცინა კიდეც. — იმაზე დავწერო მოგონება, გლადიოლუსებს რომ ყიდი? სხვათა შორის, აი შენ ყვავილებით ვაჭრობ, — განაგრძო მან, — და ის კი არ იცი, რომ რევოლუციონერი მუშა-ქალები ჯერ კიდევ მეფის დროს დემონსტრაციაზე გამოდიოდნენ ლოზუნგით: „მოგვეცით პური და ვარდები!" თუ გაგიგონია ეს?

— უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის ორანჟერეაში დიდი ხანი არ არის, უჩვეულო ექსპერიმენტი დაიწყეს, — ვთქვი მე. — ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანას მინდობილი აქვს მართვა ავტომატური დანადგარისა, რომელიც ადამიანს ბევრ რამეში ცვლის, ზამბახის, ტიტების და გლადიოლუსების მოშენებისას. ავტომატური დანადგარი, რომელსაც კომპიუტერი მართავს, მოძრაობს რვაასმეტრიან ორანჟერეაში, კედლის გასწვრივ დაგებულ ლიანდაგზე, და სხვადასხვა ოპერაციებს ასრულებს. თქვენ, რა თქმა უნდა, ეს არ იცით და არც გაგიგიათ?

— როგორ არ გამიგია, — თქვა ქალმა, — ძალიანაც კარგად გამიგია.

— ვისგან? — გამიკვირდა მე.

— შენგან, შენგან გავიგე!

ერთი წამით, ან შეიძლება, რაღაც მემილიონედი წამით დავიბენი, ისე მომიჭრა სიტყვა, მაგრამ მილიციელი ქალი განაგრძობდა:

— ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე და მის გამოყენებაზე რაღაც-რაღაცები იცი, მაგრამ შენ საკუთარ თავზე თითქმის არაფერი არ იცი.

— რატომ გგონიათ, რომ არ ვიცი? — გავნაწყენდი მე.

— აი, არ იცი შენი სახელი, გვარი, სად ცხოვრობ, — ისევ თავისას მოჰყვა.

— თქვენ, ჯობს, ის მითხრათ, აი, ამ ლექსების ავტორი ვინ არის, — ვუთხარი და შიდა ჯიბიდან ფურცელი ამოვიღე. — მეცნიერება ამტკიცებს, რომ ხელნაწერში ნათლად ჩანს პიროვნების ინდივიდუალობა და რომ ყველას თავისი ხელწერა აქვს, ხომ ასეა? თორემ გამოდის, რომ მე თავს ვიჩედოზემპრებ, ვიღაც კი ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს განმაჩედოზემპროს! — ვთქვი მე.

— რაო, რაო? — ყურები ცქვიტა მორიგემ.

— არაფერი, ისე... ისე ვლაპარაკობ, — ენაზე ვიკბინე.

— ლაპარაკით სწორად ლაპარაკობ, — დამემოწმა ქალი, — მოქცევით კი ისე იქცევი...

მაგრამ არ დავამთავრებინე.

აი, ძვირფასო შთამომავალნო, ახლა მიხვდებით, თავიდან რატომ ავღელდი, მერე კი უცებ გამიხარდა, მილიციაში რომ მიმიწვიეს. მე ადრეც უნდა მოვსულიყავი და მომეტანა ეს ლექსები.

ქალმა სამივე ლექსი წაიკითხა და მითხრა:

— რატომ უნდა ამოვიცნოთ ხელნაწერის ავტორი? ძალიან კარგი ლექსებია...

— იმიტომ, რომ ავტორი გვარს არ აწერს.

— რად გინდა, რომ აწერდეს გვარს?

— იმიტომ... — ვთქვი მე. — რას იტყოდით, რომელიმე დანაშაულის გამოძიებისას თქვენს მილიციელებს სულაც რომ არ ჰქონდეთ სუპლესი...

— შენ სუპლესიც იცი, რა არის?

— სუპლესი, — მკაფიოდ გამოვთქვი მე, — სხეულის ელასტიურობაა. იგი საგანგებო საწვრთნელი ვარჯიშით გამომუშავდება. ამგვარი ვარჯიში ხერხემალს მოქნილობას მატებს, მის ხრტილოვან დისკოებს, მთელ სასახსრო იოგების აპარატსა და კუნთოვან სისტემას ელასტიურს ხდის.

— ესე იგი, არ არის საჭირო არავითარი სუპლესი? მაშინ რა არის საჭირო? — ისევ შემეკითხა მილიციელი ქალი.

— უნდა იყოს პსიპი, რომლის მფლობელიცაა... უფრო სწორად, სულ მალე გახდება მფლობელი მხოლოდ ერთი ადამიანი, — გავუსწორე ჩემს თავს. — პსიპი ეს არის ბუნების გამოგონებათა ერთობლიობა, — ვთქვი და შეკითხვას არ დავლოდებივარ, მაშინვე დავიწყე მთავარის ახსნა: — ესე იგი, რაიმე დანაშაულის გამო-

ძიების დროს მილიციელი გავარდება გინყოფილებიდან. იგი მეძებარი — ადამიანია, მას მშვენიერი ზემო მგრძნობელობა აქვს, როგორც მეძებარს. რა არის ზემო მგრძნობელობა? — შეეკითხე მორიგე ქალს.

— ზემო მგრძნობელობა — ეს ძალის თვისებაა ყნოსვის საშუალებით ჰაერში აიღოს გეში და არა კვალზე, — სწრაფად და გარკვეით განმარტა მორიგემ.

— მართალია, — შეეკითხე მე. — შემდეგ მილიციელი კატასავით დააკვარდება სიბნელეს!.. კატებზე რაღა იცით? — შეეკითხე მორიგეს.

— კატები სიბნელეში ადამიანზე რვაჯერ უკეთ ხედავენ! — სულმოუთქმელად თქვა მორიგემ.

— ძალიან კარგი! — შეეკითხე მორიგე და ვანგაგრძე: — ამის მერე მილიციელი გეპარდის სასწრაფით გაგდევნება ბოროტმოქმედს. ბოროტმოქმედი ტყეში შეეკარდება, მილიციელი შეეკარდენილით აიკრება ზეცაში და ძერასავით პიკირებით დააცხრება მტერს! რა იცით გეპარდზე, შეეკარდენზე და ძერაზე?

— მოიცა, ისე, ვინ ვის დაკითხვას აწარმოებს? — გამოერკვა უეცრად საბაეშვო ოთახის მორიგე...“

მერე მთელი გვერდია გამოტოვებული, მის მომდევნოზე კი მორიგის ფრაზებია ჩაწერილი:

„... — ამხანაგო კაპიტანო, დაკავებული დაკითხვას მიტარებს! დამახმარეთ ვინმე, მარტო მე მასთან ვერაფერს გავხდები!..“

ამის მერე კიდევ ორი ვვერდი ვერ, გავარჩიე, მათზე ცალკეული სიტყვებია შემორჩენილიყო. ეტყობა, მორიგის მისაშველებლად მოვიდა კაპიტანი და შემდგომი საუბარი უკვე სამს შორის მიდიოდა. მაგრამ საუბარიც გამქრალა. მისგან სამი ნაწყვეტია დარჩენილი:

„... — და, აი, იმისათვის, რომ ჩვენი მილიცია ფლობდეს იმას, რაზედაც მე თქვენ გიამბეთ, უნდა იცოდეთ, რომ ყველაფერი ეს ადამიანსე, ესე იგი, ჩემზეა დამოკიდებული! აი ამიტომ არ შემიძლია და, მეტსაც გეტყვით, არა მაქვს უფლება, გითხრათ ჩემი სახელი და გვარი... ჯერჯერობით კიდევ არიან ირგვლივ საზღვარგარეთელი მზვერავები.

— იცით, რა, — თქვა კაპიტანმა, — ბევრი მინახავს და ვამიგონია ჩემს ცხოვრებაში...“

ამის მერე შემორჩენილია მხოლოდ იური ივანოვის ფრაზები:

„ — თქვენ, ჩემი ბორტჟურნალის განრიგის მიხედვით, დამა-

კარგვინეთ ერთი საათი და ხუთი წუთი. საიდან ავინაზღაურო ახლა ეს დრო?..“

„ — მე თქვენს ადგილას სხვაგვარად მოვიქცეოდი, ხელს კი არ შევუშლიდი ჩემისთანას, პირიქით, დავიცავდი! — რჩევა მივეცი მილიციის მუშაკებს...“

— იცი, რა გითხრა, იმაზე ნუკი ლაპარაკობ. შენ როგორ მოიქცეოდი, ჩვენ გვითხარი, რა გვარი ბარ და სად ცხოვრობ, — ვინ იცის, უკვე მერამდენედ მკითხა კაპიტანმა, წასასვლელად რომ მოვემზადე.

მე, რა თქმა უნდა, ახლაც ზიზღით სავსე ღიმილით ვუპასუხე, მაშინ მან სიტყვებით: „ჩვენ თვითონ გავარკვევთ!“ კოვბოურას საყელოში ჩამავლო ხელი, გადამიწია და ისე ჩამხედა კისერში, თითქოს ზურგზე მეწერა, რა გვარი ვარ და სად ვცხოვრობ. სხვათა შორის, კაპიტანს, თუ ძალიან შემეხვეწება, ჩედონზემპრების სიაში შეიტანს! ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ჩამიჭირა საყელოთი. ზურგზე, რა თქმა უნდა, არაფერი მეწერა. მაგრამ საყელოზე ხომ იყო მიკერებული ნიშანი, რომლითაც გასარეცხად ვაბარებთ თეთრეულს. ამ ნიშნით ძალიან ადვილად გაიგო კაპიტანმა ჩემი ასავალ-დასავალი. სამრეცხაოში დარეკა და გაიგო...“

აქ წყდება მილიციის საბავშვო ოთახის მორიგესთან შეხვედრის ამბები. როგორ და რითი დამთავრდა ყველაფერი, ჯერჯერობით ვერ ვგებულობთ. ისევ ათი გვერდია გამოტოვებული. მერე იური ივანოვი იგონებს, მის მიერ შემუშავებული „პსიპ“-ის პროგრამით მეცადინეობის შემდეგ როგორ გადადის ძილზე.

მოგონება მეცხრე

ლაპარაკისთვის ათ წუთს გაძლევთ!

ამ გადატვირთვის თვალსაზრისით, ჩემთვის ნორმალურ დღეს გადავწყვიტე, უფრო ადრე დამეძინა. „...თვალებს ვხუჭავ და კუნთებს ვადუნებ. სხეული მათრახივით მოშვებულია...“ ძვირფასო შთამომავალნო, თქვენ, იქნებ, არც კი იცით, რამდენიმე წამის წინ, სანამ სარეკორდო შტანგას ასწევდა, ასეთი სიტყვებით აღწერა თავისი მდგომარეობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა იური ვლასოვმა. მე იური ვლასოვისგან შევითვისე ეს მდგომარეობა — ფიზიკური ძლი-

ერების მძაფრი აფეთქების ახლო მეზობლობა სრულ სიმშვიდეს-თან და სრულ მოდუნებასთან. საქმე ის არის, რომ ადამიანის ყოველი ფიზიკური საქმიანობა კუნთების სხვადასხვა ჯგუფის რიგრიგობითი მუშაობაა (ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ჩემი ბორტჟურნალი). ახლა კი მინდა გიამბოთ არა ის, თუ როგორ ვდუნდებოდი, არამედ — როგორ შემიშალა ხელი მოდუნებაში მამაჩემის ხმამ, კედლის იქითა მხრიდან რომ ვ[illegible]ოდიოდა. საქმე ისაა, რომ, როდესაც მამას ძილის წინ მაგიდაზე ჩანაწერებიანი დღიური დავუდე (გახსოვთ: „ალგებრის გაკვეთილზე შეეცადა მასწავლებლისთვის ესწავლებინა... წაუკითხა ლექცია... არ უპასუხა შეკითხვაზე — რამდენ ხანს ცოცხლობს საშუალოდ ადამიანი!"), მან დღიური ხელში აიღო და თქვა:

— აჰა... აეანტიურისტული რომანის ბიბლიოთეკა, წავიკითხოთ, წავიკითხოთ...

მერე მე ოთახიდან გამოვედი და მამა იმდენ ხანს დუმდა, რომ გავიფიქრე: „ჩემს დღიურს ზეპირად ხომ არ სწავლობს-მეთქი". მერე გავიგონე, დედას რომ დაუწყო ლაპარაკი, მერე კი დედამ კარი გამოიჯახუნა და მამას ოთახიდან გამოვიდა. მამა რატომღაც თავისთავს ხმამაღლა ელაპარაკებოდა. წინათ ეს არ შემინიშნავს. მე უკვე მოდუნების მეთერთმეტე ფორმულას ვიმეორებდი: „ჩემი თითები და ხელის მტევნები დუნდება და თბება". უეცრად ჩემი ოთახის კარი გაიღო და მამამ მიყვირა:

— ბოლოს და ბოლოს აპირებ თუ არა გამოსვლას? უკვე მეასეჯერ ვყვირი ამას.

მე თვითშთაგონებით მოდუნების პრაქტიკუმს განვაგრძობდი, თავს კი ისე ვაჩვენებდი, ვითომ მეძინა, თუმცა გონებაში მეთერთმეტე ფორმულის გამეორება არ შემიწყვეტია: „ჩემი თითები და ხელის მტევნები დუნდება და თბება!.." მაგრამ მამაც განუწყვეტლივ იმეორებდა ერთსა და იმავე ფორმულას. მეტი ვეღარ მოვითმინე და, ვითომ ძილში, ხმამაღლა ვთქვი:

— ჩემი თითები და ხელის მტევნები დუნდება და თბება...

ამ დროს ოთახში დედა შემოვიდა და იმანაც ხმამაღლა თქვა:

— მომისმინეთ! რა საინტერესო მასალაა გაზეთში:

„...ამან მოსკოვის ერთ-ერთი სკოლის მერვე კლასელი მოსწავლის ამბავი მომაგონა. მისგან მოსვენება არ იყო. ისეთ რამეს ჩაიდენდა, რომ გაკვეთილს ჩაშლიდა. მაგრამ ერთხელ, შემოდგომით, მოსკოვის გარეუბანში ლაშქრად რომ წავიდნენ, მან სრულიად მოულოდნელად სხვა თვისებებიც გამოავლინა. ერთ გოგონას ფეხი

დაუცურდა, ცივ მდინარეში ჩავარდა და სულმთლად დასველდა. ბიჭი დაეხმარა, თავისი თბილი ტანსაცმელი ჩააცვა გოგონას, რომ გამთბარიყო!..“

— არა, — ვთქვი მე, ლოგინიდან წამოვიწიე, მაგრამ თვალი არ გამიხელია, — ასეთ პირობებში ვერც ერთი პსიპი, ჩედოზემპრი და ვერც სვერკსი ვერ მოდუნდებოდა. ასეთ პირობებში მხოლოდ უკიდურესად დაძაბვა შეიძლება!

— რას ამბობს! რაზე ლაპარაკობს?! რა პსიპი, ჩედოზემპრი და სვერკსი-მერკსი შეუჯდა თავში? იქნებ დედამიწის ზურგზე ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს ყველაფერი ეს? — იყვირა მამამ და ისევ თავისას მოჰყვა: — აპირებ თუ არა ადგომას?

ჩემს საათს დავხედე. საათი ზუსტად თორმეტს უჩვენებდა (24 საათსა და 00 წუთს!). რამდენიმე წამს იმის ფიქრი მტანჯავდა, როგორ მოვქცეულიყავი. ჩემი განრიგის დარღვევა არ შემეძლო. არადა მამა ისეთი მკაცრი ხმით მელაპარაკებოდა, რომ გაუგონრობაც არ ივარგებდა. ესე იგი, გამოუვალი მდგომარეობა მქონდა. რაღაც უნდა მეღონა! ჩვენთვის, ზეკოსმონავტებისათვის, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის! კეთილი! ავდგები, მაგრამ მე ამათ ვუჩვენებ სეირს, მშობელ მამასაც კი არ დავინდობ! ახლა წავა უსუსური ლაპარაკი, რომელსაც მაგნიტოფონზე ჩავიწერ, დეე მომავალში შთამომავლობამ ნახოს, უფრო სწორად, მოისმინოს, როგორ ვერ მიგებდნენ ადამიანები, თვით ჩემი მშობლებიც კი...

თვალდახუჭული ავდექი ლოგინიდან, პატარა მაგიდაზე ტენისის ორი ბურთი მოვძებნე და პიჟამას ჯიბეში ჩავიდე. მერე მაგნიტოფონი ავიღე, კედელზე ხელის ფათურით კარამდე მივაღწიე და საბადილო ოთახში გავედი. ხელის ფათურითვე მოვძებნე სკამი, დავჯექი და ვთქვი:

— საქართველოში ორი ათასზე მეტი დღეგრძელი მოხუცი ცხოვრობს: მათ ულუფაში მცენარეული საკვები ჭარბობს. საქართველოს დასავლეთ რაიონებში, მაგალითად, მოხუცები არ ჭამენ პირველ კერძს, რომელიც ექსტრაქტოვანი ნივთიერებითაა მდიდარი. ქათმის, საქონლის და ცხვრის ხორცს (ამას უფრო იშვიათად) ისინი მხოლოდ მოხარშულს შეექცევიან. ვიტამინით მდიდარი უმი ბოსტნეული, ხილი, ახალი მწვანილი და გამხმარი სუნელ-სანელებელი ბალახი, წლის რა დროც უნდა იყოს, აუცილებელია მათი სუფრისთვის. დღეგრძელი მოხუცები ცოტა შაქარს და პავრ თაფლს მიირთმევენ. რძისა და ყველის, ბოსტნეულის და ხილის მუდმივი მიღება ქმნის სკლეროზის შემაფერხებელ ბუნებრივ ბა-

რიერს. სწორედ ამით აიხსნება ათეროსკლეროზის შემოხვევათა სიმცირე ასწლოვანებში.

— ჩვენი შვილი სიზმარში თუ ასეთ რამეებს ამბობს, რომ გაიღვიძებს, მაშინ რაღას იტყვის, — სიამაყით თქვა დედამ.

„დეე ეგონოთ, რომ მძინავს“, — გავიფიქრე ჩემთვის. მერე ისიც ვიფიქრე: „იქნებ, მართლაც ბსიპვით მხოლოდ ძილში ელაპარაკობ, ვფიქრობ, ვაკეთებ და საერთოდ ვცხოვრობ კიდევაც, და როგორც კი გავიღვიძებ...“ იმის გაფიქრებაც კი შემეშინდა, რომ გავიღვიძებდი, რა შეიძლებოდა ჩამედინა. ამიტომ ვთქვი:

— ათ წუთს გაძლევთ ჩემთან საუბრისათვის. — მიკროფონი მაგიდაზე დავდგი და შეუმჩნეველად მაგიდის ქვეშ მაგნიტოფონი ჩავრთე.

— თუ შეიძლებოდეს, ულტიმატუმს თავი დაანებე! — მრისხანედ თქვა მამამ.

— იური! — შეშინებულმა შეჰყვირა დედამ. — რატომ არ ახელ თვალს?

— განრიგით ასეა საჭირო, — ვუპასუხე მე.

დედამ ერთი ამბავი ატეხა, ჩხუბში თვალი სომ არ დაუზიანესო, მაგრამ მამამ უთხრა:

— იჯდეს თვალებდახუჭული... იმას მაინც ვიფიქრებ, სირცხვილით თვალებში ვერ მიყურებს-მეთქი.

მე, რა თქმა უნდა, ხმა არ ამომიღია. მაგრამ დრო ტყუილად რომ არ დამეკარგა, ოთხ საქმეს ერთად შევუდექი. ვთვლემდი! მამას ვუსმენდი! მარცხენა ხელს ტენისის ბუროს ვუჭერდი პიჟამის ჯიბეში! მარჯვენა ფეხის წვერით ბურთს ვაწვებოდი და კუნთს ვიკაჟებდი!

ოთახში რაღაც საძაგელი სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც, როგორც იქნა, მამას ხმამ დაარღვია.

— აბა, ილაპარაკე! — თქვა მან. ალბათ, მე მომმართავდა.

მე ვდუმდი.

— მაშ ასე, — თქვა მამამ, — სანამ ლაპარაკს დაიწყებდეს, სახის ინვენტარიზაცია ჩავუტაროთ ჩვენს შვილიკოს. ზიზღით მოკუმული პირი — ერთი, ნაკაწრი — ხუთი... თუ ექვსი? ექვსი. ჩალურჯებული — ერთი... დახუჭული თვალი — ორი...

მე ოდნავ გასაგონად კბილები დავახრჭიალე და უფრო მაგრა დავხუჭე თვალები.

— იური, — შეშინებული ხმით ისევ მკითხა დედამ. — რატომ ზიხარ თვალებდახუჭული?

— გან-რი-გით ასეა საჭირო, — კვლავ ეუპასუხე მე, მაგრამ ისეთი ხმით, რომ მამა სკამზე შეხტა.

დედამ ისევ წამოიწყო განგაში, ვითომ იმ ხულიგნების წრემ სერიოზული ზიანი მიაყენაო, მაგრამ მამამ დროზე შეაჩერა.

— აბა, ვილაპარაკოთ... — თქვა მამამ.

ისევ საძაგელი სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის დარღვევას არც ახლა ვაპირებდი.

— აბა, ილაპარაკე! — ცხადია. მე მომმართა მამამ.

— რა ვილაპარაკო, შეკითხვები მომეცითო! — ვთქვი მე, თან ტენისის ბურთებს მარცხენა ხელითა და მარჯვენა ფეხით ეჭყლეტდი.

თავს მოვიკრი, თუ ამ სიტყვების მერე მამამ დედას არ შეხედა და დედამ კი რაღაც არ ანიშნა. მე ამას ჰაერის მოძრაობით მივხვდი.

— შეწყვიტე ხელისა და ფეხის ცასცახი, — მიბრძანა მამამ.

თვითონვე ამბობენ: „ცხოვრება ხანმოკლეაო! დრო დაზოგეთ! წუთი არ დაკარგოთ ტყუილუბრალოდ! და როცა „არ კარგავ“ და „ზოგავ“, მაშინ შარს გდებენ.

— და ჯიბიდან ხელები ამოიღე, რაცა უფროსებს ელაპარაკები! თვალებიც გაახილე! — ხმას აუწია მამამ.

— არა, არა, მასწავლებელმა რაც არ უნდა ჩაწეროს დღიურში, მე მაინც ვიტყვი, რომ ჩემი იური სერიოზული ბიჭია! — თქვა დედამ.

— ჩარლზ დარვინიც ძალიან სერიოზული ბიჭი იყო და ერთხელაც ძალიან ინანა, — შეედავა მამა.

არ იყო ამაში მამა მართალი. პირველად მესმის, რომ ადამიანს სერიოზულობისთვის ადანაშაულებდნენ, ქარაფშუტობისთვის — კიდევ მესმის...

— ჟენია, მაგას რატომ ამბობ? — ვანაწყენდა დედა. — იურის მტრებიც კი აღიარებენ, რომ ამის ყველაფერში დიდი ნიჭი აქვს.

— არიან ადამიანები, — თქვა მამამ, — არიან ადამიანები, — გაიმეორა მან, — რომლებსაც ბავშვობიდანვე დაჰყვებათ არასასიამოვნო ნიჭი იმისა, რომ მათ გარშემო მყოფთა ცხოვრება ერთფეროვანი და უსიხარულო გახადონ!..

ამის მოსმენის მერე გადამიწყდა იმედი, რომ მამასგან სასურველ სიტყვებს გავიგონებდი: „ჩსუბი, როგორც ომი, არსებობს სამართლიანი და უსამართლო!“ მოჭუტული თვალებით დავხედე ჩემი საათის ციფერბლატს. საუბრის დაწყებიდან სამი წუთი გასულიყო. „საინტერესოა, როგორ ჩაეტევა მამა შვიდ წუთში, როცა დღიურზე ლაპარაკი ჯერ არც კი დაუწყია?“ — გავიფიქრე მე.

— ვიმეორებ, — თქვა მამამ და ისევ კარგა ხანს ჩაჩუმდა.

„სასაუბროდ შვიდი წუთი დარჩა და ისევ თავისას გაიძახის“,— ვთქვი გუნებაში.

— გუშინ მთელი წრე დაესხა თავს! — ჩაერია ლაპარაკში დედა. — დიდი ამბავი, თუ ამანაც გააქნია მუშტები, ბოლოს და ბოლოს კანონიც გვაძლევს ოცდაცვრა უფლებას!

— მე ვიმეორებ, — თქვა მამამ, — მესამეჯერ ვიმეორებ...

მაგრამ დედამ ამჯერადაც არ მისცა საშუალება, ვაემეორებინა თუნდაც ერთი სიტყვა.

— მაგალითად, ფრანგებს და იტალიელებს დროდადრო აუცილებლად სჭირდებიათ განსუსტება განრისხებით, ანდა ყვირილით გულის მოოხება.

მამას ყურადღება არ მიუქცევია დედას სიტყვებისთვის.

— ვიმეორებ, — თქვა მან ლა ხმას აუმაღლა, — ვიმეორებ მეოთხეჯერ...

სწორედ ამ დროს ჩემს ხელზე მაღვიძარამ დარეკა. მე სკამიდან წამოვდექი. იმით ვისარგებლე, რომ მამა წამით რიღაცაზე დაფიქრდა, და ვთქვი:

— მამა, შენ ორი წუთიღა დაგრჩა, მაგრამ არ ინერვიულო, დანარჩენი, შეგიძლია, სვალ დილით მითხრა.

— როგორ თუ დილით? რატომ უნდა ვითხრა დილით? — გაოცდა მამა. — თანაც უფლებას მაძლევს, არ ვინერვიულო!

— დაიღალა ბიჭი. მართლაც, დილით სჯობია, მოველაპარაკოთ, ახლა დაისვენოს. — მხარი დაუჭირა დედამ.

— არავითარი სვალ! — დაიყვირა მამამ. — მხოლოდ დღეს! — განაგრძო მკაფიოდ და სხაპასხუპით. — შენ მასწავლებლებს, ალბათ, იმიტომ უკითხავ ლექციებს, რომ გგონია, იმათზე მეტი იცი!

— მე მართლა ჩემებურად ამოვხსენი ამოცანა, ასეთი ამოხსნა მასწავლებელმა არ იცოდა. თანაც მასწავლებელზე სწრაფად ამოვხსენი, — თავი ვიმართლე მე.

— მაგრამ რატომ არ უპასუხე შეკითხვაზე, — საშუალოდ რამდენ ხანს ცოცხლობს ადამიანი? — აღშფოთდა მამა. — მიპასუხე: რამდენ ხანს ცოცხლობს საშუალოდ ადამიანი?

— არ ვიცი, და არც მინდა, ვიცოდე, — მივუგე მე, — იმიტომ რომ ჩემოზემპრმა ყველაფერი იცის, ყველაფრის უნარი აქვს, და შეუძლია ყველაფერი ის, რაც მას სურს და რისი ძალ-ღონეც შესწევს...

— ღმერთო ჩემო! — დაიგმინა მამამ. — ერთი მითხარით: რატომ არ იცის და არც უნდა, რომ იცოდეს ჩემმა შვილმა ასეთი უბრალო რამ?!

— მასიური ინფორმაციის საშუალებით გაიგებთ, რატომაც... ოდესმე გაიგებთ, — მკაცრად ვთქვი მე.

— მე ახლა მინდა ვიცოდე! — იყვირა მამამ. — და თანაც ყველა უცხო სიტყვათა ლექსიკონი გადავსინჯე და ვერსად ვერ ვნახე სიტყვა „ჩედოზემპრი". რა არის ჩედოზემპრი?.. ჰო, ჩაიწერე, ჩაიწერე, — მამამ დედას შეხედა და გაეცინა, მერე ისევ მე მომმართა: — სანამ შენ მიერ წარმოთქმულ სისულელეებს იწერს დედაშენი, ეგ ვირული სიჯიუტე დაძლიე და მიპასუხე: რამდენ ხანს ცოცხლობს ადამიანი საშუალოდ?..

მამამ თავისი შეკითხვა რამდენჯერმე გაიმეორა და მეც რუსულ ენაზე რამდენჯერმე ვუპასუხე, რომ არ ვიცი, რამდენ ხანს ცოცხლობს ადამიანი საშუალოდ. მაშინაც კი, როდესაც მითხრა, დაგეხმარებიო, და ამიხსნა, რომ ადამიანი საშუალოდ სამოცდათხუთმეტ წელს ცოცხლობს, მე მაინც განვაცხადე, არ ვიცი, ადამიანი საშუალოდ რამდენ ხანს ცოცხლობს-მეთქი. ამან მამაზე ისე საშინლად იმოქმედა, რომ შემეშინა. კიდეც. ამის მერე კიდევ რომ მკითხა: „ეშმაკმა დალახვროს, მაინც, რამდენ ხანს ცოცხლობს ადამიანი საშუალოდ?!" — გადავწყვიტე, გამეტეხა ჩემი თავისთვის მიცემული ფიცი, — რომ ამ შეკითხვაზე მხოლოდ „არ ვიცი" მეპასუხნა.

აქ, ძვირფასო შთამომავალნო, უნდა აგიხსნათ, რატომ არ მსურდა, უფრო სწორად, რა მიზეზები მაიძულებდა პასუხი არ გამეცა შეკითხვაზე, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას რომ ეხებოდა, და მეთქვა მხოლოდ „არ ვიცი". ასეთი პასუხი მართლა სისულელე და ვირული სიჯიუტე ხომ არ იყო, როგორც მამამ გადმომკრა საუბარში? არ ვიცი, ძვირფასო შთამომავალნო, თქვენთან როგორ იქნება სიცოცხლის ხანგრძლივობის საქმე, ჩვენთან კი, ჩემს დროს, ნამდვილი უწესობა იყო! თქვენ თვითონ განსაჯეთ: ჩვენ დროს ადამიანი საშუალოდ მართლა სამოცდაათ-სამოცდათხუთმეტ წელს ცოცხლობდა. გინდათ გითხრათ ჩემი აზრი, რატომ ცოცხლობს ადამიანი ასე ცოტა ხანს? საერთოდ ჩემი იდეების გამოქვეყნება ახლა კი არა, ჩემი ცხოვრების სხვა ისტორიულ პერიოდში მინდოდა, მაგრამ, უბრალოდ, მამა შემეშინა. ღა, თანაც, შეიძლება, არც მაქვს უფლება დაეუმალო ეს აღმოჩენა ჩემს მშობლებს. ხომ შეიძლება, იმათაც საშუალოდ სამოცდათხუთმეტი წელი იცოცხლონ და არა იმდენი, რამდენი წლის სიცოცხლეც ჰქ მიწერია — მიახლოებით რომ ვთქვათ, — შვიდასი წელი... რა თქმა უნდა, ერთბაშად კი არა, თანდათანობით, დროთა განმავლობაში.

ჰოდა, ძვირფასო შთამომავალნო, გავიქეცი ჩემს ოთახში და გამოვიტანე რვეული, რომელსაც ყდაზე აწერია: მარცხნივ გრიფი —

„სრულიად საიდუმლოდ“, ფრჩხილებში — „შთამომავლობას“. ქვემოთ კი განმარტებითი ბარათია, რატომ ვუპასუხე „არ ვიცი“ შეკითხვაზე — „საშუალოდ რამდენ ხანს ცოცხლობს ადამიანი?“

ამრიგად, ჩავასველე და მინდოდა, დედას და მამას გასაგონად წამეკითხა, მხოლოდ ცოტა ხმადაბლა, რომ შემთხვევით კედლის იქით მეზობლებს არ გაეგონათ, მაგრამ ბოლო წუთს გადავიფიქრე. კარგი, ვთქვათ, წავიკითხე: „ძვირფასო შთამომავალნო! მე და, რაღა თქმა უნდა, თქვენც იცით, რომ ადამიანი ცოცხლობს სამოცდაათ-სამოცდათხუთმეტ წელს. მაგრამ, აი, რატომ ცოცხლობს სამოცდაათ-სამოცდათხუთმეტ წელს, არაკინ იცის, მე კი ვიცი. ჩემის აზრით, ადამიანი ამდენ წელს, მე ვიტყოდი, ასე ცოტა ხანს, იმიტომ ცოცხლობს, რომ ყველა, გეგონება, მოილაპარაკესო, სამოცდაათი წლის ადამიანს თვლის მოხუცად. ორი წლისა ჩვილია, ათისა — ბიჭია, ჩვიდმეტისა — ჭაბუკია, ოცდაათისა — დიდი კაცია, ორმოცდაათისა და სამოცისა — ხანში შესულია, სამოცდაათისა და სამოცდათხუთმეტისა — უკვე მოხუცია.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ადამიანებმა რომ არ იცოდნენ, სამოცდაათისა და სამოცდათხუთმეტი წლის ადამიანი მოხუცია, მაშინ ამ ასაკში თავს დაბერებულად არ იგრძნობდნენ და არც მოხუცები იქნებოდნენ. ჩემი ღრმა რწმენით, ახალშობილი რომ დედამიწიდან რომელიმე სხვა პლანეტაზე გადავიყვანოთ, სადაც ადამიანები, ვთქვათ, ათას წლამდე ცოცხლობენ და სადაც ჩვილს არ ეცოდინება, რომ სამოცდაათი წლისა უკვე მოხუცი იქნება, მაშინ ეს ახალშობილი ათას წელს იცოცხლებს“. ამ სიტყვებით მოვწყვეტდი თვალს ჩემ ნაწერს, გამარჯვებული მივაჩერდებოდი ჩემს მშობლებს, თან ვეტყოდი: „ახლა თქვენთვის გასაგებია, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე დასმულ შეკითხვას რატომ ვუპასუხებ, არ ვიცი-მეთქი“.

ჩამოვარდებოდა დუმილი, ამ დროს დედა ფეხზე წამოიკრებოდა, ტაშს შემოჰკრავდა და შესძახებდა:

„ღმერთო ჩემო! ეს ხომ მთელი მეცნიერული აღმოჩენაა! ეს ხომ სენსაციაა! ახლა კი მესმის, რატომ ვგრძნობ თავს უკეთესად, როცა წლოვანებას ვიკლებ ხოლმე!“

„სისულელეა, — იტყოდა მამა. — ეს აღმოჩენა კი არ არის, ვირული, ვირული სიჯიუტეა, ვთქვათ და, მართლა გაქვს საკუთარი აზრი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, „არ ვიცის“ ნუკი ამბობ, ხმამაღლა გამოთქვი მასწავლებლებთან შენი აზრი! საერთოდ, ახლა ამაზე არ არის ლაპარაკი, ლაპარაკია ჩემი შვილის უმსგავს საქციელზე სკოლაში! მე მინდა ვიცოდე, ბოლოს და ბოლოს,

რა მოსდის ჩემს შვილს! შეძლება თუ არ ვიცოდე, რა მოსდის ჩემს შვილს?!"

ჰოდა, რომ ვიკარაუდე მამას დამოკიდებულება ჩემი აღმოჩენის მიმართ, ამიტომაც, არ წავიკითხე ჩანაწერი და ერთხელ კიდევ ვთქვი: „არ ვიცი!"

— მორჩა, — თქვა მამამ, — მე უკვე აღარ შესურს ამ საძაგელ ბიჭთან ლაპარაკი!

სანამ გამოეთავდი და გაღავასვლიდი მაგნიტოფონს, მამა ძალიან ნერვიულად წერდა რაღაცას დღიურში. ხელიც ძალიან ნერვიულად მოაწერა და უხმოდ გამომიწოდა დღიური. მეც უხმოდ, მაგრამ, რა თქმა უნდა, სრულიად მშვიდად გამოვართვი და ოთახიდან გამოვედი. კარი რომ მიეხურე, გავიგონე — მამამ დედას უთხრა:

— აღარ ვიცი, რომელ ერთს მოვიაროთ: შენ თუ იმას!

უკეთეს ფრაზას მამა ვერ მოიგონებდა და ახლავე მოგახსენებთ, რატომაც, ოღონდ ჯერ წაგიკითხავთ, დღიურში რა ჩაწერა:

„უნდა გაცნობოთ, რომ ჩემი შვილი შინ არა ნაკლებ ცუდად იქცევა, ვიდრე სკოლაში. ალბათ, ჩვენ, თქვენთან ერთად, რაღაც ზომებს უნდა მივმართოთ".

ეს ჩანაწერი რომ წავიკითხე, ველარ მოვითმინე და ჩემი ოთახიდან სასადილოში გამოვედი. მამა ჯერ კიდევ მაგიდასთან იჯდა და რაღაც წამლებს სვამდა.

— არსებობენ ადამიანები, — ვთქვი მე, — არსებობენ ადამიანები, რომლებიც საფრთხის დროს რვაფეხასავით მზად არიან, მსგავსად ამ ამ უსუსური სიტყვებისა, მელნის ფარდა აიფარონ: „უნდა გაცნობოთ, რომ ჩემი შვილი შინ არა ნაკლებ ცუდად იქცევა, ვიდრე სკოლაში, ალბათ, ჩვენ, თქვენთან ერთად, რაღაც ზომებს უნდა მივმართოთ". და ასე შემდეგ.

სხვათა შორის, ცნობას ბიონიკიდან გაწვდით. საინტერესო რამეა: რვაფეხასაგან გადმონთხეული მელნისებრი სითხე არა მარტო იფარავს მას, შხამიანიცაა და სამტროდ ადევნებულ თევზებს რაღაც გარკვეული დროით ყნოსვას უდამბლავებს: რომც გადაწყდნენ, მაშინაც ვერ სცნობენ რვაფეხას. — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ ვთქვი, რომ ჩემი ერუდიციით გამეოცებინა და გამეოგნებინა მამა, რასაც ფიქმის მივაღწიე.

— არსებობენ ადამიანები, — გაიმეორა ჩემი სიტყვები გაოცებულმა და გაოგნებულმა მამამ, — რომლებიც მზად არიან, საკუთარ მშობელს რვაფეხა უწოდონ, — რის შემდეგაც ისტერიკა დაეწყო.

სამწუხაროდ, მეც თითქოს რაღაცნაირად მოვეშვი; თუ, არ ვიცი, ცოტათი დავიღალე, — თავი ვერ შევიკავე და ავპილპილდი. — მორჩა! უარს ვამბობ... მე ასეთ პირობებში არ შემიძლია!. დაე სხვებმა შეასრულონ ეს დავალება!.. მე უარს ვამბობ!.. ბოლოს და ბოლოს, მეცა მაქვს წერვები, რა თქმა უნდა, არც რკინისა და არც ფოლადის, აი იმისი.. ტიტანისა მაქვს, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც ნერვებია!

გამძვინვარებული შევვარდი ჩემს ოთახში, დედაც შემოვარდა. ვბობოქრობდი და თან მაჯას ვისინჯავდი. პულსი, როგორც ყოველთვის, ორმოცდათორმეტი მქონდა.

— სხვას დაავალონ ეს ყველაზე უფრო... ეს ყველაფერი!...

— ნამდვილად, — კვერი დამიკრა დედამ, — მართლა სხვას დაავალონ ეს ყველაფერი!

მე ჩავფიქრდი და ვთქვი:

— არა, სხვას ვერ იპოვიან, სხვას, რა თქმა უნდა, ვერ იპოვიან. მე კი ვერ შევძლებ... ასეთ პირობებში სრულებით რომ არ ესმით ჩემი! და ვერავინაც ვერ შეძლებს ასეთ პირობებში! ჰოდა სწორედ იმიტომ, რომ ვერავინ ვერ შეძლებს ასეთ პირობებში, ერთადერთ იმედად მელა ვრჩები! სწორედ იმიტომ, რომ ვერავინ შეძლებს და მე შევძლებ! ამიტომ ყველაფერი გრძელდება! მე განვაგრძობ! დედა, შენ თავისუფალი ხარ! ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა!

დედამ მაკოცა, თითისწვერებზე გავიდა ოთახიდან. სასადილოში შესვლისთანავე დამიწყო ლაცვა.

— თუ ჩემი არ გჯერა. — ეუბნებოდა ის მამას, — მაშინ მისმინე, რას წერს ჟურნალი მსგავსი შემთხვევის გამო.

„... დაურწმუნებლობა ცხოვრებას ართულებს, წარმატებას აბრკოლებს. ვისაც თავისი თავის რწმენა აქვს, უფრო მეტს აღწევს. იმიტომ, რომ რწმენას ჩვეულებრივ თან სდევს ეგრეთ წოდებული სტენიური ემოციები („სტენოს“ ბერძნული სიტყვაა და „ძალას“ ნიშნავს), რაც აძლიერებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიურ შესაძლებლობებს. მაგალითად, თუ სპორტსმენს თავისი ძალისა არ სწამს, ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებს. მოწინააღმდეგის ძალების გადაჭარბებულ შეფასებას და საკუთარ შესაძლებლობათა ვერშეფასებას თითქმის მუდამ დამარცხებისკენ მივყავართ“.

— ეს ყველაფერი კარგი, — თქვა მამამ, — ახლა შენ მომისმინე. უკიდურესობებს თავი უნდა არიდოს ადამიანმა. — და ახლა მან წაუკითხა დედას, ალბათ, სხვა ჟურნალიდან: — „მაგრამ თუ რწმენა გადაჭარბებულია და არ შეესაბამება შესაძლებლობებს, მაშინ იგი

უკვე პიროვნების უარყოფით თვისებად იქცევა და თვითდაჯერებაში გადაიზრდება. თვითდაჯერებული ადამიანი ისეთ საქმეს ჰკიდებს ხელს, რომლისთვისაც საერთოდ არ გამოდგება, ან არ არის მომზადებული. ის, ვინც თავის თავს გადაჭარბებით აფასებს, გამოირჩევა ბაქიაობით და თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. ასეთებს ცოტა ზიანი როდი მოაქვთ".

— არა, ეს შეუძლებელია, — ვთქვი ხმამაღლა. — თითქოს ყველამ პირი შეკრა, რომ როგორმე ჩამიშალონ წამებით განსაზღვრული განრიგი და ჩემი ცხოვრების გეგმა. ახლა ჩემს ცხოვრებას წინასწარ კი არა, მერე დაგეგმავ: ესე იგი, ჯერ საქმეს გავაკეთებ და მერე ჩავწერ ბორტჟურნალში.

აი ახლა ძილის დროა და აქამდეც დაეიძინებდი, მამაჩემს ეს კინკლაობა რომ არ გაემართა. ახლა კი მაგნიტოფონის ჩანაწერი უნდა მოვისმინო, — ჩემი ეგრეთ წოდებული საუბარი მამასთან; მერე მოგონებებიც უნდა ჩავწერო დაშიფრული ტექსტით. კარგი იქნებოდა, მამასთვის მეთხოვნა, დღევანდელი სცენის ტექსტის ქვეშ ხელი მოეწერა და დაედასტურებინა, რომ ყველაფერი ზუსტად ასე იყო. მაგრამ ტექსტი ხომ შიფრით იქნება დაწერილი და, მამა რომ დახედავს, ალბათ, იფეთქებს: „რას მჩრი ამ რაღაც ჩინურ ანბანსო..." და ასე შემდეგ. არა უშავს, ხელმოუწერლადაც იოლად გავალთ, მით უმეტეს, რომ მთელი საუბარი მაგნიტოფონზეა ჩაწერილი.

აი, მაგნიტოფონის ფირფიტა ამხელს ტყუილის მთქმელს, ძვირფასო შთამომავალნო! გადავახვიე ფირფიტა და ფირფიტასაკრავის კლავიშს ხელი დავაჭირე, მაგრამ მაგნიტოფონმა ხმა არ ამოიღო. ესე იგი, სადღაც რაღაცამ არ იმუშავა. ნუთუ ამდენი დრო ტყუილად დავკარგე? ხომ არ ჯობს ვთხოვო მამას, კიდევ მომიწყოს ასეთივე სცენა — საგანგებოდ, შთამომავლობისათვის, იმათ ხომ შეიძლება, არ დაიჯერონ, რომ მე ვცხოვრობდი, ვსწავლობდი და ვემზადებოდი ასეთ არაადამიანურ პირობებში, სრული ურთიერთგაუგებლობის გარემოში. ყური მივუგდე. მამას ისევ ეღვიძა. კედლის მიღმა მკაფიოდ ისმოდა მისი ხმა:

— „წარმოიდგინეთ თუნდაც თვითდარწმუნებული ახალგაზრდა ექიმი. მას აზრადაც არ მოუვა, რომ მის მიერ დასმული დიაგნოზი შეამოწმოს, რჩევა სთხოვოს გამოცდილ კოლეგებს. ამის შედეგად ავადმყოფობა არასწორად იქნა დადგენილი, მკურნალობაც არასწორად დაენიშნა ავადმყოფს. ისედაც, აბა, რა სასიამოვნოა თვითდაჯერებულ ადამიანებთან ურთიერთობა? მათ გვერდით ცხოვრება და მუშაობა?.."

„საინტერესოა, ექიმებზე რაღატომ დაიწყო ლაპარაკი მამამ",— გავიფიქრე მე.

ხელახლა მოვამზადე მაგნიტოფონი ჩასაწერად და შევამოწმე:

— ერთი-ორი-სამი! ერთი-ორი-სამი! ვამოწმებ! ვამოწმებ!

ხმას მოვუსმინე, ყველაფერი რიგზე იყო. სასადილოში გავედი...

მოგონება მეათე

მისი უდიდებულესობა — ადამიანური ელექტრობა

სასადილოში მამა მართლა უკითხავდა დედას რომელიღაც ჟურნალს:

„— მათთან ურთიერთობა ძნელია. მათ მუდამ ყველაფერი იციან, თვითკრიტიკა არ ეხერხებათ, შეკამათებას ვერ იტანენ, მოსაუბრეს სიტყვას აწყვეტინებენ, ვერასოდეს ამჩნევენ, როგორ გაანაწყენეს და დაამცირეს ამხანაგი. თვითდაჯერებას ხანდახან თუ წარმატება მოაქვს, ეს შემთხვევითია, ამ წარმატებას მყარი საფუძველი არა აქვს და ნუ შეგვეხარბება".

არ დაველოდე, როდის მორჩებოდა მამა კითხვას, და ვთქვი:

— მამა, უნდა გავიმეოროთ!

— რა უნდა გავიმეოროთ? — გაოცდა იგი.

— სცენა. — ავუხსენი მე.

— რომელი სცენა?

— კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ ის სცენა, აქ რომ მომიწყვე, — ვთქვი მე.

— რომელი სცენა? — კიდევ მკითხა მამამ და გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა. — სცენას რას ეძახი?

— ის იმას... ეს-ეს არის აქ, სასადილო ოთახში რომ გავითამაშეთ, — ავუხსენი მე. — დიახ, სცენას ვეძახი, და უნდა გავიმეოროთ სიტყვა-სიტყვით.

— როგორ გავიმეოროთ? — კიდევ უფრო მეტად გაოცდა მამა. — რატომ უნდა გავიმეოროთ?

— რატომ და. მაგნიტოფონის ფირზე არ ჩაიწერა, მე ახლა ალვადგენ ჩვენს ყველა რეპლიკას და ყველაფერს თავიდან გავიმეორებთ.

მაგიდას მივუჯექი და, როგორც ყოველთვის, სამი საქმის ერთად გაკეთებას შეეუდექი (ვწერდი, მამას ველაპარაკებოდი, მარცხენა ხელით ტუნისის ბურთს ვსრესდი). ეწერდი და ვცდილობდი, სიტყვასიტყვით აღმოდგინა ყველაფერი, რაც მაგიდასთან მსხდომებმა ვილაპარაკეთ.

მე საერთოდ შემიძლია, მარცხენა და მარჯვენა ხელით ერთდროულად ეწერო, თანაც, სრულიად სხვადასხვა შინაარსის ტექსტი, მაგრამ ეს რომ გამეკეთებინა, მაშინ მამას სულ მთლად ჭკუიდან შევშლიდი. ამიტომ ეწერდი სწრაფად, მაგრამ როგორც წესი და რიგია, — მარჯვენა ხელით.

სწრაფად აღვადგინე ჩვენი საუბრის ტექსტი, ფურცელი მამას მივაწოდე და ვუთხარი:

— აქ ყველაფერია, რასაც შენ მეუბნებოდი, მხოლოდ ჩაწერის წინ მამის როლი კარგად უნდა დაისწავლო.

— რომელი როლი? რომელი მამის? რომელი ჩაწერის წინ? — ვერაფერი გაიგო მამას.

— აკი აგიხსენი, — მოთმინებით ვთქვი მე. — მამა, ოღონდ შეეცადე. სიტყვები რაც შეიძლება მეტი სიმკაცრით და მკაფიოდ წარმოთქვა... საერთოდ კომფლიქტური იყავი, — ეურჩიე მე, — სერიოზულად შეშფოთებულ.

— როგორ? — იყვირა მამამ. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მე ჩვენი საუბრის მაგნიტოფონზე ჩაწერას ვაპირებდი. — ჩემს საკუთარ სახლში ჩემი საკუთარი შვილი მწერს მაგნიტოფონზე, ამასთან ერთად რეჟისორობასაც მიწევს და ჩემს სიტყვებს რეპლიკებად თვლის, თან მასწავლის, რა უნდა ვთქვა და როგორ უნდა ვილაპარაკო?! დღეს მაგნიტოფონზე მწერენ, ხვალ... — სიტყვა „ხვალზე“ მამას კინაღამ სული შეეხუთა. — ხვალ კი, შეიძლება, კინოფირზეც გადამიღონ?!

— ერთი წუთით, — ვთქვი მე, თან ორი საქმის ერთად კეთება (წერა და მარცხენა ხელით კუნთის გაკაჟება) შეეწყვიტე. მამას აზრი მომეწონა.

მე თვითონ როგორ არ მომიფიქრა აზრად გადამეღო დოკუმენტური ფილმი ჩემს ცხოვრებაზე. გადაღებული და გახმოვანებული ფილმი! რა შეიძლება იყოს ამაზე საოცარ!

— ერთი წუთით! — შეეკითხე მე. — მშვენიერი აზრია! მამა, დღეს შეგიძლია დაიძინო, ხვალ კი ამ სცენას გადავიღებთ და გავახმოვანებთ კიდეკაც!

— ხვალ ვადავიღებთ?! — იყვირა მამამ. — აი, მე კი არა მჯერა, რომ რატომღაც და რეჟისორისთვის დღესვე, ახლავე არ მიღებენ!..— ამ სიტყვებით სკამიდან წამოვარდა, თავში იტაცა ხელები და თა-

ვის ოთახში მიიმალა. — არა, მარტო მე ამათთან ვერაფერს ვერ გავხდები, — მოისმა მისი ხმა, მერე მოულოდნელად ნახევრად გაღებულ კარში თავი შემოყო და თქვა: — იცოდე, ახლავე დავურეკავ ჩვენს ყველა ნათესავს. მარტო ვერ მოგერიე, ვერ გერევი და ვერც ვერასოდეს მოგერევი! აი, ახლავე დავურეკავ ბიძაშენს, პეტრეს, ძია მიშას და ძია სენიას, ჰოდა მაშინ ნახავ შენს სეირს! შენი ბიძების დახმარებით კი მოგიგრიხავ მაგ კისერს!

— ეს სიტყვებიც და ეს სცენაც უნდა ჩაიწეროს და გადაღებულ იქნას ფირზე, — ვთქვი მე, მერე ჩავილაპარაკე, — არა უშავს, ხვალ გადავიღებთ, რაკი ვთქვი, გადავიღებთ-მეთქი, ესე იგი, გადავიღებთ. — ამ სიტყვებით ჩემი ოთახისაკენ გავემართე. — რაც შეეხება დახმარებას... საინტერესოც არის, როგორ მოახერხებთ ამას და რას მიაღწევთ?

— სხვათა შორის, — გამოცოცხლდა მამა კარის მიღმა, — არ მინდოდა შენთვის მეთქვა, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ პეტრე ძიასთან ერთად მისი ნაცნობიც მოვა, რომელმაც შეიძლება შთაგაგონოს ზოგიერთი სასარგებლო აზრი!..

აქ მამას სიტყვა შევაწყვეტინე და ხმამაღლა ვთქვი:

— მამა, ნუთუ შენ გჯერა, რომ...

— მე მინდა მჯეროდეს! მინდა მჯეროდეს მაინც! — იყვირა მამამ კედლის მიღმა, ფიზიკურად რომ მაგრძნობინებდა გაუგებრობას, ამ ბოლო დროს მე და მამა ერთმანეთს რომ დაგვაშორა. მაგრამ საქმე კედელი არ იყო, არც ძია პეტრეს ნაცნობი, აი, რაც შეეხება შთაგონებას, უფრო სწორად, კონტრშთაგონებას, ამაზე სერიოზული დაფიქრება მმართებდა. უცხო პლანეტელებმა ჩემთან შეხვედრისას შეიძლება მოისურვონ, როგორც დედამიწის ცივილიზაციის წარმომადგენელს, რაიმე არადედამიწური შთამაგონონ, საამისოდ ზოგი რამ მოვიმარაგე. ზოგი რამ, ზოგი რამ! წიგნის თაროსთან მივედი და მედიცინის კანდიდატის ბროშურა — „შთაგონება მედიცინაში“ — გადმოვიღე, „შესაძლებელია, ძია პეტრეს ნაცნობს, რომელსაც, მამას აზრით, შესწევს უნარი სასარგებლო აზრები შთამაგონოს, რაიმე კავშირი აქვს მედიცინასთან, — გავიფიქრე მე. — არა უშავს, შევამოწმებთ, რა კავშირი აქვთ ამხანაგ ნათესავებს შთაგონებასთან“. ავდექი, სასადილო ოთახის კარი შევაღე და ვკითხე მამას:

— ერთი ეს მითხარი, მამა, — რომელი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა ძია პეტრემ?..

— ლომონოსოვის სახელობის ნატიფი ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტი, — თქვა მამამ.

— ძია მიშამ?

— ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია.

— ძია სენიამ?

— ჟუკოვსკის სახელობის საჰაერო აკადემია. რაში გჭირდება ამის ცოდნა?

— გაიგებთ, — ვუთხარი მე.

— ოცდახუთი წლის მერე? — მკითხა მამამ.

— ამჯერად უფრო აღრე, — მივუგე მე.

„ლომონოსოვის სახელობის ნატიფი ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტი... სასოფლო-სამეურნეო და საჰაერო აკადემია...“ — გავიმეორე ჩემთვის და აივანს გავხედე. მომეჩვენა, რომ აივნის კარის მინის იქით ვიღაცის ჩრდილმა გაიელვა, მაგრამ ამისთვის მნიშვნელობა არ მიმიცია. გავიზმორე და ვთქვი:

— დღეც ამას ჰქვია! ერთი ისღა მაკლია, ლექსები აღმოვაჩინო სადმე. აი ახლა გადავწევ საბანს და ზეწარზე ფურცელი იდება, ზედ კი ლექსი იქნება დაწერილი.

გადავწიე საბანი და მართლაც დავინახე, ზეწარზე ფურცელი იდო, რომელზედაც სიტყვები იყო ჩამოწიკწიკებული. ასე მხოლოდ ლექსებს წერენ...

— კეთილი, წავიკითხავ, — ვთქვი და მშვიდად და ხმამაღლა წავიკითხე:

ხელი მოკიდე საქმეს,
მაგრამ არ გამოგდის, ეტყობ...
თან ჯავრობ, თან მარჩიელობ:
„ნეტავი რატომ, რატომ?..“

ეს იმიტომ, რომ ჯერაც
არ იცი და არ გჯერა,
რომ შენ არა ფლობ დენს,
რომ შენ გაკლია წრთობა,
მისი უდიდებულესობა —
ადამიანური ელექტრობა.

ხშირად იმეორებ ზანტად:
„საქმე ვერ გამოდის, ეტყობ!
მაინც რატომ ხდება ასე?
ნეტავი რატომ, რატომ?“

ეს იმიტომ, რომ ჯერაც
არ იცი და არ გჯერა,
რომ შენ არა ფლობ დენს,
რომ შენ გაკლია წრთობა,
მისი უდიდებულესობა —
ადამიანური ელექტრობა.

სხვათა შორის, ეს ელექტრობაზე დაწერილი ბოლო ლექსი ყველაზე ძალიან მომეწონა. თითქოს ვიღაც ჩემს ფიქრებს უგდებს ყურსა. თითქოს ჩემი ტვინიდან ფარულად ერცელდება ინფორმაცია.

ამ რამდენიმე ღღის წინ, სწორედ ბუნებისმეტყველების ვაკეთილზე, სულ ელექტრულ სკაროსზე ვფიქრობდი. ცნობა საბჭოთა დიდი ენციკლოპედიიდან ზეპირად მომყავს: სკაროსი (სკანდინავიურიდანაა) — ზვიგენისებრთა თევზებს განეკუთვნება. კანი შიშველი აქვს ან ქაცვიანი. მისი ჩონჩხი ხრტილოვანია. თავი და ტანი შებრტყელებული აქვს მუცლისა და ზურგის გაყოლებაზე. სიგრძით სამი მეტრია, ას კილოგრამს იწონის. ელექტრულ სკაროსთა ოჯახი... ესეც თქვენ, მისი უდიდებულესობა — სკაროსის ელექტრობა მას აქვს ელექტრული ორგანოები და ეს ორგანოები განლაგებულია თავის აქეთ-იქით მხარეს. მათი დენის ძაბვა სამას ვოლტს აღწევს, დენის ძალა შვიდი-რვა ამპერია. ერთი მითხარით, ამხანაგო შთამომავალნო, რაღ უნდა სკაროსს ელექტრობა. თუ სადმე სამართალია, ელექტრობას უნდა ფლობდეს ბუნების მეფე ᲞᲡᲘᲞ-1 ტიპის ადამიანი, ჰოდა, დავდივარ და ვფიქრობ, სად და როგორ განლაგდეს ადამიანის სხეულში ეს ელექტრული ორგანოები? მე მგონი, უმჯობესია — მარჯვენა და მარცხენა ხელის ქვემოთ, გვერდებზე (იხილეთ ᲞᲡᲘᲞ-ის სხეულის ნახაზი ჩემს ბორტჟურნალში!) მე, მაშასადამე, დავდივარ, თავს ვიმტვრევ და ვხარჯავ ჩემს ადამიანურ ელექტრობას, სამაგიეროდ კი ამისთანა ლექსს მიწერენ:

ხელი მოჰკიდე საქმეს,
შაგრამ არ გამოგდის, ატყობ...

ეს იმიტომ, რომ ჯერაც
არ იცი და არ გჯერა.
რომ შენ არა ფლობ ღენს,
რომ შენ გაკლია წრთობა,
მისი უდიდებულესობა —
ადამიანური ელექტრობა.

ეს როგორიღაა:

მიდიხარ ლაშქრად,
გეიჩვენე სახე?!

თვითონ კი... ანონიმური ლექსების უნიკო მჯღაბნელები! საცოდავი მობულიღაიები! კი არ ვილანძღები, ამხანაგო შთამომავალნო, მობულიდაი — ეს ნიშნავს სკაროსს. ᲩᲦვის ეშმაკს, მაშასადამე, მობულიდაი — ᲩᲦვის ეშმაკია. „მობულიდაი!“ — შევძახე და აივანზე გავედი.

ივანზე გასულს მოეჩვენა, რომ ჩემი მეზობელი, ყანტორა კოლესნიკოვი, თავის ივნის მოაჯირს ამოფარებული, დურბინდით უთვალთვალებდა ჩვენს ოთახს.

— მხდალები! — უფრო ხმამაღლა დავიძახე. — მხდალები! მე მწერენ: „მიდისარ ლაშქრად. გვიჩვენე სახე — ან მამაცთა წესი!" — თვითონ კი...—ვთქვი და ოთახში შევბრუნდი,—მალულად თავ ანთ შეთითხნილ ცალკეულ ლექსებს ისერიან! თუ შეგიძლიათ, ნაწარმოებთა სრული კრებული მესროლეთ!

სიტყვაზე „მესროლეთ!" ქალი გაიღიმა, შეშინებულმა მამამ თავი შემოყო და ისევ მიიმალა.

— მე არ მეშინია! ჩედოზემპრს ამქვეყნად არაფრის არ ეშინია. მას ეშინია მხოლოდ ერთისა: გა-უ-გებ-ლო-ბი-სა!

როგორც ჩედოზემპრი, მე ასე ვფიქრობ: თუ ადამიანებს შორის ურთიერთგაგებაა, მაშინ ეს ურთიერთგაგება სრული უნდა იყოს! თუ ურთიერთგაგება არა აქვთ და აქვთ სრული ურთიერთგაუგებლობა, — მით უკეთესი! ბოლოს და ბოლოს, ჩედოზემპრმა უნდა გაუძლოს არა მარტო ფიზიკურ, არამედ მორალურ დატვირთვასაც. დაე ძნელად მიაღწიოს ყველაფერს, სამაგიეროდ პრესკონფერენციაზე ექნება მოსაგონარი.

ბაზეთ „იზვესტიას" სპეციალური კორესპონდენტი ეკითხება ზეკოსმონავტ ივანოვს: ამხანაგო ივანოვ, ამბობენ, რომ ბავშვობაში ძნელ პირობებში გიხდებოდათ ვარჯიში და გარემოცული იყავით. ასე ვთქვათ, ისეთი უფროსი ადამიანებით, რომელთაც რამდენადმე არ ესმოდათ თქვენი: მართალია ეს?

ზეკოსმონავტ ივანოვის პასუხი: რაც იყო, იყო, არ დავიმალავთ! არსებობს დოკუმენტები. მე მხედველობაში მაქვს სასკოლო დღიური კლასის ხელმძღვანელისა და მამას რეზოლუციებით! არსებობს მაგნიტოფონზე ჩანაწერი... (სიცილი!) არსებობს დოკუმენტური ფილმებიც... (აპლოდისმენტები.).

ნიუ-იორკის ბაზეთ „ტაიმსის" სპეციალური კორესპონდენტი ეკითხება ზეკოსმონავტ ივანოვს: ბატონო ივანოვ, ამბობენ, რომ თქვენ მსოფლიოში ერთადერთი და მსოფლიოში პირველი ჩედოზემპრი, პსიპი და სვერკსი ხართ და ამას მიაღწიეთ იმით, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში საგანგებო, თქვენივე შემუშავებული ვარჯიშის კურსი გაიარეთ? ხომ არ გვიამბობთ, რაში გამოიხატებოდა ამ ვარჯიშთა საიდუმლოება?

პასუხი ზეკოსმონავტ, ჩედოზემპრ და პსიპ ივანოვისა: მოვა დრო და ყველაფერს გიამბობთ! (სიცილი, აპლოდისმენტები.)

კიდევ რაღაც შეკითხვები „მომცეს, მაგრამ ეს უკვე მაშინ, როცა მეძინა.

ჩვეულებრივ ძალიან მალე ჩამეძინება ხოლმე და არავითარ სიზმრებს არა ვხედავ, მაგრამ ამჯერად რატომღაც, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ჩვეულებრივ მხოლოდ პირველმა ნახევარმა ჩაიარა, ესე იგი, როგორც ყოველთვის, დავიძინე სწრაფად, მაგრამ სულ მალე, პირველად ჩემს სიცოცხლეში, დამესიზმრა უცნაური სიზმარი (საიდან გავიგე, რომ „მალე", ამას მოგვიანებით აგიხსნით).

დამესიზმრა, ვითომ, როგორც ყოველთვის, იზმაილოვის პარკში კარუსელებზე (ცენტრიფუგის მაგივრად) სავარჯიშოდ მივდივარ. მივდივარ ნორმალურად, თითქოს ცხადში ვიყო, ისე. აქეთ-იქით ვიცქირები, ხომ არავინ მითვალთვალებს-მეთქი. უეცრად კოლესნიკოვი შემომხვდა და მეკითხება: „რას მოუხშირე პარკში სიარულს?". პასუხი არ გამიცია, გვერდით ისე ჩავუარე. მივიხედე. ყინტორა კოლესნიკოვს თავი ჩემკენ ასოთხმოცი გრადუსით მოუბრუნებია (როგორც სინამდვილეში იცის ხოლმე!). მე თითი დავუქნიე! მაშინ კისერი მთელი სამას სამოცი გრადუსით მიატრიალა (ეს, რასაკვირველია, სიზმარში!) და გაქრა. მერე მივედი სალაროსთან ბილეთის საყიდლად. მოლარის მაგივრად სალაროში ჩვენი კლასელი ზის... აი ის, სტიუარდესად რომ შეიძლება გამოდგეს კოსმოსში. მაგრამ მე მაინც, როგორც ვეფხვი, გამჭოლ ვუყურებ და უხმოდ ვაწვდი სარკმელში ფულს. ის კი ანაზდად მეუბნება: „დღეს თქვენ, ივანოვ, უფულოდ შებრძანდით!" მე ვუპასუხებ: „ძალიან კარგი". მივდივარ კუტიკართან, ვხედავ, კონტროლიორის მაგივრად მასლოვი დგას ფიზიკოსებთან და ლირიკოსებთან ერთად. საბავშვო კარუსელის მაგივრად კი მესერს იქით ნამდვილი ცენტრიფუგა დგას, — გრძელი, ჰორიზონტალური ბერკეტი, ერთ ბოლოში საპირწონე აქვს, მეორე ბოლოში კი — რაღაც უცნაური ფორმის კოსმონავტის კაბინა. მე, რა თქმა უნდა, გულში ცოტათი, ძალიან შეუმჩნეველად გამიკვირდა, მივუახლოვდი ცენტრიფუგას (როგორც კატა — აკვარიუმს), შევათვალიერე. უცნაური კაბინაა. საზღვარგარეთული ხომ არ არის-მეთქი, გავიფიქრე, წინ ოთხი ნეკნი აქვს და რაღაც დიდი შვერილი. „აბა, ივანოვ, — მეკითხება მასლოვი, — როგორ ფიქრობ, რომელი ფირმის ცენტრიფუგაა?" მაგრამ მე ამ უბრალო შეკითხვაზე ვერ ჩამჭრი. ცენტრიფუგებში დიდივით კარგად ვერკვევი, და არა მხოლოდ სიზმარში, როგორც მასლოვი. „ეს ცენტრიფუგა, — ვეუბნები მე, — უფრო ამერიკული ფირმის „ლოკხიდისაა!" ლირიკოსებმა და ფიზიკოსებმა ხარხარი ატეხეს. მასლოვმა კი უცებ ისე ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, გეგონება, გაგან-

ტური მეგაფონი ედგა წინ და მთელ ქვეყანაზე თავის მოკრას მი-ბირებდა: „ლოკხიდის“ ფირმისა კი არ არის, „ფიგანიმისაა“, ამი-ტომ ცენტრიფუგა კი არა, ცენ-ტრი-ფი-გა უწოდება!“ მე განრის-ხებული შევეცქერი კაბინას და ვსედავ: ოთხი ნეკნი ეს თერმე ოთხი მოხრილი თითია, დიდი შვერილი კი — ბრაწია. ესე ვგი, მასლოვმა სწორად განმიმარტა.. მართლაც, ეს ყველაფერი ცენტრიფუგა კი არ არის, არამედ სამარცხვინო ცენ-ტრი-ფი-გა! ირგვლივ კი ყველანი სიცილისაგან იხოცებიან. რეპლიკებს მესვრიან: „დაჯექი, ივანოვ! მაინც უფასოა!“ „ხუთჯერ აძლიერებს დატვირთვას!..“

მაშ ასე, ეს ლირიკოსები და ფიზიკოსები ძილშიც აღარ მასვე-ნებენ?.. ეს რომ გავიფიქრე, ვეცი ყველას და სათითაოდ ცენ-ტრი-ფი-გას ღობის იქით გადავუშვი. ამ წუთს მხოლოდ ერთზე ვფიქ-რობდი: ჩემი კლასის დამრიგებელი არ დამსიზმრებოდა. დამესიზმ-რებოდა და, ამ ჩენეზემპრებისთვის ანგარიშის გასწორებაში ხელს შემიშლიდა. მართალია, სიზმარში, მაგრამ მაინც შემიშლიდა ხელს. საბედნიეროდ, არ დამესიზმრა. მხოლოდ მასლოვმა, მკერდში ხელი რომ ვტაცე, რატომღაც მამას ხმაზე თქვა: „ისევ იმ სიზმარშია!“— რაც ძალა მქონდა, მოვიქნიე ხელი, რომ მასლოვისთვის გამეცხო, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ხელი დამიჭირა. მასთან, ეს ვიღაც სიზ-მარში არ იყო, რადგან სიზმარში რომ მივიხედ-მოვიხედე, ვიგრძე-ნი, ვიღაცას ვეჭირე, მაგრამ ვერ დავინახე — ვის. მაშინ განზრახ გავიღვიძე, რომ გავსწორებოდი იმას, ვინც მიჭერდა... თვალი გაეა-ხილე და... მამა დავინახე. ეს მამას ეჭირა ცხადში ჩემი ხელი, რომ მასლოვს ვერ გავსწორებოდი.

— ისევ იმ სიზმარშია, — ლმობიერად თქვა მამამ და ხელი გა-მიშვა. — შეგიძლია დატკბე, — უთხრა მან დედას, — ახლა მარ-ტო ცხადში კი არა, — სიზმარშიც ჩხუბობს!..

— ჩედოზემპრი იური ივანოვი თავის ყოველ საქციელს კონტ-როლს უწევს ცხადში, მაგრამ ამის მერე მე უნდა შევეცადო, ჩემი თავი ხელში ავიყვანო სიზმარშიც, — ვთქვი თავის მართლების მიზ-ნით.

— სიზმარში? — შეჰყვირა მამამ. — შენ ცხადში...

უცებ თავში მომივიდა ძალიან უბრალო და თანაც, მე ვიტყო-დი, გენიალური აზრი: „რა იქნება, მივაღწიო იმას, ძილში ვიფიზ-ლო, სიფხიზლეში კი დავიძინო?“ პერსპექტივისაგან, ეს აზრი რომ აღმოთქვამდა, სუნთქვაც კი შემეკრა. მარტო ამით შემეძლო, სა-მოცდათხუთმეტი წლით გამეხანგრძლივებინა სიცოცხლე! ჩვენ ხომ საშუალოდ სამოცდათხუთმეტ წელს ვატარებთ ცხადში, სამოცდა-თხუთმეტს კი — ძილში! 75+75=150 წელი! მინდოდა მომეგონე-

ბინა. იყო თუ არა ბუნებაში არსება, რომელიც ძილის დროს მუშაობს, მუშაობის დროს კი სძინავს. ჩემს ენციკლოპედიურ ცოდნაში ნამდვილად იყო რაღაც „თეთრი ლაქა". არსებობს, რა თქმა უნდა, ანაბიოზი. ანაბიოზი ეს ორგანიზმის მდგომარეობაა, რომლის დროსაც სასიცოცხლო პროცესები იმდენად შენელებულია, რომ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ჩანს. ანაბიოზი შეიმჩნევა საარსებო პირობების მკვეთრი გაუარესების დროს (დაბალი ტემპერატურა, უწყლობა) ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთანავე ორგანიზმში ხდება სასიცოცხლო პროცესების აღდგენა.

არა, ანაბიოზი — ეს არის ორგანიზმის უმოქმედო მდგომარეობა. ვთქვათ და, ანაბიოზისაგან... ვთქვათ და, ანაბიოზი დაგემარა, მაგრამ... მაგრამ შენ არ გძინავს! მოძრაობ, ლაპარაკობ, დადიხარ გახელილი თვალებით, მეცადინეობ, რაღაცას აკეთებ, მაგრამ ამავე დროს გძინავს. ეს ისეთი მდგომარეობა იქნება, როცა ერთდროულად მუშაობ და ისვენებ კიდევაც. ესე იგი, ხარჯავ ძალას და თანაც აღადგენ მას. ეს ხომ მუდმივ ძრავასავით არის! მე ისე ავ... ავღელდი (ავღელდი. რაღა თქმა უნდა, მშვიდად), რომ ასეთი პრეს-კონფერენციაც კი წარმოვიდგინე.

ვთქვათ, ვიღაც. სადღაც, ოდესღაც აგროვებს საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს და მასთან სადღაც კი არა, სწორედ ჭადრაკის კლუბში. დარბაზში გარდა ჟურნალისტებისა, რა თქმა უნდა. ბლომად არიან პირველთანრიგოსნები და დიდოსტატები. პრეს-კონფერენციის წამყვანი ითხოვს, დარბაზში დაიცვან სრული სიჩუმე. მაგიდასთან ვსხედვართ მე, სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციის წარმომადგენლები და ვინმე ძალიან ცნობილი ექიმი. წამყვანი ითხოვს მე მომცენ შეკითხვები. ვთქვათ, შემეკითხნენ, პირველად როდის გავეცანი სპორტს. მე ვუპასუხებ, რომ სპორტს ჯერ კიდევ ბავშვობაში გავეცანი. გატაცებული ვიყავი ყველა სახის სპორტით და მათ შორის ჭადრაკითაც.

— ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ მრავალ დიდოსტატთან უნდა გეთამაშათ, — ამბობს ვიღაც.

— არა მხოლოდ დიდოსტატებთან, — მივუგე მე, — საჭადრაკო ხელოვნების ნაკლებად ცნობილ წარმომადგენელთა შორისაც არიან ძალიან საინტერესო ადამიანები.

— გითამაშიათ როდისმე თქვენს მეგობრებთან?

— მე მათ იმდენად დიდ პატივს ვცემ, — არ მინდა, რომ თავს მოვახვიო ჩემი პარტნიორობა, შევბღალო ჩვენი კეთილი ურთიერთობა, — ვუპასუხებ მე.

ამის მერე კიდევ მომცემენ ათასგვარ შეკითხვებს სხვადასხვა

თემაზე. როცა დამსწრეთა ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებ, პრეს-კონფერენციის წამყვანი იტყვის: „ახლა კი ჩატარდება სეანსი ჭადრაკის თამაშში. პსიპი, სვერკსი და ჩედოზემპრი იური ივანოვი ნებისმიერ მოჭადრაკეს იწვევენ საბრძოლველად“.

მაშინ სცენაზე გამოვა რომელიმე დიდოსტატი და მე პარტიას ვეთამაშები. შეიძლება, კიდეც მოვიგო, და მოვიგებ კიდეეაც. ამის მერე წამყვანი ისევ სიჩუმეს მოითხოვს დარბაზში და დიდი ამბით გამოაცხადებს: „ძვირფასო ამხანაგებო, — ის, რომ იური ევგენის ძე ივანოვმა მოიგო, ანდა, ვთქვათ, წააგო ეს პარტია, თითქოს გასაკვირი არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს რაღაც-რაღაცებს ვამო გასაკვირია. იური ივანოვმა მოიგო პარტია მძინარე მდგომარეობაში“.

დარბაზში, რა თქმა უნდა, ამ სიტყვების მერე ატყდება ხმაური, შეძახილები: „რ[illegible] თუ — მძინარე მდგომარეობაში? რას ქვია — მძინარე მდგომარეობაში? ახლა ხომ არ სძინავს! ლაპარაკობს, მასხრობს, იცინის და ჭადრაკსაც კი თამაშობს!“

ამ დროს წამყვანი ისევ იტყვის: „საქმეც ის არის, რომ იური ივანოვს, იური ევგენის ძე ივანოვს, თუმცა ლაპარაკობდა, ხუმრობდა და თამაშობდა, მაშინაც ეძინა, აი ახლაც მძინარე მდგომარეობაში იმყოფება, რასაც აქ მყოფი პროფესორი დაადასტურებს“.

ჭაღარა პროფესორი დაუმოწმებს, რომ მე ნამდვილად, პულსის სიჩქარისა და სუნთქვის სიღრმის მიხედვით, მძინარე მდგომარეობაში ვიმყოფები და ყველანი განცვიფრდებიან. წამყვანი კი იტყვის, რომ ეს არის ახალი და წარმოუდგენელი აღმოჩენა პსიპის, სვერკსისა და ჩედოზემპრის, იური ევგენის ძე ივანოვისა, და გამოიხატება იმაში, რომ მძინარე აღამიანს შეუძლია იფხიზლოს, ფხიზელს კი შეუძლია ეძინოს — ერთი წუთიც კი არ დაკარგოს უქმად.

ამაზე ივანოვის მოგონებები წყდება. მერე კი იგონებს მეორე დღის დილას...

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე ო ე რ თ მ ე ტ ე

ჟივილ-ხივილი

... დილით რომ გავიღვიძე, პირველად ეს გავიფიქრე: როგორ ვასწავლო ჭკუა უსუსურ ჯაშუშებს. გადავწყვიტე, დღეს დილითვე, ვარჯიშისა და საუზმის მერე განმეხორციელებინა ეს. გავედი აივანზე, დილის ჩახჩახა შუქზე, რადგან ეზოდან რაღაც საეჭვო ხმა-

ური შემომესმა. თქვენ იცით, რას ამბობს ხალხური სიბრძნე: „ერთხელ დანახული სჯობია ათასჯერ გაგონილსაო". მაგრამ რა ვქნათ, თუ ჩვენს თვალებს არ ძალუძს დაინახოს ყოველივე? მაგალითისათვის ავიღოთ სინათლე (მეცნიერების აზრით, ყველაზე „ბუნდოვანი ადგილი" ფიზიკაში). ხილვადი სინათლე — ეს ელექტრომაგნიტური გამოსხივებაა, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ. ასეთი გამოსხივება ვრცელდება ტალღებით, რომელთა სიგრძეს განსაზღვრული დიაპაზონი აქვს. საკმარისია, ტალღამ „გადაირბინოს" სულ ზღვარი მარცხნივ ან მარჯვნივ, რომ იგი უხილავი გახდება. ოპტიკური სპექტრის ინფრაწითელ და ულტრაიისფერ არეს ჩვენ ვერ ვხედავთ. მაგრამ მე, როგორც თქვენ თვითონ მიხვდებით, გამოვედი ხილვადი სინათლის არეზე და იცით, რა დავინახე? ყინტორა დურბინდით მითვალთვალებდა.

— „დიდი კარგად ჩანს შორი მანძილიდან!" — თქვა ესენინმა.— თავხედურად მითხრა „გამარჯობის" მაგივრად ყინტორა კოლესნიკოვმა.

— დიდი კარგად ჩანს შორი მანძილიდანაც, თქვა ივანოვმა, — გავუსწორე ყინტორას და ესენინს.

მე გაბზრახ გავიზმორე და ჩემ თავს მივაყურადე. ჩემი ორგანიზმის ანალიზატორული სისტემები შესანიშნავად მუშაობდნენ. ნახშირმჟავა მარილების კრისტალები ჩემი ყურის მემბრანებს აწვებოდა და სიგნალს მაძლევდა, რომ სმენა შესანიშნავი მქონდა. მშვენივრად მესმოდა ყველაფერი, რაც ჩემ ირგვლივ, ჩემ ზემოთ და ჩემ ქვემოთ ხდებოდა.

ქვემოთ, სახლის ჭიშკართან, მორიგეობდნენ და რაღაცაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ მასლოვის რაზმელები.

— „ყველა ტოლი და დარჩეულია. მათთან ბიძია ჩერნომორია!" — ახსნა ყინტორამ და თავი მასლოვის მხარეს გადააქნია.

მე კი ვუთხარი:

— ნორჩი თეატრი... ჟივილ-ხივილი! — ამ დროს მომეჩვენა, რომ ოდესღაც რაღაც ამდაგვარი უკვე იყო ჩემს ცხოვრებაში.

აი სწორედ ასე იდგა ვიღაც, რაღაცას ითხოვდა ჩემგან, მე კი ვიღაცას ვეჩხუბებოდი... თუ, არ ვიცი, რომელიმე წიგნში ამოვიკითხე ასეთი რამ?.. ისე, სულ ერთი არ არის, ვისთან და როდის რა იყო? ყურადღებით იყავი, ივანოვ, არ გადაუხვიო პერიგეას, რომელიც ახლა შენს თანაკლასელებს უნდა უჩვენო, მათ უნდათ, შემოიჭრნენ შენს აპოგეაში, მაგრამ ჯერ ადრეა, ჯერ ადრეა მათთვის შენს აპოგეაში შემოჭრა, საერთოდ აპოგეა ყველაზე დიდი დაშორებაა ზეკოსმონავტისა დედამიწიდან. ჩემი აპოგეა კი ის იქნება,

როდესაც ამქვეყნად ყველაზე ძნელ დავალებას შევასრულებ. პერიგეა კი — სეკოსმოხვეტის ყველაზე ძეტი სიახლოვეა დედამიწასთან. ეს საეროოდ, ამჯერად კი ჩემი პერიგეა რაც შეიძლება მეტი სიახლოვეა ჩემს მიწიერ საქმეებთან და საზრუნავთან. დღეს, დაახლოებით ერთი საათის მერე, მე დავიწყებ, როგორც ამბობენ, ფარდის ახდას, ნებას დავრთავ შემოიჭრიტონ ლობეში, ჩემს ცხოვრებას თითქოს გარს რომ არტყია. ნებას მივცემ ამ ცნობისმოყვარეობისაგან დამწვარ, დამწვარ კი არა, ცხობისმოყვარეობისაგან დაფერფლილ ჩენეზემპრეზს! ყინტორა კოლესნიკოვი მუდარით მომჩერებოდა, თან ცდილობდა, თვალი არ დაეხამხამებინა, რომ რამე არ გამოჰპარვოდა. ცრემლებიც კი მოადგა დაძაბულობისაგან.

— ორი საათის მერე ანგარიშში ბევრი დავეკლდება, — დაფიქრებულმა ვთქვი მე.

— ცოცხლები? — დაინტერესდა ყინტორა.

ამ ფრაზაში მაშინვე საიდუმლო შემთხვევათა ანთოლოგია იყნოსა. იგი დაელოდა ჩემს პასუხს და ზრდილობიანად ჩამეკითხა:

— ცოცხლები დაგვაკლდება?..

— ცოცხალ-მკვდრები, — ავუხსენი მე, — ციფრული სისტემით, დაითვალე ყველა! — ვუბრძანე ყინტორას.

— ოჰ, რა საინტერესო კაცი ხარ, — თქვა ყინტორამ, როგორც მე ცომეჩვენა, გულწრფელი აღფრთოვანებით. — მაინც რა საინტერესო ადამიანი ხარ, ივანოვ! ხომ არსებობს ცირკი, კინო, ტელევიზორი, თეატრი, აი შენ, ეს ყველაფერი ერთად რომ აიღო, ისა ხარ!

— აი რა, ყინტორა, შენ სიტყვებს ეგრე უქმად ნუ ფანტავ, წადი და ჩაიწერე. რომ მე საინტერესო ადამიანი ვარ და, ასე ვთქვათ, ყველაფერი — ერთად აღებული, ჩაიწერე და მამაჩემს უჩვენე.

— დედაშენსაც ვუჩვენო? — მკითხა კოლესნიკოვმა.

— დედას ნუ აჩვენებ, დედამ უშენოდაც იცის, რომ მე საინტერესო ადამიანი ვარ და, ასე ვთქვათ, ყველაფერი—ერთად აღებული!

— კარგი, — თქვა კოლესნიკოვმა.

— „კარგი" კი არა, — გავუსწორე კოლესნიკოვს, — მესმის.

— მესმის, — გაიმეორა ყინტორამ.

— აი ყიდევ რა... რაკი საიდუმლო შემთხვევათა ანთოლოგია ანთოლოგიაა, — ვთქვი მე, გუნებაში კი გავიფიქრე: „ეს კარგია და სწორიცაა, ახლავე, რომ ვწერ ჩემს შესახებ მოგონებებს, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ჩემზე მოგონებებს კიდევ ვინმე, ვთქვათ, იგი-

ვე ყინტორა კოლესნიკოვიც დაწერს. ისიც ვიფიქრე, რომ ეს ყინტორა თავისი ჩვეულებრივი ტვინით თვითონ ვერ გაარჩევს, რა მოხდება პარკში მის თვალწინ, ამიტომ ვუთხარი:

— შენ, ყინტორ, შენი დეტექტიური ტვინით სწრაფად ვერ გაიგებ, რა მოხდება ახლა, ამიტომ მე აგიხსნი. სხვათა შორის, ესეც ჩაიწერე. მაშ, ასე: ახლა მე გავალ ქუჩაში და კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გავიქცევი; იქ, სადაც ატრაქციონია, ვაიგე?

ყინტორამ თავი დაიქნია, — ყველაფერი გავიგეო.

— პარკამდე სირბილით მხოლოდ მასლოვი გამომყვება, სხვებს გამძლეობა არ ეყოფათ და ჩამოგვრჩებიან. რომ არ იფიქრონ, ივანოვი გაიქცაო, და მთელ პარკში ტყუილად რომ არ მეძებონ, გეტყვი, სად ვიქნებით მე და მასლოვი.

— ესეც ჩავიწერო?

— ესეც ჩაიწერე, — ვთქვი მე, — მაშასადამე, იქ, პარკში, ყოველგვარი ატრაქციონია: „ტრაბანდი", „მიქსერი", „მხიარული მატარებელი", „ფრენები", იქვეა ავტოდრომი, კარეტები, კარუსელი, „მუსიკალური ექსპრესი", ატრაქციონი „ტვისტერი", ორმწკრივიანი კარუსელი, „რაკეტოპლანი-1", „რაკეტოპლანი-2", „მკვდარი მარყუჟი". ჰოდა, მე ძირითადად თავს შევიქცევ ისეთი ატრაქციონებით, რომელთა მისასვლელთანაც ჰკიდია გამაფრთხილებელი აბრები: „იმ პირთ, ვისაც თავბრუ ეხვევა, გული აწუხებს და საერთოდ თავს ცუდად გრძნობს, ატრაქციონზე მისვლას არ ვურჩევთ". ესე იგი, ყველაფერი ისე მოხდება, როგორც მე გეუბნები, გესმის? — შევეკითხე ყინტორას.

— ფიფტი-ფიფტი, — მიპასუხა ყინტორა კოლესნიკოვმა, — ასე ამბობენ ამერიკელები, ორმოცდაათი-ორმოცდაათზე. ო, რა საინტერესო ქაცი ხარ, ივანოვ. ერთი მხრივ, გასაგები, მეორე მხრივ, ეშმაკიც ვერაფერს გაგიგებს. შენში ყველაფერი გაუგებარი და საიდუმლოებითაა მოცული.

— კარგი, ჰო, — ვუთხარი მე ყინტორას, — გავა დრო და მაშინ გაიგებ, ვინცა ვარ! — ამ სიტყვებით ეზოში გამოვედი.

ჩემს დანახვაზე ჩემი თანაკლასელები დაიძაბნენ.

— სულ ახლახანს, — ვთქვი მე, — ინგლისის წყალქვეშა ნავი „პაისეზ-3", რომელშიც ორი მკვლევარი იჯდა, ჩაიძირა. ნავი 1575 ფუტის (დაახლოებით 473 მეტრის) სიღრმეზე იმყოფებოდა, კიჩოთი ფსკერს რომ დაენარცხა — დარტყმა არცთუ ისეთი თავზარდამცემი იყო, როგორსაც ელოდნენ, — ნავი რამდენიმე ათეული სანტიმეტრით ჩაეფლო შლამში. ცოტა ხნის მერე წყალქვეშელებმა

ჯიბის ფარნების შუქზე ნავი შიგნიდან დაათვალიერეს. დაზიანება თითქოს არ იყო.

ჩემპენმა დათვალიერების შედეგი ბაზას აცნობა. „მოდუნდით, — თქვა სამუშაოების ხელმძღვანელმა ჰენდერსონმა ისევ სიმშვიდით. თითქოს სადილი შეუკვეთია. — შეინარჩუნეთ ატმოსფერული წნევა. თავს ძალას ნუ დაატანთ. თუ აუცილებელი არ არის. ჩვენ ჩამოვალთ თქვენს საშველად. როგორც კი ადგილზე კიდევ ერთი „პაისეზი“ მოვა. რჩევას „არ დაიძაბოთ“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ჟანგბადის მარაგი, რომელიც განსაზღვრული იყო სამოცდათორმეტ საათზე (აქედან ცხრა უკვე გასული იყო), შეიძლებოდა „გაწელილიყო“: თუ „ზღვის ტყვეები“ შეინარჩუნებდნენ სიმშვიდეს და ფიზიკურ პასიურობას, ჟანგბადი მაშინ გაცილებით ნაკლები დაიხარჯებოდა... მიხვდით? ასე რომ, ჟანგბადს გაუფრთხილდით, „ნუ იძაბებით“... მოდუნდით... კუტირიოვ, შენ, მაგალითად, ძალიან დაძაბული ხარ. ჯერ მოადუნე ფეხები, მერე ხელები, შემხედეთ, მე როგორ ვდგავარ. ხედავთ, როგორ მშვიდად დამკიდავს ხელები სხეულის გასწვრივ. მარცხენა ფეხი თავისუფლად განზე მაქვს გადგმული, მარჯვენას ხომ ვეყრდნობი, მაინც არა მაქვს დაჭიმული.

ჩემი თანაკლასელები გაინძრნენ, ხელები და ფეხები აამოძრავეს, თან ცდილობდნენ, ჩასწვდომოდნენ ჩემს ჭკვიანურ რჩევა-დარიგებას.

— ეს „სალამის“ ნაცვლად მოგახსენეთ, — განვაგრძე მე, მოკითხვის მაგივრად კი, აი, რას ვეტყვით: სხეულის მოცულობა ყველაზე მსხვილი ჭიანჭველისა იზომება კუბური მილიმეტრებით; მასთან, ჭიანჭველების გროვა თავის მიწისქვეშა ნაწილით — სხვათა შორის, ესეც საოცრებაა თავისი ლაბირინთების ურთულესი შესასვლელებით და კამერებით — ასი ათასჯერ მეტია „მშენებლის“ ზომაზე. თუ შევუპირისპირებთ მსხვილ ჭიანჭველათა კოლონიის ყველა ნაგებობის მოცულობას მათ ცალკეულ მობინადრეებს, მივიღებთ, რომ შედარებითი ზომა ჭიანჭველების ბუდისა ოთხმოცდაერთჯერ აღემატება ხეოპსის პირამიდას, მაშასადამე, ერთის მხრივ, ჭიანჭველები, ჭიანჭველები, ჭიანჭველები, მეორე მხრივ, კი რა?..

ყველანი დაძაბულნი დუმდნენ.

— მაინც რა არის მეორე მხრივ? — შევეკითხე ყველას ერთად.

— მეორე მხრივ, „მე მეფე ვარ თუ არა ვარ მეფე?“ — გაბედულება მოიკრიბა და თქვა ვერა დანილოვამ.

— მართალია, — დავეთანხმე დანილოვას. — მაგრამ რისი „მეფეა თუ არ არის მეფე?“ — ისევ შევეკითხე ვერა დანილოვას და

ყველა დანარჩენს და მევე ვუპასუხე: „მე ვარ თუ არა ვარ მეფე ბუნების?!“ არა, არა ვარ მეფე! ჯერჯერობით არა ვარ მეფე! ჯერ-ჯერობით-მეთქი, ორაზროვნად ვამბობ: ერთი ის არის, რომ ადამიანი ჯერჯერობით არ არის ბუნების მეფე, მეორე „ჯერჯერობით“ კი ნიშნავს: ნახვამდის. გასაგებია? ახლა კი, — განვაგრძე მე, — მოდით, გონებით ჩავატაროთ კუნთოვანი სისტემის გარკვეული დატვირთვა. ვბრძანებ: სირბილით, ნაბიჯით იარ! თქვენ, რასაკვირველია, გაიფიქრეთ: ეს ივანოვი ისევ რაღაც უცნაურს გვიბრძანებსო. სინამდვილეში კი ამ ბრძანებაში უცნაური არაფერია. აგიხსნით: ის, რაც თქვენთვის სირბილს ნიშნავს, ივანოვისთვის ნაბიჯით სვლაა: ესე იგი, სირბილით, ნაბიჯით იარ!

და მე მოსკოვის ქუჩებით გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკისაკენ გავიქეცი.

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე თ ო რ მ ე ტ ე

ჩემს თავს მე თვითონ ვითამაშებ

„თავიდან ყველანი ყველა ატრაქციონზე შემომყვებიან, — მივრბოდი და თან ვფიქრობდი. — მერე, ყოველ ახალ ატრაქციონზე, მსურველთა რაოდენობა სულ იკლებს და იკლებს, მე კი ვიქროლებ და გავერთობი მანამ, სანამ მასლოვს ქანცი არ გაუწყდება და, როგორც იტყვიან, დისტანციიდან არ მოეხსნება. მე კი მაინც ვიქროლებ და გავერთობი. გულს კარგად რომ მოვიჯერებ, სანდუნოვის ორთქლის აბანოში წავალ. ნაწილი ბიჭებისა, ალბათ, აბანოში გამომყვებიან, მაგრამ ჩემთან ერთად ორთქლის აბაზანას არავინ მიიღებს, გარდა მასლოვისა. ორთქლის აბაზანის მერე აუზში ვიბანავებ; მერე ისევ ორთქლში გავტარდები, მერე ისევ აუზში ვიბანავებ. მერე ცოტას დავისვენებ და სკოლაში წავალ. ჩვენი კლასი მეორე ცვლაში მეცადინეობს, მაგრამ ამბობენ, მომავალ სასწავლო წელს ყველანი პირველ ცვლაში ვისწავლით“.

ამის მერე რვეულში წინადადებების ნაწყვეტებიღა იყო შემორჩენილი: გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ატრაქციონებზე ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც იური ივანოვი ფიქრობდა: მასთან ერთად ატრაქციონებზე „გართობას“ ყველა ერთად შეუდგა, მაგრამ სხვადასხვა გართობით გამოცდას მარ-

ტო მან გაუძლო. მომაკალმა კოსმონავტმა მასლოვმაც კი ვერ აიტანა ივანოვის მიერ შეთავაზებული დატვირთვა.

ყველა ატრაქციონი რომ მოიარა, იური სანდუნოვის აბანოსაკენ გაემართა. მას აბანომდე ლასლასით ძლივს მიჰყვა მასლოვი, მაგრამ რა მოხდა აბანოში, გაუგებარია, რადგანაც ტექსტს მომდევნო სამი-ოთხი გვერდი აკლია. ამის მერე ივანოვი განაგრძობს იმის აღწერას, გაკვეთილების დაწყების მოლოდინში თუ როგორ იჯდა სკოლის სააქტო დარბაზში და ხუთ საქმეს ერთად აკეთებდა...

ამგვარად, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გართობისა და სანდუნოვის აბანოში აბაზანების მიღების მერე, ვითომც აქ არაფერი, ვიჯექი ჩვენი სკოლის სააქტო დარბაზში და ერთდროულად ხუთ საქმეს ვაკეთებდი, ამ საქმეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფიქრი წიგნზე „ორატორული ხელოვნება". ეს წიგნი, სკოლაში რომ მივდიოდი, მაშინ ვიყიდე, წიგნის მაღაზიაში, კიდევ „სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვები" ვიყიდე. „ორატორული ხელოვნებით" ვაპირებ დავეუფლო მჭევრმეტყველებას. სასამართლოზე წარმოთქმულ ბრალმდებელთა სიტყვებზე კი მინდა ვავარჯიშო ჩემი მჭევრმეტყველება. ორივე წიგნი დაახლოებით ორმოც წუთში ბაღში წავიკითხე. მე არც ისე დიდი ხანია დავეუფლე ეგრეთ წოდებულ პარტიტურული კითხვის ხელოვნებას და ამ სისტემის დახმარებით შემიძლია, ერთ საათში ორასი-სამასი გვერდი წავიკითხო. ამიტომ, სკოლაში რომ ვიჯექი, კი აღარ ვკითხულობდი, უკვე ვფიქრობდი წაკითხულზე.

საქმე ისაა, რომ მე, როგორც დედამიწის ცივილიზაციის წარმომადგენელს, უცხო პლანეტელებთან შეხვედრისას მომიწევს ჩვენს კულტურულ და სახოგადოებრივ დონეზე საუბარი, ამიტომ, რაღა თქმა უნდა, აუცილებელია, დავეუფლო საკმაოდ ძლიერ და გამჭრიახ მჭევრმეტყველებას. თანამემამულენი შემიძლია ყოველგვარი მჭევრმეტყველების გარეშეც, ენაზე მომდგარი სიტყვებითაც გავოცო, მაგრამ, თანამემამულეებთან ლაპარაკი ერთია, უცხო პლანეტელებთან კი — სულ სხვაა! უცხოპლანეტელებთან, ალბათ, უფრო მეცნიერული მიდგომა დამჭირდება.

წაკითხულიდან გავიგე, რომ ორატორული ხელოვნება ეყრდნობა ფილოსოფიას, ლოგიკას, ფსიქოლოგიას, ეთიკას, ენათმეცნიერებას.. ფიქრი დარბაზში შემოსულმა ბორის კუტირიოვმა შემაწყვეტინა. შევხედე და გავიფიქრე: რას ემყარება მჭევრმეტყველება, ვიცი, მაგრამ რას ემყარება ბორის კუტირიოვი, ეს ვერ გამიგია. პარკში კუტიროიოვი ისე მალე დაიღალა, რომ მესამე თუ მეოთხე ატ-

რაქციონზე გამოვიდა წრიდან. ახლა კი სახეზე მოყვითალო-მწვანე ფერი ედო, ლოყები ჩავარდნოდა და რაღაცნაირად აცეცებდა თვალებს. ჩემს წიგნს შეხედა, უღონოდ დაუშვა სკამზე და მკითხა:

— გაქვს კითხვის თავი?

— მაქვს, — ვუპასუხე მე.

— გაკვეთილებსაც დაესწრები?

— დავესწრები, — ვუთხარი მე.

კუტირიოვმა მხრები აიჩეჩა და თქვა:

— იცი, რა გითხრა, ივანოვ, მინახავს გართობის თავგადაკლული მოყვარულები, მინახავს ვამობრძმედილი ატრაქციონისტები, მაგრამ შენისთანას პირველად ვხედავ... — მერე გადაშლილ წიგნებს შეხედა, რომლებსაც მე ვკითხულობდი, და შეკრთა. ზემოდან „სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვები“ იდო.

— ამხანაგო მოსამართლენო! ვიწყებ საბრალდებო სიტყვას წარმოდგენილ სასამართლო პროცესზე მისი უდიდესი მნიშვნელობის მთელი შეგნებით! — ხმამაღლა დავიძახე მთელ დარბაზში, ხმამაღლა იმიტომ, რომ შემემოწმებინა, როგორ ეღერს ჩემი ხმა მუვერმეტყველური თვალსაზრისით. შესანიშნავად ეღერდა ჩემი ხმა, შეიძლება ითქვას, — ბრწყინვალედ.

კუტირიოვი შეხტა, შეშინებულმა შემომხედა, მის თვალებში კი ამოიკითხავდით: ვინა თქვა — ან „შეყვარებულია“, ან „ცუდ წრეში მოხვდა“, ან „რაღაც ბზიკმა უკბინა“, ან „უცხოპლანეტელებმა შეგვიცვალეს?“ ამას ყველაფერი ერთად სჭირს: შეყვარებულიც არის, ცუდ წრეშიც მოხვდა, ბზიკმაც უკბინა და უცხოპლანეტელებმაც შეგვიცვალეს!!! ეს გაიფიქრა კუტირიოვმა და სასომიხდილმა იკითხა:

— სად არიან სხვები?

— შენ გინდა გაიგო, სად არიან უსუსურები? — შევეკითხე კუტირიოვს და გაჯავრებულმა ვთქვი: — სათითაოდ გადავისროდი ყველა უსუსურს უკუქცევის დროს მდინარეში... პირანების შესაჭმელად.

— ჰო, რასაკვირველია, — თქვა კუტირიოვმა, — შენ რომ უფლება მოგცეს კაცმა, მეტს არაფერს გააკეთებდი, დადგებოდი მდინარის პირას და ყველას სათითაოდ პირანებს გადაუყრიდი, მაგრამ მერე რაღას იზამდი, ყველას რომ გადაუყრიდი?

მე, რა თქმა უნდა, ზიზღით სავსე დუმილით ვუპასუხე კუტირიოვს მის მიერ დახატულ საზარელ სურათზე. პასუხი რომ გამეცა, მაშინ ბევრი საიდუმლო უნდა გამემხილა — ერთიმეორის მიყოლებით. მე კი ჩემს თავს ამის უფლებას ვერ მივცემ, ამიტომ

ვალდებული ვიყავი, სრულიად მშვიდად მომესმინა კუტირიოვის სიტყვები, ისე, რომ ჩემს სახეზე ერთი ზეკუნოც არ ათრთოლებულიყო. კუტირიოვი პასუხს არ დაელოდა, მძიმედ ამოისუნთქა და უკან მიიხედა.

— სად არიან დანარჩენები? — კიდევ მკითხა ქანცგამოლეულმა კუტირიოვმა, მაგრამ ახლა უფრო დაჟინებით.

— რადგან მე აქ ვარ, ესე იგი ყველა აქ არის, — ვთქვი მე, — დანარჩენები, მე მგონი, მედპუნქტში არიან.

კუტირიოვმა ღრმად ამოისუნთქა და, ალბათ, გაიფიქრა, ჩემთვისაც საჭირო მედპუნქტში წასვლაო, მაგრამ ძალა არ ეყო, სკამიდან წამომდგარიყო, ამიტომ ისევ ჯდომა არჩია. თანაც ვგრძნობდი, რომ ჩემთან რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა. სიბრალულით ვუცქერდი კუტირიოვს და ვფიქრობდი: ჰო, ეს ხომ ჩემი პერიგეაა, თუმცა არა, პერიგეაც არ არის, ასე ვთქვათ, მისი დასაწყისია".

კუტირიოვმა, ეტყობა, ჩემი გამომეტყველება დაიჭირა, ამიტომ ისევ ამოიოხრა და თქვა:

— ცხენი გაასავათა...

ანდაზის დაბოლოებაც კი აღარ შეეძლო.

— ლურჯაც გაასავათა, — გავუსწორე კუტირიოვს.

ჩემს პულსს და არტერიულ წნევას მივუგდე ყური, როგორ მაღაზე ვიყავი, ისიც შევამოწმე. — მგელივით მშიოდა — ჰოდა გავიფიქრე: „ყველაფერი ნორმალურია, ყველაფერი ზედმიწევნით ნორმალურია, ზეკოსმონავტი იური ივანოვი შესანიშნავად გრძნობს თავს!"

ისევ მინდოდა შევდგომოდი ორატორული ხელოვნებისა და მეტყველების შესწავლას, მაგრამ კუტირიოვმა ისევ შემაწყვეტინა.

— აი რა, ივანოვ, — რაღაც უსიცოცხლოდ, თავისი საყვარელი ხატოვანი ზედსართაველების გარეშე თქვა მან, — მე და, მაშასადამე, ამხანაგების ჯგუფმა გადავწყვიტეთ, ჩვენს კინომოყვარულთა წრეს „მხიარული ტრრ" დავარქვათ. იცი, არსებობს ფოტონადირობა — ეს ისეთი სადირობაა, როდესაც ადამიანი ცხოველთა სამყაროს ესვრის არა თოფით, არამედ ფოტოაპარატით. ჩვენც გადავწყვიტეთ, ცოცხალ სამიზნეებს ვესროლოთ, მხოლოდ ფოტოაპარატით. რას იტყვი ამაზე?

მე მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა კუტირიოვს და შესანიშნავად ვიცოდი, რომ ოავიანთი კინონადირობისათვის მე ამომიღეს მიზან-

ში. მინდოდა კუტირიოვისათვის მეთქვა, თქვენებს ესროლეთ-მეთქი, მაგრამ არ ვუთხარი, მხოლოდ გავიფიქრე, თქმით კი ეს ვუთხარი:

— ესე იგი, მთელი შენი სიცოცხლე უკანასკნელი საქმით უნდა იყო დაკავებული, კუტირიოვ?

— რატომ უკანასკნელით? — გაოცდა კუტირიოვი.

— იმიტომ რომ, ხომ იცი, ყოველგვარ იუმორს, ყოველგვარ იგავებს, ანეკდოტებს, თავშესაქცევ ამბავს, შარჟ-მარჟებს, პასკვილ-მასკვილებს ჩვეულებრივ ათავსებენ ჟურნალ-გაზეთების უკანასკნელ გვერდზე, და რაკი უკანასკნელ გვერდზე ათავსებენ, ესე იგი, საქმეც უკანასკნელია, — ავუხსენი მე.

— კი მაგრამ, ივანოვ, შენც ხომ სწორედ მეოთხე გვერდისთვის უნდა იმუშაო, ისე რომ, მე და შენ, ორივე, ერთ საქმეს გავაკეთებთ, — მიპასუხა კუტირიოვმა.

— ესე იგი, გგონია, რომ მე მეოთხე გვერდისთვის ემუშაობ? — შეეკითხე კუტირიოვს.

— მაშ რომელისთვის? — გაიოცა კუტირიოვმა.

— როგორ, შენ არა ხარ დარწმუნებული, რომ მე არათუ პირველი გვერდისთვის, აი პირველს წინ რომ უძღვის, იმ გვერდისთვის ვმუშაობ.

პირველს რომ წინ უძღოდეს, ასეთი გვერდი არ არსებობს. მხოლოდ მეცნიერულ-ფანტასტიკურ რომანებში შეიძლება პირველ გვერდს წინ უძღოდეს რაღაც გვერდი, მაგრამ საქმე ეგ არ არის, — მომიგო კუტირიოვმა.

— ჰოდა, საქმეზე ილაპარაკე, კუტირიოვ! ჩემგან რა გინდა?

— ჩვენ გვინდა, შენზე კინოსატირა გადავიღოთ, — ამ სიტყვებით კუტირიოვმა პორტფელიდან მანქანაზე გადაბეჭდილი რამდენიმე გვერდი ამოიღო.

— ნებართვა უნდა აიღოთ, ნებართვა უნდა სთხოვოთ ამხანაგ ივანოვს, გესმით თუ არა, მერე კი თქვენი შარჟები და მარჟები აკეთოთ, — ვუპასუხე მე.

— ამიტომაც გელაპარაკები — ნებართვას ვიღებ შენგან, — თავი იმართლა კუტირიოვმა.

ალმაცერად გადავხედე ფურცლებს, კუტირიოვს ხელში რომ ეჭირა. მივხვდი, ეს იყო ჩემზე დაწერილი კინოსატირა, და მკაცრად ვუთხარი:

— საერთოდ არასწორად აფორმულირებთ თქვენს აზრს. „ჩვენ გვინდა“ კი არ უნდა თქვა, არამედ „ჩვენ თავში მოგვივიდა სულელური აზრი“, ან „ჩვენ დიდი ხანია გვაწამებს სისულელეები“!

კუტირიოვი ჩაუფიქრდა ჩემს შესწორებას და უხალისოდ დამეთანხმა.

— ეგრე იყოს, — თქვა მან, — ჩვენ თავში მოგვივიდა სულელური აზრი და დიდი ხანია გვაწამებს სისულელე... გადავიღოთ შენზე კინოსატირა, ესე იგი, გესროლოთ კინოთოფი.

— მაინც რა კინოსატირა? — მკვახედ შევეკითხე.

— ისეთი არაფერი, პატარა სიუჟეტია შენს წარსულ და მომავალ ცხოვრებაზე. რომელსაც ვუწოდეთ: „დასვენების ზარი, ანუ რა მოხდებოდა, იური ივანოვი რომ კლასის მამასახლისად დაენიშნათ“.

— მიჩვენე ტექსტი! — ვუბრძანე მე.

კუტირიოვმა სიამოვნებით ქაღალდის ფურცლები გამომიწოდა.

ამხანაგო შთამომავალნო, ყოველგვარი ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად, — იმას, რაც მე წავიკითხე, ესე იგი, ბორის კუტირიოვის შეთხზულ ტექსტს, ვურთავ ჩემს მოგონებებს, რის შემდეგაც განვაგრძობ ამბავს.

დასვენების ზარი, ანუ რა მოხდებოდა, იური ივანოვი რომ კლასის მამასახლისად დაენიშნათ.

იური ივანოვი ფარდის წინ გვის სცენას და არასწორად მღერის „მე რომ ფოსტის მეეტლე ვიყავი...“ შემორბის **მიშა ხოლინი.**

მიშა. ივანოვ, გეყოფა ამდენი გვა, პირველი გაკვეთილი არ იქნება.

იური. მაშ რა იქნება?

მიშა. მამასახლისის გადარჩევა!

იური. მიშა, მე შენი თმის ვარცხნილობა მომწონს... მოდი, მეც შენნაირად დავივარცხნი...

იური და **მიშა** ფარდის უკან მიიმალებიან. რეპროდუქტორიდან, როელიც ავანსცენაზე ჰკიდია, ისმის ყრიამული, მერე ხმა: „წინადადება შემომაკვს, კლასის მამასახლისად იური ივანოვი ავირჩიოთ. კარგად სწავლობს, ყოფა-ქცევითაც გამოირჩევა, საქმიანია, თავმდაბალი, ერთი სიტყვით, კარგი ბიჭია... ვინ არის მომხრე? გთხოვთ, ასწიოთ ხელი!.. არჩეულია ერთხმად! ჩიბარე საქმე, ივანოვ, გილოცავთ!..“

ისევ ხმაური ატყდება.
იხსნება ფარდა.

მიშა. ყველანი თავისუფალნი ხართ.

კოლია. კონცერტის მონაწილეთა გარდა. პროგრამა დავაზუსტოთ... და ზოგი რამ გავიმეოროთ.

მ ი შ ა. ჩემის აზრით, პროგრამა ივანოვს უნდა შევუთანხმოთ, ახლა ის კლასის მამასახლისია — ესე იგი, მასაც ეხება ეს საქმე.

ზ ო ი ა. მართალია!

კ ო ლ ი ა. თანახმა ვარ. იურა ივანოვ, მოდი აქ!

ი უ რ ი. მე აქა ვარ, რა იყო?

კ ო ლ ი ა. აბ საღამოს ჩვენი თვითმოქმედი წრე კონცერტს მართავს.

ი უ რ ი. შერე რა?

მ ი შ ა. კონცერტის ყველა მონაწილემ ცალ-ცალკე შეადგინა პროგრამა, რომელი უკეთესია, არ ვიცით, შენი რჩევა გვჭირდება. როგორ ფიქრობ, რითი დავიწყოთ კონცერტი? მიშამ თქვა, სჯობს, მსატვრული კითხვით დავიწყოთო. ზოიამ — სიმღერითაო.

ი უ რ ი. მე რა მრჩეველი მნახეთ? კონცერტი მე არ მეხება...

კ ო ლ ი ა. რას ნიშნავს — არ გეხება? მამასახლისი შენა ხარ. შენ უნდა გვიხელმძღვანელო. ადექი და შეუდექი საქმეს. შენ ახლა ყველაფერი გესება. რა ექნათ, კითხვით დავიწყოთ თუ სიმღერით?

ი უ რ ი. ბავშვებო, მე ხომ კონსერვატორია არ დამთავრებია, სიმღერისა არაფერი ვიცი. ბავშვობაში ყურზე დათემა ფეხი დამაბიჯა, ისე რომ... და საერთოდ... მე უბრალო მოსწავლე ვარ.

კ ო ლ ი ა. კარგი, იური, ვთქვათ, აქამდე უბრალო მოსწავლე იყავი, ახლა კი მამასახლისი ხარ და შენ უკვე გაქვს გამოცდილება, ჩვენს კლასს უხელმძღვანელო...

ი უ რ ი. ება, რა გამოცდილება მაქვს, ბავშვებო? სულ რაღაც ხუთი წუთია, რაც მამასახლისად ამირჩიეთ...

ს ე რ ი ო ჟ ა. სულ რაღაც ხუთი წუთია! შენ გინდა თქვა. რომ მთელი ხუთი წუთის სტაჟი გაქვს!

მ ი შ ა. ჩვენ კი ერთი წუთისაც არა გვაქვს.

ს ე რ ი ო ჟ ა. მიხვდი?.. ამიტომაც კლასში უკვე პატივს გცემენ და შენს აზრსაც აფასებენ.

ი უ რ ი. მაშ, ჩემს აზრს აფასებენ?

ს ე რ ი ო ჟ ა. ძალიან აფასებენ.

ი უ რ ი. და ყველაფერი მე მეხება?

მ ი შ ა. მამასახლისს ყველაფერი უნდა ეხებოდეს.

კ ო ლ ი ა. უკვე ანგარიშსაც გიწევენ. უფრო მეტიც, შენს აზრს დიდად აფასებენ.

ი უ რ ი (ამაყად). რა კარგად თქვი, კოლია... კარგად გამოგივიდა!.. უკვე ანგარიშს მიწევენ. ჩემს აზრს დიდად აფასებენ...

ვ ა ლ ი ა. ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ.

ი უ რ ი. ეს მართალია, ჭკვიანი ვარ.

ლ ე ნ ა. გემოვნებაც გაქვს, იური.

ი უ რ ი. რაც მართალია, მართალია. გემოვნებაც მაქვს... ვისა აქვს კიდევ სათქმელი?

კ ო ლ ი ა. შენ ზუსტი თვალი და მარჯვე ხელი გაქვს. იმიტომ კლასში უკვე ხუთი წუთია გაფასებენ!

ი უ რ ი (საათზე იყურება). ხუთი წუთი და ორმოცი წამი! გთხოვთ, უფრო ზუსტად ილაპარაკოთ.

მ ი შ ა. მეტსაც ვიტყვი, ჩვენ კლასში უკვე ყველას უყვარხარ და ამაყობენ შენით...

ი უ რ ი. მოიცა, მოიცა! გაიმეორე, რაც თქვი. მე... რა?

კ ო ლ ი ა. შენ ყველას უყვარხარ.

ი უ რ ი. ჩემით... რა?

კ ო ლ ი ა. შენით ამაყობენ!

ი უ რ ი. მაინც რატომ?

მ ი შ ა. იმიტომ, რომ შენ გაქვს... აი ის... რა ჰქვია...

ი უ რ ი (უკარნახებს). მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა მაქვს და მე, როგორც მეშვიდე „ა“ კლასის მამასახლისი, რა ვარ?

კ ო ლ ი ა. და შენ... როგორც მამასახლისი, პირდაპირ... აი ისა ხარ... რა ქვია...

ი უ რ ი (უკარნახებს) მოვლენა ვარ!

მ ი შ ა. ზუსტად... მოვლენა ხარ...

ი უ რ ი. მე პიროვნება ვარ!

კ ო ლ ი ა. ულაპარაკოდ! შენ რომ პიროვნება არ იყო, განა ამოგირჩევდით...

ი უ რ ი. არ გეკამათებით...

კ ო ლ ი ა. იმიტომ ჩვენ, ამხანაგებმა, გადავწყვიტეთ, რჩევა გეთხოთ, ესე იგი, ერთად შევადგინოთ კონცერტის პროგრამა...

ი უ რ ი. ჰოო, ერთად გინდათ? აბა, მიდით, მიდით, სცადეთ ერთად. ვნახოთ, როგორ მოახერხებთ... (მრავალმნიშვნელოვნად დაამიჯებს სცენაზე). აბა, თქვით ერთად, რა გაქვთ მანდ?

ს ე რ ი ო ჟ ა. გამარჯობა შენის!... უკვე ოცი წუთია გიხსნით... აი პროგრამები გვაქვს, მაგრამ არ ვიცით, რაზე შევჩერდეთ.

ი უ რ ი. გთხოვთ, პატივისცემით მელაპარაკოთ, გთხოვთ, პატივისცემით... ჯერ ჩვენ ერთ მერხზე არ ვმსხდარვართ... იმიტომ გთხოვთ, „თქვენობით“ მომმართოთ...

ს ე რ ი ო ჟ ა. სიამოვნებით... იური, მაგრამ მე და შენ, ესე იგი, თქვენ და მე, ექვსი წელი ვისხედით ერთ მერხზე.

ი უ რ ი. ვისხედით, მაგრამ ახლა აღარ ვი-სხდე-ბით... ტრიფონოვ, ვორაბიოვ!

ხ მ ე ბ ი. აქა ვართ!

ი უ რ ი. სამნეო ნაწილის გამგეს ხერხი გამოართვით და... მოხერხეთ...

ხ მ ე ბ ი. რა მოვხერხოთ?

ი უ რ ი. ჩემი მერხის ნაწილი მოახერხეთ მის ნაწილს.

ხ მ ე ბ ი. რას ამბობ...

ი უ რ ი. შეასრულეთ, რასაც გეუბნებით!

ტ რ ი ფ ო ნ ო ვ ი და ვ ო რ ო ბ ი ო ვ ი გარბიან.

(სკამს მაგიდაზე დგამს, მერე ადის მაგიდაზე და ჯდება სკამზე.) ჩემთან ერთად ჯდომა მრცხვენია! არაფითარი ერთად, გაიგეთ? მე ისე გავიზარდე თქვენს თვალში, რომ შემიძლია დამოუკიდებლად გადავწყვიტო ჩვენი კლასის ყველა საკითხი. რაც უნდა იყოს, კლასის მამასახლისი ვარ და არა ვიღაც უბრალო მოსწავლე... (პროგრამას კითხულობს და ხევს.) არაფრად არ ვარგა... სისულელეა... პრიმიტიულია... ახლა მე თვითონ შევადგენ პროგრამას...

კ ო ლ ი ა. კარგი, იური, შეადგინე, მაგრამ ნება მომეცი, რჩევა მოგცე.

ი უ რ ი. შენ ვინა ხარ, რომ რჩევა მომცე?

კ ო ლ ი ა. შენი ამხანაგი ვარ, მეშვიდე „ა" კლასელი.

ი უ რ ი. მართალია, კლასის ამხანაგი ხარ, მაგრამ რჩევა-დარიგებაში კი არა ხარ ამხანაგი! საერთოდ არ გამაგონოთ რჩევა! გასაგებია? თქვენ თვითონ მეუბნებოდით, გემოვნება გაქვს, ჭკუის კოლრფი ხარო...

მ ი შ ა. მე ვამბობდი: ერთი ჭკუა კარგია...

ი უ რ ი. კარგია?.. და კმარა!

მ ი შ ა. ბოლომდე მომისმინე. მე ვამბობდი: ერთი ჭკუა კარგია, ორი უფრო...

ი უ რ ი. ვისა აქვს მერე ორი? იქნებ შენა გაქვს? გამომიჩნდა მოაზროვნე... სპინოზა... არც შენი თმის ვარცხნილობა მომწონს. რა ვარცხნილობაა ეს?

მ ი შ ა. ადრე რომ მოგწონდა?

ი უ რ ი. ადრე, შეიძლება, მომწონდა, ახლა, შეიძლება. აღარ მომეწონოს ან, შეიძლება, მომეწონოს, შეიძლება...

მ ი შ ა. საერთოდ, თმის ვარცხნილობა შენ არ გეხება.

ი უ რ ი. ერთი წუთით. თქვენ თვითონ არ ამბობდით, რომ ეე ყველაფერი მეხება, ხომ ამბობდით?

მ ი შ ა. ვამბობდით, მაგრამ...

ი უ რ ი. არავითარი „მაგრამ“... თუ ვისმეს რამე აქვს სათქმელი, ხელი ასწიოს.

ყველა სწევს ხელს.

(მედიდურად) თქვი, კოლია, თქვი...

კ ო ლ ი ა. იცი, ეს უბრალოდ თავხედობაა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ შენი რჩევა-დარიგების გარეშეც იოლად გავალთ. შენ კლასის მამასახლისი ხარ და არა თვითმოქმედების წრისა. კონსერვატორია შენ არ დაგიმთავრებია...

ი უ რ ი. ვის არ დაუმთავრებია კონსერვატორია?.. მე არ დამიმთავრებია კონსერვატორია?.. ხა-ხა! იცით თუ არა თქვენ, რომ მე მოსკოვის კონსერვატორია დავამთავრე?!

მ ი შ ა. მაინც როდის მოასწარი?

ი უ რ ი. როცა ეუნდერკინდი ვიყავი... ორიდან ხუთ წლამდე... ეოკალში!

კ ო ლ ი ა. მოიცა, იური, შენ არა თქვი, ბავშვობაში ყურზე დათვმა დამაბიჯაო?

ი უ რ ი. მე დამაბიჯა დათვმა? ის კი არა, მე დავაბიჯე დათვს!.. ყურზე! გასაგებია?

ზ ო ი ა. რა დაემართა?.. ნუთუ ქებით დავახვიეთ თავბრუ?

მ ი შ ა. მე მგონი, ეს ზარია.

ზ ო ი ა. რა ზარი?

მ ი შ ა. პირველი ცვლილების ზარი — ვერ ხედავთ, ადამიანი როგორ შეიცვალა... პირველ ზარზევე. ამოვირჩიეთ მამასახლისად და ხომ ნახეთ...

ი უ რ ი (წერს, თან ბურდღუნებს). თქვენი არც ერთი ოინი ჩემთან არ გავა, აი, ჩემი ოინები კი...

კ ო ლ ი ა. აი, შენი ოინები კი ჩვენთან არ გავა! აბა, ჩამობრძანდი ძირს! ათი წუთია, რაც მამასახლისია, და როგორ გათამამდა... ჩამოსვით ერთი იქიდან, ბიჭებო!.. თორემ რაღაც ძალიან მოსწყდა იატაკს.

ბიჭებსა და გოგონებს მაგიდიდან ჩამოაქვთ სკამი, რომელზედაც იური ივანოვი ზის.

მ ი შ ა. და მსუბუქად დაეშვა, საიდანაც აფრინდა, იმ რაიონში! (ცოცხს აწვდის ივანოვს) დაიჭი! გამოგავე ნაგავი და კლასში შემოდი, შენ გადარჩევას დაესწარი!

ი უ რ ი. (წყნარად, თავაზიანად). ბავშვებო, რჩევა რომ უნდა გეკითხათ ჩემთვის? თქვენ ხომ გსურდათ, რაღაც განგეხილათ ჩემთან ერთად?

მ ი შ ა. გმადლობთ, იური, ეფიქრობთ, შენი რჩევების გარეშეც იოლად გავალთ.

კ ო ლ ი ა. ეს წლამდე მივაღწევთ, შენისთანა მამასახლისს თუ თავს დავაღწევთ.

ი უ რ ი. ესე იგი, დამთავრდა ყველაფერი?

გ ო გ ო ნ ე ბ ი და ბ ი ჭ ე ბ ი (ერთხმად). დამთავრდა! (ფარდის უკან მიიმალებიან).

ი უ რ ი. (მიშას გააჩერებს).. რა კარგი ვარცხნილობა გიქვს, ვფიქრობ, მეც ეგრე ხომ არ გავიკეთო თმა?

კ ო ლ ი ა. იფიქრე... იფიქრე! მართლა, ივანოვ, მოგილოცავ რეკორდს!

მ ი შ ა. საკავშირო რეკორდს!.. კლასის მამასახლისად სულ ათი წუთი და რვა წამი იყავი.

ი უ რ ი. (საათზე იყურება). უკაცრავად, ათი წუთი და ცხრა წამი... ზუსტად უნდა დაითვალო...

მ ი შ ა. სულ ერთია — მაინც რეკორდია! (მიდის.)

ვარტო დარჩენილი იური ივანოვი ცოცხს იქნევს და იატაკს გვის, თან არასწორად მღერის: „მე რომ ფოსტის მეეტლე ვიყავ...“

სანამ მე ნაწარმოებს ვათვალიერებდი, რომელიც თქვენ ახლახანს წაიკითხეთ, კუტირიოვი, ალბათ, უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, კარებთან დამდგარიყო.

— ჩემს როლს ვინ შეასრულებს?.. — ვიკითხე მკაცრად.

— მასლოვი... — ენის ბორძიკით თქვა კუტირიოვმა.

— არ გამოდგება! — მოვუქერი მე.

— იმაზე უკეთესად შენს როლს ვერავინ შეასრულებს.

— არიან ისეთებიც, მაგაზე უკეთესად რომ შეასრულებენ, — ვუპასუხე მე და იდუმალების ნიშნად ფიქრიანად თავი დავაკანტურე.

— მაგალითად, ვინ? — გაოცდა კუტირიოვი.

— მაგალითად... მე! მე ჩემს თავს მასლოვზე ბევრად უკეთესად ვითამაშებ.

მოგონება მეცამეტე

დირექტორთან! სასწრაფოდ!

კუტირიოვს ისე გაუკვირდა ჩემი წინადადება, რომ დიდხანს დადუმებული იდგა და არ სჯეროდა, რაცა ვთქვი, და მხოლოდ მაშინ, როდესაც კიდევ ერთხელ დავადასტურე ჩემი სურვილი, გაოცებულმა თქვა:

— მოიცა, ივანოვ, შენს თავს ნებას მისცემ, ითამაშო ფილმში, სადაც შენ შეასრულებ შენსავე როლს? — შემეკითხა კუტირიოვი.

— რატომაც არ მივცემ ნებას, ჩემს თავს ნებას მივცემ, სხვას კი არასოდეს, მხოლოდ მე შემიძლია ჩემს თავს ნება მივცე, სხვას არავის, — მტკიცედ ვთქვი მე.

— მაშინ, აბა, როლი ისწავლე.

კუტირიოვს კინოსცენარის ტექსტი გამოვართვი. მაგრამ რა ფასი ჰქონდა ამ კინოსცენარს?! ჩვენს შორის დარჩეს და, ეს იყო ნამდვილი ფალსიფიკაცია, რომელიც არ ჰგავდა არც ჩემს წარსულ ცხოვრებას, არც მომავალს. მაგრამ ყველაფერი ეს ჩემთვის საინტერესო იყო, პირველყოვლისა იმით, რომ ჩემი გადაღების მერე შემეძლო, კუტირიოვის დახმარებით ფირზე გადამეღო სცენა მამასთან საუბრისა, რასაც იმ დღეს დავექადნე, მეორეც, მაინტერესებდა, შემედარებინა, ასე ვთქვათ, ჩემი ორი ცხოვრება, ერთი — ნამდვილი, რომლითაც მე ვცხოვრობდი, მეორე — რომელიც წარმოედგინათ ჩემს თანამემამულეთ. ტექსტი?.. ტექსტს რაღას ვუზამდი... ტექსტის გადაკეთება მერეც შეიძლებოდა, მხედველობაში მქონდა დიქტორის ტექსტი. ეს ყველაფერი გავუზიარე კუტირიოვს, ჯერ კიდევ გაოგნებული რომ მომჩერებოდა.

— ტექსტი, რასაკვირველია, უნდა შეიცვალოს, — ვთქვი მე.

— როგორ შეიცვალოს? — შეწუხდა კუტირიოვი.

— არა, ახლა კი არა, — დავამშვიდე მე, — მერე... აი რა, იქიდან, რაც შენ დაჯღაბნე, მხოლოდ ორი სიტყვა მეხება მე, ისიც ძალიან ზოგადად!

— რა ორი სიტყვა? — ეწყინა კუტირიოვს. — რატომ მარტო ორი? ყველა სიტყვა შენ გეხება! მე კი არ დავჯღაბნე, შთაგონების წუთებში დავწერე... მერე, ხომ ნახე, როგორ თავხედურად იქცევი, თან სიმღერას არასწორად მღერი და სიმღერის გაკვეთილებიდანაც გარბიხარ...

— საერთოდ, რატომ არ ვმღერი, დაფიქრებულხართ ამაზე? და თუ ოდესმე მიცდია გაკვეთილზე სიმღერა, რატომ ვმღეროდი არასწორად, გიფიქრიათ ამაზე? — ვკითხე მე კუტირიოვს!

— იმიტომ, რომ ბავშვობაში, ალბათ, ღათვმა დაგაბიჯა ყურზე, — თქვა კუტირიოვმა.

— მე დამაბიჯა დათვმა ყურზე? — ისევ შეეკითხე მრისხანედ და გადავწყვიტე, სიმტკიცე გამომეჩინა. — მე დამაბიჯა დათვმა?! ის კი არად., მე მიეფიოდი ერთხელ ტაიგაში და მე დავაბიჯე დათვს ყურზე!

— შენ იზამდი მ.ვას. — არ გაჰკვირვებია კუტირიოვს.

— და საერთოდ — ეს სხაპერის გასროლა არ გეგონოს ი.ი იმით... რა ქვია, კინოთეოფია თუ რალაცა? განა შენ თვითონ ვერ ხედავ?

— ჩვენ, სამწუხაროდ, შენს შესახებ არაფერი ვიცით, — თავი იმართლა კუტირიოვმა. — სად სწავლობდი, როგორ სწავლობდი?.. მაგრამ ყოველივის ხომ არ იყავი ასეთი გიგანტური თავსედი და ყოველისმცოდნე ბაქია, ჰოდა, ახლა კომისია გამოეყავით, რომ განიხილოს შენი, არ მინდა ვთქვა. ბნელი-მეოქი, მინდა ვთქვა, შენი ბუნდოვანი წარსული.

— ოჰო. ესე იგი, კომისიაც კი გამოეყავით?! — აღფრთოვანებულმა ხმამაღლა წამოიძახე, მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა ზარი.

კუტირიოვი წამოდგა და მითხრა:

— წამო გაკვეთილზე და ხვალ გადავიღოთ, — და მოქანცული წალასლასდა კარისაკენ. კართან ის ნინა კისინას შეეჯახა.

— ივანოვ, სად არის ივანოვი? შენ აქა ხარ, ივანოვ? აჰ, შენ აქა ხარ, ივანოვ! შენ სასწრაფოდ გიბარებენ სკოლის დირექტორთან! სასწრაფოდ! — მომაყარა კისინამ.

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე თ ო თ ა ს მ ე ტ ე

ჰიპნოზის ხმანსი

. . . სასადილოში დასაზვერად რომ გამოვედი, დედა სარკის წინ იჯდა და სახეზე რალაცას იკეთებდა. ახლა მამას ოთახში შევედი. ის სავარძელში იჯდა და წიგნს კითხულობდა. მივუახლოვდი და მხრიდან ჩავხედე წიგნს, მაინტერესებდა, რას კითხულობდა. რალაც სამედიცინო წიგნი იყო, ნერვიული მოზარდის ცვალებად ტემპერამენტზე. ჩამოვჯექი და სათაური წავიკითხე ყდაზე. „ნერვული დაავადებანი". ესე იგი, მამამ გადაწყვიტა, ჩემს ორგანიზმში რალაც

დაავადება გამოჩსრიკოს. მაინცდამაინც ჩემში! კეთილი და პატიოსანი! მე მაგათ ყველაფერს პრესკონფერენციაზე გავაცხადებ. ყველაფერს ვუამბობ ყველას.

იმედია, შენი განრიგის მიხედვით დღეს შენ იქნები? — შეეკითხა მამა. — სადაცაა ჩვენთან ძია პეტრე მოვა და... კიდევ სხვებიც მოვლენ. — დაამატა მამამ რაღაც ყოყმანით....

დღეს სკოლის თვითმოქმედი წრის საღამოა, — ჩემი დასწრება აუცილებელია. — ვთქვი მე.

— ესეც ახალი ამბავი: — იური ივანოვი უნდა დაესწროს თვითმოქმედების საღამოს.

მართლაც, იყო რაღაც ახალი ამაში და, რომ არ დავთანხმებოდი მამას, არ შეიძლებოდა. არც ერთ თვითმოქმედების საღამოზე დასწრებისათვის, რა თქმა უნდა, არასოდეს თავისუფალი დრო არ მქონია, მაგრამ სკოლაში გამოკრულ აფიშაზე, გენერალურ რეპეტიციაზე რომ უხმობდა მოსწავლეებს, ყურადღება მივაქცევ მთავარს — სამ სიტყვას: „ბრმა კოსმოსური გაფრენა, კლოუნადა". „ეს „ბრმა" და მერე ისიც „გაფრენა" რაღას ნიშნავს, თანაც „კოსმოსური", „კლოუნადა" რაღაა?" — ვფიქრობდი და ვიშმუხნიდი ისევდაც პირქუშ სახეს.

„ვნახოთ, ვნახოთ, — გავიფიქრე მაშინ აფიშასთან მდგომმა, — რაზე და ვიზეა და, რაც მთავარია, ვინ მოისაზრა დაცინვა?! იქ კლოუნადა, აქ კოსმოსურიუმი, განრიგით კი რამდენი დატვირთვა მაქვს! დროს რა ვუყო, საიდან ვიშოვნო კიდევ ერთი დღე-ღამე? თუმცა დღე-ღამე რას მეყოფა, საიდან მივუმატო ამ დღე-ღამეს კიდევ ერთი თორმეტი-ცამეტი საათი? თორმეტი-ცამეტი ნუ იქნება, ხუთი-ექვსი იყოს", — გავიფიქრე და უშიშრად დავდე მამის თვალწინ ჩემი დღიური.

„მხოლოდ ერთი ვამოსავალია, — განვაგრძე ფიქრი, — უნდა იძინო მაშინ, როცა არ გძინავს და უნდა იფხიზლო, — როცა გძინავს. არა მგონია, ბუნებას არ ჰქონდეს დაპატენტებული ცხოველებისათვის, ფრინველებისათვის ან მწერებისათვის ამგვარი გამოვონება. ადამიანმა უნდა მიაგნოს ამას და თვითონაც აღიჭურვოს მით..."

სხვათა შორის, მამა ჯერჯერობით ხელს არ ჰკიდებდა დღიურს. უფრო ახლოს მივუჩოჩე. მამა შეკრთა, რაღაცნაირად მოიბუზა და, თუ არ ვცდები, თავის სკამიანად უკანაც კი დაიწია, ისე კი, მამა დღიურის დანახვაზე სწორად მოიქცა. საქმე ის არის, რომ იმ, ჩემთვის და სხვებისთვისაც ისტორიულ დღეს, დირექტორთან ორჯერ გამოიძახეს: გაკვეთილების დაწყებამდე და მეოთხეჯერ პირველ რ

პირველი გაკვეთილიდან, როდესაც გამოირკვა, რომ იმ ატრაქციონს, რომელიც ჩემს კლასს კულტურისა და დასვენების პარკში მოვუწყე, უქმად არ ჩაუვლია არც მათთვის და არც ჩემთვის. თითქმის მთელი კლასი არ გამოცხადდა სკოლაში. სწორედ ეს ჩაწერა დირექტორმა თავისი ხელით ჩემს დღიურში: „მთელი კლასი გაიტყუა და ისე დაქანცა ატრაქციონებზე, რომ თითქმის არავინ არ გამოცხადდა გაკვეთილებზე!" კარგია „თითქმის არავინ"! მე ხომ მივედი სკოლაში ისე, ვითომც არაფერი...

ცოტა ხანს მამას გვერდით ვიდექი და მერე შეებრუნდი ჩემს ოთახში, რადგან უნდა გამემეორებინა ჩემი როლი კინოფილმისათვის, რომლის გადაღებასაც აპირებდა ბორის კუტირიოვი: „დასვენების ზარი, ანუ რა მოხდებოდა, იური ივანოვი კლასის მამასახლისად რომ დაენიშნათ". მხრებზე წიგნის დასადები საგანგებო მოწყობილობა ჩამოვიცვი, რომლის დახმარებითაც შეიძლება, ხელებით იარო და ისე იკითხო წიგნი. ჩამოვიცვი სამხრე პიუპიტრი, მასზე როლი დავამაგრე. დავდიოდი ოთახში ხელებით და სხვადასხვაგვარად წარმოვთქვამდი:

— ამრიგად, კოლია მეუბნება: „კარგი, იური, ვთქვათ, აქამდე უბრალო მოსწავლე იყავი, ახლა კი მამასახლისი ხარ და შენ უკვე გაქვს გამოცდილება, ჩვენს კლასს უხელმძღვანელო...

მე. აბა, რა გამოცდილება მაქვს, ბავშვებო? სულ რაღაც ხუთი წუთია, რაც მამასახლისად ამირჩიეთ.

სერიოჟა. სულ რაღაც ხუთი წუთიაა!.. შენ გინდა თქვა, რომ მთელი ხუთი წუთის სტაჟი გაქვს! ამიტომაც კლასში უკვე პატივს გცემენ, შენს აზრსაც აფასებენ.

მე. მაშ, ჩემს აზრს აფასებენ?

სერიოჟა. ძალიან აფასებენ.

მე და ყველაფერი მე მეხება?

მიშა. მამასახლისს ყველაფერი უნდა ეხებოდეს.

კოლია. უკვე ანგარიშსაც გიწევენ. უფრო მეტიც, შენს აზრს დიდად აფასებენ.

მე (ამაყად). რა კარგად თქვი, კოლია, კარგად გამოგივიდა! მე უკვე ანგარიშს მიწევენ, ჩემს აზრს დიდად აფასებენ...

გადიმი. ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ.

მე. ეს მართალია, ჭკვიანი ვარ.

ოთახში მამა შემოვიდა, ალბათ, ჩემი ხმის კილომ მიიქცია მისი ყურადღება, მე ისევ განვაგრძობდი ოთახში ხელებით სიარულს და თან ხმამაღლა ვლაპარაკობდი:

მ ე (ამაყად). რა კარგად თქვი, კოლია. კარგად გამოგვიდა! მე უკვე ანგარიშს მიწყვეს, ჩემს აზრს დიდად აფასებენ.

ვ ა დ ი მ ი. ბოლოს და ბოლოს, შენ ნომ ჭკვიანი ბიჭი ხარ.

მ ე. ეს მართალია, ჭკვიანი ვარ.

— რას აკეთებ? — ჩაერია ჩემს რეპეტიციაში მამაჩემი, თან ფრთხილად მოშიახლოვდა.

— რას ვაკეთებ? როლს ვსწავლობ, — ავუხსენი და ხელებსე სიარულით გავშორდი.

— რა როლს? — შემეკითხა მამა.

— ჩვენ კლასში ჩემზე ფილმს იღებენ, — ხელმეორედ ავუხსენი.

— ფილმს ჩემს შვილზე?! — თავისთვის იკითხა მამამ. — საინტერესოა. მიჩვენე, ერთი, შენი როლი.

მე მამას ხელებით მივუახლოვდი, მარცხენა ხელს დავეყრდენი და მარჯვენათი სცენარი გავუწოდე. მამამ გამომართვა, ხმამაღლა წაიკითხა სცენარის სათაური და თქვა:

— მართლაც, რა მოხდებოდა, რომ იური ივანოვი კლასის მამასახლისად აერჩიათ?..

მან გულდასმით და, მე ვიტყოდი, დიდი ცნობისმოყვარეობით დაუწყო სცენარს კითხვა.

— ხედავ, — თითქოს თავის თავს მიმართა, — მასზე სატირას იღებენ და მთავარ როლს თვითონვე თამაშობს. თავის თავს ანსახიერებს, გასაოცარია!.. — ამ სიტყვებით იგი ოთახიდან გავიდა.

მე კი ფეხებზე დავდექი და ვთქვი:

— ჩემი აზრით, ყველაფერი ოცდახუთი წლის მერე იქნება, ნუთუ არ შეიძლება, ცოტა მოითმინონ?

— მაგრამ მე ოცდახუთ წელს ვერ ვიცოცხლებ, — დაიძახა მამამ სასადილოდან, — თუ ჩემს სახლში ყველაფერი ასე გაგრძელდა!

ეს უკვე სანტიმენტალობა იყო, მე კი უფლება არ მქონდა, სანტიმენტალობა გულთან ახლო მიმეტანა. ამ დროს წინკარში სმაური გაისმა.

„რომელიღაც ძია მოვიდა“, - გავიფიქრე და ივანზე გავედი, რადგან განრიგით შესვენება მქონდა.

მეზობელ ივანზე, შეზლონგში, კოლესნიკოვი იჯდა და სქელ საერთო რვეულში ჩქარ-ჩქარა რაღაცას წერდა. ჩავახველე, რომ კოლესნიკოვს არ ეფიქრა, თითქოს მას ვუთვალთვალებდი. ყინტორა კოლესნიკოვმა იმწამსვე მოსწყვიტა მზერა თავის ნაჯღაბნს და სახეზე ღიმილი მოეფინა, ჩემი აზრით, არცთუ ისე ჭკვიანური ღიმილი.

— აი, ეამთავრებ შენზე მოგონებას. — თქვა მან.

ამ სიტყვებით აივანზე მდგარი პატარა კარადიდან კიდევ ერთი საერთო რვეული გამოიღო. მე მაშინვე გავიფიქრე: „ძალიან ხომ არ გაბერა ამ კოლესნიკოვმა ატრაქციონების ეპიზოდი, რომელიც ჩემი ცხოვრების ერთი პატარა შტრიხია, ამას კი უკვე ორი საერთო რვეული აუვსია!“ მაგრამ არაფერი არ მითქვამს. მაინტერესებდა, როგორ ჩანდა ყველაფერი ეს შორიდან.

აი რა ეწერა კოლესნიკოვის ხელით პირველ გვერდზე: „იმ სამახსოვრო, ისტორიულ დილას იური ივანოვი გამოვიდა თავის აივანზე, რომელიც ჩემი აივნის გვერდით არის“.

— როგორია? — შემეკითხა კოლესნიკოვი, მისი მოგონების რამდენიმე სტრიქონი რომ წავიკითხე.

— არა უშავს, — ვუთხარი მე, — რაც უფრო ცუდია, მით უკეთესია! რაც უფრო მძიმეა, მით უფრო მსუბუქია, რაც უფრო რთულია, მით უფრო მარტივია!

— ეგ მესმის, — თქვა კოლესნიკოვმა, ეტყობოდა, უკვე მიჩვეულიყო ჩემი აზრების უცნაურად გამოხატვას. — მე იმას ვეკითხები: როგორ მოგწონს ჩემი მოგონებები? — ისევ შემეკითხა.

შე ხმამაღლა დავიწყე კითხვა:

— „კოლესნიკოვი, მისი მოგონებები ჩემზე“. და რომ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე, დავუმატე: — ახლავე, ახლავე გაგიმასპინძლდები შენი მემუარებით. — გადავშალე გვერდი და კითხვა განვაგრძე.

— რას იტყვი, ივანოვ, — ხომ კარგია?! — თავისი ნამუშევრით აღფრთოვანდა კოლესნიკოვი.

— აი, სწორედ ეგ მაშფოთებს, რომ შენთვის ძალიან კარგია. შენ თვითონ ასე ვერ დაწერდი. აქ რომელიღაც საიდუმლო შემთხვევის რაღაც ანთოლოგიაა, — ეჭვი გამოვთქვი და დავამატე: — არა, საერთოდ კარგია. აქ შენ რაღაც გაქვს დაწერილი ჩემი, განსაკუთრებით აი ამ სიტყვებში: „იგი შესანიშნავი აღნაგობისაა, სილუეტი კეთილშობილური და სრულყოფილი აქვს, ლაკონიურობა, სიმკაცრე იგრძნობა მასში, დააკვირდით გიგანტს — და თქვენ „გაგაწვალებთ“ ორგვარი შთაბეჭდილება: ხან დიდზე დიდი სიმძიმე მოაქვს, უდიდესი დაძაბულობით, ხან თამაშ-თამაშით „აღინთებიან“ ძლიერი კუნთები მსუბუქი დაძაბულობით. აი, ამ მდგომარეობათა ცვალებადობა ქმნის ბრძოლის შთაბეჭდილებას — ატლანტი ებრძვის სიმძიმეს, უხილავს ჩვენი თვალისათვის...“ მაგრამ... კოლესნიკოვს რენდგენოსკოპიულად შევხედე.

— მაგრამ... — ჩემს შეხედვას ვერ გაუძლო კოლესნიკო

ველთა მონათხრობს — გესმის — თვითმხილველთა! პირად თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ამბებზე. ზოგიერთი მემუარები ძვირფასი წყაროა მნიშვნელოვან ისტორიულ ამბებთან დაკავშირებულ გარემოებათა გასარკვევად. აბა, რაღა ძვირფასი წყარო იქნება შენი მემუარები, როცა ყოველ ნაბიჯზე ტყუი! აიღე ეგ რვეული და ყველაფერი ისე დაწერე, როგორც სინამდვილეში იყო.

ვერც კი მოვასწარი კოლესნიკოვისათვის შეთქვა, — შესულიყო თავის სახლში და გადაეწერა ეს აქია-ბაქია ქაღალდი, რომ ამ დროს ჩვენს სასტუმრო ოთახში რაღაც ხმაური გაისმა. მე ჩემს ოთახში შევბრუნდი. ისევ ჩავდე კლასის მამასახლისის როლი სამხრე პიუპიტრში, ხელებზე დავდექი და შევუდექი რეპეტიციას. წუთიც არ გასულა, რომ ოთახში მამა, ძია პეტრე და კიდევ ვიღაც უცნობი კაცი შემოვიდნენ.

— სალამი, იური! — მითხრა ძია პეტრემ და ხელი დამიქნია.

— გამარჯობა, ძია პეტრე, — ვუთხარი მე და ფეხი დავუქნიე.

— აი ხომ ხედავთ, — მიმართა გაჯავრებულმა მამამ სტუმრებს, — სულ ხელებზე დადის.

— არა უშავს, — დაამშვიდა იგი ძია პეტრემ, — მაგხელა რომ ვიყავი, თავით დავდიოდი.

— დადექი ფეხზე, როდესაც უფროსებს ელაპარაკები, — მითხრა მამამ.

— თავდაყირა უფრო უკეთესია ლაპარაკი, — ვუპასუხე მე.

— რატომ არის თავდაყირა უკეთესი? — გაჯავრდა მამა.

— თუნდაც იმიტომ, რომ თავს უფრო მეტი სისხლი აწვება, სისხლი კი... — დავიწყე მე გზნებით, — სისხლი კი — ეს...

— სისხლი კი — ეს, — სიტყვა შემაწყვეტინა უცნობმა მამაკაცმა, — ეს სითხეა, რომელიც წრიულად მოძრაობს ცხოველებისა და ადამიანის სისხლძარღვთა სისტემაში და ამარაგებს ორგანიზმს ნივთიერებებით. იგი შინაგანი გარემოს ერთ-ერთი ქსოვილია, — კაცი გაჩერდა და მკითხა: საკმარისია, თუ განვაგრძო?

სისხლის შესახებ ლექცია ბოლომდე უკვე ფეხზე მდგარმა მოვისმინე, თან იმაზე ვფიქრობდი, ეს ის კაცი ხომ არ არის, ვინც დღეს უნდა გამოირკვიოს, რითი ვსულდგმულობ, რა მიზნები მაქვს და შემდეგ შთამაგონოს სათანადო აზრები? საინტერესოა, რა პროფესიისაა? ექიმი თუა?.. ძალიან ზუსტად იცის, რა არის სისხლი.

— მაშ, ერთხელ კიდევ გამარჯობა, ჩემო ძმისშვილო, — მითხრა ძია პეტრემ და მხარზე ხელი მომითათუნა. — წამო, ახლა უხა მოვხარშოთ. ისეთი უხა უნდა მოვხარშო, სულ თითები ჩაიკვნიტო! ისე, რომ, ძმაო, — მიმართა მან მამას, ეტყობა, სამზარეულოში და-

წყებულ საუბარს აგრძელებდა, — თევზი კარგი ბარომეტრია. ხანდახან სათევზაოდ კარგ ამინდშიც ანკესზე არ წამოეგება, არ ეკარება ანკესს, მორჩა და გათავდა! ვერავითარი ჭიაყელა და სატყუარა ვერ გიშველის. ჰოდა ხელცარიელი ბრუნდები შინ: უცებ საიდანღაც დაპბერავს მძლავრი ქარი ან, ღმერთმა უწყის, საიდან გაჩნდება ღრუბელი, წამოვა თავსხმა და კიდევ ერთხელ რწმუნდები მეთევზეთა სიბრძნეში. თევზი საუკეთესო ბარომეტრია! თვითონ არ ედება ანკესს და შენც წინდაწინ გატყობინებს უამინდობას, წარმოგიდგენიათ?

და ძია პეტრეს ისევ თევზაობაზე გააბა ლაპარაკი. რამდენჯერაც არ უნდა მოვიდეს ჩვენთან, იმდენი თევზაობაზე ყვება ამბებს, მე კი სწორედ ეს არ მომწონს. ის განათლებით ქიმიკოსია, დაამთავრა ლომონოსოვის სახელობის ინსტიტუტი, მაგრამ ნატიფ ქიმიურ ტექნოლოგიაზე არასოდეს არ ლაპარაკობს.

მე სიტყვა შევაწყვეტინე და მოულოდნელად შევეკითხე:

— ძია პეტრე, სწორედ თევზზე მინდა გითხრათ. იცით თუ არა თქვენ, რომ არსებობს თევზი, წყალში რომ ისრჩვება?

— ასეთი რამ შეუძლებელია! — შეპყვირა ძია პეტრემ.

— აი, თურმე თქვენ არც თევზებზე გცოდნიათ ყველაფერი! — ვთქვი ჩემი თავით კმაყოფილმა. — თურმე არსებობს ისეთი თევზი, რომელიც წყალში იგუდება, მას პერიოფტალმუსი კელრეიტერი ჰქვია. ახლა რუსულად — თევზი-ხტუნია. იგი უცნაური არსებაა, ახლო-ახლო უსხედს კოშკისებური თვალები, სიგრძით ხუთიოდე სანტიმეტრია. ხტომით კი ერთ მეტრზე მაღლა შეუძლია ახტეს, ხმელეთზე ამშვენივრად იჭერს მწერებს.

— შეუძლებელია! — ისევ შეპყვირა ძია პეტრემ.

მე კი ვთქვი:

— თევზების ისეთი მცოდნე, როგორიც თქვენა ხართ, პირანიებს უნდა გადაუგდოს... მდინარის მიქცევის დროს!

მამას, ეტყობა, ჩვენი საუბარი არ მოეწონა, რადგან, როგორც კი ძია პეტრემ თევზის ჭერის ამბავი ხელმეორედ წამოიწყო, მაშინვე შეაწყვეტინა.

— გეყოფა თევზაობაზე ლაპარაკი, მაგისთვის არ მომიწვევიხარ.

— პო, მართლა! — ხელი ხელს შემოჰკრა ძია პეტრემ და ის იყო ჩემთვის უნდა მოეყვარა, რომ მე საათს დავხედე და ვთქვი:

— ყმაწვილებო! ჩემთან სალაპარაკოდ ნახევარ საათს გაძლევთ. ძალიან დაკავებული ვარ. ისე რომ, მოკლედ! კონსპექტურად! ნახევარი სიტყვით! დროს ვინიშნავ!..

საათს დავხედე. მერე მამას შეეხედე, იმიტომ რომ მას იმავე წამს რაღაც ისტერია დაემართა.

— გესმით, „ყმა-წვი-ლებო“, — მიუბრუნდა ის ძია პეტრეს და მის ნაცნობს, — „ყმაწვილებო“! ხედავთ!.. ჩვენთან მხოლოდ ნახევარი საათით შეუძლია მოიცალოს!

— ახლა უკვე ნახევარი საათითაც არა, ოცდაცხრა წუთით! — შეეუსწორე მე, რისგანაც მამას სუნოქვა შეეკრა. კიდეე კარგი, ძია პეტრეს ნაცნობმა დაამშვიდა:

— ნუ ღელავთ... მე თქვენ ტელეფონით უკვე გითხარით, რომ ჩვენს საზოგადოებრივი მიმართულების მოზარდებში არიან ისეთები, რომელთათვისაც ყველაზე მთავარია. სიკეთე გაუკეთონ სხვას, თავის ამხანაგებს, კლასს, მშობლებს, ზოგჯერ კი მთელს კაცობრიობას...

სიტყვებზე „მთელ კაცობრიობას“ ყურები ვცქვიტე.

— მე ერთ სკოლაში ყმაწვილი გავიცანი, რომელიც დიდი გატაცებით აწყობს გეგმებს, თუ როგორ გარდაქმნას მარტო თავისი კლასი კი არა, არამედ მთელი სამყარო! საქმიანი მოზარდები გვყავს.

ძია პეტრეს ნაცნობის სიტყვები ბოლომდე მოვისმინე და დავმშვიდდი: მე ზემოზარდი ვარ და მასთან ზესაქმიანი, ამიტომ ეს ყველაფერი მე არ მეხება.

— თქვენ იცით, საქმიან მოზარდებზე ექსპერიმენტი რომ ჩატარეს, აი ჟურნალ „ზნანიე — სილა“-ში რომ დაიბეჭდა? — ვკითხე ძია პეტრეს ნაცნობს დაუდევრად.

— შენ დაგაინტერესა ამ ექსპერიმენტმა? — მკითხა მან.

— ისე რა, — ვნახე სტატია, რომელსაც სათაურად ჰქონდა „თქვენ მე მკითხულობდით?“

— მერე? მოგეწონათ?

— ისე რა... იქ ერთი აზრია საყურადღებო, გასსოვთ? ციტატას მოვიყვან: „...საქმიანი მოზარდები შეიძლება იყვნენ სულ სხვა მასშტაბის ბავშვები და შეიძლება, ისინი დაინტერესოს რაიმე ზემნიშვნელოვანმა და ვინმესთვის აუცილებლად სასარგებლო ამოცანებმა: სამეცნიერო იქნება ეს თუ სამეურნეო, ნამდვილად რომ შეუცვლის ადამიანებს ცხოვრებას. ერთი სიტყვით, „ბავშვური“ კი არა, სადიდო მიზნები აქვთ...“

მე მამას ჩემი თვალების ლაზერით ისე მრავალმნიშვნელოვნად შევხედე, ოდნავ განზეც კი გაიხედა. — სხვა, სხვა მასშტაბის, — გავიმეორე მე. — და შეიძლება, ისინი დაინტერესოს რაიმე ზემნიშვნელოვანმა და ვინმესთვის აუცილებლად სასარგებლო ამოცანებმა.

ერთი სიტყვით, არა „ბავშვური“, არამედ საღიღო მიზნები აქვთ. ჩემი მხრით დავუმატებ, — ვოქვი მე მრავალმნიშვნელოვნად, — იქნებ — ზესადიდო ზემიზნებიც.

— შენ ექიმობას ხომ არ აპირებ? — მკითხა საუბრის ასეთი დასაწყისით გაოგნებულმა ძია პეტრეს ნაცნობმა.

ძია პეტრემ კი, რომელმაც ვერაფერი გაიგო ჩემი მოკლე, მაგრამ ფარიკაობის მსგავსი ფიცხი საუბრიდან, ში ნაცნობს რომ გავუმართე, თქვა:

— შენ აქ ცოდნით და ძალით უფროსებს სიტყვას ბანზე ნუ უგდებ. რა ახალგაზრდობა გვეზრდება! რაც არ არის საჭირო — ის იციან, რაც საჭიროა — ნურას უკაცრავად. შენ საქმეზე ილაპარაკე: რაზე გემდურის მამაშენი? ცუდად სწავლობ, ეხეიროდ იქცევი?!

— ვინ სწავლობს ცუდად? — გავიცინე მე.

მამა შეიშმუხნა და თქვა:

— პეტრე, შენ ყველაფერი ერთმანეთში აგერია. ეგ ისე სწავლობს, რომ ნიშნებიც ალარ ყოფნით. ცუდად ოდესღაც, ამ ოთხი წლის წინ სწავლობდა, ახლა კი ალარც ვიცი, რა დავარქვა მაგის სწავლას. ერთი მასწავლებელი ჩვეულებრივ ხუთიანებს კი არ უწერს, როგორც სხვა ფრიადოსნებს, არამედ რვიანებსა და ცხრიანებს! ერთხელ ათიანიც მიიღო. მაგის ღლიური ნახე? მხოლოდ ექვსიანები და შვიდიანები უწერია პლუსებით... ერთი სიტყვით, როგორ გითხრა, ყველაფერი იცის, მთელი ათწლეულისა!

— მთელი ათწლეულის? — გაოცდა ძია პეტრე.

„მგონი, საჭიროა, აკამოქმედო საიდუმლო იარაღი და დავუმტკიცო ამ კონსილიუმს, რომ მხოლოდ მეათე კლასის პროგრამა კი არა, სხვაც ბევრი ვიცი, — გავიფიქრე მე, — მართალია, უფროსებთან გამკლავება ცოტა ძნელია, მაგრამ ზეკოსმონავტისათვის ზეწინააღმდეგობები არ არსებობს“.

— რატომ მარტო ათწლეულის? უმაღლესი სასწავლებლის პროგრამაც ვიცი!

— მაინც რომელი უმაღლესი სასწავლებლისა იცი? — გაოცდა ძია პეტრე.

— მაგალითად, აი იმისი, თქვენ რომ დაამთავრეთ! ლომონოსოვის სახელობის ნატიფი ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტის. აი აიღეთ ბილმეიერის სახელმძღვანელო — „პოლიმერების შეტანა ქიმიასა და ტექნოლოგიაში“, — და ძია პეტრეს გავუწოდე ყავისფერყდიანი წიგნი. — ნებისმიერ გვერდზე ვადაშალეთ და ნებისმიერი შეკითხვა მომეცით.

— აი, ეს უკვე თავხედური თაედაჯერებულობაა! — აღშფოთდა მამა.

ძია პეტრემ კი თქვა:

— კეთილი, კეთილი, — გადაიხარხარა და სახელმძღვანელოს ფურცვლა დაიწყო, ეტყობოდა, ძნელ შეკითხვებს არჩევდა. — მაშ, შენ ამბობ, რომ ნატიფი ქიმიური ტექნოლოგიის კურსი იცი? — დაეშვებით თქვა მან.

— ჰო, მამა, სანამ ძია პეტრე ჩემთვის შეკითხვას მოიგონებს, მინდა შენს საინგარიშო მანქანას შევეჯიბრო. აიღე შენი არითმომეტრი.

— მაინც როგორ შეეჯიბრები? — გაოცდა მამა.

— ნებისმიერ რიცხვს გადავამრავლებ ორ წამში, ჯერ ორი დიდი ორნიშნა რიცხვი მომეცი!

— ეს უკვე უმსგავსობაა! — აღშფოთდა მამა.

— ჯერ მომეცი ორი დიდი ორნიშნა რიცხვი და მერე თქვი, უმსგავსობაა-თქო!

— არა, მაინც როგორ და რაზე ელაპარაკება საკუთარ მამას! — ძია პეტრეს ნაცნობს მიუბრუნდა აღელვებული მამა.

ძია პეტრეს ნაცნობმა შემომხედა და საყვედურის ნიშნად თავი გააქნია, მაგრამ მამას მაინც ურჩია, დაესახელებინა ორი დიდი რიცხვი.

— აუცილებლად დიდი? — მკითხა მამამ ჯერ ისევ აღშფოთებული ხმით.

— სასურველია, — ვუთხარი მე მშვიდად.

— კარგი, ვთქვათ... ოთხმოცდაცხრა... ოთხმოცდათორმეტზე.

— რვა ათას ას ოთხმოცდარვა! — ვთქვი იმწამსვე.

— ასე სწრაფად როგორ გამოიანგარიშე?! — წაიბურტყუნა მამამ დაბნეული ხმით.

ეს რომ თქვა, წამოდგა, სწრაფად გავიდა ოავის ოთახში და მალე დაბრუნდა არითმომეტრით ხელში. საინგარიშო მანქანის სახელური დაატრიალა და შედეგი ჩაიწერა. მერე აიღო ქაღალდის სუფთა ფურცელი და ხელით დაიწყო მოცემული რიცხვების გადამრავლება. მამა რომ არითმომეტრისათვის გავიდა, მე მივასწარი და ძია პეტრეს ვუთხარი:

— სხვათა შორის, დრო მიდის, მომეცით ჩქარა შეკითხვები!

— ჰო, ჰო, — თქვა ძია პეტრემ, თან საგონებელში ჩავარდნილი თავს აქნევდა. — ახლავე, ახლავე!

— თქვენცა გიფიქრია, საჩქაროდ რამე შეკითხვა მომეცით, — ვუთხარი ძია პეტრეს ნაცნობს, — რომ ორივეს ერთად გიპასუხოთ.

თქვენ და ძია პეტრეს შეგიძლიათ, შეკითხვები ერთდროულად მომცეთ.

— რადგან თქვენ ფსიქოლოგიის საკითხებით ხართ დაინტერესებული, იქნებ წაიკითხეთ სტატიები ჯგუფურ ურთიერთობაზე? — შემეკითხა ძია პეტრეს ნაცნობი.

— ჩვენ „იქნებ წაეიკითხეთ" კი არა, რაღა თქმა უნდა, წავიკითხეთ ეგ სტატიები, — მივუგე მე. — ისე, საერთოდ, მე წინააღმდეგი ვარ ურთიერთობისა, მით უმეტეს ჯგუფურის! იმან, ვისაც სურს ბევრს მიაღწიოს... (სიტყვები „პირადად მიაღწიოს" აღარ ვთქვი), არ უნდა დახარჯოს დრო... („ჯგუფურ ურთიერთობებზე"-მეთქი, არც ესა ვთქვი, ამიტომ ფრაზა, როგორც ყოველთვის, ცოტაოდენ ბუნდოვანი გამოვიდა: „იმან, ვისაც სურს, ბევრს მიაღწიოს, არ უნდა დახარჯოს დრო...").

— მე კი მგონია, სწორედ თქვენ გჭირდებათ ეს „ჯგუფური ურთიერთობები", — თქვა ძია პეტრეს ნაცნობმა. — მაშინ არ დაგემართებოდათ ის, რასაც მე გამჩნევთ: თქვენ არა გაქვთ სწორი რეაქციები თქვენს გარემოზე. არ შეგიძლიათ, ასე ვთქვათ, ღირსეულად შეეთვისოთ მას. სამარცხვინო შეთვისებაზე კი არ ვლაპარაკობ. ეს თქვენი უუნარობაა — ხასიათის თავისებურება: ასე აღგზარდეს თქვენ, ასე წარიმართა თქვენი ბედი... უფრო ზუსტად, თქვენ არა გაქვთ სწორი რეაქციები ადამიანებთან ურთიერთობისას, ჰოდა ადამიანებიც არასწორ რეაქციებს იძლევიან თქვენს რეაქციებზე... იქნებ ფიქრობთ, რომ სხვებისაგან დაუმსახურებლად გხვდებათ, სინამდვილეში კი — ყველაფერი რიგზეა: „რასაც დასთეს, იმას მოიმკი".

— აჰა, — სახელმძღვანელოდან თავი აიღო და ჩვენს ლაპარაკში ჩაერია ძია პეტრე, — აბა, ერთი მითხარი მე შენ, რა არის, მაგალითად, ფრიქცია და რითი განსხვავდება პლასტიკაცია პლასტიფიკაციისაგან?

— ფრიქცია — ეს ვალცების (ვალციანი შემრევების) მახასიათებელია, რომელიც გამოიყენება პოლიმერული ნარევების დასამზადებლად და შესაფერავად. ფრიქცია ეწოდება წინა ლილვაკის წრიული სიჩქარის ფარდობას უკანა ლილვაკის წრიულ სიჩქარესთან. გასაგებია თქვენთვის? — შევეკითხე მე. — ახლა, რაც შეეხება იმას, რითი განსხვავდება პლასტიკაცია პლასტიფიკაციისაგან? პლასტიკაცია — ეს პოლიმერული ნარევის დარბილებაა, მსუბუქი გაცხელების დროს არევის შედეგად. პლასტიფიკაცია — პოლიმერულ ნარევში პლასტიფიკატორის შეტანაა.

— შენ რა, — ნატიფი ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტში აპირებ შესვლას? — შემეკითხა ძია პეტრეს ნაცნობი.

— არა, არ ვაპირებ, — ვუპასუხე მე.

— ჰოო, — თქვა ძია პეტრეს ნაცნობმა. — მაშინ შეეცდები, შთაგაგონო „ჯგუფური ურთიერთობის“ სიკეთე. აი, მე შენ გამჩნევ დაუოკებელ სწრაფვას ლიდერობისაკენ, მაგრამ ლიდერიც ხომ შეიძლება იყოს უარყოფითი პიროვნება. ასე არ არის?..

„ეს ლიდერი! — გავიფიქრე მე. — უარყოფითი ზელიდერი კი არ შეიძლება იყოს, ისე რომ, ამაზე შეიძლება, პასუხი არ გაეცეს. ვერ მიმიხვდა ძია პეტრეს ნაცნობი, ამ უფროსების წარმოსახვა ლიდერის იქით არ მიდის. ამათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ჩვეულებრივ ლიდერებს შორის შესაძლოა, გამოჩნდეს ზელიდერიც“.

— ვანვაგრძობ, — თქვა ძია პეტრეს ნაცნობმა. — ხშირად ადამიანის ხასიათში ვლინდება სიძნელეები, ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაგანი ტენდენციების შეტაკებისას, რომელთაგან ერთ-ერთის დანახვა არ სურს ადამიანს... როდესაც მოზარდში თავს იჩენს (მის ნამდვილ ნიჭთან და შესაძლებლობებთან შედარებით), გადამეტებული თვითშეფასება, მისი მოთხოვნილებანი, ბუნებრივია, ვერ კმაყოფილდება. ეს დაუკმაყოფილებლობა ტრავმას აყენებს მოზარდის ფსიქიკას, მას უჩნდება სურვილი, აუცილებლად დაიცვას თავისი მაღალი თვითშეფასება, ეს კი თავის მხრივ...

— ეს კი რას იწვევს, ყველასთვის ცნობილია, — ჩავერიე მე ლაპარაკში, — თავის მხრივ ეს იწვევს მოვლენას, რომელსაც ფსიქოლოგები ეძახიან „არაადეკვატურობის ეფექტს“, — ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც აღგზნებული ნერვული სისტემა ადამიანს აიძულებს, მოიქცეს ისე, მის გარემოს რომ არ შეეფერება. სწორად გაგიგეთ თუ არა? — მივმართე ძია პეტრეს ნაცნობს, მაგრამ გონს მოსელა არ ვაცადე, ისევ განვაგრძე: — თქვენ თუ იცით, რომ, — ახლა ყველას მივმართე, — ადამიანის შეხედულება თავის თავზე ძალიან ეწინააღმდეგება სხვების, მაგალითად, ზოგიერთი უფროსისა და ზოგიერთი მოზარდის შეხედულებას მასზე? იმიტომ რომ ადამიანები ხედავენ მხოლოდ იმას, რაც ადამიანმა გააკეთა აქამდე, ის კი თავის თავს თვლის არა მარტო აწმყოს, არამედ მომავლის შემოქმედათაც. ამიტომ ჭეშმარიტება. ჩვეულებრივ, შუა ზღვარზეა: ადამიანის ღირსება ფასდება არა მხოლოდ იმით, რაც მან უკვე გააკეთა. არამედ იმითაც, რასაც მომავალში გააკეთებს.

— სწორია! — შეჰყვირა მაბამ, რომელიც ძირითადად გამოსათ-

ველელი მანქანით იყო დაკავებული. — ყველაფერი ზუსტად ამ მაგრამ, მაინც, ასე სწრაფად როგორ გამოიყვანე?

— ძალიან ადვილად. ხომ არ ეტყვით ვინმეს?

— რასაკვირველია, არა.

— რამდენი აკლია პირველ რიცხვს, ოთხმოცდაცხრას, ასი რომ გახდეს?

— თერთმეტი.

— მეორეს?

— რვა.

— მერე ძნელია რვისა და თერთმეტის გამრავლება?

— რასაკვირველია, არა. ოთხმოცდარვაა.

— ეს არის ბოლო შედეგი.

— საწყისი როგორია გამოიანგარიშე? — მკითხა მან.

— ეგ უფრო იოლია, — უპასუხე მე. — ოთხმოცდაცამეტს ერთ რვა გამოაკლო, ძნელია?

— არა.

— რამდენი იქნება?

— ოთხმოცდაერთი.

— ესეც შედეგის დასაწყისი. და თუ მანიცდამაინც გინდა, ოთხმოცდათორმეტს გამოაკელი თერთმეტი, ისევ ოთხმოცდაერთი იქნება.

— ჰოო, — თქვა ძია პეტრეს ნაცნობმა. — შენ ეკონომიკის ინსტიტუტში აპირებ შესვლას?

— არა, — ვუთხარი მე, — არ ვაპირებ. ახლა, ყმაწვილებო, ნება მომეცით, ერთი შეკითხვა მოგცეთ. თქვენ თუ წაგიკითხავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სტატია „გონება იღებს გადაწყვეტილებას“? იგი წერს: „ცოცხალი არსის მრავალრიცხოვან განსაზღვრათა შორის ყველაზე მეტად მომწონს აკადემიკოს ა. ი. ბერგის განსაზღვრა: „ყოველი ცოცხალი მკვდარისგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ მოთხოვნილება აქვს. შევნიშნოთ, რომ მოთხოვნილება მხოლოდ შიმშილი, წყურვილი ან...

— არა, არ წაგვიკითხავს, — გამოტყდა ძია პეტრეს ნაცნობი. — განა ყველაფრის წაკითხვას მოასწრებ. — მძიმედ ამოიოხრა მან.

— საჭიროა, — ვუთხარი მე, — უნდა მოასწროთ... აი, ძია პეტრე ქიმიაში სასარგებლო მუშაობას ეწევა და... თევზაობასაც ასწრებს. ჰო, მართლა, ძია პეტრე, რა არის იმ თქვენს ქიმიაში ის რაღაც კინეტიკური მრუდეები...

ძია პეტრე ჩაფიქრდა და თქვა:

— როგორ გითხრა, კინეტიკური მრუდეები — ეს მრუდეებია...

— მაშ. კინეტიკური წრფეები თქვენს ქიმიაში სწორს ნიშნავს? — ვკითხე მე. — მოდით, ერთად გავიხსენოთ, რას წარმოადგენს კინეტიკური მრუდეები?

— რას წარმოადგენს კინეტიკური მრუდეები? — ჩემი შეკითხვა გაიმეორა ძია პეტრემ.

— ჩემი შეკითხვების გამეორებას კი არ გთხოვთ, არამედ პასუხს, რა არის კინეტიკური მრუდეები?

— კინეტიკური მრუდეები... — თქვა ძია პეტრემ და ისევ გაჩუმდა.

მაშინ მე ვუკარნახე:

— კინეტიკური მრუდეები ეს არის ვულკანიზატორების თვისებათა დამოკიდებულება ვულკანიზაციის დროზე. შემდეგ, განაგრძეთ! — ვუთხარი მე.

ძია პეტრეს ხმა არ ამოუღია.

— ესე იგი, რა არის კინეტიკური მრუდეები, თქვენ, ძია პეტრე, არ იცით. მაშინ, შეიძლება, ის მაინც იცოდეთ, რა არის პოლიმერული მასალების დეფორმირების სპეციფიკა.

ძია პეტრემ ისევ ვერაფერი მიპასუხა.

— ესე იგი, თქვენ არც ის იცით, რა არის პოლიმერული მასალების დეფორმირების სპეციფიკა, ეს მესმის, — ვთქვი მე. — მაგრამ, თქვენ ხომ ნატიფი ქიმიური ტექნოლოგიის ინსტიტუტი დაამთავრეთ და უნდა იცოდეთ, რა არის პოლიმერული მასალების დეფორმირების სპეციფიკა.

— მე ხომ ქიმიაში საერთო სამეურნეო საკითხებზე ვმუშაობ,— როგორღაც დამნაშავესავით თქვა ძია პეტრემ.

— შენ კი, მამა, მოდი, შენი ბუღალტერიის ირგვლივ გაგესაუბრები!

— ღმერთმა დამიფაროს, — თქვა მამამ და ორივე ხელი ზემოთ ასწია. გნებდები! ხედავთ, რა დღეში გვაგდებს! თავისი ცოდნით ყველას შიშის ზარსა გვცემს. არავის არ ახარებს! ყველა სასოწარკვეთილებამდე მივყავართ! მე, პირადად, მეშინია მისი! სულ უფრო და უფრო მეშინია! ამას... რაღაც უნამსი ბუნებრივი ნიჭი აქვს ყველაფრისა, რაც კი ამქვეყნად რამე არსებობს! — იყვირა მამამ.— იურას ჰგონია, რომ ეს მას უფლებას აძლევს, ცხოვრებაში საძაგლად მოიქცეს. ერთი მაგისი დღიური ნახეთ, ერთი ნახეთ — თმები ყალყზე დაგიდგებათ!

— მე უკვე აღარ დამიდგება თმები ყალყზე, — თქვა ძია პეტრეს ნაცნობმა და მელოტ თავზე ხელი გადაისვა.

— ოქროს ხანაც გვქონდა, როცა სამიანებს ღებულობდა და

ხანდახან ორიანებიც გამოერეოდა ხოლმე. ვეუბნებოდით: „იურა, იქეც ადამიანად, ნუ ღებულობ ორიანებს, ნუ ღებულობ სამიანებს“. და აი, საღამოს მიეედით! ჩემი შვილი სიმპათიური ადამიანის დონემდე იყო მისული, მერე დაგვიჯერა და ადამიანად იქცა, სწავლითაც კარგად სწავლობდა და ქცევითაც რიგიანად იქცეოდა. მერე კი თანდათან გადააჭარბა ყოველგვარ ადამიანურს.

— იცით თუ არა თქვენ, — ვთქვი მე, — მეცნიერები ამბობენ, რომ ადამიანი ტვინის სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტის მხოლოდ ექვს პროცენტს იყენებს!

— ესე იგი, ყველა ექვსს იყენებს, შენ კი ორჯერ ექვსს — თორმეტს, ხომ? — შემეკითხა მამა.

— და თუ ექვსჯერ ექვსს — ოცდათექვსმეტს ვიყენებ? — შევეკითხე მე მამას.

— ეს რაღა გამოდის? ივანოვი ფენომენია, ხომ? — ჩაერია ლაპარაკში ძია პეტრე.

— ასეა, ასე! — თქვა ძია პეტრეს ნაცნობმა. — ხედავთ, თურმე პროცენტი ყოფილა მთავარი!

— ჩემის აზრით კი, ეს რაღაც ოინია, — თქვა ძია პეტრემ. — აი, რა მიამბეს: გეტინგენის უნივერსიტეტში, იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის გამოცდაზე, ერთ სტუდენტს მიუღია თუ არა საგამოცდო დავალება, გასცლა უთხოვია, ჰოდა, გასულა. იქ გამოცდების დროს აუდიტორიის დატოვება შეიძლება, რადგანაც ასეთ დღეებში ზედამხედველები ყოველ შემთხვევისათვის ყველგან, საპირფარეშოშიც კი, მორიგეობენ. ჰოდა ზედამხედველებმა ბოროტგანმწირახველი ამხილეს, როდესაც იგი კაბინეტში „ჩუმად თავის თავს ელაპარაკებოდა“. გამოირკვა, რომ სტუდენტს საათში დამონტაჟებული ჰქონდა მინი-გადამცემი, ქურთუკის ქვეშ კი მინიატურული რადიომიმღები ჰქონდა დამალული. სტუდენტი შემდგომ გამოცდებზე აღარ დაუშვეს, მაგრამ კომისიამ სტუდენტის საინჟინრო ნიჭი ჯეროვნად დააფასა და ურჩია მას, დაუფლებოდა ტექნიკურ დისციპლინებს. საქმე ისაა, რომ მიმღებ-გადამცემის მოწყობილობა, „რადიოშპარგალკა“, ამ მომავალმა იურისტმა თვითონ ააწყო. იურა, ადექი, უნდა გაგჩხრიკო. იქნება, შენცა გაქვს ამდაგვარი რამ.

მე წამოვდექი და ნება მიეეცი, გავეჩხრიკე.

— არა, ეს რაღაც ზე...ზე...ზე... — თქვა მამამ.

„აბა, მამა, კარგად დაფიქრდი, გამოიცან, ვინ არის შენი შვილი, აბა...“ — მინდოდა მეთქვა მამასთვის.

— ეს ზიკკერანი, ზეგამოუცნობი, ზეუწესო ვიღაცაა!

— იცით, რა, ყმაწვილებო, მე მინდა ჩვენი საუბრის დასასრულს შთაგაგონოთ ერთი ფრიად საჭირო ამბავი, — ვთქვი მე.

ამ სიტყვებმა მთლად გააცოფა მამაჩემი.

— ერთი წუთით! — შესძახა მამამ. — რა ხღება აქ? ვინ ვის ამოწმებს? ვინ ვის საქმეს აარჩევს? ვინ ვის უპირებს აღზრდას? ვინ ვის შთააგონებს? და ვინ ვის უკეთებს აქ ჰიპნოზს?

„აი, როგორ ყოფილა საქმე! — გამიელვა თავში. — მამამ დასახმარებლად მოიწვია ანა უბრალო ექიმი, ჰიპნოტიზიორი“.

— არა, ამას ნორმალურ მდგომარეობაში ვერაფერს შთავაგონებთ, ძალიან გთხოვთ, ჰიპნოზი გაუკეთეთ, — თქვა მამამ. — იურა, შენ თანახმა ხარ, ჰიპნოზი გაგიკეთონ? — შემეკითხა მამა.

— რასაკვირველია, თანახმა ვარ, — ვთქვი მე, — თუკი საქმე ასე შებრუნდა.

— ოქვენ თანახმა ხართ, ჰიპნოზი გაუკეთოთ ამას? — მიმართა მამამ ძია პეტრეს ნაცნობს.

— თანახმა ვარ, — უპასუხა ძია პეტრეს ნაცნობმა, — მაგრამ არა მჯერა, რომ ჰიპნოზს დაემორჩილოს.

— დავემორჩილები, დავემორჩილები, — დავამშვიდე ჰიპნოტიზიორი.

— და დაჰიპნოზებული მოგვცემ პატიოსან სიტყვას, რომ ხვალიდან ზომიერად დაიწყებ სწავლას და რომელიმე საგანში სამიანს მანიც მიიღებ!.. — თქვენ შეგიძლიათ შთააგონოთ, — მიუბრუნდა ძია პეტრეს ნაცნობს მამა, — რომ იგი... არა, ჯობს, მძინარე მდგომარეობაში აუხსნათ, ყველაფერი ეს რისთვისაა საჭირო!

მე და ძია პეტრეს ნაცნობი ჩემს ოთახში შევედით და ზუსტად ნახევარი საათის მერე, ვიოთმეც აქ არაფერი, მე სასადილო ოთახში დავბრუნდი, ძია პეტრე და მამა ისხდნენ და თვალს არ აშორებდნენ ჩემი ოთახის კარს. მამამ რომ დამინახა, ოთახიდან მარტო მე გამოველი, შემეკითხა:

— ექიმი სად არის?

— სძინავს, — ვუთხარი მე.

— როგორ სძინავს?! — ერთხმად შეჰყვირეს მამამ და ძია პეტრემ.

— როგორ და, ჩვეულებრივ, მე გავუკეთე ჰიპნოზი.

— შენ როგორ გაუკეთე ჰიპნოზი? — ვერაფერი გაიგო მამას.

— იმან ვერ შეძლო ჩემი დაჰიპნოზება, მე კი შევძელი, და ის დავაჰიპნოზე, — ავუხსენი მამას. — ჯერ მელაპარაკებოდა, მერე კი

დაიწყო: ღაიძინე, დაიძინე, დაიძინე! შენ ხომ იცი, მამა, რომ დღეს, განრიგის მიხედვით, ცხრა საათზე უნდა დავიძინო, ახლა კი ჯერ ხუთის ნახევარია.

— ყველას კარგი დღე დაგვიდგა, მაგრამ ჰიპნოტიზიორს ყველაზე მაგრად მოხვდა! — გადაიხარხარა ძია პეტრემ; იმღენი იხარხარა, რომ თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა.

არ ვიცი, აბსანაგო შთამომავალნო, რა იყო აქ სასაცილო?!

— გააღვიძეთ! — იყვირა მამამ. — გააღვიძეთ ჰიპნოტიზიორი, ახლავე გააღვიძეთ!

— კი, ბატონო, — ვთქვი მე, — რადგანაც გინდა, გავაღვიძებ.

სამივენი ჩემს ოთახში შევედით, ჰოდა მამამ და ძია პეტრემ დაინახეს ჰიპნოტიზიორი, რომელიც ჩემს საწოლზე იწვა და ღრმა ძილს მიესცემოდა.

— პაციენტი შესამე სტადიის ღრმა ჰიპნოზურ ძილში იმყოფება, — ვთქვი მე. — ჩვეულებრივ, სიღრმის მიხედვით, ჰიპნოზის სამ სტადიას არჩევენ: მძინარობას, ჰიპოტაქსიას და სომნამბულიზმს. მძინარობის დროს შეინიშნება მსუბუქი თვლემა და კუნთების საერთო მოდუნება. ჰიპოტაქსიის დროს, რომელსაც ახასიათებს ნებისმიერ მოძრაობათა დაქვეითება, ხშირად აღინიშნება მუსკულატურის ეგრეთ წოდებული ცვილისებრი მოქნილობა — კატალეპსია, რომლის დროსაც დაჰიპნოზებულის ხელი, ფეხი ან თავი დიდხანს ინარჩუნებს ხელოვნურად შიღებულ პირვანდელ მდგომარეობას. სომნამბულური სტადია — ეს შედარებით უფრო ღრმა ჰიპნოზია. სომნამბულიზმის დროს დაჰიპნოზებულს შეიძლება შთააგონოთ სხვადასხვა მხედველობითი, სმენითი და ყნოსვითი ეგრეთ წოდებული ჰალუცინაციები.

— ახლა მაინც დაანებე თავი ლექციის კითხვას და დაუყოვნებლივ გააღვიძე ექიმი, — თქვა სასოწარკვეთილმა მამამ.

— შესაძლებელია, იურის გონება ექვსჯერ ექვსი — ოცდათექვსმეტით კი არა, ექვსჯერ რვა — ორმოცდარვით მუშაობს? — წყნარად თქვა ძია პეტრემ.

— რა ხდება? არაფერი მესმის! — ხმადაბლა შესძახა მამამ.

— განდიდების ტაბულაზეა ლაპარაკი, — ავუხსენი მამას და მოულოდნელად კარადის კარი გამოვაღე. კარადაში კირილოვ-შამშურინი და დანილოვა ისხდნენ. — გამოდით... განწირულნო შეთქმულებო! — ვთქვი და საქმეს შევუდექი, რომ ექიმი ჰიპნოზურ ძილის მესამე სტადიიდან ვაპო�eyvana.

მოგონება მეთსუთმეტე

ᲛᲬᲘᲠᲘᲐᲜᲘ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲘ ᲘᲪᲘᲓᲜᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ

ძვირფასო ამხანაგო შთამომავალნო, ის იყო ჩავიცვი კურტაკი და გავიფიქრე, რამდენი ხანია ლექსებით აღარავის შემოუტევიამეთქი, რომ იმავე წამს კურტაკის მარჯვენა ჯიბეში დახვეული ფურცელი აღმოვაჩინე. ამოვიღე ჯიბიდან და გავშალე. რასაკვირველია, ლექსი იყო! ლექსს უცნაური სათაური ჰქონდა და ამჯერად უშუალოდ კოსმოსს ეხებოდა. თვითონ განსაჯეთ: ლექსს ასე ერქვა: „შორეულ ვარსკვლავ ზბიუნზე". ამის მერე იწყებოდა, უკაცრაული პასუხია და, ოთხტაეპოვანი ლექსი:

ხომალდი მოიცვა დუმილმა
და კოსმონავტმა — ტიტანმა
შორეულ ვარსკვლავ ზბიუნზე
საამოდ აჟღერა გიტარა.
ახლა აქ, ბორტის გადაღმა,
ნაკადულს ქარი არ ამღერებს...
ზბიუნზე — შორეულ ვარსკვლავზე
კოსმონავტს გიტარა აღელვებს...
უტყობა, სიყვარული სწვავს,
ოცნებობს ცისფერ თვალებზე —
შორეულ ვარსკვლავ ზბიუნზე
გიტარის სიმებს აკვნესებს.
მეორე იგონებს მშობლიურ
ტირიფებს, საყვარელ დედას;
სევდიან ჰანგებს უგზავნის
ამ ვარსკვლავ ზბიუნიდან.
მესამე ხედავს კვამლს მინდვრად,
ბალახიც ენატრება,
რუსეთს უმღერის ციდან —
შორეულ ზბიუნიდან.
მწვანედ ბიბინებს მდელო...
მფრინავი ეხება სიმებს,
გიტარა ეხმიანება
შორს დედამიწის შვილებს.

წავიკითხე თუ არა ლექსი, ირიბად წავაწერე რეზოლუცია: „არავითარი ვარსკვლავი ზბიუნი არ არსებობს. ლექსში ლაპარაკია კოსმონავტებზე. მაშასადამე, მე, ზეკოსმონავტს, ყოველივე ეს არ მეხება". ლექსის ტექსტი ჩემი მოგონებების ბაქაღალდეში შევინახე, რათა საღაპოთი დამეშიფრა, მერე ქუჩაში გავვარდი და სკო-

ლისაკენ გავიქეცი, რომ თვითმოქმედი კონცერტის გასინჯვას დავსწრებოდი. გზაზე ერთ ბიჭთან შევირბინე ნახერხიანი პარკისათვის. საქმე იმაშია, რომ საპლანერო სპორტში ვმეცადინეობ, ახალგაზრდულ გუნდში ვირიცხები (ნესტეროვის გვარიო!), მაგრამ გაფრენისათვის წონა არ მყოფნის და ამიტომ მე და ერთ ბიჭს წონის შესავსებად დაპრესილნახერხიანი თითო პარკი გამოგვიწერეს. პარკი წამოვიღე და სახლიდან სკოლამდე ლექსს ვამბობდი, იმ ერთადერთს, რომელსაც მართლა ლექსად ვთვლიდი. ვკითხულობდი გამოთქმით:

„თანდათან გაქრა ალისფერი ნათება დაისის. ჩაბნელდა ზეცა, გამობრწყინდა ვარსკვლავთა ჯარი. ცის კაბადონის სამხრეთ ნაწილში ციალებს ლომის ზოდიაქური თანავარსკვლავედი. მის ზემოთ მოჩანს ჯერ კიდევ ბავშვობის წლებიდან ნაცნობი თანავარსკვლავედი დიდი დათვისა, ცოტა ქვემოთ კი — ვერონიკას თმის თანავარსკვლავედი.

ლომის თანავარსკვლავედის მარცხნივ, სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოეკიდა ქალწულის ზოდიაქური თანავარსკვლავედი მოციმციმე-თეთრ ვარსკვლავ სპიკით, ფრიად საინტერესოა ქალწულის თანავარსკვლავედი. ამ მიმართულებით თავმოყრილია უამრავი გალაქტიკები. ამ შორეულ ვარსკვლავთა სისტემის რიცხვი ორიათას ხუთასს აღწევს.

მათ შორის გამოირჩევა ელიფსური გალაქტიკა M 87, რომლის უზარმაზარი მასა საკმაოდ აღემატება ისეთ გიგანტურ გალაქტიკას, როგორიც არის ანდრომედას ნისლი.

სკოლისაკენ უდარდელად მივდიოდი. ერთადერთი ის მაწუხებდა, რომ წინა დღეებში და მთელი ეს დღე ისე დატვირთული ვიყავი, გადაფურცლაც კი ვერ მოვასწარი სახელმძღვანელოებისა და იმ მასალის, თეატრალური თვითმოქმედების წევრებთან შეხვედრისთვის რომ მჭირდებოდა. იმათაც ხომ აქვთ მეცნიერული ჩანაწერები. სახელმძღვანელოები და ათასი დამხმარე წიგნი. თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ჩვენთვის ზეკოსმონავტებისათვის, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.

„ვნახოთ, ვნახოთ, — გავიფიქრე მე, — როგორ გამოვალ ამ გამოუვალი მდგომარეობიდან“.

სკოლის შენობაში რომ შევედი, რამდენიმე ნახტომით კიბე ავირბინე და სააქტო დარბაზთან გავჩნდი. სააქტო დარბაზის კართან მოსწავლეთა მთელი რაზმი იდგა, რომელიც სკოლის თვითმოქმედი ხელოვნების ტაძარს იცავდა.

შევჩერდი, რომ მდგომარეობა შემეფასებინა. მასლოვმა და ლენ

კირკინსკიმ შემომხედეს და მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. ლენა მარჩენკომ და ვერა დანილოვამაც გადახედეს ერთმანეთს და თვალები დააჭყიტეს.

— იგივენი და „ყოველმხრივი", — თქვა ლევ კირკინსკიმ.

„აჰა, კიდევ ერთი ზედმეტი სახელი", — გავიფიქრე მე და კირკინსკის სიტყვისთვის ყურადღება არ შემიქცევია.

— რა არის ახალი ჩვენს გარშემო? რა გიჟური იდეები დაფრინავს! — შეეკითხა ვერა ლენა მარჩენკოს.

— ჩვენს გარშემო ის გიჟური იდეა დაფრინავს, რომ როდესაც არ გძინავს, მაშინ გძინავს, ხოლო როდესაც გძინავს, მაშინ არ გძინავს!.. — უთხრა ლენამ ვერას.

— ნამდვილად გიჟური იდეაა!.. — დაეთანხმა გოგოებს მასლოვი.

— მაგრამ იმდენად გიჟური თუ არის, როგორც ეს ნილს ბორმა თქვა, — რომ ჭეშმარიტად გენიალური იყოს? — შეეკითხა ყველას ლევ კირკინსკი.

ამ ლაპარაკის დროს, რა თქმა უნდა, თვალს არავინ არ მაშორებდა. უფრო სწორად კი, წონის მოსამატებელ პარკს უცქეროდნენ. ნახერხიანი პარკი ჩემ წინ, კიბის საფეხურზე დავდე.

— კიდევ ერთი გამოცანა, — თქვა ვერა დანილოვამ, — პარკი... ეს რაღა პარკია, და საერთოდ რას უნდა ნიშნავდეს ეს?

— მე მგონი, ეს ისტორიული პარკია, რომლითაც ვიღაცამ, ოდესღაც, ვიღაც მოსახვევში მოკლა, — აზრი გამოთქვა კირკინსკიმ.

მე, რასაკვირველია, შემეძლო კირკინსკისთვის ხმა ჩამეწყვეტინებინა, მაგრამ მინდოდა, ყველასათვის ერთად ჩამეწყვეტინებინა ხმა.

— რომაელი პოეტი და სატირიკოსი იუვენალი დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ წერდა, რომ — მივმართე მე ყველას და განსაკუთრებით კუტირიოვს, რომელიც ხან გამოიჭყიტებოდა მასლოვის განიერ ზურგს ამოფარებული, ხან იმალებოდა, — უსაქმურად მოხეტიალე ადამიანები (სიტყვები „უსაქმურად მოხეტიალე" ინტონაციით გამოვკვეთე) ითხოვენ მხოლოდ პურს და ყოველგვარ სანახაობებს!.. — ამ სიტყვებით ვცადე, საავტო დარბაზში შევსულიყავი, მაგრამ დაცვა მჭიდროდ შეიკრა მასლოვის ირგვლივ და არ შემიშვა.

— ყოველმხრივებისთვის და უცხო პირთათვის შესვლა აკრძალულია, — მითხრა მასლოვმა. — უცხო პირად ითვლება ის, ვინც მონაწილეობას არ იღებს სპექტაკლში.

— [illegible] — [illegible]
შეკვეთ[illegible]

— დიაა, გენერალური, — [illegible]

— რატომ ჰქვია [illegible] — [illegible] ძალლივს.

— რატომ? — [illegible]

— [illegible], [illegible] ბრალ[illegible] მე, გენერალი [illegible] [illegible] [illegible]

— წარმომიდგენია, რა საშინელება იქნება — იური ივანოვის ორი თავი! — თქვა ვიქტორ მასლოვმა. — ერთი თავისაგან ამდენი უსიამოვნება გვაქვს და ორი თავისაგან რაღა იქნება!.. სჯობს, პლანეტა დედამიწიდან გავიქცეთ!..

— ბავშვებო, გაუშვით, სულ ერთია მაგას სიტყვას ვერ მოუგებთ, — დათმობაზე წავიდა კუტირიოვი.

ჩემი პარკი მხარზე წამოვიკიდე და...

— ეს რაღა არის? — შემეკითხა კუტირიოვი და ალმაცერად შეხედა დაპრესილი ნახერხით სავსე პარკს, — ეს ხომ არ აფეთქდება?

— თქვენი ოინბაზობა თუ მომეწონა, მაშინ არ აფეთქდება...

— ეს ხომ ნამდვილად გარეშე პირია, — შემაჩერა მასლოვმა, — გარეშეა ჩვენთვისაც და მთელი ჩვენი საქმისთვისაც. თეატრისა რამე რომ გაეგებოდეს, კიდევ მესმის...

— როცა ეჩხუბები, მაშინ კიდევ შეიძლება, რამე ამოკრიფო მაგისგან. ახლა კი... ტყუილად რატომ უნდა გვეჩხირებოდეს თვალში?! — მხარი დაუჭირა მასლოვს კირკინსკიმ.

— მე, რა თქმა უნდა, თქვენი სულელური თამაშობებით არ ვერთობი, მაგრამ ყველას წესი ვიცი, ყველაზე სულელური თამაშისაც კი!

— ამას ამბობს მისტერ იქს პლუს იგრეკ მინუს ზეტ... — წაისისინა მარჩენკომ.

— იცი, რა გითხრა, ივანოვ, — თქვა ბორის კუტირიოვმა, — მართალია, ჩვენ შენ ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანად გთვლით, მაგრამ შენს განვითარებას ნაკლოვანებაცა აქვს და საზღვარიც. რას ეჩრები ჩვენს რეპეტიციაში, როცა მისი არაფერი გაგეგება?

— შენ ხომ სტანისლავსკის სისტემისა იწჩიბინჩი არ გესმის, — მხარი დაუჭირა კუტირიოვს ლევ კირკინსკიმ, — აქ კი სკოლის თვითმოქმედების ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი.

— მაშასადამე, — შევაჩერე კირკინსკი ძლიერი ნებისყოფის გამომხატველი ჟესტით და კიდევ უფრო ძლიერი გამოხედვით. — გამოდის, რომ თქვენ სკოლის თვითმოქმედების ვარსკვლავები ხართ და, როგორც ვარსკვლავებს, მიგაჩნიათ, რომ მე სტანისლავსკის თეორიები არ ვიცი? არა?

— დიახ, ჩვენ ამაში დარწმუნებულები ვართ, — ჯიუტად თქვა კირკინსკიმ, — შენ წაკითხული გაქვს წარმოუდგენლად ბევრი წიგნი და იცი მხოლოდ ის, რაც იცი და რამდენიც იცი, ეგ არის და

ეგ. სტანისლავსკის სისტემაზე კი, დარწმუნებული ვარ, წარმოდგენაც არა გაქვს.

— კერკენსკი, შენ მხოლოდ ერთი რამეში ხარ მართალი: იმაში, რომ მე არ შეძისწავლია სტანისლავსკის სისტემა, არ შემისწავლია, მაგრამ... — ტელესკოპურად მოვაკლე თვალი სკოლის ვარსკვლავებს და დავამატე: — მაგრამ ზეპირად ვიცი!

ჩამოვარდა რაღაცნაირი, მე ვიტყოდი, თვალთმაქცური დუმილი, რომლის დროსაც საკვირველი რაღაც დამემართა, თუმცა უკვე კარგა ხანია ალარაფერი მიკვირს ჩემი თავისა. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ეიცოდი და შესანიშნავად ვერკვეოდი სტანისლავსკის სისტემაში. ეს გრძნობა გადაიზარდა რწმუნებაში, რომ მე მართლა ვიცი და ვერკვევი სტანისლავსკის სისტემაში. თუმცა ერთხელაც არ მკერია ხელში წიგნი, ამ სისტემაზე რომ მოგვითხრობს.

მგონი, მოვახერხე, ჩემი ტვინიდან გამომეწურა მაჭა-ის მხრივ კიდევ რაღაც ნაწილი! ეს უკვე ექვსკერ ექვსი კი ალარ იყო, როგორც ძია პეტრემ თქვა, ეს, ალბათ, ექვსკერ რვა გამოვიდა.

ის, რაც შემდეგ მოხდა, ძვირფასო ამხანაგო შთამომავალნო, ჯერ უნდა ავხსნა, უწინარეს ყოვლისა ჩემთვის, მერე კი — თქვენთვის.

რანაირად მოხდა ეს, რომ სტანისლავსკის სისტემა არ მისწავლია, და მაინც მშვენივრად გავერკვიე მასში? როგორ მოხდა ეს? გამომთვლელ მანქანას შეუძლია ყოველგვარი მათემატიკური მაგალითის ამოხსნა, დაწყებული გამრავლების ტაბულიდან, დამთავრებული საოცარი ინტეგრალებით, რადგან თვით ურთიერთული ამოხსნაც კი არის ზუსტი კომბინაცია ყოველგვარი ციფრებისა. და აი, ჩემი ცოდნაც სტანისლავსკის სისტემისა დაიბადა თავისთავად ცოდნის პატარა სცენის რაღაც საიდუმლო ტაბულიდან, რომელსაც ჩემი ტვინი ფლობდა მექანიკურად. ყოველგვარი ცოდნაც ხომ ზუსტი კომბინაციაა ზუსტი სიტყვებისა.

— ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ მე არ ვიცი სტანისლავსკის სისტემა? — თვალი მოვაკლე სკოლის თვითმოქმედების თანავარსკვლავედს.

ყველანი უნდობლად შემომაცქერდნენ, ყველაზე მეტად კი ჩემს სიტყვებში ეკვი ეპარებოდა არუთინ ალიფიოს — ფოკუსებისა და თვალთმოქმედ ცალთაბანდობის ვარსკვლავს. ბოლო ფოკუსს, გუშინ, გაკვეთილების დაწყებამდე რომ გვაჩვენა კლასში, უწოდა: „ფიზიკის კანონებს თუ პატივს არ სცემ". დიდი ვერაფერი ფოკუსი იყო, ალიფიოვ საჩაიეს ხელსაბანზე იდგა, მერე ხელისგულს იატაკისკენ [illegible] და სახელად [illegible] კანონით

იატაკზე ეცემოდა. მერე ისევ იღებდა სახაზავს, ისევ იდებდა ხელისგულზე, ისევ გადმოაბრუნებდა ხელისგულს და ამჯერად სახაზავი იატაკზე აღარ ვარდებოდა.

— საერთოდ ყოველ საქმეს თავისი ფოკუსი აქვს, — უფრო აკოფოვს მივმართე. — შენი ფოკუსი, არუთინ, მდგომარეობს იმაში, რომ შენ მანეკენზე მიკერებული გაქვს, ხოლო შუა თითზე წამოცმული წმინდა, მაგრამ მაგარი ხორცისფერი ძაფი. აი, მეორეჯერ ხელისგულს ოდნავ ხურავ და ამ ძაფის ქვეშ შეუმჩნეველად ატარებ სახაზავს. — ცოტა ხანს გავჩუმდი და განვაგრძე. — მაგრამ სტანისლავსკის სისტემაში ფოკუსი არ არის, მასში საიდუმლოებაა. ეს საიდუმლოება კი ის გახლავთ, რომ... ისევ გავჩუმდი, რომ სათქმელი მრავალწერტილით გამომეხატა, და განვაგრძე: — სტანისლავსკის შეხედულებები მსახიობის ხელოვნებაზე ემყარება XIX საუკუნის რუსეთის თეატრალური ხელოვნების რეალისტურ ტრადიციებს, რომელთაც საფუძვლად ედო ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინის, ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლის, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკის შემოქმედება და რომელთაც თავიანთი თამაშით ხორცი შეასხეს შჩეპკინმა, შუმსკიმ, მარტინოვმა, სადოვსკიმ, — ვასახელებდი გვარებს და ეს უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა.

მერე კი ვთქვი, რომ ის, ესე იგი, სტანისლავსკი, ცდილობდა ჩასწვდომოდა აქტიორის შემოქმედების საერთო კანონებს. შემდეგ შევჩერდი იმაზე, რომ მას ჰქონდა (კინაღამ წამოძცდა, ჩემი არ იყოს-მეთქი), თვითანალიზის დიდი უნარი, რასაც მოწმობს მისი დღიურები (კინაღამ ვთქვი: ისევე, როგორც ჩემი-მეთქი), მაგრამ ამ დროს ლევ კირკინსკიმ შემაწყვეტინა ლაპარაკი:

— მე ვიმედოვნებ, რომ შენ, ივანოვ, არ იცი, რომელ წელს შეხვდნენ ერთმანეთს სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო?

— 1897 წელს, — რაც შეიძლება ღრმად ჩავისუნთქე ჰაერი და გავაგრძელე, — შედგა სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს შეხვედრა, რომლის შედეგადაც გადაწყდა...

— ვაატარეთ ყოველმხრივი, — თქვა კუტირიოვმა და გაფითრებულმა კიბის მოაჯირს წაავლო ხელი. მასლოვი წინიდან ჩამომეცალა, მე მაგრად მოვწიე კარს და სააქტო დარბაზში შევედი.

— გინახავს, ჩრჩილი როგორ დაფრინავს? — შემეკითხა მასლოვი, შესულისთანავე უკან რომ ამეტორღიალა.

შევჩერდი. მასლოვმა სარეკენებელი თითი ჰაერში აცაბაცა გაატარ-გამოატარა.

— აი, ასე მუშაობს შენი გონება, შეუძლებელია, შენს აზრს მიჰყვეს ადამიანი... აი, რაკეტა ფაფრინავს... ჩრჩილიც მიფრინავს.

რა განსხვავებაა მათ შორის! — ბუზღუნით მომდევდა უკან მასლოვი.

მაგრამ მე უკვე აღარ ვუსმენდი. მეშვიდე რიგში დავჯექი. თუმცა სააქტო დარბაზში შესვლისას გენერალური რეპეტიციის ყველა მონაწილე გავაფრთხილე, მე უკვე მოვედი და ამიტომ შეგიძლიათ, დაიწყოთ-მეთქი, თუმცა ბორის კუტირიოვმა, როგორც მე მომეჩვენა, რამდენადმე არასერიოზულად გაიმეორა ჩემი სიტყვები: ივანოვი მოვიდა! შეგვიძლია დავიწყოთო, გენერალური რეპეტიცია მაინც არ იწყებოდა. სულ ვილაც ან რაღაც არ იყო ადგილზე. მერე, როცა ვილაც ან რაღაც დაკარგული გამოჩნდებოდა, ახლა სხვა ვილაც ან რაღაც იკარგებოდა, აბა, ეს რა საქმე იყო, ან ესენი რა საქმის გამკეთებლები იყვნენ. ყველანი ყვიროდნენ, კამათობდნენ, კინკლაობდნენ, ყველაზე მეტად კი ბორის კუტირიოვი ხმაურობდა.

— მისმინე, კუტირიოვ, — მივმართე ბორისს, — ამას წინათ კოსმოსური ხომალდის გაშვებაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი ვნახე, იქ ყველაფერი რაღაც სხვანაირად ხდება, იქ ყველა თავის ადგილზეა, არავინ არავის არ ეძებს, არც არაფერი იკარგება უეცრად და არც არაფერი ჩნდება. იქნებ შენც იმათგან აგეღო მაგალითი და გამოგეცხადებინა თხუთმეტწუთიანი მზად ყოფნა, მერე ათწუთიანი, მერე ერთწუთიანი, მერე დაგეთვალა: რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი... და — წავიდა!

კუტირიოვმა რაღაც უაზროდ შემომხედა და მივხვდი, რომ ეს წინადადება მისთვის ძალზედ რთული იყო. ამიტომ მოუუკელი ჩემს მოთხოვნებს და ვუთხარი:

— კუტირიოვ, იცი, რა, არსებობს ასეთი ბროშურა, „კადრების განლაგების ფსიქოლოგიური ასპექტები". იმ წიგნში ნათქვამია, რომ კადრების შერჩევისა და განლაგების დროს მიზანშეწონილია იხელმძღვანელო ადამიანის თანდაყოლილ და შენაძენ თვისებათა თანაფარდობით, რომლის ბაზაზეც ხდება უნარის ჩამოყალიბება. ფსიქოლოგიაში უნარი ეს არის საქმიანობის დროს გამომუშავებული პიროვნების საკმაოდ მტკიცე თვისებათა კომპლექსი, რაც მთავარი პირობაა ამა თუ იმ საქმის წარმატებით შესრულებისათვის...

ამ სიტყვების მერე კუტირიოვმა კიდევ უფრო უაზროდ შემომხედა და მითხრა:

— შემიბრალე, ივანოვ!

და მეც შევიბრალე. გავჩუმდი.

— როლზე იმუშავე? — მკითხა კუტირიოვმა.

— თუ თქვენ ყველაფერ ამას (ხელი სააქტო დარბაზს მოვავლე) მუშაობას ეძახით, მაშინ მეც ვიმუშავე!

ბოლოს და ბოლოს ყველაფერი და ყველა რაღაც სასწაულით თავის ადგილზე აღმოჩნდა. ბორის კუტერრო

მით კარგავთ ყველანი ტყუილუბრალოდ დროს! თუ სისტემათა პირაპირთან გინდათ აღმოაჩინოთ რამე?!

— იური ევგენიევიჩ, შემიბრალე! — შემევედრა კუტირიოვი.

— გასაღები სტარტზეა! — ვიქვი მე და ავხსენი: — ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედებას იწყებს სტარტის ავტომატიკა!.. შეყოვნება ერთი!.. გასაღები დრენაჟზეა! შეყოვნება ორი!.. ისმის ბრძანება: რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი. გაუშვი!.

— ესე იგი, ბავშვებო, დაიწყეთ! — ჩემი კოსმონავტური სიტყვები კუტირიოვმა ჩვეულებრივ ადამიანურ ენაზე გადათარგმნა.

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე

ბრმა კოსმოსური გაცრენა და ეოულოდნელი თვალის ასელა

სცენაზე ბალალაიკით ხელში აწია ბრუნოვა გამოვიდა. რამპას რომ მიუახლოვდა, ღრმად ამოისუნთქა და გაჩერდა. „ღელავს", — გავიფიქრე მე და გულდასმით დავუწყე თვალიერება.

— ივანოვ, — უეცრად მომმართა ბრუნოვამ, — შენ ჩემს ბალალაიკას ისე ნუ უყურებ, როგორც კატა — აკვარიუმს, უშენოდაც ვიცი... რამდენი ხნისაა ბალალაიკა? — მოულოდნელად განაგრძო მან. ხალხურ საკრავებში ეს ყველაზე „ახალგაზრდაა" — ჯერ სამასი წლისაც არ არის. პირველად ბალალაიკა მოხსენიებულია 1714 წელს, პეტრე I-ის შედგენილ ნუსხაში. იმპერატორის ბრძანებით ერთ-ერთ საქორწილო დღესასწაულზე უნდა ჩაეღო სამასკარადოდ მორთულ უზარმაზარ ორკესტრს, რომელშიც ბალალაიკაც შედიოდა...

— ბრუნოვა, შენ პროგრამას გადაუხვიე! — დაიყვირა ბორის კუტირიოვმა.

— აბა, რატომ ზის ისეთი სახით, გეგონება, სადაცაა ბალალაიკაზე ლექციას მოპყვებაო.

— ძალიან გთხოვ, — მითხრა ჩუმად კუტირიოვმა, — გასინჯვის დროს ნუ მოპყვები შენსას... ნურავის შენიშვნას ნუ მისცემ.

მე გავჩუმდი.

— კიდევ ერთი თხოვნა მაქვს, — მითხრა ბორის კუტირიოვმა ხალაცნაირი ხმით. — ახლა, როცა ყველანი დავრწმუნდით, რომ

შენ სტანისლავსკ[illegible] [illegible] ვ. დარ[illegible] [illegible] ჩიმ[illegible]
იჯექი — სუ [illegible] ... [illegible] [illegible] [illegible]

ჰოდა, წავედი ქალაქში. ყური მიეუგდე, რას ლაპარაკობდნენ ადამიანები მუშაობის დროს. ვხედავ, სახლს აშენებენ, თან ყვირიან: „მაინა!", „ვირა!" სახლის კედლები ჩემ თვალწინ მაღლა-მაღლა მიდის, იზრდება. შევიარე ფეხბურთელებთან სტადიონზე, მესმის: „მიდი, მიშა, კიდევ ერთხელ დაარტყი კარში!" ჰოკეისტებთან შევიჭყიტე, — გაჰყვირიან: „ხარლამოვ, კიდევ მოიტა პასი, კიდევ ერთხელ პასი! გოლია!" კაცი მიცურავს. რატომ არ იძირება? ვხედავ, უსვამს ხელებს და ფეხებს: „ერთი-ორი, ერთი-ორი!" შევედი ცირკში, მესმის: „ჰოპ-ლა! კიდევ ერთხელ!" შევიხედე საბალეტო სტუდიაში, იქ კი: „და-აა ერთი! და ორი! და სამი!—კიდევ ერთხელ!" „მიდი, მიდი! — ყვიროდა მებულდოზერე, თან ბერკეტებს აჭერდა ხელს — კიდევ ერთხელ!"

„სასწაულები ხდება!" — გავიფიქრე მე და მიეხვდი, რომ სიტყვები „კიდევ ერთხელ" ჯადოსნურია. „ერთი, ორი, ავწიეთ! ერთი, ორი, ავწიეთ! კიდევ ერთხელ ავწიეთ! კიდევ ერთხელ!" ახლა კი ყველაფერს მივხვდი. აჰა, ვიპოვე ჯადოქრებიც და ჯადოსნური სიტყვებიც: „ერთხელ კიდევ. კიდევ ერთხელ!" და ძალიან მომინდა, მე თვითონ გავმხდარიყავი ჯადოქარი! ჯადოქარი, სახელად „კიდევერთხელ"! ჰოდა დავიწყე ჩემი ჯადოსნური სიმღერის შეთხზვა. აბა, ის რა ჯადოქარია, ვისაც სიმღერა არა აქვს?

ეი როგორი სიმღერა მოვიგონე: „ვარ ჯადოქარი „კიდევერთხელ". ვისაც უჭირს და საქმეს ვერ მართავს, ყველას ვეხმარები და ხელს ვუმართავ. იმუშავე მხიარულად, მაგრამ არათვალთმაქცურად. აკეთე საქმე, თან იმეორე: „კიდევ ერთხელ, კიდევ ასჯერ, კიდევ ათასჯერ..." უხეირო რაღაც გამოვიდა.

„არავითარი ჯადოქარი მე არა ვარ, — გავიფიქრე, ჩემი დაწერილი რომ წავიკითხე, — ეს სიმღერა კი არა, რაღაც აბდაუბდაა!" მერე კი მომაგონდა, რომ საჭიროა კიდევ ერთხელ, კიდევ ასჯერ და კიდევ ორასჯერ სცადო ჯადოქრად გადაქცევა და უცებ, მგონი, მეორასეჯერ რომ ვთქვი „კიდევ ერთხელ", კალამმა ჩამოაწიკწიკა ლექსი:

მე ვარ ჯადოქარი,
მქვია „კიდევერთხელ"
და თუ ვინმეს უჭირს,
იმას მე ხელს ვუწვდი.
ვთქვათ, თუ გაგიჭირდათ
და შველა დაგჭირდათ
შრომაში, სწავლაში,
მომიხმეთ მე:

„ეროი, კიდევ ერთხელ!
ეროი, კიდევ ერთხელ!“ —
ეს ორი ჯადო სიტყვა
დაგიხსნით თქვენ.

სხვათა შორის, სანამ ანია ბრუნოვი სტანისლავსკის სისტემის მიხედვით ჯადოქარ „კიდევერთხელაზე“ ჰყვებოდა ზღაპარს, მე, რასაკვირველია, დროს უქმად არ ვკარგავდი და, როგორც ყოველთვის, ოთხ საქმეს ერთად ვაკეთებდი: მარჯვენა ხელით ჯიბეში ტენისის ბურთს ვსრესდი, მარცხენა ფეხის წვეროით რიტმულად ვაჭერდი ტენისის ბურთს იატაკზე. კოსტიორლს ვაესებდი (ჰორიზონტალურად: 12. სახანსნი გზებით ტვირთის გადაზიდვის საფასური. 13. ჩამოსაკრავი, მოსაწყენი საკრავები. 15. ყირიმის კურორტი. 17. ვულკანური წარმოშობის მთის ქანი, რომელსაც საშენებლო მასალად იყენებენ, და თან ფიზიკური ზემოქმედების მეთოდზე ვფიქრობდი.

ჩემთვისაც კი რამდენადმე მოულოდნელი იყო ის, რომ ვერკვევი არა მარტო სტანისლავსკის სისტემაში, არამედ კიდევ ერთ მეთოდში, რომელსაც რეჟისორები მსახიობებთან მუშაობისას იყენებენ, — ამ მეთოდს ფიზიკური ზემოქმედების მეთოდი ეწოდება. და აი, რაში მდგომარეობს იგი, მაგრამ ეს ისე... ეხეშად და მიახლოებით: სტანისლავსკის სისტემისაგან განსხვავებით, რომელსაც მსახიობი სწორ გარეგნულ მდგომარეობამდე მიჰყავს სწორი შინაგანი მდგომარეობის წყალობით, ესე იგი, შინაგანი წარმართავს გარეგნულს, ფიზიკური ზემოქმედების მეთოდი ცდილობს, მსახიობი სწორი ფიზიკური მოქმედებით მიიყვანოს საჭირო შინაგან მდგომარეობამდე, ესე იგი, ხდება პირიქით, გარეგნულიდან შინაგანისაკენ...

— ივანოვ, როგორ მოგეწონა „კიდევერთხელას“ ზღაპარი? — შემეკითხა კუტირიოვი.

— თქვენ, ყველას ერთად, — ვთქვი მე ცოტა შეყოვნებით, — მიქცევის დროს პირანიებთან ჩაგყრიდით!... ყველას... გარდა ანიასი... ისე კი არა უშავდა, მე ცოტათი კმაყოფილი ვარ.

— ივანოვი ცოტათი კმაყოფილია! ივანოვი ცოტათი კმაყოფილია! — გაისმა დარბაზში და სცენაზე.

— მაგრამ მერე, როდესაც... მხედველობაში მიიღეთ... მაგრამ მიუხედავად ამისა... უფლებას გაძლევთ, მხოლოდ მე კარგად ვერ გავარჩიე, რომელი სისტემით მუშაობთ. ბორის, რაც შეეხება თეატრალურ მეცნიერებათა პირაპირს... მოგახსენებთ... თქვენ, რასაკვირველია, არ იცით, რომ გარდა სტანისლავსკის სისტემისა, არ-

სებობს მსახიობებთან მუშაობის კიდევ ერთი, ეგრეთ წოდებული ფიზიკური ზემოქმედების მეთოდი, — მე ერთი სული მქონდა ამ დამწყებ და უინტერესო ადამიანებისათვის ფიზიკური ზემოქმედების მეთოდზე წამეკითხა ლექცია.

— იური ევგენიევიჩ! ნუ ღუპავ ჩემს რეჟისორულ კარიერას,— შემეეედრა ბორის კუტირიოვი, — ხომ შემპირდი, არაფერს არ ვიტყვიო?..

— რაც არ იცი, თავს ნუ იდებ, — დავიჩურჩულე და გუნებაში გადავწყვიტე: „კეთილი და პატიოსანი, დაღუპავ ამ კუტირიოვს, მაგრამ მერე! მოგვიანებით!... რომ უსისტემოდ აღარ იმუშაოს თეატრალურ ხელოვნებაში.

— ისედაც შენმა აქ ყოფნამ ღმერთმა უწყის, რა მოახდინა, — განაგრძობდა წუწუნს კუტირიოვი. ჯამბაზს ადრე ერთი თოფუზი არ გავარდნია ხელიდან. დღეს კი, შენ რომ ესწრები, ვერც ერთი თოფუზი ვერ დაიჭირა. მსახიობებმა მათზე მინდობილი ვერც ერთი სასცენო ამოცანა ვერ შეასრულეს, ანიას გარდა...

— როგორ, უკვე გამოვიდა ჟონგლიორი? — გავოცდი მე. ფიქრებში წასულს ჟონგლიორის გამოსელა მართლა არ შემიმჩნევია.

— ბრუნოვა, შენთან სერიოზული საქმე მაქვს, შემოიარე ჩემთან.

— როდის? — შემეკითხა ანია.

ჩემმა ასეთმა წინადადებამ ისე დააბნია, რომ გაწითლდა კიდეც და დაიძახა:

— ღმერთო ჩემო, ამას რას ვეღირსე! რა ბედნიერებაა! ივანოვს ჩემთან შეხვედრა სურს! სად ჩავწეროთ ეს?!

— როგორ თუ სად? მოგონებებში, — უნებურად წამომცდა.

— მაინც როდის შემოვიარო შენთან? — განაგრძობდა მოთქმას ბრუნოვა.

— შემოიარე... ასე თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ.

ჩემმა ასეთმა წინადადებამ კიდევ ერთხელ დააბნია და გააწითლა ბრუნოვა.

— თხუთმეტი წლის შემდეგ მე ჭკვიანი ქმარი შეყოლება, — თქვა მან.

მომეწონა მისი საზრიანობა, სხვა თუ არაფერი, ზეკოსმონავტის გარშემო მყოფი თანამშრომლები საზრიანები უნდა იყვნენ, თვითონ ზეკოსმონავტი კი ზესაზრიანი უნდა იყოს. ყველაფერი რიგზეა.

— მეგობრებო, მოდით, რა, ვიმუშაოთ, — მუდარით თქვა კუტირიოვმა.

— მოდით, მოდით, — დავეთანხმე მე. ვიცოდი, რომ ახლა დაიწყებოდა ის, რისთვისაც მოვედი აქ.

— ახლა ჩვენ შენ გიჩვენებთ კლოუნადას, — მიუმართა კუტირიოვმა. — მაგრამ სიტყვა მოგვეცი, რომ სანამ არ დავამთავრებთ, არ შეგვაწყვეტინებ შენი ცოდნით!..

— უფრო მეტიც. — თუ შენი კლოუნადა მომეწონა, შენს კლოუნებს გეკონების უნარით დავაჯილდოებ.

— რა გეკონების, რომელი გეკონების უნარით? — შეშინდა კუტირიოვი.

— აი, იმ გეკონების, ჭერზე რომ დადიან, — და სხაპასხუბით დავიწყე იმის მოყოლა, რომ გეკონების ოჯახი ხელოვნების რაზმს მიეკუთვნება და ცნობილია იმით, რომ მის წარმომადგენლებს შეუძლიათ ვერტიკალურად იმოძრაონ სავსებით გლუვ ზედაპირზე და წვრილ მწვრეებს დასაჭერად ჭერზე ისე სდიოს, როგორც იატაკზე.

— კი, მაგრამ, რაში გვჭირდება შენგან ასეთი საჩუქარი? გაოცდა კუტირიოვი.

— როგორ თუ რაში გჭირდებათ? — ვთქვი მე. — თქვენ ხომ კოსმოსზე დგამთ კლოუნადას, ჰოდა, შენი კლოუნები ჭერზე გეკონებივით ივლიან.

— მაგრამ მე იმედი მაქვს, ახლა არ დაგვასაჩუქრებ მათი უნარით, — თქვა კუტირიოვმა.

— არა, ახლა არა, — ვუპასუხე მე, — მერე, მომავალში...

— ჰო, მერე. — დამშვიდდა კუტირიოვი. — ეგ სხვა საქმეა. შეგიძლია გადადო ჩვენი დასაჩუქრება.

ამ სიტყვებით კუტირიოვი კულისებისაკენ გაიქცა. შემდეგ ფარდის იქიდან ავანსცენაზე გამოვიდა. მე დიდი ცნობისმოყვარეობით შევყურებდი კუტირიოვს.

— გთავაზობთ კლოუნადას, — გაუბედავად, მაგრამ ხმამაღლა თქვა ბორის კუტირიოვმა, — საერთოდ სახელწოდება ასეთი აქვს: „ბრმა კოსმოსური ვაფრენა!“ ნაწილი პირველი: „სამი, ორი, ერთი, გაუშვი!“ ნაწილი მეორე: „იუპიტერის გასწვრივ!..“

ფარდა გაიხსნა და ყოველივემ, რაც მე სცენაზე დავინახე, ცოტა არ იყოს დამაბნია: უკანა დეკორაციაზე გადმოხატული იყო კოსმოსური სიუჟეტები მხატვარ სოკოლოვისა და აგრეთვე კოსმონავტისა და მხატვრის ალექსეი ლეონოვის ნახატებიდან. მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად სცენაზე სამფეხად შედუღებული რკინის მილების ქვეშ იდგა ჩვეულებრივი სკამი. სამფეხას ეკიდა ბლოკზე გადაგდებული მსხვილი თოკი, რომლის ერთი ბოლო მიბმული იყო სკამის ზურგზე, მეორე ბოლო კი ხუთ თუ ექვს ბავშვს

ეჭირა, რომლებსაც განსატვირთავი ტანსაცმელი ეცვათ. მე კი მეგონა, სცენაზე გასაწყობანძიანი კოსმოსური ხომალდის მაკეტს ან ამის მსგავს რამეს დავინახავდი, დავინახე კი სკამი, მის გვერდით რატომღაც სახელურიანი თუთიის კასრი იდგა.

მერე გაისმა მაგნიტოფონზე ჩაწერილი ელექტრონულ-კოსმოსური მუსიკა და სცენაზე ბორისი და ვიქტორი გამოვიდნენ. ორივეს გაზვიადებული კოსმოსური სკაფანდრები და ჯამბაზის რაღაც სულელური გრძელცხვირიანი ფეხსაცმელები ეცვათ. ვიქტორის კოსტიუმი ვარსკვლავებიან ცასავით მოოქვილი იყო თვალის მომჭრელი თეთრი კილიტებით, რომელთა შორის გამოკრთოდა ლურჯი მთვარეები. ბორისის კოსტიუმი კი მოქარგული იყო ალისფერ-წითელი კილიტებით, შემკული მბრწყინავი სპირალებითა და წითელი ვარსკვლავებით. საერთოდ კი ყველაფერი ეს ძალიან ეფექტური და შთამბეჭდავი იყო.

„გასაგებია, — ბავშვები წითური და თეთრი კლოუნის ძველი კლასიკური ნიღბებით გამოდიან, ოღონდ მხატვრულ-კოსმოსური ელფერით. არა უშავს, კარგია", — გავიფიქრე და მინდოდა მეკითხა: ეს კლოუნადა „საცირკო ანტრეა" თუ კლოუნადა „ბუფი"? და შეკითხვის მერე წარმოდგენის მონაწილეთათვის ამეხსნა, რა განსხვავებაა ამ ორი სახეობის კლოუნადას შორის, მაგრამ თავი შევიკავე, რადგანაც ბორის კუტირიოვს სიტყვა მივეცი, ჩემის ცოდნით რეპეტიცია არ შემეწყვეტინებინა, აი, ამიტომ ჩემს მოგონებას ვურთავ ამ კლოუნადას, მიზანსცენას მიზანსცენაში — ისე, როგორც ჩამრჩა მეხსიერებაში და როგორც დაწერა და დადგა მისმა ავტორმა და რეჟისორმა ბორის კუტირიოვმა.

ბრმა გაფრენა

კ ლ ო უ ნ ა დ ა

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ე ვ ლ ი

„სამი, ორი, ერთი. გაუშვი!"

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ახლა კი, ვიტია, მე შენ გავარჯიშებ...

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. შენ მე უკვე მავარჯიშე... ახლა ჩემი ჯერია! (უნიფორმისტებს) კასრმუზარადი მიეცით!

მანეჟზე გამოაქვთ ჩვეულებრივი სახელურიანი ვედრო, ვედროზე მიმაგრებულია საყურისები, მაკუოლები და სხვადასხვა მილები.

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ეს რა არის?

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ეს... სანავიგაციო ხელსაწყოა, განკუთვნილია ბრმა კოსმოსური გაფრენებისათვის... დაიხურე კასრმუზარადი!

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. რატომ?

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. შენ ახლა გაფრინდები!

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. სად გავფრინდები?

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. სადა და, ეს იქნება საცდელი საკლოუნო კოსმოსური ბრმა გაფრენა (ბორისს თავზე ჩამოაცმევს კასრმუზარადს.) რას ცახცახებ?

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ვაი, დედა!.. ბნელა!

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. სიბნელის ეშინია... მთვარეზე კი აპირებდა გაფრენას... ნუ გეშინია, როცა საჭირო იქნება, ვარსკვლავთხედვის აპარატს ჩაგირთავთ... უყურებ ეკრანს და მოგვიყვები, რას ხედავ კოსმოსში... მოიტანეთ ვარსკვლავთმფრენი!

უნიფორმისტები მანეჟზე გამოიტანენ საკაცისსახელურებიან ჩვეულებრივ სკამს, სკამზე პლასტმასის ნოხია დაგებული.

დაჯექი, ბორია! ვარსკვლავთმფრენი ადგილზეა!..

ბორისი ცახცახებს.

ბორია, შენ თუ ასე იცახცახებ, ვარსკვლავთმფრენი შეიძლება ჰაერში დაიშალოს!..

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. მეტს აღარ ვიცახცახებ... (უფრო ძალიან ცახცახებს. სკამზე ჯდება. მღერის.) „მოხუცი ამაოდ ელის ვაჟიშვილს...“

ვიქტორი ბორისს ქამარზე თოკს აბამს.

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. სტარტის მერე ხუთი წამი რომ გავა, ბრძანებას გავცემთ და ვარსკვლავთმფრენი დაშვებას დაიწყებს. გასაგებია?

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. გასაგებია!.. ვიტია! იმედი მაქვს, ნაცნობობით უზრუნველმყოფ, რაც შეიძლება რბილად დავეშვე.

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. უზრუნველგყოფ...

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. თქვენთან როგორ უნდა დავამყარო კავშირი?

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. აი ამ კასრმუზარადის საშუალებით... ახლავე შევამოწმებ... გესმის ჩემი?

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. მესმის!

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ხომ არ გადაიფიქრე გაფრენა?

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. გვი-ა-ნა-ა!

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. სწორია! აბა, გაფრენის წინ რას იტყვი?

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ვ-ვ-ვ-ვა-ი...

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. რაო?

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ვ-ვ-ვ-ვა-ი...

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ნუ ღელავ, ბორია. მე გადავუთარგმნი ჩვენს მაყურებელს... ბორიას უნდოდა ეთქვა, რომ ძალიან ბედნიერია და ეამაყება, რომ კლოუნების პირველი საცდელი გაფრენა ვარსკვლავეთისაკენ მას ხვდა წილად და არა მე...

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ვ-ვ-ვ-ვა-ი...

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. აი, სიტყვაც ამას ჰქვია... სტარტისთვის მოემზადე!

უნიფორმისტები სკამის სახელურებს ხელს ჰკიდებენ.

ბორია! მისმინე! ვიტია ვარ!

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ვ-ვ-ვ-ვა-ი!

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ვეღარ ამთავრებს ლაპარაკს?.. (ხის ჩაქუჩს ვეღროს დაპკრავს.) მომისმენ თუ არა?

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. გისმენ! გისმენ!

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. მისმინე, ბორია!.. გაფრენისას ვარსკვლავთმფრენი ნელ-ნელა განავითარებს სიჩქარეს. შენ ხის კენწეროებს ჩაუფრენ. არ შეგეშინდეს, თუ წამოედები... სტარტისთვის მოემზადე!..

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ვაიმე, დედიკო!

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ნუ გეშინია, მე შენთანა ვარ! (ვიტია მხრებზე ხელებს აწყობს ბორიას.) ჩართეთ პირველი ძრავა!

აფეთქების ხმა.

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ძმებო, მე გადავიფიქრე გაფრენა!

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ახლა გვიან არის, ბორია! შენ უკვე მიფრინავ!

უნიფორმისტები სკამის ზემოთ აწევას იწყებენ. ვიტია მუხლებზე ეშვება. ბორიას ასეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვიტია ძირს დარჩა, თვითონ კი ზემოთ მიიწევს. სკამს უფრო ზევით სწევენ. ბორია ვიტიას ხელს ჩაეკიდება. უნიფორმისტები სკამს აწევენ.

ბორია, მე ვიტია ვარ, ვიტია! შენ ხეების კენწეროებს უახლოვდები... ფრთხილად!.. (ბორიას ტოტით უღიტინებს.)

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ვაი, დედიკო!.. (ტოტს ხელს სტაცებს.)

ვიტია ტოტს ხელიდან გამოაგლეჯს.

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. მშვიდად! ახლა დაიწყება შენი გადამეტტვირთვა.

უნიფორმისტები ბორიას თოკით უფრო მაღლა ეწევიან, ვიტია და კიდევ ოთხი კაცი ბორიას ჩამოეკიდებიან.

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ეს რა არის?
წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. გადამეტტვირთვაა!
თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ოჰ, რამსიმძიმეა!..

უნიფორმისტები ვიტიასთან ერთად ძირს ჩამოცვივდებიან და ბორიას შარვალი ხელში შერჩებათ. ბორია ტრუსის ამარა რჩება.

მიშველეთ, მძარცვავენ! სად არის მილიცია?
წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. მშვიდად, ბორია, კოსმოსში მილიციას რა უნდა?
თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. შარვალი, ვინ ჩამაძრო?
წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ეს გადამეტტვირთვაა! ახლა უწონადო მდგომარეობა დაგეწყება... (ბორიას თოკით უფრო მაღლა სწევენ. ახლა ის ჰაერში ჰკიდია და ხელებს ისე უსვამს, გეგონება, მიცურავსო.)

უნიფორმისტები თოკს ეწევიან.

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ეს რაღა არის?
წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ჰაერის ორმოებია!
თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ორმოები? მერე, არ შეგიძლიათ ამოავსოთ?.. გზაც ასეთი უნდა!
წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. აჰა, გამომართვი (ბორიას ხელში ბამბის ნაგლეჯს სჩრის.)

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ეს რაღაა?

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ახლა ღრუბლებში მიფრინავ!

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. არ შეგიძლიათ, გამინათოთ? ძალიან ბნელა.

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ვრთავ ვარსკვლავთხელვის აპარატს! ბორია, ვარსკვლავებს ხედავ?

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ვერაფერსაც ვერ ვხედავ!..

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი (ცის ჩაქუჩს ვეღრის დაჰკრავს). ახლა ხედავ ვარსკვლავებს?..

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ახლა ვხედავ...

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. საიდან მოფრინავენ ვარსკვლავები?

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ჩემი თვალებიდან...

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ლამაზი სანახაობაა?

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. რა მოგახსენოთ...

წითური კოსმონავტი თეთრ კოსმონავტს ანთებულ სანთელს უღებს გამოწვდილ ხელში.

ვაი-ვაი-ვაი! რატომაა ასე ცხელი?

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ეს გავარვარებული მეტეორია.

ნორმალური ნერვების მქონე ადამიანისათვის ეს სანახაობა, მე ვიტყოდი, სტრესს უდრიდა. სტრესები, უწინარეს ყოვლისა, მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ნერვულ სისტემას. ამის შედეგად იზრდება იმ ჰორმონების გამომუშავება, რომლის მეოსებითაც ორგანიზმი ეგუება გარემოს შეცვლას. მაგრამ ხშირად ამგვარი ჰორმონული გარდაქმნის შედეგად ავადდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა — უშუალო აღმსრულებელი მთავარი შემგუებელი რეაქციებისა. მაგრამ ჩემი ზენერვული ზესისტემა მშვიდად იყო, სცენაზე კი ამ დროს აი რა ხდებოდა.

წითური კოსმონავტი ნიშანს აძლევს უნიფორმისტებს, იმათ სცენაზე გამოაქვთ ორი ვედრო წყალი. თეთრი კოსმონავტი ნოელიერელად მუზარაღს იხდის თავიდან და თავლუფს ადევნებს წითურ კოსმონავტს.

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ახლა რა იქნება?

წ ი თ უ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. ახლა შენ კოსმოსური წვიმების ზონაში მოხვდები.

თ ე თ რ ი კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი. მე მოვხვდები?! (წითურ კოსმონავტს.) მე კი არადა, შენ მოხვდები კოსმოსური წვიმის ზონაში...

წითური კოსმონავტი მობრუნდება და დაინახავს, თეთრ კოსმონავტს მუზარადი რომ აღარ ახურავს. უნიფორმისტები ჩამოუშვებენ თოკს. თეთრი კოსმონავტი ხელს წაავლებს წყლიან ვედროს და წითურ კოსმონავტს გამოედევნება.

„ჰო. — გავიფიქრე მე. — დღეს კოსმონავტებს დასცინიან ესენი. ხვალ კი ერთადერთ ზეკოსმონავტსაც მისწვდებიან. ამ „მიწვდომებს" ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო, რომ ამას იქით აღარავინ გაიმეოროს.."

სცენაზე ავვარდი. მინდოდა, დიპლომატიური ოქმის ენით რომ ვთქვათ, ენერგიული პროტესტი გამომეთქვა. ჩემი ზეხმით დავიყვირე. დიახ! მე ხმა კი არა, ზეხმა მაქვს და ეს რომ ასეა, ხმაურის გასაზომით შეავამოწმე. სხვათა შორის, ამას წინათ ლონდონის ერთ სკოლაში უჩვეულო შეჯიბრი ჩაუტარებიათ, — ვინ უფრო ხმამაღლა დაიყვირებდა. თავისი ხმის იოგების ძლიერების გასასინჯად ორასამდე მოსწავლე მისულა. ხმის გასაზომი ხელსაწყოთი აღჭურვილი მიკროფონი, ვისაც უნდა დაეყვირა, მისგან ერთი მეტრის დაშორებით იდგა. საშუალოდ, თავის ხმის გამომცდელი მოსწავლეები ყვიროდნენ 114 დეციბელის სიმძლავრით. გაიმარჯვა თორმეტი წლის გოგონამ, რომლის ხმის სიმძლავრე ას ოცდაორი დეციბელი იყო. ბიჭებიდან ვერავინ ვერ გაუსწორდა, ორი დეციბელით მაინც ჩამორჩებოდნენ. გასაგებია! მეტი რა შეუძლიათ გოგოებს? ერთი ის შეუძლიათ, ძალიან დიდი ხმაური ატეხონ.

რაღა თქმა უნდა, ეს დიდხმიანი ინგლისელი გოგონა ვისაც გინდათ გაეჯიბრებოდა, მაგრამ მე ვერა, მე ას ორმოცდაოთხი დეციბელის სიმძლავრის ყვირილიდ გავვარდი სცენაზე: „თქვენ თუ გესმით, რას ჩადიხართ?!" მივვარდი იმ წითურ და თეთრ კოსმონავტებს: „საბჭოთა მეცნიერების მიერ დიდ ცენტრიფუგაზე ჩატარებულმა მრავალმა ცდამ ცხადყო, რომ გამოსაცდელების წონის ათჯერ — თორმეტჯერ გადიდებისას ისინი ერთ ხანს მხედველობას კარგავენ, თვალებზე შავი ნისლი ჩამოეფარებათ, თუ გადამეტტვირთვა თხუთმეტჯერ გაიზრდება, მაშინ ადამიანი ასეთ მდგომარეობაში „ჯდომას" ათ სეკუნდს თუ გაუძლებს! თქვენ კი რას ჩადიხართ აქა? ხანგრძლივი ცდების შედეგად ხომ დადასტურდა, რომ აჩქარების მიმართ რთხმოცგრადუსიანი კუთხით ჯდომისას კოსმონავტს შეუძლია აიცდინოს არაჩვეულებრივი გადამეტტვირთვა — ოცდაექვს-ნახევარჯერ მეტი! თქვენ კი რას აკეთებთ აქ?!".

მერე ისინი ლაპარაკობდნენ, ძვირფასო ამხანაგო შთამომავალნო, რომ ვითომ მე წითურ კლოუნ-კოსმონავტს ხელი ვკარი, აი, ხმას, ხელში ანთებული სანთელი რომ ეჭირა. სინამდვილეში კი, ჩემი თვალით დავინახე: იმ სიტყვებს რომ ვუყვიროდი, ჩემი ხმის სიმძლავრისგან სანთელს ცეცხლი მოსწყდა და კულისებში გაფრინდა. დეკორაციას ალი მოედო და გოგოებმა ერთხმად იყვირეს: „ხანძარი! ხანძარი! ხანძარი!“

ნაწილი მეორე

სად იყავით აქამდის, ჩარლზ დარვინ?

მოგონება მეჩვიდმეტე

საათი უსმაუნდოდ — საათი არ არის, 59 წუთი და 59 სეკუნდია

— იქნებ, მართლა არასრულად ვიყენებთ ჩვენი ტვინის მარგი ქმედების კოეფიციენტს? — გავიგონე ქედლის იქითა მხრიდან მამაჩემის ხმა. — იქნებ, სწავლულები მართალნი არიან?

ყური მივუგდე. მამა განაგრძობდა:

— იქნებ, ეს ტვინის აქსელერაციაა? აი, მაგალითად, მე ჩემი შვილის გამო უძილობით ვიტანჯები, ყოველგვარ ძილის წამლებს ვღებულობ, და ფურმე არსებობს ბუნებრივი ძილის მომგვრელი საშუალება. სწავლულებმა მძინარე კურდღლებს ტვინიდან ვენური სისხლი ამოუღეს, საგანგებო ფილტრში გაატარეს, რათა მაკრომოლეკულები გამოეცალკევებინათ. გამოყოფილი ფრაქცია გაუკეთეს სხვა კურდღლებს და ათი-თხუთმეტი წუთის მერე ამ კურდღლების ელექტროენცეფალოგრამამ უჩვენა ორმაგი აქტიურობა ტვინის დელტა ტალღისა, რაც ფხიზელი ძილის დამახასიათებელია. ეს „საძილე ნივთიერება“ ცილა აღმოჩნდა.

— ჰო, ჰო, — თქვა დედამ. — მე, მაგალითად, ვცდილობ, გავხდე, ყოველგვარ დიეტას ვიცავ, და აი, თურმე არსებობს ჰორმონი, რომელიც მადას არეგულირებს. საკმარისია ნაწლავებში გამოიყოს ეს ჰორმონი, რომ ადამიანს ჭამის სურვილი ეკარგება, მაგრამ ეს მე მხოლოდ ერთი-ორი საათი მახსოვს, იურის კი არ ვიცი, ვერაფ-

რით ვერ მივმსგდარვარ, ყველაფერი ყოველთვის როგორ ახსოვს.

— ჰოდა, უნდა მიხვდე, — ურჩია მამამ დედას.

„რა არის, რა ხდება? — გამიელვა თავში. — საიდანა აქვთ ჩემს მშობლებს ასეთი ერუდიცია?“ მივირბინე კართან და ღრიჭოდან დავინახე: დედა და მამა გაზეთებითა და ჟურნალებით დაზურტულ მაგიდას უსხდნენ და ერთმანეთს არცთუ უინტერესო ნაირნაირ ცნობებს უკითხავდნენ.

„აი ასე, მგონი, შეიძლება“. ლოგინში ჩავწექი, განვავრძე ჩემი შეწყვეტილი დასვენება და თან კედლის იქით მოლაპარაკე მამას ვუსმენდი.

— აი, მაგალითად, არსებობს ასოციაციური მეთოდი მეხსიერებისა, — თქვა მან, თან გაზეთი ააშრიალა. — თურმე ზოვიერთი ადამიანის ფენომენალურ მეხსიერებას რაღაც ფოკუსებსა და ხრიკებს უკავშირებენ, მაგრამ ეს სულაც არ არის ასე. ასეთ ადამიანებს, გარდა მტკიცედ დამახსოვრების არაჩვეულებრივი ნიჭისა, ყურადღების ძლიერი კონცენტრაციის უნარიცა აქვთ მკვეთრად გამოხატული ასოციაციური აზროვნებითა და მეტ-ნაკლებად შეგნებულად დამახსოვრების ტექნიკით... — აქ მამამ კითხვა შეწყვიტა და თვითონ გააგრძელა ლაპარაკი: — მაშა, საქმე შეიძლება იმაშია, რომ ადამიანი ან უნდა მუშაობდეს ან უნდა ისვენებდეს, უფრო ხშირად კი არც ერთს აკეთებს, არც მეორეს, შეიძლება იურამ ეს უბრალო საიდუმლოება აღმოაჩინა?

საერთოდ, განრიგის მიხედვით შესვენება უნდა დამემთავრებინა. მაგრამ რადგან ჩემი პლანერით ფრენა თხუთმეტი წუთით მეტხანს ვაგრძელდა, ამიტომ ეს თხუთმეტი წუთი ჩემს დასვენებას მივამატე. ყველაფერი კი იმ დაპრესილნახერხიანი პარკის გამო მოხდა. ისე ავფრინდი, მისი პლანერში ჩადება დამავიწყდა, უფრო სწორად. მწვრონელს ეგონა, რომ დამავიწყდა, თორემ სინამდვილეში განგებ არ წავიღე თან: მინდოდა გამეგო, როგორ იმოძრაებდა პლანერი ნაკლებწონიანი ტვირთით. ამ დროს საიდანღაც გაჩნდა ჰაერის აღმავალი ნაკადი და ამჩატებული მანქანა კინაღამ კოსმოსში ავარდა. ძლივს დავიოკე პლანერი და თხუთმეტი წუთით იმაზე გვიან დავსვი, ვიდრე განრიგით მქონდა გათვალისწინებული. აი ამიტომ გავიხანგრძლივე ჩემი დასვენება თხუთმეტი წუთით და გაოცებული ვუგდებდი ყურს ჩემს მშობლებს.

— მე მუდამ ვამბობდი, რომ ჩემს შვილს დიდი მომავალი ელის, — თქვა დედამ.

— ისეთი დიდი, რომ, ალბათ, თვითონვე ვერ მოერევა, და სა-

ერთოდ ძალიან ნუ მოგაქვს თავი შენი შვილით. ამქვეყნად მარტო ეგ არ არის მასეთი. მაგაზე უკეთესებიც არიან, აი, ინებე.

„ჩემზე უკეთესებიც არიან? — წამოვიწიე. ლოგინიდან. — ჩემზე უკეთესებიც არიან!“ — გავიმეორე ჩემთვის და დაველოდე, როგორ ახსნიდა ამ სავსებით ფანტასტიკურ ვარაუდს, რომ ქვეყნად შეიძლება არსებობდეს ჩემზე უკეთესი ადამიანი.

— აი, ინებე, — განაგრძობდა მამა, — ორმეტი წლის დავით არუთინიანი, ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მან ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები და სწავლობს კიბერნეტიკის ფაკულტეტზე გამოთვლითი მანქანებ-ს განყოფილებაზე. საშუალო სკოლაში დავითს სრული სასწავლო წელი მხოლოდ ორჯერ დასჭირდა — უკანასკნელისწინა და ბოლოსაშვებ კლასებში.

— დიდი რამე, თუ ვილაც დავით არუთინიანი რომელილაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა, — აღშფოთდა დედა. — დღეს ჩვენი იური, თუ მოინდომებს, შეუძლია შევიდეს არა მარტო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, არამედ ყველა ინსტიტუტში, რაც კი ამქვეყნად არსებობს!

„ყოჩაღ, დედა!“ — გავიფიქრე მე. დედასი ის მომწონს, რომ იგი არასოდეს არ აზვიადებს ჩემს შესაძლებლობებს, პირიქით, ამცირებს კიდეც.

ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარი. მამამ აიღო ყურმილი და მისი რეპლიკებით მივხვდი, რომ სკოლის თვითმოქმედების რომელილაც ვარსკვლავი მამას შესჩიოდა ჩემს საქციელზე და უამბობდა გენერალურ რეპეტიციაზე ხანძრის გაჩენის ამბავს.

— აი, — თქვა მამამ, — ყურმილი დადო და დედას მიუბრუნდა სალაპარაკოდ, — კიდევ ერთი ახალი ამბავი: ჩვენმა შვილმა სკოლაში ხანძარი გააჩინა, მაგრამ რატომღაც სრულიად მშვიდად ვარ.

— იმიტომ, რომ ეგ ხანძარი ვილაც სხვამ გააჩინა, ჩვენს შვილს კი გადააბრალეს, — უპასუხა დედამ.

— შენ სულ იცავ მაგას და ეს მე ისევე არ მაშფოთებს, როგორც არ მაშფოთებს ხანძარი. იცი რატომ? — ჰკითხა მამამ დედას, და თვითონვე გასცა პასუხი, თანაც ჩემი სისტემით: — იმიტომ რომ მე. უკვე გამომიმუშავდა პირობითი რეფლექსი ყოველგვარი ეს... ამოვნების მიმართ, რომელსაც მაყენებს ჩემი ვაჟიშვილი. რა არ რეფლექსი, შეგიძლია გაიხსენო? არ გახსოვს. მაშინ მე გიპასუხ... რა არის რეფლექსი, ჩვენი შვილის სისტემის მიხედვით.

მე გავიგონე, მამამ როგორ გაქექა რაღაც ქაღალდები და ხმამაღლა თქვა:

— რეფლექსი — ეს საპასუხო რეაქციაა ორგანიზმისა გაღიზიანებაზე. მაგრამ თუ გაღიზიანება ხშირად მეორდება, მაშინ შეიძლება, ორგანიზმმა რეაქციით აღარ უპასუხოს. შეიძლება, რეაქცია გამოიწვიოს ერთმა უსიამოვნებამ, ორმა, ათმა, ოცმა, მაგრამ მეოცდაათე უსიამოვნებაზე არავითარი რეაქცია აღარ ექნება ორგანიზმს.. — ეტყობოდა, მამა სერიოზულად აღელდა, ამ სიტყვების მერე მან ულტიმატუმი წამოაყენა: — მორჩა, მართალია, რეფლექსი აღარა მაქვს, მაგრამ აღარც მოთმინება მაქვს. მორჩა, — გაიმეორა მან, — ამ ხანძრის მერე მე უკვე აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე!..

მამა ბოლთას სცემდა ოთახში და დროდადრო წამოიძახებდა ხოლმე:

— ერთი მხრივ, მან ყველაფერი იცის! მეორე მხრივ, არ იცის, რამდენ წელს ცოცხლობს ადამიანი?! მესამე მხრივ, ჰიპნოტიზიორებს ჰიპნოზს უკეთებს!.. ოცდამესამე მხრივ, მან აარღვია თავის თეთრეულს სამრეცხაოს ნიშნები და თვითონვე რეცხავს სარეცხს, მეორმოცე მხრივ, მისი ფოტოსურათი გაზეთებში ქვეყნდება სხვისი გვარით!.. ორმოცდამეთექვსმეტე მხრივ, იგი ნებისმიერ რიცხვებს ამრავლებს ელექტროგამომთვლელი მანქანის სისწრაფით, მესამოცე მხრივ, მე ვიპოვე ბარათი, რომლითაც ჩემთვის ცხადი გახდა, რომ იგი კარტს თამაშობს! „ხვალ კარტი! სიცოცხლეზე უფრო ძვირი ფსონი!“

„ღმერთო ჩემო, — დავაღრჭიალე კბილები და ლოგინში დავიწყე ბორგვა, — კარტი! ეს ხომ სათამაშო კარტი არ არის, ეს საბაკმვო ავტორბოლის კარტია“. მე ხომ მრბოლიც ვარ!.. მე კარტინგითა ვარ გატაცებული. კეთილი, ახლა იკითხეთ, უფრო გვიან კი მიხვდებით ყველაფერს“.

— მესამოცდაათე მხრივ, მილიციიდან დარეკეს და მითხრეს, რომ ჩვენი შვილი ყვავილებით ვაჭრობს!.. არა, ჩემი შვილი — ეს... ეს რაღაც ზე... ზე... ზეა... — თქვა მამამ.

„აბა, მამა, აბა ერთი, ძალა დაატანე თავს და გამოიცანი, ვინ არის შენი შვილი, აბა?..“ ვთხოვდი მამას გუნებაში.

— ეს ვიღაც ზეჭკვიანი ზეუწესო ადამიანია!...

სწორედ ამ დროს, მამა ისეთ ძლიერ განცდებში რომ იყო, ზარის ხმა გაისმა, ამჯერად წინკარში დარეკეს. ვიგრძენი, კედლის მიღმა როგორ შეკრთა მამა.

— მე არ შემიძლია, — შეპყვირა მან ხანმოკლე დუმილის მერე, — შენ წადი და გააღე! მე არ შემიძლია! მეშინია!..

დედამ გააღო შემოსასვლელი კარი და სამიოდე წუთის მერე

ჩემი ოთახის კარზე გაისმა კაკუნი. მერე კარი ვიღაც და შეშინებული სახე დავინახე.

— ბანდეროლი მოგვიტანეს, — თქვა შეცბუნებულმა მამამ. ამ ბოლო დროს მას ყველაფერი აშინებს. — ვინმესაგან ელოდები ბანდეროლს? — მამას ხელში ეჭირა ქაღალდში შეხვეული და კანაფით შეკრული საკმაოდ სქელი წიგნი.

— ველოდები, როგორ არა, ველოდები.

— რას ელოდები? — რატომღაც ძალიან შეშინებულმა მკითხა მამამ.

— ლექსებს, — ვთქვი მე. — ლექსებს ველოდები. — დარწმუნებული ვიყავი, რომ ლექსები გამომიგზავნეს.

— რატომ ლექსებს და ვისგან ელოდები ლექსებს?

— არ ვიცი, რატომ. და არც ის ვიცი, ვისგან, მაგრამ ლექსებს კი ველოდები.

გამოვართვი ბანდეროლი და გავხსენი. პაკეტში წიგნი იდო. სათაურად ჰქონდა: „ჩემი ავტობიოგრაფია" და წიგნის ავტორი ცნობილი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი იყო. „ეს რაღაც ახალია", — გავიფიქრე და წიგნის ყდა გადავშალე. ყდის ქვეშ დავინახე ლექსის სტროფები.

„ეს კი რაღაც ძველია", — გავიფიქრე და თან გარითმული სტრიქონები ჩავიკითხე. აი რა ეწერა ფურცელზე:

სამწუხაროა, თუ ადამიანს
არ უყვარს ცეკვა, სიცილ-სიმღერა,
მაშინ, ო, მაშინ, ემოციური
მოდუნებისგან სული იმღერევა...

ო, ყველამ ვიცით, იდეალური
რომ ყველაფერი არ ახის ირგელივ...
თავში ტრიალებს ამოუხსნელი
ამოცანების უცნობი რიგი...

ადამიანში სიცილ-სიმღერა
თუ არ კიაფობს მზიან დარიეთ...
— ემოციური მოდუნება აქვს:
ასე დაასკვნის
დიდი დარვინი.

ლექსის ბოლოს მიწერილი იყო: „ამ ლექსს რომ წაიკითხავ, გადაშალე ჩარლზ დარვინის ავტობიოგრაფია, სადაც სანიშნოა ჩადებული, და წაიკითხე, რაც წითელი ფანქრითაა ხაზგასმული". გადავშალე წიგნი და ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მითითებ-

დნენ — წავიკითხე ხაზგასმული წინადადებები და შეწუხებულმა შუბლი მოვისრისე. არასოდეს მიფიქრია, რომ ჩარლზ დარვინი ცხოვრებაში ამდენ უსიამოვნებას მომაყენებდა.

ეს რაები ამკიდა ამ გენიალურმა ბუნების მკვლევარმა ჩარლზ დარვინმა! არ მერჩია, არ წამეკითხა მისი ავტობიოგრაფია? ახლა ჩემს ბორტჟურნალში უნდა შევიტანო მეცადინეობა ცეკვის, სიმღერისა და ლექსების კითხვის თანხლებით, მაშ როგორ მოვიქცე, თუ მოხუცმა თავის ავტობიოგრაფიაში ჩაწერა: „თავიდან რომ დამაწყებინა კიდევ ერთხელ ცხოვრება, მაშინ მარტო ჩემს მეცნიერებაში აღარ ჩავიკეტებოდი...“ მან სწორედ ასე განაცხადა, რომ ერთი რომელიმე მეცნიერებით გატაცება „ადუნებს ჩვენი ბუნების ემოციურ მხარეს“ და არა მარტო „ბედნიერების დაკარგვას უდრის“, „უარყოფითად მოქმედებს ნიჭიერებაზე...“ სიმღერა და ცეკვა, რა თქმა უნდა, დიდი არაფერი სიამოვნებაა, შეიძლება ითქვას, ერთგვარი წამებაცაა, მაგრამ თუ ეს საჭიროა იმისათვის, რომ ტვინი არ გამოიფიტოს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, უნდა იმღერო!

ფიქრებში გართულმა ოთახში ბოლთის ცემა და ლამის სირბილი დავიწყე. დარვინმა თავისი სიტყვებით იმის შესახებ, რომ მე, ისევე, როგორც თვითონ, ამ ხნის განმავლობაში ჩემი ბუნების ემოციურ მხარეს ვადუნებდი და რომ ეს „ბედნიერების დაკარგვას უდრის“, გუნება ნამდვილად გამიფუჭა. მე მაშინვე გადავწყვიტე, დაუყოვნებლივ დამეწყო „ჩვენი ბუნების ემოციური მხარის გაძლიერება“, რაც, ალბათ, ბედნიერების მოპოვებას ნიშნავდა.

„ეს კარგი საქმეები გამიჩინა ამ ცნობილმა ბუნების მკვლევარმა, ჩარლზ დარვინმა“, — ვფიქრობდი მე.

კარებში მამამ შემოიხედა და მკითხა:

— ვისგან მიიღე ბანდეროლი?

— ჩარლზ დარვინისაგან, — ვუპასუხე მე.

— შეუძლებელია! — შეკრთა მამა. — ჩარლზ დარვინი გარდაიცვალა და მისგან შენ ბანდეროლს ვერ მიიღებდი!

— მაგრამ ეს ბანდეროლი პირადად მან არ გამომიგზავნა, — ავუხსენი მე.

მამა უეცრად ისე გაქრა, თითქოს სივრცეში განზავდაო.

მე ჩემთვის უკვე მოხმობის ნიშნებიც მოვიგონე: „მე წრე ვარ! მე წრე ვარ! კარგად მესმის, თქვენი!... გადავდივარ მიღებაზე!“

რატომ ავირჩიე მოხმობის ნიშნად „წრე?“ — ეს ყველაზე დასრულებული ფიგურაა ამქვეყნად. აი, ფუტკრებს ექვსკუთხოვანი ფიჭი აქვთ — ეს ისეთი ფიგურაა, რომელიც მშენებლობისათვის მინიმალურ მასალას მოითხოვს, მაგრამ მაქსიმალურად გამძლე გა-

მოდის, წრე კი. ჩემი აზრით, ყველაზე დასრულებული, ყველაზე ლამაზი ხაზია დედამიწის ზურგზე. ტყუილად კი არ არის დედამიწა და ყველა პლანეტა მრგვალი. ამიტომაც ავირჩიე მოხმობის ნიშნად „წრე“.

მაგრამ მას მერე, რაც მე, ჩარლზ დარვინისა არ იყოს, ხელოვნებას არ მივდევ, ჩემი ადამიანური ბუნება შევასუსტე. მე უკვე აღარ შემიძლია, ჩემი თავი წრედ ჩავთვალო. ჩემი წრის ხაზი არ ერთდება, შეუერთებელი წრის ხაზი კი წრე არ არის, ისევე როგორც საათი ერთი სეკუნდის გარეშე საათი არ არის — ორმოცდაცხრამეტი წუთი და ორმოცდაცხრამეტი სეკუნდია, ისევე, როგორც ნაჭერამოჭრილი საზამთრო აღარ არის მთლიანი საბამთრო. აი რატომ შევიტანე ჩემს ხვალინდელ განრიგში — პირველი დასწრება სიმღერის გაკვეთილზე. რასაკვირველია, მთელი გაკვეთილის განმავლობაში სახეზე ირონიული ღიმილი მექნება, რომ არავინ იფიქროს, მე ამას სერიოზულად ვაკეთებ.

მართალია, ამ სასწავლო წელს ყოველთვის გამოვრბოდი სიმღერის გაკვეთილიდან. უნდა გითხრათ, რომ ამ მხრივ ჩვენი სკოლა რამდენადმე განსხვავდება სხვა სკოლებისაგან, — მუსიკალური განხრა აქვს, ამიტომ პირველი კლასიდან დაწყებული მეათე კლასის ჩათვლით ყველა სწავლობს სიმღერას. და აი, როცა მე გაქცევას გერ მოვახერხებ, ჩავშლი ხოლმე გაკვეთილს, განზრახ ყველაზე ხმამაღლა ვმღერი და სხვების ჯიბრზე სიმღერას ვამახინჯებ, ამიტომ მეცადინეობიდან მაგდებენ კარში. მაგრამ ახლა კი ძალიან ვნანობ ამას! იქნებ, სიმღერის დაწყება ჩემთვის უკვე გვიანია, იქნებ ჩემმა ზეკოსმოსურმა მეცადინეობამ ისე „შეასუსტა ემოციური მხარე ჩემი ბუნების“, რომ ამან უკვე, ალბათ, „იმოქმედა ჩემს ზეგონებრივ ზენიჭიერებაზე“, შესაძლებელია, იმოქმედა კი არა, ზეიმოქმედა, თუმცა შეუძლებელია, რომ ზეიმოქმედა, უბრალოდ იმოქმედა და ეს „უდრის ბედნიერების დაკარგვას“?!

არა, ეს შეუძლებელია! მე ხომ ჯერ ისეთი მოხუცი არა ვარ, როგორიც ჩარლზ დარვინი იყო, თავის დღიურში ეს აზრი რომ ჩაწერა. რასაკვირველია, მე კიდევ მოვასწრებ „ჩემი ბუნების ემოციური მხარის გაძლიერებას“. მხოლოდ ერთი წუთიც არ უნდა დავკარგო. სასწრაფოდ! საავარიო წესით! დავწერ ლექსებს, ვიმღერებ, ვიცეკვებ, ვიცინებ, გავამხიარულებ ჩემს მეგობრებს და მეც ვიმხიარულებ, მით უმეტეს, რომ თეორიულად ყოველივე ამ სიკეთეს ვფლობ. მხოლოდ სიტყვიდან საქმეზე გადასვლაა საჭირო, მორჩა და გათავდა — საქმეს უნდა შევუდგე! მოვამზადე რვეული ლექსებისა და სიმღერებისათვის. დამებადა იდეა! ჩემსავე ლექსებზე და-

წერილ ჩემს საკუთარ მუსიკას ვუმღერებ გულს, რომელიც მუდამ ოგცერს, რომელიც ყოველგვარ მდგომარეობაში ორმოცდათორმეტჯერ სცემს წუთში, მით უმეტეს, რომ გული კონუსისებური ღრუ ორგანოა. უკანაზედა გაგანიერებულ ნაწილს გულისას ეწოდება გულის ფუძე, ბაზის კორდის. წინაქვედა, შევიწროებულ ნაწილს ეწოდება გულის წვერი, აპეკს კორდის. გული მკერდის ძვლის უკანაა მოთავსებული და გადახრილია მარცხენა მხარეს... და ასე შემდეგ...

ახლა რაც შეეხება ჩემი ბუნების ემოციური მხარის გაძლიერებას!

არ ვიცი, როგორ მოვახერხებ ჩემი ბუნების ემოციური მხარის გაძლიერებას, როდესაც სიმღერის მასწავლებელმა გამომიცხადა, შენი ფეხი არ იყოს კლასშიო? ეგ არაფერი, ბოდიშსაც მომიხდის და შემეხვეწება კიდეც, დავესწრო მის გაკვეთილებს. ჰო, მართლა, დღესვე უნდა მოვაბა თავი მოგონებებს, მასწავლებელი ჩემს სიმღერაზე რომ დაწერს. კარგი! ამ საქმეს მერე მოვუვლი, ეს სიმღერის გაკვეთილის შემდეგ.

არა, წარმომიდგენია, რა სახეები ექნებათ ამ ჩენეზემპრებს, როდესაც მე ჩემი ნებით გამოვცხადდები კლასში! აბა, რას წარმოიდგენენ, ამ საეჭვო საქმეს ხელს რომ ვკიდებ, ვცდილობ, რაც შეიძლება სწრაფად დავუბრუნო სიცოცხლე ტვინის უჯრედებს, ამდენ ხანს ხელოვნებას მოწყვეტილი რომ იყო.

მაინც როგორ მოხდა, რომ ჩემს ზეორგანიზმს მხედველობიდან გამორჩა ეს, და, ალბათ, გენების ამბავიც არის?.. რატომღაც არც მიფიქრია იმაზე, გადმომცეს თუ არა ჩემმა მშობლებმა მემკვიდრეობით რაიმე ემოციური? პატარაობისას, მხედველობაში მაქვს. ჩვილი ბავშვი რომ ვიყავი, მაშინ, მიმღეროდნენ თუ არა იავნანას (არ მახსოვს) და უკრავდნენ რაიმე მუსიკალურ ინსტრუმენტს? ბალალაიკას? დომრას? გიტარას? ბოლოს და ბოლოს, ფორტეპიანოს მაინც?

ამ ფიქრებით შევედი სასადილო ოთახში. მამა თავის დისერტაციაზე მუშაობდა. დედა ქსოვდა. მე მშვიდად, შორიდან მოვლით დავიწყე საუბარი:

— აი, როდესაც ჩვილი ბავშვები იძინებენ, მათ იავნანას უმღერიან... თქვენ მიმღეროდით იავნანას?

— არა, — მითხრა დედამ.

— შენ, მამა?

— რად გინდოდა სიმღერა? ისედაც მკვდარივით გეძინა...

— საქმეც ისაა, რომ მკვდარივით მეძინა!.. მეძინა მაშინ, ახლა კი, მკვდარივით... აი, რატომ არ იკვრება წრე.

— რა წრე? რატომ არ იკვრება? — მამამ სათვალე მოიხსნა, ცხვირის ფუძე მოიცრისა და მკითხა: — ანკი რატომ უნდა შეიკრას წრე?

— იმიტომ რომ... იმიტომ, რომ ამერიკაში არსებობენ ბები-მომღერლები, ამის შესახებ არ გსმენიათ?

— რა ბები-მომღერლები, ვინ ბები-მომღერლები?—გაოცდნენ ჩემი მშობლები.

— თერამეტი თვის ბიჭუნა ხალხურ სიმღერებს ასრულებდა, თოთხმეტი თვის გოგონა კი იავნანას მღეროდა. რატომ მღეროდნენ ისინი? რატომ შეეძლოთ ასე პატარებს სიმღერა?

დედამ და მამამ ერთმანეთს გადახედეს და ერთდროულად აიჩეჩეს მხრები.

— იმიტომ, რომ მათ თავიანთი დედები და მამები იავნანასა და ხალხურ სიმღერებს უმღეროდნენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც არ უმღერიან შვილებს...

— ზოგს უმღერიან, ზოგს ჩუმად არწევენ, — თქვა მამამ, — ვის როგორ მოსწონს. მე და დედა არ გიმღეროდით, იმიტომ, რომ არცერთს არასოდეს ხმა არ გვქონია. სხვათა შორის, შენც ჩვენ დაგვემსგავსე, არც შენა გაქვს ხმა.

— უკაცრავად, — ვთქვი მე გადაჭრით, — პირადად მე არ ვმღეროდი იმიტომ, რომ მეგონა, არ იყო საჭირო სიმღერა, ახლა, რაკი ვიცი, რომ ვალდებული ვარ ვიმღერო, — სიტყვა „ვალდებული ვარ“ ხმის ინტონაციით გამოვკვეთე, — ახლა ვიმღერებ.

— მართალი გითხრა, არა მსურს შენი სიმღერის მოსმენა. თუმცა, შენგან ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი. ისე, მაინც რატომ ხარ ვალდებული, იმღერო?

ეს შეკითხვა, რა თქმა უნდა, მარჯვენა ყურში შევუშვი და მარცხენიდან გავუშვი.

— ჰო, არსებობენ ისეთი მშობლები, — გადავუკარი მე, — რომლებიც არც თვითონ მღერიან და არც იმას ცდილობენ, თავიანთი მკირედი მუსიკალური ნიჭი საკუთარ შვილებს გადასცენ, რომ ამით მათი ბუნების ემოციური მხარეები გააძლიერონ.

სიტყვებზე „ამით მათი ბუნების ემოციური მხარეები გააძლიერონ“ მამას ხელი ნერვიულად აუთამაშდა, მაგრამ მე მაინც არ გავჩუმდი და განვაგრძე:

— ზოგს არც სიმღერა მოსწონს, არც ხუმრობა... აი, „ხუმრობაზე“ ერთ ამბავს მოგიყვებით. ერთმა ძალიან მსუქანმა ქალმა გადაწყვიტა, გამხდარიყო, და რჩევისათვის ექიმს მიმართა. ექიმმა ურჩია, ყოველ დილით ოცჯერ შეხებოდა თავისი ჩუსტების ცხვი-

რებს. რამდენიმე ხნის მერე ქალი ისევ ესტუმრა ექიმს და უთხრა, რომ მის რჩევას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. ექიმმა სთხოვა, აეხსნა, როგორ ასრულებდა მის დარიგებას. თურმე, ქალი დილით ლოგინიდან აუდგომლად აიღებდა ჩუსტებს და აწყობდა სკამზე საწოლის გვერდით, და ოცჯერ და მეტჯერაც ეხებოდა ხელით — აბა, ამას რა შედეგი ექნებოდა!

— მერე რა, რომ ოცჯერ ეხებოდა ჩუსტების ცხვირებს? — თქვა მამამ.

— როგორ თუ მერე რა? — გავოცდი მე. — ეს ხომ სასაცილოა?

— რა არის სასაცილო? — იკითხა მამამ.

— როგორ თუ რა არის სასაცილო? — გაოცდი მე და გადავწყვიტე, ამეხსნა მისთვის, რა იყო ამ ამბავში სასაცილო: ექიმმა ქალს გამოუწერა, რომ ფეხზე მდგომი დახრილიყო და ისე მისწვდომოდა ჩუსტების ცხვირებს, მან კი თავი არ შეიწუხა, ჩუსტები სკამზე დაწყო და ისე ეხებოდა ხელით.

— მაინც რა არის აქ სასაცილო? — ისევ შემეკითხა მამა. — შენ ამ ამბავში რამე სასაცილოს ხედავ? — ეს უფრო სამწუხაროა, ვიდრე სასაცილო.

— მაგრამ რადგან იური ამბობს, სასაცილოაო, ესე იგი, სასაცილოა, ეს ხომ ჩვენზე უკეთ ერკვევა იუმორში! — თქვა დედამ.

— კარგით, ნუ კამათობთ, — დავამშვიდე ჩემი მშობლები, — კიდევ ერთხელ ვსინჯავ: ბიჭმა მამას უამბო: მასწავლებელმა გაკვეთილზე გვითხრა, ადამიანები დედამიწაზე მიზიდულობის კანონით ჩერდებიანო. მამამ დაუმოწმა მასწავლებლის ნათქვამი. მაშინ ბიჭმა ჰკითხა მამას, სანამ ამ კანონს აღმოაჩენდნენ, მანამდე როგორღა ცხოვრობდაო ხალხი?

მამამ გაოცებით შემომხედა.

— ჰოო... გენებს მარტო მუსიკალური სმენა კი არა, იუმორის გრძნობაც აკლდათ.

— ვინ გესებს? — იკითხა მამამ.

— ჩვენი საერთო ნაცნობები არიან, — გადავუკარი მამას.

— მე პირადად იმ შენს ნაცნობ გენებს არ ვიცნობ!

— ეს კი საქმეა, რომ სახლში ერც გიტარა გვაქვს, არც ბალალაიკა, არც პიანინო? — ვიკითხე მე.

— ხვალ ყველაფერი იქნება, — თქვა დედამ.

— ხვალ — არა, დღეს, — ვთქვი მე. — მოდი, ვიმღეროთ მაინც — განვაგრძე მე, — გავმხიარულდეთ, ვიოხუნჯოთ.

— ეგღა გვაკლდა! — აღშფოთდა მამა. — სიმღერაზე და ოხუნჯობაზე ერთი ანეკდოტი არსებობს. ოროსანმა შვილმა მამას დღი-

ური მიუტანა. მამამ ნახა, რომ შვილს ყველაფერში ორიანი ჰქონდა, სამაგიეროდ სიმღერაში ეწერა ხუთიანი. მამამ უყურა, უყურა შვილს და უთხრა: „რაღა გემღერებოდაო!“

— სასაცილოა, — ვთქვი მე სერიოზულად და დავამატე: — კარგი, რაკი ასეა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ბენების წყალობას, ჩვენი ამოცანაა, თვითონვე მოვიპოვოთ, გამოვსახოთ ის ეს წყალობა. — ამ სიტყვებით წავიდოდეთ და ოთახიდან გავედი.

დღეს შეიძლება კოლესნიკოვს ვთხოვო გიტარა, რათა დაუყოვნებლივ დავაბყარო კავშირი ბენებთან. ბენი ხმას გაწვდის იქიდან, შენი არსების სიღრმიდან. შესაძლებელია, პირქუთად მოხდეს, გავამხიარულოთ ბენები, შევფერტინოთ იღლიებში. ბენებსაც ხომ აქვთ თავისი მოლეკულური იღლიები, ჰოდა შეიძლება სიმღერაც ვასწავლოთ. რა თქმა უნდა, ბენებს, შეიძლება, სიმღერაც ვასწავლოთ. მაგრამ მაშინ ბეგემა, ჩემი ზეკოსმოსური ცხოვრების ძველი ბეგემა უნდა გადავაკეთო, საიდან გამოვნახო დრო? საიდან?

ამაზე ფიქრით ჩვენი აივნის მოაჯირიდან ყინტორა კოლესნიკოვის აივანზე გადავედი და იქიდან მის ოთახში გავჩნდი. კოლესნიკოვს უკვე ეძინა, გავაღვიძე და ვკითხე.

— გიტარა გაქვს?

— მ ქვს, — თქვა კოლესნიკოვმა.

— მომეცი ჩქარა.

კოლესნიკოვმა გიტარა გამომიწოდა და მითხრა:

— ვაჰ, გუშინ შენს გამო რა ამბავი იყო პედსაბჭოზე! ამბობენ, რომ ხანძრის ამბავს იხილავდნენ, ხოლო შენს საქციელს და საერთოდ შენ ფენომენი გიწოდეს. უთქვამთ, რას გვასწავლის ჩვენ ფენომენი ივანოვიო? რას გვასწავლის და იმას, რომ მისი კიდევ ერთი უმსგავსო საქციელი რეპეტიციაზე ხანძრის გაჩენით დამთავრდა და იგი სკოლიდან უნდა გაირიცხოსო. ეს სიმღერის მასწავლებელს უთქვამს. ქიმიის მასწავლებელს კი უთქვამს: „მე კი მგონია, ფენომენი ივანოვი სხვა რამეს გვასწავლის: იმ ყოველ უცნაურ და აუხსნელ საქციელს ივანოვი—ფენომენი ჩვენგან, მასწავლებლებისაგან. სწავლობს და ფენომენი თვითონაც რაღაცას გვასწავლის. იქნებ მასწავლებლებმაც ავიღოთ მისგან მაგალითი: ვასწავლოთ და ვისწავლოთ“! რა ამბავი ამტყდარა! ყველანი აღშფოთებულნი იყვნენ: „არ ვისწავლით!.. არ ვისწავლითო!“ მე ყველაფერ ამას, შენზე ახალ მოგონებებს რომ ვწერ, იმაში შევიტან, კარგი?

— კარგი, — ვთქვი მე და გიტარით ხელში ფანჯრიდან გადმოვძვერი აივანზე, აივნიდან სახლის ლავგარდანზე, — კიდევ გაქვთ რაიმე მუსიკალური ინსტრუმენტი?

— გვაქვს, — თქვა კოლესნიკოვმა, — პიანინო.

— ახლავე დაჯექი და დაუკარი, კოლესნიკოვ, თორემ მერე გვიან იქნება. ჩემთვის გვიან არასოდეს არ იქნება, შენთვის კი იქნება.

ლავგარდანზე შევჩერდი, შევხედე კოლესნიკოვს და ვკითხე:

— ვინ იცის, ამ ლექსებს იქიდან მიგზავნიან? — თვალით ცაზე ვანიშნე. — რომელიღაც უცხოპლანეტელი იქიდან ხედავს, რომ სწორედ მე დამეკისრება ყველაზე... ყველაზე... დედამიწის ზურგზე... და ნიშანს მაძლევს. იქნებ, იქ პროზა არც არის და ყველანი ლექსებით ლაპარაკობენ. მე კი ჩემთვის ექსლიბრისად წრე ავირჩიე... ახლა ყური მიგდე, კოლესნიკოვ, მოგვიანებით გაიგებ.

ეს რომ ვთქვი, სახლის ლავგარდანით ჩემს აივანთან გავედი, მოაჯირზე გადავძვერი და ოთახში შევედი. მერე ჩემს ტვინში მოდულირება გავუკეთე სამმაგ ექსპოზიციას და შესაბამისად ერთდროულად შევუდექი სამი საქმის კეთებას.

სამმაგი ექსპოზიცია არის ის, როდესაც ერთსა და იმავე ფირზე სამ სიუჟეტს იღებენ. ერთი სიტყვით, ტელესკოპით შევყურებდი მოსკოვის ჩაბნელებულ ცას, გიტარაზე დაყრდნობილი, მარცხენა ხელის თითებით გრიფზე აკორდებს ვიღებდი, მარჯვენათი სიმებს ვაჟღერებდი და ხმადაბლა, ჩემი ხმის ერთი ოცდამეექვსედით ვღიღინებდი.

ცოტა ხნის მერე კარი ფრთხილად გაიღო და მამას შიშისაგან გაფითრებული სახე გამოჩნდა.

— რა ხდება აქ? რაშია საქმე?

მე დავამღერე: „პიტერსკაიას გაყოლებით...“ და უთქვი: ახლა მისმინე! მოგვიანებით მიხვდები!

— გაგიჟდი! გინდა, გააღვიძო ყველა!.. — მიყვირა მამამ. — კმარა, მეტი აღარ შემიძლია!

— იცი, რა, მამა, — ვუთხარი მე, — კარგად გამიგე რა. შენ ვერც კი წარმოიდგენ, როგორი აუცილებელია ჩემთვის, წრე რომ შეიკრას. იმიტომ რომ შეუკრავი წრე არ არის წრე და ამიტომ, — განვაგრძობდი მე, — შენ ვალდებული ხარ, გაიგო, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები აუცილებლად შედგება ორი კომპონენტისაგან: ინფორმაციულისაგან, რომელსაც განეკუთვნება სიტყვები, მელოდია, ასახვა და რიტმულისაგან — ყველაზე მკვეთრად მუსიკასა და ცეკვაში რომ გამოიხატება.

— კმარა, კმარა, კმარა, აღარ შემიძლია, არც კარგად და არც ავად, აღარ შემიძლია! — გაიმეორა მამამ.

მამა წინკარში გავიდა, ლაბადა მოისხა და გარეთ ისე გავარდა, კარის დახურვა დააავიწყდა. დედა უხმოდ ადევნებდა თვალყურს ამ სცენას და, მამა რომ გარეთ გავარდა, ისიც უკან გაედევნა და კიბეზე გასძახა:

— იქნებ, შენ ვერ გაერკვიე და შვილისაგან მოითხოვ იმას, რის გაკეთებასაც, მისი შეხედულებით, აზრი არა აქვს? მაშინ იურის ჯიუტობა, შეიძლება, რამდენადმე უხეშად გამოხატული მისი დამოუკიდებლობის პირველი გამოვლენაა?! ჰოდა კი არ უნდა გაიქცე...

მაგრამ მამა უკვე ქუჩაში იყო და არ ესმოდა დედას სიტყვები, რომელიც, როგორც ყოველთვის, უფრო მეტ ჭეშმარიტებას შეიცავდა, ვიდრე მამას საქციელი.

ჩემს ოთახში რომ შევბრუნდი, მაგიდაზე დამხვდა ქაღალდის ფურცელზე დაწერილი ლექსი. არ ვიცი, ასე უცებ საიდან გაჩნდა, სიხარული არ შევიმჩნიე, ეს ერთადერთი, ჩემს სიცოცხლეში პირველი შემთხვევა იყო, რომ გამიხარდა ლექსის დანახვა. აი ეს ლექსიც:

გამოცდა დროშაზე

მუდამ წინ მიფრიალებდა,
მიუძღოდა მედგრად დროქამს
ტყვიით ალთებდაფლეთილი,
გამძლე ნაჭრის ჩვენი დროშა...
დროშა ჰაეროპლანისა და
დროშა ჩვენი ქვეყნის მცველი,
წინ მიგვიძღვის, წინ, წინ, დროშა
სიმამაცის გამომცდელი!
აღმართულა მთის პიკებზე,
აგვირგვინებს გემთა ანძებს,
ჩვენი წმინდა ხალხის დროშა
გამარჯვების რწმენას გვაძლევს...
დროშა უსმენს ჩვენს საშობლოს,
ჩვენს შრომას და ბრძოლას უმზერს,
ის გვიმოწმებს ნაბიჯებს და
ნათელს ისე გვაფენს გულზე!..

ვსწორდეთ დროშაზე, ვსწორდეთ დროშაზე
ქუხს, თოვს, მზეა თუ წვიმს.
ვიყოთ მაძაცნი, შეუპოვარნ
და დროშასავით ვიაროთ წინ.

ზემაგარი ზედაშვება

დილიდან ცივი თავსხმა მოდიოდა. მე იზმაილოვის პარკის მიყრუებულ კუთხეში მიწაზე ვიწექი და გენეტიკის სიურპრიზებზე ვფიქრობდი. გენეტიკის სიურპრიზი — ეს ორგანიზმის განსაკუთრებული აგებულებაა. ადამიანებს, რომლებსაც გაციებისადმი მიდრეკილება არა აქვთ და სიამოვნებით ბანაობენ ყინულივით ცივ წყალში, მორეებს ეძახიან, მაგრამ მე ამ მორეებს შორის, რასაკვირველია, ზემორეი ვიქნებოდი. წვიმაში ორი საათი ვიწექი მიწაზე, ისიც სიმღერის გაკვეთილის წინ, მერე შინ ჩანთისათვის და კოლესნიკოვის გიტარის წამოსაღებად შევირბინე. ტანსაცმელი გამოვიცვალე და იღლიაში გიტარაამოჩრილი კლასში გამოვცხადდი. მერხს რომ მივუჯექი, დავიწყე ჩემი საქციელის შეცვლილ გარეგნობაში გაანალიზება და ასეთ დასკვნამდე მივედი: დროზე უნდა მოვაწესრიგო ჩემი ბუნების ემოციური მხარე, თორემ ერთიც ვნახოთ და ხვალ პლანეტა ნონპლუსულტრადან „ელვა“-დეპეშა მოვიდეს: „მოვფრინავთ! დაგვხვდით!“ ატყდება აურზაური: ვინ უნდა დახვდეს? და გაისმება ხმა ნათელი დედამიწიდან: „დახვდეს იური ივანოვი!“ მასლოვისთანები აყვირდებიან: „რატომ?! რატომ უნდა დახვდეს იური ივანოვი?..“ ამაზე კი უპასუხებენ: „იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მან ყველაფერი იცის! ყველაფერი ეხერხება! და ყველაფერი შეუძლია!..“

ეს, თუ ხვალ ჩამოფრინდებიან ჩვენთან. მაგრამ თუ ჩვენ გავფრინდებით მათთან გარკვეული წლების მერე, მაშინ ვინ უნდა გაფრინდეს? რაღა თქმა უნდა, მე! ივანოვი! ჯერ კიდევ გუშინ მასლოვი აღრიალდებოდა: „როგორ, ივანოვი? ის, მართალია, ზეკოსმონავტია და ზეადამიანიც, მაგრამ სრულყოფილი არ არის, მისი წრის ბოლოები არ ერთდება, ხელოვნებისა არაფერი გაეგება და არც უყვარს. მასთან ერთად, სუფრაზე, კარგ კოსმონავტურ სიმღერასაც კი ვერ იმღერებ“.

ახლა კი, როდესაც ყველაფერი ვიცი სიმღერისა, ვუჩვენებ მასლოვსა და ბოტოვს (ის ყველაზე კარგი მომღერალია!), როგორ უნდა სიმღერა! ჩემი ხმის პატრონს მარტოს შემიძლია მთელი ვაჟთა გუნდის მაგივრად ვიმღერო, აკომპანემენტითაც და კაპელაც (კაპელა — მუსიკის თანხლების გარეშე სიმღერაა).

სანამ ვიმღერებდე, პატარა სიტყვას ვიტყვი იმის შესახებ, რომ ადამიანი მტკიცე პიროვნება უნდა იყოს და ყველა სულიერ ღირ-

სებათა მფლობელი, რათა შეასრულოს თავისი საზოგადოებრივი და სულიერი დანიშნულება, ისევე როგორც მისი სხეული უნდა ფლობდეს ყველა ორგანოს, რათა კარგად განახორციელოს სასიცოცხლო ფუნქციები. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ უფრო მეტად ვზრუნავთ სხეულზე, ვიდრე სულზე. ებრალებათ, მაგალითად, ადამიანი, რომელსაც ერთი ფეხი მეორე ფეხზე მოკლე აქვს, მაგრამ არ ებრალებათ ის, ვისაც მოკლე ჭკუა აქვს და იდეალი არ გააჩნია, თუმცა მეორე ნაკლი ბევრად უფრო სერიოზული და სახიფათოა იმისთვისაც, ვისაც ისა აქვს და სხვა ადამიანებისთვისაც, მის გამო რომ იტანჯებიან...

იმათ, ვინც დღემდე ჩემს გამო იტანჯებოდა, პატიებას ვთხოვ! და კიდევ ვეტყვი, არა, უფრო სწორად, გადავუკრავ: „ისმინეთ ჩემი სიტყვები, ხალხნო, ადამიანი პლანეტის მბრძანებელია, იგი ბუნების გამოგონებათა სრული კრებულია, ანუ შემოკლებით ᲞᲡᲘᲮ — ᲔᲠᲗᲘ!“ და აქ მე განვაცითარებ ამ აზრს იმ გაგებით, რომ მომავალში ყოველი ადამიანი იმღერებს არა მხოლოდ თავისი ადამიანური ხმით, არამედ სხვადასხვა, თვით ყველაზე უცნაური მგალობელი ფრინველის ხმაზე.

სიმღერის მასწავლებელი კლასში რომ შემოვიდა და დამინახა, სახე შეეცვალა და თანდათან მოეღრიცა, ტელევიზიაში რომ იტყვიან, ხაზებითა და კადრებით...

— ივანოვ, — მომმართა მან, — შენ აქ რა გინდა?

— მე, აგრაფინა მიხაილოვნა, უნდა ვიმღერო.

აგრაფინა მიხაილოვნამ მეტისმეტი უნდობლობით გადააქნია თავი, როიალთან მივიდა და თქვა:

— მეგობრებო, თქვენ ყველას, რა თქმა უნდა, გახსოვთ მითი ორფეოსზე? ორფეოსი კითარაზე რომ უკრავდა და მღეროდა, ნადირნი ერთმანეთს აღარ მტრობდნენ და მშვიდდებოდნენ, ზღვაც კი წყნარდებოდა, ხეები და სალი კლდეები კი დაიძვრებოდნენ თავიანთი ადგილიდან და მომღერალს უახლოვდებოდნენ. იქ, სადაც უძლური იყო მახვილი, ორფეოსის სიმღერა სასწაულებს ახდენდა...

შექსპირის ტრაგედიაში „იულიუს ცეზარი“ ბრუტუსი, რომელიც ცდილობს, ცეზარის ადამიანობის არასრულფასოვნება დაამტკიცოს, შესძახებს:

არის ამაყი, გულჩათხრობილი,
და გულს არ ულღობს ჰანგი მუსიკის

შექსპირს ეკუთვნის აგრეთვე ეს სიტყვები:

> ვინც მუსიკასთან მწყრალად არის, არ სუნთქავს მისით,
> და ვინც არა სცნობს ჰარმონიის მშვენიერებას,
> მას შეუძლია მზაკვრობა და ღალატი მოქმნის
> არ ენდოთ ასეთ ადამიანს, უფრთხილდით მუდამ!

თუმცა შექსპირის მოშველიებაც არა ღირს იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ დავამტკიცოთ მუსიკის უდიდესი როლი ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში. ეს ისედაც ყველასათვის ნათელია. ახლა ვინ მეტყვის, რა და რა კომპონენტებისაგან შედგება მუსიკალური ნაწარმოები?

კლასში ხანგრძლივი მოსაბეზრებელი დუმილი ჩამოვარდა. მეტი გზა არ იყო, როგორც ყოველთვის, პირველად მე უნდა ამეღო სიტყვა.

— კაპიტნების მოთელვა, — ვთქვი მე, ჩავახველე და განვაგრძე: ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები, მათ შორის მუსიკალურიც, ორი კომპონენტისაგან შედგება: ინფორმაციული, რომელსაც განეკუთვნება სიტყვები, მელოდია, გამოსახვა და რიტმული — უფრო მკაფიოდ რომ გამოიხატება მუსიკასა და ცეკვაში, მაგრამ, ეტყობა, იგი თან ახლავს ფერწერას, არქიტექტურას და გრაფიკასაც. სწორედ რიტმული კომპონენტი, „შინაგანი რიტმი“ ნაწარმოებისა ქმნის ფონს მასში ჩაქსოვილი ინფორმაციის აღქმისათვის, აძლიერებს თავისებურ ემოციურ განწყობილებას. ახლა კი, — უთქვი მე, — ნება მომეცით, ჩვეულებრივი ენიდან მუსიკალურზე გადავიდე და გიმღეროთ ჩემი საკუთარი სიმღერა, რომელსაც „გული-52“ ჰქვია, მუსიკა და ტექსტი ჩემია. ვშიფრავ: სიმღერა „გული-52“ იმ გულს ეძღვნება, ყოველგვარ გარემოში წუთში არა უმეტეს ორმოცდათორმეტჯერ რომ იკუმშება. ეს, რაც შეეხება გულს, ახლა კი მუსიკაზე მოგახსენებთ: უდიდესი ზეგავლენის უნარი აქვს მუსიკალურ ენას, იგი ყველა ხალხისათვის ერთნაირად გასაგებია. მაგრამ თუ სიტყვიერ ენას ადამიანი თითქმის აკვნიდან ფლობს, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მუსიკალურ „ენაზე“, არადა, რაც უფრო ადრე გაერკვევა მუსიკაში ადამიანი და შეიყვარებს მას, მით უფრო ადვილად აღიქვამს და შეითვისებს მუსიკალურ ხელოვნებას მთელი სიცოცხლის მანძილზე.

— ივანოვ, ჯობს, იმღერო, — მითხრა ბოტოვმა, — იმღერე! თორემ სულ ლაპარაკობ...

მე, რასაკვირველია, შეგნებულად არ ვჩქარობდი სიმღერის დაწყებას, იმიტომ, რომ ყველანი და განსაკუთრებით ბოტოვი, რო-

შელსაც მუსიკისა და სიმღერისადმი მიდრეკილება აქვს, და მასლოვი ჩქარობდნენ, რაც შეიძლება მალე გაეგონათ ჩემი ხმა.

— იმღერებს ივანოვი, — თქვა გუნდის რომელიღაც წევრმა.

— არ იმღერებს, — არ დაეთანხმა ვიღაც გუნდიდან.

ხმაური ძლიერდებოდა. მთელი ეს დრო აგრაფინა მიხაილოვნას გული ხელით ეჭირა და შეშინებული შემომყურებდა.

— შეკითხვები რომ არ იყოს, რატომ ამღერდა ივანოვი, რა დაემართაო, აგიხსნით: ბევრი სალათა ვჭამე... ამასაც აგიხსნით, რას ნიშნავს ეს: ნორვეგიელი მეცნიერი ოლაფ ლინდსტრემი სწავლობს ბოსტნეულის გავლენას ადამიანის ფსიქიკაზე. თუ პროფესორს დაეუჯერებთ, სალათა ანვითარებს მუსიკალურობას, პრასი — ლოგიკურ აზროვნებას, სტაფილო და ისპანახი მელანქოლიას იწვევს, კარტოფილი დამამშვიდებლად მოქმედებს. ისე, რომ ბოსტნეულის შერჩევა სასმელ-საჭმლისთვის არც ისე იოლი საქმეა. ახლა კი საკუთრივ ბორის კუტირიოვისთვის. ეგ ცოტა მხიარული კაცია, ჰოდა, ამიტომ... მეცნიერთა ჯგუფი მუშაობდა შრი ლანკის სანაპიროებზე, სადაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შემჩნეული იყო ასეთი ფენომენი: ნათელი საღამოების დროს წყლიდან მოისმოდა წყნარი ხმები. ისინი თითქოს ლაგუნის ერთი ბოლოდან მეორეში დაეხეტებოდნენ. ნაპირს ექსპედიცია მიადგა. მათ თან წამოეღოთ ძლიერმნათი ტელეობიექტივებიანი ფოტოაპარატები, მაგნიტოფონები, ექოლოტები და სხვა ელექტროაპარატურა. სწორედ ეს დაეხმარათ, გამოეცნოთ საიდუმლო მელოდიების ბუნება. მომღერლები წყალმარჩხი ადგილების ტროპიკული მოლუსკები აღმოჩნდნენ. გამოირკვა, რომ ხმები საკმაოდ პროზაული მიზეზით წარმოიშობა — მოლუსკებს ახლად გადაყლაპული საჭმლის მონელებაში ეხმარება, ხუმრობაა, — ვთქვი მე და დავამატე: — მაგრამ ყოველ ხუმრობაში რაღაც სიმართლეც არის.

— ახლა თუ ივანოვი მართლა იმღერებს თავისსავე დაწერილ სიტყვებზე თავისსავე მოგონილ მუსიკას, გაოცებისაგან მოვკვდები, — თქვა ნინა ტიომკინამ.

— მაშინ, ტიომკინას სიცოცხლე რომ გავახანგრძლივო, კიდევ ორიოდე სიტყვას ვიტყვი იმაზე, თუ როგორ უნდა ვისუნთქოთ სიმღერის დროს: „ჰაერის საკმაო რაოდენობით ჩასუნთქვა და მისი სწორად და ეკონომიურად გამოყენება გახლავთ სიმღერის მთელი ხელოვნება“ — ეს კარუზომ თქვა. ხმა კი, როგორც ცნობილია, წარმოიშობა მერხევი სახმო სიმებისა და ჰაერის სასუნთქი ნაკადის ურთიერთმოქმედების შედეგად. ამ დროს ჰაერის ნაკადი სახმო სიმების დახშულ ნაპირებზე გადის. თუ ეს ჰაერის ნაკადი არ არსე-

ბობს, ხმა არ წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, რომ სახმო სიმების რხევა, როგორც იუსონის თეორია ამტკიცებს, ძირითადად შეიძლება ჰაერის ნაკადის გარეშეც მოხდეს. ამრიგად, მომღერლის სასუნთქი აპარატი — ფილტვები თავის კუნთებიანად სრულიად სამართლიანად შეიძლება შევადაროთ თავისი როლით მუსიკალური ინსტრუმენტის საბერველს, ესე იგი, წარმოადგენს ხმის ენერგეტიკულ სისტემას.

— ივანოვ, წარმოქმენი ჰაერის ნაკადი! — გამომძახეს გუნდიდან.

ამის მერე შევწყვიტე ლექცია, ჩემს ზეფილტვებში ჩავისუნთქე ბლომად ჰაერი, თითებით შევეხე გიტარის სიმებს, გონების თვალით დავინახე სიმღერის აკომპანემენტის ყველა აკორდი და თითების განლაგება გრიფზე, აგრეთვე ლექსთწყობის თეორიით გათვალისწინებული ტექსტი გულზე დაწერილი სიმღერისა, რომელიც გუშინ საღამოთი ჩემი პროზაული წარმოსახვით შევქმენი. მაგრამ... ეს რა არის? რა ხდება? ლექსის მაგივრად მე ისევ ის პროზად დაწერილი სიტყვების აბზაცი დავინახე: გული კონუსისებური ღრუ ორგანოა. უკანაზედა გაგანიერებულ ნაწილს გულისას ეწოდება გულის ფუძე, ბაზის კორდის. წინაქვედა, შევიწროებულ ნაწილს ეწოდება გულის წვერი, აპეკს კორდის. გული მკერდის ძვლის უკანაა მოთავსებული და გადახრილია მარცხენა მხარეს... მაგრამ ამ სიტყვებზე მღერა შეუძლებელი იყო, თუმცა ვიცოდი, რომ ბგერა ეწოდება ჩვენი სმენით აღქმულ ჰაერის რხევით გამოწვეულ შეგრძნებას. მუსიკას მხოლოდ მუსიკალური ბგერები ქმნიან, ესე იგი, ისეთი ბგერები, რომელთაც განსაზღვრული სიმაღლე, სიძლიერე, ტემბრი აქვთ და გამოსცემენ ადამიანები ან სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტები. ხმა ვერ ამოვიღე. მუსიკალურ ოთახში არასასიამოვნო სიჩუმე იდგა. „რაც იქნება, იქნება, ვიმღერებ“,—გავიფიქრე და ავმღერდი ხმამაღლა, მთელი ჩემი ხმით.

ვმღეროდი გულზე, რომ ის კონუსისებრი ღრუ ორგანოა და რომ უკანაზედა გაგანიერებულ ნაწილს გულისას ეწოდება ფუძე... თუმცა არც ხმა და არც თითები არ მემორჩილებოდნენ, მე მაინც, რაც ძალა და ღონე მქონდა, განვაგრძობდი სიმღერას. ჩემს ტვინში მხოლოდ პროზაული სიტყვები ირეოდნენ, არასგზით არ მემორჩილებოდნენ, არ სურდათ, ლექსად დაწყობილიყვნენ. ჩემი გონების ინდიკატორის ისარი ცახცახებდა, მაგრამ გარეგნულად მშვიდად ვიყავი. პულსი (მოვასწარი თითების დადება მაჯაზე), პულსი, როგორც ყოველთვის, ღრმა ავსების მქონდა, წუთში ორმოცდათორმეტჯერ მიცემდა.

რაზე მინდოდა დამეწერა სიმღერა? გულზე! გულზე, რომელიც ძგერს... გული ძგერს, როგორც... როგორც რა?.. როგორც მეტრონომი! მეტრონომი კი — ეს დროის რიტმული მონაკვეთების ალსანუსხი ხელსაწყოა. გული ძგერს, როგორც... როგორც საათი. საათი კი დროის სიზუსტის გამზომი ხელსაწყოა... „ძგერს" კი ზმნაა. მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ასლა იმას, „ძგერს" რომ ზმნაა, მეტრონომი რომ ხელსაწყოა, საათი რომ საათია... და რომ ირგვლივ ხმაურობენ და ჩემი სიმშვიდისა არაფერი გაეგებათ...

„სადა ხართ, სად, ძმანო, ჩემი გონების თანაზიარნო... ისინი ახლა გამიგებდნენ, ამათ კი არ ჰგვანან, სიმღერის თანაზიართ", — ვფიქრობდი მე.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, ფიზიკოსებმა ბუნების ძალზე საინტერესო მოვლენა აღმოაჩინეს. გამოირკვა, რომ კოსმოსიდან ჩვენს პლანეტას გამუდმებით „უშენს" ატომგული. უდიდესი ენერგიის ნაკადი. იგი იმდენად ძლიერია, რომ ატომგული არა მარტო ყოველ ცოცხალ არსებას ჰგმირავს, არამედ შეუძლია, ტყვიის საკმაოდ სქელი ფენა გაბურღოს და რამდენიმე ასეული მეტრით დედამიწის სიღრმეში შეიჭრას.

კოსმოსის მოცოქილისადმი ინტერესი არცთუ ისე ფუჭი იყო: ასეთი ენერგიის მქონე ერთ ნაწილაკს შეუძლია მწყობრიდან გამოიყვანოს ადამიანის ორგანიზმის თხუთმეტი ათასი უჯრედი. ქსოვილების საერთო რაოდენობასთან შედარებით — საერთო რაოდენობა დაახლოებით ათასი მილიონია — ეს არც ისე ბევრია. მაგრამ შესაძლებელია, სწორედ ამ ნაწილაკებმა გამოიყვანეს მწყობრიდან ჩემი მუსიკალური უჯრედები? არა, ეს ყველაფერი სისულელეა! სხვებისთვის რომ არაფერი არ დაუშავებიათ! ივანე პაველოვი მართალი იყო, როდესაც წერდა: „ყველაზე ძლიერი გამღიზიანებლები ადამიანები არიან. მთელი ჩვენი ცხოვრება სხვებთან უმძიმეს ურთიერთდამოკიდებულებაზეა აგებული და ეს განსაკუთრებით მტკივნეულად იგრძნობა". აი, ადამიანები დიდხანს დარჩებიან კოსმოსის პირისპირ... და თავის თავთან... სივიწროვე, უჩვეულო გარემო, იზოლაცია. იქ როგორ გავექცეთ ურთიერთდამოკიდებულებას, „განსაკუთრებით მტკივნეულად რომ იგრძნობა". აქ კოსმოსი არ არის და აი რა ხდება. სრული ურთიერთგაუგებრობაა.

მუსიკალური ოთახში ყველა ჩემი თანაკლასელი პანიკასა და სტრესს შეეპყრო, მე კი მშვიდად ვიყავი. თუმცა არც სმა, არც თითები, არც ლექსი და არც არაფერი არ მემორჩილებოდა.

ისინი ჩემს საქციელს, როგორც ყოველთვის, თავხედობას მიაწერდნენ, თითქოს მსურდა, გაკვეთილი ჩამეშალა, ანდა... არც კი

ეიცი, რას. სინამდვილეში კი სულაც არ იყო ასე. უბრალოდ ჩემი არსებობის ერთ-ერთი სისტემა (ჩარლზ დარვინს თუ მოვიშველიებთ — უყურადღებოდ დატოვებული სისტემა) მოხვდა ავარიულ მდგომარეობაში და ყოველივე იმით, რასაც ვაკეთებდი (ხმას ვიყენებდი, გიტარის ვირფუზე ურჩ ოითებს ვათამაშებდი, ვცდილობდი, პროზაული სიტყვები გამოველექსა), მინდოდა საქმე გამომესწორებინა.

წარმოიშვა რიღაც ზეპარადოქსული მდგომარეობა: ვიცოდი, მაგრამ არ შემეძლო, არ შემეძლო, მაგრამ ვიცოდი!

ეს ისეთია, მძღოლი რომ მანქანის საჭეს მიუჯდეს, ჩართოს ძრავა, დააჭიროს სტარტერს ხელი და იმის მაგივრად, რომ ძრავა ამუშავდეს, დაუკრას რადიომიმღებმა. მეცნიერული შემოქმედების ცოდნის თავისებურება ზედმწევნით ეწინააღმდეგებოდა მხატვრული შემოქმედების ცოდნის თავისებურებას. ერთიც და მეორეც ზეპირად ვიცოდი, მაგრამ თუ ვიცოდი ფესვის ამოღება, ამოვიღებდი კიდეც. მაგრამ თუ ვიცოდი, როგორ იწერება ლექსი იამბით, ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ მე შეეძლებდი მის დაწერას.

მე ვმღეროდი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ეუახლოვდები უცნობ პლანეტას, რომელიც შეესრულო ხეძნელი ზედაპირება, ყველა ხელსაწყოს მიღალატა და ახლა ვიწყებ ზემავარ ზედაპირდომას, დაზიანებით მხოლოდ ერთი სისტემა დაზიანდება, თუმცა არც დაზიანდება, შეიძლება... ისე ვერ იმუშაოს, როგორც საჭიროა!..

არა, ჩემი ზეორგანიზმის ყველა სისტემას არ უმტყუნია... მაგრამ ეს გაუშიფრავი ენაა ხელოვნებისა... ეს ეიროგლიფებია სიმღერისა და ლექსისა... და ნუთუ ვერ მოვახერხებ მათ გაშიფვრას? ნუთუ მაინ მართალია, ნუთუ მე არასოდეს არ მქონია მუსიკალური სმენა და ხმა, არ მქონია და არც მექნება?.. ნუთუ ჩარლზ დარვინიც მართალია და მე დაკარგული ხელოვნებისთვის განკუთვნილი ტვინის უჯრედების გაცოცხლება.

წესით, უსმენო ადამიანებს სმენა არასოდეს არ მოუვა, არსებობს წესი, მაგრამ ხომ არსებობს გამონაკლისებიც. ვცადოთ, ვიყოთ გამონაკლისი!.. რა თქმა უნდა, ალბათ, ძალიან ძნელია, იყო გამონაკლისი, მაგრამ რა იყო ჩემთვის ოოლი?

კიდევ განვაგრძობდი სიმღერას, რომ მე, როგორც ავარიული მომღერალი და ავარიული ლექსის მთხზველი, საკლასო ოთახიდან არ გამოვეძევებინე მთელ გუნდს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. პირველად ჩემს სიცოცხლეში კლასიდან გამოძევებას შევხვდი მშვიდი შეცბუნებით და შეცბუნებული სიმშვიდით. და ყველაზე

მეტად ის კი არ მაფიქრებდა, რომ კლასიდან მაძევებენენ, არ მეღ ის, თუ რა ბედებოდა ჩემს ყოველისგაძგებ და არაფრისგაძგებ თაკარი. „ინფორმაცია მიღებულია, მაგრამ გაუშიფრავია და ამიტომ დაუმუშავებელია“, გავიფიქრე მე, თან ყურს ვუგდებდი ჩემ ზურგს უკან მდრტვინავ ხმებს. ისიც გავიფიქრე, რაკი სიმღერა და როიალზე დაკვრაც იციან, ჩემზე ძლიერები არიან-შეთქი, ჯერჯერობით, რაღა თქმა უნდა, დროებით, მხოლოდ დროებით, დროებით!..

მ ო გ ო ნ ე ბ ა მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე

სამეფოციანი შემოწმებიანზე, ცოცხლად!

რომელიმე მგრძნობიარე პიროვნებას შეეძლო ეთქვა, რომ ეს უბედური დღე იყო. მაგრამ ჩვენ, ზეკოსმონავტებმა, არ ეიცით ბედნიერი ან უბედური დღეები. უბრალოდ ცოტა მეტი ჯაფა დამადგა, მეტი კალორია დამეხარჯა. შეუძლებელია, ვერ დავძლიო ეს სიმღერა. თითებით აკორდები ავიღე და ავმღერდი. წინკარში ზარის ხმა გაისმა.

კარი გავაღე და კიბის თავზე ჩემი კლასელები დავინახე, თითქმის მთელი შემადგენლობით მოსულიყვნენ. ყველაზე წინ კუტრიოვი იდგა მასლოვთან ერთად. სასწრაფოდ მოვიხურე კარი, მაგრამ ერთ-ერთმა ბიჭმა კარს ფეხი გამოსდო. ღანარჩენები ხელით სწვდნენ, ჰოდა ბიჭები და გოგოები ჯგროდ შემოცვივდნენ სასადილო ოთახში.

— ეუჭყიანი ფეხსაცმელებით შემოხვედით?! — შეეკითხა დედაჩ.

— ბავშვებო, გაიხადეთ ფეხსაცმელები! — თქვა მასლოვმა.

— რი ხდება აქ? — ვიოცდა შამი.

— გარდა ამისა... ყველანი ახლავე წაბრძანდით აქედან, — თქვა დედაჩ.

— ჩვენ თქვენი იურას საქმეზე მოვედით, — უთხრა მასლოვმა.

— არავითარი საქმე! ახლავე წადით აქედან! იურა ლექსებს წერს და მუსიკას თხზავს! წადით ახლავე ყველანი! — მოუჭრა დედაჩ.

— თქვენთან ბოდიში, მაგრამ ლექსის წერა ნაჭის გარეშე და მუსიკის შექმნა მუსიკალური სმენის გარეშე შეუძლებელია, — თქვა ახალგაზრდა კუბიშევმა.

— არა, ეს თქვენთან ბოდიში, — შეუტია დედამ ანდრეი კუბიშევს. — ჩვენს იურის მუსიკალური სმენა, ალბათ, იმიტომ არა აქვს, რომ არ უნდოდა ჰქონოდა, და პოეტური ნიჭიც, ალბათ, იმიტომ არ დაპყვა, რომ არ ესაჭიროებოდა.

აი, პასუხიც ამას ჰქვია! საკუთარ თავისთვის გამოვეცი ბრძანება: „ი. ე. ივანოვი უმოკლეს დროში გახდეს ნიჭიერი, მორჩა და გათავდა! უსიტყვოდ!..“

— თქვენ იცით, რომ მან ეს-ეს არის სიმღერის გაკვეთილი ჩაშალა? — ჰკითხა დედას ვიქტორ მასლოვმა. — ჩაშალა თავისი ეგრეთ წოდებული მუსიკალური სმენით და პოეტური ნიჭით. გაკვეთილიც ჩაშალა და ჩვენი საყვარელი მასწავლებელი გულის შეტევამდე მიიყვანა!..

ამ სიტყვების მერე მთელმა კლასმა ერთხმად დაიძახა:

— ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ ოფიციალურად გამოგიცხადოთ: მორჩა! კმარა! გვეყოფა! ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო!

— წინათ ჩემს შვილს მთელი კლასი სკოლაში ესხმოდით თავს, ახლა სახლშიც მოუცვივდით! წადით აქედან! — თქვა დედამ.

— არ წახვიდეთ! ჩაიცვით ფეხსაცმელები და არ წახვიდეთ! — შესძახა მამამ.

— აპ, ასე ხომ?! მაშინ ან მე, ან ეს... რა ჰქვია ამათ... — თქვა დედამ.

— ან?! დღეს იქნება ან! შედით ჩემს ოთახში! ყველანი შედით! — თქვა მამამ. — შენ წასელას აპირებ?.. დღეს შენი დახმარება ბრჭყალებში, — მამამ ხმა გაუსვა სიტყვებს „დახმარება ბრჭყალებში“, — მხოლოდ ხელს შეუშლის შენს ვაჟიშვილს.

მამა და დედა კიდევ რამდენიმე ხანს კამათობდნენ, სანამ დედამ არ გამოაცხადა მტკიცედ:

— თქვენი ბედი, რომ მე მივდივარ!

ამის მერე შემოსასვლელი კარი მაგრად გაჯახუნდა.

მე გავიგონე, ფეხსაცმელების ბაკაბუკით მთელი კლასი როგორ შევიდა მამას ოთახში, სასადილოდან თან გაიყოლეს შალითაგადაკრული სამუზეუმო სკამები, რომელზედაც არავინ არ ჯდება.

— მოხსენით შალითა სკამებს! — ბრძანა მამამ.

— ივანოვ, შენც შემოდი, — დამიძახა მასლოვმა, — შენთან დასამალი ჩვენ არაფერი გვაქვს, ეს შენა გაქვს ჩვენთან დაფარული საიდუმლოებანი! — ბან ჩემი ოთახის კარზე დააკაკუნა და შეიცადა.

მე პიანინოსთან ვიჯექი და მარცხენა თვალით დავაცქეროდი თეთრ და შავ კლავიშებს. პიანინო უსასოდაც ამშვენიერად ეღერ-და: სუბკონტროქტავა, კონტროქტავა, დიდი ოქტავა, პატარა, ოქ-ტავა, პირველი ოქტავა, მეორე ოქტავა, მესამე ოქტავა, მე-ოთხე ოქტავა, მეხუთე ოქტავა. მარჯვენა თვალით გიტარის ვრიფს ვუყურებდი და თან ჩვენთვის ინსტრუქციას ვიმეორებდი: „ინ-სტრუმენტის ასაწყობად საჭიროა აიღო კამერტონი, რომელიც გამოსცემს პირველი ოქტავის „ლა"-ს. ამ ბგერას შეესატყვისება გიტარის პირველი (ყველაზე წვრილი) სიმის ხმა, ეს ბაშინ, როცა სიმი მიჭერილია მეშვიდე მალიკზე, ხოლო აშვებული (არამიჭერი-ლი) გამოსცემს „რე" ბგერას. მეორე სიმი, მიჭერილი მესამე მა-ლიკზე, უნდა ეღერდეს, როგორც აშვებული პირველი სიმი..." მი-წდოდა კლავიშებზე დამერტყა ხელი, მაგრამ ბაბამ თავის ოთახიდან ჰიპნოტიზიორის ხმით გამომაახა:

— გამოდი!

მე კარი გავაღე და ვთქვი:

— რასაკვირველია, გამოვალ, მხოლოდ სამი წუთი მოიცადეთ.

— რატომ სამი წუთი? — მკითხა მასლოვმა.

არ მინდოდა ჩემი თანაკლასელების თანდასწრებით მემეცადინა მუსიკაში, რომელიც არა და არ მემორჩილებოდა.

— იმიტომ, რომ ამ სამ წუთში იატაკები უნდა მოვაპრიალო, — ვუპასუხე მე.

ვინაიდან კლასშიც და შინაც ყველამ იცოდა, რომ ჩემთან კა-მათს აზრი არა აქვს, არავინ. მამაც კი არ შემკამათებია. ჩემს ოთახ-ში შევბრუნდი, ფეხებზე ორი ჯაგრისი დავიმაგრე, ჩავრთე მაგნი-ტოფონი და გავსრიალდი იატაკზე. მომღერალთან ერთად სიმღერის სიტყვებს ვიმეორებდი და სხვადასხვა საცეკვაო ილეთებს ვას-რულებდი — ვითომ იატაკს ვაპრიალებდი. კარებთან შეჯგუფული ბავშვები მიცქეროდნენ და ხან რას წამოიძახებდნენ და ხან რას.

— ივანოვი იატაკს კი არ აპრიალებს, მე მგონი, ცეკვავს.

— და ეღერის...

— სიმღერის გაკვეთილი ჩაშალა და ეღერის!

— გოლოვანოვი და გრანინა, ესეც ჩაწერეთ სიმპტომებში: უცებ სიმღერა და ცეკვა დაიწყო.

გავიდა სამი წუთი. ცეკვით ჩემი ბუნების ემოციური მხარე ცო-ტათი რომ გავაძლიერე, ფეხებიდან ჯაგრისები მოვიხსენი, გამოვრ-თე მაგნიტოფონი და ჩვენი კლასელების თანხლებით მამას ოთახში გავედი.

საშინლად არ მესიამოვნა, რომ თავიდან ვერავინ ვერ გაბედა ლაპარაკის დაწყება. უბადრუკი მხდალები! ჩენეზემპრები! სხედან ჯგროდ სკამებზე! საგონებელს მისცემიან! აბა, ვინ არის ყველაზე გამბედავი? დაიწყე! მე მეგონა, ჯავრის ამოსაყრელად პირველად მასლოვი დაიწყებდა! ძაგრამ სრულიად მოულოდნელად ლაპარაკი გოლოვანოვამ დაიწყო.

— ივგენი ალექსანდროვიჩ, — თქვა მან. — მე პირდაპირ გეტყვით, ყოველი წინასიტყვაობის და დიპლომატიის გარეშე. იქნებ, ეს ზედმეტი სიმკაცრე და, შეიძლება, ულმობლობა არის... თქვენ ხომ ივანოვის მაგა ხართ... ადრე გეგონა, რომ იურის უბრალოდ რთული ხასიათი ჰქონდა. მერე ვიფიქრეთ, თქვენი შვილი იურა... საერთოდ, ჩვენ რამდენიმე ვერსია გვქონდა... მთელი თვე ვფიქრობდით, ვმსჯელობდით... აი, ოქმიცა გვაქვს... მოისმინეს... „იური ივანოვის შესახებ“... დაადგინეს... უკანასკნელი ვერსია ჩაითვალოს სარწმუნოდ, მხარი დაუჭირეს ერთხმად! უფრო სწორად, თითქმის ერთხმად... ორმა თავი შეიკავა... ერთი წინააღმდეგი წავიდა... ვანია ზაიცევი იყო წინააღმდეგი... ზაიცევი უკანასკნელი ვერსიისა და უკანასკნელის წინა ვერსიის წინააღმდეგ გამოვიდა. ადექი, ზაიცევ!

ზაიცევი ადგა და თქვა:

— უკანასკნელი ვერსია საერთოდ ბოდვაა, უკანასკნელის წინა კი — გიჟის ბოდვა. უკანასკნელის წინა დანაშაულის სხვისთვის გადაბრალებაა.

— ჰო, უკანასკნელის წინა ვერსიაზე ჩვენც უარი ვთქვით, — ალნაშნა ვერა გრანინამ. მე, უბრალოდ, მინდა გიამბოთ, როგორ მივედით უკანასკნელის წინა ვერსიამდე. უხერხულია თქმა, მაგრამ ბოლოს ვიტყვი. ჩვენ ვისხედით და დიაგნოზზე ვფიქრობდით... დიაგნოზისთვის კი თქვენთან ბოდიშს ვიხდი... ჩვენ, მე და ლიუდას, სამკურნალოდ მიდრეკილება გვაქვს, ჰოდა ვთქვით... ლიუდა, თქვი, რას ამბობდი...

— როგორც მომავალი ექიმი, პირდაპირ გეტყვით, — თქვა ლიუდა გოლოვანოვამ. — მე დიდი ხანია თვალყურს ვადევნებდი თქვენს ვაჟიშვილს მეცნიერული თვალსაზრისით. „იური ივანოვის ავადმყოფობის ისტორიაც“ შევადგინე, პრაქტიკისათვის, რა თქმა უნდა... აი, აქ მიწერია სიმპტომები...

— მაინც რა დიაგნოზი დაუსვით? — იკითხა მამამ.

ლიუდა კი განაგრძობდა:

— ენდოგენური და რეაქტიული ხასიათის გაღიზიანებები, პლუს მოულოდნელი გაფაფუყვეტა ფენეტებისა, და არც ერთ ენაზე

რომ არ არსებობს, ისეთი სიტყვების წარმოქმნება. როგორიცაა მაგალითად: „პურაბლიე“, „ჩეხესემპრ“, „ჩედოზემპრ“ და ასე შემდეგ. საბოლოოდ გამოვიცა... შეპრე...

— რომელი შეპრე? — იკითხა ძამამ.

— ესე იგი, რომ შეპრეტილია... მაპატიეთ, რა თქვა ენდა... მეცნიერული ენით, ფსიხი...

— ერთი სიტყვით, ურევს რა! — თქვა ვოლაცამ ჩემ ზურგს უკან.

— თქვენ ბავშვობაში რაიმე ნერვული დაავადება ხომ არ გქონდათ? — ჰკითხა ვერამ ძამას.

— არა, — უპასუხა ძამამ და თან ნაღვლიანად შემომხედა.

— თქვენი იურა ხომ არ ყოფილა ავად?

— ჩემს აქ ყოფნაში არა. — თქვა ძამამ, — მაკრამ მე ხშირად დიდი ხნით მივდივარ ხოლმე ძიულ ნეგაში... ინსპექტორი ვარ... ვინ იცის, იქნებ, მე რომ აქ არ ვიყავი, ძაშინ ივანოვ ყოფა.

— ივანოვ, ბავშვობაში რაიმე ავადმყოფობა ხომ არ გადაგიტანია? — მკითხა ლიუდა გოლოვანოვამ.

— საერთოდ არასოდეს არ ეყოფილვარ ავად. — ვთქვი მე.

— ესეც სიმპტომია, — თქვა გოლოვანოვამ. — ისინი მუდმ ამტკიცებენ, რომ ჯანსაღები არიან...

— ვინ ისინი? — ჰკითხა ძამამ გოლოვანოვას.

— აი ისინი... — უპასუხა გოლოვანოვამ.

— მე კი ამ დიაგნოზზე არ დავეთანხმე ძაშინ! — უეცრად თქვა ზაიცევმა. — არც ახლა ვეთანხმები. ეს ის აზრით, ივანოვი არაფერი ფსიხი არ არის, ჩვეულებრივი, რიგითი გენიოსია... თუმცა ჩემი მტერია, მე მაინც ამას ვიტყვი... სამჯერ შეჩხუბა...

— ოთხჯერ, — გავუსწორე მე ზაიცევს.

— ოთხჯერ, — დამეთანხმა ზაიცევი. — სამჯერ იმისათვის, რომ მის ჩანთას შევეხე, ერთხელ კი — წიგნისათვის — მინდოდა „ქალბატონ ბარკის თოჯინას“ ილუსტრაციები დამეთვალიერებინა... და მაინც, მე მგონია, რომ ივანოვი — თვითმყოფადი და, შეიძლება ითქვას, გამოჩენილი მტკიცე პიროვნებაა, უბრალოდ, გამორჩეული ტიპია.

— სწორედ რომ ტიპია! — იყვირა ვერანინამ.

„აი, ეს ზაიცევი ადამიანებში ერკვევა!.. — გავიფიქრე მე. — სხვებს კი არა ჰგავს“.

— და თანაც საძაგელი! — თქვა ფილიმონოვამ.

— მერე რა? — მიუგო ზაიცევმა. — არსებობენ სასიამოვნო არაჩვეულებრივი პიროვნებანი, ივანოვი კი უსიამოვნო პიროვნებაა.

— შენ არსებითზე ილაპარაკე, მის ქცევაყოფაზე, — თქვა მასლოვმა.

— არსებითზე ვიტყვი... რკინის ატომები-57, როგორც ცნობილია, ორი სახისაა. არის აგზნებადი, რადიაქტიური ატომები, რომლებიც გამოსცემენ გამა-სხივებს, არსებობს არააგზნებადი ჩვეულებრივი რკინის ატომები. ამგვარად, ივანოვი, ჩემის აზრით, აგზნებადი და აქტიური ადამიანია.

— ეს კი ზუსტად თქვი, — დაეთანხმა მასლოვი. — მაგრამ ივანოვის აგზნებადობა და აქტიურობა ძალიან ძვირად გვიჯდება სუყველას.

— იმიტომ, რომ იური ივანოვის თავში ინფორმაციული აფეთქება მოხდა. სამწუხაროდ, ეს აფეთქება არამართვადი აღმოჩნდა. იმიტომ დაიჭრა და დაზიანდა ამდენი, — თქვა ზაიცევმა.

ყველა ერთად ახმაურდა, ვინ რას ამბობდა, ვერ გაიგებდი. მხოლოდ ისმოდა: „მაგის თავში ინფორმაციული აფეთქება მოხდა, ჰოდა ახლა ნამსხვრევები სცვივა...“ „აფეთქება!.. შენი ყურით გაიგონე ეს აფეთქება?..“ „გავიგონე!.. ჩვენ კი აგერ უკვე სამი კვირაა ინფორმაციის ნამსხვრევები გვხვდება...“ „ეს რაღაა — ყველა დაჭრილია?! დაჭრილი ჯანმრთელები არიან!“

— ივანოვის თავში მომხდარი ინფორმაციული აფეთქებით დაზარალებულებმა გამოთქვით აზრი!

— მე ვფიქრობ: როცა მე მიყურებ, თვალები რაღაცნაირად გიდიდდება, ფარისებური ჯირკვალი შეამოწმებინეო.

— ადამიანების მიმართ დაუნდობელია... მაგის საყვარელი ანდაზური თქმაა: „ერთი თქვენი თავი პირანიებისთვის გადამაგდებინა უკუქცევის დროს!“

— რაღაც გაუგებარ ენაზე იგინება.

— ამპარტავანია...

— უბრალოდ ყოყოჩაა, — თქვა ლენა მარჩენკომ. — ასე ჰგონია, მარტო მაგან იცის ყველაფერი, სხვებმა არაფერი არ იციან. ზეადამიანად მოაქვს თავი...

— ეს ყველაფერი სისულელეა, — თქვა გოლოვანოვამ და მამას მიმართა. — ჩვენი ბოლო დიაგნოზი ასეთია: იური ივანოვი არ არის იური ივანოვი, ერთი სიტყვით, თქვენი შვილი არ არის თქვენი შვილი.

— მაშ ვინ არის? — იკითხა მამამ.

— იგი უცხოპლანეტელია... თქვენი შვილი იმათ მოიტაცეს, სამაგიეროდ კი თქვენი შვილის ორეული გამოგზავნეს! შესაძლებელია, იმ ჩვენს გონებრივ ქმებს ერთი მხრივ, ისე აქვთ განვითარე-

ბული ტექნიკა, რომ ადამიანის ორეულის შექმნა შეუძლიათ. მეორე მხრივ კი, ეს ძმები, იქნებ, დიდი ვერაგები ძმები არიან, მით უმეტეს გონებით, თუ იური ივანოვით ვიმსჯელებთ, მე მხედველობაში მაქვს არა მისი აზროვნება, არამედ მისი საქციელი, ანდა შეიძლება, იმათ პლანეტაზე ყველა ასე იქცევა!.. ამიტომ ჩვენ, — თქვა გოლოვანოვამ, — გთავაზობთ, ხვალ იურის ჩაუტარებთ სამედიცინო ექსპერტიზა!.. რა თქმა უნდა, თუ თქვენ წინააღმდეგი არა ხართ... ვერას მამა პროფესორ-ფსიქოლოგია, იგი კოსმონავტებთან მუშაობს... ჩვენ უკვე მოველაპარაკეთ მას, ყოველნაირად შეამოწმებს — სისხლსაც გაუსინჯავს და ყველაფერს, ჯოლი გავიგებთ, რა სჭირს!

— მე ექსპერტის წინააღმდეგი არა ვარ, — თქვა მამამ, — მაგრამ ჩემმა შვილმა ერთი ჰიპნოტიზიორი უკვე დააძინა, ამიტომ მეშინია, კოსმონავტების ექიმსაც რამე არ დაუშაოს!

— შენ, ივანოვ, ექსპერტიზის წინააღმდეგ ხომ არა ხარ?

— თუ გინდათ, ორი იყოს! — ვთქვი მე ხმამაღლა და გახარებულმაც კი. ექსპერტიზაზე უკეთეს საჩუქარს ჩემთვის ვერავინ ვერ მოიგონებდა. მით უმეტეს, ღადგა დრო, მე თვითონ გამეკეთა ფსიქოლოგიური პრაქტიკუმი კარგ პროფესორთან. ეფიქრობდი, ისე როგორ მოვახერხო, კოსმონავტებთან მომუშავე პროფესორთან მოვხვდე-მეთქი, ახლა კი, შეიძლება ითქვას, თვითონ მეძლევა შემთხვევა.

— ესე იგი, ხვალ, — თქვა გოლოვანოვამ. — აი აქ მიწერია.

— ოღონდ მხედველობაში გქონდეთ, რომ მე ხვალ თხუთმეტი საათიდან თექვსმეტ საათამდე... ერთი სიტყვით, დაკავებული ვიქნები.

ეს რომ ვთქვი, ბიჭებმა და გოგოებმა რაღაც დიდმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს და ჩურჩული დაიწყეს, მერე მამას უჩურჩულეს რაღაც. გოლოვანოვამ კი თქვა:

— კარგი, ივანოვ, კარგი. პროფესორს სწორედ ოთხზე უმთავრდება მიღება, ისე რომ, ოთხი საათის მერე პირდაპირ ექიმთან წახვალ.

— ოღონდ, ივანოვ... იური, სიტყვა მომეცი! — მითხრა მამამ ხმადაბლა. — ოღონდ ბავშვების წინაშე პატირსანი სიტყვა მომეცი, რომ მოხვალ!

— პატიოსან სიტყვას გაძლევ, — ვთქვი მე.

— ჩაიწერე პოლიკლინიკის მისამართი, — თქვა გოლოვანოვამ. — ჭუჭა...

მაგრამ პოლიკლინიკის მისამართის გაგება არ დამცალდა. გოლოვანოვას ხმა დამსხვრეული მინის გამაყრუებელმა ზრიალმა და-

ფარა. ეს ხმა სადღაც სამზარეულოს უბანში გაისმა. ყველა შეკრთა, რასაკვირველია, ჩემ გარდა. ერთი წუთის შერე ისევ იქიდან მოისმა ადეთქების ხმა და კიდევ ერთხელ შეკრთნენ ყველანი. მე ისევ ისე მშვიდად ვიჯექი, მხოლოდ ცოტი წინააღმდეგობისაგან გულში ოღნავ დამიწყო კვნესა. მამა სკამიდან წამოვარდა და სასწრაფოდ გაეკარდა სამზარეულოში ოთახიდან. ბავშვებიც გაეგებინეთ თავქუდმოგლეჯილები ვიეკიდნენ მამას. ყველაზე ბოლოს მე წამოვდექი და აუჩქარებლად წავედი სამზარეულოსაკენ.

ჩვენი, საოპერაციო პალატასავით ქალაქთა სამზარეულო რაღაც საშინელი სანახავი იყო. ჭერი, კედლები და ყველა კარადა წითლად იყო მოთხვრილი და დაწინწკლული. გაზის ქურაზე შემდგარი დიდი ბოცების ახლოს, იატაკზე დამდგარ ტბორში, ღაჟყლეტილი შავი მოცხარის მარცვლები და შუშის ნამსხვრევები დაცურავდა. სამზარეულოს შუაგულში, იატაკზე, კირბით დაცობილი ბოთლის ყელი აგდო.

— რა არის ეს, რა მოხდა აქ? — თავზე ხელი იტაცა და შეპყვირა მამამ.

— დედა ზამთრისათვის ვიტამინებს ამზადებდა, — ვთქვი მე, — ვიღაცას გაზის ქურის სანაოურასთან რომ არ დაედგა ბოცები, არაფერი მოხდებოდა. სითბომ კი ფუფილი გამოიწვია. — დავამატე მე.

— მაინც რატომ, რატომ ხდება ეს ყოველგვარი აფეთქებები ჩემს სახლში? — ისევ იყვირა მამამ.

მე გავაუმდი. ჩემი საქმე იყო. ამეხსნა მიზეზი და არა საქციელის მოტივი, წარმოშობი მოვლენისა, თუმცა ამ აფეთქებებს უნდა გამოეწვრთო ჩემი ნერვული სისტემა, რომ უეცარი აფეთქების დროს არ შეეშკრთალიყავი.

— ჩემს სახლში ახლენენ აფეთქებებს, გაუგებარია, ვინ დგამს ბოცებს გაზის ქურაზე! — მამა სკამზე დაეშვა და ისე აღმუვლდა, თითქოს კბილი ასტკივდაო.

— აბა, — უთხრა გოლოვანოვამ ბავშვებს. დერეფანში, — ახლა თქვენთვის ნათელია, საღამდე მიჰყავს ადამიანი ამ რაღაც სიკეთეებსა და ჩებურეკებს.

დერეფანში მუდარის ხმა გაისმა.

— ბავშვებო! — მამა ტაბურეტიდან წამოვარდა. — ძვირფასო ბავშვებო! არ შეიძლება. ჩემს შვილს ღღესვე, ახლავე, ამწუთას მოვუწყოთ ექსპერტიზა!

— ახლავე დავურეკავ მამას პოლიკლინიკაში! — თქვა ვერა გრანინამ და ყველანი მამასთან ერთად სამზარეულოდან სასადილო ოთახში გავიდნენ.

გოგოები ნელ-ნელა საშზარეულოს დალაგებას შეუდგნენ. ვიოლა-ცამ კენკრა ვასინჯა და თქვა: „უჰ, რა გემრიელია!“ ვიოლეტა ვა-ეპასუხა: „გემრიელი რომ არ იყოს, გაიყიდებდნენ!“ მაგრამ ყველა-ფერ ამას მე არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი. ვიოლეტა და სა-შიშროებას თვალს ვუსწორებდი, საშიშროებას, რომელიც მელოდა, თუკი საერთოდ შეიძლება, მე რაიმე საშიშროება მელოდეს. „რა კარგი იქნება, ის პროფესორი ჩემში რაღაც ისეთს აღმოაჩენდეს... მერე კი ჩემი სურათი ანაზდად გაზეთ „იზვესტიაში“ — ბაც! „მიწ-ზე მშვიდობით დაშვებასთან და საჭირო კონტაქტების დამყარებას-თან დაკავშირებით...“ მე და ჩემი ეკიპაჟი იუპიტერზე გაფრენის მერე დავისვენებთ განცალკევებით მდებარე საბლში, როდესაც ისვენებს ზეკოსმონავტი დაბრუნების შემდეგ. ჩემს კოსმონავტებს შეამოწმებენ სხვადასხვა აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტე-ბი, ყველას, ჩემ გარდა, მე, როგორც ყოველთვის და ყველგან, აბ-სოლუტურად ჯანმრთელი ვარ.

ვიჯექი საკარძელში და ვფიქრობდი... ეცემ ვერა გრანინას მაშა შემოვიდა ოთახში, უხერხულად მიღიმის და მეუბნება:

„ვერ მიცანით, ამხანაგო ივანოვ?“

„ვერა, ვერ გიცანით“, — მივუგე მე.

ისე კი, რა თქმა უნდა, ვიცანი, მაგრამ, ვერ გიცანით-მეთქი, განგებ ვეუბნები.

„როგორ, არ გახსოვთ, ამხელა რომ იყავით... ჩემთან შემოწმე-ბაზე მოხვედით. მე ნორმალურად ჩაგთვალეთ, ხა-ხა-ხა!.. თქვენ კი, თურმე... თურმე ზენორმალური ხართ!“

რა თქმა უნდა. შეც გავიცინებ.

„ხა-ხა-ხა! დიახ, პროფესორო, თქვენ მაშინ კარგად ვერ გაერკ-ვიეთ ჩემში. ხა-ხა-ხა! მაგრამ მართლ თქვენ კი არა! ხა-ხა-ხა!“

„მართალს ამბობთ! ჩემი ქალიშვილიც ნორმალურ ადამიანად გთვლიდათ. ხა-ხა-ხა...“

„მართალია! მთვლიდა! ხა-ხა-ხა! ახლა სად არის ის? ხა-ხა-ხა!“

„დერეფანში დგას, შემოსვლა რცხვენია, ხა-ხა-ხა!

„რაო? რცხვენიაო? ხა-ხა-ხა! კარგით, ერთი, შემოვიდეს! შეძრ-ვიდეს!“

— შემოდი ასლავე სასადილოში! — გაისმა ხანაჩვეის ხმა.

შევედი სასადილო ოთახში.

— ჩაიცვი და სამეცადინო შემოწმებაზე წამოდი, ცოცხლად!

ყველამ მზადება დაიწყო. ლაბადები და კურტაკები ჩაიკეს, ქუდები და ბერეტები დაიხურეს. ამ დროს სასადილო ოთახში წინ წამოდგა ვიოლა ჩვენი კლასელი გოგო და ხმამაღლა თქვა:

— არ წაიყვანოთ სამედიცინო შემოწმებაზე!

— რატომ არ უნდა წაიყვანოთ? — ჰკითხა მამამ.

— რას ნიშნავს „არ წავიყვანოთ“? ვითომ რატომ არ უნდა წავიყვანოთ? — გაისმა ხმები.

— არავითარი ექიმი არ არის საჭირო, — ისევ ჯიუტად გაიმეორა იმ ვიღაც ჩვენმა კლასელმა გოგომ. მე ბავშვების ზურგს უკან ვიდექი და, ვინ ლაპარაკობდა, ვერ ვხედავდი.

— ეს ვინ არის? — შევეკითხე ჩემ გვერდით მდგომ მასლოვს.

— ეს ვინ არისო? — გაოცდა მასლოვი. — ჩვენი კლასელი ტანია ტოპოლევაა. — და დაუმატა: — არა, შენ მაინც უნდა გაესინჯო ექიმს. ეს ხომ ყველაზე ლამაზი ტანიაა ამქვეყნად...

— აი იური ივანოვის დღიური, — თქვა ტანიამ და მაღლა ასწია ჩემი დაშიფრული მოგონებები. — მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ სხვისი დღიურების კითხვა. მით უმეტეს დაშიფრულის, თანაც მარტოკამ რომ წაიკითხო და მით უმეტეს კოლექტიურად, წესი არ არის, მაგრამ რადგან საკითხი უცხოპლანეტელობას შეეხო და მასთან კოსმონავტების ექიმს, რომელმაც დიაგნოზი უნდა დაესვას იური ივანოვს, მაშინ დიაგნოზი დეე ამ დღიურმა დაუსვას. ეს დღიური ჩვენ ყველაფერს გვიამბობს ივანოვზე და ყოველგვარ ექიმზე უკეთეს დიაგნოზს დაუსვამს. უწინარეს ყოვლისა გვიამბობს, რომ ივანოვი სინამდვილეში არ არის ივანოვი, არამედ ბარანკინი. თქვენი გვარი ხომ ბარანკინია? — მიმართა მამაჩემს.

— დიახ, — დაემოწმა მამა, — ჩემი გვარი ბარანკინია. მაგრამ ჩემს შვილს არ მოსწონს ეს გვარი და გადაწყვიტა, თავისი დედის გვარით გაეგრძელებინა სწავლა... იცით, არსებობს ასეთი წიგნი „ბარანკინ, იყავ ადამიანი!“ ჰოდა. როდესაც ჩემი შვილი ამ გვარით სწავლობდა სკოლაში, ყველა ერთსა და იმავე შეკითხვას აძლევდა: „ბარანკინ, იყავ ადამიანი. გვიამბე, როგორ გადაიქეცი ბეღურად ან ბებელად, ან ჭიანჭველად“. ამიტომ იურამ გვთხოვა, სხვა სკოლაში გადაგვეყვანა და დედის გვარით განაგრძო სწავლა.

— ახლა კი ჩვენთვის გასაგებია, სანამ ატრაქციონებზე წაგვიყვანდა პარკში, რატომ ლაპარაკობდა ჭიანჭველებზე. გახსოვთ? „ყველაზე მსხვილი ჭიანჭველის მოცულობა იზომება კუბური მილიმეტრებით, ხოლო ჭიანჭველების გროვისა მის მიწისქვეშა ნაწილთან ერთად, — ასი ათასჯერ აღემატება „მშენებლის“ ზომას...“

— მე კი ბეღურებზე მელაპარაკა: განა, ეს სამართალია, რომ ბეღურები ზაფთარ-ზაფხულ ფეხშიშველები დადიან, ადამიანი კი...— თქვა სერგეი მედოვმა.

— მე კი პეპლებზე დამიწყო ლაპარაკი: შენ, მასლოვ, ოლგა ფომინასთან მეგობრობო, ხომ? მე ვუთხარი, ვმეგობრობ-მეთქი, ის რამდენ კილომეტრზე შეგიძლია აღმოაჩინოო. მე ვუთხარი, როდესაც ვხედავ, აღმოჩენილიც არის-მეთქი. მან ამიხსნა, პეპლებს ერთმანეთის აღმოჩენა ორმოც კილომეტრზე შეუძლიათო.

იმ დროს, როდესაც ჩემი ნამდვილი გვარის გაშიფვრა ხდებოდა, ის კი არ მაწუხებდა, რომ მას შიფრავდნენ, არამედ ის, თუ როგორ მოხვდა ჩემი მოგონებები ჩვენი კლასელი გოგოს ხელში, რომელსაც სრულებით არ ვაქცევდი ყურადღებას. სანამ ყველანი ხმაურობდნენ, მსჯელობდნენ. რა დამოკიდებულება ჰქონდა ჩემს გვარს ბარანკინთან, მე ტანია ტოპოლევას მივაჩერდი და პირველად დავინახე შისი მოცულობითი, ასე ვთქვათ, ჰოლოგრაფიული გამოსახულება. ტანია ტოპოლევა მართლა ისეთი ლამაზი იყო, რომ დიდროს გამოთქმა მომაგონდა: „სილამაზე არის ის, რაც გონებაში წარმოშობს თანაფარდობის იდეას". და კიდევ მათემატიკური აზრი სილამაზეზე: მშვენიერ ნაკვთებში მუდამ შეიძლება მათემატიკური კანონზომიერების დაჭერა. აი, საიდან გადის ჩემი ზესაიდუმლო ინფორმაცია, — ტანიას სახის მშვენიერ ნაკვთებიდან, რომელშიც ყოველთვის შეიძლება მათემატიკური კანონზომიერების დაჭერა.

ამიტომ იყო, რომ ვერ შევამჩნიე ეს თანაფარდობის იდეა და ვერც მათემატიკური კანონზომიერება, ჰოდა, ძალიან ცუდი! ცუდია, რომ ვერ შევამჩნიე!.. თავის დროზე რომ შემემჩნია, მაშინ ინფორმაცია აღარ გაიპარებოდა. მაგრამ ხელნაწერი როგორღა და რატომ მოხვდა ტატიანა ტოპოლევას ხელში? მე ხომ ის შესანახად სტეპანიდა ვასილიევნას მივეცი?! ერთის მხრივ, ინფორმაციის გაპარვა, მეორეს მხრივ, ლექსების მოზღვავება. მოზღვავებაც და გაპარვაც! მოზღვავებისთვის ტოპოლევას უნდა ვუმადლოდე, გაპარვისთვის კი უნდა შევიძულო. როგორ მოვიქცე? შევიძულო ტოპოლევა თუ მადლიერი ვიყო მისი? პირველ ყოვლისა, ჯერ უნდა გამეშიფრა, როგორ გაშიფრა დაშიფრული? ამის გაგება მაშინვე შემეძლო, მაგრამ ჩემი მკაცრი განრიგით თბუთმეტი წუთის მერე მონაწილეობა უნდა მიმეღო მანქანების შეჯიბრის რუკაზე და ამის გადადება არ შემეძლო, მაგრამ ვერც იმის გამოძიებას გადავდებდი, დამლაგებელ დეიდა პაშას ხელიდან ტანია ტოპოლევასთან როგორ მოხვდა ხელნაწერი? ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველას ჩვენს სახლში სამი საათით შევაყოვნებდი, მაგრამ როგორ უნდა შემეყოვნებინა ყველა, და მათთან ერთად ტანია ტოპოლევა ჩემს სახლში? როგორ და, უბრალოდ, ერთადერთი ხერხით...

— მე ახლა, სამწუხაროდ, უნდა წავიდე. — ვთქვი მე. — ახლა თქვენთან დასამალი აღარაფერი მაქვს. ფორმულა „მისმინეთ ახლა — მერე გაიგებთ“ ძალაში აღარ არის! „მისმინეთ ახლა — ახლავე გაიგებთ! — აი დღევანდელი ფორმულა ურთიერთგაგებისა! წაიკითხეთ ახლა — გაიგებთ ახლა! და როგორც მოქალაქე ტოპოლევამ თავის საკმაოდ კარგ ლექსებში თქვა: „მიდიხარ ლაშქრად, გვიჩვენე სახე, — აი, მამაცთა წესი!“

ოთახიდან რომ გამოვედი, ჩემში ვიგრძენი სპორტული აგრესია, ფსიქიკურ და ფიზიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალური დაძაბვის უნარი მაღალ და უმაღლეს (საროკორდო) შედეგების მისაღწევად.

ორი საათის მერე კიბე რომ ავირბინე და ჩემს სართულზე ავედი, კიბის თავზე ზუსტად ისეთივე ხმაური შემომესმა, როგორიც რამდენიმე ხნის წინ ჩვენი სკოლის მუსიკალურ კლასში დაეტოვე. ერთი სიტყვით, სტრესი. გრძელდებოდა. სტრესი — ამ სიტყვაში დიდხანს გულისხმობდნენ ორგანიზმის უარყოფით რეაქციას გამღიზიანებელზე (დათრგუნვილ მდგომარეობას, ნერვულ აშლილობას და სხვ.), სანამ ტერმინის ავტორმა — ამერიკელმა მეცნიერმა გ. სელიემ საგანგებოდ არ ახსნა, რომ სტრესი შეიძლება იყოს უარყოფითი (დისტრესი) და კარგიც (ევსტრესი) — სიხარულის, აღმაფრენისა...

იქ მყოფთა შორის თითქმის ყველა დისტრესს განიცდიდა, მხოლოდ ტანია ტოპოლევას სახეზე მკვეთრად იყო გამოხატული ევსტრესი. „ნეტავი რა უხარია?“ — გავიფიქრე ჩემთვის.

სიმაროლე გითხრათ, წინკარის მინიდან თანაკლასელების სახეებს რომ ვაკვირდებოდი, თან ორ საქმეს ერთად ვაკეთებდი. ერთი, რომ ვუსმენდი, რას ლაპარაკობდნენ ჩემზე თანაკლასელები, მეორეც კიდევ და კიდევ მიკვირდა, ეს როგორ ხდება, კარგი მათემატიკოსივით გონებაში შემეძლია ამოვფესვო მეცხრამეტე ხარისხში აყვანილი ას ოცდაცამეტი ციფრი, ჩემს გულზე კი ლექსი ვერ დამიწერია!

— და იგინება რომელიღაც გაუგებარ ენაზე!

— მაგალითად? — იკითხა ტანია ტოპოლევამ.

— მაგალითად... — ლენა მარჩენკო შეყოყმანდა. — არ ვიცი, შეიძლება ეს ხმამაღლა ითქვას თუ არა? მაგალითად, სეპაკტაკროუ! — თქვა მან და სიცილი აუტყდა.

— სეპაკტაკროუ — ეს მალაიურად ფეხით ბურთის თამაშს ნიშნავს, — თქვა ტანია ტოპოლევამ.

— კაცთმოძულეა! — იყვირა ლევ კირკინსკიმ. — მისი საყვარე-

ლი ანდაზური თქმაა: „ერთი თქვენი ოაეი პირანიებისათვის გადა-მაყრევინა ზღვის უკუქცევის დროს!“

— რა ახირებული საქმეა, — თქვა ტანია ტოპოლევამ. — საქმე ის არის, რომ ოკეანის უკუქცევის დროს მდინარე მვიხერდება, ამ დროს პირანიები ოაეის არ ერჩიან, თითქოს სძინავთო, ისე არიან. იწყება მოქცევა, ძალულობს მდინარის დონე და მასში შესვლა აღარ შეიძლება, დაღუპვა გარდუვალია.

— მერე კიდევ, — წამოიძახა კოლესნიკოვმა, — ყოველთვის იცის, რომელი საათია!..

ოთახში შეეედი თუ არა, სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ისე მიყურებდა, თითქოს მართლა შემცვალეს უცხოპლანეტელებმა. ჩემს თანაკლასელთა შორის როგორღაც ექიმი — ჰიპნოტიზიორი და ძია პეტრე აღმოჩნდნენ.

— აი, შეეკითხეთ, შეეკითხეთ, — რომელი საათია ახლა? — დაიღრიალა კოლესნიკოვმა.

— იური, რომელი საათია ახლა? — მკითხა მამამ.

— ხუთი საათი, ოცდაათი წუთი და ოცდასამი წამია, — დაუფიქრებლად ვუპასუხე მე.

ყველამ, ვისაც კი საათი ჰქონდა, ციფერბლატს დახედა, ექიმმა — ჰიპნოტიზიორმა კი ჩემი ცნობა რომ შეამოწმა, ენა გააწკლაპუნა და მხრები აიჩეჩა.

— ყველაზე ძნელი საქმე ამ ქვეყნად ივანოვთან ყოფნაა, რომელიც ივანოეი კი არა. ზეფანტასტიკური იური ბარანკინი აღმოჩნდა! — თქვა ინა კისინამ.

— მას უცხოპლანეტელებთან შეხვედრა რომ მიანდო, ჩვენს ღედამიწას მთელ გალაქტიკას წაკიდებს!

— თქვას, ეგ ის ბარანკინია თუ ის არ არის? — იყვირა ვერა გრანინამ.

— ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ და მივფრინავთ კოსმოსურ ხომალდ „მიწით“, სასურველია, ამ ხომალდის ეკიპაჟი ერთობლიეი იყოს ღრუბლებშიც და ბავშვობაშიც, — თქვა ლევ კირკინსკიმ.

— არა, ჯერ თქვას, ის ბარანკინია თუ ის არ არის?—არა ცხრებოდა ვერა გრანინა.

— სხვათა შორის, ჯერ კიდევ ეინშტეინი ამბობდა, — აყვირდა მასლოვი, — რომ ნებისმიერი, ყველაზე დიდი აღმოჩენაც კი, უფრო ნაკლები და უფრო იაფი ღირს, ვიდრე ადამიანურ ღირსებათა გამოვლენა.

მერე ალა ასტახოვამ თქვა:

— აკადემიკოს ველიხოვს ჰკითხეს: რა არის თანამედროვე ადამიანი. და იცით, რა უპასუხა? თანამედროვე ადამიანი ის არის, ვისაც უნარი შესწევს, იგრძნოს პასუხისმგებლობა ყველაფერზე, რაც მის ახლოს და შორიახლოს ხდება, ბარანკინი კი ისეთი ადამიანია, რომელსაც სრულებით არ ენაღვლება, რა ხდება მოშორებით. მისთვის მთავარია, თვითონ როგორ არის, რა ხდება მის გარშემო და თვითონ მასში.

— თქვას, თქვას, ეგ ის ბარანკინია თუ ის არ არის? — ისევ თავისას გაიძახოდა ვერა გრანინა.

— არა, ის ბარანკინი მე არა ვარ, ეს ბარანკინი ვარ, — ვთქვი მე.

— რომელი ეს? — განაგრძობდა ჩემს დაკითხვას კისინა.

— მე საჭიროდ არ ჩავთვალე, ასეთ შეკითხვაზე მეპასუხნა, მაგრამ ჩემს მაგივრად უპასუხა ტანია ტოპოლევამ.

— მე შემიძლია გითხრათ, რომელი იურა ბარანკინია ეს. ჩემის აზრით, ეს ყველაზე უფრო ფანტასტიკურია ყველა რეალურს შორის და ყველაზე რეალურია ყველა ფანტასტიკურს შორის! — და კიდევ დაამატა: — თქვენ იცით, ეს რა ადამიანია? ეს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცდიან თვითმფრინავებს ყოველგვარი გადამეტტვირთვით და კატასტროფასაც არ ერიდებიან, ეს კი, ეს კი... — ოიჯერ თქვა ტანიამ და მესამეჯერ ვაიმეორა, — ეს კი... თავის თავსა ცდის, გესმით თქვენ, თავის თავს ცდის ვადამეტტვირთვით და არც კატასტროფას ერიდება...

— შენ გაფრინდებოდი ბარანკინთან ერთად ყველაზე რთული დავალების შესასრულებლად? — ჰკითხა ნინა კისინამ.

— არა, — თქვა ტანიამ, — არ გავფრინდებოდი. მე არ გავფრინდები, იმიტომ რომ ბარანკინის ფანტაზია მასზე უფრო ძლიერია, მე მგონია, რომ თვითონ კი არ არის დაუფლებული თავის ფანტაზიას, არამედ ფანტაზია ფლობს მას.

მე რატომღაც ამ სიტყვების მოსმენისას ყურადღება მივაქცევ იმას, რომ ჩემს აქ არ ყოფნაში ჩვენი სასადილო ძალიან შეცვლილა. მთელი ოთახი სავსე იყო წიგნებითა და ჟურნალებით, მაგიდაზე და იატაკზე დაწყობილი დასტები ბარიკადებს ჰგავდა, საიდანაც ცალკეულ სიტყვებსა და სიტყვების ჯერს მიშენდნენ. წიგნებისა და ჟურნალების ყღებიდან პავლოვი, გალილეი, გორკი, კეპლერი, ლომონოსოვი, სტანისლავსკი და სხვები მიცქეროდნენ. ის სიტყვები კი, რომლებსაც მე წყალწყალა დამრიგებლობით ციტატებად ვღებულობდი, სინამდვილეში თითქოს ციტატები კი არა, არამედ ამ მეცნიერთა და მოაზროვნეთა სიტყვები იყო, ვისი სა-

ხელითაც წარმოიდგენენ. „საკვლევია, რომ ეს სწავლულები და მოაზროვნენი ნახატებითა და სურათებით არიან წარმოდგენილნი, — გავიფიქრე მე, — თორემ ბარიკადების აქეთ, ესე იგი, ჩემ მხარეზე, ზეკოსმოსაკტის მბარეზე იქნებოდნენ.

— ბოლოს და ბოლოს, დაბევ თუ არა მაგ შენს მოგონებებს და შენს ბორტუურნალს. და საერთოდ შეწყვიტე დროის ხარჯვა ზეგაფორებულ ზემომზადებასე ზეკოსმოსური ზეგაფრენისათვის. მე არ მესმის, — ამბობდა მამა და თანდათან ხმას უწევდა, — რატომ კარგავ ტყუილად დროს? რატომ ურდა მოემზადო იმისათვის, რაც არასოდეს არ განხორციელდება! შენ ვერასოდეს ვერ გაფრინდები კოსმოსში! გასაგებია?

მე ჩემს სიცოცხლეში პირველად გავიგონე მამას ყვირილი.

— დიახაც, გაეფრინდები! — მეც ავუწიე ხმას.

— არა, არ გაფრინდები!

— ყაინც რატომ არ გავფრინდები? — ეიკითხე მე კიდევ უფრო ხმამაღლა.

— იმიტომ, რომ, — მკაფიოდ გამოთქვა მამამ, — კოსმოსში მხოლოდ ძალიან ჯანსაღი ადამიანები მიფრინავენ, შენ კი ავადა ხარ. შენ მძიმე ავადმყოფი ხარ! — ყველაფერ ამას ამბობდა თვითონ, ისე, რომ წიგნში არ იყურებოდა.

მე რომ არასერიოზული ადამიანი ვყოფილიყავი, ამ სიტყვებზე გავიცინებდი. არა, ჩემზე ყველაფერი შეიძლება ითქვას, მაგრამ ის, რომ მე არაჯანსაღი ადამიანი ვარ?!.

— შენ მძიმე ავადმყოფი ხარ! — განაგრძობდა მამა. — მძიმე! ძალიან მძიმე! ახლა შენ ისეთ დიაგნოზს დაგისვამთ, რომლითაც შენ კარგ დღეში არ ჩავარდები. — წიგნებში და ჟურნალებში დაიწყო ქექვა, თან ნერვიულად იმეორებდა: არა, ეს არ არის! არც ეს არის!

„საინტერესოა, — გავიფიქრე ჩემთვის, — ვის ეძებს საშველად მამაჩემი? რა კონსილიუმს იწვევს? მთელი კლასი ისედაც აქ არი!..“

— აჰა, აი, ვიპოვე! — თქვა მამამ, მაგიდიდან რომელიღაც ჟურნალი აიღო და მერე სათვალე გაიკეთა, სათვალეს ზემოდან გადმომხედა და შემდეგი წაიკითხა: — „რამდენიმე სიტყვა ფსიქოლოგიურ შეუთავსებლობაზე... (პაუზა.) ხანგრძლივ ექსპედიციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაწილეთა შემადგენლობა შეირჩეს ისე, რომ მათ სიამოვნებდეთ ერთად ცხოვრება და მუშაობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია... (პაუზა.) საკმარისია, გავიხსენოთ ეპიზოდი პოლარეთის შესანიშნავი მკვლევარის ფრიტოფ ნანსენის

ცხოვრებიდან... (პაუზა.) ეს იყო უდიდესი მეცნიერი, დიდსულოვანი ადამიანი... (პაუზა.) და ძალიან სასიამოვნო პიროვნება!.. (პაუზა.) მან ერთხელ ეფინბურგში წაიკითხა ლექცია სათაურით „ის, რაზეც წიგნებში არ ეწერო“. ამბავი ეხებოდა ცნობილი ხომალდის „ფრაგმის“ დრეიფს. ნანსენი შტურმან იოჰანსენზე მოგვითხრობდა. ეგი მისი დიდი მეგობარი იყო. ერთად მიიღწიეს ჩრდილოეთის განედის 86 გრადუსს და უნდა ლაპარაკობდეს ყინულის კონტინენტზე, ფრანციოსების შიწაზე. ამ გზის გავლას წელიწადნახევარი მოანდომეს! მაინ საკმელი მარტოოდენ დათვისა და ლომთევზის ხორცი იყო. ძალ-ღონე გამოეცალათ. ძაგრამ არაფერი არ გასძნელებიათ ისე, როგორც ერთმანეთთან ყოფნა! კვირაში ერთხელ თუ მიმართავდნენ ერთმანეთს სიტყვებით: „ბატონო მთავარო შტურმანო“, ან „ბატონო ექსპედიციის ვაჭვეკ“: ეს არ იყო მათი ახირება ან ჭირვეულობა... (პაუზა). ეს იყო ფსიქოლოგიური შე-უ-თავ-სებ-ლო-ბის კანონის გამოვლინება... რასაც განასახიერებდა შტურმანი იოჰანსენი მთელი თავისი არსებით!“

დანარჩენებმა მამაჩემის აზრი განავითარეს და ხან სათითაოდ, ხან კი ყველა ერთად ისეთ ციტატებს მესროდნენ ამ თემაზე, რომ იძულებული გავხდი, ჩემი ზეთითებით ჩემი ზეყურები დამეცო.

— მეც მინდა გითხრა. — წიგნების ღასტიდან გამოიკუეტა ნინა კისინამ, — მინდა გითხრა, რომ, როგორც სერვანტესმა თქვა, — წაიღუღლეა ნიჩამ და რაღაც წიგნს გამალებით დაუწყო ფურცვლა, — მაშინ, ოუ...მ-მ-მ... იმისათვის, რომ ოცდაათ წუთში მომზადდეს ვაშლიანი ღვეზელი, უნდა ავოქვიფოთ სამი კვერცხი, ვუყოთ მარილი, დავუმატოთ ვანილი, ერთი ჭიქა შაქრის ფხვნილი და ათი გრამი ფქვილი... ვაი, ერთი წუთით, მგონი, იმას არ ეკითხულობ...

— დიახ, იმას არ კითხულობ, — შეეკუეტინე მე. — ათი გრამი ფქვილი კი არა, ერთი ჭიქა ფქვილი უნდა უყო, თორემ ღვეზელი კი არა, და...

— აქ კი სწერია, ათი გრამი ფქვილი უნდა ვუყოთო, — თქვა ნინამ.

— ესე იგი, შეცდომითაა დაბეჭდილი, ბოლოში ნაჩე, შეცდომების გასწორებაში იქნება, — ვუთხარი მე.

— მართლა შეცდომაა, — თქვა კისინამ და წიგნის ბოლოს ჩაწებებული ფურცელი ნახა. — ისე კი, ყველა მართალია, იურა, თუმცა შენ ზეჯანსაღი ადამიანი ხარ, — განაგრძობდა კისინა, — მაგრამ ისეთი ავადმყოფობა გეჭირს, რომელსაც კოსმონავტები... ადამიანურ-ფსიქოლოგიურ შეუთავსებლობას ეძახიან... მესამე სტადიისა გაქვს... მძიმე და, ეტყობა, განუკურნებელი ფორმით...

— იმათ აქვთ ასეთი დაავადება. ზეკოსმონავტებს კი ასეთი დაავადება არ ემართებათ! და არც შეიძლება დაემართოთ! და საერთოდ, — მიემართე ყველას. ახლა უკვე შვიდი საათი, ორმოცდათორმეტი წუთი და ცამეტი წამია, ანალ მე ერთბაშად სამ ინსტიტუტში შევდივარ: თეატრალურ, ლიტერატურის ინსტიტუტში და კონსერვატორიაში. თეორია უკვე ჩავაბარე. გასაუბრებაზე. წრე, როგორც იცით, უნდა შეიკრას. აი, ასე, პატივცემულო მხარეულებო, კულინარებო, დიეტოლოგებო და ღვეზლის მცხობლებო, ღვეზელისა, რომელსაც „იური პარანკინის შეუთავსებლობა!" ჰქვია. ახლა კი ეს მითხარით, ხომ არ ისურვებდით ჩემი ეკიპაჟის წევრობას... ჩემს დაავალებებს შეასრულებთ... ჩემივე ხელმძღვანელობით... თქვენ არა გსურთ — სხვები ვამოჩნდებიან!

— ბავშვებო! წავიდეთ სახლებში! — ბრძანა მასლოვმა. — ამ ყოველისმცოდნე და ყოველისგამგებმა ადამიანმა მაინც ვერაფერი ვერ შეისმინა!

აკრიფეს თავიანთი წიგნები და ნელ-ნელა გავიდნენ სასადილოდან.

— მეც მივდივარ, — თქვა მამამ. — მივდივარ, ბებიასთან ვიცხოვრებ. რა გაიწყობა. — ბუზღუნებდა ის, — შენი თანაკლასელების არ გჯერა, ჩვენი, უფროსებისაც, არ გჯერა, არც გორკის, არც სტანისლავსკის და არც პაველოვისა გჯერა...

მამამ კარი გაიჯახუნა და გავიდა. მე მარტო დავრჩი.

რა სამწუხაროა, რომ ადამიანის ხმას არ შეუძლია (ჯერჯერობით არ შეუძლია), ერთდროულად სამი წინადადება წარმოთქვას. სამწუხაროდ, ბუნებას ასეთი ნიჭით ჯერ არავინ არ დაუჯილდოებია, მაგრამ რომ დაეჯილდოებინა, მაშინ მე, დიდისნის ნანატრ მარტოობაში დარჩენილი, წარმოვთქვამდი შემდეგ სიტყვებს: „ფისო, ფისო, ფისო!" მერე წავიღიღინებდი: „...იმას, რასაც უსსოვარ დროდან უსაფუძვლოდ ეძახდნენ ხმის ოიგების „რხევას", ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით რხევა არ არის: ეს არის ხმის ოიგების ზემოქმედ და სწრაფი წყვეტილების სერია". მხატვრულად წავიკითხავდი: „გული ძგერს! გული ძგერს! მაგრამ როგორ ძგერს?!" ყველაფერ ამას ვიტყოდი ერთდროულად, იმიტომ რომ მარტოობაში ჩემი ახრები უამრავ პრობლემაზე გამახვილდა. ამჯერად სამი პრობლემა წამომეჭრა. თუმცა, ზუსტად რომ ვთქვა, მეოთხე პრობლემის შეგრძნებაც გამიჩნდა: თანაკლასელებთან კონფლიქტის შეგრძნება. მართალია, ეს შეგრძნება თითქოს საერთო არ იყო, უფრო პირადი იყო. „ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი, რაც მოხდა, კონფლიქტებიც არ არის, უბრალოდ წინააღმდეგობაა, მაგრამ ყველა წინააღმ-

დეგობა ხომ არ გადაიქცევა კონფლიქტად", — ვფიქრობდი მე, თან ოთახებში კატა მუსკას დავეძებდი, რომ საჭმელი მეჭმევინა.

კატა მუსკას ძებნისას მაგიდის ქვეშ რომ უნდა შემეხედა. სუფრაზე პერფორუქის ნაგლეჯი და ქაღალდის ფურცელი დავინახე. ქაღალდზე ეწერა: „იური ბარანკინს ტანია ტოპოლევასაგან". ფურცელი ხელში ავიღე, გადმოვაბრუნე და კითხვა დავიწყე. „იურა, — მწერდა ტანია, — მე მეგონა, აქამდე არ მივიდოდა საქმე, მაგრამ მივიდა აქამდე საქმე. აქამდე — ესე იგი, ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანამდე. ჩვენთან ლაპარაკის დროს, უფრო სწორად, შენი ავადმყოფობის დიაგნოზის დასმისას, შენ ალბათ, გადაწყვიტე, ჩემი შეუთავსებლობა მხოლოდ ჩემს თანაკლასელებს ეხებაო, მაგრამ საქმე ბევრად უფრო ცუდადაა, ბევრად უფრო ცუდად, ვიდრე ჩვენ გვეგონა და ვიდრე გგონია შენ. სანამ გადგესაუბრებოდით, მე ერთი ინჟინერ-კიბერნეტიკოსის დახმარებით შენი ფსიქოლოგიური პორტრეტი ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაში ჩავდე. ჩემი ახსნა რად გინდა, რომ ფსიქოლოგიის საგანი ადამიანის ფსიქიკურ თავისებურებათა კანონზომიერებაა. თავისებურებებში იგულისხმება: ინტერესები, ჩვევები, ნიჭიერება, ტემპერამენტი, ხასიათი. ჰოდა, ამან მიმიყვანა ინჟინერ-კიბერნეტიკოსთან. ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაში ჩავდეთ შენი ფსიქოლოგიური პორტრეტი და აი, რა გვიპასუხა მანქანამ: შენ, ბარანკინ, შეუთავსებელი ხარ ამქვეყნად არსებულ ყველა კოსმონავტთან!" ქვემოთ ეწერა: „ტანია ტოპოლევა".

მართალი გითხრათ, ცოტა ხანს კიდევ დავდიოდი ოთახში და მუსკას დავეძებდი, რომ არ მეფიქრა ტანიას ბარათზე, მაგრამ გონება მაინც უბრუნდებოდა სიტყვებს: „ელექტრონულ-გამომთვლელმა მანქანამ, რომელიც წამში მილიონ ოპერაციას ასრულებს (ადამიანის გონებისთვის ასეთი სიჩქარე ჯერჯერობით მიუღწეველია!), განსაზღვრა შენი სრული ზეშეუთავსებლობა ამქვეყნად არსებულ ყველა კოსმონავტთან". ჩემსა და ამ სიტყვებს შორის გაჩნდა რაღაც დაუძლეველი მიზიდულობა. და მე ახლა, შესაძლებელია, პირველად ჩემს ზეკოსმონავტურ ცხოვრებაში, მხოლოდ ერთი საქმით ვიყავი დაკავებული: ვფიქრობდი პროგნოზზე: ეგმ-ამ მიწინასწარმეტყველა სრული მარტოობა ამქვეყნად ყველაზე ძნელი დავალების შესრულების დროს. კრიტიკული მასების მიზიდულობა, ორი კრიტიკული მასის მიზიდულობა. მათი დაახლოება და... როგორც თქვა ზაიცევმა, იმ არააკადემიკოსმა ზაიცევმა, თითქოს იური ბარანკინის თავში მოხდა ინფორმაციული აფეთქება. დეზინფორმაციული აფეთქება და სხვა დანარჩენ აზრებს სიცოცხლე დაუ-

მოკლეთ, ისეთი, რომელიც [illegible] ლიტერატურულ კომეტას. [illegible] წინათ დანიელმა [illegible] ოფიციალურ [illegible] ასტრონომები. ფოტოსურათებზე [illegible] ძალიან. კომეტის ბირთვი როგორ გაიყო ოთხ ფრაგმენტად — [illegible] ერთი კილომეტრი იყო. ყინულის [illegible] ორთქლების შედეგად გაზის ღრუბელში [illegible] ცალკეული სხეულის ნაწილები თანდათან სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ.

უესტის კომეტაზე ფიქრში [illegible] დივანზე წამოვწექი. ისე, ყოველგვარი [illegible] გარეშე. [illegible] [illegible], წამოვწექი სულელურად, [illegible] [illegible] [illegible] ჩემში ბიოლოგიური [illegible] [illegible] [illegible]

„დროა ადგე, დროა! დილა მშვიდობისა!“ მერე კი ერთხანს წევხარ ნებივრად...“

ეს სიტყვები ისევ ბაბუაზე მქონდა, რომ სახლიდან ქუჩაში გამოვედი. უშიზნოდ გავჩერდი ტრამვაის გაჩერებასთან, რატომღაც ტრამვაიში ჩავჯექი და გავყევი იქით, საითაც წავიდა, ბოლო გაჩერებამდე. მიხალკოვი რომ ჰქვია. მერე ვიბანავე. მზეზე გავიხუხე; კინოში ვიყავი, უბრალოდ დაესეირნობდი და არაფერს ვაკეთებდი.

მკონი, მეოთხე თუ მეხუთე დღეს შევხვდი ტანია ტოპოლევას. მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— ამ დღეს დამავიწყდა, დამეტოვებინა შენთვის შენი მოგონებები, — და ჩემი დაშფრული რვეული გამომიწოდა.

გამოვართვი ჩემი დღიური და კურტაკის ჯიბეში ჩავიდე.

— ვინც როგორ მოხვდა შენს ხელში ჩემი მოგონებები? ვერაფერით ვერ გამიგია.

— ეს მე დეიდა პაშამ გადმომცა. მითხრა: „მე პირველ სართულზე ვცხოვრობ, აქ კი, ეტყობა, ძალიან მნიშვნელოვანი საბუთებია... შენ ხომ მეთორმეტე სართულზე ცხოვრობ, შენთან უფრო კარგად შეინახება“.

ამ სიტყვების მერე დიდხანს ვიდექით ჩუმად, მერე ტანიამ ცას შეხედა და თქვა:

— ჩიტები მიფრინავენ...

ცოტა ხანს გაჩუმდა და დაამატა:

— თურმე, გადაფრენის დროს მზით, ვარსკვლავებით და დედამიწის მაგნიტური ველის ძალთა წირებით იკვლევენ გზას, — მერე ისევ გაჩუმდა და თქვა: — მე კი მგონია, სულაც არ არის საჭირო, ყველამ იცოდეს, როგორ და რითი იკვლევენ გზას სამხრეთში გაფრენისას ჩიტები. ვინც ფრინველთა გაფრენას სწავლობს, დეე იმან იცოდეს...

მე ჩუმად ვიყავი.

— ამ დღეებში არ გივარჯიშია?

არაფერი ვუპასუხე.

— ძალიანაც კარგი, — თქვა ტანიამ, — ყველაზე გენიალური კოსმონავტებიც კი არ ვარჯიშობენ მუდამ...

მე ისევ ჩუმად ვიყავი.

ტანიაც გაჩუმდა. ძალიან დიდხანს ვიდექით ასე ჩუმად. მერე შევეკითხე:

— ის ლექსები შენ თვითონ დაწერე?

— ზოგი მე დავწერე. ზოგიც მამისია, — მიპასუხა ტანიამ. — მამაჩემი პოეტია. მაშას ერთი მსახიობი მეგობარი ჰყავს, შენ, ალბათ, ტელევიზორში გინახავს. ჰოდა, მაშას ლა იმ მსახიობს რაღაც პიესის დაწერა უნდოდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ, ლექსები კი დარჩა, დარჩა და, როგორც ხედავ, გამომადგა.

— ჰო, ვხედავ, — დავეთანხმე მე.

მერე ტანიამ თავი დამიკრა და ხეივნით წავიდა. რატომღაც მეც უკან გავყევი.

დიდხანს ვიხეტიალეთ მე და ტანიამ კულტურისა და დასვენების პარკში. მე ბევრი ვიყოყმანე, მერე კი ვუთხარი:

— იცი, მე მაინც დაგწერე ლექსი გულზე. გინდა... ხმამაღლა წაგიკითხავ?

ტანიას გაუხარდა.

ჰოდა წავუკითხე:

ადამიანმა გულს არა ერთი
ლექსი და ბალადა უძღვნა —
გაჭირვების ჟამს გული იბრძვისო,
ვით ჯარისკაცი, მუდამ.
დიახ, კი არ ძგერს, — ინთება, იბრძვის,
ვით ჯარისკაცი მუდამ.
თუ მეგობრობას არა აქვს ზღვარი,
გულიც ერთდება გულთან,
და კი არა ძგერს, — ინთება, იბრძვის,
ვით ჯარისკაცი მუდამ.
კაცი თუ უგულოდ მოიქცა,
გული არა აქვსო, უთქვამთ.
მაგრამ თუ ერთი აბორგდა,
გული აინთება უცბად,
ჰო, კი არა ძგერს, — ინთება, იბრძვის,
ვით ჯარისკაცი, მუდამ.
ის არც ძრაფაა, არც აგრეგატი,
რომ ადუგდუგდეს ცუდად,
გული კი არ ძგერს, — ინთება, იბრძვის,
ვით ჯარისკაცი, მუდამ.
კიდეც რომ დაიცალოს სისხლით,
მაინც არ დაიხეთქ უკან,
რადგან კი არ ძგერს, — ინთება, იბრძვის,
ვით ჯარისკაცი, მუდამ!

ლექსის კითხვა რომ დავამთავრე, რაღაც საოცარი დამემართა: პირი გამიშრა, გავფითრდი, ხელებსა და ფეხებში კრუანტელმა დამიარა. რომ არ დავცემულიყავი, მესერს წავაცლე ხელი.

— რა მოგიყიდა? — შემეკითხა შეშინებული ტანია ტოპოლევა.

— არ ვიცი, — ჩავილაპარაკე.

ტანიამ ხელზე ხელი წამავლო, ჩემი მაჯა თავის ხელში შეაკავა და წყნარად მითხრა:

— აჩქარებული პულსი გაქვს! — დაითვალა და თქვა: — წუთში ასჯერ გიცემს. ამუშავდა! როგორც იქნა! როგორც იქნა, პულსი აგიმუშავდა!

მე ყური მივუგდე ჩემი გულის აჩქარებულ ძგერას, ჩემს შინაგან ბიოლოგიურ საათს და ვთქვი:

— გავიდა... რამდენი დღე გავიდა?

— ხუთი დღე გავიდა, — დააზუსტა ტანიამ.

— ოჰ!!! — ვთქვი მე.

— შენ სახეზე გაწერია, ბევრი დრო რომ დაკარგე.

— არა, — ვთქვი მე. — რამდენი დრო ვიბოვნე, ის უნდა მეწეროს სახეზე! სახეც კი აღარ მეშორჩილება.

— ძალიან გთხოვ, — თქვა ტანიამ, — გამოძებნე კიდევ ორი-სამი დღე და...

— და რა?

— და ვარჯიში დაიწყე! შეეთანხმდით?

— შეეთანხმდით! — ვთქვი მე. — ცას ავხედე და იქით, იმ მიმართულებით დავიწყე ცქერა, სადაც ოდესღაც და ვიღაცის მიერ შესრულებული იქნება ამქვეყნად ყველაზე ძნელი დავალება!

შევყურებდი ვარსკვლავებს, დღის ვარსკვლავებს, რომლებიც თითქოს არც იყვნენ ცაზე, მაგრამ სინამდვილეში კი იყვნენ...

— სხვათა შორის შენს ერთ ლექსში გაქვს, რომ... — ხმადაბლა წარმოვთქვი: — „ეტყობა, სიყვარული სწვავს, ოცნებობს ცისფერ თვალებზე...

— შორეულ ვარსკვლავ ზბიუნზე გიტარის სიმებს აკვნესებს..." — ამყვა ტანია.

— მაგრამ ასეთი ვარსკვლავი არ არსებობს, — ვთქვი მე. — ცაზე ყველა ვარსკვლავი ვიცი... ვარსკვლავი ზბიუნა არ არსებობს.

— არ არსებობს, — დამეთანხმა ტანია, — მაგრამ იარსებებს... იმიტომ, რომ იგი შენი ვარსკვლავია... ხომ იცი, როგორ გაიშიფრება?..

ტანია გაჩუმდა...

არ ვიცი, რამდენ ხანს იქნებოდა გაჩუმებული, მე რომ არ მეკითხა:

— როგორ გაიშიფრება ვარსკვლავი ზბიუნა?

— იური ბარანკინის ვარსკვლავი *... — ჩუმად თქვა ტანიამ და დაამატა! — ახალი! სეახალი ვარსკვლავი!.. — ტანიას ტუჩები უხმოდ განაგრძობდნენ სიტყვების წარმოთქმას, მაგრამ მე ეს სიტყვები უკვე ზეპირად ვიცოდი. ისე ჩუმად ჩურჩულებდა ამ სიტყვებს, თითქოს იგი, ტანია ტოპოლევა, ჩემთან, იური ბარანკინთან ერთად, იმ შორეულ ვარსკვლავზე იყო...

და, აი, ეხედავთ კვამლს მინდერად,
ბალახიც გვენატრება,
რუსეთს ეუმღერით ციდან —
შორეულ ზბიუნიდან...

* რუსულად: Звезда Баранкина Юрия (Збюна).

სარჩევი

ნიკანორ პერველი

ბარანკინ, ოფპრ ადამიანი!

თცდათექვსმეტი ფათერაკი იური ბარანკინის ცხოვრებიდან

ნაწილი პირველი

ბარანკინ, დაფასებენ!

პირველი ფათერაკი. ხეოლაში თავი მოვეჭრა! . . 5
მეორე ფათერაკი. გონს მოხვლის საშუალებას არ გვაძლევენ 6
მესამე ფათერაკი. ნამდვილი ოპერაა . . 7
მეოთხე ფათერაკი. (ძალზე მნიშვნელოვანი!) თუკი დამქანცა ამ ადამიანობამ?! . . . 10
მეხუთე ფათერაკი. მაინც დაკვირვეს ბარეები... სადაცაა მიშკაც გამოჩნდება . . 11
მეექვსე ფათერაკი. ეი, რამ განცვიფრა! — კვირაში შვიდი დასვენებიხ დღე! 13
მეშვიდე ფათერაკი. მსოფლიოში ერთადერთი ინსტრუქცია 15
მერვე ფათერაკი. „არა მსურს სწავლა, თქენა, მსურს ჩიტობა და ფრენა!" . . 17

ნაწილი მეორე

ჟიჟ-ჟიჟ! ცხოვრება საამურია!

მეცხრე ფათერაკი. საკმარისია, ნამდვილად მოინდომო და 19
მეათე ფათერაკი. რას ნიშნავს პელურას ენაზე . . 22

მეთერთმეტე წათერაკი. კულმოუტქვინილობის მეხვედრა 25
მეთორმეტე წათერაკი. კატა მუსკას ხელმი მეჭმა ხურს . 27
მეცამეტე წათერაკი. რას ეიეიეიებენ ბებიები 29
მეთოთხმეტე წათერაკი. ოპტიკურსამისნიანი შორს-მხრილელი შურდული 30
მეთხუთმეტე წათერაკი. რა ხდება, როცა ეაეიშეილები დედახ უარყოფენ 32
მეთექვსმეტე წათერაკი. მე და კოსტია ბუდის გაკეთებას ვსწავლობთ 33
მეჩვიდმეტე წათერაკი. ჩხუბი ხაშოშიესათვის 34
მეთერამეტე წათერაკი. კოსტია შალინინმა „ეიკეიეათ ეული იეერა“. 36

ნაწილი მესამე

მე კომპოსტოს პეპელა ვარ, კოსტია — მაძაონი

მეცხრამეტე წათერაკი. მოსასლეობისათვის ცნობილი მავნებელი 39
მეოცე წათერაკი. „მძინარე მზეთუნასავი“ 43
ოცდამეერთე წათერაკი. ხაზენიტო კაბა 46
ოცდამეორე წათერაკი. მეიძლება, ეერეხოდეს ეელარ გნახოთ... მმეიდობით, მეგობრებო! 48
ოცდამესამე წათერაკი. ცემინების საწინააღმდეგო აცრა 52
ოცდამეოთხე წათერაკი. მაგრამ პუნების ხაშინელი კანონი მოქმედებას იწყებს 54
ოცდამეხუთე წათერაკი. ჩემისთანა პეპელა აქეთ კოლექციაში 60
ოცდამეექვსე წათერაკი. ხახიკვალოში, ხაშრომში... და მერე ეასასწორებელში 63

ნაწილი მეოთხე

თაეს შეეველეთ! ბერმიკებმ ეალინინის დაღუპეა

ოცდამეშვიდე წათერაკი. ზინკა ფოეინასათვის არასასიამოვნო, მაერამ ჩვენთვის მაგოცხლებელი ამბავი 68
ოცდამერვე წათერაკი. ჩვენ ეზიანეველების ბუდის აეკეთებას მეეუდექით 74

ოცდამეცხრე ფათერაკი. ალბათ, ამ[illegible] ინეტა არ-
სად და არასოდეს [illegible] 77
ოცდამეთერთმეტე ფათერაკი. ჯერ [illegible] ლ[illegible] [illegible]
[illegible] 80
ოცდამეთერთმეტე ფათერაკი. [illegible] [illegible]-
[illegible] 82
ოცდამეთორმეტე ფათერაკი. [illegible] [illegible] 86
ოცდამეცამეტე ფათერაკი. [illegible] [illegible]
[illegible] — [illegible]-
[illegible] 89

ნაწილი მეხუთე

ბარანკინ, მოიცადეთ [illegible]!

ოცდამეთოთხმეტე ფათერაკი. [illegible] „[illegible]“ 91
ოცდამეთხუთმეტე ფათერაკი. [illegible] [illegible]! 93
ოცდამეთექვსმეტე ფათერაკი. [illegible] [illegible]
[illegible] 98

წიგნი ეჭვრე

ზეკოსმონავტის ზეთამგალასავალი

[illegible] ბარანკინის ოცი მოგონება, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

ნაწილი პირველი

ზეკოსმონავტის ზეთამგალასავალი

მოგონება პირველ. [illegible] 106
მოგონება მეორე. [illegible] [illegible]-1? 112
მოგონება მესამე. [illegible] [illegible] 119
მოგონება მეოთხე. [illegible] [illegible] 126
მოგონება მეხუთე. [illegible] [illegible] 130
მოგონება მეექვსე. [illegible] [illegible]
[illegible]? 137

მოგონება მეშვიდე. ყველაზე საიდუმლო შემოხვევის ანთოლოგია 140
მოგონება მერვე. „აღმოვაჩინე, რომ ჩემ გვერდით გოგონები ყოფილან" 146
მოგონება მეცხრე. ლაბარაკიხთვის ათ წუთს გაძლევთ! 155
მოგონება მეათე. მისი უდიდებულესობა—ადამიანური ელექტრობა 166
მოგონება მეთერთმეტე. ყვავილ-ხეილი 175
მოგონება მეთორმეტე. ჩემს თავს მე თვითონ ვითამაშებ 180
მოგონება მეცამეტე. დირექტორიას! სასწრაფოდ! 191
მოგონება მეთოთხმეტე. პიანოზის ხვანხი 192
მოგონება მეთხუთმეტე. ბურმე, ისიც კი მცოდნია, რაც არ ვიცი. 210
მოგონება მეთექვსმეტე. ბრმა კოსმოხური გაფრენა და მოულოდნელი თვალის ასელა 219

ნაწილი მეორე

სად იყავით აქამდის, ჩარლზ ლარვინ?

მოგონება მეჩვიდმეტე. საათი უხეკუნდოდ—საათი არ არის, 59 წუთი და 59 ხეკუნდია 231
მოგონება მეთვრამეტე. ზემაგარა. ზედაშეება. 244
მოგონება მეცხრამეტე. სამედიცინო შემოწმებასე. ციცხლად! 251
მოგონება მეოცე. პულსი, პულსი, პულსი! 269

ნ. ბ. № 1756

რედაქტორი მ. ახვლედიანი
მსატვრული გაფორმება შ. დოლიძე
მსატვრული რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა
კონტრ.-კორექტორი ლ. სულთანიშვილი
კორექტორი ა. ჭიჭინაძე
გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 03.08.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.12.87.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 17,5. საბ. ქაღალდი № 1. საღებავგატარება 18. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 15,04.
ტირაჟი 20 000. შეკვ. № 522.
ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მშვიდობის გამზ. 28.
Издательство «Наакадули», пр. Мира, 28.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Мурджанишвили, 5.